

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Georgian Academy of Sciences
Arn. Chikobava Institute of Linguistics

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო ძ ი ე ბ ა ნ ი

XXIII

Linguistic P a p e r s

თბილისი 2006 Tbilisi

81.2
800
ს 157

„საენათმეცნიერო ძიებანის“

XXIII წიგნი თემატურად მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის საკითხებით დაინტერესებული პირებისათვის.

“Linguistic Papers” volume 23 contains thematically diverse works. It is meant for linguists and in general, all persons interested in language issues.

სარედაქციო კოლეჯია: EDITORIAL BOARD:

მ. ბერიძე, კ. გაბუნია, გ. გოგოლაშვილი (მთავარი რედაქტორი), ლ. გოქსაძე (ინგლისური ნაწილის რედაქტორი), ნ. დარასელია, ც. კვანტალიანი (სწავლული მდივანი), მ. კიკონიშვილი, მ. კობიაშვილი, რ. ლანდია, ნ. ლოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), თ. ლომთაძე, ჭ. ქირია, რ. ქურდაძე, მ. ქურდიანი ნ. ჭუმბურაძე, ნ. ჯორბენაძე	M. Beridze, K. Gabunia, G. Gogolashvili (editor-in-chief), L. Goksdze (editor of the English part), N. Daraselia, Ts. Kvantaliani (scientific secretary), M. Kikonishvili, M. Kobiashvili, R. Landia, N. Loladze (deputy editor-in-chief), T. Lomtadze, Ch. Kiria, R. Kurdadze, M. Kurdiani N. Chumburidze, N. Jorbenadze
---	---

ენო აბაშიძე

ინგლისური სამეტყველო რიტმი

სამეტყველო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება მეორე ენის სწავლების თვითმიზანი არ ყოფილა მანამ, სანამ პირდაპირ მეთოდმა წინა პლანზე არ წამოიწია. ზეპირი ხელოვნებისა და კომუნიკაციის სწავლება აუცილებელი გახდა. ამის პირველი მიზეზი იყო ის, რომ შეძენილი ინფორმაციის გადმოცემა შესაძლებელი იყო იმ სახით, რომლითაც შემსწავლებლები მას იძენდნენ, მეორე, იმიტომ, რომ ისინი გამოხატავენ თავიანთ აზრებს, გრძნობებს და ერთვებიან რეალური ცხოვრების ურთიერთობაში. ლაპარაკის დამკვირვებლური ბუნება, როგორც პროდუქტიული უნარი მოტივაციას უკეთებს შემსწავლელს შემდგომი მოქმედებისათვის მეორე ენის შესწავლის პროცესში. ლაპარაკი მოიცავს სინთეზურ და კოდირებულ მნიშვნელობას ფორმაში. სინთეზის პროცესში მოსაუბრე ირჩევს 1) წარმოთქმას, 2) სინტაქსურ ნიმუშებს, 3) ლექსიკურ საკითხებს, 4) ინფლექციურ ფორმებს, 5) აჯგუფებს ბგერებს და 6) წარმოთქვამს ბგერებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ლაპარაკი არის შემოქმედებითი პროცესი, რომელიც მოითხოვს მის ლინგვისტურ ცოდნასთან ერთად სოციო-კულტურული წესებს, მსჯელობის ნორმებსა და კომუნიკაციურ სტრატეგიას. სწავლების საკომუნიკაციო მიდგომაში ნორმებსა და კომუნიკაციურ სტრატეგიას. სწავლების საკომუნიკაციო მიდგომაში მოსმენის უნარი აუცილებელი პირობაა, რომლის საშუალებითაც მსმენელი ახდენს დეკოდირებას და ლინგვისტური ფორმის დარღვევას გამოყოფილი მნიშვნელობიდან. მსმენელს უნდა გააჩნდეს ენის ცოდნის აუცილებელი მარაგი, რათა გაიზიაროს ზოგადი ცოდნა მოსაუბრესთან ურთიერთობისას. აქ კი მოსაუბრის მიერ გადმოცემულ ინფორმაციას თან ახლავს ინტონაცია, მელოდია, მეტყველების დინება. მეტყველების სწორ აღქმას ხელს უწყობს სიტყვების რიტმული რხევის შეცნობა. ინტონაციის მნიშვნელობაში ვგულისხმობთ ფრაზული მახვილის სამეტყველო მელოდიის რთულ ერთიანობას, რიტმის დროებით ხასი-

ათს (სიგრძე, ტემპი, პაუზა) და ხმის თვისებას. რიტმი განისაზღვრება, როგორც სამეტყველო ურთიერთობის პროსოდული გამოვლილება.

სპეციალურ ლიტერატურაში შეიძლება უამრავი მასალა მოვიძიოთ სამეტყველო რიტმის შესახებ. რიტმის შესახებ კვლევები მიმდინარეობს ძირითადად შემდეგი მიმართულებით, რიტმის ერთეულების გამოსავლენად ესენია: სამეტყველო რიტმის ბუნება და რიტმიზაციის საშუალებები, ლექსის რიტმის სხვაობის გამოვლინება, რიტმისა და მეტრის შესწავლა.

მკვლევართა აზრით, რიტმის მცირე ერთეულია რიტმული ჯგუფი, მახვილიანი მარცვლით ან უმახვილო მარცვლით. ინგლისურში უმჯობესია მარცვლის მნიშვნელობის გაგება და არა სიტყვისა. რამდენადაც სიტყვა შეიცავს ორ ან უფრო მეტ რიტმულ ჯგუფს, სინტაგმაში ან ფრაზაში საწყისი უმახვილო მარცვალი წარმოადგენს პროკლიტიკებს, ბოლო ენკლიტიკებს. მაშ, როგორც განლაგდება შიგა უმახვილო მარცვლები? ეს საკითხი მცირედ შესწავლილია და მოითხოვს შემდგომ შესწავლას. დაკვირვებიდან ჩანს, რომ პროზაში უმახვილო მარცვლის მიკუთვნება, სიტყვათა წინა ან შემდგომი მახვილი განისაზღვრება სემანტიკური ფაქტორით. უმახვილო მარცვლები მიუახლოვდებიან მახვილიან მარცვლებს იმავე ლექსიკური ერთეულით, რომელთანაც მოცემული მარცვალი (სიტყვა) მჭიდროდ არის დაკავშირებული აზრობრივად. მაგ.: „Peter is [coming] today“. თუმცა ეს არ მტკიცდება ყოველთვის რეალური გამოვლინებით. ენკლიტიკური ტენდენცია, რომელსაც ინგლისური ენის ბევრი მკვლევარი იზიარებს, ეწინააღმდეგება ე. წ. „სემანტიკურ ტენდენციას“. შესაძლებელია ისეთი შემთხვევები, როცა უმახვილო მარცვალი ასრულებს ორმაგ, პროკლიტიკისა და ენკლიტიკის ფუნქციას. პოეტურ მეტყველებაში უმახვილო მარცვლების განლაგებაზე გავლენას ახდენს მეტრული სისტემა. აშკარაა ის ფაქტი, რომ რიტმულ ჯგუფებს შორის ზღვარის გავლება შეუძლებელია, ისევე როგორც შეუძლებელია მეტყველებაში ერთმანეთისაგან ბგერების, მარცვლების, სიტყვების გარჩევა, გამონათქვამებისაც კი.

ძირითად რიტმულ ჯგუფს მახვილიანი მარცვალი წარმოადგენს. თუ ჯგუფი შეადგენს ერთ მახვილიან მარცვალს, მას შეიძლება ვუწოდოთ უბრალო. შესაბამისად, რიტმს, რომელიც უბრალო რიტმული ჯგუფისაგან იქმნება, უბრალო რიტმი ჰქვია. თუ რიტმულ ჯგუფში შედის ორი ან მეტი მახვილიანი მარცვალი, მაშინ ასეთი რიტმული

ჯგუფი რთულია და რიტმს, რომელშიც ეს ჯგუფი დევს, რთული ან ჯგუფური ეწოდება. რიტმული ჯგუფის ტიპის გარკვევაში დიდ როლს თამაშობს მელოდია. უბრალო რიტმისას ყოველი მახვილიანი მარცვალი ხასიათდება განსაზღვრული დონით. უმახვილო მარცვლები განსხვავებულ მდებარეობას იკავებენ მახვილიანთან დაკავშირებით, ანუ ისინი შეიძლება მახვილიან მარცვალზე უფრო მაღლა ან დაბლა ან კიდევ ერთ დონეზე მდებარეობდნენ. მახვილიანი მარცვალი მეორდება მეტ-ნაკლები დროის შუალედებით და აწარმოებს უბრალო რიტმულ სტრუქტურას. რთული რიტმისას ხდება მახვილიანი მარცვლების დაჯგუფება, ხშირად ორ-ორად, ისინი განლაგდებიან ერთსა და იმავე ტონალურ დონეზე. საფეხურებრივი ხასიათი მელოდიური შკალისა მოცემულ შემთხვევაში მახვილიანი მარცვლების წყვილი განლაგების ხარჯზე რეალიზდება, მაგალითად, „Peter Brook went to paris last night“ მარცვლების დაჯგუფებას თან ახლავს წარმოთქმის სიჩქარის ზრდა. ამასთანავე სინტაგმისა და ფრაზის შემოკლება. წყვილური რთული რიტმული სტრუქტურა ხშირად გვხვდება აღწერილობით და დიალოგურ პროზაში. რიტმის ორივე ტიპი (რთული და უბრალო) დაკავშირებულია ე. წ. ფრაზულ დეცენტრალიზებულ მახვილთან, ანუ ისეთთან, რომლისგანაც ყველა ლექსიკური მნიშვნელოვანი სიტყვა გამოიყოფა მეტნაკლებად თანაბარი ხარისხით.

დამოკიდებულია თუ არა რიტმის ტიპი ფრაზის სიგრძით? მოკლე ფრაზისათვის უფრო დამახასიათებელია უბრალო რიტმი. რა თქმა უნდა, ჯგუფური რიტმისათვის საჭიროა მეტყველების მნიშვნელოვანი ნაწყვეტი, თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ მნიშვნელოვანი ფრაზებისათვის არ შეიძლება დამახასიათებელი იყოს უბრალო რიტმი. უბრალო და რთულ რიტმებს შორის არსებობს სხვაობა სემანტიკისა და ესთეტიკური აღქმის სახით. გრძელი ფრაზა, დამახასიათებელია უბრალო რიტმით. იგი აღიქმება შენელებული და მძიმე წონის ფრაზით, რომელიც ხასიათდება რთული რიტმით. სიტყვები რთულ რიტმულ ჯგუფში შედის და აყალიბებენ ძალიან მჭიდრო ერთიანობას. სემანტიკური კავშირის ხასიათი განსაზღვრულ ხარისხში ზემოქმედებას ახდენს რიტმის ხასიათზე. რთულ რიტმულ ჯგუფს აწარმოებს სიტყვები, რომლებიც ერთმანეთთან სემანტიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული.

რიტმის სწავლებისას ყურადღებამისაქცევია სპონტანური მეტყველების რიტმი. გალპერინის თანახმად, პროზის რიტმული ორგანიზა-

ცია წერით ტიპს ეკუთვნის. სპონტანური მეტყველების ჩანაწერები სტუდიის პირობებში არაბუნებრიობას ქმნის, რადგანაც თვით სიტუაცია არის არაბუნებრივი, ჩანაწერი მის ბუნებრივ პირობებშიც კი ქმნიან მნიშვნელოვან ტექნიკურ და ეთიკურ სიძნელებებს. სპონტანურ მეტყველებაში რიტმის ერთეულების გამოყოფა დამოკიდებულია ამ მეტყველების ტიპით. ასეთ მეტყველებაში საკმაოდ ზუსტად გამოიყოფა მეტყველების სამი ტიპი: 1) დიალოგიური საუბარი; 2) ინტერვიუ, როცა ერთი მოსაუბრეთაგანი კითხვებს სვამს, მეორე კი პასუხობს (მოკლე ან გრძელი პასუხით), 3) საყოფაცხოვრებო დიალოგი, რომელიც ხშირად დიალოგ-შეპასუხებად იქცევა ხოლმე. ამ შემთხვევაში ერთი და იგივე აზრი ყალიბდება და გამოითქმება, ვითარდება და ხდება დამატება ორივე მოსაუბრის მიერ. რეალურ პირობებში ყველა ტიპი შეიძლება იყოს არეული დიალოგ-მონოლოგისა და დიალოგ-ინტერვიუს მონოლოგიურ ნაწილში, თუ მოსაუბრესათვის საგანი კარგად ნაცნობია და სწორად გამოთქვამს თავის აზრებს, საკმაოდ ზუსტად გამოიყოფა სინტაგმები, ფრაზები და ზეფრაზული ერთეულები. საყოფაცხოვრებო დიალოგში, რომელშიც ხშირია პაუზა და ურწმუნებლობისა, დასახელებული ერთეულების გამოყოფა გართულებულია, ზოგჯერ კი შეუძლებელია. აუცილებელი ხდება არასრული სინტაგმების გაგების შეტანა, რომელშიც ერთიანი რამდენიმე წევრი არ არის. ინგლისურ სპონტანურ მეტყველებაში ასეთი სინტაგმები ხშირია. ზოგჯერ გამოტოვებული ელემენტები ადვილად აღდგება შინაარსის მიხედვით. ზოგჯერ კი მოსაუბრე თვითონვე ამატებს მას მაგ.:

A: "I'll play on the other harmonica

B: Quickly or....

A: Fairly quickly."

არასრული სინტაგმი გამოჩნდება, როცა მოსაუბრეს ან შეაწყვეტინეს, ან მერყეობს სიტყვის არჩევაში და აკეთებს პაუზას. არასრული სინტაგმი მოკლეა და პაუზით მთავრდება. მისი ბოლო აღინიშნება ან აღმავალი, ან თანაბარი, ან კიდევ მაღალი დამავალი ტონით. სრულყოფილი სინტაგმები უმეტეს შემთხვევაში ფორმდება დამავალი ტონით (7%). აღმავალი ტონი იშვიათი არ არის სინტაგმის შიგნითაც. თუ სინტაგმი შეიცავს სამ და მეტ მახვილიან მარცვალს, მაშინ უფრო გამოყენებადია მოძრავი შკალა. სინტაგმის საერთო კონტური ატარებს დამავალ ხასიათს, ერთი ვარდნით, თუ სინტაგმი მოკლეა,

ორი ან მეტი, თუ სინტაგმი გრძელია. ის სიტყვები, რომლებზეც რეალიზდება ტერმინალური და წინატერმინალური ტონები, აღიქმება როგორც გამოყოფა, რომელიც ატარებს მთავარ მახვილს, დანარჩენი როგორც უმახვილო ან როგორც მეორეხარისხოვანი მახვილის მატარებელი. სპონტანურ დიალოგიურ მეტყველებაში შეიმჩნევა პერიოდულობა ტონების გამოყენებისას. აღმავალი ტონების პერიოდულობის გამოყენება ერთი მუდმივი საშუალებაა სპონტანური მეტყველების რიტმისათვის, რაც თანმხლები ინტონაციით გამოირჩევა. სპონტანური დიალოგიური მეტყველებისათვის, რომელშიც გვხვდება გრძელი და მოკლე სინტაგმები, დამახასიათებელია შერეული რიტმული ორგანიზაცია (უბრალო და რთული). დიალოგის მონოლოგიური ნაწილი აღიქმება, როგორც უფრო რიტმული. დიალოგიური მეტყველების რიტმიზაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პაუზა. არის ტენდენცია პაუზის გაგრძელებისა — მოკლე — და შემცირებისა — გრძელი სინტაგმის შემდეგ.

ინგლისური ენის შესწავლისას რიტმული სტრუქტურის შერჩევითი სათვის საჭიროა მინიმალური ერთეულები, რომელშიც რიტმის ყველა თვისება ჩანს. ინტონაცია მჭიდროდაა დაკავშირებული მის სხვა კომპონენტებთან, განსაკუთრებით — მელოდიკასთან, მახვილთან და ტემპთან. რიტმული სტრუქტურის წამყვანი არის ფრაზული მახვილი, ანუ სინტაგმაში განსაზღვრული სიტყვის გამოყოფა. სიტყვის გამოყოფა ხდება სიმაღლის, დინამიური და დროებითი ცვლილებების ხარჯზე. სიტყვები გამოყოფა სინტაგმაში მელოდიკაზეც არის დამოკიდებული. სინტაგმის ტიპური აგებულება დამავალი მელოდიკური მოძრაობაა. უბრალო რიტმის დამუშავების შემდეგ სასურველია რთული რიტმის ვარჯიში, რომლის დროსაც ერთ რიტმულ ჯგუფში შედის არა უმცირეს ორი მარცვლისა. შუალედური მარცვალი შეიძლება იყოს მშვიდი. ასეთი მოძრაობა განისაზღვრება თანდათან დამავალი, ან ამოჭრილი, შიგნით მახვილიანი, ან უმახვილო მოძრაობით. სინტაგმის უფრო ტიპური აგებულება არის დამავალი მელოდიკური მოძრაობა, ანუ მარცვლები განლაგებული დამავალ ხაზზე. თუ სინტაგმაში ყოველი რიტმული ჯგუფი გამოყოფილია მეტ-ნაკლებად თანაბარი ხარისხით, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ უბრალო რიტმზე. ასეთი რიტმი ინგლისური ენის ძირითადი რიტმული სტრუქტურაა და დამახასიათებელია აღწერილობითი ტექსტებისათვის, სამეცნიერო პროზისათვის, პოეზიისათვის და ა. შ. უბრალო რიტმის ვარჯიშისას

აუცილებელია დავიცვათ ორი ძირითადი პირობა: ერთგვაროვანი გამოყოფა მახვილიანი მარცვლებისა და დამავალი მელოდიური სურათი. უბრალო რიტმის შესასწავლად კარგია აღწერილობითი სახის ტექსტები და უბრალო ფორმის ლექსები. ინგლისური ენის რიტმი მკაფიოა. ის განპირობებულია რიტმული ჯგუფის იზოქრონულობით. ამიტომ რიტმის დამუშავებისას, დასაწყისს ეტაპზე, კარგია უტრირება, მკაფიოდ გამოთქმაზე ვარჯიში, მახვილიანი მარცვლების უფრო ძლიერად გამოყოფით, სასურველია ფანქრის დაკატუნებით, თითით ან მეტრონომით. მარცვლების დაჯგუფება ორ-ორად ხდება მელოდიური სურათის ხარჯზე. ორივე მახვილიანი მარცვლი მიიწევს საერთო სიმაღლის დონემდე. მელოდიური შკალის საფეხურებრივი ხასიათი მოცემულ შემთხვევაში რეალიზდება წყვილური განლაგების ხარჯზე, დამავალ ხაზზე. წყვილური რთული რიტმი დამახასიათებელია გრძელი ფრაზებისათვის და ხშირად გვხვდება აღწერილობით და დიალოგურ პროზაში. მარცვლების დაჯგუფებას თან ახლავს წარმოთქმის სიჩქარის, საერთო ხანგრძლივობის სინტაგმისა და ფრაზის ზრდა. რიტმი ორგანიზაციაში მუშავდება, ვარჯიშისას იხვეწება და სწორი რიტმით და ინტონაციით გაფორმებული ლაპარაკი მსმენლისათვის ადვილი გასაგები ხდება.

ლიტერატურ

არნოლდი, 1973 — Арнольд И. В., Стилистика современного английского языка, Ленинград, изд. "просвещение", 1973.

ჟულტენკო, ზინდერი, 1971 — Жултенко Ю. Я., Зиндер Л. Р. Интонация. Высшая школа, 1971.

როზენბერგი, 1963 — Розенберг, Роль Диалогической речи в обучении иностранному языку. Учителя Английского языка о своей работе, сборник статей, Учпедгиз, 1963.

როჩი, 2000 — P. Roach, "English Phonetics and Phonology". A practical course, third edition, Cambridge university press, 2000.

სკრებნევი, 2003 — Скрёбнев Ю. М., Основы стилистики английского языка, Москва, Астрель, 2003.

NINO ABASHIDZE

English Speech Rhythm

Summary

When teaching English as a foreign language special attention should be paid to English speech rhythm. Quite often the speaker's speech is incomprehensible because of its incorrect intonation contour and rhythmic organization. The paper discusses some characteristic features of rhythm in English and presents several methods of teaching the elements of rhythm to learners of English.

ნათია აბაშიძე

პარონიმია და მისი დამოკიდებულება სხვა ლექსიკურ
კატეგორიებთან

ენაში მსგავსი უღერადობის მქონე სიტყვები ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის გამოკვლეული. „ცრუ მსგავსებით“ გამოწვეული აღრევა არცთუ უსაფუძვლოა. ეს ის შემთხვევაა, როცა მკვეთრად გამოჩენილი მნიშვნელობის მქონე სიტყვები თანაზიარი შინაარსის მატარებელ სიტყვებზე მიიჩნევა, ანდაც, იმდენად მსგავსნი არიან, რომ ზედაპირული დაკვირვებით, მათი გამოყენის არავითარი აუცილებლობა არაა. სტატიის მიზანმიმართულად პარონიმების, სინონიმებისა და ომონიმების მოკლე აღწერილობას, დავადგენთ მათ შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს.

პარონიმია საკმაოდ რთული და თავისებური ენობრივი მოვლენაა, რომლის არსიც თანამედროვე სიტყვების ორმხრივ ფონეტიკურ-სემანტიკურ ურთიერთმიმართებაში მდგომარეობს. პარონიმების მაგალითებია:

collesion / collusion (დაპირისპირება, შეჯახება / შეთქმულება);

émigrer / immigrer (ემიგრაცია / იმიგრაცია);

special / spécifique (სპეციალური / სპეციფიკური);

cerveau / cervelle (აღამიანის ტვინი / ცხოველის ტვინი);

prodigue / prodige (მფლანგველი / სასწაული).

თავისი ბუნებითა და კონსტიტუციით პარონიმია თავისთავში მოიცავს ომონიმისა და სინონიმის ნიშნებსა და მახასიათებლებს და ამავდროულად მკვეთრად განსხვავდება როგორც ერთი, ისე მეორე მოვლენისაგან: თუ ომონიმები ხასიათდება უღერადობის სრული თანხვედრით, პარონიმები ფონეტიკურადაა თანამედროვე და თითქმის არასოდეს ექცევა იგივეობის ყალიბში; ასევე — თუ სინონიმები წარმოადგენენ შინაარსობრივად ახლო და უმეტეს შემთხვევაში ურთიერთშემცველ სიტყვებსაც კი, პარონიმები ურთიერთგანსხვავდებიან სემანტიკური კავშირების მრავალფეროვნებით. სწორედ ეს მრავალფერ-

როვნება და სემანტიკურ ურთიერთმიმართებათა სირთულე არ გვაძლევს შესაძლებლობას მხოლოდ „მსგავსებისა თუ განსხვავებულობის“ კონსტატაციით ერთმნიშვნელოვანი განმარტება მივცეთ ჩვენი კლავის საგანს.

განსაკუთრებული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ პარონიმები ვლინდება ფონეტიკურ და სემანტიკურ მსგავსებებსა და მეტ-ნაკლებ თანაზიარობაში. მაგალითად, სიტყვა *bureau* ადრე აღნიშნავდა მქისე შალის ნაჭერს (*bure*), ბუალო თავის ერთ-ერთ სატირაში სწორედ ამ მნიშვნელობით იყენებს მას:

„(Damon) *n'étant vêtu que de simple bureau*

Passe l'été sans linge et l'hiver sans manteau“

(დამონი მხოლოდ უბრალო შალის ნაჭრით იყო შემოსილი და ზაფხულს ზეწურის გარეშე ატარებდა, ზამთარს კი — მანტოს გარეშე).

ამ სიტყვამ შემდეგ განსხვავებული მნიშვნელობები მიიღო:

1. საწერი მაგიდა — *un bureau de Louis XV*;

2. ბიურო, განყოფილება — *bureau de renseignement*;

3. კაბინეტი — *veuillez entrer dans mon bureau*;

4. აღმასრულებელი ბიურო — *les deputes ont élu bureau*;

აქ პარონიმებად გვევლინება სიტყვები — *bureau / bure*.

როგორც დავინახეთ, პარონიმის მაგალითები შეიძლება ვეძებოთ ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მაგალითად, თანამედროვე ფრანგულში და ძველ ფრანგულში სიტყვა — *souffreteux*. ძველ ფრანგულში ეს სიტყვა ნიშნავდა „ლატაკს“, „ლარიბს“, „უპოვარს“ და უკავშირდებოდა არსებით სახელს *souffraite* (უკმარისობა, გაჭირვება). ბგერათა მსგავსების გამო თანამედროვე ფრანგულში დაუახლოვდა ზმნას *souffrir* და მიიღო „სუსტი ჯანმრთელობის“, „ავადმყოფურის“ მნიშვნელობა. მსგავს ძიებას დიაქრონიულ კვლევასთან მივყავართ.

ამრიგად, პარონიმია კვლევას ნათელი ეფინება როგორც სემანტიკური და ფონეტიკური ცვლილებების შესწავლით, ასევე — ეტიმოლოგიით. იგივე შეიძლება ითქვას ომონიმებზე. ფონეტიკის ისტორია აღადგენს სიტყვის მივიწყებული ფორმის მნიშვნელობას და ავლენს აზრობრივ კავშირს, სემანტიკა კი მიგვითითებს იმ ფორმალურ მსგავსებაზე, რომლითაც ესა თუ ის სიტყვა ბგერათა შემადგენლობით დაემსგავსა თანამედროვე ან ძველ სიტყვას. ასე რომ, თუ სიტყვას შევისწავლით გარკვეული დროის მონაკვეთში, ერთი ან რამდე-

ნიმე ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებების მოწმენი გავხდებით.

რადგანაც პარონიმთა ძირითადი სახასიათო ნიშანი მაინც ფორმათა მსგავსებაა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ომონიმიისაკენ უფრო იხრება, ვიდრე სინონიმიისაკენ. ამის საფუძველს გვაძლევს თუნდაც ის, რომ პარონიმული წყვილი ზოგისთვის არის *virage / miraje* (მირაჟი, ზმანება / ვირაჟი, მობრუნება), ზოგისთვის კი — *odorant / odoriférant* (სურნელოვანი / კეთილსურნელოვანი).

ზოგიერთი მკვლევარი პარონიმიას განიხილავს როგორც ომონიმიის ერთგვარ სახეობას, როგორც „ფსევდო-ომონიმებს“, მიუთითებს რა მათ ფორმალურ სიახლოვეზე.

ომონიმიის დროს შეიმჩნევა სრული თანხვედრა განსხვავებული მნიშვნელობების სიტყვების წარმოქმნისას. ეს ფენომენი მაშინ ვლინდება, როცა მსგავსი ფორმის ორ ან რამდენიმე სიტყვას განსხვავებული ეტიმოლოგია აქვს, მაგ. *son* (ხმა / ქათო), *rue* (ქუჩა / ტევანი — მცენარე), *canon* (ქვემეხი / ეკლ. წმინდა კანონი), *sommet* (მწვერვალი / სამიტი) ან როცა ერთი ეტიმოლოგიური საწყისი ვეღარ აღადგენს მათ შორის სემანტიკურ კავშირს: — *grève* (ზღვის ნაპირი / გაფიცვა), *collège* (სასწავლო დაწესებულება / კოლეგია).

ომონიმებში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: — ომოგრაფები (გრამატიკულად იდენტური) და ომოფონები (ფონეტიკურად იდენტური). **ომოგრაფების მაგალითია:** *Ferme la porte. Je vais à la ferme. Corinne n'est pas assez ferme avec ses enfants. — J'ai loué une villa pour l'été/ Je l'ai loué de sa ténacité. ომოფონების მაგალითია: — Fête de la musique. Faites de la musique. — Mon père m'attend. Delphine n'a pas retrouvé sa paire de gants. Tu perds ton temps. — Vous êtes un sot. Il pleuvait à seaux. Je ne fais qu'un saut. Il m'a confié cette nouvelle sous le sceau du secret.*

პარონიმიის დროს საქმე გვაქვს ფორმის მსგავსებასთან, რაც ნამდვილ „ენის მახეს“ წარმოადგენს. ზოგჯერ პარონიმებსა და ომონიმებს შორის სხვაობა იმდენად მცირეა, რომ ერთი შეხედვით შეუძლებელია მათი ერთმანეთისაგან გარჩევა. ეს ის შემთხვევაა, როცა მსგავსი სიტყვებში ერთში გრძელი ხმოვანია წარმოდგენილი, მეორეში კი — მოკლე, მაგალითად: *alène — haleine chasse — châsse; tache — tâche, reine — rêne.*

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ომონიმთა მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ის სიტყვები, რომლებიც ერთმანეთს დაემსგავსნენ ფონეტი-

კური ცვლილებების გამო. მაგალითად, ძველ ქართულს ჰქონდა ფარინგალური **ჭ** და უკანაენის სპირანტი **ხ**-ც, რომელმაც თანდათან განდევნა ენიდან ფარინგალური ხშული ბგერა. ამ პროცესმა ხელი შეუწყო ქართულში რამდენიმე ომონიმის წარმოქმნას: ხერხი — მოხერხება (ვერჯი) / ხერხი — იარაღი; ხელი — ჯელი / ხელი — გიჟი, და ა. შ.

ომონიმიას ქმნის აგრეთვე უცხო ენიდან შემოსული სიტყვები, მაგალითად:

ასლი — ხორბლის ერთ-ერთი ჯიში; არაბ. დედანი;

ვადა — ხმლის ჯვარედი, არაბ. დრო;

ზარი — დასარკეი, სპარს. ტირილი;

ჯინი — დაბალი კალათა, არაბ. ავი სული;

ბაზი — მწერი, სპასრ. ქორი, მიმინო;

ხალი — ქუმელი, სპარს. ნოხი;

ჩინი — თვალის ჩინი, რუს. წოდება;

ბალი — ხილი, ფრ. საზეიმო წვეულება;

კაფე — გუგულის ხმიანობა, ფრ. პატარა რესტორანი.

პარონიმიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ სიტყვა — ძილისპირი — ძველი „საგალობლის ჭაშნიკი“, გარეგნულად დაემთხვა ძილის პირს. ამ დამთხვევამ თავდაპირველი მნიშვნელობა გააბუნდოვნა და მივიღეთ სიტყვა — ძილისპირული — სიმღერა, რომელსაც ძილის წინ მღერიან.

ზმნა — აზრობს — „ყინავს“, დღევანდელი შესატყვისია — აძრობს, მას დაემსგავსა ბგერითი შედგენილობის მიხედვით.

პარონიმები აუცილებლად უნდა განვასხვავოთ სინონიმებისაგან. სინონიმები ლინგვისტიკაში აღიქმება როგორც ერთი და იგივე, ან მსგავსი შინაარსის სიტყვების სემანტიკური ვარიანტები, პარონიმები კი ფორმით უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, ვიდრე უმეტესი ნაწილი სინონიმებისა. გვაქვს სინონიმური პარონიმებიც. სინონიმია პარონიმების სემანტიკური სიახლოვის უკიდურესი შემთხვევაა. ტერმინში „სინონიმური“ ჩვენ ვგულისხმობთ იმ პარონიმებს, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა და შესაძლებელია მათი ურთიერთჩანაცვლება განსაზღვრულ მომენტში. ასეთია, მაგალითად: *fainéant / feignant* (ზარმაცი / უქნარა, უსაქმური); *gourmand / gourmed* (ჭამის მოყვარული, გურმანი / ღვინის დეგუსტატორი, გურმანი); *s'adonner / se donner* (თავის გადაღება / თავის მიძღვნა);

stupéfait / stupéfié (გაოცებული / გაბრუებული, განცვიფრებული), *complaire / plaire* (მოწონება, გულის მოგება / გულის მოგება). თუმცა ესეც მკაცრ სიზუსტეს მოითხოვს.

სიტყვები *magnificence / munificence* (გულუხვობა / ხელგაშლილობა) სინონიმებია, მაგრამ მათი ურთიერთჩანაცვლება შესაძლებელია მოცემულ კონტექსტში სრულიად უადგილო იყოს. პარაფაზია (პარონიმების აღრევა) ხდება იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი დასახელებული სიტყვის მეორით ჩანაცვლება არ ექვემდებარება ენობრივ ნორმას.

როგორც ცნობილია, ენაში აბსოლუტური სინონიმები არ არსებობს. ისინი განსხვავდებიან მნიშვნელობის შეფერილობითა და სტილისტურად (სხვადასხვა სტილს ეკუთვნის) ან ორივეთი ერთდროულად. ამიტომაც, ყველა სინონიმი მხოლოდ ნაწილობრივ ურთიერთჩანაცვლებადია. ზოგ შემთხვევაში ჩანაცვლება ნორმატიულია, ზოგჯერ კი — სტილისტური და სემანტიკური ნორმების დარღვევაა. თუ დარღვევა გამოწვეულია სიტყვათა თანახმიერობის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსაუბრე შეცდომით აკეთებს ჩანაცვლებას. ამ დროს ურთიერთჩანაცვლება იქნეს პარანიმიული შეცდომის (პარაფაზიის) ხასიათს.

ამ თვალსაზრისით, სინონიმური პარონიმები ის სიტყვებია, რომლებიც პოტენციურად შეიძლება სინონიმებიც იყოს და პარონიმებიც. მაგრამ არა ერთდროულად, არამედ — მონაცვლეობით. ენის ლიტერატურული ნორმის მიხედვით, ისინი სინონიმებია, არალიტერატურული ნორმით კი — პარონიმები. სინონიმური პარონიმები მთელი პარონიმული სისტემის ცენტრში დგას. ჩვენ სწორედ პარონიმიის პროცესებს მივყავართ თანახმიერი სიტყვების სინონიმურ კავშირთან.

როგორც ენის მრავალ მოვლენას, სინონიმიას, ომონიმიასა და პარანიმიას ჰყავს თავისი თავყვანისმცემლები და არაკეთილმოსურნენი. ერთნი მათ ენის ტვირთად მიიჩნევენ — „ეს ერთგვარი სიგიჟეა, გაუგებრობაა, სადაც ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხს“ (კომაგორცევა, 1998) — ამბობენ ისინი, მეორენი — მათში ენობრივ ძალასა და განვითარების ნიშანს ხედავენ.

პარონიმია, ისევე როგორც ომონიმია და სინონიმია, ენის სიმდიდრეა, ცოდნის საბადაო. მასზე დაწერილია თითქმის ყველა ენაში,

მაგრამ ის მაინც არასაკმარისად არის შესწავლილი (განსაკუთრებით ქართულში).

ამგვარად, პარონიმები ის სიტყვებია, რომლებიც პოტენციურად შესაძლებელია ომონიმებიც იყვნენ და სინონიმებიც. თუ ომონიმია და სინონიმია ნებისმიერი ენობრივი სისტემის ორი დედაბოძი და ნიშანსვეტია, პარონიმია გარდამავლობაა, რომელიც ენის სხეულისა და შინაარსის ერთიანობას ავსებს და აღუდაბებს.

ლიტერატურა

ჟღენტი, 1956 — ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.

ნისკესი, 1998 — Nyckées V. La Sémantique, Belin, Collection sujets P., 1998.

კუზნეცოვი, 1997 — Кузнецова И., Паронимия в современном французском языке, М., 1997.

კომაგორცევა, 1998 — Комагорцева И., Омонимия лексическая и синтаксическая, Новосибирск, 1998.

NATIA ABASHIDZE

Paronymy and its Relationship with other Lexical Categories

Summary

The paper focuses on the relationship between paronymy and other relating lexical categories and discusses the instances of their confusion that are caused by false resemblance. On the one hand, semantically contrasted words are perceived as the bearers of similar meanings, and on the other, formal resemblance is misleading. The paper investigates similarities and differences between paronymy, synonymy and homonymy.

ლელა აგალიანი

**მხარკა და მხარჯთაღრიცხვე სიტყვათა
ფორმობრივ-სემანტიკური ანალიზისათვის**

ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს აღმოსავლური ენებიდან, მათ შორის, არაბულიდან ნასესხები სიტყვები და გამოთქმები.

ქართველების ურთიერთობა არაბებთან ისლამის პირველ საუკუნეში იწყება. ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნის ორმოციანი წლებიდან საუკუნეთა მანძილზე საქართველოს (ქართლის) მოსახლეობა უშუალო ურთიერთობაშია არაბებთან. „მუსლიმი მოსახლეობა თბილისში არაბთა გაბატონების შემდეგ გაჩნდა და გაიზარდა საამიროს შექმნასთან (VII საუკუნის 30-იანი წლები) ერთად. მუსლიმები განაგრძობდნენ თბილისში ცხოვრებას 1122 წლის შემდეგაც, როცა თბილისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი გახდა (ჯაფარიძე, 1989, 78). საუკუნეთა მანძილზე არაბებთან ერთად თანაცხოვრება და ენობრივი კონტაქტები არაბულენოვან, სპარსულენოვან და თურქულენოვან სამყაროსთან განაპირობებდა აღმოსავლური ლექსიკის დამკვიდრებას ქართულში.

სტატიაში წარმოდგენილია არაბული ფუძეებისაგან ქართული აფიქსებით ნაწარმოები (მე-ხარკ-ე, მე-ხარჯთაღრიცხვე-ე) სიტყვების ფონეტიკურ-სემანტიკური ანალიზი.

მე-ხარკ-ე ← **حار** (ĤarÁ): გამოსაღები, გადასახადი მიწაზე, რომელსაც იხდიან არამუსლიმანები (წერეთელი, 1951, 62). ზ.ფრენკელის ვარაუდით, **حار** (ĤarÁ) სპარსული წარმომავლობის სიტყვაა, რომელიც არამეულის გზით მოხვდა არაბულში (ფრენკელი, 1886, 283). ბ.ჯაგზი (ალ-მალრიბი, 1947, 128) და გ.წერეთელი მის ბერძნულ (χαρῶν) წარმომავლობაზე საუბრობენ (წერეთელი, 1951, 62); შდრ.: **მეხარკე** — ისტ. ხარკის ამკრეფი (საბა, 1991, 470). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **ხარკი** — გადასა-

ხადი, რომელსაც უცხო სახელმწიფოს უხდიან. დ. ჩუბინაშვილი საკვლევ ლექსემას **ხარკი/ხარჯი** პარალელური ფორმებით წარმოადგენს (ჩუბინაშვილი, 1984, 1724). **ხარაჯა/ხარკის** სინონიმებია: **გადასახადელი, გამოსაღები, ყალარი, ბეგარა, მოსაკრებელი, ბაჟი, მისაგებელი, დალა, თოჯი, მალი** (ნეიმანი, 1978, 540, 66). **ხარაჯა** „გადასახადის“ მნიშვნელობით დასტურდება **იმერულ** (გაჩეჩილაძე, 1976, 173) და **ჯავახურ** (ბერიძე, 1981, 174, მარტიროსოვი, 1984, 253) დიალექტებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ხარკი/ხარჯი** ფორმები არაბული წარმომავლობისად პირველად დ. ჩუბინაშვილმა მიიჩნია. **ხარაჯას** არაბულ ნასესხობად თვლის იუსტ. აბულაძეც (აბულაძე, 1916, 844).

სპარსულში **حار**-ს არაბულიდან ნასესხებად მიიჩნევენ ი.გულერსი (გულერსი, 1855, 669), მ. გაფაროვი (გაფაროვი, 1974, 286) და მ. მოინი (მოინი, 1996, 1407). თურქულ ენაში დადასტურებულ **haraç** სიტყვა არაბიზმად არის ჩათვლილი თურქულ-რუსულ ლექსიკონში (1977, 384).

სავარაუდოა, ქართულის ნიადაგზე **ხარჯ-** ფუძისგან წარმოიქმნა **ხარჯ** → **ხარგ-** → **ხარკ-** (სონორთან მეზობლად მუღერის გამკვეთრება); არ არის გამორიცხული **ხარგ-** ფორმა შემოსულიყო რომელიმე სხვა ენის გზითაც (ამ შემთხვევაშიც *ხარგ → ხარკ პროცესი ქართულშია სავარაუდო); შდრ.: ქართლური ფარდაგი → ფარდაკი, ბუნაგი → ბუნაკი, ჯავახური ამხანაგი → ამხანაკი, აჭარული გიტარა → კიტარა (ჯორბენაძე, 1998, 350).

ხარჯ ძირი არის წარმოდგენილი ტერმინში **მეხარჯთაღრიცხვე**.

მე-ხარჯთაღრიცხვე-ე ← **حار** (ĤarÁ): გასავალი, დანახარჯი; სახარჯო ფული; ულუფა, რაციონი, განკუთვნილი; ხარკი, გამოსაღები (ბარანოვი, 1989, 215); შდრ.: **მეხარჯთაღრიცხვე** — сметчик (ღამბაშიძე..., 1986, 228). ქართული ენის დიალექტებში **ხარჯი** სხვადასხვა მნიშვნელობით ფიქსირდება. **ქიზიყური**: ერბოს დახალასების შემდეგ ძირში დარჩენილი ჭუჭყი (მენტეშაშვილი, 1943, 254); **კახური**: სურსათ-სანოვაგე (მარტიროსოვი..., 1956, 185); **აჭარული**: 1. გასავალი; 2. სიკვდილი, გარდაცვალება (ნიჟარაძე, 1971, 179); **იმერული**: 1. ყოველგვარი გასავალი; 2. მიცვალებულის დასაფლავებამდე ჭირისუფლების საკვებად მეზობლებისაგან მიტანილი პურ-ღვინო; მიაქვთ რიგ-რიგობით (გაჩეჩილაძე, 1976, 174); **გულდამყარული, ფშაური, მთიულური, მოხეური, თუშური, ქართლური, ჯავახურ-**

რი: მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ცერემონიალი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს ან წლისთავზე, ქელები (გიგინეიშვილი..., 1961, 575; ცოცანიძე, 1978, 240; ბერიძე, 1981, 175; ბეროზაშვილი..., 1981, 513; შანიძე, 1984, 460; ხორნაული, 2000, 305; ცოცანიძე, 2002, 460).

როგორც ვხედავთ, ქართული ენის დიალექტებში **ხარჯ** სიტყვა სხვადასხვა სემანტიკითაა წარმოდგენილი. მნიშვნელობა საგრძნობლად არის დავიწროებული გუდამაყრულ, თუშურ, ჯავახურ, მთიულურ, მოხეურ, ფშაურ და იმერულ დიალექტებში. აქ იგი მხოლოდ განსაზღვრულ (მიცვალებულთან დაკავშირებულ) კონტექსტში იხმარება. მნიშვნელობამ გადაიწია ქიზიყურ დიალექტში. **ხარჯი**, როგორც წყარო ენაში, ისე აჭარულში, ძირითად მნიშვნელობას („გასავალი“) უცვლელად წარმოგვიდგენს. თუმცა მას გადატანითი მნიშვნელობაც აქვს: **დეიხარჯა** ნიშნავს „მოკვდა“, „გარდაიცვალა“: „ვგაი, თუ ვინმე თქვენთაგან თავის დღით დეიხარჯა“ (შდრ.: **ხევსურული** — „დანახარჯ თავი“ — მოკვდა (გაბუური, 1923-24, 322); ვაჟას მცირე ლექსიკონში **დეიხარჯება** — დაიღვება, დაიღუპება, თავს გაწირავს (ჭინჭარაული, 1969, 113); **დანახარჯვა** — თავის გაწირვა, ჯანის გაცვეთა, დაღუპვა (ხორნაული, 2000, 87). საინტერესოა ის ფაქტი, რომ „სიკვდილის“, „გარდაცვალების“ მნიშვნელობით არაბული წარმომავლობის ეს სიტყვა ფიქსირდება ი.გულერსის სპარსულ-ლათინურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში (გულერსი, 1855, 670). შესაძლოა, ეს მნიშვნელობა **დანახარჯა** ზმნამ ქართულში სპარსულის გავლენით შეიძინა; თუმცა არ არის გამორიცხული, ქართულ დიალექტებში აღნიშნული სემანტიკა დამოუკიდებლად განვითარებულიყო.

ლიტერატურა

იუსტ. აბულაძე, 1916 — შაკ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, თბ., 1916.

ბარანოვი, 1989 — X. K. Баранов, Арабско-русский словарь, М., 1989.

ბერიძე, 1981 — გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981,

ბეროზაშვილი..., 1981 — თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი,

ლ. ნოზაძე, ქართული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981.

გაბუური, 1923-24 — ხევსურული მასალები, ბ. გაბუურის მიერ შეკრებილი, პროფ. ა.შანიძის რედაქციითა და მის მიერვე შედგენილი ლექსიკონითურთ, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, I-II, თბ., 1923-24, 119-337.

გაფაროვი, 1974 — М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь, М. 1974.

გაჩეჩილაძე, 1976 — პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.

გიგინეიშვილი..., 1961 — ი. გიგინეიშვილი, ვ.თოფურია, ი.ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.

ვულერსი — I.Vullers. Lexicon Persico-Latinum Etymologicum, Bonnae ad Rhenum, T. I -1855, T. II -1864.

თურქულ-რუსული ლექსიკონი, 1977 — Турецко-русский словарь (Авторы: А.Н.Баскаков, Н.П.Голубаева, А.Л.Кямилава и др.), М., 1977.

მარტიროსოვი..., 1956 — ა.მარტიროსოვი, გრ.იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

ალ-მადრიბი, 1947 — كتاب الإستشاق و التعريب ، القاهرة ، ١٩٤٧ ، عبد القادر بن مصطفى المغربي

მენტეშაშვილი, 1943 — სტ.მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, ქართველურ ენათა ლექსიკა, II, თბ., 1943.

მოინი, 1996 — M.A.Mo'in, Persian Dictionary, Tehran, 1996.

ნეიმანი, 1978 — ა.ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.

ნიჟარაძე, 1971 — შ.ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათ., 1971.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, I, თბ., 1991, II, თბ., 1993.

ფრენკელი, 1886 — S.Fraenkel, Die aramäischen Fremdwörter im Arabischen, Lieden, 1886.

ღამბაშიძე,... 1986 — რ.ღამბაშიძე, რ.ღვალი, წარმოებების, საამქროების, პროფესიებისა და თანამდებობების დასახელებები, შეღავათიანი საპენსიო უზრუნველყოფა, თბ., 1986,

შანიძე, 1984 — ა.შანიძე, ქართული კილოები მთაში (თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1984.

ჩუბინაშვილი, 1984 — დ.ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა.შანიძემ, თბ., 1984.

ცოცანიძე, 1978 — გ.ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.

ცოცანიძე, 2002 — გ.ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ., 2002.

წერეთელი, 1951 — გ.წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951.

კინჭარაული, 1969 — ალ.კინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969.

ჭაფარიძე, 1990 — გ.ჭაფარიძე, მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII-XIV საუკუნეებში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1990, №1, 65-79.

ჭორბენაძე, 1998 — ბ.ჭორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია II, თბ., 1998.

ხორნაული, 2000 — გ.ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.

LELA AVALIANI

Formal and Semantic Analysis of the Words mexarḳe and mexarḳayricxve

Summary

The paper presents phonetic and semantic analysis of the Georgian words - mexarḳe mexarḳayricxve - that are formed from the Arabic stems by Georgian affixes. mexarḳe → ოარḲო - rent for land paid by non-Muslims.

Presumably, the hardening of the voiced consonant next to the sonorant xarḳ → xarg, xarḳ - occurred in Georgian. The form xarg may have been a borrowing from some other language and its change into xarḳ took place in Georgian.

mexarḳayricxve → meaning ოარḲ - expenditure, tax, ratio, portion.

The study has shown that the semantics of the word *xarḳ* varies from dialect to dialect. Its semantics is considerably narrowed in Gudamakarian, Tushian, Javakhetian, Mtiulian, Mokhebian, Pshavian and Imeretian. Whereas in Kiziq the meaning of the word in question is shifted.

ნუსტან აკოზია

„ოთხი უნარ-ჩვევა.“

ნებისმიერი უცხო ენის სწავლების კურსი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ოთხი უნარ-ჩვევის ტერმინით: ლაპარაკი, გასაგები მეტყველება ანუ მოსმენა, კითხვა და წერა.

ლაპარაკი და მოსმენა ენასთან დაკავშირებულნი არიან სმენის საშუალებით, კითხვა და წერა კი — მხედველობის საშუალებით. სხვა გზა ამ უნარ-ჩვევების გამოსახატავად არის მიმართება არა გამოხატვის საშუალებაზე, არამედ ენის გამოყენების შესაძლებლობაზე. აქედან გამომდინარე: ლაპარაკი და წერა აქტიური ანუ პროდუქტიული უნარ-ჩვევებია, ვინაიდან ადამიანი თავად ქმნის და გასცემს ინფორმაციას. მოსმენა და კითხვა კი პასიური ანუ აღსაქმელი (receptive) უნარ-ჩვევებია, ვინაიდან ადამიანი იღებს ინფორმაციას და გაიაზრებს მას.

ვიდოუსონი — ცნობილი ინგლისელი მკვლევარი ამ პირობით ცნებებს სქემით გამოხატავს:

	Productive /Active	Receptive / Passive
Aural Medium	Speaking	Listening
Visual Medium	Writing	Reading

ადამიანი ისმენს ან კითხულობს, როდესაც სურს, მიიღოს თავისთვის საჭირო ან საინტერესო ინფორმაცია და წერს ან ლაპარაკობს, როდესაც თავისი ან სხვისი სურვილისა თუ თხოვნის შესაბამისად უნდა გასცეს ან გადასცეს ინფორმაცია (მისთვის უკვე ნაცნობი) სხვებს. აქედან გამომდინარე, ოთხივე უნარ-ჩვევა მიზანმიმართული ქმედებაა.

მართალია, მოსმენისა თუ კითხვის დროს ადამიანი ჩუმადაა, მაგ-

რამ იგი ფიქრობს, აანალიზებს იმას, რაც მოისმინა და წაიკითხა. ამდენად, იგი აქტიურადაა ჩაბმული კომუნიკაციის პროცესში, ანუ კითხვისა და მოსმენის დროს ადამიანი სამეტყველო ენის მეშვეობით ცდილობს გაიგოს, რას "ეუბნებიან", ხოლო ლაპარაკისა და წერის დროს ადამიანი იმავე ენის მეშვეობით ცდილობს, გადასცეს ის, რისი თქმაც მას სურს. დონ ბირნი, ერთ-ერთი მკვლევარი ამ პროცესს ინფორმაციის ენის მეშვეობით კოდირება/დეკოდირებას უწოდებს.

ოთხივე უნარ-ჩვევა მიზანმიმართული ქმედებები და ის საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაცია ადამიანებს შორის ენის გამოყენებით. ახლა კი თითოეული მათგანი განვიხილოთ ცალ-ცალკე.

ლაპარაკის დროს ხორციელდება კომუნიკაცია ორ ან მეტ ინდივიდს შორის ზეპირი მეტყველების მეშვეობით. იმისათვის, რომ იმეტყველოს, ადამიანს სულ მცირე ლექსიკური მარაგი და გრამატიკის ცოდნა სჭირდება, ანუ მან უნდა იცოდეს, თუ როგორ მოიხმაროს მისთვის ნაცნობი ლექსიკა, როგორ აავსოს წინადადებები. ლაპარაკი პროდუქტიული უნარ-ჩვევაა და ყველა დანარჩენი უნარ-ჩვევის მსგავსად, გამიზნული და გააზრებული ქმედება. ლაპარაკის დროს ჩვენ ვაწვდით ჩვენთვის ნაცნობ ინფორმაციას მსმენელს ან მსმენელებს.

ლაპარაკის დროს ადამიანი სამეტყველოდ საკუთარი აზრის, გრძნობის, დამოკიდებულისა თუ სხვა გამოსახატავად მხოლოდ ლექსიკასა და გრამატიკას არ იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი უკანასკნელი მეტყველების აქტის ძირითადი კომპონენტებია, ასევე მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს საუბრის ტონს, ინტონაციას, მახვილს, მიმიკას, ექსტიკულაციას, მოძრაობასა და პაუზას.

თუ ლაპარაკზე ფიქრობენ, როგორც ისეთი გამოხატვის საშუალებაზე, რომელშიც ენის სისტემა გამომყვანდება სამეტყველო ორგანოების გამოყენებით, მაშინ სინამდვილეს ექვემდებარება ის ფაქტი, რომ ლაპარაკი არის შემეცნებითი, ვიდრე აღსაქმელი; სმენით, ვიდრე მხედველობითი.

ლაპარაკი, ვიდრე სმენის აზრით, არის პროდუქტიული ვიდრე აღქმითი და მოქმედებს ზეპირად, ვიდრე ვიზუალურად. მაგრამ თუ ვინმე ჩათვლის ლაპარაკს, როგორც საილუსტრაციო სარგებელს, ვიდრე ჩვევას, როგორც კომუნიკაციურ ენერგიას, მაშინ იქნება პროდუქტიულიც და აღქმითიც, სმენითიც და მხედველობითიც. ხელსაყრელი

იქნება ამ თვალსაზრისით აღინიშნოს ლაპარაკის ეს თავისებურება განსხვავებული ტერმინებით. ვიდრე სმენით ლაპარაკს მიმართავს ენის რეალიზაციას, როგორც გამოყენებას სალაპარაკო ურთიერთქმედებაში, როგორც საუბარს (**talking**). საუბარში ჩართულია ორივე — ზეპირი და ვიზუალური საშუალებები, მას შემდეგ რაც ის გახდა უნარი, რომელიც მოითხოვს ექსტიკულაციას, სახის გამომეტყველებას და სხვა პარალინგვისტურ მოვლენებს, შეიძლება ითქვას, რომ საუბარს აქვს შემეცნებითი როლი; როდესაც ერთი მონაწილე ურთიერთქმედებაში იღებს მოლაპარაკის აქტიურ როლს, მაშინ საუბრის ეს პროდუქტიული ასპექტი იქნება თქმა (**saying**). რა შეიძლება ითქვას საუბრის აღსაქმელ სახეობაზე? ამ თვალსაზრისით ვიდრე სმენით მხედველობაში იღებს იმ უნარს, რომელიც პირობითად მიეკუთვნება მოსმენას.

როდესაც ადამიანი ამბობს, რომ მან გაიგო სალაპარაკო ენის ნაწილი, ის გულისხმობს ორ რაღაცას: ან მან გაიგო ის, როგორც უნარი, ან ჩვეულება, ან მან გაიგო ის, როგორც გამოყენების საშუალება. ერთი მხრივ ადამიანი ცნობს, რომ ნიშნები მიღებული სმენის ორგანოს მიერ დაკავშირებული ფონოლოგიურ და გრამატიკულ სისტემასთან, ენასთან კავშირშია, რომ ისინი წინადადებებს ქმნიან და ადამიანს ესმის, რას ნიშნავს ეს წინადადებები, ამ სახის გაგებას ეწოდება სმენა (**hearing**).

იმისათვის, რომ ვაგიგოთ ენა, როგორც გამოყენების საშუალება, მეორეს მხრივ, ჩვენ უნდა შევიცნოთ იმ წინადადებების კომუნიკაციური ფუნქცია, რაც გვესმის, ჩვენ უნდა მივხვდეთ, თუ კომუნიკაციის რა საშუალებებს ახორციელებენ ისინი. სხვა სიტყვებით, ეს არის საუბრის აღსაქმელი ასპექტი, რომელსაც მოსმენა (**Listening**) ეწოდება.

მასასადამე, გაგება (**hearing**) არის ნიშნების შეცნობა, რომელიც გადაიცემა სმენის საშუალებით, იქნება წინადადებები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული მნიშვნელობა. მოსმენა (**listening**) კი არის შეცნობის ის საშუალება, თუ რა ფუნქცია აქვს წინადადებებს ურთიერთქმედებაში. კომუნიკაციურ ღირებულებას იძენენ, როგორც გამოყენების საშუალებანი. მოსმენა, ამ გაგებით არის თქმის აღსაქმელი სუბიექტი და ექვემდებარება, როგორც მხედველობით, ისე სმენით საშუალებებს.

ზემოაღნიშნულიდან გასაგებია, რომ რაიმეს თქმა (**saying**), უეჭველად მოიცავს სალაპარაკო წინადადებებს და იმის მოსმენა, რაც

ითქვა, მოიცავს გასაგებ წინადადებებს. მაგრამ საუბარი არ ნიშნავს იმას, რომ სმენითი საშუალება გამოვიყენოთ იმისათვის, რათა ვილაპარაკოთ. ადამიანმა შეიძლება დაილაპარაკოს წინადადება რაიმეს უთქმელად და შეიძლება გაიგოს წინადადება მისი კომუნიკაციური მნიშვნელობის მოსმენის გარეშე. ლაპარაკი არ შეიცავს თქმას და გაგებას და არ შეიცავს მოსმენას. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მიღებული თვალსაზრისიდან გამომდინარე ლაპარაკი და გაგება არიან განსხვავებული და დამოუკიდებელი ქმედებები, მაშინ როდესაც თქმა და მოსმენა არის სახეობა ერთი ქმედების, რომელსაც ჰქვია საუბარი (**talking**). ვიდოუსონი ამ განსხვავებულ უნარებს შემდეგნაირად წარმოადგენს:

	Productive	Receptive	
	Talking		
Aural Visual	Saying	Listening	Use
Aural	Speaking	Hearing	Usage

ახლა ჩვენი ყურადღება შეიძლება გადავიტანოთ იქნეს კითხვაზე და წერაზე. პირველი დაკვირვება, რომელიც შესაძლოა გაკეთდეს არის ის, რომ თქმა და მოსმენა არის საურთიერთო ასპექტები საუბრის ერთი ძირითადი მოქმედების; კითხვა და წერა კი არ შეიძლება ჩაითვალოს საურთიერთო ასპექტებად.

კითხვა და წერა არიან ტიპიურად განსხვავებული მოქმედებები. კითხვა შეიძლება ზუსტად დახასიათდეს, როგორც პროდუქტიული უნარი და წერა კი აღსაქმელი უნარი.

წერა თვითგამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა და ამასთან კომუნიკაციის საშუალებაა. წერას, წერის კულტურას და მის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც სწორედ წერის უნარ-ჩვევის მახასიათებლებითაა განპირობებული.

წერა არ არის ბუნებრივი ქმედება. ყველა ფიზიკურად და გონებრივად ნორმალური ადამიანი სწავლობს ამა თუ იმ ენაზე ლაპარაკს.

მაგრამ ზოგიერთს ჯერაც ესაჭიროება იმის სწავლა თუ როგორ წეროს. წერა, მეტყველებისგან განსხვავებით დროში გადაადგილდება. ე. ი. ნებისმიერ დროს შექმნილი ნაწერი შეიძლება შენახულ იქნას და წლების განმავლობაში არსებობდეს.

დაწერილი შეტყობინება შეიძლება მიიღონ, შეინახონ და უკან გადასცენ რომელიმე დროს.

ლაპარაკის შემთხვევაში, სამეტყველო ორგანოების მოძრაობანი გამოსცემენ ხმებს, რომლებიც ყურისთვისაა მისაღები, ხოლო წერის შემთხვევაში მკლავისა და თითების მოძრაობით იქმნება ნიშნები, რომლებიც თვალისთვისაა მისაღები. ეს ნიშნებია ასოები, რომლებიც განლაგებულია ჯგუფებში, რათა შექმნან სიტყვები, გრაფოლოგიური სისტემის თანახმად. ერთი გზა წერის არის მხედველობითი საშუალება, რათა გამომქვადნდეს ენის გრაფოლოგიური და გრამატიკული სისტემა.

რასაც ადამიანი წერს ის არ ნიშნავს იმას, რომ ის ქმნის წინადადებების თანმიმდევრობას. ის იყენებს წინადადებებს გაბმული მეტყველების შესაქმნელად და ყოველი წინადადება ატარებს განსაკუთრებულ ღირებულებას, როგორც ამ მეტყველების ნაწილი. ერთი გაგებით წერა არის მოქმედება სწორი წინადადების შექმნისა, რათა გადაიცეს ვიზუალურად, როგორც რაიმე ნიშნები ქალღმერთზე. ამას ვუწოდოთ მხოლოდ თხზვა (**composing**) და აღვნიშნოთ, რომ ის შეესაბამება ლაპარაკს სმენით საშუალებაში (**in the aural medium**). თუ კითხვას თვლიან აღსაქმელად, მაშინ წერა, როგორც გამოყენების საშუალება არის ნაწილობრივ აღსაქმელი.

მესამე უნარ-ჩვევა კითხვა, ადამიანის მიერ შექმნილი უნარ-ჩვევაა, რითაც მას შეუძლია ამოიცნოს დაწერილი ტექსტი. კაცობრიობის განვითარების მანძილზე სულ უფრო იზრდებოდა და იზრდება კითხვის როლი და ფუნქცია, რაც წასაკითხი მასალის ოდენობის ზრდითა და მრავალფეროვნებით არის განპირობებული. ეს კი ბუნებრივია, გავლენას ახდენს და აყალიბებს კითხვის ტექნიკას, სტილს.

კითხვა გამიზნული ქმედებაა და ადამიანისათვის მისი როლი და ფუნქცია უცვლელია იმისდა მიუხედავად, ტექსტს მშობლიურ ენაზე დაწერილს კითხულობს, თუ იმ უცხო ენაზე, რომლის შესწავლითაცაა დაინტერესებული.

ადამიანი კითხულობს ყველაფერს, რაც დაწერილია: მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის ნიმუშებს, ბროშურებს, განცხადებ-

ბებს, აბრებს და სხვა. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ რას ვკითხულობთ, უფრო ზუსტად კი, რა მიზნით, კითხვის ტექნიკა სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს.

რონალდ ვ. უაიტი სტატიაში „კითხვა“ 18 განიხილავს კითხვის 4 ტექნიკურ ხერხს:

1. გადახედვა (**skimming**) — ტექსტისთვის სწრაფად თვალის გადავლება, იმის გასაგებად, თუ რაზეა ტექსტი, ე. ი. მისი ძირითადი აზრის ამოცნობა;
2. გადათვალიერება (**scanning**) — ტექსტში საჭირო ინფორმაციის მოძებნა;
3. შემეცნებითი კითხვა (**receptive reading**) — ტექსტის ყურადღებით წაკითხვა და ავტორის აზრის გაგება;
4. განსჯითი კითხვა (**responsive reading**) ტექსტის წაკითხვა და მასზე საკუთარი აზრისა თუ დამოკიდებულების გამოხატვა.

კითხვის პირველსა და მეორე ხერხს „ნორმალურს“ ვერ უწოდებს ავტორი, თუმცა ზოგჯერ ადამიანიც სწორედ ასე კითხულობს.

ვიდიუსონი კითხვის შემეცნებითობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. იგი აღნიშნავს, რომ კითხვა განეკუთვნება იმ უნარ-ჩვევას, რომელიც მიმართულია წინადადებათა მნიშვნელობაზე ან იმ ღირებულებაზე, რომელსაც ისინი კომუნიკაციის გამოყენებაზე იღებენ. ეს იგივეა, რომ ითქვას, კითხვა შესაძლოა მიეკუთვნება უნარს, რათა შეიცნოს წინადადებები და მათი მნიშვნელობები, როგორც ლინგვისტური ელემენტები ან მიეკუთვნება იმ უნარს, რათა შეიცნოს თუ რა ფუნქცია აქვთ ამ წინადადებებს, როგორც მეტყველების ნაწილებს (**parts of discourse**).

პირველი უნარი არის შემეცნებითი ანალოგი თხზვის (**composing**) და ვიზუალური ანალოგი გაგების (**hearing**).

ვიდიუსონი ამ უნარს უწოდებს ალქმას, გაგებას, მიხვედრას (**comprehending**). ალქმა ამ გაგებით არის უნარი, რომელიც შეიცნობს წინადადებებს, გამომჟღავნებულს მხედველობითი საშუალებით და უკავშირებს მათ თავიანთ სწორ მნიშვნელობებს. ის შეიძლება დავუკავშიროთ გაგებას (**hearing**) სმენით საშუალებაში.

კითხვა, როგორც საუბრის გაგების საშუალება, შეიცავს არა მარტო სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობების შეცნობას, არამედ იმ ღირებულებასაც, რომელსაც ის იღებს როგორც საუბრის

ელემენტებს, სიტყვებისა და წინადადებების ურთიერთკავშირში.

კითხვისა და წერის უნარ-ჩვევები შეიძლება ითქვას, რომ ერთი და იგივენი არიან და გაურკვეველია, რომელს შეიძლება მივაკუთვნოთ, წარმოებას თუ ალქმას (**production or reception**).

არსებითად კითხვის უნარი შესაძლებლობას იძლევა, საუბარი იმ საშუალებებისგან წარმოიშვას, რომლებიც მნიშვნელოვანნი არიან ენის სისტემაში. სხვა პირობითი სიმბოლოებიდან კითხვის ამ უნარს ვიდიუსონი თარგმნას (**interpreting**) უწოდებს.

თარგმნა არის უნარი ვიზუალურ საშუალებაში, რომელიც შეესაბამება საუბარს სმენით საშუალებაში, იმ განსხვავებით, რომ საუბრისა და მოსმენის დროს ნათლად ჩანს აღსაქმელი ასპექტები. აქედან გამომდინარე თქმა და მოსმენა საურთიერთო საშუალებებია, მაშინ როდესაც წერა და კითხვა არა საურთიერთო საშუალებებია.

მეოთხე უნარ-ჩვევა, რომელზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება არის მოსმენა (**listening**). მოსმენის დროს ადამიანი ცდილობს, ყურადღება მიაქციოს მოსაუბრეს და გაიგოს და ამოიცნოს იმის მნიშვნელობა, რაც ესმის, ანუ რაც მოისმინა. გაგონილის სწორად გააზრებისათვის კი იმ ენის ფონეტიკის, გრამატიკის და ა.შ. ცოდნაა საჭირო. აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორი ინტონაციით წარმოითქმის გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვის მქონე სიტყვები და წინადადებები, სიტყვების თუ წინადადებების მახვილები, პაუზები და მათ შესამოკლებლად თუ ამოსავსებად ხმარებული სიტყვები, ბგერათშეთანხმებანი და სხვა. ისევე, როგორც კითხვა, მოსმენაც აღსაქმელი უნარ-ჩვევაა, მაგრამ მისი გავარჯიშება კიდევ უფრო მეტ მეცადინეობას მოითხოვს. კითხვის დროს ტექსტს ვხედავთ და ისე ვცდილობთ მისი შინაარსის ამოცნობას, მოსმენისას კი, პირველ რიგში, სწორად უნდა გავიგონოთ ნათქვამი და მერე ამოვიცნოთ.

მოსმენის უნარი ადვილად და მარტივად უვითარდება ადამიანს, როცა საქმე მშობლიურ ენას ეხება, მაგრამ იმავე უნარ-ჩვევის განვითარება ხშირად პრობლემად იქცევა ხოლმე უცხო ენის შესწავლისას.

ანდერსონი და ლინჩი თავიანთ წიგნში მოსმენის შესახებ განსხვავებენ ერთმანეთისგან საურთიერთო და არასაურთიერთო მოსმენას.

საურთიერთო მოსმენა მიუთითებს მოსმენის იმ ამოცანებზე, სა-

დაც არის შესაძლებლობა, რომ მსმენელმა მოლაპარაკესთან ერთად გაიმეოროს აღნიშნული ტექსტი.

არასაუბრითი მოსმენა მიუთითებს მოსმენის იმ ამოცანებზე, როგორებიცაა რადიო ან ლექსი, სადაც ინფორმაციის გადაცემა ხდება ერთი მიმართულებით — და მოლაპარაკიდან მსმენელზე. მოსმენის დაუფლებაში დიდი როლი მიუძღვის მასწავლებელს.

მასწავლებლებმა უნდა ასწავლონ თავიანთ სტუდენტებს როგორ

- განსაზღვრონ თუ რაზეა დიალოგი,
- დაადგინონ ვინ საუბრობს და ვის ესაუბრება,
- შეიცნონ ხასიათი და მოლაპარაკის დამოკიდებულება (მაგ: გაბრაზებული მშობელი და ა. შ.).

თუ სტუდენტი რადიოთი ისმენს საუბარს ან რაიმე ინფორმაციას, მას უნდა შეეძლოს იმის გაგება, თუ სად საუბრობენ (სავალდყოფოში თუ სხვაგან), როდის მიმდინარეობს საუბარი (ფეხბურთის მატჩის შემდეგ თუ საქმიანი შეხვედრის წინ).

სტუდენტმა ამასთანავე უნდა იცოდეს:

- როგორ შეიცნოს მახვილი,
- შეიცნოს გარდამავალი სიტყვები (**transition words**) (მაგ: **although, for instance, but, for example...**)

ახლა კი გადავიდეთ ყველაზე მთავარზე, როგორ უნდა შეადგინოს მასწავლებელმა გაკვეთილის გეგმა თავისი კლასისთვის და გაკვეთილის განმავლობაში რა როლი აკისრია მასწავლებელს.

თავდაპირველად, გაკვეთილის დაწყებამდე, მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს მოსასმენი ტექსტი. მასწავლებლისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მოსასმენი ტექსტი ჰქონდეს მოსმენილი და არა წაკითხული. თუ მასწავლებელი მხოლოდ დაწერილ ტექსტს წაიკითხავს, მაშინ როცა იგი კლასის წინაშე წარდგება აღმოაჩენს, რომ ჩანაწერი (**recording**) არ არის მისთვის გასაგები და სტუდენტებიც ვერც ერთ სავარჯიშოს გაკეთებას ვერ შეძლებენ. უფრო მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოისმინოს ტექსტი და თვითონ შეადგინოს სავარჯიშოები.

გაკვეთილზე მასწავლებელი უნდა იდგეს უკან და სტუდენტებს მისცეს მოფიქრების საშუალება. ბევრი მასწავლებელი სტუდენტს არ აცდის მოფიქრებას და თვითონ ერევა მის პასუხში. მასწავლებელმა თვითონ კი არ უნდა დაასწროს სტუდენტს პასუხი, არამედ უნდა

აცადოს მოფიქრება და შემდეგ შეუსწოროს ნათქვამი, პასუხი თუ შესწორების საჭიროებას დაინახავს.

ახლა კი მინდა ჩამოვთვალო ის ძირითადი მოთხოვნები, რაც მასწავლებელმა უნდა გააკეთოს გაკვეთილის მიმდინარეობისას.

a) მასწავლებელმა უნდა აღმოუჩინოს სტუდენტს დახმარება თუ მას სჭირდება.

b) მასწავლებელმა უნდა მისცეს სტუდენტებს ერთმანეთის დახმარებისა უფლება, ისე, რომ სავარჯიშო წარმატებულად შესრულდეს და არა ისე, რომ შესწორებას საჭიროებდეს.

c) ნება მისცეს სტუდენტებს შეცვალონ პასუხები თუ ისურვებენ, მეორე მოსმენის შემდეგ.

d) ნება მისცეს სტუდენტებს მოსმენის დროს ჩაინიშნონ უცხო სიტყვები.

e) შესთავაზოს სტუდენტებს ლექსიკონის გამოყენება.

f) ჯგუფურად ამუშაოს სტუდენტები. ჯგუფური მუშაობა მართობისა და გაღიზიანების შეგრძნებას ცვლის და მოსმენას სასიამოვნო მოქმედებად ხდის.

g) შეაფასოს სტუდენტთა მუშაობა.

სტუდენტებს უყვართ, იცოდნენ, როგორ კარგად შეასრულეს მათ თავიანთი სავარჯიშო. ისინი ხშირად ხელახლა უსმენენ ტექსტს, რათა უფრო კარგად შეისწავლონ ის.

მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს მოსმენის გაკვეთილი, რომ ის არ იყოს მოსაწყენი სტუდენტისათვის. მოსასმენად უნდა შეარჩიოს მასალა ისეთი მასალა, რაც დაინტერესებს სტუდენტს. არასაინტერესო მასალის შემთხვევაში, სტუდენტი შეეცდება გააცდინოს გაკვეთილი, რაც მას დაბრკოლებას შეუქმნის.

და ბოლოს, უცხო ენის შესწავლის მსურველმა უნდა იცოდეს, რომ ენის შესწავლა განპირობებულია ოთხი უნარ-ჩვევის დაუფლებით. სტატიაც მოწმობს ამ ფაქტს. ყველანაირად შევეცადე, რომ სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი წიგნებიდან დიდი რაოდენობით ინფორმაცია ამომეკრიბა, რათა სტატია უფრო სრულყოფილი ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ეს ოთხი უნარ-ჩვევა — ლაპარაკი, წერა, კითხვა და მოსმენა ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია. ისინი მიზანმიმართული ქმედებები და ის საშუალებებია, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაცია ადამიანებს შორის.

თითოეულ მათგანს გარკვეული წილი მიუძღვის ენის სრულფა-

სოვნად დაუფლებაში. მაგ: მოსმენის გარეშე ლაპარაკი დაუხვეწავი იქნება; კითხვის გარეშე ლექსიკის სიმწირეს განვიცდით, წერა ინფორმაციის გადაცემის საუკეთესო საშუალებაა; დაწერილის მეშვეობით ნებისმიერ დროში დაბრუნება შეიძლება. ლაპარაკის დროს კი აღამიანებს შორის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ხდება.

ლიტერატურა

ანდერვუდი, 1990 — Underwood Mary — "Teaching Listening", Oxford University Press, 1990.

ბაიგეთი, 1987 — Bygate M. John — "Speaking", Oxford University Press, 1987

ვიდოუსონი, 1978 — Widdowson. H.G. — "Teaching Language as communication", Oxford University Press, 1978.

კუკი, 1991 — Cook Vivian — Sekond Language Learning and Language Teaching published in Great Britain, 1991.

ლითლვუდი, 1981 — Littlewood. W. - Communicative Language Teaching, Cambridge University Press, 1981.

ნუნანი, 1989 — Nunan. D — Designing Tasks for the communicative classroom, Cambridge University Press, 1989.

ფილდ, 1998 — Field John - Skills strategies: Toward a new methodology for listening — ELT Journal, volume 52/2 April, 1998.

ხომერიკი, 1999 — მ. ხომერიკი, „როგორ ვასწავლოთ ინგლისურში“, საქართველო-ლოს მაცნე, თბილისი, 1999.

NESTAN AKOBIA

Four Skills

Summary

The paper focuses on the importance of the four skills - listening, writing, reading and speaking - for teaching any foreign language. Each of the skills is analyzed separately as well as in connection to the others. It is stressed that the skills in question are efficient only in interconnection.

ანთროპონიმთა კნინობით-ალმესობითი ფორმები მებრულში

მოფერებით-კნინობითი ჰქვია ისეთ წარმოქმნილ სიტყვებს, რომლებიც თავიანთი ძირეული ფორმით გადმოცემულ საგანს დამცირებით ან მოფერებით აღნიშნავენ.

სალიტერატურო ენაში მათ საწარმოებლად იხმარება: -ილ, -იკლიკო, -უკა, -უნა, -ა სუფიქსები.

ქართული -ილ, ა. შანიძის დაკვირვებით, უკავშირდება სვანურ მაკნინებელ -ილ-ს და მისი ფონეტიკური ვარიანტია -ელ-ა. -ელ-ა საკუთარ სახელთა დამცირებითს ფორმებს აწარმოებს: კაცია — კაციელა, გიორგი — გიორგელა (შანიძე, 1953, 123).

-იკო სუფიქსი წარმოშობით წოდებითი ბრუნვის ფორმა ყოფილა, მაგრამ ამჟამად მკაფიოდ გამოკვეთილი დერივატია, მაწარმოებელი სააღერსო ფორმებისა: ა) საკუთარ სახელთა ფუძეებისგან: თამარ — თამრიკო... ბ) საზოგადო სახელთა ფუძეებისგან: დედა — დედიკო.

-უკა წარმოშობით რაჭული მაკნინებელი სუფიქსია და სალიტერატურო ენაში იშვიათად იხმარება.

-უნა მოფერებით-დამცირებით ფორმებს აწარმოებს სახელთა გარკვეული ფუძეებისგან: ბიჭი — ბიჭუნა.

-ა დერივატი დამცირებით (კნინობით) ფორმებს აწარმოებს საკუთარ და საზოგადო სახელთა ფუძეებისგან.

კნინობით სახელებს მებრულ-ლაზურში აწარმოებს შემდეგი სუფიქსები: -ა, -ი-ა, -ელ-ა, -იკა, -ინა, -ეწა, -იწა, -უტა, -იკ-ინა.

სუფიქსი -ა საერთო ქართულ-ზანური წარმომავლობისა ჩანს. მებრულში მას შემდეგი ფუნქცია აქვს: 1) საკუთარ სახელთაგან აწარმოებს მოფერებით-კნინობით ფორმებს: გერგე — გერგა, დავით — დავითა, თედორე — თედორა, პეტრე — პეტრა. 2) საზოგადო სახელთაგან აწარმოებს პირსახელებს, რომელნიც იმავდროულად მსგავ-

ფატიმა ახალაია

სებასაც გამოხატავდნენ: გვაჯი (მოფერებითი მიმართვის ფორმა) > გვაჯა, კოჩი „კაცი“ > კოჩა (ცხადაია, 2000, 25).

თ. უთურგაიძე „ქართული ენის სახელის მორფონოლოგიურ ანალიზში“ აღნიშნავს, რომ ანთროპონიმთა ფუძეების ბოლოს გაჩენილ ა ხმოვანს უკავშირებენ კნინობითობას, „მაგრამ გრიგოლა || გირგოლა || გრიგოლე || გიგოლე || გოგოლა, სიმონა, ანტონა, არსენა, არჩილა... ანთროპონიმები დღეს აღარ ატარებენ კნინობის შინაარსსა და ელფერს ქართულ კილოებში. როგორც სხვა ანთროპონიმთა ფუძეების ბოლოს სხვა პირობებში გაჩენილი /ი/, /ო/, /ე/ ხმოვნები თავდაპირველად რაღაც ფუნქციით იყვნენ აღჭურვილი და შემდეგდა გახდნენ უფუნქციო და შეერწყნენ სახელთა ფუძეს „რიგით“ შემადგენლად, ასევე წარმოქმნის -ა ელემენტის ჩამოთვლილ სახელებშიც და ბევრ სხვაშიც ფუძის რიგითი კონსტიტუენტი. ეს განაპირობა იმან, რომ ხმოვნით დაბოლოება უპასუხებს ფუძეთა მორფოლოგიკურ მოთხოვნას (უთურგაიძე, 1986, 104)“.

მეგრული საზოგადო და საკუთარი სახელების -ია დაბოლოება რთულ სუფიქსად ჩათვალა და თითოეულ კომპონენტს ფუნქცია გამოუნახა ი. ყიფშიძემ. მისი აზრით, -ა კნინობითი და მოფერებითი სახელების მაწარმოებელია, ხოლო -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი, რომელიც შემოინახა ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელებში სწორედ ამ -ა სუფიქსის წინ: ბაბა-ი-ა, ნან-ი-ა, ჩელა-ი-ა, ორტვინი-ა, თამური-ა (ყიფშიძე, 1994, 77, 177).

ჩვენ მიერ ამოკრებილ მასალაში, რომელიც ეყრდნობა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ 1847-1848 წლების საკომლო აღწერის მონაცემებს, წარმოდგენილ პირის სახელთა უმრავლესობას ეწარმოება კნინობით-ალერსობითი ფორმები, რომელთა საწარმოებლად გამოყენებულია შემდეგი სუფიქსები: -ა, -ია, -იკა, -იკია, -ელა, -იტ-ელა, -იტა, -ან-ა, -უნა, -იჩა, -ე.

-ა: აფრასუს-ა (ზსიემ, 1847, 89), ბაკურ-ა (ზსიემ, 1817, 72), ბათურ-ა (ზსიემ, 1847, 62), ბოშ-ა (ზსიემ, 1847, 55) „ბიჭა“, გულ-ა (ზსიემ, 1847, 94), გერ-ა (ზსიემ, 1847, 52) „მგელა“, გლახუ-ა (ზსიემ, 1847, 801), გარსავან-ა (ზსიემ, 1847, 330), იოსებ-ა (ზსიემ, 1847, 1088), იოთამ-ა (ზსიემ, 1847, 152), როდამ-ა (ზსიემ, 1847, 405).

-ი-ა: ბეკო-ი-ა (ზსიემ, 1847, 1800), ბიჭ-ი-ა (ზსიემ, 1847, 101), ბებუ-ი-ა (ზსიემ, 1847, 1501), დარიჯ-ი-ა (ზსიემ, 1847, 1865), თინათ-ი-ა (ზსიემ, 1847, 1863), ნასყიდ-ი-ა (ზსიემ, 1847, 1695).

ხშირად ვხვდებით კუთვნილებითი ფორმის მქონე -ა მაწარმოებლიან ანთროპონიმებს, როგორცაა:

ბაბაშ-ი-ა (ზსიემ, 1847, 51) „მამისა“,
გურიშ-ი-ა (ზსიემ, 1847, 222) „გულისა“,
მარტიშ-ი-ა (ზსიემ, 1847, 2210) „მარტისა“,
სქვამიშ-ი-ა (ზსიემ, 1847, 2253) „ლამაზისა“.

საგულისხმოა, რომ ანთროპონიმთა კნინობით-მოფერებითი ფორმები ქართული სამწერლობო ენის ადრინდელ ძეგლებშივე იჩენს თავს. ძველ ქართულ წყაროებში დასტურდება რამდენიმე საკუთარი სახელი, რომლებიც ნაწარმოები არიან კნინობითობის -ა სუფიქსით: ძნელ-ა. გუდ-ა, კახ-ა, კუპრ-ა და სხვ. (სარჯველაძე, 1982, 73).

ნ. მოშიაშვილი ფიქრობს, რომ ბოლნისის სიონის აღმოსავლეთ კედელზე უნდა წავიკითხოთ ძნელა საკუთარი სახელი (ქართული წარწერების კორპუსი, 1980, 75). თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ V საუკუნის დასასრულს უკვე გვექონია -ა კნინობითის მაწარმოებლიანი საკუთარი სახელი (სარჯველაძე, 1982, 75) და ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აქვე ფიქსირდება - სახელობითის ბრუნვის ნიშნიანი ანთროპონიმიც.

XV-XVIII საუკუნეების ისტორიულ საბუთებში არამ მარტიროსოვმა დაადასტურა არაერთი კნინობით-მოფერებითი ფორმა: ავთანდილა, ნიკოლოზა, დათუა, ქიტუა, ივანელა, როსტომელა და სხვ. (მარტიროსოვი, 1953, 259).

კნინობით სახელებს ვხვდებით XI-XVI სს. სიველ-გუჯრებშიც. „ტბეთის მათიანეში“ ვხვდებით ივანა ტბ. ს.მ., 5005, 93), ბექია (ტ.ს.მ., 10), პეპია (იქვე, 79) და სხვ. (რიყვაძე, 2005, 31).

-იკა სუფიქსიანი ანთროპონიმებია:

ადამ-იკა (ზსიემ, 1847, 1852), იეს-იკა (ზსიემ, 1847, 1995), ტარ-იკა (ზსიემ, 1847, 1715), შედან-იკა (ზსიემ, 1847, 1678). შედან გავრცელებული პირსახელია ძველ საქართველოში: 1578 წლის საბუთში დასახელებულია შედანა აბუდალაძე (ცხადაია, 2000, 1470).

- იკია: ბერ-იკ-ია (ზსიემ, 1847, 1676), ღობ-იკ-ია (ზსიემ, 1847, 286), შოშ-იკ-ია (ზსიემ, 1847, 300), ჩაჩ-იკ-ია (ზსიემ, 1847, 468).
- ელა: იეს-ელა (ზსიემ, 1847, 40), კაჭუ-ელა (ზსიემ, 1847, 332), ხუხუ-ელა (ზსიემ, 1847, 345) || ხუხუ-ლ-ა (იქვე), ფუთ-ელა (< ფუთუ-ელა) (ზსიემ, 1847, 2103), ციტ-ელა (< ციტუ-ელა) (ზსიემ, 1847, 1272).
- იტა: ბიტ-იტა (ზსიემ, 1848, 110), გიორგ-იტა (ზსიემ, 1848, 311), შაქარ-იტა (ზსიემ, 1848, 129).
- უნა: ბად-უნა (ზსიემ, 1847, 122), გუდ-უნა (ზსიემ, 1847, 175), უტ-უნა (ზსიემ, 1847, 108).
- იჩა: ბაკ-იჩა (ზსიემ, 1847, 1330), ლომ-იჩა (ზსიემ, 1847, 393), მიქელ-იჩა (ზსიემ, 1847, 1181), მამუკ-იჩა (ზსიემ, 1847, 733).
- ე: გერიე (ზსიემ, 1847, 1371), მეთოთ-ე (|| მეთოდი) (ზსიემ, 1847, 1288), ხვიჩი-ე (ზსიემ, 1847, 363).

აქვე გამოვყოფთ ანთროპონიმთა მოკლე ფორმებს, რომელთაც ფუძე ეცვლება მეორე ხმოვან ფონემამდე, ან თანხმოვნით დაბოლოებული პირველ მარცვალზე. მარცვალს შეიძლება დაერთოს ო ან უფორმანტი. ასეთი პირთა სახელებია:

- ბაკუ (ზსიემ, 1847, 76), ბოხუ (ზსიემ, 1847, 109),
- გაბუ (ზსიემ, 1847, 586), გრიგო (ზსიემ, 1847, 146),
- დათი (ზსიემ, 1847, 600), ვახუ (ზსიემ, 1847, 67),
- ვახთა (ზსიემ, 1847, 65), ვატა (ზსიემ, 1847, 300),
- დათუ (ზსიემ, 1847, 109), თამა (ზსიემ, 1847, 272),
- თაჩა (ზსიემ, 1847, 288), თეო (ზსიემ, 1847, 283),
- ივლო (ზსიემ, 1847, 129), ლევა (ზსიემ, 1847, 808),
- ლუხუ (ზსიემ, 1847, 80), მახუ (ზსიემ, 1847, 2262),
- მატუ (ზსიემ, 1847, 80), ნიტუ (ზსიემ, 1847, 83),
- ოტი (ზსიემ, 1847, 60), პაპი (ზსიემ, 1847, 61),
- როდა (ზსიემ, 1847, 80), სილო (ზსიემ, 1847, 289),
- ხუტუ (ზსიემ, 1847, 830).

ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ექსპრესიულ (ემოციურ-შეფასებით) საკუთარ სახელს კვალიტატივსაც უწოდებენ. კვალიტატიური პირსახელი შეიძლება წარმოიქმნას სახელის სრული ან შემოკლებული ფუძისაგან (შდრ. დავით — დავითა — დათია). ამას-

თანავე, შეფასების სუბიექტურობა ვლინდება კონტექსტის მიხედვით და ყოველთვის არაა დამოკიდებული აფიქსებზე. კვალიტატიური პირსახელები სემანტიკური თვალსაზრისით გამოხატავენ აუტენტირობას (გაზვიადებულობას, მაგალითად, რუსულში ივანიშჩე, ვარვარიშჩა...), დემინუტიურობას (მოფერება-კნინობითობას, მაგ., რუსულში: ვასენკა, სანჩკა) და პეიორატიულობას (დამცირება-კნინობითობას, მაგ., რუსულში: დუნიაშკა, სეროშკა) (ცხადაია, 2000, 17).

ლაზურში პირის საკუთარი სახელის მოფერებითი ფორმა გადმოიცემა აპელატივის დეზინტეგრაციით, რაც უპირატესად ნასესხებ საკუთარ სახელებში დასტურდება. იბრაჰიმი-ს დეზინტეგრაციით გვაქვს იბა (უნდა გვქონოდა იბრა), სადაც აუსლაუტური -ა მაკნინებელი სუფიქსია (ლლონტი, 1986, 28).

ქართულ სინამდვილეში პირსახელისაგან წარმოქმნილი კნინობით-მოფერებითი და კნინობით-დამცირებითი სახელები ფორმით (გამოხატვის პლანი) არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მათს ემოციურ ელფერს (შინაარსის პლანი) განსაზღვრავს სიტუაცია, კონტექსტი.

ლიტერატურა

ზსიემ, 1847 — ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დოკ. 7504, 1847, დავთარი.

ზსიემ, 1848 — ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, დოკ. 8347, 1848, დავთარი.

რიყვაძე, 2005 — მ. რიყვაძე, საკუთარი სახელი საშუალო ქართულში (სულთა მათიანეებისა და სიგელ-გუჯრების მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2005.

სარჯველაძე, 1982 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა ქართველურ ანთროპონიმისა და ტოპონიმის შესწავლისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, თბ., 1982.

უთურგაძე, 1986 — თ. უთურგაძე, ქართული ენის სახელის მორფოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

ღლონტი, 1986 — ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

ყიფშიძე, 1991 — ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1991.

შანიძე, 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.

ცხადაია, 2000 — პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.

მარინა ბერსანაძე

ინგლისური მოდალური ზმნის „must“ ბრამატიკულ- სემანტიკური შესატყვისები ქართულში

PATIMA AKHALAYA

Diminutive Forms and Forms of Endearment in Megrelian Anthroponyms

Summary

In Megrelian and Laz diminutives are formed by means of the following suffixes: -a, -i-a, -cl-a, -iḳa, -ina, -cḳa, -iḳa, uḳa, -iḳ, -ina.

The study of the census of 1847-1849 (the census data is preserved at Zugdidi State Historical-Ethnographic Museum) has shown that most of the names have diminutive forms.

The following diminutive suffixes were encountered -a, -ia, -iḳa, -iḳia, -ela, -iḳ-cla, -iḳa, -an-a, -una, -iḳa, - .

It has been observed that in the short forms of anthroponyms the stem changes either before the second vowel or in the first syllable ending with a consonant. A syllable may take the formants o or u.

In Megrelian Christian names the forms of endearment and diminutives are identical in form, their emotional meanings are contextually conditioned.

ინგლისური მოდალური ზმნები can (could), may (might), must, ought to, need, shall, will, used to, should, would, used to, dare, have (got) to, be to ქმნიან ზმნათა პატარა ჯგუფს. ისინი შინაარსით გამოხატავენ არა მოქმედებას, არამედ მოქმედებისადმი მიმართებას, კერძოდ, ვარაუდს, ეჭვს, ვალდებულებას, აუცილებლობას. ეს ზმნები ერთ დროს ძირითადი (notional) ზმნები იყვნენ. ამჟამად ისინი დამოუკიდებლად არ გამოხატავენ მოქმედებას და წინადადებაში გვევლინებიან ინფინტივთან კავშირში, მასთან ერთად ქმნიან შედგენილ ზმნურ მოდალურ შემასმენელს (compound verbal modal predicate). ამათგან ვალდებულება/აუცილებლობის შინაარსს ინგლისურში გამოხატავენ შემდეგი მოდალური ზმნები: must, to have to, to be to, ought to, need. მათგან ქვემოთ განვიხილავთ მხოლოდ „must“-ს.

ქართულში შესაბამისი მოდალობის გადმოცემის საშუალებებია: კილოს კატეგორია, მოდალური ზმნები, მოდალური სიტყვები (კოტინოვი, 1986).

მოცემული ნაშრომი ეხება მოდალური ზმნების გამოხატვის საშუალებებს ინგლისურ-ქართული მასალის შეპირისპირების მაგალითზე.

ნაშრომში გამოყენებულია ა. კრისტის დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებები. ეს ჟანრი გამოირჩევა ძლიერი ემოციური ფონით, რაც განაპირობებს მოდალური ზმნების გამოყენების სიხშირეს.

მოდალური ზმნის „must“ ძირითადი სემანტიკური მნიშვნელობებია: იძულება (compulsion), ვალდებულება (obligation), აუცილებლობა (necessity), ბრძანება (command), ემფატიკური რჩევა (emphatic advice), აკრძალვა (prohibition), მოწვევა (invitation) და ა. შ.

ფორმალურად „must“-ის შემცველი კონსტრუქცია შეიძლება იყოს: 1. must+simple infinitive და 2. must+perfect infinitive.

must+simple infinitive-ის ფორმა გამოხატავს როგორც ახლანდელ, ისე მომავალ და წარსულ დროებს. სემანტიკურად იგი გადმოსცემს: ვალდებულებას/აუცილებლობას, იძულებას, ბრძანებას, ან ემფატიკურ რჩევას, რაღაცის ლოგიკურ ახსნას, ვარაუდს, დარწმუნებულობას.

როდესაც „must+simple infinitive“ ის ფორმა მომავლის მნიშვნელობას გამოხატავს, ქართულ ენაში შესაბამისი შინაარსი გადმოცემულია მოდალური უნდა + II კავშირებითის ფორმებით, ზოგჯერ ლექსიკური (არამარკირებული) საშუალებებითაც. სახელდობრ,

პირადი ვალდებულება/აუცილებლობა:

„I can not come with you now, Anthony. Ruth and I must settle things“

„მე ვერ წამოვალ შენთან ერთად, ენტონი. რუთს უნდა მოველაპარაკო ყველაფერზე“.

იძულება (აღიარება)

„No, and I must say that the fact of cyanide having been used rather rules that possibility“

„არა უნდა ვაღიარო, რომ ციანიდის ხმარება ასეთ შესაძლებლობას გამოიწვევს“.

თხოვნა/მოთხოვნა

„You must forgive my acting without consulting you, Philip, - she said“

— „უნდა მაპატიო, რომ არ შეგითანხმდი, ფილიპ — უთხრა ქალიშვილმა“.

— she must think - go back - remember. Rosemary, that's for remembrance. There was to be no oblivion.

„მან უნდა იფიქროს, ჩაუღრმავდეს წარსულს, გაიხსენოს როზმარის ხსოვნის პატივსაცემად, უარი დავიწყებას“.

ბრძანება /თხოვნა/ მოთხოვნა ერთმანეთთან დაკავშირებული სემანტიკური მნიშვნელობებია. ნიუანსები კარგად ჩანს ზეპირ მეტყველებაში, სადაც ამის დადგენა ინტონაციის საშუალებით შეიძლება. მათი ზუსტი გამიჯვნა წერილობით ტექსტებში უმეტეს შემთხვევაში ფართო კონტექსტის გარჩევით ხდება შესაძლებელი.

გაფრთხილება:

„You must be careful. Very very careful“.

„ფრთხილად უნდა იყოს, ძალიან ფრთხილად“.

„must“ მომავლის მნიშვნელობით ვარაუდს აღნიშნავს.

„If one woman felt like that about him, another woman might also. Yes, it must be Stephen Farraday“.

— „თუკი მას შეუძლია ასეთი ძლიერ გრძნობები გამოიწვიოს ერთ ქალში, რატომ არ შეიძლება ისინი მეორე ქალსაც აღუძრას? დიახ, ეს სტივენ ფარადეი უნდა იყოს“.

„must+simple infinitive“ მომავლის მნიშვნელობით ქართულში მყოფადის მწკრივის ფორმით არის გადმოცემული ვარაუდის, ლოგიკური დასკვნის, ალბათობის სემანტიკით:

„Because, if it was not Stephen Farraday, it must be Anthony Brown“

— „ხოლო, თუკი სტივენ ფარადეი არ აღმოჩნდა, მაშინ უთუოდ ენტონი ბრაუნი იქნება“ (კითხვით-პირობითი კონტექსტია).

„must+simple infinitive“ წარსულის მნიშვნელობით ითარგმნება ქართული უნდა + II თურმეობითი ფორმებით. მოდალური შინაარსი შეიძლება გადმოიცეს უნდა ნაწილაკის გარეშეც.

ვალდებულება/აუცილებლობა; აკრძალვა:

„The trouble was they'd been seeing too much of each other. They must meet less often slacken off a bit“

— „ხშირი შეხვედრები მოსაბეზრებელი ხდებოდა; ამიერიდან უფრო იშვიათად უნდა ენახათ ერთმანეთი“.

„No, one must guess, no one must know, what he was feeling — except Rosemary herself“

— „არავის უნდა სცოდნოდა, არავინ უნდა მიმხვდარიყო, თუ რას გრძნობდა იგი, თვით როზმარის გარდა“.

ვარაუდი:

„But someone must travel on the Olympia to engineer the supposed moment of the robbery“

— „მაგრამ გემზე უნდა ყოფილიყო ვინმე, რათა მოეგვარებინა ძარცვის მოჩვენებითი მომენტი“.

„must+simple infinitive“ აწმყოს მნიშვნელობით ქართულში გადმოცემული აწმყოს მწკრივით.

კილო თხრობითია, თუმცა მასთან ხშირად გვხვდება ალბათ, ნეტავ, იქნება, ა. შ. მოდალური სიტყვები, რომლებიც აწმყოს მწკრივის ფორმებს მოდალურ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ვარაუდი / ეჭვი / ალბათობა:

„Why will you never come to the house. There must be reason“.

— „რატომ არასოდეს მოდიხართ სახლში. რაღაც მიზეზი უნდა იყოს“.

იძულება/აღიარება:

„And I **must say** that Miss Lessing was really very sympathetic for once and offered to do everything she could - to take the burden off my shoulders“

— „**გალიარებ**, მის ლესინგი ძალიან კეთილად მოიქცა, ყველაფრის მოგვარება თვითონ იკისრა და ამით უზარმაზარი ტვირთი შემიმსუბუქა“.

აუცილებლობა:

„Certainly, chief inspector.

"- Then he looked at his watch and murmured: **I must go** along to the house“

„რა თქმა უნდა, მთავარო ინსტექტორო!

მერე მან საათს დახედა და წაილულლულა: — ჩემი პალატაში წასვლის დროა“.

საინტერესო ლექსიკურ მნიშვნელობებს გადმოსცემენ ინგლისურში უწყობითი ფორმებიც: „**must not**“ გამოხატავს აკრძალვას (**prohibition**), ლოგიკურ დასკვნას (**logical conclusion**); დიდ დარწმუნებულობას (**great certainty**) აღნიშნული მნიშვნელობები ქართულში გადმოცეულია უარყოფითი ნაწილაკებით:

არ — ვალდებულება

ვერ — შეუძლებლობა

ნუ — თხოვნა/მოთხოვნა/აკრძალვა.

„**must+perfect infinitive**“ გამოხატავს შემდეგ მნიშვნელობებს: აუცილებლობას წარსულში (**necessity in the past**); დარწმუნებულობას, ლოგიკური დასკვნით მიღწეულ დარწმუნებულობას (**certainty achieved by logical deduction**). შესაბამისად ქართულში გამოყენებულია უნდა+ II თურმეობითი:

— „Whoever killed **must have had** a reason“

— „უცნობ მკვლელს რაიმე მიზეზი **უნდა ჰქონოდა**“.

„but of course if he believed them, it meant one of us, one of those five people round the table **must have killed** her. It might ever been me!“

„მაგრამ, როგორც ჩანს, მან ირწმუნა, რაც წერილებში ეწერა და, მამასადამე, სუფრასთან მსხდომი ხუთი ადამიანისაგან ერთ-ერთი მისი ცოლის მკვლეელი **უნდა აღმოჩენილიყო**. შეიძლება... შეიძლება იგი მეც მკვლელად მთვლიდა“.

„**must+perfect infinitive**“, თურმეობითის გარდა გადმოცეულია წყვეტილის ფორმითაც, რომელთანაც ალბათ, იქნებ, თითქოს მოდულური სიტყვები კავშირებით შინაარს გადმოსცემენ:

ვარაუდი/ეჭვი/ალბათობა:

„And his uncle, I know, insists that he must carelessly have mentioned having them in his possession“

„ბიძამისმა დაიჟინა, რომ თითქოს ფილიპმა **ნართაულად გადაუკრა**, ობლიგაციები ჩემთან არისო“.

„**must+perfect infinitive**“ აწმყოს კავშირებითისა და უწყვეტლის ფორმებითაც გადმოიცემა.

ვარაუდი/ეჭვი/ალბათობა:

„I know it **must have seemed** like that but I didn't mean it that way“

„**შესაძლოა** გარედან ყველაფერი ასე ჩანდეს, მაგრამ ცუდი არაფერი მითქვამს“.

„Who was that man? Did he love Rosemary as much as she loved him? Surely he **must have done**“

„ვინ იყო ეს კაცი? უყვარდა თუ არა მას როზმარი ისევე, როგორც ქალი ეტრფოდა მას? **იქნებ** უყვარდა კიდევ!“.

უწყვეტლის ფორმით გადმოიცემა ნატვრაც:

— „It **must have been nice** when there gold sovereigns“

— „რა კარგი **იქნებოდა**, ოქროს სოვერენი რომ მიეცა“.

ლიტერატურა

ბაიბერი, 1999 — D. Biber, S. Johanson, Longman Grammar of Spoken and written English, 1999.

გოქსაძე, 1998 — L. Gokhsadze, An advanced course in current English, Tbilisi, 1998.

კოტინოვი, 1986 — ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986.

ოქროპირიძე, 1974 — ნ. ოქროპირიძე, კავშირებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ ენაში, „საქ. სსრ პედაგოგიური ინსტიტუტების შრომები“, II, თბ., 1974.

პალმერი, 1995 — F. R. Palmer, Mood and Modality. C.U.P., 1995.

პაპიძე, — ა. პაპიძე, II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“, ქსკ, წიგნი 4.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1980.

MARINE BERSENADZE

**Grammatical and Semantic Correspondences of the English
Verb must in Georgian**

Summary

Modality which is a functional as well as a semantic category is differently expressed in English and Georgian. The paper examines lexical and grammatical means of expressing modality. The English modal verbs conveying obligation and necessity have been studied. Special emphasis is placed upon the modal verb must and the means of conveying its meanings in Georgian.

ანა ბოჭორიშვილი

**საქმიანი სატელეფონო საუბრების ზოგიერთი
მახასიათებელი**

ჩვეულებრივ ეტიკეტი განისაზღვრება, როგორც ადამიანთა თავაზიანი მანერებისა და ქცევის ნორმების ერთობლიობა შინ, სამსახურში, ტრანსპორტში და, საერთოდ, საზოგადოებაში. ენობრივი ეტიკეტი არის ამა თუ იმ სიტუაციაში სწორი ფრაზებისა და ენობრივი ფორმების ხმარების ხელოვნება.

თანამედროვე მსოფლიოში ხშირად მყარდება კონტაქტი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს შორის. ამა თუ იმ ენაზე საუბრისას მნიშვნელოვანია სამეტყველო ეტიკეტის ნორმების ცოდნა და დაცვა. ნ. ი. ფონმანოვსკაია აღნიშნავს, რომ ურთიერთობის ეროვნული სპეციფიკით და სოციალურად განპირობებული სტერეოტიპები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ავირჩიოთ და გამოვიყენოთ ურთიერთობის ესა თუ ის ფორმა, როგორცაა ამა თუ იმ სიტუაციისათვის შესაფერისი მისაღება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა, მილოცვა, სურვილების გამოთქმა, სხვადასხვა სახის თავაზიანი გამოთქმა, ენობრივი საშუალებებით კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამოვლენა მოსაუბრესთან/მსმენელთან არის ენობრივი ეტიკეტი.

ენობრივი ეტიკეტის დაცვა აუცილებელია, როგორც წერიითი ისე ზეპირი მეტყველებისას. ზეპირი მეტყველებისას ამა თუ იმ სტერეოტიპისა თუ ენობრივი მახასიათებლის არჩევანი ტრადიციულად განპირობებულია მოსაუბრისა და მისი მსმენელის სოციალური სტატუსით, სოციალური როლით და მათი მიმართებით სხვა ფაქტორებთან (დრო, გარემო). ენობრივი ეტიკეტი მყდავნდება მეტყველებისას, მოსაუბრის მიმართვისას მსმენელისადმი ზეპირი თუ წერილობითი კომუნიკაციის დამყარების დროს. შევნიშნავთ, რომ ენობრივი ეტიკეტი საუბრის დაწყებისთანავე იჩენს თავს და გასტანს მთლიანი საუბრის მანძილზე. მისაღება, შესაფერისად ბოდიშის მოხდა, თხოვნა, მად-

ლობის გადახდა, დამშვიდობება და და ა.შ. არის ენობრივი ეტიკეტის ის ელემენტები, რომელთაც პირველ რიგში ეუფლებიან ენის შესწავლისას, ვინაიდან ენობრივი ეტიკეტი მოითხოვს მისი ნორმების ზედმიწევნით ზუსტად დაცვას. მას, ვინც საქმიანი ურთიერთობისას იყენებს ქცევის კარგ, დახვეწილ მანერებს არის თავაზიანი, ეძლევა რეალური შესაძლებლობა განიმტკიცოს თავისი პოზიცია და შედეგად დიდი სარგებელი მიიღოს. საქმიანი საუბარი წარმატებით წარიმართება, როდესაც კომუნიკანტები იჩენენ კომპეტენტურობას, კეთილმოსურნეობას, ტაქტს და ცდილობენ საკითხის ორივე მხარისათვის მისაღებად მოგვარებას. ვინაიდან საქმიანი საუბრის მონაწილეები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სხვადასხვა კულტურის (ყოფის) წარმომადგენლები. მათი საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენობრივი ეტიკეტის დაცვას. მაგალითად, ინგლისურ ენაში ქართულისაგან განსხვავებით არ არის ფორმალური სხვაობა „შენ“ „თქვენ“ ნაცვალსახელებს შორის, ორივე ნაცვალსახელს ინგლისურში ერთი (you) შესატყვისება, ხოლო განსხვავებას შინაურულ და ოფიციალურ მიმართვებს შორის ქმნის ისეთი ფაქტორები, როგორცაა ინტონაცია, შესაფერისი სიტყვებისა და კონსტრუქციების გამოყენება. მაგალითად:

1. Excuse me, could you tell me the time please?
2. Hay you! What's the time?

პირველ მაგალითში, ცხადია, მოსაუბრე გულისხმობს თავაზიანობის გამომხატველ ნაცვალსახელს „თქვენ“ (you), რასაც ცხადყოფს თავაზიანობის გამომხატველი ენობრივი ელემენტები: „excuse me“ „could“ და „please“, ხოლო მეორე მაგალითში მიმართვა შინაურულია. ეს ორი მაგალითიც ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია თავაზიანი ფორმების გამოყენება და ენობრივი ეტიკეტის ნორმების დაცვა მეტყველებისას, დაძაბული სიტუაციებისა და გაუფერობის თავიდან ასაცილებლად.

საქმიანი საუბრისას თავაზიანი უნდა იყოს არა მარტო საუბრის ტონი და ენობრივი ნორმები, არამედ ქესტ-მიმიკაც თავაზიანობას უნდა გამოხატავდეს. თავაზიანობა შეხვედრისას, ინტერესი მოსმენისას, ყურადღება აზრთა გაცვლისას, თანაგრძნობა და ტაქტი კრიტიკის და შენიშვნის მიცემისას — ყველა ეს ფაქტორი უმნიშვნელოვანესია საქმიანი ურთიერთობისას.

ბიზნეს ეტიკეტის ყველა სახელმძღვანელო ხაზს უსვამს, რომ საქმიანი საუბრის ტონი უნდა იყოს მშვიდი, კეთილგანწყობილი, არასასურველია პრობლემის გადაწყვეტის შეუძლებლობის მცდელობით ან უარით საუბრის დაწყება, ვინაიდან ეს იწვევს უკუ რეაქციას, წარმოშობს კონფლიქტურ, დაძაბულ სიტუაციას. დაუშვებელია საქმიანი პარტნიორის საუბრის შეწყვეტინება ან საუბრისას სხვა საქმით დაკავება, ახალი საქმის წამოწყება.

ადამიანთა ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს სატელეფონო საუბრებს. ენობრივი ეტიკეტის დაცვას აქაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ცნობილია, ტელეფონი გამოგონილ იქნა გადაუღებელი და მნიშვნელოვანი საქმეების სწრაფად მოსაგვარებლად. ტელეფონის გამოყენებას თავისი წესები და გარკვეული ნორმები აქვს. ამ წესების დაცვა იწყება სატელეფონო ნომრის აკრეფისთანავე. უპირველეს ყოვლისა, სწორად უნდა შევარჩიოთ საუბრის დრო, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საუბრის სასიამოვნოდ წარმართვისათვის. საუბრის დასაწყისში შესაძლოა ვკითხოთ კიდევ მოსაუბრეს, არის თუ არა მისთვის ეს დრო სასაუბროდ ხელსაყრელი. მაგალითად: **“I’m not keeping you from anything, am I?”** „უკაცრავად ხომ არ გაცდენთ?“, „დაკავებული ხომ არ ბრძანდებით?“. სატელეფონო საუბარი სხვადასხვა მიზნით შეიძლება წარიმართოს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი საუბარი ინდივიდუალურია და განსხვავებულ საკითხებს ეხება, არსებობს ზოგადი წესები, რომელთა დაცვა აუცილებელია. მოსაუბრეთა სოციალური სტატუსისა და ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით სატელეფონო საუბარი შესაძლოა ოფიციალურ, შუალედურ ან შინაურულ სიტუაციაში წარიმართოს. ყურადღებას შევაჩერებთ საქმიან (ოფიციალურ) სატელეფონო საუბრებსა და მათ მახასიათებლებზე, ასევე გამოვავლენთ მსგავსება — განსხვავებებს ინგლისურ და ქართულ სატელეფონო საქმიანი საუბრების მახასიათებლებს შორის.

საქმიანი სატელეფონო საუბარი გულმოდგინე მომზადებას მოითხოვს. საუბრისას უნდა გამოიკვეთოს მთავარი საკითხი, აზრი ლაკონურად და ნათლად უნდა იქნეს გადმოცემული, არა მარტო სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან საუბრისას, არამედ თანამშრომლებთან საუბრის შემთხვევაშიც, რაც, შესაბამისად, სატელეფონო საუბრის დროს ამცირებს. ხანგრძლივი სატელეფონო საუბარი ხშირად იწვევს მოსაუბრეთა შორის დაძაბულობას ან უსიამოვნო შეგრძნებას

ტოვებს, ამიტომ ზომიერების დაცვაა საჭირო. თუ სატელეფონო საუბარი მცირე ხანს გაგრძელდა, ხოლო ინფორმაცია ნათლად და მკაფიოდ იქნა გადაცემული, შესაბამისად, ბუნებრივია ურთიერთობის წარმატებით დასრულება. პარტნიორის დაინტერესებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხმა, ტონი, ინტონაცია. დაუშვებელია ხმამაღლა საუბარი, მით უმეტეს საქმის წარმოების დეტალებზე, ასევე მიუღებელია ხმამაღლა სიცილი, შეუფერებელი ლექსიკის გამოყენება ტელეფონით საუბრისას. ერთი შეხედვით შესაძლოა უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ბიზნეს სახელმძღვანელოების უმეტესობა გვიჩვენებს საქმიანი სატელეფონო საუბარი ღიმილით დავიწყეთ, ვინაიდან ღიმილი ხმის ტონს საგრძნობლად ცვლის და დადებით შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე.

პირველი სიგნალი სატელეფონო საუბრის დაწყებისა არის ზარი ტელეფონზე, შესაბამისად, პირველი რეპლიკა წარმოითქმის ადრესატის მიერ. თუ რაიმე დაწესებულებაში, ორგანიზაციისა თუ კომპანიაში დავრეკეთ, მაშინ ადრესატი/მოპასუხე ორგანიზაციის სახელწოდებას ასახელებს: „Hello British Council“ „სახანძრო გისმენთ.“ ხოლო თუ კომპანიის ან ორგანიზაციის თანამშრომელთან დარეკეთ ყურმილის ადებისას ადრესატი საკუთარ სახელს და გვარს თავად ასახელებს: „Tom Jenkins speaking“ ხშირად მოპასუხემ ყურმილის ადებისას შესაძლოა საკუთარი ტელეფონის ნომერი დაასახელოს, მაგალითად: „Exeter 78562“, „Portsmouth 658794“, ქართულ ყოფაში ეს ასე არ არის, ყურმილის ადებისას ადრესატის მიერ ტელეფონის ნომრის დასახელება გაუგებრობას გამოიწვევს, ეტიკეტის ნორმის დარღვევა იქნება და შესაბამისად საუბარიც შეწყდება. იმ შემთხვევაში, თუ ადრესანტმა ვერ გაიგო ადრესატის ნათქვამი, მიზანშეწონილია ადრესანტმა თავად იკითხოს და დააზუსტოს ინფორმაცია, მაგალითად: „Is that Ritz Hotel?“, „Is that inquiry office?“. „უკაცრავად კონტროლის პალატაა?“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმა **“that”** დამახასიათებელია ბრიტანული ინგლისურისათვის, ხოლო **“this”** ამერიკულისთვის. მას შემდეგ რაც ადრესატი დაასახელებს ორგანიზაციის ან საკუთარ სახელს, შესაძლოა ადრესანტმა დასვას შეკითხვა ფორმით: **“May I speak to Miss X please?!”**, **“I’d like to speak to Mr. X please?!”**, **“Mr. X please?!”**, **“Could I speak to Mr. X please?!”** „უკაცრავად ბატონ X-ს სთხოვეთ?!“, „ეს და ეს მინდოდა!“, „უკაცრავად გ..... ჩ.....-ს ვურეკავ!“.

თუ ადრესატი ადგილზე არ არის თავაზიანი პასუხი შემდეგია

“I’m sorry he’s out of the office at the moment, he’ll be back in an hour ”, **“Mr. X is not here at the moment but he’ll be back in....”**, **“She’s at the conference at the moment I’m afraid, who is calling please?”**. „ბატონი X გასულია, ერთ საათში დაუკავშირდით“, „ქალბატონი X შეხვედრაზეა, რა-მე ხომ არ გადავცე, ვინ კითხულობს?“ თუ არასწორად დარეკეთ სადმე ინგლისში მიღებულია მოპასუხეს მიერ წარმოთქმა ფრაზისა: **“sorry wrong number”**, **“I’m afraid you’ve got the wrong number”**, **“wrong number I’m afraid”**, **“You must have the wrong number”**. „ნომერი შეგეშალათ“ „სხვაგან მოხვდით/სხვაგან ხვდებით“ „ხელმეორედ დარეკეთ“.

ადრესატის მიერ თავისი თავის დასახელების შემდეგ ადრესანტი ესალმება ადრესატს და ასახელებს საკუთარ სახელს და/ან მისი ორგანიზაციის სახელს. მაგალითად: **“This is K..... B..... from British Airlines”**, **“Hello Mr. White, my name is C..... from Ballston & Smith, the elevator manufacturers”**. „გამარჯობათ ბატონო X, მე ვარ გ..... ჩ..... საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი“.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ადრესატი არ არის ადგილზე, ამიტომ მისთვის ტოვებენ შეტყობინებას ფრაზით: **“Can I leave the message please?”** „შეგიძლიათ გადასცეთ, რომ“ „თუ არ შეეუხდებით გადაცემით, რომ“ ან შეიძლება მოპასუხემ თავად იკითხოს **“Would/could you leave the message please?”** „რა გადავცე?“ „ვინ კითხულობს?“ „რამე ხომ არ გადავცე?“.

ადრესანტმა შეიძლება სახელი არ დაასახელოს, თუ მას ზოგადი (ყველასთვისმისაწვდომი) ინფორმაციის მოპოვება სურს. მაგალითად:

ადრესატი: **“Citizen’s Advise Bureau”**

ადრესანტი: **“Hello I’d like some advice about a dispute with”**

ადრესატი: „გამარჯობათ, ოპერატორი 65 გისმენთ“

ადრესანტი: „გამარჯობათ მეცნიერებათა აკადემიის ტელეფონის ნომერი თუ შეიძლება?“

ხშირად რომელიმე ორგანიზაციაში დარეკვისას, თუ სხვა განყოფილებასთან დაკავშირებაა საჭირო, საუბარი ასე უნდა წარიმართოს:

ადრესატი: **“British Steel Corporation”**

ადრესატი: „საერთაშორისო სახლი გისმენთ“

ადრესანტი: **“Data room, please!”**

ადრესანტი: „წიგნის მალაზიასთან შემაერთეთ თუ შეიძლება?“

ადრესატი: "I'll put you through"

ადრესატი: „მოითმინეთ /
ესაუბრეთ“

როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ყოფაში მიზანშეწონილია ყურმილის ადებისას ადრესანტი და ადრესატი მიესალმონ ერთმანეთს. ადრესატი: "Good morning! TV Productions limited, Beverly Hills speaking, how can I help you?" ადრესანტი: "Good morning! this is C.K." ადრესატი „სალამო მშვიდობისა ბატონო X, კიდევ ერთხელ მიწვევს თქვენი შეწუხება“ ადრესატი: „სალამო მშვიდობისა“.

ორგანიზაციაში დარეკვისას მიზანშეწონილია მდივანმა მისალმებისა და ორგანიზაციის დასახელების შემდეგ იკითხოს "Who is calling?" "Who's speaking?" "Who shall I say is calling?" „ვინ კითხულობს?“ „რა გადავცე ვინ რეკავს?“ პასუხი იქნება: "Good morning this is Mr. X, could I speak to Mr. X please?" „გამარჯობა მე ბატონი X ვარ, ბატონ X-ს სთხოვთ?“. თუ ტელეფონს თავად ადრესატი პასუხობს მოსალოდნელია პასუხი: "Speaking" "X speaking" „გისმენთ“ „მე გახლავართ“.

თუ მოპასუხემ ადრესატს მოუხმო ტელეფონთან, მაშინ იგი წარმოთქვამს შემდეგ ფრაზას: "Could you hold on a minute?" "Hold on a minute please!" "Will you hang on?" "I'll put you through". „მოითმინეთ“ „ერთი წუთი მოითმინეთ“.

ეტიკეტის მიხედვით სხვის ნაცვლად ტელეფონზე პასუხისას ჯერ უნდა დასახელდეს კომპანია ან განყოფილება, შემდეგ იმ პიროვნების სახელი და გვარი ვის ნაცვლადაც პასუხობენ, რასაც უნდა მოჰყვეს დახმარების შეთავაზება. მაგალითად: "Good morning, military accessories Ltd., Jenny Roll's desk, can I help you?" "Dr. X's office, may I help you?"


საუბრის დასრულებისას ხშირად ამბობენ ფრაზას "Thank you, good bye", ან "I think we've agreed", "We'll keep in touch", "Thank you for your assistance". „ვიმედოვნებ მოვილაპარაკეთ“ „ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ“, „დროებით, ველოდები თქვენს ზარს“, „გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ“, „დიდი მადლობა, ბატონო X, თანამშრომლობისათვის“.

ყველა ზემომოყვანილი ფრაზა გამოყენების სიხშირის გამო მიიჩნევა სტანდარტულ და ფიქსირებულ ფრაზებად, რომლებიც ემსახურება თავაზიანობისა და კეთილგანწყობის გამოხატვას სატელეფონო საუბრისას. როგორც წესი სატელეფონო საუბარი უნდა დასრულდეს ისეთი შეკითხვით, რომელიც პარტნიორისაგან არაორაზროვან, კონ-

კრეტულ პასუხს მოითხოვს. უნდა აღინიშნოს რომ საუბარს ასრულებს ის, ვინც, დარეკა ანუ ადრესანტი. თუ სატელეფონო საუბარი ტექნიკური მიზეზის გამო მოულოდნელად, შეწყდა მაშინ ხელმეორედ ისევ იმ ადამიანმა უნდა დარეკოს, ვინც პირველად დარეკა.

სატელეფონო საუბრებში ხშირად არაპირდაპირი შეკითხვები გამოიყენება თავაზიანობის გამოხატვის მიზნით: "I'd like some information about a flight arriving from", "Could you tell me what the flight number is?", "Could you tell me what time it gets in?" „თუ არ შეეწუხდებით ხომ ვერ მეტყვოდით.....“, „ხომ არ შეგაწუხებთ, რომ გთხოვთ.....“. ამგვარი არაპირდაპირი შეკითხვები აუცილებელი ატრიბუტია საქმიანი სატელეფონო საუბრისათვის.

საქმიან სატელეფონო საუბრებზე დაკვირვებისას გამოვლინდა, რომ თავაზიანობის გამომჟღავნებისა და ეტიკეტის ნორმის დაცვის მიზნით სატელეფონო საუბრებში ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი ფრაზები



„შეგიძლიათ გადასცეთ...“, „გთხოვთ გადაეცით, რომ“, „ხომ ვერ დამაკავშირებდით...“, „დამაკავშირეთ, გეთაყვა“, „შეგიძლიათ გამიმეოროთ?“, „უკაცრავად, გამიმეორეთ თუ შეიძლება“, „შეგიძლიათ შეამოწმოთ?“.

გარდა ამისა, სატელეფონო საუბრებში შესაძლოა ოფიციალური წერილობითი სტილისათვის დამახასიათებელი ფრაზებიც მოვისმინოთ, მაგალითად: **“You will be pleased to know that he has been able to confirm what he said in his original report a week ago...”**, **“I would like to inform you about...”**, „მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას“, „გაცნობებთ, რომ“, „წარმატებას გისურვებთ და ველი საბოლოო...“, „დიდი მადლობა თანამშრომლობისათვის“.

უნდა აღინიშნოს, რომ საქმიანი სატელეფონო საუბრის დროს ინფორმაციის მოპოვების შემდეგ მადლობას რამდენიმე განსხვავებული ფრაზით პასუხობენ: **“Not at all”**, **“That’s all right”**, **“Pleased to help”**, **“Glad to be of assistance”**, **“You are very welcome”**, **“You are welcome”**, „არაფრის“, „რას ბრძანებთ“, „მოხარული ვარ დაგეხმაროთ“. თუმცა მადლობის შემდეგ სატელეფონო საუბრისას არ არის სავალდებულო რომელიმე საპასუხო ფრაზის წარმოთქმა.

ენობრივი ეტიკეტის ნორმების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კომპანიებისათვის, მომუშავე პერსონალის მიერ არასწორად წარმოებულმა სატელეფონო საუბრებმა შეიძლება დიდი ფინანსური ზარალი გამოიწვიოს, ამიტომ კომპანიები სავანგებოდ წრთვნიან თანამშრომლებს, რათა მათ ჰქონდეთ ტელეფონით საქმის სწორად წარმოების ჩვევა. (სატელეფონო მოლაპარაკება, პრეტენზიულ/აგრესიულ მომხმარებელთან სათანადო საუბარი, სწრაფად და თავაზიანად ინფორმაციის მიწოდება—მოპოვება, მიმართვის სწორი ფორმა და ა.შ.) ცნობილია რომ ცუდ მომსახურებას გაცილებით მეტი ზარალი მოაქვს ვიდრე უხარისხო პროდუქციას.

სატელეფონო საუბრებისას ნებისმიერ კომენტარს თუ ფრაზას, რომელსაც მოსაუბრეები წარმოთქვამენ, როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებში შესაბამისად თან სდევს მსმენელის რეაგირება, საუბარი იმის მიხედვით წარიმართება, თუ როგორი დამოკიდებულება გაუჩნდება მსმენელს მოსაუბრის მიერ წარმოთქმული ფრაზის მიმართ, საქმიანი სატელეფონო საუბარი მოითხოვს ოფიციალურ და კეთილგანწყობილ ტონს, შესაბამისად მოსაუბრეთა მიერ გამოყენებული ლექსიკაც ოფიციალური და კეთილგანწყობილი უნდა იყოს, ვინა-

იდან თუ მოსაუბრეები ერთმანეთს არც თუ ისე კარგად ან საერთოდ არ იცნობენ, ორივე მხარე ცდილობს საკუთარი ინტერესების დაცვას თავაზიანად და მოცემული სიტუაციისათვის შესაბამისად.

როგორც ვხედავთ, სატელეფონო საუბრისას ენობრივი ეტიკეტი მუდამდებდა გარკვეული კლიშე-ფრაზებისა და თავაზიანი ფორმების გამოყენებისას პარტნიორის მიმართ. თავაზიანი მიმართვის ფორმები დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ და ვის მიმართავს, კომუნიკანტთა ურთიერთობაზე. ეტიკეტის ენციკლოპედიის მიხედვით პირისპირ ურთიერთობის 50%—ზე მეტი, ხოლო სატელეფონო საუბრების 90% ხორციელდება ენობრივი საშუალებებით — სიტყვა, ინტონაცია, ტონი და ა.შ. ლექსიკა და საუბრის ტონი გამოხატავს როგორც ადამიანის ხასიათს, ასევე მისი შინაგანი კულტურის დონეს. ხმამაღალი, მედიდური საუბარი შეურაცხყოფს პარტნიორს. დაუშვებელია ისეთი ფრაზების გამოყენება, რომელიც მორალურად შეურაცხყოფს პარტნიორს, პირდაპირ და უარყოფით შეფასებებს თავი უნდა ვარიდოთ, უნდა გავითვალისწინოთ მოსაუბრის ასაკი, სქესი, სოციალური სტატუსი, სამსახურებრივი მდგომარეობა და შესაბამისად მივმართოთ მას.

ტელეფონით საუბრისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აზრის გადმოცემისას პაუზიდან პაუზამდე შუალედი უნდა იყოს 45 წამიდან 1 (1.5) წუთამდე. სატელეფონო საუბრისას მოკლე ფრაზები და წინადადებები უნდა გამოვიყენოთ, რომ გავუადვილოთ მოსაუბრეს აზრის აღქმა და სათანადო რეაგირება. დაინტერესება, კეთილგანწყობა, თავაზიანობა ხმისა და ლექსიკის საშუალებით უნდა გამოვხატოთ, ამიტომ მონოტონურობა ან გადამეტებული ვარირება ინტონაციისა მიუღებელია.

ამგვარად, ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენაზე წარმოებულ საქმიანი სატელეფონო საუბრებისთვის არსებობს ეტიკეტით გათვალისწინებული ნორმები და გარკვეული მოთხოვნები. ლინგვისტური ეტიკეტის ენობრივი ნორმების დაცვას საქმიანი სატელეფონო საუბრისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქმის წარმატებულად წარმოებისათვის.

ინგლისური და ქართული საქმიანი სატელეფონო საუბრების შეპირისპირებისას გამოვლინდა შემდეგი მსგავსებანი:

- ა. ხანგრძლივი საუბრის არასასურველობა.

- ბ. ინფორმაციის ნათლად და მკაფიოდ გადმოცემის აუცილებლობა.
- გ. ყურმილის აღებისას ადრესანტისა და ადრესატის მისალმება.
- დ. ოფიციალური სტილისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმები და თავაზიანობის გამომხატველი ფრაზები.
- ე. ოფიციალური წერილობითი სტილისათვის დამახასიათებელი ფრაზებისა და არაპირდაპირი შეკითხვების გამოყენება.
- ვ. აზრის გადმოცემისას პაუზიდან პაუზამდე შუალედის ხანგრძლივობა.
- თ. ჯერობა.
- ი. ადრესანტის მიერ იდენტიფიკაციის თავისებურება ორგანიზაციაში ზოგადი ინფორმაციის მოსაპოვებლად დარეკვისას.
- კ. საუბრის დასრულების თავისებურებანი.
განსხვავება ინგლისურ და ქართულ საქმიან სატელეფონო საუბრებს შორის შემდეგში მდგომარეობს:
- ა. ადრესატის/მოპასუხის მიერ საკუთარი ტელეფონის ნომრის დასახელება (ინგლისურში მოპასუხე ასახელებს საკუთარ ტელეფონის ნომერს, ქართულში — არა)
- ბ. სატელეფონო საუბრისას დახმარების შეთავაზება (ინგლისურში მოპასუხის მიერ მისალმების, ორგანიზაციის დასახელების, ვინაობის იდენტიფიკაციის შემდეგ მიზანშეწონილია დახმარების შეთავაზება, ქართულ ყოფაში მისალმების, ორგანიზაციის დასახელების, ვინაობის იდენტიფიკაციის შემდგომ არ სთავაზობს დახმარებას ადრესანტს.)

ვფიქრობთ, საქმიანი სატელეფონო საუბრების მახასიათებლების მსგავსებათა სიმრავლე ცხადყოფს, რომ სამეტყველო ეტიკეტის ნორმები საქმიანი ურთიერთობებისათვის მეტწილად საერთოა ინგლისური და ქართული ყოფისათვის.

ლიტერატურა:

გარნერი, 2004 — Гарнен А. Язык Разговора, изд-во Эксмо, 2004.
ფორმანოვსკაია, 1987 — Формановская, Н. И., Русский Речевой Этикет, Лингвистический и Методический Аспекты, Москва, 1987.

ფორმანოვსკაია, შევცოვა, 1990 — Формановская, Н. И., Шевцова С. В., Речевой Этикет, Русско-Английский Справочник, Москва "Высшая Школа", 1990.
 Advanced English Course, 1977, Linguaphone Institute Limited, London
დანი, 1987 — Dunn, V., Listening Intermediate, Oxford University Press, 1987.
ფოქსი, 1999 — Fox, S., Etiquette for Dummies, WILEY Publishing, Inc., 1989.
ფაი, გრინელი, 1996 — Pye, D., Greenall, S., CAE Listening and Speaking Skills, Cambridge University Press, 1996.
ქლანკი, 2003 — Clanke, S., In Company, MacMillan Publishers Limited, 2003.
ნოლასკო, 1987 — Nolasco, R., Listening Elementary, Oxford University Press, 1987.
რობერტსი, 1998 — Roberts, J., Business Etiquette, Trotman and Company Limited, 1998.
რიჩარდსი, 1990 — Richards, J. C., Listen Carefully, Oxford University Press, 1990.
სუინი, 1997 — Sweeney, S., English for Business Communication, Cambridge University Press, 1997.
თოფურტიქე, 2005 — თოფურტიქე თ., საქმიანი ეტიკეტი, სერია-რჩევები მოხელეთათვის, თბილისი, 2005.
ჯოლია, 1998 — ჯოლია გ., ეტიკეტი, თბილისი, 1998.

მეცნიერებათა აკადემია

Энциклопедия Этикета 2003 — Издательский Дом "Финал Классик", 2003.
პანკეევი, 2004 — Панкеев, И., Энциклопедия Этикета, Олма-Пресс, Москва, 2004.

ANNA BOCHORISHVILI

Some Linguistic Characteristics of Business Telephone Conversation.

Summary

The paper deals with some linguistic peculiarities of business etiquette of English and Georgian business telephone conversation. The contrastive study of business telephone conversation on authentic samples of English and Georgian telephone conversations has revealed the following similarities and differences:

Similarities:

- a. The telephone conversations are preferably short.
- b. The information exchanged is vivid, brief and clearly expressed.
- c. The greeting at the beginning of the conversation is followed by stating the company/department.
- d. The application of linguistic norms of polite behavior, polite expressions of requests, offer, suggestions.
- e. The use of indirect questions and occurrence of features of formal written style.
- f. The peculiarities of caller self-identification when asking for some general information.
- h. The period between pauses during the conversation.
- I. Turn taking.
- j. Closing expressions.

Differences:

- a. Saying the telephone number on answering the call (in English saying the telephone number by the answerer is common, whereas in Georgian it is utterly unacceptable.)
- b. Offering a help after greeting, and stating the company. (English answerers often offer a help after greeting, self-identification and stating a company, whereas Georgians don't.)

ზალმა ბაბაშვილი

აღმოსავლურ ენებში „ქრისტიანული ჯვრისა“ და „ხაზის“ მნიშვნელობებით დამკვიდრებული ერთი ქართული ლექსიკური ნასესხობის შესახებ

აღმოსავლურ ენებთან მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების შედეგად ქართული ენის ლექსიკურ ფონდში მნიშვნელოვანი რაოდენობით დამკვიდრდა აღმოსავლური წარმომავლობის სიტყვები. ვინაიდან ენობრივი ურთიერთობები ორმხრივ ხასიათს ატარებს, ქართულისგანაც უნდა ჰქონდეთ აღმოსავლურ ენებს ნასესხები ლექსიკა. აღმოსავლურ ენებში შესული ქართველური ლექსიკური ელემენტები ჯერჯერობით არასაკმარისადაა გამოვლენილი.

სტატია მიზნად ისახავს რამდენიმე ენაში (სომხური, სპარსული, თურქული ენები) ჯვრის, ხოლო არაბულში ხაზის მნიშვნელობით დამკვიდრებული ტერმინების წარმომავლობის გარკვევას.

თანამედროვე სპარსულ, ტაჯიკურსა და რამდენიმე თურქულ ენაში უპირატესად ქრისტიანული ჯვრის მნიშვნელობით დამკვიდრებული ფონეტიკურად ახლო მდგომი სიტყვები იხმარება: სპარსული ხაზ, ტაჯიკური ხაზ, ამ ტერმინმა განსაკუთრებით თურქულ ენებში პოვა გავრცელება, სადაც იგი ძველი ნასესხობა ჩანს. გვხვდება სამუალო თურქული ეპოქის ტექსტებში, ყივჩაღურ ლექსიკონებში: მამლუქთა სახელმწიფოს არაბულ-ყივჩაღურ ლექსიკონში *ḥāz*, ყუმანურ ლექსიკონში, ე.წ. კოდექს კუმანიკუს (CC) - ში *ghāz* და დასავლეთის არეალის რამდენიმე თურქულ ენაში: ოსმალური, ყირიმულ თათრული, ტროკის ყარაიმილი, ყუმუხური *xāz*, აზერბაიჯანული *xāz*, ყაზანურ-თათრული, ყარაჩაული *kač* „ჯვარი“ < სპარსული *ḥāg* (რესენენი, 1969, 151 ბ).

ჩამოთვლილ ენათა გარდა, ჩვენთვის საინტერესო ტერმინი გვხვდება სომხურშიც — ხაჩ „ჯვარი“.

როგორც ზემოთხსენილი მაგალითებიდან ჩანს, გასაანალიზებელი სიტყვის სპარსული და სომხური ფორმები ჰგავს ერთმანეთს. სომხურის ფორმასთან შედარებით სპარსულში ა გრძელია და ბო-

ლოკიდური თანხმობის განმტკიცებელია. სპარსულში იხმარება როგორც დამოუკიდებლად, ასევე რამდენიმე კომპოზიციის მთავარ წევრად: ხაჯ რ სტ „ქრისტიანი“ (სიტყვასიტყვით „ჯვრის თაყვანისმცემელი“), ხაჯ რან „ნათლობა“ და სხვ.

თანამედროვე სალიტერატურო თურქულში, რომელსაც სტამბოლის დიალექტი დაედო საფუძვლად, „უხეშ“ ბგერად მიჩნეული ხორხისმიერი **x** ამოღებულია, რის გამოც იგი ფარინგალური **h**-ით გადმოიცემა. სპარსულსა და თურქულში **haç** იხმარება როგორც დამოუკიდებლად, ასევე რამდენიმე შედგენილი სიტყვის წევრია.

სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ **haç** თურქულში ნასესხობაა. მეცნიერთა ნაწილი საკვლევ სიტყვას თურქულ ენებში სპარსულიდან შესულად თვლის, ზოგიერთი კი მას არმენიზმად მიიჩნევს.

თურქულ ენის თარგმნით და განმარტებით ლექსიკონთა უმრავლესობაში, რომლებშიც სალექსიკონო ერთეულების წარმომავლობაა მითითებული, **haç** თურქულში სომხურიდან შესულადაა მიჩნეული. დავასახელებთ ზოგიერთ განმარტებით ლექსიკონს. თურქეთის საენათმეცნიერო საზოგადოებისა (თს) და ფ. თულაჯის თურქული ენის განმარტებით ლექსიკონებში (თულაჯი) ეს შეხედულება გაზიარებულია. თურქული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში (ჰ. ერენი, ი. ეიუბოღლუ), ისევე როგორც ლ. ბუდაგოვის მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს გამოქვეყნებულ ნაშრომსა და თითქმის ერთი საუკუნის წინ გამოსულ ბ. ქერესთევიანის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, განსახილველი ტერმინი სომხური წარმომავლობის სიტყვადაა ნაჩვენები. ქრისტიანული რელიგიის ისეთი მნიშვნელოვანი რეალიის, როგორცაა ჯვარი, აღმნიშვნელი ტერმინი, მოსალოდნელია, რომ ქრისტიან ხალხის ენიდან შესულიყო თურქულში. მ. რესენენი **haç**-ს თურქულ ენებში სპარსულიდან შეთვისებულად თვლის (რესენენი, 1969, 151 ბ).

სულხან-საბა ორბელიანი, ისევე როგორც მე-19 ს. ლექსიკოგრაფები — ნიკო და დავით ჩუბინაშვილები ჩვენთვის საინტერესო ტერმინის წარმომავლობაზე არაფერს ამბობენ.

საკვლევი სიტყვა ქველ-ში შემდეგნაირადაა ახსნილი:

ხატ-ი არაბ. ხატტ „ხაზი, ნაწერი“ 1. გარეგნობა, სახე 2. ეკლ. ღვთაების ან წმინდანის სურათი 3. წარმართული ღვთაება, რომელიც თითქოს მფარველობს მთელ თემს ან ცალკეულ გვარს (სინ. ხევს. ჯვარი) II ამ ღვთაების სამყოფლად მიჩნეული სალო-

ცავი ადგილი 4. კუთხ. (ხევს.) ჯვრის გამოსახულება ორნამენტში. ხევსურული ორნამენტის ტერმინოლოგია შეიცავს მეტად საყურადღებო სახელებს. კერძოდ ჯვრისათვის ჩვენ მოცემული გვაქვს ტერმინი „ხატი“ (ქველ, VIII, 1353).

განსახილველი სიტყვის აღმოსავლურ ენებში ცნობილი მნიშვნელობისათვის („ჯვარი“) განსაკუთრებით ქველ-ის უკანასკნელი, ხევსურულ ორნამენტში გამოსახული ჯვარი იქცევს ყურადღებას.

ხატის ქართული წარმომავლობის სასარგებლოდ ხატვა ზმნაც მეთყველებს.

ხატი ძველ ქართულ ტექსტებში სხვადასხვა მნიშვნელობითაა დადასტურებული: გამოსახულება, ნახატი, მსგავსება, „ფერი“, სახე, სურათი, შესახედაობა.

ხატება გამოსახულება

ხატკეთილობა შეუენიერება, სილამაზე

ხატშუენიერი-ი მშვენიერი, ლამაზი (ი. აბულაძე, 1973, 561).

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ ვკითხულობთ:

ხატი (8, 4 რიცხვ.) მსგავსი სახე — საბა.

ხატი „სახე გამოწერილი, გამოხატული“ (მათე, 22), ნ. ჩუბინაშვილი „ვეფხისტყაოსნზე“ მითითებით ხატვას შემდეგნაირად განმარტავს: „გამოსახვა, გამოწერა ხატისა“ (ნ. ჩუბინაშვილი, 1961, 463).

რუსთველის მხატვრული ენისთვის დამახასიათებელი პარონომაზიით ტარიელი ამბობს (გსარგებლობდით „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემით) :

„მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოვხატე“ — 251,1

ძველი ქართული ენის ტექსტებში -ედ არქაული სუფიქსით ნაწარმოები ხატედი (ხატიანი) „სახედის“ მნიშვნელობითაა დადასტურებული (შანიძე, 1976, 52).

ოთხთავის ქართულ თარგმანში ხატს სახისა და სურათის მნიშვნელობები აქვს: „ვისი არს ხატი და ზედაწერილი“ — ლ. 20, 24, „იცვალა სხუად ხატად წინაშე მათსა“ — მრ. 9,2.

სულხან-საბა ორბელიანი ხატს არაბულ სურათად თარგმნის. ახალ ქართულში სურათის მნიშვნელობით ხატს ქართული ნახატი და არაბული სურათი ჩაენაცვლა.

ერთიანი საქართველოს საეკლესიო ენის — ქართულის ფორმითა და სემანტიკითაა დადასტურებული ეს სიტყვა მეგრულსა და სვა-

ნურში: მეგრ. ხატ-ი, სვან. ხ ტ — ზემოსვანური, ლენტეხური, ხატ ლაშხური (თოფურია, ქალდანი, 2000, 870).

დ. ჩუბინაშვილის აზრით, ხატი არაბული წარმომავლობისაა (დ. ჩუბინაშვილი, 1887, 474). იუსტ. აბულაძეც მას არაბულ სიტყვად მიიჩნევს, თუმცა განსახილველი ტერმინი სპარსულ სიტყვათა რიგშიც აქვს შეტანილი (იუსტ. აბულაძე, 1967, 347, 350).

ხაზ-ი (არაბ. ხატტ) 1. ვიწრო ზოლი რისამე ზედაპირზე, — წირი, სწორი ხაზი — (ქეგლ, VIII 1313).

ქეგლ-ის თანახმად, ხატისთვის მითითებული არაბული ფორმიდან მიღებულადაა მიჩნეული ასევე ქართული ხაზი. თუ ეს თვალსაზრისი მისაღებია, მაშინ ხაზი ძველ არაბულ ნასესხობებს განეკუთვნება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეგრულში განსახილველი სიტყვა ამავე მნიშვნელობით და ხაზი და ღაზი ფორმებით იხმარება (ქაჯაია). გამოდის, რომ არაბულის ერთი ფორმიდან ქართულში ორი სხვადასხვა მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულია მიღებული: ხატი და ხაზი.

ეფიქრობთ, ქართული ხატის არაბული წარმომავლობის ვარაუდი უნდა გადაიხედოს ძირითადად შემდეგი არგუმენტების გამო:

ა) სამთაწმომიანი არაბული სიტყვების უმრავლესობისგან განსხვავებით ორთაწმომიანი ხატტ არ განეკუთვნება საერთო სემიტურ ფუძეთა ფონდს, რაც აძლიერებს ეჭვს მისი ძირეულ სემიტურობის შესახებ.

ბ) საკვლევი სიტყვა ფართოდაა გავრცელებული ქართველურ ენებსა და კილოკავებში. CVC სტრუქტურის ბევრი ძირია ქართულ ლექსიკაში. ხატ—ის მსგავსად, ხ და ტ თანხმომების შემცველი ხვეტ— ზმნა საერთო ქართველური ფუძეა.

გ) სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისები, რომ ზოგიერთი ძველი ქართული ღვთაება სემიტურ პანთეონშიცაა გადასული (მ. წერეთელი, ი. ჯავახიშვილი).

როგორც ქართველ (ნ. მარი, ი. ჯავახიშვილი, გ. წერეთელი), ასევე საზღვარგარეთელ მეცნიერთა ერთი ნაწილი ინდოევროპულსა და სემიტურ ენებში ღვინის სახელწოდებას ქართული წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევს.

აკად. გ. წერეთელი ხაზს უსვამდა კავკასიელი და სემიტი ხალხების მჭიდრო ურთიერთობას შორეულ წარსულში: „რომ ამ ხალხებს შორის ერთ დროს მჭიდრო ენობრივ-კულტურული კავშირები არსე-

ბობდა, ეფიქრობ, ეჭვს გარეშეა“ .

ტერმინ ღვინის გარდა ქართველი მეცნიერი სემიტურ ენებში სხვა ქართული ნასესხობების შესაძლებლობასაც ვარაუდობდა: „სპეცილურმა ძიებამ შესაძლებელია გამოავლინოს სხვა სიტყვებიც, რომლებიც ქართულიდან უნდა იყვნენ გავრცელებული ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში“ (წერეთელი 2001, 10).

ამჯერად დავკმაყოფილდებით იმის აღნიშვნით, რომ სემიტურ ენებში საკულტო ტერმინოლოგიის სფეროში არის ქართველური ნასესხობანი. დავასახელებთ ორ მაგალითს:

ქართული „მადლი“ > არაბული faql „სათნობა“, „მადლი“. მად-ლ-ის უმად—ურთან, ხამ-ლ-ის უხამ—ურთან შეპირისპირების საფუძველზე ამ ფუძეში მკვლევრები დეტერმინანტ ლ—ს გამოჰყოფენ (ჩიქობავა, 1942, 52).

ძველი ქართული „ზუარაკი“ > ქანაანური „ზებარის“ (ჯავახიშვილი, 1960, 61).

ზუარაკი ზორვა// ძორვა ზმნური ფუძიდან მიღებული არსებითი სახელია: „ნუ უზორეთ ღმერთთა!“ (ი. აბულაძე, 1973, 168).

საკვლევი სიტყვა ძველ ქართულ ტექსტებშია დადასტურებული: „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ნახაზობა:

ვინ გაიცდის შუქთა მისთა, ვინმცა ვით ქმნა ნახაზობა! — 1136, 3
„ვინ გაუმაგრებს მას თვალებს, ვინ დახატოს მისი სურათი!“ (ბერიძე, 1967, 306).

როგორც ქეგლ-ის ზემომოყვანილი განმარტებიდანაც ჩანს, განსახილველი სიტყვა ხევსურულში „ჯვრის“ მნიშვნელობით იხმარება. ამგვარადაა ახსნილი ხატი „ხევსურულ ლექსიკონშიც“ (ჭინჭარაული, 2005, 1119). ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია ხევსურული ხატის ორნამენტს ირიბ ჯვრიან ორნამენტსაც მიაკუთვნებენ. ხევსურები მას „გახატულს“ უწოდებენ (ბარდაველიძე, ჩიტაია, 1939, 53). თუ რამდენად გავრცელებულია და მაშასადამე ძველიც იგი ხევსურულში, ამაზე სიტყვის გავრცელებულობაც მოწმობს. ხატი 1. ნაქარგი, ნაქსოვი ან ნაძერწი ხატის ფორმისა 2. საქორწინო ჩიჩილაკი.

ხატი—ხუტა, ხატი-ხუტულა რამდენიმე ხატი, ხატულა პატარა ხატი და სხვ. (ჭინჭარაული, 2005, 1119).

წარმართობის დროიდან მომდინარე ამ უძველესმა ქართულმა საკულტო ტერმინმა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ჯვრის მნიშვნელობა შეიძინა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ქართული

ტერმინი „ჯვარი“ ქართულისა და ოსურის გზით სხვადასხვა ფორმითა და მკვიდრებული მთის კავკასიურ ენებში: ადიღური, ყაბარდოული, აფხაზური, ინგუშური, აგრეთვე ბალყარული, (აბაევი, 1958, I, 401-402). რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის ენებში დადასტურებულ ფორმებს, ამოსავალი სომხურია. მ.რესენენის თვალსაზრისი საკვლევი ტერმინის სპარსული წარმომავლობის შესახებ დამაჯერებელი არ ჩანს, რასაც წინამდებარე სტატიაში მოყვანილი მტკიცებულებებიც ნათელყოფს.

სომხურში ხაჩ ქრისტიანულ ჯვარს ნიშნავს. ხაჩ შედგენილი სიტყვის ხაჩქარ-ის („ქვაჯვარი,“) წევრია. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების სომხეთში ბევრი იყო მემორიალური თუ სხვა დანიშნულების ძეგლები — შვეულად მდგარი ქვის ფილები, რომელთა ორნამენტს დიდი ჯვრის გამოსახულება ამშვენებს.

პრ. აჭარინმა გაიზიარა პ. ჰორნის ვერსია ჩვენთვის საინტერესო ტერმინის ინდოევროპული წარმომავლობის შესახებ — **khet** „შეშა“, „ჯოხი“, „კეტი“ (აჭარინი, 1973, 334).

ხაჩის ზემომითითებულ ი.—ე. ფორმებთან, რომლებთანაც ქართული „კეტის“ განხილვა უფრო შეიძლება, ფორმისა და სემანტიკის თვალსაზრისით ხაჩის დაკავშირება დამაჯერებელი არაა.

საკვლევა ფუძემ ჯვრის მნიშვნელობა, რომელიც ნაწილობრივ ქართულშიც დასტურდება, სომხურში შეიძინა.

ქართული დენტალის პალატალიზაცია სომხურშია მომხდარი. სომხურიდან უნდა იყოს შესული სიტყვა უდიურში. ქურთულში დასტურდება ხაჩ. თვით ქართულ სახელებშიც მოხდა დენტალის გარბილება. ვფიქრობთ, ხატის პალატალიზებული ფორმა ხაჩი უდევს საფუძვლად გვარსახელებს — ხაჩიძესა და ხაჩიშვილის.

განსახილველი სიტყვა ქრისტიანული ჯვრის სემანტიკითაა შესული სპარსულსა და საშუალო საუკუნეების ზოგიერთ თურქულ ძეგლსა და თანამედროვე ენაში.

ზოგიერთ ნაშრომში ქართული ხატისთვის ამოსავლად მიჩნეული არაბული ხატ-იდან მომდინარეობის ვერსია გაუმართლებლად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, ის ძველი ქართული ნასეხობაა სემიტურ ენებში. აკად. გ.წერეთელი ფიქრობს, რომ განსახილველი სიტყვა არაბულში არამეულიდანაა შესული, სახელთან ერთად არის ზმნაც „ხაზი გაუსვა, წერდა“ (წერეთელი 1960, 196).

ქართულ ხატს სემიტურ ენებში ადვილად შეეძლო მოეცა ხატ.

გ.წერეთლის არაბული ქრესტომათიის მიხედვით ქართ. საკ. სახელები, რომლებიც ხორხისმიერ ხ—სა და დენტალურ ტ-ს შეიცავენ, არაბი გეოგრაფოსებისა და ისტორიკოსების ტექსტებში შესაბამისი არაბული თანხმონებებითაა გადმოცემული:

ქართ. ხ > არაბ. ხ : აფხაზ — ი > აბხაზ

ქართ. ტ > არაბ. ტ: აშოტ — ი > აშუტ

ამდენად, ქართული ხატ-ი შეიძლება სემიტურში ხატ ფორმით გადასულიყო. ეს უკანასკნელი სიტყვა, ისევე როგორც ამ ორთანხმონიან ზმნისგან ნაწარმოები პროფესიის აღმნიშვნელ ხატტატ („კალიგრაფი“), მნიშვნელობის უცვლელადაა დაუნჯებული ბევრი აღმოსავლური ენის სიტყვიერ მარაგში.

თუ რამდენად ძველ ქართულ ონომასტიკონს მიეკუთვნება ხატი, ამას ძვ.წ. II ათასწლეულის ხეთურ ტექსტებში, რომლებშიც, ჩვენი აზრით, ბევრი ქართული ანთროპონიმია, **CVCVV** ტიპის ქართველური ეტიმოლოგიის მქონე ანთროპონიმებიც ნათელყოფს: **Huzzia** (ხუცია), **Hattia** (ხატია) (გაბესკირია, 1998, 27). ამ ტიპის სახელებში, როგორც ალ. ლლონტი წერს, „... აბლატური სეგმენტები დერივატული და დამცირების (ან კნინობითობის) მაწარმოებელია“ (ლონტი, 1986, 24).

სტატიაში გადმოცემულ მტკიცებათა საფუძველზე, ჩვენი აზრით, ქრისტიანული ჯვრის აღმნიშვნელი ტერმინები სპარსულსა და რიგ აღმოსავლურ ენაში ერთ-ერთი პირველი ქრისტიანების-ქართველთა ენიდანაა შესული. ქართული ხატი ქრისტიანული ჯვრის მნიშვნელობითაა დამკვიდრებული სომხური, სპარსული და თურქულ ენების ლექსიკურ ფონდში.

განხილული ქართული სიტყვა შორეულ წარსულშია შესული ჩრდილო სემიტურ ენებში, ქართული > არამეული > არაბული, სადაც მისი მნიშვნელობის გადაწევა მოხდა: „ხატი“ > „ხაზი“. ქართული ენის ლექსიკურ ფონდში ხაზის მნიშვნელობით ცნობილი ამ სიტყვისთვის ამოსავალი არაბული ფორმაა. იგი შეიძლება როგორც უშუალოდ არაბულიდან, ასევე სპარსულის გზით შემოსულიყო ჩვენს ენაში.

აბაევი, 1958 — В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М.-Л., 1958.

ი. აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.

იუსტ.აბულაძე, 1967 — იუსტ. აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967.

აჭარიანი, 1973 — ჰრ. აჭარიანი, სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი (სომხ. ენაზე), II, ერევანი, 1973.

ბარდაველიძე, ჩიტაია, 1939 — ე. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბ., 1939.

ბერიძე, 1967 — ვ. ბერიძე, ვეფხისტყაოსნის კომენტარი. თბ., 1967.

გაბესკირია, 1998 — შ.გაბესკირია, აკად. არნ.ჩიქობავა და ქართველური ენების ხეთურ (ნესიტურ) და ხათურ (პროტოხეთურ) ენებთან ურთიერთობის საკითხები, საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.

ერენი, 1999 — H. Eren, Türk Dilinin Etimolojik Sözlüğü, Ankara, 1999.

ეიუბოღლუ, 1998 — İ. Z. Eyuboğlu, Türk Dilinin Etimoloji Sözlüğü, İstanbul, 1998.

თოფურია, ქალდანი, 2000 — ვ. თოფურია, მ.ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

თს, 1998 — Türkçe Sözlük, I, Ankara, 1998.

თულღაჯი — P.Tuğlacı, Okyanus Ansiklopedik Sözlük, 3.

რესენენი, 1969 — M. Räsänen, Versuch eines etymologischen Wörterbuchs der Türkisprachen, Helsinki, 1969.

ორბელიანი, 1968 — სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ტ. IV 2, თბ., 1968.

ქაჯაია, 2002 — ო. ქაჯაია, მეგრულ — ქართული ლექსიკონი, III, თბ., 2002.

ღლონტი, 1986 — ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

შანიძე, 1976 — ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ჩიქობავა, 1942 — ა. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

დ. ჩუბინაშვილი, 1887 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანციკული ლექსიკონი, სანკტ პეტერბურგი, 1887.

ნ. ჩუბინაშვილი, 1961 — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961.

წერეთელი, 1961 — გ. წერეთელი, არაბულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1961.

წერეთელი, 2001 — გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, ორიენტალისტი, I, თბ., 2001.

ჭინჭარაული, 2005 — ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბ., 2005.

ჯავახიშვილი, 1960 — ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960.

SHALVA GABESKIRIA

Georgian Borrowings Denoting "Christian Cross" and "Line" in Oriental Languages

Summary

The paper investigates the etymology of the Armenian, Persian, Tajik and Turkish lexical units denoting "cross" and the Arabic term nominating "line".

The viewpoint about the Indo-European origin of the Armenian word *xač* meaning cross, from Indo-European *khet* (meaning stick, tree, wood) is considered unconvincing. It is maintained that the above-mentioned Armenian word which is evidenced in some Oriental languages originates from the palatalized Georgian word *xaṭi* (icon). It is noteworthy that in the Khevsurian dialect of Georgian *xaṭi* has the meaning of cross as well.

In Georgian dictionaries and some scholarly works the Georgian word *xaṭi* is regarded as the word of Arabic origin (Arabic *xaṭṭ* meaning line, writing). The paper argues that: a. the Arabic *xaṭṭ* is not a common Semitic stem. b. According to G. Tsereteli it is of Arameic origin.

The author of the paper presumes that the Georgian xatī was borrowed by Semitic languages during ancient Kartvelian - Semitic contacts in Asia Minor. Later the Arabic xatī with the meaning "line" was borrowed by many Oriental languages. Through Arabic or Persian it returned to the Georgian lexis.

ზინა ბაბიჩვაძე

**მევენახეობა-მელვინეობის აღმნიშვნელი ლექსიკით
მოტივირებული ტიპონომიკა საქართველოში**

მევენახეობა-მელვინეობა ოდითგანვე საქართველოში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია. თავისთავად მასთან დაკავშირებული ლექსიკა აისახა ტოპონიმოლოგიაშიც.

ტოპონიმია ენის ლექსიკური ფონდის კუთვნილებაა, მისი ერთ-ერთი თავისებური ჯგუფი. მევენახეობა-მელვინეობის აღმნიშვნელი ლექსიკით მოტივირებული ტოპონიმოლოგიური სახელები ძირითადად ნაწარმოებია აფიქსის მეშვეობით ან კომპოზიტით, მაგრამ გვხვდება მარტივი, უაფიქსო სიტყვაც. ზოგიერთ შემთხვევაში გეოგრაფიული სახელების დარქმევასას საფუძვლად აღებულია ვაზის ჯიშთან დაკავშირებული სახელებიც და ამ ტოპონიმების საშუალებით შეიძლება დავინახოთ, თუ სად, რა ჯიშის ყოფილა გავრცელებული. წინამდებარე წერილში მოცემულია მევენახეობა-მელვინეობის აღმნიშვნელი ლექსიკით მოტივირებული ტოპონიმები საქართველოში.

ატენი — სოფ. გორის რ-ში

ატენის ხევი — ხეობა გორის რ-ში

ახალშენა — სოფ. კასპის რ-ში

ახალშენი — სოფლები ახმეტის, გარდაბნის, გორის, დუშეთის, ზნაურის, კასპის, ლენტეხის რ-ში

ახაშენი — სოფ. გურჯაანის რ-ში

ბაბილო — სოფ. ლენტეხის რ-ში

ბაგები — სოფ. თბილისთან ახლოს

ბადიაური — სოფ. საგარეჯოს რ-ში

ბაღმარანი — სოფ. გულრიფშის რ-ში

გავაზი — სოფ. ლენინგორისა და ყვარლის რ-ში

გავაზის წყალი — მდ. ყვარლის რ-ში

გავაზურისწყალი — მდ. კასპის რ-ში

გიდელისწყალი — მდ. შუახევის რ-ში

დიდი მაჭარი — მდ. გულრიფშის რ-ში
ენისელი — სოფ. ყვარლის რ-ში
ვაზიანი — სოფ. გარდაბნის, მცხეთის, ჩოხატაურის რ-ში
ვაზისუბანი — სოფ. გურჯაანისა და სამტრედიის რ-ში
ვეჯინი — სოფ. გურჯაანის რ-ში
ზემო მაჭარა — სოფ. გულრიფშის რ-ში
ზვარე — სოფ. ხარაგაულისა და ქედის რ-ში
ზვარეთი — სოფ. ონის რ-ში
ზვარულა, **ზვარე**, **ზვარისწყალი** — მდ. ხარაგაულის რ-ში
თაკვერი — ისტორიული მხარე საქართველოში, ახლანდელი რა-
ჭა-ლექსუმი
კარდენახი — სოფ. გურჯაანის რ-ში
კოკა — სოფ. ტყიბულის რ-ში
კოკათი — სოფ. ლანჩხუთის
კოკი — სოფ. ზუგდიდის რ-ში
კულაში — სოფ. სამტრედიის რ-ში (კულა, საკულაო — სამამუ-
ლე რქა კახ., ლ. ასათიანი)
ლერწიანა — მდ. ახალციხის რ-ში
მამულა — სოფ. დმანისის რ-ში
მამულაანი — სოფ. ლენინგორის რ-ში
მამულარი — სოფ. ჩოხატაურის რ-ში
მანავი — სოფ. საგარეჯოს რ-ში
მარანა — სოფ. გორის რ-ში
მარანი — სოფ. აბაშისა და გულრიფშის რ-ში
მარანჭალა — სოფ. აბაშის რ-ში
მარნეული — ქალაქი ქვემო ქართლში
მარნეულის ვაკე — ვაკე ქართლში
მატანი — სოფ. ახმეტის რ-ში
მატნისხევი — მდ. ახმეტის რ-ში
მაჩხაანი — სოფ. დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რ-ში
მაჩხაკროსი — უღელტეხილი ლაგოდეხის რ-ში
მაჩხაბე — მდ. ჩხორუწყის რ-ში
მაჩხარა — სოფ. და მთა ჯავის რ-ში
მაჩხაფარი — მწვერვალი ლენტეხის რ-ში
მაჩხვარეთი — სოფ. ლანჩხუთის რ-ში
მაჭარა — სოფ. და მდ. გულრიფშის რ-ში

მაჭარულა — მდ. ზესტაფონის რ-ში
მაჭარწყალი — სოფ. ბორჯომის რ-ში
მეზვრიაანთკარი — სოფ. დუშეთის რ-ში
მზვარეთი — სოფ. კასპის რ-ში
მუკუზანი — სოფ. გურჯაანის რ-ში
ნავენახევი — სოფ. თერჯოლის რ-ში
ნავენახევის მღვიმე — მღვიმე თერჯოლის რ-ში
ნამანევი — სოფ. ამბროლაურის რ-ში
ნაფარეული — სოფ. თელავის რ-ში
ნაწინდრისწვერი — მთა თელავის რ-ში (წიდანა — ძვ. ქართ.,
ქართლ., ნაწიგარი — ლექს., საწინდარი —
იმერ., რაჭ. — დასარგავი რქა, ლ. ასათი-
ანი)
ოცხანა — სოფ. გორის რ-ში
ოჩხამური — მდ. ქობულეთისა და ოზურგეთის რ-ში
ოჩხომური — სოფ. და მდ. ხობისა და ჩხოროწყის რ-ში
პატარა მაჭარა — მდ. გულრიფშის რ-ში
საღვინე — სოფ. ზესტაფონის რ-ში
საჭურე — სოფ. თიანეთის რ-ში
ტიბაანი — სოფ. სიღნაღის რ-ში
ქვემო ახალშენი — სოფ. თეთრიწყაროს რ-ში
ჩარქაული — სოფ. ახმეტის რ-ში
ჩხა — მდ. სოხუმის რ-ში
ჩხალთა — სოფ. გულრიფშის რ-ში
ჩხაკოურა — სოფ. და მდ. ჩოხატაურის რ-ში
ჩხარაული — სოფ. ცხინვალის რ-ში
ჩხარ-ეწერი — სოფ. თერჯოლის რ-ში
ჩხარი — სოფ. ერჯოლის რ-ში
ძირკოკა — სოფ. გურჯაანის რ-ში
ხარისთვალა — სოფ. ამბროლაურის რ-ში
ჭაჭამური — სოფ. ქობულეთის რ-ში
ჭაჭარაქი — სოფ. ახალციხის რ-ში
ჭითაუმკური — სოფ. ხობის რ-ში (ჭითაში — ყურძნის ჯიში)
ხვანჭკარა — სოფ. ამბროლაურის რ-ში
ჯუგაანი — სოფ. სიღნაღის რ-ში (ჯაგანი — იმერ., კახ. მრავალ-
მტეგნიანი რქა)

ლიტერატურა

ასათიანი, 1978 — ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბ., 1978.

აფრიდონიძე, მაკალათია, 1980 — შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია, ოიკონიმთა ინვერსიული ლექსიკონი, ტოპონიმოკა, ტ. II, თბ., 1980.

საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987.

ქეგლ, 1950-1964 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950-1964.

ჯორბენაძე, 1976 — ბ. ჯორბენაძე, დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმიაში, ტოპონიმოკა, ტ. I, თბ., 1976.

ZINA GABICHVADZE

Geogain Toponyms Motivated by Viticulture and Wine-making Lexis

Summary

Viticulture and wine-making are classical branches of Georgian culture. The study of the Georgian toponyms motivated by viticulture and wine-making lexis has shown that similar or identical geographical names are encountered in various parts of Georgia. According to the data the spread of different vine species can be stated.

The research has proved that the toponyms motivated by viticulture and wine-making have occurred since time immemorial.

რუსულან ბერსამია

„განძი“ – ძველი ქართული სამართლის ტერმინი

განძი ძველი ქართული სამართლის ის ტერმინია, რომლითაც აღინიშნება საკუთრების უფლების წარმოშობის ერთ-ერთი თავდაპირველი წყარო. სალიტერატურო ენის წიაღიდან აღებულ ამ ლექსიკურ ერთეულს ხმარების სხვა სფერო აქვს და ფუნქციაც განსხვავებული ენიჭება. ჩვეულებრივ მეტყველებაში მას ერთი მნიშვნელობა აქვს და ერთ რომელიმე კონკრეტულ რეალიაზე მიუთითებს, ხოლო ტერმინოლოგიურ სისტემაში ის სხვა დენოტატს უკავშირდება და სრულიად სხვა მნიშვნელობას იძენს. ამის მიხედვით, ბუნებრივია, რომ სამართალში განსხვავებულია მისი დეფინიციაც.

სიტყვა **განძი** ქართულ წერილობით წყაროებში IX საუკუნემდე არ გვხვდება (აბულაძე, 1955, XVII), იგი საბას განმარტებით, არის „უნჯი ZABC“ („უნჯსა უწოდენ E“) და სომხურია (საბა 1991, 144); დ. ჩუბინაშვილი ამ სიტყვის სხვაგვარ წარმომავლობაზე მიუთითებს, მას **განძი** სპარსიზმად მიაჩნია და შემდეგნაირად ხსნის: (ჩუბინაშვილი, 1984, 224); მზ. ანდრონიკაშვილი ჰ. ნიბერგზე მითითებით აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა ერთნაირად გავრცელებულია სემიტურ და ირანულ ენებში, მკვლევარი იზიარებს მისი სპარსულიდან წარმომავლობის საკითხს (ანდრონიკაშვილი, 1966, 298-299), ი. აბულაძესაც ის ახალ სპარსულ სიტყვათა ნუსხაში შეაქვს და იქვე დასძენს, რომ ამ სიტყვას ფალაურშიც ვხვდებით (აბულაძე, 1955, XVII).

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, **განძი** არ არის ქართული, მკვლევრები მის სპარსულ წარმომავლობაზე მიუთითებენ, სომხურში დადასტურებული **ganj**-იც იმავე მნიშვნელობისაა და სპარსულიდან შემოსულად ითვლება (აჭარიანი, 1971, 516). ძნელი სათქმელია, აღნიშნული ლექსემა რომელი ენიდან შეიძლება იყოს ქართულში დამკვიდრებული, როგორც ჩანს, ის იმ ლექსემათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც ერთნაირად გავრცელებულია როგორც სომხურში, ისე ქართულში.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში **განძის** მნიშვნელობა ემთხვევა ძველი ქართულისას, ეს არის „ძვირფასი ნივთები; ძვირფასი რამ, ფასეულობა; სიმდიდრე, ქონება“ (ქეგელი-ი, II, 1031).

ლექსემა **განძი** მოხსენიებულია ქართული სამართლის ძეგლებშიც. საგულისხმოა, რომ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში შესული ძეგლებიდან ის მხოლოდ სომხურიდან ნათარგმნ „მხითარ გომისა“ სამართლის ქართული ვერსიის 182-ე მუხლში გვხვდება: „ვინგინდავინ... სთხრიდეს ორმოსა და იპოვნოს... რითმე ჭურჭლითა **განძი** ძველითგან შენახული...“ (ქსდ. I, 1963). დასტურდება 1084 წლით დათარიღებულ პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონშიც: „ველითა **განძითა** ჩემითა ნასყიდნი სახლნი“ (მუხ. 17), „**განძი** როქისა“ (მუხ. 43), „**განძი** საფასე“ (მუხ. 90), „სამეუფო სა განძისათჳს“ (მუხ. 106); „ძველი ერისთავთა“ (1348-1400წწ.): „და მათ ასწავლეს დაფლული მრავალი **განძი**“ (ქსდ. II, 1965).

განძის, როგორც იურიდიული ტერმინის მნიშვნელობა განსხვავებულია იმ მნიშვნელობისაგან, რომელიც სალიტერატურო ენაშია. ცხადია, იგი გარკვეული ფასეულობის მქონე უნდა იყოს, მაგრამ აუცილებლად გულისხმობს მიწაში დაფლვას და მისი დაფლვის შემდეგ იმდენი ვადის გასვლას, რომ მისი მფლობელის დადგენა შეუძლებელი იყოს. განძის ყოფითი ცნებისათვის კი ეს არაა აუცილებელი და, ამ შემთხვევაში, მას თვით საგანთა რაობა აფუძნებს (ზოიძე, 1996, 209). ბ. ზოიძე თვლის, რომ **განძის** ყოფითი გაგება უფრო გვიანდელია, მისი აზრით, თავდაპირველად **განძის** ხმარება მკვიდრდებოდა, როგორც მიწაში დაფლული ქონების მიმართ... აღნიშნულ თვალსაზრისს ამყარებს ჰრ. აჭარაინის ლექსიკონში მოძიებული მასალაც, ლექსიკოლოგი მიუთითებს, რომ ქართულში **განძი** „მიწაში დამარხული განძია“ (აჭარაინი, 1971, 516). სამართალში განძისთვის სწორედ მიწაში დაფლვა და გარკვეული დროითი ხანდაზმულობაა საჭირო. ბ. ზოიძეს ამგვარი დასკვნის საფუძველს აძლევს ის, რომ სამართლის ძეგლების ენით ღია წესით ნაპოვნი ქონება განძად არ ითვლება (ზოიძე, 1996, 211); ამიტომაც, მკვლევრის აზრით, ვახტანგ VI-ის კრებულში შესული „ბერძნული სამართლის“ 254-ე და 255-ე მუხლებში, სწორედ რომ, განძზე უნდა იყოს საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ ლექსემა **განძი** აქ საერთოდ არ არის ნახსენები (ზოიძე, 1996, 214).

თანამედროვე ქართულში **განძი**- ძირისაგან ნაწარმოები რამდენიმე ფორმა გვაქვს: **სა-განძი-ე**, **სა-განძი-ო**, **სა-განძი-ურ-ი**, **განძი-ეულ-ი**, **სა-განძი-ეულ-ო**, **განძი-ეულ-ობ-ა** (ქეგელი. VI, 530-531; ქეგელი. II, 1031-1032). აქედან ძველ ქართულში მხოლოდ **საგანძური** დასტურდება, მისი ერთი მნიშვნელობა ემთხვევა ახალი ქართულისას: „განძი, საუნჯე (მნიშვნ. 2)“ (ქეგელი. VI, 530); **სა-ურ** აფიქსებით ნაწარმოები ლექსემა დანიშნულების აღმნიშვნელი სახელია, სწორედ ამ ნიშნით იქნებოდა თავდაპირველად განსხვავებული ძირეული (**განძი**) და წარმოქმნილი (**საგანძური**) ლექსემების მნიშვნელობები. მნიშვნელობათა დამთხვევები უფრო მერმინდელი ჩანს. ქართულმა **განძი**- ძირი ისეცხა და შემდეგ ამ ნახსენები ძირისაგან შექმნა ის სიტყვაწარმოებითი მოდელები, რომელიც დღევანდელ ქართულშია, მათ შორის, უკვე ძველ ქართულშივე არსებული **საგანძური**.

საგანძური ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში არ გვხვდება, სამაგიეროდ დასტურდება X-XIX საუკუნეთა საეკლესიო საკანონმდებლო აქტებში. 1768 წლით დათარიღებული „მცნება მღვდელთათვის გვამცნობს“: „ნურც ერთს გლახს, ნურც **საგანძურს** და ნურც შემოსავალს... საგმარად არ მისცემდეს“ (მუხ. 30), „ან მიწა-ალაგს, ან **საგანძურს** და შემოსავალს... თავს არ დავანებებთ“ (მუხ. 31) (ქსდ. III, 1970); „წყალობის წიგნი გიორგი XI-ისა ბეგთაბეგ შანშევან მარტეროზის შვილისადმი“ (1685წ): წარმოვევლინოთ დიდისა მრავლისა და უცხოთა **საგანძურითა** ტახტსა და სახელმწიფოსა ჩვენსა“ (ქსდ. II, 1965, 228)

ტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ძველი ქართული სამართლის ძეგლებში **საგანძურის** მნიშვნელობა არ ფარავს **განძის**, როგორც იურიდიული ტერმინის, მნიშვნელობას. **საგანძურში** ყველგან იგულისხმება სიმდიდრე, ძვირფასი ნივთები, რომელიც ღია წესით არსებობს და რომელსაც პატრონიც ჰყავს; ანუ მისთვის არ დგება ის სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც „**განძის**“ იურიდიულ ცნებად ქცევისათვის არის აუცილებელი. ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს „ქართლის ცხოვრებაში“ დადასტურებული მასალა: „ხევსთა კახეთისასა არჩილ დაჰვლა საგანძური“ და „... საგანძური ყოველთა ქართლისა ეკლესიათანი... დაჰვლა მცხეთასა“ (სიმფონია-ლექსიკონი, 1986, 49). აქედან კარგად ჩანს, რომ ძვირფასი ნივთები „**საგანძურს**“ წარმოადგენდა მის მიწაში დაფლვამდე, ანუ ძვირფასეულობა საგანძური იყო, თუნდაც არ ყოფილიყო სადმე დამალული. **განძი** ||

საგანძურის ამგვარი გაგება საეკლესიო ბუნებრივია „ქართლის ცხოვრების“ ტექსტისთვის და, ცხადია, მას სამართლის ძეგლებშიც ვხვდებით, მაგრამ სამართლის ენა ტერმინად მხოლოდ **განძი** ამკვიდრებს, მხოლოდ მას ანიჭებს სამართლებრივ გაგებას და არა მისგან ნაწარმოებ სხვა ლექსემას.

საყურადღებო ფაქტია, რომ ქართულ ოთხთავში ლექსემა **განძი** არ გვხვდება (იმნაიშვილი, 1986), სამაგიეროდ მრავლადაა **უნჯი** ძირისაგან ნაწარმოები **სა-უნჯე-უნჯი განძის** სინონიმია (ნეიმანი 1978, 90), იგი, დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, სომხური წარმოშობისაა და მისი მნიშვნელობაა „განძი, ლარი, სიმდიდრე, Сокровище: Богатство“ (ჩუბინაშვილი, 1984, 1264); „ქონება, სარჩო“ (სარჯველაძე, 2001, 216). მზ. ანდრონიკაშვილი კი **უნჯი** ძირის თავდაპირველ ვარიანტად თვლის არამეულში გავრცელებულ **ჰუნჯი**-ს, რომელიც ასეთივე სახით არსებობდა სპარსულშიც, ქართულში კი მან დაკარგა პირველი ბგერა (ანდრონიკაშვილი, 1966, 299). **უნჯი** სამართლის ძეგლებში არ დასტურდება.

განძი VI-ის სამართლის კრებულში შესულ „ბერძნულ სამართალში“ ორგან დასტურდება **საუნჯე**: „და რომელმანც საღმთო **სა-უნჯე** უპატრონოდ ასესხოს ვინმე, მას თავი მოეჭრას“ (მუხ. 107), „მისანი არის გრძნეული, რომელიც იქმნებთან ეშმაკისა **საუნჯენი**“ (მუხ. 346). 107-ე მუხლში **საუნჯე** „განძის, ქონების, საგანძურის“ აღმნიშვნელია (ი. იმნაიშვილი, 1966, 299), ამ მნიშვნელობით ის თანამედროვე ქართულში დადასტურებულ მნიშვნელობას ემთხვევა: „ძვირფასი ნივთები, — ფასეულობა, განძი, სიმდიდრე“ (ქეგლ. VI, 836); 346-ე მუხლში კი ის „შეკრება, შენახვას“ ნიშნავს; ამავე მნიშვნელობით არის **დაიუნჯოს** ზმნური ფორმაც ამავე სამართალში; „კაცმა რომე **დაიუნჯოს** საქონელი, ადვილი არს...“ (მუხ. 1). სამართლის ძეგლებში არსად არ გვხვდება სინტაგმა „საუნჯის დაფლვა“ ან „დაფლული საუნჯე“, როგორც ეს **განძი** || **საგანძურის** შემთხვევაში გვაქვს.

შეიძლება დავასკვნათ: **განძის** ის განმარტება, რომელიც ჩვეულებრივ მეტყველებაში გამოიყენება, განსახვავებულია იმ დიფინიციისაგან, რომელიც სამართალშია. **განძის** ცნება, როგორც სამართლის ტერმინისა, სხვა დენოტატს უკავშირდება, ეს არის „განზრახ დაფლული ან სხვანაირად დამალული ქონება“ (ზოიძე, 1996, 2002); სამართალში არ აკონკრეტებენ, თუ რა იგულისხმება ამ ქონებაში:

მხოლოდ ძირფასი ნივთები თუ ნებისმიერი ნივთი, რომელიც დაიფლავა მიწაში და, რომელმაც დროითი ხანდაზმულობის გამო დაკარგა პატრონი. **განძის** აღმოჩენის შემთხვევაში ძველ ქართულ სამართალში წარმოიშობა საკუთრების უფლება.

სტრუქტურულად **განძი** განეკუთვნება ისეთ უაფიქსო მარტივ ტერმინთა რიგს, როგორიცაა: ბჭე, ბრალი, მსჯავრი... (მეტრეველი, 1989, 58).

ლიტერატურა

აბულაძე, 1955 — მამათა სწავლანი (X-XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით), ტექსტი გამოსცა და შესავალი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1955.

ანდრონიკაშვილი, 1966 — მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.

აჭარაიანი, 1971 — ჰრ. აჭარაიანი, სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი (სომხურ ენაზე), ტ. I, ერევანი, 1971.

ზოიძე, 1996 — ბ. ზოიძე, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი ძველ ქართულ სამართალში: „სერგო ჯორბენაძე — 70“, თბ., 1996.

იმნაიშვილი, 1986 — ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986.

მეტრეველი, 1989 — ნ. მეტრეველი, „დიდი სჯულის კანონის“ იურიდიული ტერმინოლოგიის ზოგადი მიმოხილვა: „საბჭოთა სამართალი“, №6, 1986;

ნეიმანი, 1978 — ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.

საბა, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991;

სარჯველაძე, 2001 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.

სიმფონია-ლექსიკონი, 1986 — ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, I, თბ., 1986.

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული, I-VIII, თბ., 1950-1964.

ქსძ — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963; ტ. II, თბ., 1965; ტ. III, თბ., 1970.

ჩუბინაშვილი, 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

RUSUDAN GERSAMIA

Systematic Repeated Actions Conveyed by the Megrelian Preverb *gila*

Summary

Among the meanings of the Megrelian preverb *gila* the following are noteworthy.

1. indication of action direction.
2. showing location in space.

Quite often the forms with the preverb *gila* denote horizontal movements, aimless motions, or motions to and fro. Hence as the result of a semantic shift, the seme "to and fro" is neutralized and the meaning of systematic repeated action is achieved.

გვანცა გვანცელაძე

ვარდის მეტაფორული სემანტიკის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“

როგორც ცნობილია, თუ სიტყვას არ ახლავს შედარების აღმნიშვნელი სიტყვა თუ ამავე ფუნქციის მქონე ნაწილაკი, ან თანდებული, მაშინ საქმე გვაქვს სიტყვის **ფიგურალურ გამოყენებასთან**, ე. ი. **მეტაფორასთან** (ფოჩხუა, 1974: 165), ე. ი. მეტაფორა იმავე სიტყვის გადატანითი ხმარებაა და იგი დაკავშირებულია როგორც ემოციურ, ისე ექსპრესიულ მხარესთან. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მიიქცია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, სადაც იშვიათი არ არის მცენარეთა სახელების გამოყენების შემთხვევები ადამიანთა მეტაფორულ მახასიათებლად. მცენარეთა სახელებიდან, ამ მხრივ, ძალზე ხშირად იხმარება ვარდის სახელი თანმხლებ მსაზღვრელ სიტყვებთან ერთად.

პოემის ძირითადი ტექსტის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ვარდი, როგორც მეტაფორა, გამოყენებულია ხუთი ძირითადი მნიშვნელობით. ესენია: 1. ადამიანის ვარდისფერი, ნორჩი პირისახე; 2. ადამიანის ვარდისფერი ლაწვები და ლოყები; 3. ადამიანის ბაგეები; 4. ნორჩი, მშვენიერი ქალწული; 5. მშვენიერი ჭაბუკი, მათგან ყველაზე ხშირად ადამიანის ვარდისფერ, ნორჩ პირისახეს აღნიშნავს და მიემართება როგორც ქალს, ისე მამაკაცს, თუმცა გაცილებით ხშირია **ვარდის** გამოყენება მამაკაცის ვარდისფერი, ნორჩი პირისახის აღნიშვნისას, ვიდრე ქალისა. ძალზე იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა **ვარდი** იხმარება გადატანითი მნიშვნელობით თანმხლები სიტყვების გარეშე, ძირითადად იგი მსაზღვრელ სახელთან ერთადაა წარმოდგენილი. ყველაზე ხშირად რუსთაველი **ვარდის** მსაზღვრელად იყენებს ისეთ სიტყვებს, რომლებთან ერთად ხმარებისას ეს მეტაფორა იძენს გაყვითლებული, ფერდაკარგული ან ცრემლიანი პირისახის მნიშვნელობას. მაგალითად, ტარიელის შესახებ რუსთაველი წერს:

„ზე წამოჭდა ფერ-მიხდილი, აყოლებდა თვალთა რეტად,

ვარდი სრულად შემქნილიყო ზაფრანად და ვითა სპეტად“ (506)
არაბეთში დაბრუნებული ავთანდილი ტარიელის ამბის მოყოლი-
სას მის სახეს ასე აღწერს:

„**ვარდი** შექმნილა ზაფრანად, აწ ია შეიკონების“ (704)

ხოლო ფრიდონი ტარიელს ეუბნება:

„რამან შექმნა მოყვითანედ, **ვარდ-გიშერი** რომე ჰრგავსო“ (605)

როცა ნესტან-დარეჯანი ტარიელს ხატაელთა დასჯას სთხოვს,
თან დასძენს:

„გიჯობს, ცუდად ნულარა სტირ, **ვარდი** კვლამცა რად დასტენე“
(385)

არაბეთში დაბრუნებული ავთანდილისა და როსტევეანის შეხვედ-
რისას რუსთაველი წერს:

„მათ ორთავე აშვენებდა ფიფქსა — თოვნი, **ვარდსა** — ნამა“ (691)

ვარდის ამ მნიშვნელობით ხმარებისას პოემის ავტორი ხშირად
იყენებს **დამწრალი ვარდის** ასევე **დათრთვილული ვარდის** მხატ-
ვრულ სახეს.

ავთანდილი ეუბნება შერმადინს:

„მოვუკლავარ თინათინის სურვილსა და სიყვარულსა,
ცრემლი ცხელი ასოვლებდეს ნარგისთავან **ვარდსა ზრულსა**“
(157)

ასმათი გამოქვაბულში პირველად მოსულ ავთანდილს ამშვიდებს
და ეუბნება:

„დაღუმდი, **ვარდსა ნუ აზრობ**, ცრემლითა ნუ ითოვნების“ (264)

თინათინის ნახვის შემდეგ მასთან გაყრით გადარდიანებული ავ-
თანდილის შესახებ რუსთაველი წერს:

„ბროლსა სეტყვს და **ვარდსა აზრობს**, ტანსა
მჭევრსა ათრთოლებდა“ (143)

ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრისას ამირბარის სახე ასე
ხასიათდება:

„**ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული**“ (290)

აქ მეტაფორა შეიძლება ორგვარად გავიგოთ: 1. ტარიელის პი-
რისახე ფერმკრთალი იყო; 2. ტარიელი ცუდ დღეში იყო, უმძიმდა
სიცოცხლე.

პირისახის მნიშვნელობით **ვარდის** ხმარებისას ავტორი იყენებს
შემდეგ ფორმებს: **პირი ვარდი, ვარდი ბაღისა, ბროლ-ვარდი, მი-
ნა-ვარდი, ვარდ-გიშერი**. მაგალითად, ტარიელის ნორჩ პირსახეზეა
საუბარი, როცა ერთ-ერთი ხატაელი მას ეუბნება:

„მკვდარი მიძიმ სანახავად ტანი მჭევრი, **პირი ვარდი**“ (439)

ავთანდილის სახეზეა საუბარი შემდეგ სტროფში:

„**ვარდისა** ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ქოხისა“ (1269)

პირისახის აღნიშვნის შემდეგ **ვარდი** ვარდისფერ ლაწვებსა და
ლოყებს აღნიშნავს. როგორც პირველი, ასევე მეორე მნიშვნელობით
გამოყენებისას ეს მეტაფორა მამაკაცებს უფრო ხშირად მიემართება,
ვიდრე ქალებს. მაგალითად, ტარიელი ამბობს:

„დედოფალი საჯლომთავან ადგა, წინა მომეგება,
ვითა შვილი გარდამკოცნა **ლაწვი ვარდი** დამილება“ (487)

რუსთაველი ავთანდილის გარეგნობის შესახებ ასე წერს:

„შემოვიდა **ლაწვი-ვარდი**, ბროლ ბაღახში, მინა-სათი (1083)

რაც შეეხება მეტაფორა **ვარდის** გამოყენებას ქალის ლაწვების
აღმნიშვნელად, ჩვენ მხოლოდ ერთი მაგალითი დავადასტურეთ და ის
ნესტან-დარეჯანის ლოყებს აღნიშნავს. ტარიელი ნესტანის შესახებ
ამბობს.

„იგი წვიმა და-რე-ნელდა, რომე პირველ **ვარდი** აზრა“ (542)

ე. ი. ცრემლის დენა, რომელიც აქამდე ნესტანის ლოყებს (ვარდებს)
აფერმკრთალებდა და აუხეშებდა შეწყდა.

მეტაფორა **ვარდი** პირველი ორი მნიშვნელობით გამოყენებისას,
როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად მამაკაცთა მახასიათებლად იყო
გამოყენებული. ხოლო როცა იგი ადამიანის ბაგეებს აღნიშნავს, რა-
ოდნეობრივად თანაბრად მიემართება როგორც კაცს, ასევე ქალს. მა-
გალითად, პოემაში ტარიელის პირველი გამოჩენისას მისი ბაგეები
ვარდის კონასთანაა შედარებული:

„არცა დაადო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,

არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან“ (92)

ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრისას რუსთაველი წერს:

„მათ აკოცეს ერთმანეთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს,
ვარდსა ხლენდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჭვირდეს“
(288)

ნესტან-დარეჯანის ბაგეები იგულისხმება შემდეგ მაგალითებში:

1. „ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩენდა“ (1167)
2. „ვა, წახდა ვარდი პობილი, ვა მარგალიტი წყობილი!“ (928)
3. „ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირალი“
(1301)
4. „გამოიღე რიღე მისი, ვინ ბაგეთათ ვარდი ვარდა“ (1348)
5. „მუნ ვარდსა შუა შვენოდეს ძოწ-მარგალიტნი ტყუბანი (486)

მომდევნო ჯგუფში ვარდი აღნიშნავს ნორჩ, მშვენიერ ქალწულს. მაგალითად, თინათინის სანახავად მიმავალ ავთანდილზე რუსთაველი წერს:

„უხარის ნახვა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა“ (125)

აქვე თინათინი ავთანდილს ეუბნება:

„კოკობი და უფურჭენელი ვარდი დაგხვდე ღუმჭნარი“ (136)

ხოლო ავთანდილი პასუხობს:

„ვარდი ჩემი არ დაჭნების, შუქი შენი იეფალ-ა“ (139)

ასმათი ეუბნება ტარიელს ნესტან-დარეჯანის შესახებ:

„მოდი, ნახე ვარდი შენი უფრჭენელი დაუმჭნარი“ (399)

მეტაფორა ვარდი აღნიშნავს მშვენიერ ჭაბუკს და ამასთანავე ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლესა და ხალისს. მაგალითად:

„მაგას ნუ ჰბრძანებ, მეფეო, ჯერთ ვარდი არ დაგჭნობია“ (39)

ფატმანი ეუბნება ავთანდილს:

„ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულნი რად არ შენზედა კრფებიან!“
(1095)

ტარიელი თავგადასავლის მოყოლისას ავთანდილს ეუბნება:

„ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარდისა შლილისა“ (325)

დადარდინებული და უხალისო ავთანდილი დამჭკნარ ვარდს შე-
ადარა ავტორმა:

„ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა“ (963)

ამრიგად, ვარდის მეტაფორა „ვეფხისტყაოსანში“ მეტად ხშირი და პოლისემანტიკურია. ემოციური დატვირთვის თვალსაზრისით იგი ძალიან აქტიურია. საყურადღებო ჩანს ის ფაქტი, რომ ვარდის მეტა-
ფორა ზოგიერთი მნიშვნელობით მამაკაცებს უფრო ხშირად მიემარ-
თება, ვიდრე ქალებს, რაც ერთგვარად მოულოდნელ ეფექტს ქმნის. საინტერესოდ გვეჩვენება ისიც, რომ ბუნებაში არსებობს სხვადასხვა ფერის ვარდი (მოწითალო, თეთრი, ყვითელი...), მაგრამ პოემაში მხოლოდ მოწითალო ფერი იგულისხმება ვარდის ბუნებრივ ფერად, ხოლო მისი გაყვითლება ჭკნობის სიმბოლოა. ამ კონტექსტში უნდა გავიხსენოთ, რომ ამჟამინდელ სიტყვახმარებაშიც ზედსართავი „ვარ-
დისფერი“ მხოლოდ მოწითალო ვარდთანაა დაკავშირებული.

GVANTSA GVANTSELDZE

On the Metaphoric Semantics of Rose in "The Knight in the Panther's Skin"

Summary

In Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin" plant names are often used metaphorically to characterize people, among which the rose with its modifying words is most frequent.

The study of the poem has proved that rose as a metaphor denotes:

1. an individual's young, rosy face.
2. an individual's rosy cheeks.
3. an beautiful young maid.
4. a handsome young man.

The analysis has shown that some metaphoric meanings of rose are more frequently used in reference to men than to women. It should also be mentioned that among the colours the rose usually has, only red/reddish is considered to be natural whereas yellow symbolizes a fading rose.

განა ბუზუნავა

კინოს ისტორია, განხილული როგორც
ტექსტის ელემენტი

ბოლო დროს აღინიშნება წინსვლა ნარატოლოგიასა და პრაგმატიკაში. იწერება მრავალი საინტერესო კვლევითი ნაშრომი კინოთეორიის სფეროშიც. მაგრამ მიუხედავად ამისა, მეთოდოლოგიური კრიზისის ჰუმანიტარულ მეცნიერებაში მაინც აღინიშნება და, შესაბამისად, როდესაც დიდი კონცეპტუალური პარადიგმა მთავრდება, მეცნიერები ავტომატურად ემპირიულ კვლევას უბრუნდებიან. თეორიის კრიზისის გარკვეულწილად ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც ის თავის თავში ისტორიული მასალის ინტეგრირების უნარს კარგავს, რადგან ამ დროს თითქოს ხდება ისტორიის „ბუნებრივი“ დაპირისპირება ნებისმიერ სისტემურ თეორიზაციასთან. თეორია ტრადიციულად სინქრონიისკენ მისწრაფვის, განსაკუთრებით ეს ეხება „ძლიერ“ თეორიებს, რომელნიც სემიოტიკური იდეების ველზე გაჩნდნენ 60-იან წლებში და რომელნიც შესაბამისად გამოჰყოფენ ანალიზის სინქრონულ ფენას დიაქრონულისგან. ასეთ შემთხვევაში სინქრონულ კვლევას უპირატესობა ენიჭება.

ამასთან ერთად დიაქრონული ფენა, რ. ომონის აზრით (ომონი, 1989), რჩება „პრობლემატურ დისკურსად“ რომელიც „სირთულეებს განიცდის თვითგამორკვევის შემთხვევაშიც“. ახალი კინოს ისტორია, განსაკუთრებით ის, რომელიც იკვლევს ადრეული კინემატოგრაფის სფეროს, მიიღტვის მეცნიერული სიზუსტისკენ და ცდილობს განავითაროს ეს დარგი მეცნიერულ საფუძველზე, რაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, მკვლევარმა მიშელ ლანმა (ლანი, 1988). საკმაოდ წარმატებულად სცადა დაეკავშირებინა კინემატოგრაფის ისტორიული და თეორიული მეთოდი ერთმანეთთან: „სინამდვილეში არსებობს ფუნდამენტური შეუსაბამობა კვლევის ამ ორ მეთოდს შორის, რადგან თუ თეორიული კვლევის ამოცანაა გამოამყლავნოს წერის ფუნქციონალური საშუალებები და

აზრის წარმოქმნის პროცესები, ისტორიული მხარე ინტერესდება არა თვით ტექსტით, არამედ იმით, რის „ნაკვალევსაც“ ის წარმოადგენს“ (ლანი, 1988, 74). ლანი თვლის, რომ, იმ თეორიას, რომელიც იკვლევს აზრის წარმოქმნასა და ისტორიას, ერთმანეთთან შეხების წერტილი არ გააჩნიათ, თუმცა ნაწარმოების აზრი მჭიდრო კავშირშია მისი შექმნის ისტორიულ კონტექსტთან, რომელიც მოცემულ ტექსტს წარმოაჩენს მხატვრულ ევოლუციაში. ნებისმიერი ტექსტის აზრის სიღრმე ჩნდება მისი თანაფარდობისას წინამავალ ტექსტებთან, ზოგჯერ კი მის მომდევნო ტექსტებთანაც.

ნაწერი მეხსიერებისა და ტრადიციის შენახვას ემსახურება. ამ საკითხთან დაკავშირებით ი. ლოტმანი (ლოტმანი, 1987) შემდეგ დასკვნამდე მიდის: „იმისათვის რომ დამწერლობა აუცილებელი გახდეს, საჭიროა არსებობდეს ისტორიული პირობების არასტაბილურობა, დინამიზმი და გარემოებათა წინასწარი განჭვრეტის შეუძლებლობა და მოთხოვნილება მრავალფეროვანი სემიოტიკური გარდაქმნებისა, რაც წარმოიქმნება ხშირი და ხანგრძლივი კონტაქტისას უცხო ეთნიკურ გარემოსთან (ლოტმანი, 1987, 11)“.

სხვაგვარად რომ ითქვას, თავად მეხსიერების განმტკიცების მოთხოვნილება ჩნდება გაზრდილი არასტაბილურობისა და კულტურის დინამიურობის სიტუაციებში, ასევე იმ შემთხვევებშიც, როდესაც ჩნდება მიდრეკილება კულტურული ინოვაციისკენ. თანამედროვე კულტურა, ტექსტის ფიქსირებულ ფორმათა გამრავლებისას, იმავდროულად მუდმივად ეძებს სიანლებს. ახალი და ტრადიციული დინამიურად ვითარდება, რაც გარკვეულწილად იწვევს ახალი აზრების წარმოქმნას. მოკლედ, აზრის წარმოქმნა იბადება სწორედ რომ მეხსიერებისა და მისი დაძლევის „ჭიდილში“.

ისტორია შედის ტექსტის სტრუქტურაში როგორც აზრის მაწარმოებელი ელემენტი. მის შესახებ არაერთ ნოვატორს გამოუთქვამს აზრი დაწყებული რუსი აკემისტებიდან დამთავრებული ბორხესით (ბორხესი, 1984), რომელიც ამტკიცებდა, რომ „არსებობს სულ ოთხი ისტორია. და რამდენი დროც არ უნდა გვქონდეს დარჩენილი, ასე თუ ისე, ჩვენ შევუდგებით მის ხელმეორედ მოთხრობას“ (ბორხესი, 1984, 281). ხოლო თ. ელიოტმა (ელიოტი, 1987) 1919 წელს იმ დროისთვის კიდევ უფრო გასაოცარი აზრი გამოთქვა ხელოვანის დამოკიდებულებაზე კულტურის ისტორიის მიმართ.

თ. ელიოტის აზრით, პოეტური ტექსტი აზრს მხოლოდ უკვე არსებულ ხელოვნების ნიმუშთან შედარებისას გამოხატავს. შესაბამისად, ნაწარმოების შექმნისას შემოქმედი მუდმივად ფარავს თავის ინდივიდუალობას. „არსებითად პოეტი გამუდმებით უარყოფს საკუთარ თავს, რომელსაც ის წარმოადგენს დროის ყოველ მონაკვეთში, რაღაც უფრო მნიშვნელოვანის გამო. ხელოვანის მოქმედება ეს არის შეუწყვეტელი თავგანწირვა, ინდივიდუალური საწყისის ჩაქრობა საკუთარ თავში“ (ელიოტი, 1987, 172). თ. ელიოტი მიდის დასკვნამდე, რომ შემოქმედებაში ხდება მუდმივი დეპერსონალიზაცია და ასკვნის: „მე არაერთხელ ვცადე აღმენიშნა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ლექსს შორის არსებული კავშირი სხვა ავტორების მიერ დაწერილ ლექსებთან, და წინადადება შემომამქვს, რომ პოეზია გავებული იყოს როგორც ერთი მთლიანობა, რომელიც შედგება სხვადასხვა დროს შექმნილი პოეტური ნაწარმოებებისგან (ელიოტი, 1987, 173).. პოეტს თეორეტიკოსზე ადრე, შეგნებულად შეჰყავს კულტურის ისტორია სინქრონულ ჭრილში. მხატვრული ტექსტი ელიოტისთვის არის იმ კულტურულ ფენათა ერთდროული არსებობის ადგილი, რომელიც მიეკუთვნებიან სრულიად სხვადასხვა ეპოქებს, ეს არის ათასობით შემოქმედთა დიალოგი, რომელთაც თანადროულად არ უცხოვრიათ. მაგრამ ერთია მისი კონსტატაცია ესეში, ხოლო სულ სხვა საქმეა გადაჭრა ტექსტისა და ტრადიციის თანაფარდობის პრობლემა მეცნიერულად.

„ტექსტში კულტურის ისტორიის“ პრობლემატიკა დიდი ხნის განმავლობაში ძირითადად განიხილავდა რომელიმე ხელოვანზე მისი წინამორბედის მემკვიდრეობის გავლენის საკითხს. ეს გავლენა ტექსტში ტრადიციის არსებობის ძირითად კვალს წარმოადგენდა. მაგრამ თვით სიტყვა „გავლენა“ ჯერ კიდევ გაურკვეველი ცნებაა, და მკვლევართა შორის ერთიანი აზრი ამასთან დაკავშირებით არ არსებობს. ასე მაგალთად, ბ. ჟირმუნსკი (ჟირმუნსკი, 1978) თავის სამეცნიერო შრომაში „ბაირონი და პუშკინი“ აღნიშნავს იმ სირთულეებს, რომელსაც ის წააწყდა ბაირონის გავლენის დადგენისას პუშკინის შემოქმედებაზე. ვინაიდან, როგორც კი საქმე ეხება ხელოვანთა ურთიერთგავლენას, პრობლემა გადაუჭრელად გვესახება. შესაძლებელია გავლენა აღმოჩენილ იქნას ცალკეულ პოეტურ სახეებსა და მოტივებზე, ძირითადად გარკვეულ კომპოზიციურ ფუნქციაში. მაგრამ არც ფილოლოგიას და არც ხელოვნებათმცოდნეობას არ გააჩნიათ **პიროვნე-**

ბის ანალიზის ინსტრუმენტი (პროცედურა), რადგან შემოქმედის ფსიქოლოგია ეყრდნობა მხოლოდ მის მიერ შექმნილ ტექსტებს.

ვინაიდან სახეები და მოტივები მიეკუთვნებიან ცალკეულ შრეს. ისინი თითქოს მოგზაურობენ ტექსტიდან ტექსტში და კულტურისთვის დამახასიათებელი საერთო სიმბოლოების მატარებლები არიან. ამიტომ **ნახესხობის საკითხი** ხშირად *გავლენის* პრობლემატიკის ფარგლებში არ ჯდება.

საკმარისია განვიხილოთ ჟირმუნსკის ერთი ნაშრომი ნახესხობის ფენათა შესახებ, რომელსაც „სახეები და მოტივები“ ეწოდება. ცნობილია, რომ მოტივები მიეკუთვნება კულტურის საერთო ფენას და ხშირ შემთხვევაში არ გააჩნია არაერთი კონკრეტული ავტორი, ისინი ტექსტიდან ტექსტში მოგზაურობენ და კულტურისთვის დამახასიათებელი საერთო სიმბოლოების მატარებლები არიან. ამ სიმბოლოების გარეშე ტექსტები იფიქტურად ვერ განახორციელებენ აზრის წარმოქმნას.

იკონოგრაფია და იკონოლოგია და დივიდუალური გრიფიტი

როგორც ცნობილია, იკონოგრაფია სახვით ხელოვნებაში პერსონაჟების ან სიუჟეტური სცენების გამოსახვის მტკიცედ დადგინილი სისტემაა, რომლის დარღვების კატალოგიზაციასა და მოტივებს, შეისწავლის იკონოგრაფია.

ხოლო იკონოლოგია არის მიმართულება XX საუკუნის ხელოვნებათმცოდნეობაში, რომელიც იკვლევს სხვადასხვა სიუჟეტურ და გამომსახველობით მოტივებს მხატვრულ ნაწარმოებებში, რათა დაადგინოს მათი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა და მათში გამოხატული მსოფლმხედველობა.

ადრეულ კინემატოგრაფიაში იკონოგრაფიული მიდგომით ადრეული კინოს განხილვა შემოიტანა იკონოლოგ ერვინ პანოვსკიმ (პანოვსკი, 1955). იგი ამტკიცებს, რომ კინემატოგრაფიული აზრობრივი სტრატეგიის ფორმირება მყარი იკონოგრაფიის სტადიის გარეშე შეუძლებელია. ტრადიციული იკონოგრაფია ხელს უწყობს ადრეული ფილმის გაგებას. იგი დაახლოებით მოქმედებს როგორც ტიტრები მუნჯი კინოში, რომელიც პანოვსკის აზრით, ასრულებდნენ იმ ფუნქციას რომლებსაც შუა საუკუნეებში ტიტული-ს უწოდებდნენ (პანოვსკი, 1955, 25).

მყარი მოტივები უცვლელი აზრის მატარებლები არიან, რომელ-

თავ შეიძლება დაეყრდნოს კინოფილმი ან სხვა რაიმე მხატვრული ტექსტი. თუმცა ახალი აზრის წარმოქმნაში ისინი არ მონაწილეობენ, მხოლოდ პასიურად ახდენენ მათ ტრანსლირებას წარსულიდან აწმყოში. თავად პანოვსკი მიაწერდა რა ამ მოტივებს იკონოგრაფიის სფეროს, მათ მნიშვნელობას „მეორადს“ ან „პირობითს“ უწოდებდა. თუ მისი მნიშვნელობა არ იქნა გაგებული შეუძლებელია ტექსტის სწორედ წაკითხვა, მაგრამ ამით ვერ აიხსნება მისი ახალი აზრი. პანოვსკის მოპყავს შემდეგი მაგალითი: იგი თვლის, რომ მაგიდის გარშემო განთავსებული ცამეტი ადამიანი გამოხატავს „საიდუმლო სერობას“, რაც პირობით იკონოგრაფიულ მნიშვნელობას ატარებს. თუმცა ლეონარდო და ვინჩის ამავე ნახატის სიუჟეტში გაცილებით უფრო ღრმა აზრია ჩადებული, ანუ არსებობს სიუჟეტის ახალი მნიშვნელობა, რომელიც მხოლოდ ლეონარდოს ფრესკაში შეიძლება ამოვიკითხოთ. პანოვსკი ამას „შინაგან მნიშვნელობას“ ან „შინაარსს“ უწოდებს. „ამ „სიმბოლური“ მნიშვნელობის აღმოჩენამ და ინტერპრეტაციამ, რომელიც ხშირად თვით ხელოვანისთვისაც უცნობია, გამოიწვია „იკონოგრაფიისა“ და „იკონოლოგიის“ დაპირისპირება. (პანოვსკი, 1955, 31).

აზრის იკონოლოგიური გამოხატულების სირთულეებს კარგად ასახავს ამერიკელი რეჟისორის, „ეკრანის გრამატიკის“ შემქმნელის, დ. გრიფიტის კინოფილმი „შეუწყნარებლობა“ (1916წ.), სადაც მკაფიოდაა გამოკვეთილი ფილმის იკონოგრაფიული მხარე.

ფილმი „შეუწყნარებლობა“ ოთხი კინომოთხრობისაგან შედგება: „ბაბილონის დაცემა“, „ქრისტეს ვნებანი“, „ბართლომეს დამე“ და თანამედროვე დრამა „დედა და კანონი“. იმ დროისათვის იგი ყველაზე ძვირად ღირებული ფილმი გახლდათ. მისთვის აგებულ იქნა ნატურალური ზომის გრანდიოზული დეკორაციები: ბაბილონის სასახლის, XVI საუკუნის პარიზის, იერუსალიმის.... მხოლოდ „ბალთაზარის ნადიმის“ სცენაში რამდენიმე ათასი სტატისტი მონაწილეობდა და გრიფიტის ოპერატორს დაბმული საჰაერო ბურთიდან მოუხდა გადაღება“ (ამირეჯიბი, 1990).

იკონოგრაფიული თვალსაზრისით თეორეტიკოსთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ბაბილონის ეპიზოდში წარმოდგენილი სპი-

ლოს გამოსახულებები ცაში აღმართული ხორთუმებით. ითვლებოდა, რომ ეს სპილოები გრიფიტმა „ისესხა“ იტალიელი კინემატოგრაფის, პასტრონეს ფილმიდან „კაბირია“ (1914წ.) (მონტესანტი, 1975, ბელუკიო, 1975). მართალია, ამ ორ რეჟისორს შორის გაცილებით უფრო ღრმა კავშირი არსებობს, ვიდრე ზემო თქმული, მაგრამ თუ ბ. ხენსონის მიერ ჩატარებულ დეტალურ ანალიზს დავეყრდნობით, ეს ნასესხობა თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს (ხენსონი, 1972, 500). აღსანიშნავია, რომ ეს ნასესხობა მოხდა მიუხედავად იმისა, რომ პასტრონე ყოველთვის წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ფორმის პლაგიატისა, რომლის დასაცავად მან „კაბირიაში“ მცდარი დეკორაციებიც კი გამოიყენა. მოტყუება პრინციპში განხორციელდა, მაგრამ ეს სპილოები გრიფიტამდე უკვე მოპარული იყო და „კაბირიის“ გადაღების შემდეგ ისინი გვხვდება კინოფილმში „სალამბო“ (ჩერჩი უსაი, 1986, 70). სპილოების გამოყენების ამგვარი ლტოლვა „კაბირიასა“ და „სალამბოში“ გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან ორივე ფილმის სიუჟეტი კართაგენთანაა დაკავშირებული, რომელიც, თავის მხრივ ჰანიბალის ლეგენდალური სპილოებით იყო ცნობილი. ხოლო რაც შეეხება გრიფიტს, მისი სურვილის მიზეზი, გამოიყენოს ეს ცხოველი თავის დეკორაციებში, გაუგებარია, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ანაქრონიზმებისა.

როგორც გრიფიტის ასისტენტი, ჯოზეფ ხენაბერი იხსენებს, რეჟისორი შეყვარებული იყო ამ სპილოებში. მას სურდა, რომ თითოეული მათგანი ბალთაზარის სასახლის ყოველ მერვე კოლონაზე მდგარიყო, მაგრამ მათი დატვირთვა მხოლოდ გრიფიტმა იცოდა.

მართლაც, დგას საკითხი: რა აზრი აქვს ჩადებული გრიფიტს ბაბილონის დეკორაციის ამ მოტივში.

იკონოგრაფიულ ტრადიციაში სპილოს გამოსახულებას საპატიო ადგილი უჭირავს. იგი ძირითადად სიბრძნის, ღვთისმოშიშებისა და სისუფთავის სიმბოლოს წარმოადგენს. ზოგიერთი მკვლევარი მას ქრისტიანულ ტრადიციებსაც უკავშირებს, სადაც სპილო ადამისა და ევას ალეგორიულ სახეს გამოხატავს.

მაგალითად, ბერნინიმ სპილო გამოიყენა თავის ცნობილ ობე-

ლისკში, როგორც სოლარული ცხოველი (ხიბარდი, 1978, 213). სპილოს სოლარულობის შესახებ წარმოდგენები XIX საუკუნეს აღწევს და დაფიქსირებულია ჟ. კოლენ დე პლანსის „ჯოჯოხეთის ლექსიკონში“ (კოლენ დე პლანსი, 1863, 231).

მოკლედ, სპილოს იკონოგრაფიული სიმბოლიზმის გამოყენება ფილმის შინაარსიდან გამომდინარე ბაბილონის კონტექსტში გაუგებარია, რადგან ეს ანტიკური ქალაქი ტრადიციულად ხომ ხორციელი ცოდვის განსახიერებას წარმოადგენდა. შესაბამისად, იკონოგრაფია არა თუ ხსნის ამ დეტალის მნიშვნელობას, არამედ, პირიქით, იღუპს სახეს ანიჭებს მას.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ბაბილონის ამ დეკორაციას კიდევ ერთი საინტერესო წყარო აქვს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე „კაბირია.“ საუბარია ინგლისელი მხატვრის, ჯონ მარტინის ნახატზე „ბალთაზარის ნადიმი“ (1820 წ.), რომელსაც გრიფიტი კარგად იცნობდა. მარტინის ამ ნახატში გამოსახულია უზარმაზარი კოლონები, რომელსაც არა სპილოები, არამედ გველები ამშვენებენ. გველს მის ნახატში ორმაგი დატვირთვა აქვს, ის ასახავს როგორც ცოდვის სიმბოლოს, ასევე ბაბილონური მითოლოგიის ცხოველს — ტიამატის „სიბნელის გველს“, რომელიც განადგურებული იქნა მზისა და სინათლის ბაბილონური ღვთაების, მარდუკის, მიერ.

მარტინის ნახატში სპილოებიცაა წარმოდგენილი, თუმცა უფრო მცირე დეკორატიული ატრიბუტების სახით. ისინი ხორთუმაღმართულნი დგანან ბალთაზარის ტახტის საყრდენზე, მათ ზურგზე კი შეტევის შედეგად დაღუპული გველები „განისვენებენ“. საინტერესოა, რომ გრიფიტი გველებს სპილოთი ცვლის, ანუ იმ ცხოველით, რომელიც გველის ანტაგონისტად ითვლება.

ეს შენაცვლება კიდევ უფრო უცნაური აღმოჩნდება იმ მეტამორფოზების ფონზე, რაც დაემართა მარტინის „ბალთაზარის ნადიმს“ XIX საუკუნის კულტურასთან მიმართებაში. 1831 წელს მარტინის ეპიგონმა ხ.ს. სილოუზმა შექმნა გრაფიურა „ბაბილონის გოდოლის ნგრევა“ — აშკარა მიბაძვა მარტინისა — სადაც წარმოდგენილია სპილოს ოთხი დიდი სკულპტურული გამოსახულება (ფიგერი, 1975, 110-111). მარტინის გავლენით ვ. ჰიუგო წერს პოემას „ციური ცე-

ცხლი“, რომელიც მოგვითხრობს ბაბილონის გოდოლისა და სოდომ-გომორის დანგრევის შესახებ. და აქ უეცრად ვაწყდებით „გრანტის სპილოებს“, რომელნიც გიგანტურ გუმბათს მიათრევენ“. ამ პოემის ილუსტრაციებშიც უზარმაზარი სპილოა გამოსახული, რომელიც უკანა თათებზე დგას. უკანა პლანზე წარმოდგენილია აღმოკიდებული შენობა, რომელზეც სპილოები მაგივრობას უწევენ კორიატიდებს და ამშვენებენ კოლონების კაპიტელებს. ზუსტად ეს სცენაა ასახული გრიფიტთანაც. ასე რომ, გრიფიტის იკონოგრაფიული ტრადიცია გამომდინარეობს მარტინის ნახატიდან — „ბალთაზარის ნადიმი“ — და შესაბამისად, მოცემული ტრადიცია დაკავშირებულია არა კართაგენტთან, არამედ — ბაბილონთან.

მაგრამ მ. იამპოლსკი (იამპოლსკი, 1993) სვამს მეორე საკითხს: თუ რატომ არის გამოყენებული სპილო ცოდვით დაცემული ქალაქის დაღუპვის სცენაში. სპილოს სიმბოლიკის ნეგატიური ობერტონების გაჩენა განაპირობა პორტუგალიელების მიერ კუნძულ ელეფანტის აღმოჩენამ, რომლის გამოქვაბულებში ნაპოვნია კორიატიდების სახით წარმოდგენილი სპილოს უამრავი სკულპტურული გამოსახულებები და გრანტისგან შექმნილი ფალიური კულტის ნაშთები. ამ აღმოჩენამ დიდი გავლენა იქონია ევროპელებზე, რომლის შედეგად კერპთაყვანისმცემლებისა და ცოდვილთა ქალაქის დაღუპვის მოტივებს სპილოს სკულპტურულ გამოსახულებასთან აკავშირებენ. ბოდლერიც, თავის ლექსში „ცურვა“ საუბრობს გარყვნილების ქალაქში არსებულ გველებსა და „ხორთუმიან კერპებზე“ და საერთო აზრობრივ კონტექსტში სვამს მათ.

"Приветствовали мы кумиров с хоботами,
С порфировых столбов взирающих на мир.
Резьбы такой — дворцы, такого взлета — камень,
что от одной мечты — банкротом бы — банкир...
Надежнее вина пьянящие наряды
Жен, выкрашенных в хну — до ноготка ноги,
И бронзовых музей в зеленых кольцах гада..."
(перевод М. Цветаевой. Бодлери, 1970, 214).

ეს კლასიკური იკონოგრაფია აისახება კიდევ ერთ კინემატოგრაფიულ ტექსტში. საუბარია ჟორჟ მელიესის ფილმზე „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“ (1900წ.). ამ ფილმში არის ალეგორიული ეპიზოდი „სიამაყის სასახლე“, სადაც მომაკვდინებელი ცოდვები ქალის ფიგურებითაა განსახიერებული. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომ ამ სასახლის კედელზე წარმოდგენილია ხორთუმალმართული სპილოს გამოსახულება.

ყოველივე ეს ხელს უწყობს ამ ცხოველის ფიგურის სიმბოლური მნიშვნელობის გაშიფრვას გრიფიტის ფილმში „შეუწყნარებლობა“. სპილო შეიძლება გაგებულ იქნას როგორც სიამაყის ან ცოდვის სიმბოლო, რომლითაც აღინიშნება დაწყევლის შედეგად ბაბილონის დაღუპვა. მაგრამ მათი მნიშვნელობა აიხსნება არა ტრადიციული იკონოგრაფიის დახმარებით, არამედ მთელი რიგი ტექსტების მეშვეობით, რომლებიც რომანტიკულ და სიმბოლურ ტრადიციებს მიეკუთვნებიან.

მიუხედავად ზემოთ წარმოდგენილი ანალიზისა, არის შეკითხვები რომლებიც უპასუხოდ რჩება. ასე მაგალითად, თეორეტიკოსები ვერ ამტკიცებენ, რომ გრიფიტმა განზრახ გამოიყენა სპილოს ფიგურა მოცემულ სიმბოლურ კონტექსტში. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მას ნანახი ჰქონდა ფილმი „კაბირია“ და მარტინის „ბალთაზარის ნადიმი“. თუ ვივარაუდებთ, რომ სპილოს ფიგურა პასტორნესგან არის ნასესხები, მაშინ გრიფიტის ქანდაკებები ამ ფილმში არავითარ სიმბოლურ დატვირთვას არ ატარებენ. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ გრიფიტი სილო-ბულანჟეს გრავიურებსაც იცნობდა, ჰიუგოსა და ბოდლერის ლექსებსაც და მელიესის ფილმს — „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ნასესხობა შესაძლებელია მომხდარიყო სხვადასხვა წყაროს საფუძველზე.

ის რასაც გუსტავ შპეტმა უწოდა „გენეალოგიური ცნობისმოყვარეობა“, ანუ სწრაფვა, შეიტყო ის, თუ რა რისგან გამომდინარეობს არათუ ხსნის, არამედ, პირიქით, უფრო ართულებს სიტუაციას. ანუ ე.წ. „გენეალოგიური ცნობისმოყვარეობა“, მეთოდოლოგიურად უნაყოფოა. და ჩვენ ვერასოდეს შევიტყობთ ვერც უტყუარ წყაროს, ვერც ნასესხობის მოტივაციას, ვერც იმ აზრს, რაც გატარებული ჰქონდა გრიფიტს სპილოებით ამ დეკორაციაში. როგორც მ. იამპოლ-

სკი აღნიშნავს, ჩვენ ვიმყოფებით ტექსტისა და სხვა კულტურული ფაქტების ერთობლიობის წინაშე, რომელნიც შესაძლოა ამ ტექსტთან გარკვეულ თანაფარდობაში იმყოფებიან. გარდა ამისა, ფაქტების ეს ერთობლიობა საშუალებას გვაძლევს არა მხოლოდ ამოვიკითხოთ ამ სიმბოლოს მნიშვნელობა, არამედ გრიფიტის ფილმი „შეუწყნარებლობა“ მივაკუთვნოთ გარკვეულ კულტურულ ტრადიციას. მოკლედ, იკონოლოგიური ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ სიმბოლოს „შინაგანი მნიშვნელობა“, რომელიც, როგორც პანოვსკი იტყვის, ხშირად უცნობია თვით ხელოვანისთვისაც ან მჭევრმეტყველებით განსხვავდება იმისგან, რისი გამოხატვისკენაც მისწარფვის ავტორი. მაგრამ ეს შინაგანი მნიშვნელობა ჩნდება გარკვეული ტექსტისა და კულტურის ფართო სფეროს გასაყარზე.

იკონოლოგიური ანალიზი არ გულისხმობს ავტორის მისწრაფებისა და მისი მოტივირების გამოხატვას, მისი მიზანია მიაწოდოს ტექსტის წაკითხვის გარკვეული ინსტრუმენტი. მხოლოდ კითხვასა და აღქმას შეუძლია მოგვევლინოს სამეცნიერო კვლევის არედი. ტექსტი არსებობს მხოლოდ მაყურებლის თუ მკითხველის აღქმაში (და არა ავტორის ინტენციებში), რადგან მხოლოდ კითხვისას წარმოიქმნება აზრი. იკონოლოგიის საშუალებით შესაძლებელია, რომ ისტორია, ტრადიცია და კულტურა კონკრეტული ტექსტის აზრობრივ არეში მოექცეს.

პანოვსკი ამგვარად განსაზღვრავს „ინტერპრეტაციას“ იკონოლოგიაში: ეს გახლავთ „სინთეტიკური ინტუიცია, (ადამიანის აზროვნების ფუძემდები პრინციპების შეცნობა) განპირობებული ფსიქოლოგიითა და ინტერპრეტატორის მსოფლმხედველობით (სოკოლოვი, 1977, 234). ამ დებულებაში აქცენტირება უკეთდება ფსიქოლოგიას და მკვლევრის მსოფლმხედვას და არა ტექსტის ავტორის ინტენციას.

თანამედროვე მეცნიერული აზროვნება საშუალებას გვაძლევს „ტექსტის/ისტორიის“ საკითხი გადაიჭრას სხვა კუთხით და შეიცვალოს „სინთეტიკური ინტუიცია“ უფრო მატერიალური პროცედურებით.

აქ იგულისხმება ინტერტექსტუალობის თეორია.

ლიტერატურა

ამირეჯიბი, 1990 — ნ. ამირეჯიბი, სინემატოგრაფიდან კინოსტუდენტების მიერ. გამომცემლობა „განათლება“.

ბელუჯიო, 1975 — Belluccio A., "Cabiria" e "Intolerance" tra il serio e il faceto. — Bianco e nero, 1975, N 5-8, p. 53-57.

ბოდლერი, 1970 — Бодлер Ш. Цветы зла. М.: Наука, 1970.

ბორხესი, 1984 — Борхес Х. Л. Проза разных лет. М.: Радуга, 1984.

ელიოტი, 1987 — Элиот Т. С. Традиция и индивидуальный талант. — В кн.: Зарубежная эстетика и теория литературы XIX-XXвв. М.: МГУ, 1987, с. 169-176.

იამპოლსკი, 1993 — М. Ямпольский, *Память Тиресия. Интертекстуальность и кинематограф*

კოლენ დე პლანსი, 1863 — Collin de Plancy J. Dictionnaire Infernal.

ლანი, 1988 — Lagny M. Histoire et cinéma: der amours difficiles. CinémaAction, 1988, N 47, p. 73-78.

ლოტმანი, 1987 — Лотман Ю. М. Несколько мыслей о типологии культур. — В кн.: Языки культуры и проблемы переводимости. М.: Наука, 1987, с. 3-11.

მონტესანტი, 1975 — Montesanti F. Pastrone e Griffith: mito di un rapporto. — Bianco e nero, 1975, N 5-8, p. 8-17.

ომონი, 1989 — Р. Омон р. 199-203., 1989^a: Aumont J. L'Oeil interminable: Cinéma et peinture. P.: Séguier, 1989.

პანოფსკი, 1955 — Panofsky E. Meaning in the Visual Arts. Garden City, N.Y.: Doubleday Anchor Books, 1955.

ჟირმუნსკი, 1978 — Жирмунский В. М. Байрон и Пушкин. Л.: Наука, 1978.

სოკოლოვი, 1977 — Соколов М. Границы иконологии и проблема единства искусствоведческого метода (к спорам вокруг теории Э. Панофского). — В кн.: Современное искусствознание Запада о классическом искусстве XIII-XVII вв. М.: Наука, 1977, с. 227-249.

ფივერი, 1975 — Feaver W. The Art of Jonh Martin. Oxford: Clarendon Press, 1975.

ჩერჩი უსაი, 1986 — Cherchi Usai P. Pastrone. Firenze: La Nuova Italia.

ხენსონი, 1972 — Hanson B. D.W. Griffith: Some Sources. —The Art Bulletin, 1972, v. 54, N 4, p. 493-515.

ხიბარდი, 1978 — Hibbard H. Bernini. Harmondsworth: Penguin Books, 1978.

MAYA GUGUNAVA

The History of Cinema as a Text Element

Summary

The paper examines the opposition of the terms - iconography and iconology - coined by E. Panofski. The notion of intertextuality which is an essential means for interpreting literature and its links with other systems of culture have also been discussed. Special emphasis has been placed on the notion of history which has structurally acquired the form of text, hence it is investigated synchronically. To illustrate the said an episode from D. Griffith's "Intolerance" is analysed.

In the paper the theory of intertextuality is considered as an attempt of renewing the traditional understanding of history. The latter is regarded as a dynamic and all-embracing factor.

ტარიელ ბურბანიძე

გრამატიკული კლასების რაოდენობის დადგენა ომონიმური ან პოლისემიური სიტყვაფორმების შემთხვევაში

თუ განვიხილავთ ომონიმურ და პოლისემიურ სიტყვაფორმებს სინქრონიულ დონეზე, ორივე შემთხვევაში ერთნაირ შედეგს მივიღებთ: ერთი ფორმა გამოხატავს ორ (ან უფრო მეტ) შინაარსს; ამიტომ ისინი უნდა მივიჩნიოთ სხვადასხვა სიტყვებად. შესაძლებელია ომონიმური (resp. პოლისემიურად დაკავშირებული) სიტყვაფორმები ერთ გრამატიკულ კლასში გაერთიანდეს. ასევე, შეიძლება ისინი სხვადასხვა გრამატიკულ კლასს განეკუთვნებოდეს. ვინაიდან ომონიმური (resp. პოლისემიური) სიტყვაფორმები სხვადასხვა სიტყვებად მივიჩნიეთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი რომელიმე კონკრეტული სიტყვა არ შეიძლება ორ (ან უფრო მეტ) გრამატიკულ კლასს განეკუთვნებოდეს ერთდროულად, ანდა, ერთზე მეტად გვხვდებოდეს ერთ გრამატიკულ კლასში. ასეთი აღწერა გამართლებულია სიმრავლეთა თეორიის პოზიციებიდანაც (ყოველი ელემენტი სიმრავლეში მხოლოდ ერთხელ უნდა შეგვხვდეს). ამდენად, გრამატიკული კლასები გულისხმობს სახელთა სიმრავლის დაყოფას ურთიერთარაგადასაკვეთ ქვესიმრავლეებად. სწორედ ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც თვლიან, რომ ზოგი სახელი შეიძლება ერთდროულად რამდენიმე გრამატიკულ კლასში შედიოდეს. მოგვყავს რამდენიმე მაგალითი:

ანდიურ ენაში „ისეთი სიტყვები, რომლებიც შეიძლება აღნიშნავდეს, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის ადამიანს (მაგ., **მადუჰალ** „მეზობელი“, **წაე** „სტუმარი“, **ბირგადირ** „ბრიგადირი“ [მამაკაცი ან ქალი]..., **მოჭი** „ბავშვი“ [ვაჟი ან გოგონა]), განეკუთვნებიან I ან II კლასს შესაბამისად მათი კონკრეტული მნიშვნელობისა სქესის თვალსაზრისით“. „ნივთთა აღმნიშვნელი ერთი და იგივე სიტყვაც შეიძლება იცვლიდეს კლასს შესაბამისად სხვადასხვა მნიშვნელობისა:

IV (ბ) კლ.	V (რ) კლ.
ჭატან „ეკლესია“	— ჭატან „კვირა“ (დღის სახელი)
კოლ „პირი“	— კოლ „მარხვა“
რელილ „ფეხი“	— რელილ „მარხილის ფეხი“
როტძი „ძვალი“	— როტძი „გვამი“, „ჩონჩხი“
წა(←წაგა) „ვარსკვლავი“	— წა(←წაად) „წვიმა“

მოყვანილ მაგალითებში გრამატიკული კლასის კატეგორია გავარჩევინებს მნიშვნელობებს; კლას-კატეგორიის ცვლა ყველა ასეთ შემთხვევაში, ცხდია, შეპირობებულია (არა მნიშვნელობათა აღრევის თავიდან აცილების საჭიროებით, არამედ) მოცემული **სიტყვის** შესაბამისი **მნიშვნელობით** (ილ. ცერცვაძე, ანდიური ენა, თბილისი, 1965, გვ. 94-95, 99).

ხუნძურში **ვართ** „როკაპი“ (III კლ.) შეიძლება განეკუთვნებოდეს II კლასსაც (არნ.ჩიქობავა, ილ.ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბილისი, 1962, გვ. 84).

არჩიბულში „ესა თუ ის სახელი, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთ კლასს განეკუთვნება... მაგრამ ის შეიძლება რამდენიმე კლასშიც შედიოდეს, მაგ., **ლო** „ბავშვი“ I კლასში შედის, თუ ბიჭი იგულისხმება, II კლასში — თუ გოგოა ნაგულისხმევი, IV კლასში — თუ ლაპარაკია ცხოველის ნაშეირზე ან ბავშვზე, რომელიც ძალიან პატარაა, ან არ იციან, ქალია ის თუ ვაჟი. სამ კლასს — პირველს, მეორეს ან მესამეს — განეკუთვნება აგრეთვე ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვა **ადამ**. ასევე ერთზე მეტი კლასისაა სიტყვები: **აჭუშ** „დარგული“, **ჩაჩან** „ჩეჩენი“, **გურჭი** „ქართველი“, **ბირგადირ** „ბრიგადირი“, **ფირსიდათილ** „თავმჯდომარე“... ერთი და იგივე სახელი იმის მიხედვით, დიდ საგანზე მიუთითებს თუ პატარაზე, შეიძლება III კლასისა იყოს ან IV კლასში შედიოდეს:

III კლ.	IV კლ.
ჭუთ დიდი დოჭი	— ჭუთ პატარა დოჭი
ხით „ციცხვი, კოვზი“	— ხით „ციცხვი, კოვზი“
გატ „მანდილი“	— გატ „მანდილი“
მარყ „ლურსმანი“	— მარყ „ლურსმანი“
ფარხ „დოლი“	— ფარხ „დოლი“
ბაყარ მამალი კრავი	— ბაყარ დედალი კრავი

(ოტია კახაძე, არჩიბული ენა და მისი ადგილი დადესტინის მონათესავე ენათა შორის, თბილისი, 1979, გვ. 101-102).


ანალოგიური ფაქტები არჩიბულში შენიშნული აქვს აგრეთვე კიბრიკს, რომელსაც დამატებით კიდევ სამი შემთხვევა მოჰყავს, სადაც საგნის აღმნიშვნელი სახელები ზომის (სიდიდე — სიპატარავის) მიხედვით უპირისპირდება ერთმანეთს III და IV გრამატიკულ კლასებში. ესენია სიტყვები, რომლებითაც აღნიშნულია „ქვაბი“, „ჯამი“, „ტომარა“ (არჩიბული ლექსიკური შესატყვისები არ არის დასახელებული). ამ სიტყვების განაწილება გრამატიკული კლასების მიხედვით ზუსტად ისეთივეა, რაც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში გვექონდა.

ბოთლიხურ ენაში „ერთი და იგივე სახელი შეიძლება I კლასისა და II კლასისა. ეს მაშინ ხდება, როცა თვითონ სიტყვას კლასის ნიშანი არა აქვს, ხოლო რეალური კონტექსტის მიხედვით ის შეიძლება მამრობითი სქესის არსებასაც აღნიშნავდეს და მდედრობითისადაც. მაგ., **მაკი** „ბავშვი“ იმის მიხედვით, ვაჟია ნაგულისხმევი თუ ქალიშვილი, I კლასისადაც შეიძლება იყოს და II კლასისა; ეგევე **მაკი** III კლასისადაც შეიძლება იყოს, თუ ლაპარაკია საერთოდ რომელიღაც ბავშვზე, რომლის სქესი მოსაუბრისთვის უცნობია (ტ.გუდავა, ბოთლიხური ენა, თბილისი, 1963, გვ. 30).

საპირისპირო აზრს გამოთქვამს ტ.გუდავა ტინდიური ენის გრამატიკული კლასების შესახებ მსჯელობის დროს: „გარკვეულს ენობრივ კოლექტივში რომელიმე სიტყვა მუდამ ერთ განსაზღვრულ კლასს მიეკუთვნება. შეუძლებელია სიტყვა ერთდროულად ორი გრამატიკული კლასის იყოს“ (ტ.გუდავა, გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ტინდიურში, იკე, ტ.VI, 1954, გვ. 367).

ერთი და იმავე ავტორის მიერ გამოთქმული ურთიერთგამომრიცხავი ორი მოსაზრებიდან ჩვენ მხარს ვუჭერთ მეორეს, თუმცა ტ.გუდავამ ეს მეორე მოსაზრება ქრონოლოგიურად პირველზე ცხრა წლით ადრე გამოთქვა.

ტ.გუდავას მიხედვით, „ტინდიური ენა მხოლოდით რიცხვში სამ გრამატიკულ კლასს განარჩევს: I კლასში გაერთიანდება მამრობითი სქესის ადამიანთა აღმნიშვნელი სახელები, II კლასში — მდედრობითი სქესის ადამიანთა აღმნიშვნელი სახელები, ხოლო III კლასი მოიცავს ყველა დანარჩენთა (ცხოველთა, ნივთების, მოვლენების) აღმნიშვნელ სახელებს. მრავლობით რიცხვში ორი გრამატიკული კლასი გამოიყოფა: ადამიანთა კლასი და არაადამიანთა კლასი“ (იხ. იქვე):



ტ.გუდავა ასეთ ფაქტებს ადასტურებს ტინდიურში:

ცოდო-ბ ცოცონა „ის ქათამი“ (**ბ** III კლასის ნიშანია);

ცოდო- ცოცონა „ის პაწაწკინტელა ქათამი“ (II კლასის ნიშანია).

ავტორი ასე მსჯელობს: „გარკვეულს ენობრივ კოლექტივში რომელიმე სიტყვა მუდამ ერთ განსაზღვრულ კლასს მიეკუთვნება. შეუძლებელია სიტყვა ერთდროულად ორი გრამატიკული კლასის იყოს. ამდენად, უცნაურად გამოიყურება ტინდიურში დადასტურებული ფაქტები, როცა რომელიმე სიტყვა (მაგ., **ცოცონა** „ქათამი“) შეიძლება იყოს არა მარტო III გრამატიკული კლასის სახელი (რაც ბუნებრივია, რამდენადაც ტინდიურში ცხოველთა [აღმნიშვნელი] სახელები III კლასში შედიან), არამედ II კლასისა (თუმცა II კლასი მდედრობითი სქესის [აღმნიშვნელი] ადამიანების გრამატიკული კლასია!). კლასის ნიშანთა ასეთი პარალელური ხმარების მიზეზი კლას-კატეგორიებად სიტყვათა დაყოფის ფარგლებს გარეთაა; ორსავე შემთხვევაში გრამატიკული კლასის ნიშნებთან გვაქვს საქმე (**ბ**, **რ**), მაგრამ მათი ფუნქციები სრულებით სხვადასხვაგვარია. **ცოდო- ცოცონა** იმას კი არ გვიჩვენებს, რომ ეს სიტყვა სემასიოლოგიურად II გრამატიკული კლასისაა, არამედ სულ სხვა რამეს. სახელდობრ, კლასის ნიშნის გამოყენებით განაზღვრულია არსებითი სახელის შინაარსობლივ-სტილისტიკური მხარე. **ბ**-ს მაგიერ **რ**-ს ხმარება გამოთქმას აძლევს ახალ შინაარსს — „პატარა“, „პაწაწკინტელა“. მრავლობით რიცხვში **ბ**-სა და თავისებურ კლასს შორის განსხვავება არაა: ნიშნად ორივეგან **რ** გამოდის (**ცოდო-რ**). რაკი მრავლობით რიცხვში კნინობითობის მაწარმოებელ **რ**-ს საკუთარი ნიშანი არა აქვს, ის სემანტიკური დიფერენციაცია, რაც მხოლოდობითში გვექონდა („პატარა“ და მისთ.), მრავლობით რიცხვში არ იგრძნობა, აქ გაერთიანებულია მხოლოდობითის **ბ** კლასთან“ (იხ. იქვე). „ამრიგად, ზემოთ აღწერილი მოვლენის სახით ახალი გრამატიკული კლასი კი არა გვაქვს, არამედ გრამატიკული კლასის ნიშნის გამოყენების თავისებური შემთხვევა. **ბ**-ს ნაცვლად **რ**-ს ხმარე-


ბა სათანადო III კლასის სიტყვას არ აქცევს II კლასის სიტყვად. ეს რომ ასე მიგვეჩნია, მაშინ ისიც უნდა გვეთქვა, რომ III კლასში შემავალი ყველა სიტყვა ორკლასიანიაო, ან კიდევ — ნივთა გრამატიკული კლასი ხან დამოუკიდებელი კლასია, ხან კიდევ II კლასს ერწყმისო. სინამდვილეში, ამჟამად არსებული ვითარების მიხედვით ასეთი დაპირისპირებისათვის საფუძველი არა გვაქვს: III გრამატიკული კლასის სიტყვა ასეთადვე დარჩება; ოღონდ, როცა საჭიროა ხაზი გაესვას ამ სიტყვის სტილისტიკურ მხარეს (რომ ის „პატარა“, „ნამცეცა“), ტინდიურ ენას შეუძლია კლასის ნიშანთა ზემოხსენებულ შენაცვლებას მიმართოს. -თი გადმოცემულ ამ „კლასს“ არა აქვს სიტყვათა საკუთარი კონტინგენტი, რომელიც მხოლოდ ამ კლასისა იქნება და არ იქნება III კლასისა. ამიტომ იგი არცაა გრამატიკული კლასი. ასეთ შემთხვევაში უფრო სიტყვაწარმოების ფორმანტი გამოდის და სხვა ენების კნინობითობის მაწარმოებელ სუფიქსებს შეიძლება შევუდაროთ. ჩანს, ტინდიურში გრამატიკული კლასის ერთ-ერთ ნიშანს ფუნქცია შეუცვლია, იგი მწყობრიდან გამოსულა, როგორც გრამატიკული კლასის ნიშანი, მაგრამ ცოცხალია როგორც სიტყვაწარმოების აფიქსი" (იხ. იქვე).

ტ.გუდავა ამავე ნაშრომში მიუთითებს, რომ ბანტუს ჯგუფის ერთ-ერთ (ვაპეჰე) ენაში კნინობითობის სახელები ცალკე კლასს ქმნიან (ავტორი მიუთითებს აგრეთვე იმასაც, რომ ამგვარი ნიშნით გამოყოფილი კლასის კატეგორია გვხვდება ივ.ჯავახიშვილის ნაშრომში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", თბილისი, 1937, გვ. 210).

მიუხედავად ამისა, ტ.გუდავამ ტინდიურში მაინც არ გამოყო დამატებითი გრამატიკული კლასი. ვფიქრობთ, ეს ორი რამით არის განპირობებული: 1) ავტორი გრამატიკულ კლასებზე მსჯელობისას განიხილავს ცალკე მხოლოდ ერთი რიცხვის და ცალკე მრავლობითი რიცხვის მონაცემებს (მათი ურთიერთშეპირისპირების გაუთვალისწინებლად); 2) ომონიმურ (resp. პოლისემიურ) სიტყვაფორმებს იგი არ განიხილავს, არ მიიჩნევს სხვადასხვა სიტყვებად.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენთვის ომონიმური (resp. პოლისემიური) სიტყვაფორმები სხვადასხვა სიტყვებია, და აგრეთვე, რომ გრამატიკული კლასების რაოდენობის დადგენისას, ვფიქრობთ, აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში მხოლოდ ერთი და მრავლობითი რიცხვის მონაცემების ურთიერთშეპირისპირება, შესაძლებლად

მიგვაჩნია ტინდიურში დამატებითი გრამატიკული კლასის გამოყოფის შესახებ მსჯელობა:



ჩვენ გამოვყოფთ დამატებით **k₃** კლასს. სიტყვები, რომლებიც ამ კლასში შევლენ, მხოლოდ ერთ ნიშანს გააჩენენ, ხოლო მრავლობით რიცხვში — **რ** ნიშანს. ამით **k₃** გრამატიკულ კლასში შემავალი სიტყვები უპირისპირდება **k₂** კლასში შემავალ სიტყვებს (ისევე, როგორც **k₄** კლასის სიტყვებს), რაც, ჩვენი აზრით, სრულ საფუძველს გვაძლევს, რომ **k₃** მივიჩნიოთ დამოუკიდებელ კლასად.

TARIEL GURGENIDZE

Stating the Number of Grammatical Classes in Homonymous or Polysemous Wordforms

Summary

In some North Caucasian languages (Andi, Avar, Archi, Botlikh, Tindi etc.) there are certain cases when one and the same noun changes its grammatical class according to the change in its concrete meaning.

In the paper homonymous and polysemous wordforms are considered to be different words on the synchronic level, hence the viewpoint that some nouns can be simultaneously included into several grammatical classes is not shared by the author.

Since for stating the number of grammatical classes the opposition between singular and plural forms should necessarily be taken into consideration the possibility of discussing the issue of an additional grammatical class (or classes) is admitted.

გაბა ბუტიძე

ჰიდრონიმები ვანის რაიონში

ლინგვისტური გეოგრაფია, როგორც საენათმეცნიერო დისციპლინა, მჭიდრო კავშირს ამყარებს როგორც დიალექტოლოგიასთან, ისე ტოპონომიკასთან. ტოპონომიკა კი გვაძლევს ერთეულთა ანალიზს სინქრონიისა და დიაქრონიის უქუხე. სწორედ ამ ორი მოვალეობის შესრულება ტოპონომიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ქართველური ენების ტოპონიმური სისტემა, უპირველეს ყოვლისა, არის ზოგადქართველური, ე. ი. შეიცავს ქართული, სვანური და მეგრულ-ლაზური ტოპონიმური სისტემების საერთო ნიშან-თვისებას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაისმის რეგიონულ ტოპონომიკაში დაკავშირებულია ჰიდრონიმებთან. ყველა რეგიონის ჰიდრონიმაში გამოიყოფა გარკვეული სემანტიკური ჯგუფები, რომელთა შეფარდებითი პროდუქტიულობის გამოვლენა აუცილებელი სპეციფიკური და თავისებური წარმოების მიხედვით.

ჰიდრონიმა ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია სტრუქტურით, წარმოქმნით, ფუნქციით. წინადადებაში მოხმარებით ჰიდრონიმი ენის ისეთივე ერთეულია, როგორც ცალკე აღებული სახელი, ბრუნებადი სიტყვა თუ სიტყვათშეერთება (დლონტი, 1971, 38).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ. ჰიდრონიმებს გარკვეული სპეციფიკური ნიშნებიც ახასიათებს. ისინი ტოპონიმთა უძველეს ფენას წარმოადგენენ (ჯანაშია, კაკაბაძე, მაკალათია).

ჰიდრონიმი მდინარის, ტბის, ნაკადულის, რუს, ჭაობის, წყაროს, ჭის საკუთარი სახელია.

„მდინარეთა სახელწოდებანი, ტოპონიმებისაგან განსხვავებით, დიდი მდგრადობით, სტაბილურობით გამოირჩევიან. ამის მიზეზი პირველ რიგში ისაა, რომ საკუთრივ ტოპონიმები, ე. ი. დასახელებული პუნქტების (ქალაქები. სოფლები...) სახელწოდებანი, ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების „უმშუალო მონაწილენი“ არიან... მდინარეთა სახელწოდებები კი... უმეტესწილად თაობიდან

თაობას უცვლელი სახით გადაეცემიან (ბედომვილი, 1980, 57)

სტრუქტურული თვალსაზრისით გამოიყოფა ქართული ჰიდრონიმების სამი ძირითადი ტიპი: ძირეული. წარმოქმნილი და თხზული.

ჰიდრონიმები რამდენიმე ჯგუფად ნაწილდება: პოტამონიმებად, ლიმონიმებად, პელაგონიმებად (პოდოლსკაია, 1970, 50).

წარმოდგენილ სტატიაში განვიხილავთ ვანის რაიონის ჰიდრონიმთა წარმოებას. აქაც საერთო ქართველურის მსგავსად გამოიყოფა: მარტივი, წარმოქმნილი და სიტყვათშეერთების გზით მიღებული ჰიდრონიმები.

ვანის რაიონში უაფექსო, მარტივი ჰიდრონიმები შეიძლება დავყოთ იმის მიხედვით, ჰიდრონიმის ფუძედ აღებულია არსებითი თუ ზედსართავი სახელი. მაგ: მერე (ღელე, ს. ტყელვანი), რიონი (მდინარე, ვანი), კაპრა (ღელე, ს. ისრითი), ღურგემა (ღელე, ს. იმერუხუთი), წყარო (წყ, ს. ზენობანი), ლაშე (წყ, ს. ზენობანი). სადაც არსებითი სახელი ამკარად სჭარბობს ზედსართავს. ძირეული ჰიდრონიმები საკვლევ რეგიონში შედარებით ნაკლებია ვიდრე წარმოქმნილი.

ვანის რაიონში დადასტურდა სხვადასხვა სუფიქსით ნაწარმოები ჰიდრონიმები. პროდუქტიულია -ურ-ი-ს სუფიქსი, რომელიც წარმოდგენილია როგორც დამოუკიდებლად, ისე ა-ს დართვით (-ურ-აი-ულ-ა).

ა) -ურ-ი-ს: კაფ-ურ-ი (ღელე, ს. იმერუხუთი), გომას-ურ-ი (საბანო ადგილი, ს. დიხაშხო), ბუის -ურ-ი (ღელე, ს. ძულუხი), ცხენათ-ურ-ი (ღელე, ს. ძულუხი), თაკარა-ულ-ი (ღელე, ს. ძულუხი)...

ბ) -ურ-აი-ულ-ა: ყაზ-ურ-ა (ღელე, ს. რომანეთი) ღელასკ-ურ-აი ღელასყურ-ა (ღელე, ს. გადიდი, ს. სულორი). ჭიშ-ურ-ა (მდ. ს. ტყელვანი), ძრუხ-ულ-ა (მდ. ზ. ბზვანი, ს. ისრითი, ს. რომანეთი, ს. სულორი, ს. ძულუხი), სამდ-ულ-ა (ღელე, ს. ჭვიში).

სპეციალურ ლიტერატურაში, ასახელებენ -ურ სუფიქსის რამდენიმე ფუნქციას, მაგალითად, ა. შანიძე -ურ სუფიქსს თვლის წარმოებისა და თვისების აღმნიშვნელად, ხოლო ალ. მანჯგალაძე წერს: წარმომავლობის ფუნქცია -ურ სუფიქსისათვის მეორეულია... მაგრამ აქვე შევნიშნავთ, რომ არაფერია ნათქვამი მის პირვანდელ ფუნქციაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება რეგიონული ტოპონომიკის საკითხებს, აღნიშნულია: -ურ სუფიქსი შეიძლება გვარ-სახელთა მაწარმოებელიც ყოფილიყო. -ურ სუფიქსით მარტო ან-

თროპონიმები არ არის ნაწარმოები. გვხვდება ორონიმებშიც, რომლებიც ბისგანაც იწარმოება ახალი ტოპონიმები — მიმართებითი ტოპონიმები, სადაც კიდევ უფრო ნათლად ჩანს -ურ სუფიქსის კუთვნილებითობის ფუნქცია.

-ურ ფორმანტის უძველეს ფუნქციად მიიჩნევენ აგრეთვე კუთვნილების აღნიშვნას (ხორნაული, 1973, 135; ბერიძე, 1978, 121).

-ურ სუფიქსის კუთვნილებითობის დამადასტურებელ ფაქტად იმოწმებენ იმერული დიალექტის ერთ-ერთ თავისებურებას, კერძოდ, „ყურადღებას იქცევს გათხოვილ ქალთა გათხოვებამდე (მშობლების) გვართ მოსახსენებელი სახელების წარმოება -ურ (-ულ) სუფიქსით: კვინიკაძე-კვინიკაური (კვინიკა-ურ-ი) აქ კვინიკაური ნიშნავს — კვინიკაძეების ქალს (გაჩეჩილაძე, 1956, 134). აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ვანის ტოპონიმიაში დადასტურებული ჰიდრონიმი კვინის წყალი- (თუკი „ურ სუფიქსიან ტოპონიმთა უმეტესობა ადამიანთა სახელებიდან არის მიღებული, ანთროპონიმულია... მაგრამ ორი-სამი თაობის შემდეგ ასეთი ანთროპონიმები უკვე გაუგებარი ხდება... (ხორნაული, 1983, 43) იქნებ, სწორედ ეს ჰიდრონიმიც კვინის წყალი გვარ-სახელებიდან მომდინარეობს. ეს დასტური იქნება იმისა, რომ -ურ სუფიქსის თავდაპირველი ფუნქცია კუთვნილებისა იქნებოდა, რომელმაც წარმომავლობისა და სადაურობის დატვირთვაც შეიძინა.

საკვლევ რეგიონში დადასტურდა -ურ ფორმანტი ნაწარმოები ჰიდრონიმი: მდინარე ყუმ-ურ-ი (საერთო რაოდენობა -ურ სუფიქსით ნაწარმოები მდინარეებისა, დასავლეთ საქართველოში 34 ერთეული დასტურდება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — 10).

რაც შეეხება -ურ-აილ-ა-ზე დაბოლოებულ ჰიდრონიმებს, ფ. მაკალათიას აზრით. უპირატესად ჰიდრონიმებში გამოიყენება და მას ჰიდრონიმთა მაწარმოებელი უწოდა. პ. ცხადაია თვლის, რომ „-ურ-ა ორიდან ერთ-ერთი ძირითადი ტოპონიმწარმოებელია, რომელიც ტოპონიმისაგან აწარმოებს იმ მდინარის სახელწოდებას, რომელიც ამ ტოპონიმით აღნიშნულ ობიექტს ჩაუდის ან იქვე იწყება. -ურ სუფიქსს შეიძლება ახლდეს -ა ხმოვანი, -ურა მდინარეთა სახელებში გვაქვს და იქნებ სულაც ქართულ ტოპონიმიაში გავრცელებული — -ურა ჰიდროფორმანტი იყოს (ცხადაია, 1985, 83).

-ურ სუფიქსზე დართულ ბოლო ა-ს (-ურ-ა) შესახებ. მკვლევართა სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ს. ჯანაშია მას მასუბსტანტივებელ სუფიქსად მიიჩნევდა ისეთ ტოპონიმებში, როგორც არის თე-

ლოვნა, თხილოვნა (ჯანაშია, 1937, 218). ალ. ლლონტი მაკინებელ ა-ს უწოდებს, კინობითისად მიიჩნევს (ლონტი, 1971, 29). თ. ზურაბიშვილის აზრით. ტოპონიმების ბოლოს დართული -ა ქონებისა უნდა იყოს (ზურაბიშვილი, 1961, 151). გ. ხორნაული კი მას არა მარტო ტოპონიმებთან, ჰიდრონიმებთანაც, ქონების გამომხატველად თვლის. ჩანს -ურ სუფიქსის კუთვნილებითობის ფუნქციის შესუსტებამ მოითხოვა მეორე სუფიქსის დართვა (ხორნაული, 1983, 45).

ვანის რაიონში დადასტურებული -ურსულ, -ურ-აილ-ა სუფიქსებით ნაწარმოები ჰიდრონიმები ზემოთ აღნიშნული ფუნქციით მეტნაკლები ოდენობით დატვირთულია (კუთვნილება, თვისება და წარმომავლობა-სადაურობა).

საინტერესოა -ეთ ფორმანტი თავისი ვარიანტებით (-ათ, -ით, -ოთ, -უთ) როგორც საგეოგრაფო სახელთა მაწარმოებელი მეტნაკლებად მოიცავს საქართველოს რეგიონებს.

-ეთ ქართველური ტოპონიმის ძირითადი მაწარმოებელია. იგი ჰიდრონიმებსა და ორონიმებში, როგორც წესი არ გვხვდება (ლონტი, 1975, 15). თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთადერთ ალგეთ ჰიდრონიმს, რომელშიც, მართალია, გამოიყოფა ფუძის საწარმოებელი -ეთ სუფიქსი. მაგრამ ჰიდრონიმი შემოკლებული ჩანს: უნდა გვქონოდა „ალგეთის მდინარე“, რასაც მდინარე ჩამოშორებია და დაგვრჩენია „ალგეთი“ (ლონტი, 1953, 140).

მიუხედავად იმისა. რომ ტოპონიმთა წარმოქმნელი ათ სუფიქსი ფუნქციურად დატვირთულია. ქართულ ჰიდრონიმებში იგი შეზღუდულად გამოიყენება. მთელი საქართველოს ტოპონომიაში მხოლოდ 17 მდინარის სახელია გაფორმებული ამ დაბოლოებით. მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როცა -ეთ ფორმანტი კიდევ ერთ -ა-ს დაერთავს (მალრაძე, 2004, 69) და სწორედ ეს შემთხვევაა დადასტურებული ვანის რაიონის ჰიდრონიმებში. მდინარე ფერ-ეთ-ა, რომელიც ნაწარმოებია ტოპონიმის საკუთარი მაწარმოებლით -ეთ სუფიქსით. ამ შემთხვევაში ჰიდრონიმი არის ოიკონიმიც. სოფლის ტერიტორიაზე მოედინება ორი მდინარე (ისინი ერთდებიან სოფლის დასაწყისში). ერთს ჰქვია დიდი ფერეთა, მეორეს — პატარა ფერეთა. „იმ შემთხვევაში, როცა ჰიდრონიმი იმავდროულად არის ოიკონიმიც, ლაპარაკობენ ბუნებრივი ობიექტის — ამ შემთხვევაში, ჰიდროგრაფიული ობიექტის სახელის „მნიშვნელობის გადატანა-გაფართოებაზე: ხელოვნური ობიექტი, ჩვეულებრივ, „ბუნებრივი ობიექტისაგან სესხულობს სა-

ხელს, ამ შემთხვევაში — წყლის სახელი უნდა დარქმეოდა დასახლებულ პუნქტს" (აფრიდონიძე, მაკალათია). სწორედ რომ სოფელი ფერეთა გამოეყო სოფელ სალომინაოს „ბარიტის“, სახელწოდებით (მაშინ ბარიტის ამოღება წარმოებდა ამ სოფლის ტერიტორიაზე) (გომხეთელიანი, 1978, 56) მაგრამ კვლავ იცვლის სახელს ბუნებრივი ობიექტისაგან — მდ. ფერეთასაგან სესხულობს სახელწოდებას და ფერეთას სახელით მკვიდრდება საკვლევე მხარის ისტორიაში.

საკვლევ ტერიტორიაზე დასაბამიდან დღემდე ამ ორ პატარა მდინარეს ფერეთას სახელით იცნობენ. ამის გამო, საფიქრებელია ფერეთა ისეთივევი ჰიდრონიმი იყოს, როგორცაა ალგეთი.

ჰიდრონიმა დიდი ნაწილი მიღებულია სიტყვათშეერთების გზით, რომელიც გრამატიკულად შეთანხმებული და მართული მსაზღვრელისა და საზღვრულისაგან მიიღება. ორივე მოდელი პროდუქტიული ყოფილა ისტორიულად.

ჰიდრონიმა ახლანდელ ნომენკლატურაში გამოიყოფა ორი ფენა: უძველესი და გვიანდელი.

უძველესად უნდა იქნეს მიჩნეული პოსტბოზიციური წყობა საზღვრულ-მსაზღვრელისა. ეს წარმოება ძველად უფრო ყოფილა გავრცელებული, ვიდრე დღესაა. შეთანხმებული და მართული მსაზღვრელ-საზღვრული უფრო გვიანდელი მოდელი უნდა იყოს.

მრავალსიტყვიან კომპონენტებში მოვიძიეთ რამდენიმე პოსტბოზიციური წყობის ჰიდრონიმი. მაგ: წყალთბილი (ღელე, ს. იმერუხეთი), ლობეშავას წყარო (წყ. ს. რომანეთი), წყალშავა (წყ. ბაგინეთი) სიტყვათშეერთებით ნაწარმოებ ტოპონიმებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მართულმსაზღვრელიან სინტაგმებს. მსაზღვრელად გამოყენებული არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ყველაზე პროდუქტიულია. მაგ: მეფის წყარო (წყ. ს. ბზვანი. ს. ზეინდარი). დიაკვანის წყალი (წყ. ს. იმერუხეთი...) რასაც ვერ ვიტყვით ატრიბუტული მსაზღვრელით ნაწარმოებ ჰიდრონიმებზე: სადალატო ღელე (ღელე, ს. სალომინაო), სათებზე ღელე (ღელე, ს. ზეინდარი). საშხაპი ღელე (ღელე, ს. ძულუხი).

ლიტერატურა

აფრიდონიძე, მაკალათია, 1980 — შ. აფრიდონიძე. ფ. მაკალათია ქართული ოიკონიმები, ტოპონიმოლოგია, II, თბ., 1980.

ბედოშვილი, 1979 — ბედოშვილი, ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1979.

ბერიძე, 1978 — მ. ბერიძე, -ურ, -არ, -ელ სუფიქსთა ფუნქციონისათვის საცხე-საათბავოს ტოპონიმებში, ზოგადი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხები, თბ., 1978.

გაჩეჩილაძე, 1956 — პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იკე, VII, 1956.

გომხეთელიანი, 1978 — მ. გომხეთელიანი, ვანის რაიონის სოფელ ფერეთას ტოპონიმები, საქართველოს პედ. ინსტიტუტების შრომები თბ., 1978.

ზურაბიშვილი, 1961 — თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმოლოგიის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961.

მანჯგალაძე, 1953 — ალ. მანჯგალაძე, -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში იკე, V, თბ., 1953.

პოდოლსკაია, 1970 — И. В. Подольская, О развитии отечественной топонимической терминологии, Развитии терминов топонимических исследований, М. 1970.

მალრაძე, 2004 — ვ. მალრაძე, ქართველური ჰიდრონიმები, თბ., 2004.

ღლონტი, 1971 — ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები თბ., 1971.

ღლონტი, 1975 — ალ. ღლონტი, მცხეთის ტოპონომია, II, ტოპონომიკური ძიებანი, თბ., 1975.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ცხადაია, 1973 — პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, ენათმეცნიერული ანალიზი, თბ., 1973.

ხორნაული, 1983 — გ. ხორნაული, მთები და სახელები, თბ., 1983.

ჯანაშია, 1937 — ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი. ტიბარენი, იბერი, ენიმკის მოამბე, I, 1937.

MAKA GUTIDZE

Hydronyms in Vani Region

Summary

As is known, hydronyms form the oldest layer of toponyms. Structurally Vani region toponyms can be grouped as follows: root words, derivatives and compounds.

In the analysed data the suffixes -ur || ul; ur-a || ul-a convey the meanings of possession, characteristic feature, origin. Most of the Vani region toponyms are the result of word combination. Several patterns of postposition have been revealed. The most productive being the modifier expressed by a noun in the Genitive. Few attributive modifiers have been evidenced.

ლილი დოლიძე

**ტრანსპორტით მომსახურების ტერმინოლოგიის სწავლება
ტურიზმის ბიზნესის სპეციალობაზე**

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხეში სხვადასხვა მიზნით მოგზაურობდნენ, ხოლო უკანასკნელი სამოცი წელია მათი უმრავლესობა საკუთარი თავის სიამოვნებისთვის მოგზაურობს. მეოცე საუკუნემდე მხოლოდ თავისუფალი დროის მქონე ძალიან მდიდარ პირებს შეეძლოთ ემოგზაურათ. მაგრამ რკინიგზის გაყვანამ (მშენებლობამ) და ინდუსტრიულმა რევოლუციამ საშუალო ფენის წარმომადგენლებსაც მისცა მოგზაურობის საშუალება. მოგვიანებით, ტურბაკეტის შემოღება სულ უფრო მეტ ხალხს დაეხმარა სასიამოვნო მოგზაურობასა და კარგი დასვენების მიღებაში. ცხოვრების დონის ამაღლებამ ადამიანებს საზღვარგარეთ მოგზაურობისა და დასვენების მეტი სურვილი აღუძრა. ხალხის ერთი ნაწილი მხოლოდ დასვენებისა და გართობის მიზნით მოგზაურობს, სხვები — ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად ან კიდევ ნათესავებისა და მეგობრების მოსანახულებლად. მოგზაურობენ განათლების მიღების მიზნითაც, რადგან არსებობს ძველი მცნება: „მოგზაურობა ზრდის ცოდნის დონეს“, და ბოლოს არიან პირები, რომლებიც მოგზაურობენ საქმის კეთების მიზნით. ესენი ბიზნესმენები და სახელმწიფო მოღვაწეები არიან.

დასვენების, ტურებისა და მოგზაურობების მოწყობა (ორგანიზაცია) სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის მთავარი მოვალეობაა. სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია ემსახურება ხალხს, რომლებიც შორს იმყოფებიან თავიანთი საცხოვრებელი ადგილისაგან და უზრუნველყოფს მათ განთავსების საშუალებებით, კვებით, ტრანსპორტითა და გართობით. ასეთი სახის მომსახურებები ხელს უწყობენ სასტუმრო ბიზნესის, რესტორნების ბიზნესისა და ტურისტული ბიზნესის განვითარებას. ტურიზმის სპეციალობებზე დასახელებულ სფეროებს ინგლისურად განვიხილავთ შესაბამისი კლასიფიკაციის მიხედვით. ასეთი სპეციფიკური ტექსტების დამუშავების დროს გარკვეული სი-
რ

თულები წარმოიშობა პროფესიულ ტერმინოლოგიებთან დაკავშირებით. სტუდენტებს ხშირად უჭირთ ასეთი ტერმინებისა და გამოთქმების თარგმნა და იმავდროულად მათი ახსნაც. ამიტომ შევეცადეთ სათანადო მასალების მოძიებითა და ცალკეული მეთოდური ხერხის მეშვეობით სტუდენტებისათვის მათ მიწოდებას. მაგალითისათვის ავიღებ სტუმარმასპინძლობის ერთ-ერთ სფეროს — ტურისტულ ბიზნესს. იგი მოიცავს რეკლამირებას, ტრანსპორტირებასა და განთავსების საშუალებებს. წინამდებარე სტატიაში საყურადღებოდ მიმაჩნია ისეთი საკითხი, როგორცაა ტრანსპორტირება (ტურისტების გადაზიდვის საშუალება) და მომსახურების ხარისხი შექმნილი სამგზავრო ბილეთებიდან გამომდინარე.

ცნობილია, რომ ტრანსპორტირების ბიზნესს აწარმოებენ საჰაერო და საზღვაო კომპანიები, მსუბუქი მანქანებისა და ავტობუსების გამჭირავებელი კომპანიები და რკინიგზა. ტურისტული ბიზნესი დაყოფილია ცალკეულ სეგმენტებად (მომხმარებელთა ჯგუფებად) კლიენტების მსყიდველუნარიანობის მიხედვით. მათგან შეიძლება გამოვყოთ მომხმარებლის ცალკეული ტიპი: მასიური, საშუალო და მაღალი დონის მომხმარებელი. ვლინდება, რომ სამგზავრო ბილეთების შექმნა მომხმარებლის სურვილისა და საშუალებაზე არის დამოკიდებული. კერძოდ, მოკლე მანძილზე მგზავრობის დროს უპირატესობა იაფფასიან ბილეთს ენიჭება, ხოლო გრძელ მანძილზე კი უფრო ძვირად ღირებულ ბილეთს, რომელიც, თავის მხრივ, მგზავრებს უფრო კომფორტულ და მოხერხებულ მომსახურებას სთავაზობს. კომფორტულ მგზავრობას ირჩევენ ის პირებიც, რომლებიც საქმიანი მივლინებით მგზავრობენ. აქედან გამომდინარე, სამგზავრო ბილეთებიც შესაბამისი ხარისხისაა: ბიზნეს კლასის, ტურისტული კლასის, პირველი და მეორე კლასის ბილეთები და ა. შ. ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რომელი კლასის ბილეთები არსებობს და შესაბამის განმარტებებს (რა სახის მომსახურება ახლავს) სტუდენტებს ვაძლევთ ინგლისურად. მაგალითად:

Class is a category or group into which things are classified according to qualities or price. So there are tickets of different classes:

- 1) **First Class - provides the best service, most expensive and most comfortable tupe of travel.**
- 2) **Second Class - is less expensive and less comfortable type of travel than first class. Sometimes the price of a second class ticket may be half of a first class.**

- 3) **Club Class - specially comfortable class of seating on as plane, though not as luxurious as first class.**
- 4) **Economy Class and Tourist Class are the same. It's the cheapest category of seat on a plane. A lot of people travel economy or tourist, though some of them prefer to travel first class, because they say tourist class is too uncomfortable.**
- 5) **Business Class - type of aisle travel which is less expensive than first class and more comfortable than tourist class (it has better and wider seats, more free drinks, special meals, more choice of newspapers and special airport lounges).**
- 6) **Executive Class - better and more expensive type of air travel, specially for businessmen.**

მგზავრების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს თვითმფრინავს, რადგან იგი ტრანსპორტის ყველაზე სწრაფი სახეობაა, რომლის საშუალებითაც ხდება დროის დაზოგვა. ამასთან, თვითმფრინავი უფრო მისაღებია გრძელ მანძილზე მოგზაურობისათვის, თუმცა იგი ყველაზე ძვირიან საშუალებას წარმოადგენს. განსაზღვრულ რეისებზე არსებობს სამგზავრო ბილეთების სპეციალური იაფფასიანი სახეობები.

Excursion ticket - special cheap fare offered on certain journeys.

Stand-by ticket - cheaper air ticket, which allows the passengers to wasit until the last moment to see if there is a empty seat on the plane.

მგზავრთა გარკვეული კატეგორია მატარებლით მგზავრობას ირჩევს და თვლის, რომ იგი საკმაოდ მოხერხებული საშუალებაა. მათ სიამოვნებით მატარებლის ფანჯრებიდან მშვენიერი და მიმზიდველი ხედების თვალიერება, რაც რომანტიკულ განწყობას უფრო უძლიერებთ. ამ ტიპის მგზავრებისათვის არსებობს ბილეთი, რომელიც ზომიერ ფასებს და მომსახურებას ითვალისწინებს.

Standard ticket - it provides normal conditions or normal quality.

დროის მოგების მიზნით ან იმის მიხედვით, თუ რა მანძილზე და რა ვადით მოგზაურობს ადამიანი, შესაძლებელია ცალმხრივი, ორმხრივი, სააბონემენტო და სხვა სახის ბილეთების შექმნა. მაგალითად:

- 1) **Return ticket (or Am. round-trip ticket or two-way ticket) - ticket for a journey from one place to another and back again.**
- 2) **Single ticket (or Am. one-way ticket) - ticket for a journey from one place to another.**

- 3) Open (date) ticket - ticket which can be used on any date.
- 4) Through ticket, which allows you to travel to final destination (even though you may change trains, etc., en rout).
- 5) Seson ticket - rail or ticket, which can be used for any number of journeys over a period (normally one, three, six or twelve months).
- 6) Railpass - special ticket (paid for in advance), which allows unlimited travel by train in a country, over a certain limited period of time.
- 7) Airpass - special ticket (paid for in advance), which allows unlimited travel by air in a country, over a certain limited period of time.
- 8) Round-the -world ticket is for round-the-world flight, which goes round the world, returning to the original departure airport. Aro-und-the-world ticket allows several stopovers.

ბარათზე დაწერილ მოცემულ ტერმინოლოგიას ვუყრით სტუ-დენტებს, რომლებსაც გადაწერენ და შემდეგ სწავლობენ. ამასთანავე, გამოთქმების უკეთ ათვისების მიზნით ვაძლევთ შემდეგი სახის სავარ-ჯიშოებს:

I. Match the terms with their explanations (შეუფარდეთ ტერმინებს განმარტებები)

- | | |
|------------------|--|
| 1) First Class | a) rail or bus ticket, which can be used for any number of journeys over a period. |
| 2) Season ticket | b) provides the best service, most expensive and most comfortable type of travel. |

Key: 1 --- b
2 --- a

მსგავსი სავარჯიშოები დაეხმარება სტუდენტებს ტერმინოლოგიის განმტკიცებაში.

I) Answer the questions (უბასუხეთ კითხვებს)

- 1) Which ticket provides the most expensive type of air travel?
- 2) How is called the ticket, which can be used on any date?

ამ სავარჯიშოთი სტუდენტის მიერ მოცემული ტერმინოლოგიის შესწავლის ხარისხი მოწმდება.

III. Fill in the blanks with suitable terms (შევსეთ გამოტოვებული ადგილები შესაბამისი ტერმინებით)

- 1) She always travels First Class, because she says... is too uncom-
fortable. (Tourist Class)
- 2) I'd like a... to New York, living on 11th May and coming back
on the 21st. (Return ticket)

ეს სავარჯიშო სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენონ მოცემული ტერმინოლოგია შესაბამის სიტუაციებსა და წინადადებებ-ში.

ამდენად, ტურიზმი შედარებით ახალი ინდუსტრიაა, თუმცა იგი ძალიან სწრაფად ვითარდება უკანასკნელი წლების განმავლობაში. მისი განვითარება, როგორც მასობრივი ინდუსტრიისა, დამოკიდებუ-ლია ტრანსპორტის ხელმისაწვდომ ფასებზე და სწრაფ, თანამედროვე საშუალებებზე. თანამედროვე ტურიზმს საფუძველი XIX საუკუნეში სარკინიგზო მშენებლობის აღმავლობასთან ერთად ჩაეყარა, რომელიც მოგვიანებით კიდევ უფრო განვითარდა საკრუიზო გემების, ავტომო-ბილებისა და თვითმფრინავების გამოჩენასთან ერთად. საერთაშორი-სო ტურიზმის მასშტაბები არნახულად გაფართოვდა საჰაერო ტრან-სპორტის განვითარების შედეგად.

ლიტერატურა

ზახაროვი, 2001 — Захаров В. Б., Tourism and Business, M., 2001.

კომაროვა, 2000 — Комарова А. И., Окс И. Ю. Бадмаева Ю. Б., ...English Courses. World Geography. M., 2000.

მიხაილოვი, 2001 — N. N. Mikhailov. Hotel, Restaurant and Tourist Business, M., 2001.

რეველი, 1989 — Rod Revell, Cris Stott, Cris Stott. Five Star English for the Hotel and Tourist Industry, Oxford University Press, 1989.

Dictionary of Hotels, Tourism and Catering Management. Peter Collin Publishing.

LILY DOLIDZE

Teaching Transport Service Terminology To Students of Tourism Bussiness

Summary

As is known, tourism is part of hospitality industry. It comprises the following spheres of service: advertising, accomodation and transport

The latter includes avia lines, cruise liners, companies having cars and coaches for rent.

The paper deals with the terms associated with transport service and presents the ways of teaching them.

ზინაზ ელიზბერიძე

დანიშნულების გამოხატვისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში

ქართული ენის მთის დიალექტებში სიტყვაწარმოების იგივე მოდელი მოქმედებს, რაც სალიტერატურო ქართულში. დანიშნულების გამოსახატავად გამოიყენება როგორც ოდენ სა- პრეფიქსი, ასევე სა—ო, სა—ე, სა—ურ (→ ულ) აფიქსები, ასევე იწარმოება მყოფადი დროის საობიექტო მიმღებობები, რომლებიც სემანტიკურად ახლოს დგანან დანიშნულების სახელებთან.

ოდენ სა- პრეფიქსით ნაწარმოები დანიშნულების სახელებია:

სა-ყუჩი-ი — საფარი, სამალავი: მე დაუჭედიტ **საყუჩიო** და დაუცადევ (ჭინ. 354). გზაში ჩაუდგამ **საყუჩსა**, ირმულად ჩავეპარები (რაზ. 256).

სა-კვამ-ი — საკვამლე, ბანში დატანებული ერლო კვამლის გასასვლელად: კოკოთ ჳირჩლა გამაჩენილ, **საკვამნ** არ გამადიანა? აიმაჩი კოკოთ ჳირჩლა გამაჩენილა (ჭინჭ. 361).

სა-კომ-ი — ფშაურში საკვამლეც არის და სარკმელიც: ბევრ ბოსლის კარა გააღე, ბეჭიკა ახადე **საკომი** (რაზ. 189).

სა-ცხად — ცხადად, ცხადში: **საცხად** არ ეჩვენების — სიზმარჩი (დოლ. 14).

სა—ო აფიქსებიანი ფორმები.

სა-ხარ-ო — გასახარელი: **სახარო** ამყოლებლისა წამაიზარდენ ქალები (რაზ. 181).

სა-სთლ-ო — საშემოდგომო: სთუელზე მოწვევე **სასთლოდ** დაჰყრის საკლავებსა (ჭინჭ. 90); იმას სასთულო ექტინა (მოხ. 86).

სა-მტერ-ო: წავალის აიქ დაჯდება, სადაც **სამტერო** ტყე არი (რაზ. 24).

სა-კარ-ო — კარისკენ: გავედინნეთ **საკაროდა**, უკვენ მენა წინ შენაო (რაზ. 192).

სა-ვაჟ-ო — ბავშვი, ბიჭი: მემრე **საგაჟო** უფრო ეშმაკი (ფშ. ცოც. 147).

სა-მზე-ო — ეს ქვეყანა: სულ მათორებს **სამზეოს** და თავის ფშავის მხარესა (ფშ. ხორნ. 57).

სა-სისხლ-ო — სამტრო, სამკვდრო — სასიცოცხლო: ისარი მოჰჭდა, რომა პირდაპირ **სასისხლოდაა** საქმე (ქავთ. 113).

სა-მგურგალ-ო — ირგვლივ: ტრიალობენ **სამგურგალოზე** (მთ. 39). „სამგურგალო“ — დასტურდება „სამგურგალა“, ვარიანტითაც: შემოატარებდენ ხოლმე **სამგურგალაზე** (მთ. კ. 254).

სა-დოლ-ო — დოლისთვის: კიდენ მუალის თირუზან **სადოლოდ** თავის ცხვარშია (ფშ. რაზ. 36). (დასტურდება სადოლე ფორმაც).

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ფუძედ გამოყენებულია ნა-ცვალსახელი.

სა-შენ-ო: გულნურა დაგიღონდება, ქალი **საშენო** სხვა არა (რაზ. 143).

სა-ჩვენ-ო: გზაზედ წავიდეს **საჩვენოდ** არას არია (რაზ. 26).

სა—ე აფიქსებით ნაწარმოები დანიშნულების სახელები:

სა-დოლ-ე — მოსაგები, დასადოლებელი: **სადოლე** ცხორს გავა-თავთავადებთკე (მოხ. ქ. 305). **სადოლედ** ვემზადებთკე (მოხ. ქ. 300).

სა-არაყ-ე: 1. მასალა: დავფქოვდით **საარაყედა** სიმინდსა (ქავ. 91). 2. ნივთი: ჩავასხამთ მემრე **საარაყე** ქობში (მთ. კ. 21); 3. პრო-ცესი: დედა ავად იყო და **საარაყეს** ვაცნობდი (ქ. 100).

სა-ძირ-ე: 1. ადგილი (საძირკველი). ჯერთ უნდა გოგოთხარა **სა-ძირე**, საძირეჩი თეთრ ფულს ჩავყრითკე (ქავთ. 92); 2. მასალა: **სა-ძირე** ჩაყარიან ოთხსავ კუთხესა (საძირე — აქ საძირკველში ჩასაყრე-ლი ფული) (ქავთ. 93).

სა-ცოლ-ე: ერთხელ ჩონთან გივარგის ბალლი ავარდა **საცოლედა** (ქავთ. 115).

სა-ქმარ-ე: მაგის **საქმარეს** ვაჟასა ბეგთარი გვიცვავე ტანზედა (რაზ. 65). დასტურდება „საქმარია“ ფორმაც: ჩემს საქმარიას უთხა-რით, ჩემს იმედს ნულარ არია (რაზ. 133).

სა-მკლავე-ე — ნიდაყვიდან მაჯამდე ასაკვრელი ფოლადის ფიცა-რი: **სამკლავე** ქონია, ჯაჭვის პერანგი (ფშ. ცოც. 177).

სა-რუ-ე: ის ბალლი წისქვილის **სარუეში** გადაადგეს (ფშ. რაზ. 65).

სა-...-ურ (→ულ) აფიქსიანი ფორმებია:

სა-თოფ-ურ-ი: შინ შეიყვანა ციხეში, მოუსვა **სათოფურსაო** (თუშ. უთ. 169).

სა-ყუნწ-ურ-ი კარის თავი, რომლითაც კარი ჩამჭდარა ზღურბლ-ში: კედას თანდათან გადაუღებდეს კარის **საყუნწურამდე** (საკუნ-წურამდე) და დაკეტიან (მოხ. ქ. 94).

სა-ლამ-ურ-ი — ლოგინი (თუშ. 184).

სა-ფეხ-ურ-ა-ე-ბ-ი — ოჩოლფეხი: საფეხურაებს ვაკეთებთ და იმით დავდივართ (ხევ. დოდ. 37).

სა-თა-ურ-ი: ცალკე რო სწერავს **სათაურდა** (ფშ. ცოც. 171).

სა-გორდ-ულ-ე-ბ-ი: კედლებს **საგორდულები** ხქონდა (მოხ. ქ. 86)

სა-ფთხ-ულ-ი — საფთხოხელა: ბინაში აღარ მოგიშვა, სუ **სა-ფთხულივით** დაგყულო (რაზ. 95).

სა-ბარგ-ულ-ი — ჭურჭელი: ქალო აბა თაფლის **საბარგული** მო-იტა, ავიწონო (მთ. კ. 232).

სა-რძე-ულ-ი: მემრე მოვხდით ნახებსა, დავასხამთ სარძელში (მთ. 29).

სა-...-არ (→ულ) აფიქსიანი დანიშნულების სახელებია:

სა-გძ-არ-ი — საგზალი: ვახტანგმა თავისი **საგძარი** დაუდგა ამა-თა (მოხ. ქ. 136).

იგივე ფორმა გვაქვს -ალ სუფიქსითაც: კი ჩაიდევა, თათარო სა-თიანეთო **საგძალი** (ხორნ. 34). **საგზალ** მომიშადავე (თუშ. 95).

სა-ომ-არ-ი: ხვრელი ციხის კედელში, საიდანაც შეიძლებოდა სროლა (თ. უთ. 205).

ზოგი დანიშნულების აფიქსებით ნაწარმოები სახელი გაარსები-თებულია:

სასთაული — ბალიში: **სასთაული** და ნაბადი სუ ყვითლად შაალებინა (რაზ. 133). ახლა მაგან მაიკითხა საბანი და **სასთაული** (რაზ. 225).

როგორც ცნობილია, სასთაული ძველ ქართულშიც გვაქვს: სა-სთაულსა ზედა თავი არა მიდვას (შუშანიკი 25).

საწინისი — ხელსაწყო, რითიც ხნავენ: **საწინისი** საშვრიგზეა წამო-ცმული (ჭ. 198).

სალოკა — **სალოკა** თით რო გახაიბრდების ერთ საკლავ და ოთხ ძროხა ან ოთხ ფარდაგი (დოდ. 64).

სამოსი — ჩასაცმელი: მარლაც გნეჰადავ ცრეს **სამოსებივ** ცრემ ბიჰსავ (თუშ. 117).

საცნაურა — გამოცანა: ეწა გითხრა **საცნაურა** (დოლ. 19).

სანდაურა — საყვარელი, მოსაწონარი: ნეტავ ველარ გიცნობავ **სანდაურა** ჩემსაო? (ხევს. პ. 356).

სამრისხეული — დასარისხებლად განკუთვნილი ქვა: იმ ოჯახს დღეობაში, ჯარი უნდა შეება და **სამრისხეული** სამანი უნდა ჩაესხა (მთ. 98).

ზოგჯერ მაწარმოებელი აფიქსები ერთვის უკვე წარმოქმნილ სახელს:

სა-საგულე — ქალის გამოჭერილ გრძელ კაბას, რაც სჭირდება საგულის მასალა, საკაბე: მიუტანდეს **სასაგულეს** საჩუქარსა (მოხ. 104).

სა-სინათ-ო: ღამე გარეთ **სასინათოდაც** ვკვმარობთვე (მოხ. 84).

სა-მემცხვარე-ო: ეს **სამემცხვარეო** ქუდია (მთ. კ. 200).

სა-საგძლ-ე: თესლს ჩაყრიან **სასაგძლესი** (ჭინ. 199).

ალ. ჭინჭარაული აღნიშნავს, რომ: „მოქმედებითი გვარის მიმღეობიდან (ხევსურულში) ზოგჯერ ხელახლა არის ნაწარმოები მყოფადის მიმღეობა:

სა-მყოფ-ი, სა-მყოფ-ელ-ი, სა-მყოფ-ო — ყველაზე დიდი ოთახი ძველებურ მოხეურ საცხოვრებელ სახლში: **სამყოფ** იქა ყოფილაო თორე, აქა რაო (ცოც. 136).

სა-მყოფ-ო: ქოთაჩი **სამყოფოც** გაამართვინა (მოხ. 152).

სა-მყოფ-ელ-ი: სანადიროდ წამოსულან და მასწონებია იქ სასახლეები დასადგომად, **სამყოფელად** (ცოც. 140). (შდრ.: გა ნე და ნინო და სხუანი ვინმე მათთანა გამოვიდეს არეთა სომხისთისათა **საყოფელსა** თრდატ მეფისასა (ქ. ც. 28).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დანიშნულების სემანტიკას გამოხატავს მყოფადი დროის საობიექტო მიმღეობებიც (ე. ი. ზმნის ფუძეზე დამყარებული დანიშნულების სახელები). საწარმოებლად გამოყენებულია I ან II სერიის ფუძეები.

ოდენ სა- პრეფიქსით ნაწარმოები I სერიის ფუძეზე დამყარებული მიმღეობებია:

სა-ვალ-ი: ისეთ ყინულებიაოდ! ისეთ წყეულ **სავალივ** (ცოც. 144). შენსა და ჩემსა **სავალსა** ყინული აკრავ გზასაო (რაზ. 148). შვიდ დღეს ამბობენ გავლასა, **სავალსა** წვილის თვისასა (რაზ. 40) **გასავალ** ცხენებ მ ძლიოდ ქისტებს (თუშ. 98).

სა-მარხავ-ი — დასამარხავი: იმასთან ერთი ციცაი, ამ ბეგრის **სა-**

მარხავადა (რაზ. 201).

სა-ჯნავ-ი ის, რაც უნდა მოხნან: **საჯნავი** იყო, იყო **საჯნავ** როგორ არ იყო, მა რითა ცხოვრობდა იხალხი (ცოც. 185).

დასტურდება „საჯნაური“ ფორმაც: **საჯნაური** ადგილები — ყანა (მოხ. ქ. 156). **საჯნაურები** — მამულებია (კ. 72).

სა-კლავ-ი ის, რაც უნდა დაიკლას, საქონელი: თუ ახლოს ნათესავები მაკუდა, მაში — **საკლავი** და ვედრობლივ არაყი (მოხ. ქ. 90).

სა-წველავ-ი — მოსაწველი პირუტყვი: დააყენა თავ-თავის ადგილას, **საწველავ** საწველავად, ბატკან კიდენ მთაში გალალ (ცოც. 132). ეხლა ჩემი ქალი **საწველავში** არ (კ. 164). მავან შავ ზღვაში-ავ სამოც **საწველავ** რაშ მყავავ (უთ. 115).

სა-გორავ-ი: ნაფხვრებში გასრულიყვენ ციხის იქისავ დაყ ცუქქითა **საგორავც** ექტხა-დ (თუშ. უთ. 88).

სა-თქვამ-ი — სათქმელი: ვიცი რომ **სათქვამ** რაიმ აქვა (ხ. ჭინ. 340).

ზოგჯერ ერთმანეთის პარალელურად დასტურდება ოდენ სა-... პრეფიქსიანი და სა-...-ელ, სა-...-არ აფიქსებიანი ფორმები. ეს უკანასკნელი (სა-...-ელ, და სა-...-არ აფიქსებიანი) I სერიის -ებ თემისნიშნის ფუძეს ემყარებიან.

სა-გონ-ი — საფიქრალი: როცა ლოგინში დაწვება **საგონად** გადამექცევა (რაზ. 222). ბავავ, ნუ ამაიშქუნებ, **საგონს** ნუ მისცემ გულსაო (რაზ. 131).

სა-გონებ-ელ-ი: სახსენებლად ხალხისა / **საგონებელი** ვისაო (ც. 74). სიზმარში **საგონებელნო**, / კარგებო განა ყროლებო (ცოც. 190). სახლ გვიდგა **საგონებელი** (რაზ. 133).

სა-გონებ-არ-ი: სახ მიდგა **საგონებრისა** (რაზ. 136). გულო შე სევდის მოკლულო რა გაქვის **საგონებარი** (რაზ. 136). საგონებარში ჩავვარდი, როგორც კამბეში მორევსა (რაზ. 155).

გვაქვს „სა-ოგნებ-ელ-ი“ ვარიანტიც: დავილაღე და დავვარდი **სა-ოგნებელში** ჩავვარდი (რაზ. 135).

სა-გულე-ი: ძნას მიიტანენ საგანგებოდ შემოლობილ ადგილზე, რომელსაც **საგულეები** (=საჩადლი) ეწოდება (ჭინჭ. 2004).

სა-გულე-ელ-ი: **საგულეებელი** დაიწერე, სადაც თივას მააქუჩებენკე საგულეებელი ქვიან იმ ადგილ მხოლოდ მთაში (გ. 72).

სა-შინებ-ი: ევერ იციან **საშინებად** (დოლ. 21).

სა-შინებელ-ი: მაშინ ჩუას უთქვამ „**საშინებლა(დ)** მივყარათა“.

ნანაისძეს, საშინებლა(დ) უსრევავ (ჭ. 387).

სა-კეთებ-ი გასაკეთებელი: ზამთრის **საკეთებ** გვაქვის ჩვენ აი ეს საკალოე (დოლ. 51).

საწარმოებლად გამოყენებულია II სერიის ფუძე: ოდენ სა-:

სა-ლეს-ი — რაიმეს გასალესი ხელსაწყო: ჯიბაჩიავ **სალეს**-სამარ-თებელნ სხმიანავ (ჭ. 387).

სა-ქმ-ი — საქმიანი დღე, სამუშაო: **საქმში** არაფერს ვაკეთებ, უქმში რას გავაკეთებ? (მთ. 238). ყველა შიგა შეკრებილია **საქმი**, უქმი, დარ-ავდარი (რაზ. 181).

სა-პოხ-ი, კარაქს, ერბოდ-**საპოხად** გავადნობთვე (მოხ. 90).

II სერიის ფუძეზე დამყარებული სა-...-არ (→სა-...-ალ) აფიქსები-ანი მიმღობებია:

სა-ჩუქ-არ-ი: მაშინვე აძლევდეს **საჩუქრად** ექუს დესეტინა მიწას (მოხ. 152).

სა-ხვეწ-არ-ი: **სახვეწრად** მამიყვანია თეთრი ქორაი ჯარიო (რაზ. 80).

სა-ზიზლ-არ-ი: ხმა მეტად სენი ზღებია / საელდო **საზიზლარია** (გიგ. 139).

სა-ქნ-არ-ი — გასაკეთებელი: ევე ქრისტიანივ კაის **საქნარად** კი არა მივავ დლესაკ შინავ (ჭ. 384).

სა-ტირ-ალ-ი: დადიოდა თურმე **სატირლად**, სატირალჩი დახყვანდისკე (მოხ. 124).

ზოგი დანიშნულების სახელი ფუძედ იყენებს მასდარს:

სა-გათენებ-ო — გათენების, გამთენიისას: საშუალამო მასკვლავი **საგათენებო** ჰგონია (რაზ. 99). **საგათენებო** მასკვლავი ეუბრებოდა ცისკარსა (რაზ. 147).

დასტურდება ისეთი შემთხვევაც, როცა სა- პრეფიქსს წინ უს-წრებს ზმნისწინი: გა-სა-თენებ-ი: წუხელ მოვიდა მერცხალი დამეს არ **გასათენებსა** (რაზ. 171).

სა-ვდომ-ი — სახტომი: საიქიოდან **სახდომი** / აღარ მექნება კი-ბეო (ხორნ. 23). იმასთან არცაით არ ყოფილ **შესავდომი** (ჭ. 343).

საწარმოებელ ფუძედ გამოყენებულია ფუძედრეკადი ზმნებიც:

სა-ხვრეტ-ი — სასმელი, სახვრეპი: რას კითხულობ საჭმელია, თუ **სახვრეტი** (მთ. 207).

სა-ჟლეტ-ი: **საჟლეტად** საღმის ჯარისაო / სეთურთას გავჭრით კანაოს (მთ. 117).

სა-ჭვრეტ-ა — სახვრეტების გასაკეთებელი (ჭ. 248).

სა-მზირ-ი: ჩემ **სამზირში** რად მოზდიოდევ (თუშ. 109).

სა-დლობ-ელ-ი — სადაც იდღვიბება: შუშუტა სულის მოსაქცევია **სადლობელში** (მთ. 250).

სა-ხვევ-ი — მოსახვევი, მოხვეული გზა: იმას სახვევთას უსწავლე-ბავ აცეხისკე რო **სახვევენ** აღიან (ჭ. 351).

ფუძედ დასტურდება ზმნისართებიც:

სა-აქა-ო: **სააქაოს** ესრ მამყოფა, რო მოგვკდე თან ჩამაყოლა (რაზ. 133).

სა-მუდმ-ო — სამუდამოდ: მე გინატრებდი **სამუდამოდ** ერთადამც დაგვეძინებო (ხორნ. 31).

სა-ადრე-ულ-ო: **საადრეულო** მხოლოდ ეს არის? (მთ. 212).

სა-მანდა-ო: ღმერთო დიდება შენდა! კაცი შენ გეძახხრავ, სული შენ გებარებისავ, სააქაოს ნათქვამი თუ **სამანდაოს** მადისავ, მკვდართ შენდობა მაგიდისთავ (დოლ. 65).

დანიშნულების სახელთა ფუძედ გამოყენებულია კომპოზიტიც:

სა-შუალამ-ო: **საშუალამო** მასკვლავი საგათენებო ჰგონია (რაზ. 99).

როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები მრავალფეროვან მასალას წარმოგიდგენენ დანიშნულების სახელთა წარმოების მხრივ. დასტურდება სახელის, ზმნის, სახელზმნისა და ზმნისართის ფუძეთაგან ნაწარმოები ფორმები. საწარმოებელ აფიქსე-ბად გამოიყოფა სა-, სა-...-ე, სა-...-ო, სა-...-არ (→ სა-...-ულ), სა-...-ელ. ვფიქრობთ, დანიშნულებაზე მიგვანიშნებს ოდენ სა-... პრეფიქსი, ხო-ლო სუფიქსები მხოლოდ ფუძის მაწარმოებელი ფორმანტებია. ზე-მოთქმულს ადასტურებს ოდენ პრეფიქსული ვარიანტების არსებობა: სა-გონი, სა-ჩქეფა, სა-ლონი და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ერთმანეთის პარალელურად დასტურ-დება ოდენ პრეფიქსული და იმავე ფუძიდან ნაწარმოები პრეფიქს-სუფიქსური ფორმები: სა-გონებ-ი / სა-გონებ-ელ-ი; სა-გულებ-ი / სა-გულებ-ელ-ი: სა-შინებ-ი / სა-შინებ-ელ-ი და სხვა.

ლიტერატურა

გივინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე, 1961 — ი. გივინეიშვი-ლი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.

დოლიძე, 1975 — გ. დოლიძე, ხევსურული ტექსტები, თბ., 1975.

ვირსალაძე, 1978 — ე. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირ-სიტყვიერება, თბ., 1978.

კაიშაური, 1967 — ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.

კაიშაური, 1998 — ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბ., 1998.

მარტიროსოვი, 1972 — არ. მარტიროსოვი, ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისთვის, თბ., 1972.

რაზიკაშვილი, 1889 — თ. რაზიკაშვილი, თუშური ლექსები (აღვანში ჩაწერილი), 1889.

უმიკაშვილი, 1937 — ბ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I, 1937.

უთურგაძე, 1960 — თ. უთურგაძე, თუშური კილო, თბ., 1960.

უთურგაძე, 1966 — თ. უთურგაძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგიერთი თავისებურება, თბ., 1966.

ქავთარაძე, 1985 — ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

შანიძე, 1984 — ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1984.

ცოცანიძე, 1978 — გ. ცოცანიძე, ფშაური დიალექტი, თბ., 1978.

ცანავა, 1964 — აბ. ცანავა, გალექსება-გაშიარება და ფშაური კაფია, თბ., 1964.

ჭინჭარაული, 1986 — ალ. ჭინჭარაული, მთას ვიყავ..., თბ., 1986.

ჭინჭარაული, 1960 — ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი (ტექსტებით და ინდექსებით), თბ., 1960.

ხორნაული, 1939 — გ. ხორნაული, ფშაური მილექსებანი, თბ., 1939.

ხორნაული, 2000 — გ. ხორნაული ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.

ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია.

ZEINAB EDIBERIDZE

On the Expression of Purpose in East Georgian Highland Dialects

Summary

In the Highland dialects of East Georgia the following affixes with the meaning of purpose are evidenced: sa..., sa.. o, sa... ar (sa... al), sa.... ur (sa... ul), sa... el. The paper argues that only the prefix sa conveys the meaning of purpose, while the suffixes are stem-forming formants only. The said is supported by the existence of either only prefixed variants, or parallel forms (i. e. prefixed as well as affixed variants).

ენო თეზაუსი

ზმნის მომავალი დროის მუშავლზმნიანი წარმოება
დალესტურ ენებში

ზმნის მომავალი დროის ფორმა შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, ის იქმნება მაშინ, როცა ენაში უკვე ჩამოყალიბებულია წარსული და ახლანდელი დროის ფორმები. ამასთანა, აღსანიშნავია, რომ ყველა ენაში მომავალი დროის ფორმები იქმნება უღვლილების მანამდე არსებული ფორმების გამოყენებით. მაგალითად, როგორც ცნობილია, ქართულში მომავალი დროის მწკრივის წარმოქმნა დაკავშირებულია ასპექტის სისტემის შეცვლასთან. აწმყოს ჯგუფის სამი მწკრივისაგან პარალელურ ფორმათა გრამატიკული შინაარსის შეცვლის გზით წარმოიქმნა სამი ახალი მწკრივი — მყოფადის წრის მწკრივები და ეს მოხდა ისე, რომ არ გაჩენილა ახალ ფორმათა შექმნის საჭიროება (შანიძე, 1980, 270). ხატავს — დახატავს, წერს — დაწერს ძველ ქართულში ახლანდელ დროს აღნიშნავდა. უზმნისწინო ფორმა უსრულ ასპექტს გამოხატავდა, ზმნისწინიანი — სრულს. როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, ზმნისწინიანი აწმყოს მომავალ დროს მნიშვნელობა საბოლოოდ XVI საუკუნიდან უნდა დამკვიდრებოდა (ჭუმბურიძე, 1986, 84).

რაც შეეხება დალესტურ ენებს, მომავალი დროის აღმნიშვნელი სპეციალური ფორმა თითქმის ყოველ მათგანში არსებობს: ზოგ ენაში უკვე ჩამოყალიბებულია, ზოგში კი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. მაგრამ გამოკვეთილია ერთი კანონზომიერება: დალესტნის ყველა ენა მომავალი დროის ფორმას ქმნის ენაში არსებული ფორმების გამოყენებით ისევე, როგორც ეს ვნახეთ ქართულის მაგალითზე. ოღონდ ქართულისაგან განსხვავებით მომავალი დროის წარმოება დალესტურ ენებში ხდება სხვადასხვა სუფიქსისა და ნაწილაკის დართვით, ხშირად ბრძანებითის აფიქსის საშუალებითაც.

ჩვენს სტატიაში შევეხებით დალესტურ ენებში გავრცელებულ

მომავალი დროის აღწერით წარმოებას. ზოგ დალესტურ ენაში ასეთი ფორმა მომავალი დროისა ერთადერთია, ზოგ ენაში კი არსებობს მარტივი წარმოების პარალელურად.

ხუნძურ ენაში ინფინიტივზე დართულ აწმყოში მდგარ მეშველ ზმნას მომავალი დროის მნიშვნელობა აქვს. ამ აღწერით ფორმას მყოფადი აუცილებლობითი ეწოდება:

ყოტიზე ბ-უგო „გაჭრის“

ვაჭინე ვ-უგო „მოვა“

ბოსიზე ბ-უგო „აიღებს“

ჩუ ბ-აჭინე ბ-უგო „ცხენი მოვა“

ინსაუტა ას -ეცაიზე -იგო „მამა ქალიშვილს შეაქებს“ (ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962, 333).

დარგულ ენაშიც ინფინიტივზე აწმყოში მდგარი მეშველი ზმნის დართვით იწარმოება განუსაზღვრელი მომავალი დრო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მეშველ ზმნას ვხვდებით I და II პირში, III პირის ფორმა კი მხოლოდ ინფინიტივითაა წარმოდგენილი.

დუდილ ბაჯი -და „მე გავაკეთებ“

უდილ ბაჯი -დე „შენ გააკეთებ“

იდილ ბაჯი „ის გააკეთებს“.

ლუზგიურში მომავალი დროის საწარმოებლად აბსოლუტივს ემატება „და“ ფორმანტი.

აბსოლ. ღ-იზ მყოფადი — ღრ-და (მოიტანს)

ჭუგუ-აზ ჭუგუ-ა-და (მოწევს)

ჯ(ი)ღ-რზ ჯ(ი)ღ-რ-და (ნახავს)

რ(უ)გ-აზ რ(უ)გ-ა-და (მოხარშავს)

(თოფური, 1959, 34)

„და“ ფორმანტი ლ. ყირკოვის აზრით, არის *copula* მნიშვნელობით „არის“ (ყირკოვი, 1941, 93).

ხვარშიულში მომავალი დრო იწარმოება ინფინიტივისა და დამხმარე ზმნა „გოლი“-ს მეშვეობით.

ლუზა გოლი — „ავიღებ, ვიყიდი“

ყულა გოლი — „დავტოვებ, დავაგდებ“.

მაგრამ, ჩვეულებრივ ეს ანალიტიკური ფორმები იცვლება სინთეტიკური ფორმებით, რომლებიც წარმოქმნილია ანალიტიკური ფორმების შეკვეცის გზით.

ლეზალი — ავიღებ

ყულალი — დავტოვებ

ამ მაგალითების მიხედვით იკვეთება ის, რაც სხვა ენებისათვის (და არა მარტო იბერიულ-კავკასიურისთვის) ჩვეულებრივია. კერძოდ, მომავალი დროის აღსანიშნად აწმყოს გამოყენების ფაქტი დადასტურებულია მსოფლიოს მრავალ ენაში. ამის მიზეზი ის არის, რომ „აწმყო ყოველდღიურ ცხოვრებაში მოიცავს მომავლის ნაწილსაც, ასე რომ, როცა მყოფადის აღნიშვნა ხდება საჭირო, ბუნებრივია, რომ ყველა არსებული ნაკვეთიდან აწმყოს ნაკვეთი ავირჩიეთ“ (ნათაძე, 1961, 30).

დალესტური ენების აღწერითი წარმოების მომავალი დროის ფორმა ამჟამად ხშირად გამოიყენება აწმყოს მნიშვნელობითაც (მაგ.: ლეზგიურში, ჩიმრ ჟედა — „ზაფხულში სიცხეა“, ა ინსან ჰამიშა აზარლუ ჟედა „ეს კაცი ყოველთვის ავადა“, თოფურია, 1959, 34), თუმცა მათ ენაში მომავალი დროის აღნიშვნელი ფორმის სტატუსი უკვე დამკვიდრებული აქვთ. სავარაუდოა, რომ ასეთი წარმოების ფორმები თავდაპირველად აღნიშნავდნენ მხოლოდ ახლანდელ დროს, მომავალი დროის გაგება მათთვის მეორეულია.

აღსანიშნია ამ აღწერით ფორმათა მოდალური ხასიათიც. საერთოდ „აღწერითი ფორმები გარკვეულ დროში (კილოში) დამატებით ამა თუ იმ კონკრეტულ მნიშვნელობასაც გამოხატავენ“ (ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962, 254). იმ ენათა მონაცემების მიხედვით, სადაც მომავალი დროის აღსანიშნად პარალელურად არსებობენ მარტივი და ანალიტიკური ფორმები, ნათლია, რომ აღწერითი წარმოების ფორმებს უფრო კატეგორიული შინაარსი აქვთ, ე. ი. მოქმედება ნამდვილად შესრულდება მომავალში.

ლიტერატურა

ბურჭულაძე, 1987 — გ. ბურჭულაძე, ლაკური ზმნა, თბ., 1987.

თოფურია, 1959 — გ. თოფურია, ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები.

მაგომედოვი, — А. А. Магомедов, Даргинский язык,

მაგომედოვი, 1982 — А. А. Магомедов, Мегебский диалект даргинского языка, Тб., 1982.

მაგომედოვი, 1963 — А. А. Магомедов, Кубачинский язык, Тб., 1963.

მარტიროსოვი, 1955 — ა. მარტიროსოვი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში, იკე, VII, თბ., 1955.

მაჭავარიანი, 1974 — გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქესს, IV, 1974.

ნათაძე, 1961 — ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში, ქესს, II, 1961.

ჟირკოვი, 1944 — Л. Жирков, Грамматика лезгинского языка, Махачкала, 1944.

ჩიქობავა, 1944 — არნ. ჩიქობავა, ჭანური მყოფადის წარმოებისათვის, სმამ, V, №1, თბ., 1944.

ჩიქობავა, 1978 — არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1978.

ჩიქობავა, ცერცვაძე, 1962 — არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., 1962.

ცერცვაძე, 1965 — ილ. ცერცვაძე, ანდიური ენა, თბ., 1965.

შანიძე, 1982 — აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, II, თბ., 1982.

ჭუმბურიძე, 1986 — ზ. ჭუმბურიძე, მყოფდი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

ჭეიჩანაშვილი, 1971 — ე. ჭეიჩანაშვილი, უდიური ენა, 1971.

NINO TEVZADZE

Formation of the Future by means of Auxiliary Verbs in the Dagestan Languages Summary

As is known in all languages the Future was formed at a later stage, after the Past and the Present had long been formed. Generally the formation of the Future is based on the already existed forms of conjugation.

In Georgian, it is the preverbed Present forms whose emergence is closely connected with the change in the Aspect system.

In the Dagestan languages the Future is formed by means of various suffixes and particles.

The Future formed by means of auxiliary verbs is widely spread in the Dagestan languages. When added to the Infinitive or the Absolutive, an auxiliary verb in the Present acquires a Future meaning. Presumably, the formation in question primarily conveyed the Present meaning. The semantics of Future is of secondary nature.

ანა თანიუზილი

**ტაძნიაური ინსტრუქციების ლინგვისტური
თავისებურებები**

სტატიის მიზანია ტექნიკური ინსტრუქციების ლინგვისტური მახასიათებლების განხილვა, რადგანაც ამ ტიპის დოკუმენტი, ჩვენი აზრით, თვისობრივად განსხვავდება სხვა ტექნიკური საბუთისაგან როგორც სტილითა და რეგისტრით, ასევე აგებულებით.

ტექნიკურ ინსტრუქციაში ჩვენ მიერ გაანალიზებული 84 ინსტრუქციის მაგალითზე გამოვყავით მათი აგებულების ძირითადი ელემენტები, რომლის არსებობაც აუცილებელია ასეთი დოკუმენტის იდენტიფიკაციისთვის:

- 1) ტექნიკური მოთხოვნები / სპეციფიკაცია.
- 2) კონკრეტული სამუშაოს ჩასატარებლად სამუშაო ინსტრუქცია.
- 3) კონკრეტული ტექნიკური მოწყობილობის ტრანსპორტირებისა და შენახვის საჭირო პირობების სპეციფიკაცია;
- 4) კონკრეტული მოწყობილობის ექსპლუატაციის დროს შესაძლებელი შეცდომები / გაუმართაობები და მათი აღმოფხვრის / პროფილაქტიკის მეთოდთა.
- 5) საგარანტიო ვადები;
- 6) დანართი.

ჩამოთვლილი ელემენტები ახასიათებს ჩვენ მიერ აღნუსხულ ყველა ტექნიკურ ინსტრუქციას სხვადასხვა ზომით.

მასალამ ისიც გვაჩვენა, რომ ტექნიკური ინსტრუქციების გარკვეულ რაოდენობას ახასიათებს შემადგენელი ნაწილების რაოდენობრივი და არა თვისობრივი ხასიათის ცვლილებები, კერძოდ, ჩვენ მიერ შესწავლილი 84-დან 40-ს ინსტრუქციაში გამოიკვეთა, რომ პირველი პუნქტის (ტექნიკური მოთხოვნები / სპეციფიკაცია) შემდეგ მე-2 პუნქტად გამოიყო უსაფრთხოების სპეციალური წესები და ინსპექციის მეთოდები.

ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი ინსტრუქციის სარჩევი:

Table of Contents.

1. *Technical Requirements*

2. *Safety Requirements*

3. *Acceptance Rules*

4. *Inspection Method*

5. *Transportation and Storage*

6. *Requirements to Customer to Ensure Normal Operation*

7. *Manufacturer's (Supplier's) Guarantee*

Appendix I. *Diagram of engine power relation to engine inlet air temperature*

Appendix II. *Diagram, showing relation of engine power changes and its efficiency factor EF (relative) to resistance changes of gas-outlet device.*

Appendix III. *Diagram, showing EF and hourly fuel consumption relation to GT engine power.*

Appendix IV. *Diagram, showing engine power changes and its EF(relative) relation to High Pressure Compressor air bleeding*

Appendix V. *GTE – 15 engine. Basic Overall dimensions.*

Appendix VI. *Diagram, showing relation of engine power changes and its EF(relative) to resistance changes of air inlet device*

Appendix VII. *List of design documents not included in TS booklet*

Appendix VIII. *List of Technical Documentation (NTD), relevant to present technical specifications*

Appendix IX. *Supply volume*

ტექნიკური ინსტრუქციებისათვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებებიდან აღსანიშნავია შემდეგი მახასიათებლები:

1. კატეგორიული კონსტრუქციების უპირატესი გამოყენება, რაც ადვილად აიხსნება იმით, რომ ინსტრუქცია მითითებათა ნაირსახეობას წარმოადგენს, მაგალითად:

General instructions

7.1 *Additional requirements which must be taken into account when designing gas supply systems of power plants are given in this section.*

7.2 *Apart from these norms the requirements of other normative documents, approved by Department of Energy of USSR in established order, should be followed when designing the gas supply systems of power plants.*

7.3 *Designing of gas pipelines with gas pressure more than 1.2 MPa (12 kg/ cm²) should be made according to special technical conditions of Department of Energy of USSR, approved in established order.*

2. განუსაზღვრელი აწმყო დროის ფორმების ხშირი ხმარება, მაგალითად:

6.3.3.4. *TG supporting crown is meant for location of Generator turbine rotor back support. Supporting crown forms flowing setting between Generator turbine and gas exhaust.*

3. კონკრეტულ ტერმინთა სიმრავლე და მათი შემოკლებული ფორმების ხმარების სისწორე; აქ შეიძლება ორ შემთხვევაზე ვილაპარაკოთ:

ა) გამოიყენება ფართოდ მიღებული აბრევიატურები, მაგალითად: DC (direct current), AC (alternate current), TG (turbogenerator), CP (control panel), რომელთაც განმარტება არ სჭირდებათ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათი მოძებნა ნებისმიერ ტექნიკურ ლექსიკონში შეიძლება;

When there are available: external DC magnetic fields with strength up to 400 A/m and AC magnetic fields with frequency 50 Hz and strength 80 A/m.

ბ) მხოლოდ ამ კონკრეტული სფეროსთვის დამახასიათებელი აბრევიატურები, რომელთა განმარტება მაინც მოინახება კონკრეტული სფეროს ტექნიკურ ლექსიკონში: CD – current density (in polytechnical field); CD – compact disk (in computer science), HPC (High Pressure Compressor);

Through air supply pipe 2 (fig. 54) and connector, from HPC (High Pressure Compressor) unloading chamber the air is supplied to Generator turbine unloading chamber "a".

6.3.3.4. **TG supporting crown is meant for location of Generator turbine rotor back support. Supporting crown forms flowing setting between Generator turbine and gas exhaust.**

Supporting crown consists of supporting crown casing 1 (fig 50), bearing casing 23, nine rests 5 and three cowls 3, 7 and 12 (fig. 51). There are pivots (9, 13) fixed by means of fingers on supporting crown casing and holder 10 to install engine on the frame.

გ) მხოლოდ რომელიმე კონკრეტული მანქანა-დანადგარის ან მოწყობილობისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია და აბრევიატურა, რომელიც იმდენად ახალია, რომ მათი განმარტებისათვის ინსტრუქციაში გამოყოფილია სპეციალური განყოფილება (Glossary), სადაც ავტორები ყველა ამგვარ აბრევიატურას და ტერმინს განმარტავენ:

A3 — ACU — autostart control unit;

БВУ — TSB — time settings block;

БКЦЛ — LCSB — logic circuits switching block;

БКЦП — SCSB — supply circuits switching block;

ცხადია, რომ ამ სფეროს დოკუმენტაციის სპეციფიკის გამო, აქ არ იხმარება ემოციური ლექსიკა. ეს ეხება ასევე სტილისტურ ხერხებს, რომლებიც, როგორც წესი, არ გამოიყენება იმ იშვიათი გამოწვევის გარდა, როდესაც დანადგარის აღწერილობაში გამოიყენება სომატური გაცვეთილი მეტაფორები, მაგალითად: *head part, bottom part, nose, tail* და ა.შ. მაგალითად:

In order to define cock/valve visually, slide valve 6 has square head on external ring, indicative arrow is given on its end, this arrow is put opposite to hairlines with inscriptions “OPEN” or “CLOSED” on cock cover.

Table with connector circuit decoding is fixed on the cover. Connectors for cable connection and also control connector are placed on the bottom of casing.

During thermal expansion, gaps “δ” between diaphragm sections are jumped by means of tightening plates. Tightening plates are inserted into the cuts, which are formed by means of pressure plate 7, tightening sections 2 and diaphragm disk 4. Cermets 1 are inserted into the tightening sections 3 cuts of “dovetail” type.

4. რთული ქვეწყობილი და რთული თანწყობილი წინადადებების ხშირი გამოყენება. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ ეს

წინადადებები იმდენად რთულია, რომ რთულდება ტექსტში ანაფორული და კატაფორული მიმართებების დადგენა, მაგალითად:

4.1.10.4. Protection on gas temperature is performed by thermolimiter ITR. Protection is ready for immediate action after switching on the ITR.

Temperature sensor for ITR is a battery from 10 thermoelectric converters installed on engine.

If temperature of effluent gas exceeds set value of ITR setup, signal is given to switch on temperature restriction valve, this leads to reducing of fuel supply to engine. At the same time signal about ITR operation is given in RCS.

If temperature continues to increase and reaches specified value, which increases setup, ITR gives signal to switch on protection relay TPR.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ინსტრუქციების გაფორმების სპეციფიკაცია. ადრე ინსტრუქციები სტანდარტულ შავ-თეთრ ფერში იბეჭდებოდა, ხოლო ამჟამად გახშირდა სხვადასხვა ფერის გამოყენება, რომლის პრაგმატული დატვირთვაა, ყურადღება მიაქცევინოს მომხმარებელს ამ თუ იმ ფაქტსა და ინფორმაციაზე. სხვადასხვა ფერით ფორმდება ინსტრუქციის სათაურები და ქვესათაურები.

ამგვარად, სტატიაში განხილულ იქნა ტექნიკური ინსტრუქციებისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები, რაც ტექნიკური დოკუმენტაციის ამ სახეობას განასხვავებს სხვა, მსგავსი ტიპის ერთეულებისაგან.

ლიტერატურა

კრისტალი, 1989 — D. Crystal “The Cambridge Encyclopedia of Language”. 1989.

გოცირიძე, 2003 — რ. გოცირიძე „სპეციალური ტექსტების დამოუკიდებელი კითხვის უნარჩვევათა სრულყოფა კომპიუტერის საშუალებით ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში“ (ინგლისური ენის მასალაზე), 2003.

სამხარაძე — გ. სამხარაძე „ელექტროწვევის ტერმინოლოგია“.

ვოლკოვა, 2002 — Волкова З.Н. Научно-технический перевод. Английский и русский языки; Москва, 2002

კომისაროვი, 2002 — Комиссаров В.Н. Современное переводоведение, Москва, 2002.

კრუპნოვი, 1976 — Крупнов В. Н. В творческой лаборатории переводчика; М, 1976.

ლატიშევი, სემიონოვი, 2003 — Латышев Л.К., Семёнов А.Л. Перевод: теория, практика и методика преподавания; Москва 2003.

პრონინა, 1986 — Пронина Р.Ф. Перевод английской научно-технической литературы; М, 1986

პუმპიანსკი, 1974 — Пумпянский А.Л. Информационная роль порядка слов в научно-технической литературе; М, 1974.

Терминология и норма (сборник); М, 1972.

ANNA TENEISHVILI

Linguistic Peculiarities of Technical Instructions

Summary

The paper discusses the linguistic specificity of technical instructions, that are considered to be part of technical documentation. Lexical, grammatical and stylistic peculiarities as well as graphic means of design of technical instructions are examined.

კატარინე თოფურია

პრაგმატიკულ-ფუნქციონალური ტრანსფორმაციების ლინგვისტური დეტერმინანტები სხვადასხვა სისტემის ენებში

პრაგმატიკული დონის ეკვივალენტურობა უმაღლესია ეკვივალენტურობის დონეთა იერარქიაში, რადგან იგი გულისხმობს პირველადი შეტყობინების კომუნიკაციური ეფექტის შენარჩუნებას მეორად კომუნიკაციაში განუჩრჩევლად ტექსტის ფუნქციონალური სახეობისა. კომუნიკაციური ეფექტის შენარჩუნება კი ნიშნავს ტექსტის ფუნქციონალურ დომინანტთა ანალოგიზაციას თარგმანში. ცნობილია, რომ პრაგმატიკის მოქმედება თარგმანის ტექსტის კონსტრუირებაზე განსაკუთრებით საგრძნობია, ანუ ექსპლიციტურია მაშინ, როცა საჭირო ხდება არაკონვენციალური ენობრივი ფორმების, მრავალგვარი ენობრივი უნიკალიზმების, ანუ ე. წ. „უთარგმნელი ელემენტების“ ფუნქციითა ტრანსფორმაცია თარგმანში, სწორედ ასეთი შემთხვევები წარმოქმნის იმ საგანგებო ენობრივ ძიებათა საჭიროებას, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება ორიგინალისა და თარგმანის კომუნიკაციური ეფექტის გაწონასწორება. ტრანსფორმაციათა იმ სახეობებს, რომლებიც დაკავშირებულია არა იმდენად ენათა სისტემისმიერ სპეციფიკასთან, რამდენადაც ენის მოხმარების ხშირად უკიდურესად სუბიექტურ შემთხვევებთან, არაკონვენციონალური ენობრივი ფორმების, მრავალგვარი ენობრივი უნიკალიზმების, ანუ ე. წ. „უთარგმნელი ელემენტების“ ფუნქციითა ტრანსფორმაცია თარგმანში. სწორედ ასეთი შემთხვევები წარმოქმნის იმ საგანგებო ენობრივ ძიებათა საჭიროებას, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება ორიგინალისა და თარგმანის კომუნიკაციური ეფექტის გაწონასწორება. ტრანსფორმაციათა იმ სახეობებს, რომლებიც დაკავშირებულია არა იმდენად ენათა სისტემისმიერ სპეციფიკასთან, რამდენადაც ენის მოხმარების ხშირად უკიდურესად სუბიექტურ შემთხვევებთან, არაკონვენციონალურ, ოკაზიურ ენობრივ წარმონაქმნთა თარგმანში ტრანსფორმაციასთან,

პირობითად შეიძლება ვუწოდოთ პრაგმატიკულ-ფუნქციონალური ტრანსფორმაციები. ასეთი არაკონვენციონალური ენობრივი გამოხატვის ფორმები მეტწილად შეიცავს ექსპრესიულ, ემოციურ კონოტაციას და ამდენად, მათი გამოყენების სფერო აპელაციური ხასიათის ტექსტები და ბელეტრისტიკაა. აქედან გამომდინარე, მხატვრული ტექსტის თარგმანი ძალზე მდიდარ მასალას შეიცავს ამ ენობრივ ფორმათა მეორე ენაში ტრანსპოზიციის შემთხვევებზე დაკვირვებისათვის.

მხატვრული ტექსტის პრაგმატიკული ინტენცია მკითხველზე ემოციურ-ესთეტიკურ ზემოქმედებას ახდენს, რაც აისახება მის ფუნქციონალურ დომინანტებში. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ექსპრესიულობის ნიშნით აღბეჭდილი და ზემოქმედებითი პოტენციის შემცველი სხვადასხვა დონისა და მრავალგვარი კონოტაციური მნიშვნელობის მქონე ენობრივი საშუალებები, რომლებიც განფენილია მხატვრული ტექსტის მთელ სტრუქტურაში. მკითხველზე ზემოქმედების ყოველგვარი საშუალება მხატვრულ თარგმანში, შეიძლება ითქვას, „დაპროგრამებულია“ ორიგინალის ტექსტით, რომელშიც აშკარადაა გამოკვეთილი ენობრივ ფორმათა შერჩევის ავტორისმიერი ტენდენცია. ეს კი ხშირად ძალზე სუბიექტურ და ინდივიდუალურ ხასიათს იღებს. მაგრამ რაგვარიც უნდა იყოს ტექსტის კონსტრუირების ავტორისმიერი ტექნიკა, მთარგმნელის ამოცანაა არა ენობრივ ფორმათა რეგულარიზაცია, არამედ სწორედ არარეგულარული გამოხატვის ფორმების ფუნქციონალური ანალოგიზაცია. ამ ანალოგიზაციის სრულყოფილება კი ბევრადაა დამოკიდებული მთარგმნელის რეცეპტორულ შესაძლებლობებსა და რეპროდუქციების მისმიერ უნარზე, რომელიც გათვლილი უნდა იყოს თარგმანის ადრესატის ენობრივ კომპეტენციასა და ზოგად თეზაურუსზე.

მხატვრულ ტექსტში მკითხველზე ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედებისათვის მობილიზებულია ექსპრესიულ საშუალებათა და ტიპიზირებულ სტილისტურ ხერხთა მთელი „არსენალი“; მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, თარგმანის პრაგმატიკისათვის, რომელიც მიზანმიმართულია კომუნიკაციური ეფექტის გაწონასწორებაზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის შემთხვევები, როცა ორიგინალის ტექსტში რაიმე იმპლიკაციით ან სტილისტური ნიშნადობით დატვირთულია ისეთი ენობრივი კატეგორია, რომლის ანალოგი თარგმანის ენას არ გააჩნია ან თუ გააჩნია, იგი არ ამჟღავნებს სასურველი

ეფექტის გამოხატვის უნარს. სწორედ ამგვარი ენობრივი ლაკუნები წარმოქმნის პრაგმატიკულ-ფუნქციონალური ტრანსფორმაციების უკიდურეს საჭიროებას.

ის იმპლიკაცია, რომელსაც შეიძლება შეიცავდეს, მაგალითად, არტიკლის კატეგორია იმ ენებში, რომელთა სისტემაშიც იგი არსებობს, შესაძლოა სრულიად განეიტრალდეს ტექსტის ტრანსპონირებისას იმ ენაზე, რომელსაც ეს კატეგორია არ გააჩნია, თუ მისი იმპლიკაცია არ გამოიხატა სხვა დონეთშორისი საშუალებით. აქედან გამომდინარე, არტიკლი ენათა ისეთ წყვილებში, როგორიცაა: ინგლისური და ქართული, ან ინგლისური და რუსული, უნდა მივიჩნიოთ ინგლისურის უნიკალიზმად; ან მაგალითად, იმავე დაპირისპირებულ წყვილებში, ქართული და რუსული ენების უნიკალურ ენობრივ მოვლენად. ინგლისურთან შეპირისპირებისას, უნდა მივიჩნიოთ მოსაუბრეთა ფამილარული, ან პირიქით — ოფიციალური ურთიერთობის ისეთი ინდიკატორი, როგორიცაა ნაცვალსახელებში გამოვლენილი ოპოზიცია — „შენობითი“ და „თქვენობითი“ მიმართვის ფორმები — რომლის გამოხატვაც ინგლისურ ენას არ ძალუძს.

ენობრივი ლაკუნები შეიძლება ენის ნებისმიერ დონეზე გამოვლინდეს. განვიხილოთ, მაგალითად, ქართულ ენაში არსებული ერთადერთი გრამატიკული ლაკუნის არსებობის ნიადაგზე წარმოქმნილი პრაგმატიკული, დონეთშორისი ტრანსფორმაციის საჭიროების საინტერესო შემთხვევა. ქართული ენისათვის, ინგლისური და რუსული ენებისაგან განსხვავებით, არ არის დამახასიათებელი სქესის დისტანცია ნაცვალსახელებში და თუ ინგლისურ ტექსტში ნაცვალსახელის სქესის რომელიმე ოპოზიციური ფორმა შეიცავს რაიმე იმპლიკაციას, ქართული ენის სისტემა არ იძლევა ამ ეფექტის გამოხატვის საშუალებას იმავე გრამატიკული კატეგორიით, ანუ შიდადონეობრივი ტრანსფორმაციით.

ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში შექსპირის ერთ-ერთი კომედიიდან გათამაშებულია ასეთი სიტუაცია: უკურნებელი სენით შეპყრობილ მეფეს, რომელიც იმედგადაწურული, საუკეთესო მკურნალებსაც კი აღარ იკარებს (და მით უფრო არ გაიკარებს ექიმბაშ ქალს, რადგან იმხანად, როგორც ჩანს, ქალი, როგორც მკურნალი, დიდ ნდობას არ იმსახურებდა), ეახლა სასახლეში ექიმბაშში ქალიშვილი. ერთ-ერთი დიდებული, რომელმაც უნდა ამცნოს მეფეს მისი მოსვლა, ცდილობს ექიმბაშის გადაჭარბებული შექებით თან განაწყოს მეფე მისდამი

ნდობით და თანაც ფრთხილად შეაპაროს ის, რომ მკურნალი ქალია და არა მამაკაცი.

Lafeau: I've seen a medicine

That's able to breathe life into a stone,
Quicken a rock and make you dance canary
With spitelty fire and motion whose simple touch
Is powerful to arise King Pepin, ney,
To give great Charlemain a pen in's hand
And write to **her** a love line.

King: What's **her** is this?

Lafeau: Why, doctor's she, My Lord.

Their' one arrived".

(Signet classic Shakespiare Series, USA, 1982)

მეფის გაოცება და რისხვა ტექსტში გამოხატულია მის რეპლიკაში: „What's her is this?“ ხოლო სასურველი ეფექტი ქართულ თარგმანში მარტოოდენ დონეთშორისი ტრანსფორმაციით გახდა შესაძლებელი:

ლაფე: არის მკურნალი საოცარი, ამბობენ ქვასაც
შეუძლიაო მან სიკოცხლე ჩაუდგას ძარღვში,
დააწყებინოს კლდეებს როგვა და ხეიბარსაც
მუხლის თავებზე აცეკვებსო მისი შეხება
თვით პიპინ მოკლეს გააღვიძებს ცივ სამარეში,
ააღებინებს ხელში კალამს მეფე კარლოსსაც
და სასწაულქმედს, ვინაც მკვდრეთით ის აღადგინა,
იგი ამ კალმით სატრფიალო ბარათებს მისწერს“.

მეფე: სატრფიალოსო?

ლაფე: ეგ მკურნალი ქალია, მეფევე,
ეს წუთი არის აქ გეახლათ“

სასურველმა ეფექტმა, როგორც ვხედავთ, ნაცვალსახელიდან გადაინაცვლა სიტყვაზე „სატრფიალოსო?“ მეფის გაოცების საბაზი გახდა ის, რომ კარლოსმა სატრფიალო წერილები უნდა მისწეროს იმას, ვინც მის წარმოდგენაში მამაკაცია და არა ქალი. სათანადო ეფექტის კომპენსაცია დონეთშორისი ტრანსფორმაციით გახდა შესაძლებელი.

განხილული მაგალითი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ინგლისური ბელეტრისტული, პუბლიცისტური, განსაკუთრებით კი სა-

გაზეთო ფუნქციონალური სტილის ტექსტებში აქტივიზებულ უნიკალიზმებში დიდი ხვედრითი წონა აქვს არაკონვენციონალურ, ოკაზიურ მოდელზე აგებულ რთულ სიტყვებს, რომლებშიც კონდენსირებულია მთელი სინტაგმა ან წინადადება კი. ამ თვალსაზრისით, ქართულიც არანაკლებ მდიდარია სიტყვათქმნადობის მოდელებით, იმ განსხვავებით, რომ ქართული უფრო მეტად ავლენს სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ზმნად მოქცევის ტენდენციის, მათ კონვერსიას ზმნურ ფორმაში, ინგლისურისათვის კი დამახასიათებელია არა მარტო ცალკეულ სიტყვათა ვერბალიზაცია, არამედ ფრაზათა და სინტაგმათა ატრიბუტიზაციის განსაკუთრებული სიხშირეც, ანუ მათი კონდენსირება ერთ სიტყვაფორმაში. დამახასიათებელია ასევე სიტყვათა ჰიბრიდიზაცია, რაც ასევე ოკაზიური სიტყვათქმნადობის შემთხვევებს განეკუთვნება.

ამდენად, სიტყვათქმნადობის ტენდენციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თარგმანის პრაგმატიკისათვის, რამდენადაც ოკაზიური ნეოლოგიზმების ექსპრესიული, შემფასებლური ან ემოციური პოტენცია და მათი წვლილი ორიგინალის სტილისტური იერსახის ანალოგიზაციაში ხშირად ძალზე დიდია. მიუხედავად ასეთი ეფექტის ანალოგიზაციის სირთულისა, ინგლისურ, ისევე როგორც ქართულ, მთარგმნელობით პრაქტიკაში შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ორიგინალის სპეციფიკით სტიმიულირებული ოკაზიური სიტყვათქმნადობის მაგალითები, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პრაქტიკული დონის ეკვივალენტურობის უმნიშვნელოვანეს როლს ეკვივალენტობის დონეთა იერარქიაში.

ლიტერატურა

საყვარელიძე, 1972 — ნ. საყვარელიძე, სამეტყველო კომპონენტთა უკმარობა შინაგანი მეტყველების ამსახველ ტექსტში. უცხოური ენები სკოლაში, №3, თბ., 1972.

საყვარელიძე, 2001 — ნ. საყვარელიძე, თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 2001.

ფანჯიკიძე, 1988 — დ. ფანჯიკიძე, თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბ., 1988.

Austin J., How to do things with words. Cambridge, 1962.

Nida E. A., Linguistic Structure and translation, Stradford, 1975.

EKATERINE TOPURIA

Linguistic Determiners of Pragmatic - Functional Transformations

Summary

Tendencies of word formation are of particular importance for the pragmatics of translation as the expressive, evaluative and emotive potency of occasional neologisms and their role in analogizing the style of the original is essential.

Despite the difficulties accompanying the process of analogization, occasional word formation stimulated by the stylistic peculiarities of the original is encountered both in English and in Georgian translations. The paper argues that the pragmatic intention of a text which influences the reader aesthetically and emotionally is revealed in expressively marked linguistic units that are evidenced throughout the text (the original as well as the reproduced).

ხატია კაკაბა

**ორი ლაბილიზებული თანხმონის უმცველი
კომპლექსები აფხაზურში**

კომპლექსთა საკითხი მეტად თავისებურად დგას აფხაზურში, მასში შეიძლება შეგვხვდეს როგორც ორი, ასევე მეტი თანხმონისაგან შემდგარი კომპლექსები როგორც სახელებში, ასევე ზმნურ ფორმებში (ლომთათიძე, 239). ორივე შემთხვევაში თანხმონთა კომპლექსების უმრავლესობა ძირითადად მორფემათა ზღვარზე გვხვდება, ანუ მეორეული წარმოშობისაა. სწორედ ამ ნიშნით ყოფს აკად. ქ. ლომთათიძე კომპლექსებს „პირველადი“ და „მეორადი“ წარმოშობის კომპლექსებად.

აფხაზურში სხვადასხვა სახის კომპლექსები გვხვდება, ამჯერად საუბარი გვექნება ორი ლაბილიზებული თანხმონისაგან შემდგარ კომპლექსებზე სახელებსა და ზმნებში.

ორწევრა კომპლექსები შედგება როგორც სხვადასხვა, ასევე ერთი და იმავე სახის თანხმონებისაგან. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ გაორმაგებული თანხმონები ძირითადად ზმნურ ფუძეებში გვხვდება (შესაძლოა ისინი ნამდვილი თანხმონთა კომპლექსები არც არის — ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს), ხოლო სხვადასხვა ტიპის ლაბილიზებული თანხმონებისაგან შემდგარი კომპლექსები სახელებში და მათი რაოდენობა გაცილებით ნაკლებია გაორმაგებული თანხმონების მაგალითებთან შედარებით.

ორწევრა კომპლექსები დიფერენცირებულია მათ შემადგენლობაში შემავალი სამეულებისა და წყვილეულების წევრ ლაბილიზებულ თანხმონთან მიხედვით.

ასეთი დიფერენციაციის შედეგად პირველ რიგში გამოიყოფა კომპლექსები, რომელთა ორივე თანხმონი სამეულის ლაბილიზებული წევრია. ეს კომპლექსები შემდეგია: $c^{\circ}d^{\circ}$, $c^{\circ}g^{\circ}$, $c^{\circ}k^{\circ}$, $c^{\circ}g^{\circ}$, $k^{\circ}t^{\circ}$, $k^{\circ}t^{\circ}$, $k^{\circ}z^{\circ}$, $k^{\circ}c^{\circ}$, $t^{\circ}k^{\circ}$, $c^{\circ}g^{\circ}$. თეორიულად შესაძლო ყველა კომპლექსიდან მხო-

ლოდ რამდენიმე რეალიზებული, აქედან პირველ წევრად **ც** და **კ** თანხმონების შემცველი კომპლექსები უფრო ხშირია. მაგალითები:

- ა) **ც⁰დ⁰** : **ac⁰d⁰alc⁰va** „ვილაცის წინააღმდეგ გამოსვლა“, **ც** საზიანო ქცევის ნიშანი.
 - ბ) **ც⁰გ⁰** : **ac⁰g⁰ašara** „მღურვა“
 - გ) **კ⁰კ⁰** : **ac⁰k⁰arpa** „ზვირთი“ **ac⁰ + k⁰ა** „ზედ“ +**r** (კაუზ. მაწარ.), ხოლო **apara** „ხტუნვას ნიშნავს. **ac⁰k⁰áp** „გარეული ღორი“, „ტახი“ (შდრ. „ქუბი“, **a-ც** „ხარი“); **ac⁰k⁰a** „მწვერვალი“; **ac⁰k⁰ás** „ჯოხი“
 - დ) **კ⁰კ⁰** : **ac⁰k⁰áb** „ფუტკრის დაავადება“
 - ე) **ც⁰გ⁰** : **ac⁰g⁰ánda** „ნელთბილი, მოთბო“; კომპლექსი მორფემათა ზღვარზე გვხვდება, „**ag⁰anda**“ თბილს ნიშნავს, ხოლო **ც** პრეფიქსია, რომელიც ზმნიზედებსა და ფერის აღმნიშვნელ სახელებს დაერთვის.
 - ვ) **კ⁰ტ⁰** : **azákt⁰aga** „სარწყავი“; **აჯა** „წყალს“ ნიშნავს, **ak⁰-ზედ**; **t⁰a** (დასხმა), **-ga** ინსტრუმენტალისის მაწარმოებელი. **azákt⁰ara** „მორწყვა“; ზედმიწევნით „ზედ დასხმა“.
 - ზ) **კ⁰ტ⁰** : **ák⁰k⁰ara** „რალაცაზე დაჯდომა“; **at⁰ara** — ჯდომა, ანუ რალაცაზე ზედ (**კ⁰**) დაჯდომა.
 - თ) **კ⁰კ⁰** : **ák⁰z⁰ara** „დაფურთხება“ (ზედ დაფურთხება)
 - ი) **კ⁰ც⁰** : **axák⁰c** „მწვერვალი“; **axá** — თავი, **კ⁰** — ზედ (ლოკ. პრეგ.), რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან „**ak⁰**“ — სახურავი, კენწერო. **ák⁰c⁰aara** „ზევიდან შემორანდვა“, „გამალაშინება“.
 - კ) **t⁰k⁰** : **áxaat⁰k⁰a** „ტკბილეულობა“; **axaa** — ტკბილი, **t⁰i** დანიშნულების კუთვ. მაწარმოებელი სუფიქსი, ხოლო **k⁰a** კი მრავ. რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსი.
 - ლ) **ც⁰გ⁰** : **ac⁰g⁰ar** „ანკესი“, „ნემსკავი“ (შდრ. **ag⁰ar** „ნემსი“)
- როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, აღნიშნული კომპლექსების მეორე კომპონენტად ანუ **B** პოზიციაში გვხვდება შემდეგი ლაბიალიზებული თანხმონები: **დ⁰, ტ⁰, კ⁰, ც⁰, გ⁰, კ⁰, კ⁰, გ⁰**. რეალიზებულია სამეულის ყველა ლაბიალიზებული წევრი, **ც⁰** თანხმონის გარდა.
- ცალკე გამოიყოფა ისეთი თანხმონთა კომპლექსები, რომელთა პირველი წევრი სამეულის ლაბიალ. თანხმონანია, ხოლო მეორე — წყვილულისა. ეს კომპლექსები შემდეგია: **კ⁰ჰ, კ⁰შ, კ⁰ხ, ტ⁰კ⁰ ც⁰კ⁰, ც⁰ხ⁰, ტ⁰ხ⁰ გ⁰ჰ, გ⁰შ**. ამ სახის კომპლექსებში **A** პოზიციაში არ

გვხვდება **დ⁰, ტ⁰, კ⁰, გ⁰, ც⁰, კ⁰** თანხმონები. მაგალითები:

- ა) **კ⁰შ⁰** : **ák⁰š⁰ara** „მიზანში მოხვედრა“, (ზედ მოხვედრა); **ág⁰ák⁰š⁰ara** „სასიამოვნოდ ყოფნა“ (გულის ზედ მოხვედრა); **ák⁰š⁰ia** „დაწყევლა“, ზედმიწევნით „ზედ წყევლა“ (შდრ. ქართ. დაწყევლა).
 - ბ) **კ⁰ჰ⁰** : **ač⁰ák⁰ž⁰aara** „ძალით გასხლტომა“, „თავის ზედ გამოგლეჯა“; **ák⁰ž⁰ara** „უხეშად მოწყვეტა“, „მოგლეჯა“ (ზედ მოწყვეტა)
 - გ) **კ⁰ხ⁰** : **ák⁰xáš⁰ara** „ხიფათის, უღებურების მოწვევა, წაწვევა“ (ზედ მიწვევა)
 - დ) **ტ⁰კ⁰** : **at⁰g⁰arpsara** „გაზრდა, ზრდა“
 - ე) **გ⁰ჰ⁰** : **aq⁰ar⁰a** „მოგლეჯა, მოწყვეტა“
 - ვ) **გ⁰შ⁰** : **aq⁰š⁰ar⁰a** „მოვარდნა“, „ჩამოცვივნა, მოძრობა“
 - ზ) **ტ⁰ხ⁰** : **ac⁰at⁰x⁰á** „გაკვეთილი“ (**ც⁰a** „სწავლის“ ძირია“, — **ტ⁰** დანიშნულების სახელთა სუფიქსია, **a-x⁰a** „წილი“, „კერძი“ = სწავლის წილი)
 - თ) **ც⁰კ⁰** : **ac⁰g⁰arax⁰aara** „გაკაწრვა“, „გაფხაჭხა“ (შდრ. **a-ც⁰a** „კანი“)
 - ი) **ც⁰ხ⁰** : **ac⁰x⁰apsar⁰a** „რანდვა“, „გარანდვა“; **ac⁰x⁰áč⁰xar⁰a** „პატარად მოსვლა“ (**ც⁰** — საზიანო -თვის პრეფიქსი, **a-x⁰áč⁰-xa-ra** „დაპატარავება“)
- ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში გამოიყოფა აგრეთვე ისეთი თანხმონთა კომპლექსები, რომელთა პირველი კომპონენტი წყვილულის ლაბიალიზ. წევრია, ხოლო მეორე — სამეულისა. ეს კომპლექსებია: **ჰ⁰ტ⁰, ჰ⁰ც⁰, ჰ⁰კ⁰, ჰ⁰კ⁰, კ⁰ტ⁰, კ⁰ტ⁰, კ⁰ც⁰, კ⁰ც⁰**. მაგალითები:
- ა) **ჰ⁰ტ⁰** : **arž⁰t⁰** „სასმელი“, **ažra** — „დალევა“ (**-r** კაუზატივის მაწარმოებელი პრეფიქსია), **-t⁰i** — დანიშნ. სახელთა მაწარ. სუფიქსი, ე. ი. **arž⁰t⁰** „დასალევინებელი“; **wáž⁰t⁰i** „იმდროინდელი“; **wáž⁰á** „ახლა. ამჟამად“, **-t⁰i** — დანიშნ. სუფიქსი, **áž⁰t⁰** „ბაყვი“.
 - ბ) **ჰ⁰ტ⁰** : **áž⁰c⁰ maa** „ქალამანი“ (**až⁰** „ძროხა“ + **a-ც⁰a** „ტყავი“ + **a maa** „წულა, ფეხსაცმელი“); **atáž⁰c⁰a** ბებრული მხედლეულება“, **ac⁰a** — „კანი“, **až⁰** — „ბებერი“, **až⁰c⁰ar⁰a** გადახარშვა“, **až⁰-ra** ხარშვა“, **-c⁰a** — ინტენსიური სუფიქსი.
- შ⁰გ⁰** **anaš⁰ál** „ბელტი“, „გოროხი“ **a-naš⁰** „მიწა“; **anaš⁰g⁰álra** „ბელტნარი“
- დ) **შ⁰გ⁰** : **aš⁰g⁰á** „წიგნი“, „წერილი“, შდრ. ვარიანტი **aš⁰g⁰á**, აბაზ. **as⁰a** „წიგნი, წერილი“; **aš⁰g⁰átrá** „საწიგნე ჩანთა“, —

tra სათავსოს აღმნიშვნელი სუფიქსი = საწიგნე; aš'g'aby'ac „წიგნის ფურცელი“; კომპოზიტია, შედგება ორი სიტყვისაგან aš'g'ა და aby'ac (ფურცელი); aš'g'áw'á „მწერალი“ (a-š'g'ა „წიგნი“; w'-ra „წერა“ ზმნის ძირი, მოქმედების აღმნიშ. სუფიქსი -w'ა; ax'ázaš'q'ა „ამულეტი“ (ხოჯას წიგნი); až'baš'q'ა „უბის წიგნაკი“ (ჯიბის წიგნი).

- ე) ž'k' : ax'áž'-k'áž „დაფლეთილი“
- ვ) γ't' : aγ't' „ფიცრული“, aγ' „ფიცარი“, t' – დანიშ. სუფიქსი (→ aγ' + t' + ა, მახვილი გადავიდა ბოლო მარცვალზე, შუა ხმოვანი დაიკარგა).
- ზ) x'f' : ac'ax't' „დასასრული“, ac'ax'a „კუდი, ბოლო, კიდე“, t'a დანიშ. სუფიქსი
- თ) x'c' : ámcax'c'a „უბედური“, „amca „ცეცხლი“, აქედან am-cax' „ცეცხლის წილი, კერძი“, ac'ara „დაძინება“. არსებობს ასეთი წყევლა: umcax', ac'aa t' „შენი წილი ცეცხლი დამქრალიყოს“; ax'c' „კისერი, ყელი“, შდრ. ax'da „ყელი“, a-c'a „კანი, ტყავი“.

ი) x'c' : ax'c' „ნაყოფის ყუნწი“.

გვხვდება ისეთი თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა ორივე კომპონენტი წყვილეთულის წევრი ლაბიალ. თანხმოვანია. ეს კომპლექსები შემდეგია: x'š', ž'š', x'ž'. თეორიულად დასაშვები ყველა კომბინაციიდან მხოლოდ სამია რეალიზებული. მაგალითები:

- ა) x'š' : áx'š' „წამალი“, „დენთი“; až'max'š' „თხის წამალი“; ac'pax'š' „თოფის წამალი, დენთი“.
- ბ) ž'š' : až'š'áq'a „ბეჭი“ (až'š'aq'a, შდრ. až'w'a „მხარი, მკლავი, ნავის ნიჩაბი“).
- გ) x'ž' : ax'ž'ará „დაბერვა, ქროლა“.

ცალკე უნდა გამოვყოთ თანხმოვანთკომპლექსები, რომელთა მეორე კომპონენტად h' თანხმოვანი გვხვდება. ეს კომპლექსები შემდეგია t'h', c'h', c'h', d'h', x'h', ž'h'. სამეთლებიდან მხოლოდ ოთხ თანხმოვანთან კომბინაციაში დასტურდება, ხოლო წყვილეთულებიდან — ორთან. მაგალითები:

- ა) t'h' : át'h'a „შელოცვა“ (← „სულის შებერვა“); aš'ót'h'a „ქართუქი“ (aša „თოვლი“ — at'h'a „შემობერილი, დანაბერი“)
- ბ) d'h' : ad'h'áps' „დიდი მინდორი“ (ad' „მინდორი“)

გ) c'h' : ac'h' „შიშველი“, შდრ. ac' „კანი“, ac'a „კანი“, ah'ra „გაპუტვა“; ac'h'ára „ულაბნო“.

დ) ac'h' : áh' c'h'a „უხვად, გულუხვად“; ac'ah'c' „ცხენით მკერდაობა“

ე) x'h' : árax'h'orta „საბალახო. საძოვანი“, arax' – „საქონელი“, ah'ra – „ძოვა“, ხოლო -rta სუფიქსი კი ადგილის აღმნიშვნელია.

ვ) ž'h' : acharáž'h'ač'a „მოციქული“, „მოამბე“ a-chara „შეტყობინება, ამბის შეთვლა“, až'a – სიტყვას ნიშნავს, ah'ara – თქმას, -á ადამიანის აღმნიშვნელი სუფიქსია, ანუ ამბის მომტანი პირი; acraráž'h'ara „ცნობის მოწოდება, შეტყობინება“; რთული, შედგენილი სიტყვაა: achara – შეტყობინება, až'a – სიტყვა, ah'ara – თქმა, -ra მასდარის მაწარმოებელია.

ცალკე უნდა გამოვყოთ ის ერთადერთი თანხმოვანთკომპლექსი, რომლის პირველი წევრი h' თანხმოვანია. ასეთია h'c' კომპლექსი. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში სულ სამი მაგალითი გვხვდება, სადაც h'c' კომპლექსია რეალიზებული. მაგალითები:

ა) h'c' : ah'c' „მკერდი“, ac'ah'c' „ცხენით მკერდაობა“; axah'c'áh' „ნივინივი, ჩალანგარი“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კომპლექსები, რომლებიც გაორმაგებულ თანხმოვნებს წარმოადგენენ, ანუ გვაქვს ე. წ. რედუბლიცირებული ფუძეები. აკად. ქ. ლომთათიძეს ეკუთვნის სპეციალური გამოკვლევა რედუბლიცირებული ფუძეების შესახებ აფხაზურში, ნაშრომის სახელწოდებაა „რედუბლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში“.

რედუბლიკაცია, ანუ ფუძის გაორგეცება საკმაოდ ცნობილია ყველა ენისათვის, აფხაზურისათვის ძირთა რედუბლიკაცია ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი მოვლენაა. გაორგეცებული გვევლინება უმთავრესად ონომატოპოეტური ლექსიკა, რადგან ხმაბაძვა თითქოს უშუალოდ გადმოსცემს მოვლენისათვის დამახასიათებელ ბგერას და მის ხანგრძლივობა-განმეორებადობას.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით აფხაზურში შემდეგი რედუბლიცირებული ლაბიალ. თანხმოვნები გვხვდება: š'h', š'š', ž'ž', c'c', γ'γ', ჯ'ჯ', k'k', გ'გ', c'c', t't'. გაორმაგებული სახით არ გვხვდება d', t', k', g', x' თანხმოვნები. ჩვენი აზრით, ეს ჯგუფები ნამდვილი კომპლექსები კი არ არის, არამედ შემოკლებულ-დაგრძელებული

ბული თანხმონები.

1. (D₂D₂) ტიპის ჯგუფი, როცა გაორმაგებული სახით სპირანტი არის წარმოდგენილი.

- ა) álaḫˀáḫˀšˀ „ბელშავი“ (შდრ. alaxˀ „შუბლი“); awašˀšˀara „სუსტი“; álašˀšˀamta „ბინდი, დაისი“; ačášˀšˀá „წიგნი“, atašˀšˀará „ამოვარდნა“, ácašˀšˀara „შეცბუნება“; ačˀnāšˀšˀará „მენობიდან სუნის დენა“; apsášˀšˀara „გულის შეწუხება“; ašˀšˀara „გამოყრა“.
- ბ) ოო : áṛˀṛˀa „ძლიერი“; aṛˀṛˀarta „გამყარებული, გამაგრებული ადგილი“, „სიმაგრე“, მომდინარეობს სახელიდან „aṛˀṛˀa“, -rta ადგილის აღმნიშვნელი სუფიქსია. agˀáṛˀṛˀa „მამაცი“, კომპოზიტია, agˀa – გულს ნიშნავს, aṛˀṛˀa – ძლიერს, ანუ ძლიერი გულის ადამიანი, გულმავარი. ოოá „ბევრი“ (გადატ. მნიშვ.); ოოála „ძლიერი“; ácaṛˀṛˀara „დაწოლა, დაჭერა“.
- გ) ოო : ámažˀžˀara „გლეჯა, დაგლეჯა“; acažˀžˀaxa „ნაგლეჯი ქალაქისა ან ნაჭრისა“; élažˀžˀow „გაწეწილი, აბურთხული“; ácažˀžˀara „ამოძრობა, ამოგლეჯა“; ažˀžˀahˀa „სწრაფად“; axážˀžˀara „წვრილად დამტვრევა“; atibažˀžˀara „ერთმანეთისთვის ტყავის გაცლა“; apažˀžˀara „დახვევა“; álažˀžˀara „გაწეწა“; axˀážˀžˀara „ვეღრება, ხვეწნა“; acažˀžˀará „ფხაჭნა“, „კაწრვა“.
- დ) ოო : áhˀhˀara „ყვირილი“ (შდრ. ahˀara – თქმა); áhˀhˀabžˀ „ყვირილი, ტირილი“ (ყვირილის ხმა); ačˀhˀhˀága „სამურველი“; acˀmāhˀhˀár „ნალექი“; ahˀhˀága „ფოცხი“; agˀácahˀhˀara „მკერდზე მიხუტება“, „გულში ჩახუტება“; ácahˀhˀara „შეყვირება“; aṛˀhˀhˀará „ამოშვერა, აშვერა, აბზეკა“; acˀahˀhˀará „მიწის შემოყრა“; ácahˀhˀara „ფხვიერი რამის შექუჩება“; akˀšlrahˀhˀara „გამოყოფა“; ácahˀhˀalara „შემოხვევა“; acˀxˀácahˀhˀara „შეხვევა, გახვევა, შეფუთვა“.

2. (B²B²) ტიპის ჯგუფი, რედუბლიცირებულია სამეულის წევრი თანხმონები.

- ა) გო : acˀáḡḡ „სამანის ქვა“; agˀḡáha (შორისდ.) ხმაურის აღნიშნული სიტყვა (გუგუნი)
- ბ) ოო : ažˀáṭˀṭˀ „ძველებური“; ažˀa „ძველი“, -ṭˀ – დანიშ. სახელის მაწარ. სუფიქსი
- გ) კო : akˀará „თხრა“, „ჩიჩქნა“; acˀaakˀkˀalara „სწრაფად

სვლა“; á akˀkˀara „გაუჩინარება“.

3. (C²C²) ტიპის ჯგუფი, სადაც რედუბლიცირებულია აფრიკატები.

- ა) ოო : acˀáḡḡáa „გამხდარი, მკლე“; aḡḡara „რეცხვა, დაბანა“; áḡḡatˀ „სარეცხი“ (მანქანა); ahapšáḡḡaga „სარცხი“ (ქვევრისა); áḡḡatˀ „სარეცხი“; atáḡḡaara „ამორეცხვა“ acˀáḡḡara „გამობანა“
- ბ) ოო : ácaˀcaˀara „წუწნა“; ácaˀcaˀ // acˀcaˀ „ბურბურელი“
- გ) ოო : axácaˀcaˀará „გაჭრა, ჭრა“; ácaˀcaˀcaˀara „ტყდომა, მსხვრევა“; acˀcaˀcaˀara „დარეკვა, რეკვა“; acˀcaˀcaˀ „ზანზალაკი“; axˀcaˀcaˀ „ზარი“; acˀcaˀcaˀabžˀ „ზარის ხმები ← *acˀcaˀcaˀabžˀ; arácaˀcaˀ „ნახშირმყავა“.

როგორც მოცემული მაგალითებიდან ჩანს, რედუბლიცაცია ძირითადად გვაქვს ზედსართავ სახელებში, ზმნებსა და ზმნისართებში (ქ.ლ.). რედუბლიცაცია ზმნებში მაშინ გვხვდება, როცა სუბიექტის ან ობიექტის მრავლობითობაა გამოსახატავი. თუ ზმნას ობიექტი მხოლოდობით რიცხვში აქვს, მაშინ ჩვეულებრივი, ურედუბლიცაციო სახეობა გამოიყენება. როგორც კი ზმნასთან დაკავშირებული სახელი მრავლობითობის გაგებას იძენს, მაშინვე ზმნის ძირი გაორკეცვულად წარმოგვიდგება. მაგალითად:

- apcaˀcaˀara „გაწყვეტა, მოტეხა“, მაგრამ apcaˀcaˀara „მრავალნაწილად დატეხა, დამსხვრევა“.
- axcaˀcaˀara „გადაკვეთა, გადატეხა“, მაგრამ axcaˀcaˀara „მრავლის წატეხა, წაწყვეტა“.

ასეთ შემთხვევაში (ასეთი მაგალითები ბევრია) თავს იჩენს ე. წ. ორი თანხმონის კანონი, როგორც კი ძირისეული თანხმონი ორმაგდება, მასა და წინამავალ თანხმონს შორის ნეიტრალური ხმოვანი ჩნდება.

ზემოთ მოყვანილი შემთხვევების გვერდით გვაქვს გაუორკეცვებული სახეობა და მისი რედუბლიცირებული სახეობა, რომელიც აღნიშნავს ახალ ცნებას. არის დიდი რაოდენობა სიტყვებისა, რომლებსაც ურედუბლიცაციო ვარიანტები არ მოეძებნებათ და მხოლოდ ამ ორკეცი სახით გვხვდებიან. ეს არის სიტყვები, რომლებიც აღნიშნავს სიმრავლეს, მრავალგზისობას, მოვლენის განმეორებადობას. მაგალითად: aḡḡara „რეცხვა, ბანა“. ცალკე ოო ამ შინაარსით არსად გვხვდება, მისი ორკეცი სახეობა „რეცხვა“ ზმნისათვის იმიტომ ხდება დამახასია-

თებელი, რომ იგი წარმოდგენილია, როგორც უწყვეტი, ხანგრძლივი პროცესი. ასეთივე სიტყვებია: ak'°k'°ara, á laž°ž°ara, adəh°h°alara, a laš°š°amta (ლომათიძე, 1942, 130-131).

აფხაზურში ყველაზე გავრცელებულია სიტყვის ძირეული მასალის რედუბლიკაცია. ჩვენ მიერ განხილული ე. წ. მორფოლოგიური დანიშნულების მქონე რედუბლიკაციის დროს სიტყვის მეორე ნაწილი ორკედება. ასეთი გაორმაგების წესი აფხაზურისათვის მეტად დამახასიათებელია და საინტერესოა იმით, რომ სიტყვის მეორე ნაწილის რედუბლიკაციას თითქმის მუდამ განიცდის სიტყვის ძირი.

ლიტერატურა

ლომათიძე, 1940 — ქ. ლომათიძე, რედუბლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში, ენიმკის მოამბე, V, 1940.

ლომათიძე, 1976 — ქ. ლომათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-მედარებიითი ანალიზი, I, თბ., 1976.

KHATIA KAKAVA

Two-member Labialized Consonant Clusters in Abkhazia

Summary

Two-member labialized consonant clusters are quite frequent in Abkhazian. There are clusters consisting of various labialized consonants as well as those with reduplicated roots. Most of the clusters are on morpheme boundaries. The following groups have been singled out:

1. Clusters consisting of labialized members of tripartite consonant complexes.
2. Clusters whose first member is a labialized consonant of a tripartite complex, whereas the second member that of bipartite.
3. The first component of a cluster is labialized, whereas the second one is a member of a tripartite complex.
4. Both components of a cluster are labialized members of a bipartite complex.

5. There are few clusters whose first component is a tripartite complex member and the second component is the consonant h°.

6. The first component of a cluster the consonant h° is preceded by a labialized member of a bipartite complex.

7. Consonant clusters with the consonant h° as the first component.

8. Clusters with reduplicated consonants are of particular importance.

წიგნი კაპანაძე

დარგობრივი კომუნიკაციის კვლევის ამოცანები და პარსკამპტივები

ტექსტის წარმოქმნა უცხო ენაზე, როგორც ჩანს, სხვა კანონზომიერებებსა და პირობებს ექვემდებარება, ვიდრე შესაბამის მშობლიურ ენაზე. ვარაუდი კულტურით განპირობებულ სხვაობებზე დარგობრივ ენაზე კომუნიკაციის დროს იმასაც გულისხმობს, რომ წარმატებული კომუნიკაცია უცხო ენაზე მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული დარგობრივი ტექსტის სახეობასთან დაკავშირებულ პირობებთან, დისკურსის სტრუქტურასთან და ენობრივი რეალიზაციის ფორმებთან.

ცხადია, აქ იკვეთება კონტრასტული ლინგვისტიკისა და უცხო ენის დიდაქტიკის ურთიერთმიმართება. კონკრეტული ლინგვისტიკის ფუნქციის წარმოადგენს ენათაშორისი სხვაობებისა და მსგავსებების მოძიება. უცხო ენის სისტემისა და ინტერკულტურული განსხვავებების ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია დარგობრივ ენაზე ორიენტირებული სასწავლო მიზნებისა და შინაარსის განსაზღვრაში. ენათმეცნიერული კვლევის შედეგები შესაძლოა არაპირდაპირი (მაგ. დარგობრივი ტექსტის სახეობების აღწერა) ან პირდაპირი (ლექსიკური ერთეულების სიხშირის შესწავლა) სახით იქნას გამოყენებული ამ სფეროში. ენათმეცნიერული კვლევის შედეგები დარგობრივ უცხო ენაზე ორიენტირებულ სწავლებასთან დაკავშირებით უპირველესად ლექსიკისა და გრამატიკის სფეროში მიღებული კვლევით იყო დადასტურებული. ამასთან შედარებით ტექსტის ლინგვისტიკური კვლევის შედეგები კიდევ უფრო მცირეა, განსაკუთრებით დარგობრივი ტექსტების კონტრასტული ანალიზი, რაც მათი გამოყენებითი პოტენციიდან გამომდინარე, საკვირველია.

სხვადასხვაენოვანი ტექსტების შედარებისას, შეიძლება დაისვას შემდეგი კითხვა: რა საერთო და განმასხვავებელი მახასიათებლები აქვთ ტექსტებს ორ ენაში ენის სხვადასხვა დონეებზე. ანალიზი უნდა

განხორციელდეს კომპლექსური ინტეგრაციული კვლევის პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც ავლენს როგორც ინტერკულტურულ, ასევე ტექსტის სტრუქტურულ და შინაარსობრივ-ფუნქციურ განზომილებას. ინტერკულტურული განზომილება მიმართებაშია ორ ურთიერთსაწინააღმდეგო თეზისთან: ჯ. უიდოუსონის „უნივერსალიების“ ჰიპოთეზა (1973), რომელიც ამოდის სამეცნიერო დისკურსის უნივერსალური, ზეკულტურული (*kulturbergreifend*) ბუნებიდან, და თეზისი სამეცნიერო დისკურსის კულტურასთან მჭიდრო კავშირს, ანუ ეროვნული / ნაციონალური სტილების არსებობის შესახებ (კაპლანი, 1972; კლანი, 1988). ამ საკითხის ირგვლივ არსებული დისკუსია ცდილობდა გაერკვია, ენათაშორისი შედარების შემთხვევაში მსგავსებები (უნივერსალიების ჰიპოთეზა) სჭარბობდა თუ განსხვავებები (კულტურული მიმართების თეზისი). კვლევის ეს პრინციპი მეთოდური თვალსაზრისით გულისხმობს დარგობრივი ტექსტის შინაარსობრივ-ფუნქციური პრინციპისა და კუმულაციური ანალიზის შერწყმას. დარგობრივი ტექსტის სტრუქტურის შინაარსობრივ-ფუნქციური ანალიზის შემთხვევაში უმთავრესია ტექსტის აგების სქემების (*Textbaupland*) იდენტიფიკაცია, ე. ი. დარგობრივი ტექსტის (იხ. გვ. 1) მაკროსტრუქტურა, ანუ ტექსტის სეგმენტების სტრუქტურების შესწავლა-გამოვლენა. კუმულაციური ანალიზის დროს კი ხდება როგორც შიდასტრუქტურული ფაქტორების, ასევე გარეტექსტური მახასიათებლების ანალიზი. ამდენად, ანალიზის დროს მთლიანობაში გაითვალისწინება კომუნიკაციურ-ფუნქციური, ასევე მაკრო- და მიკროსტრუქტურული ასპექტები, რათა ამ გზით უზრუნველყოფილ იქნას ინტერლინგვისტიკური შედარების დროს რომელიმე ტექსტის სახეობის ფართო და დიფერენცირებული აღწერა.

დიდაქტიკური თვალსაზრისით ამ კვლევიდან ღირებულება ის მოსაზრება, რომ ტექსტის აგების სქემების, ანუ ტექსტის სქემატური სტრუქტურის შესახებ ცოდნა მნიშვნელოვანად უწყობს ხელს ტექსტის წარმოქმნასა და გაგებას.

უცხო ენის უნარ-ჩვევებიდან, რომლებიც მეცნიერებასა და კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია, პირველ ადგილზე უნდა დავასახელოთ წაკითხულის გაგება და — გარკვეული შეზღუდვით — დარგობრივი უცხო ენოვანი ტექსტის შექმნა პუბლიკაციის მიზნით. მაგრამ სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება ზეპირი დარგობრივი კომუნიკაცია და მასთან ერთად შესაბამისი კომპეტენციების შექმნა,

როგორცაა სალაპარაკო უნარ-ჩვევები და მოსმენილის გაგება. საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებზე აუცილებელია უცხო ენაზე მოხსენებების შესაბამისი ფორმით დაწერა და წაკითხვა, მათი მოსმენა-გაგება და ა. შ.

უცხო ენის ცოდნა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ უმაღლესი განათლების სფეროშიც, რადგან ბევრი სტუდენტი პროფესიის შესწავლაში დარგობრივი უცხო ენის შესწავლას ესწრაფვის. ამასთან სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში უცხო ენის გამოყენების თაობაზე არსებობს ემპირიული კვლევის შედეგები. სკუდლიკი ლაპარაკობს ე. წ. ანგლოფონურ მეცნიერებებზე, ანუ მეცნიერებებზე, სადაც თითქმის მხოლოდ ინგლისურ ენის მეშვეობით ხორციელდება ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლა. ეს არის წმინდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა (სკუდლიკი, 1990, 12).

ანგლოფონურად, ანუ ინგლისურენოვანებაზე ორიენტირებულ მეცნიერებებში, რომელთა შორისაა გამოყენებითი საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ეკონომიკური მეცნიერებები, სოციოლოგიური მეცნიერებები, ერთი მხრივ, დომინირებს ინგლისური, მეორე მხრივ, ამ დისციპლინებში არსებობს სფეროები, რომლებიც ან სპეციფიკურ კულტურულ მოვლენებსა და რეალობებზეა ორიენტირებული, ან ამ დისციპლინებში ნაციონალური კვლევის ტრადიციას დამკვიდრებული.

ნაციონალურ-ენობრივად ანუ მრავალენოვანებაზე ორიენტირებული მეცნიერებები, მათ შორის იურისპრუდენცია, ისტორიული მეცნიერებები, არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია და სხვ., როგორც წესი, სპეციფიკურ კულტურულ ფენომენებს ან/და კვლევის საგანს არჩევენ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კვლევის საგანი, როგორც წესი, ისეთი სფეროებია, რომლებიც ერთგვარად ენაზე და კულტურის თავისებურებებზე მალდა დგას და უნივერსალური ხასიათისაა. თემების უნივერსალურობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში ცოდნის საერთაშორისო ტრანსფერისათვის უპრობლემო უნივერსალური ენით სარგებლობის შესაძლებლობას იძლევა. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში კი თემებსა და შესასწავლ საკითხებზე ხშირად სპეციფიკური კულტურული განზომილებები ახდენენ გავლენას. მაგ. საკითხის ისტორიულ, სოციოლოგიურ, ხელოვნების ჭრილში დაყენება, რაც გარკვეული კულტურის კონტექსტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს,

მისი გადატანა სხვა კულტურაში უპრობლემოდ შეუძლებელია ან ამ კულტურაში იგი ისეთსავე როლს ვერ ასრულებს. ამ მეცნიერებების საკვლევი საკითხები არის არა ბუნებაში არსებული, არამედ ადამიანის მიერ შექმნილი, რაც თავად მეცნიერების სახელშიც ვლინდება — ჰუმანიტარული მეცნიერებები. შემდგომი განსხვავება ამ მეცნიერებებს შორის მდგომარეობს მეთოდურ მიდგომებში და დისკურსის ტრადიციებში, ასევე ყოველდღიურ და ერთიანი ენისადმი განსხვავებულ მიმართებაში. სწორედ ეს თავისებურებანი განაპირობებს განსხვავებებს ზოგად/საერთო (**Gemeinsprache**) და დარგობრივ ენას შორის (**language for special purposes / Fachsprache**).

მაგრამ მაინც რა არის უმთავრესი განმასხვავებელი „ზოგად/საერთო ენასა“ და „დარგობრივ ენას“ შორის?

დარგობრივ ენებს მორფო-სინტაქსურ სფეროში არ გააჩნიათ საკუთარი ენობრივი ფენომენები, ისინი იმავე საშუალებებს იყენებენ, რასაც საერთო ენა. მათი თავისებურება მდგომარეობს მორფო-სინტაქსური სტრუქტურების გამოყენების სიხშირესა და თავისებურებაში. მაგ., პასიური ფორმების, ზმნის უპირო ფორმების. ზედსართავი სახელითა და მიმდებარე ატრიბუტიზაციის ხშირი გამოყენება არის არა დარგობრივ-ენობრივი ფენომენი, არამედ ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ამ მახასიათებლების შედარებით ხშირ გამოყენებაში ზოგადენობრივ კომუნიკაციასთან შედარებით. „საერთო ენა“ საკმაოდ ბუნდოვანი კონსტრუქტია, ასე რომ, იგი შედარების საფუძვლად მხოლოდ პირობით თუ გამოდგება. იმისდა მიხედვით, თუ ყოველდღიური ენის საკომუნიკაციო ან ზოგადენობრივი ტექსტის რომელი სახეობა შეირჩევა, ინტერლინგვისტური შედარების დროს მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდება დარგობრივ-ენობრივ ტექსტებთან.

დარგობრივი ენების კვლევის ინტერესმა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან თანდათანობით გადაინაცვლა დარგობრივი ტექსტის ანალიზისაკენ. დარგობრივ ტექსტს ჰოფანი ასე განმარტავს:

„დარგობრივი ტექსტი წარმოადგენს იმ ენობრივ-კომუნიკაციური ქმედების შედეგს, რომელიც სპეციალიზებულ საზოგადოებრივ-პროდუქტიულ ქმედებასთან დაკავშირებით სრულდება. იგი სტრუქტურულ-ფუნქციურ მთლიანობას წარმოადგენს და შედგება პრაგმატულად, სემანტიკურად და სინტაქსურად კოჰერენტული წინადადებების (ტექსტემების) ან წინადადებისფარდი ერთეულების მწყობრი რაოდენობისაგან, რომლებიც როგორც კომპლექსური ენობრივი ნიშნები შე-

ესაბამებთან კომპლექსურ გამონათქვამებს ადამიანის ცნობიერებაში და ობიექტური სინამდვილის კომპლექსურ საგნობრივ მიმართებებს“ (პოფმანი, 1988, 119).

ტექსტის დარგობრივობა გამომდინარეობს სამი კომპონენტის, შინაარსის, ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართებისაგან. შინაარსობრივი განზომილება აისახება იმით, რომ დარგობრივი ტექსტის უმთავრეს არსს დარგობრივი ცოდნის გადმოცემა წარმოადგენს. ფორმალური, სტრუქტურული განზომილება გამოიხატება როგორც ენობრივი ფორმით, ასევე ტოპოგრაფიული გაფორმებით, გარკვეული ტექსტის სახეობისადმი კუთვნილებით. ფუნქციური განზომილება ვლინდება ტექსტის საკომუნიკაციო ჩარჩოებში, რაც მოიცავს საკომუნიკაციო სიტუაციას, კომუნიკაციის პარტნიორებსა და საკომუნიკაციო ინტენციას. აქედან გამომდინარე, განასხვავებენ შიდა და გარე-ტექსტურ მახასიათებლებს. პირველში იგულისხმება ტექსტის ენობრივი სტრუქტურები სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე, ხოლო გარე-ტექსტურში — ზემოთ დასახელებული საკომუნიკაციო ჩარჩო-პირობები, რაც ხშირად გამოიხატება ტერმინით „დარგობრივი ტექსტი მოქმედებაში“, რაც განსაკუთრებით უსვამს ხაზს დარგობრივი ტექსტის ქმედით ხასიათს.

დარგობრივი ტექსტის ანალიზი წარმოადგენს ცოდნის მოპოვების საშუალებას დარგობრივი ტექსტის აგებულების პერიოდულობის თვალსაზრისით და მას მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შესარულოს ტექსტის კომპეტენციის გაუმჯობესებაში დარგზე ორიენტირებული უცხო ენის სწავლების ფარგლებში. დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკის ამოცანებს შორის უმთავრესია დარგობრივი ტექსტის სახეობების განსაზღვრა და დახასიათება, ცალკეული დარგობრივი საკომუნიკაციო სფეროების კვლევა და დარგობრივი ტექსტის ანალიზი კონტრასტული ასპექტიდან გამომდინარე — იქნება ეს ინტერლინგვისტური, ინტრალინგვისტური თუ ისტორიული შედარების გზით.

გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ მხოლოდ ცალკეული ენობრივი მოვლენების აღქმა დარგობრივ ტექსტის ლინგვისტიკაში ინტეგრაციული და პოლისტური კვლევის სხვადასხვა მეთოდი შემუშავდა: დარგობრივი ტექსტის სტილისტიკური, კუმულაციური, შინაარსობრივ-ფუნქციური და პროპოზიციური ანალიზი.

დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკა იმთავითვე გამოყენებითი ენათმეცნიერების დისციპლინად ჩამოყალიბდა. ტექნოლოგიური და

სამეცნიერო პროგრესის გზით ყველა სფეროში ცოდნის მზარდი სპეციალიზაცია და ცოდნის გაცვლის მოთხოვნილებიდან გამომდინარე დარგობრივი კომუნიკაცია სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ამდენად, დარგობრივი ენების კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ზეპირი და წერილობითი დარგობრივი კომუნიკაციის ენობრივი მახასიათებლების ზუსტი აღწერა. ასე მაგალითად, კვლევები სიტყვაწარმოქმნის სფეროში ტექსტის სახეობებში მეცნიერების გარკვეულ დარგებს დაეხმარება ახალი ტერმინოლოგიის შექმნასა და არსებული დახვეწაში, სიხშირის ლექსიკონებისა და თეზაურუსების შედგენაში, პროდუქტიული სიტყვაწარმოქმნისა და ტერმინწარმოქმნის მოდელების შექმნაში, ყველა რელევანტურ ენობრივ დონეზე ტექსტის კონსტიტუენტების გათვალისწინებაში ან ე. წ. დარგობრივი ენების კრიტიკის სრულქმნაში დარგობრივი კომუნიკაციის ოპტიმიზაციის მიზნით.

დარგობრივი ენების კვლევა, ენების სწავლებისა და შესწავლის კვლევა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მათ შორის არსებობს მიმართება, როდესაც, ერთი მხრივ, დარგობრივი ენის კვლევის ემპირიული შედეგები დარგობრივად ორიენტირებული ენების სწავლებაში აისახება, მეორე მხრივ კი, დარგობრივად ორიენტირებული ენების სწავლების პრაქტიკიდან მომდინარე პრობლემები და მოთხოვნები დარგობრივი ენის ლინგვისტიკას ახალ იმპულსებს აძლევს, თუმცა კი ემპირიული შედეგების პრაქტიკაში გამოყენება ხშირად რთულია. ასე მაგ., ლექსემების, გარკვეული გრამატიკული და სინტაქსური მოვლენების სიხშირეების შესახებ ინფორმაცია ან ტექსტის სტრუქტურირების ნიშნების შესახებ ენის შემსწავლელს მნიშვნელოვან მითითებას აწვდის თავისი დისციპლინის ენობრივი თავისებურების შესახებ.

დარგობრივად ორიენტირებული უცხო ენის სწავლებამ ენის შემსწავლელს უნდა მისცეს შესაძლებლობა დარგობრივ ენაზე შეიძინოს ან გასცეს დარგობრივი კომპეტენცია. იმისათვის, რომ ენის შემსწავლელმა ეფექტურად შეძლოს დარგობრივი ლიტერატურის უცხო ენაზე აღქმა, სხვადასხვა სახეობის დარგობრივი ტექსტების შედგენა, საერთაშორისო კონფერენციებსა და დისკუსია-ფორუმებზე მონაწილეობა, მოხსენებების წაკითხვა, საჭიროა დარგობრივი ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის ემპირიული შედეგების ათვისება-გამოყენება. ტექსტის აგების სქემებზე, ტექსტის სემანტიკის სიგნალების, ტექსტის ბმის

საშუალებებსა და ენობრივი სარეალიზაციო ფორმების მეშვეობით ენის შემსწავლელი იღებს დახმარებას ტექსტის წარმოქმნისა და გაგების პროცესში. ამ გზით დარგობრივი ენების ტექსტის ლინგვისტიკას თავისი წვლილი შეაქვს ენობრივი სწავლების ავთენტურობაში.

ლიტერატურა

ჰოფმანი, 1988 — Hoffman L. Vom Fachwort zum Fachtext. Beiträge zur angewandten Linguistik. Tübingen: Narr, 1988.

კაპლანი, 1972 — Kaplan R. B. Cultural Thought Patterns in Intercultural Education. In: Readings on English as a Second Language. Ed Kenneth Croft. Cambridge / M.A: Winthrop, 1972.

კლანი, 1988 — Klein E. Wenn Lehrer und Lerner ihre Rollen tauschen: Motivationsfördernde Aspekte der Interaktion im fachbezogenen Fremdsprachenunterricht. Fachbezogener Fremdsprachenunterricht. Hrsg.: Claus Gnutzman. Tübingen: Narr, 1988.

სკუდლიკი, 1990 — Skudlik S. Sprachen in den Wissenschaften. Deutsch und Englisch in der internationalen Kommunikation. Forum der für Fachsprachenforschung. 10. Tübingen: Narr, 1990.

უიდოუსენი, 1984 — Widdowson H. G. Reading and Communication. Reading in a Foreign Language. Eds. J. Chares Alderson & A. H. Urquart. Burnt Mill/Harlow: Longman, 1984.

NUNU KAPANADZE

The Study of Communication for Specific Purposes and its Perspectives

Summary

The paper discusses some peculiarities of the communication for specific purposes. A technical text as the result of the communication in question has a number of distinctive features caused by the relationship between text content, form and functions. The knowledge of the relationship in question is essential for the production of texts for specific purposes and accordingly it is important for teaching a language for specific purposes.

რას გვთავაზობს ინტერნეტ ბაზაში

მთელ მსოფლიოში ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად იცვლება ინფორმაციის მიწოდების ხერხებიც. თუ მე-19 საუკუნეში გაზეტი ინფორმაციის მიწოდების საუკეთესო საშუალება იყო, შემდგომ მას რადიო და ტელევიზია დაემატა. დღეს კი ვხედავთ ამ სამი საკომუნიკაციო საშუალების გაერთიანების მცდელობას ინტერნეტ ჟურნალისტიკის სახით.

მსოფლიო ინტერნეტსელში (World Wide Web) უამრავი გაზეთის ელექტრონული ვერსიის მოძიებაა შესაძლებელი. ისეთ დიდ გაზეთებს, როგორცაა ნიუ იორკ ტაიმსი, ვაშინგტონ პოსტი, ინდიფენდენტი, გარდენი აქვთ თავიანთი ინტერნეტ ვერსია. ამჟამად, მცირე-ბიუჯეტური გაზეთებიც კი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აქვეყნებენ თავიანთ ვებგვერდებს.

ჟურნალისტიკის სფეროში რამდენიმე წარმატებული წიგნის ავტორი იან ჰარგრივისი თვლის, რომ გაზეთები ცუდ მდგომარეობაშია, რადგან უჭირთ ელექტრონულ მედიასთან კონკურენცია (ი. ჰარგრივისი, 2005) ეს, შეიძლება ითქვას, უნივერსალური მოვლენაა მთელ მსოფლიოში. თუმცა ტექსტური მედიის მოყვარულები მიიჩნევენ, რომ ინტერნეტ გაზეთი არ უნდა განვითარდეს ბეჭდვითი მედიის ხარჯზე.

„გვჯერა, რომ ტრადიციული ქალაქებში შავით თეთრზე დაბეჭდილი გაზეთი არსებობას მაშინაც გააგრძელებს, როცა ახალი ტექნოლოგიების შედეგად ინტერნეტ გაზეთები შეიქმნება. ისიც გვჯერა, რომ ამ გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ახალი ამბების სფეროში მიმდინარე ფუნდამენტური პროცესების გაგებას, იმის გაგებას, თუ რა მუშაობს აქ კარგად და რა — ცუდად,“ — წერენ ჯონ მაქსველ ჰამილტონი და ჯორჯ კრიმსკი თავიანთ ნაშრომში — „ჩაეჭიდეთ პრესას.“

მიუხედავად ამისა, ინტერნეტ გაზეთი დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. თანდათან გაზეთისაგან უფრო განსხვავებული

და მრავალფეროვანი ხდება მათ მიერ ინფორმაციის მიწოდების გზები და მანერა.

სტატიაში „რა უნდა გააკეთონ გაზეთის რედაქციებმა და მათმა ვებსაიტებმა გადასარჩენად“ (**What Newspapers and Their Web Sites Must Do to Survive**, www.ojr.org) ვინ ქროსბი წერს, რომ 1994 წელს ახალი მედიის აღმასრულებლები ვითარების რადიკალურად შეცვლას მოელოდნენ რამდენიმე წელიწადში, რადგანაც ინტერნეტი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი საკომუნიკაციო საშუალებაა კაცობრიობის ისტორიაში.

ამასთანავე, გაზეთის ცირკულაცია და მკითხველთა რაოდენობა ისევ განიცდის თავის 40-წლიან დაღმასვლას. „ონლაინ ჟურნალისტიკის მიმოხილვის“ (**Online Journalism Review**) მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით 1964 წელს ამერიკელთა ზრდასრული მოსახლეობის 80% კითხულობდა გაზეთს ყოველდღე, ეს ციფრი 50% -მდე შემცირდა 1997 წლისთვის.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას რომ დღესდღეობით გაზეთს უფრო მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე მის ინტერნეტ ვერსიას.

Nielsen/Netratings სტატისტიკით 2003 წლის ივლისში ვებსაიტი **NYTimes.com**, 8, 283, 000 მომხმარებელმა მხოლოდ 5.74-ჯერ ნახა საიტი მთელი თვის განმავლობაში და თითოეულმა 35 წუთზე ნაკლები დრო დახარჯა.

ნორტვესტერნ უნივერსიტეტის მკითხველთა ინსტიტუტის მედია მენეჯმენტის ცენტრის 2002 წლის კვლევის მიხედვით საშუალოდ გაზეთის მკითხველი გაზეთს 3.4-ჯერ კითხულობს კვირაში (14.7-ჯერ თვეში) და საშუალოდ 28.2 წუთს ხარჯავს დღეში.

მიუხედავად ამისა, მკვლევრები თვლიან რომ 2010 წლისთვის 20-29 წლის პირთაგან მხოლოდ 9% წაიკითხავს გაზეთს ყოველდღე. სხვადასხვა კვლევის თანახმად (**Mori Minnesota Opinion Research Inc.**) 2001 წელს 18-დან 34 წლამდე ასაკის მკითხველის მხოლოდ 26% კითხულობდა გაზეთს. ეს ციფრი გაცილებით მაღალი იყო 1997 წელს — 39%.

ამყამად, ჟურნალისტიკის სფეროში მოღვაწეები უამრავ ენერჯის და თანხას დებენ ახალი მედიის (ინტერნეტ ჟურნალისტიკის) განვითარებისათვის.

ბევრი თვლის, რომ ახალგაზრდა თაობა, რომელიც დღეს ინტერნეტ გაზეთს ანიჭებს უპირატესობას, დროთა განმავლობაში ამ ჩვეუ-

ლებას არ შეიცვლის. ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორმა ფილიპ მეიერმა დაადგინა, რომ საზოგადოდ ადამიანებს ის კითხვის წესები უნარჩუნდებათ, რაც მათ 20 წლის ასაკში ჰქონდათ. (www.ojr.org)

წამყვანი ჰოლანდიური გაზეთების რედაქტორები თვლიან, რომ ინტერნეტი მკითხველთან ურთიერთობის საუკეთესო საშუალებაა. თუმცა იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ გაზეთის მკითხველები ვებსაიტი ინფორმაციის მიწოდების დამატებითი საშუალება უნდა იყოს. ჰოლანდიური გაზეთის *deVolkskrant*-ის ვებ რედაქტორი გ. ბოგარტი აღნიშნავს, რომ ვებსაიტზე ახალი ამბები ქვეყნდება, მაგრამ ნაბეჭდ სტატიაში სრული დეტალებია მოცემული. „ჩვენ ვცდილობთ, ღირებულება შევმატოთ გაზეთს,“ — ამბობს გ. ბოგარტი.

და მინც, რას სთავაზობს განსაკუთრებულს ინტერნეტ გაზეთი მის მომხმარებელს და რით განსხვავდება იგი ტრადიციული გაზეთისაგან.

ტრადიციული გაზეთისთვის ლინეალური მოდელია დამახასიათებელი, ხოლო ინტერნეტი არალინეალური ბუნებისაა, რადგანაც საიტის მომხმარებელმა ინფორმაცია შესაძლოა მიიღოს რამდენიმე სხვადასხვა გზით — ვიდეო, აუდიო, ფოტო და გრაფიკული გამოსახულება.

მაიკ ვორდი (მ. ვორდი, 2002) თვლის, რომ გაზეთის საიტზე მკითხველი ძირითადად ლინეალური პროდუქციის სტატიის და მულტიმედიაური პროდუქციის (სლაიდ შოუ, ვიდეო და აუდიო სიუჟეტი) არალინეალურად აღქმას ახდენს.

ამ ეტაპზე ქალაქის გაზეთზე დაბეჭდილი სტატია და მისი ინტერნეტ ვერსია იდენტურია. მხოლოდ, თუ ნაბეჭდ გაზეთში უპირატესობა პირამიდის სტილს ენიჭება, ინტერნეტ საიტებზე ხშირად ვხედავთ სტატიის დანაწევრების მცდელობას, რაც ინფორმაციის გამარტივებულ აღქმასთან არის დაკავშირებული. მთლიანი სტატია საიტზე აზრობრივ-თემატურად არის დაყოფილი ქვეთავების საშუალებით.

მ. ვორდი თვლის, რომ სტატიის სეგმენტაცია შემდეგი პრინციპით ხდება:

1. სტატიის მახასიათებლები (რამდენად მნიშვნელოვან მოვლენას აღწერს, რა ზომისაა, ახლავს თუ არა მას მულტიმედია);
2. მომხმარებლის საჭიროება და ინტერესი;

3. გარდა ინტერნეტ ტექსტისა, რა სახით მოხდება ინფორმაციის მიწოდება.

აღიარებულია, რომ წერის მანერა უნდა იყოს მარტივი და ნათელი. თავად ქვეთავში შეიძლება იყოს პირამიდის კონსტრუქცია შენარჩუნებული და შემაჯამებელი ლიდი.

გაზეთისაგან განსხვავებით საიტზე მოცემული სტატიის ქვეთავები ცალკე დამოუკიდებელ ინფორმაციას უნდა იძლეოდეს, ყველა დეტალი, უნდა იყოს გაშიფრული რაც სტატიის წაკითხვას გააადვილებს. ეს იმით აიხსნება, რომ საიტზე სტატიის სხვადასხვა ქვეთავი შესაძლოა ვიზუალურად ცალ-ცალკე იყოს განთავსებული.

იაკობ ნილსენი ინტერნეტისთვის წერის შემდეგ წესებს გამოყოფს:

- წერეთ შემჭიდროვებულად — გამოიყენეთ იმ ინფორმაციის არა უმეტეს 50%-ისა, რასაც ჩვეულებრივი გაზეთის სტატიისთვის დაწერდით.

- ისე დაწერეთ, რომ მკითხველმა ადვილად შეძლოს ინფორმაციის მიღება ერთი თვალის გადავლებით — გამოიყენეთ მოკლე აზრები, ქვეთავები და ჩამოთვლის სტილი.

- დაანაწევრეთ ინფორმაცია სხვადასხვა გვერდზე და დაუკავშირეთ ისინი ჰიპერტექსტით (კავშირი შემდგომ ინტერნეტ გვერდებთან, ვიზუალურად გამოიხატება ტექსტის შრიფტის შეფერადებით და ზოგჯერ, ტექსტის ხაზგასმით).

კრაუფორდ კილიანი (მ. ვორდი, 2002) შემდეგ რჩევებს იძლევა:

- სათაურები უნდა იყოს მარტივი და ინფორმაციული;
- გამოიყენეთ ციტატები, რადგან მკითხველი ამჯობინებს, იცოდეს ზუსტად თუ რა თქვა სხვამ;
- ჩართეთ კითხვები, რადგან ისინი გვაიძულებენ ვეძებოთ პასუხი;
- ჩართეთ მოულოდნელი წინადადებები, რადგან მკითხველს უყვარს სიურპრიზები;
- ჩართეთ მოსალოდნელი კონფლიქტის ელემენტები- ჩვენ გვიყვარს ბრძოლა;
- ჩაეჭიდეთ უახლეს მოვლენებს;

- პირდაპირ მიმართეთ მკითხველს.

ჩვენი აზრით, ეს პრინციპები ძალიან ჰგავს იმ პრინციპებსა და კრიტერიუმებს, რომელსაც გაზეთი მისდევს, განსაკუთრებით გავრცელებულია აზრი რომ ენა უნდა იყოს მარტივი.

ჩვენი აზრით, ინტერნეტ გაზეთში განსაკუთრებული სიახლე მულტიმედიაში ჩანს — ვიდეო, აუდიო და ფოტო სიუჟეტებსა და მათთვის დამახასიათებელ ენაში. აუდიო და ვიდეო უფრო მეტ საშუალებას აძლევს გაზეთის ჟურნალისტს გამოხატოს საკუთარი თავი. მულტიმედიის საინტერესო მაგალითი გვხვდება ნიუ იორკ ტაიმსის ვებგვერდზე.

სლაიდ შოუს ტიტრები და აუდიო სიუჟეტები, რომლებიც ხშირად არის განთავსებული ნიუ იორკ ტაიმსის ნარკვევის გვერდზე გარკვეული ენობრივი თავისებურებებით ხასიათდება. სლაიდშოუების, რომლებიც ციფრული ფოტოებისა და ტიტრებისაგან შედგება, ძირითადი ფუნქცია მკითხველისთვის დამატებითი და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდებაა. რაც შეეხება ტიტრების ენობრივ თავისებურებებს, ახალი ამბებისაგან განსხვავებით სადაც უპირატესობა (**push, devastate, dismantle**) ტიპის ძლიერ ზმნებს ენიჭებათ, აქ წინა პლანზე გადმოდის აღწერა და მსაზღვრელ-საზღვრულიანი კონსტრუქციები. სლაიდშოუს ტიტრი წინადადების შეზღუდული რაოდენობით (არაუმეტეს სამისა) და შეუზღუდავი ზედსართავი სახელების რაოდენობით ხასიათდება.

მაგალითად:

“This winter reclaimed its status as a chic fashion essential, but to celebrate spring retailers are softening up just a touch and moving toward a warm, stylish navy blue. Not just for mechanics’ uniforms or nautical ninnies, navy accessories and clothes in supersoft knits, patent leathers and everything in between are crowding store shelves and racks. Here are the freshest ways to lighten up in blue.

Splendid reinvents navy in six subtly varying shades; styles include supersheer cap-sleeve henleys, ribbed tanks, striped V-necks and crew-neck waffle-weave thermals (\$48 to \$55 at Barney New York). (The New York Times, March 2, 2006)

ეს კონკრეტული ტიტრი აშკარად დადებით შეფასებას იძლევა, რაც სტატიას არ ახასიათებს. ამასთანავე, მიწერილი თანხაც დაინტერესებულ მკითხველს ინფორმაციას აძლევს და რეკლამის მაგივრობასაც სწევს. საინტერესოა მასში მოცემული ენობრივი ერთეულები. ტიტრი მკითხველზე მოქმედებს შემდეგი დადებითი კონოტაციის სიტყვებითა და ფრაზებით: **supersoft knits, freshest ways, to lighten up in blue, splendid reinvents, subtly varying shades.** სიტყვები **supersoft, subtly, splendid** — სინაზისა და ორიგინალურობის ასოციაციას ქმნის, ხოლო **lighten up, freshest** — სიახლისა და სიხალისის. ძალიან მნიშვნელოვანია აღწერა, რაც გამოხატულია შემდეგი ზედსართავი სახელებით: **ribbed, striped, crew-neck, waffle-weave** — ეს სიტყვები ტანსაცმლის ვიზუალურ სურათს უხატავს მკითხველს.

არა ნაკლებ საინტერესოა, თუ როგორ ხდება ერთი და იმავე ჟურნალისტის მიერ სტატიის მიწოდება და აუდიო სიუჟეტის დამზადება, რადგან ამ შემთხვევაში ჟურნალისტი სხვადასხვა პოზიციიდან აღწერს ერთსა და იმავე სურათს.

განვიხილოთ სტატია პარიზის 2006 წლის ფემენ შოუს შესახებ და მისი აუდიო ვერსია. ნაბეჭდი ტექსტი ჩვეულებრივ გავრცელებული შემთხვევითი ლიდით იწყება. სტატიაში არის რამდენიმე წინადადება, რომელიც შეფასებას გამოხატავს, თუმცა ავტორი ძირითადად დიზაინერებისა და კრიტიკოსების აზრს ეფუძნება, მოჰყავს ციტატები.

“It was a kind of a joke,” said the designer Jun Takahashi.

სტატიაში მოცემულია დამატებითი დეტალები და ფონისეული ინფორმაცია.

„Women, before, 1789, began to wear ‘simple, belted shifts,’ while men wore ‘plebeian garb’ like ‘rough coats and unkempt neckwear.’” (The New York Times, March 5, 2006)

აუდიო ვერსიაში ფონისეულ ინფორმაციაზე ყურადღება არ არის გამახვილებული. ავტორი, პირველ რიგში, მკითხველს ეცნობა, „Hello, this is Stephanie Rosenbloom from the New York Times;“ „გამარჯობა, ეს სტეფანი როზენბლუმია, ნიუ იორკ ტაიმსიდან“.

შემდეგ ჟურნალისტი პარიზის ფემენ შოუს აღწერაზე გადადის.

“One of the most striking trends at the Paris fashion shows last week was the obscuring of the models by masks, veils, giant hats, this dark swath of fabric.” (The New York Times, March 5, 2006, audio).

ეს ლიდი სტატიის ლიდისაგან განსხვავდება სიტყვებით “giant,” “this dark,” — რაც ავტორის დამოკიდებულებას ააშკარავებს. მეტი თვალსაჩინოებისათვის აქვე დავურთავთ ნაბეჭდი სტატიის ლიდს.

„One of the most striking trends at the Paris fashion shows last week was the obscuring, by masks, hoods, hats and swath of fabric, of the radiant faces of the models.”

ეს ორი ლიდი თითქმის იდენტურია, მაგრამ ავტორი აღწერის იმპერსონალურ სტილს არჩევს სტატიის ლიდში.

აუდიო ჩანაწერში ჟურნალისტი არ ერიდება აშკარა შეფასებას:

“Jun Takahashi had one of the more startling masks, because it was completely covering the models’ faces.” აქ ფრაზა **one of the more startling masks** ნათლად აჩვენებს ავტორის დამოკიდებულებას.

აუდიო სიუჟეტის ბოლოს ჟურნალისტი აჯამებს „ფემენ შოუს“ სტუმრებში გამოწვეულ არაერთგვაროვან შეფასებას, რაც სტატიაში ციტატებით არის გადმოცემული რამდენიმე აბზაცში.

“There were sort of three views.” — აუდიო სიუჟეტში შეინიშნება სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი ელემენტები: **sort of, more sinister thing, something look like, so, couple of things, the more startling masks.** ეს ენობრივი ფრაზები ნაბეჭდ სტატიაში, სადაც აქცენტი ენის სიზუსტესა და კომპაქტურობაზე კეთდება ნაკლებად გვხვდება. მაგ. ავტორი ერთწუთიან აუდიო ჩანაწერში სამჯერ ხმარობს ფრაზას **sort of.**

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ

1. ელექტრონული გაზეთი წარმოადგენს ტექსტის, აუდიოსა და ვიდეოს ერთიანობას.

2. ელექტრონული გაზეთი ლინეალური პროდუქციისაგან შედგება, მაგრამ მომხმარებლის მიერ ინფორმაციის აღქმის პროცესი არალინეალურია.

3. ელექტრონული გაზეთის სტატიის დამახასიათებელი ნიშანია მარტივი ენა და თემატურ ქვეთავებად დაყოფა.

4. სტატიასთან დართული აუდიო სიუჟეტი ჟურნალისტის ინდივიდუალიზმს ავლენს, ჩანს შეფასება, მაშინ, როდესაც ნაბეჭდ სტატიაში ჟურნალისტის ინდივიდუალურობისა და შეფასების გამოჩენა არ არის სასურველი.

ლიტერატურა:

ვორდი, ონლაინ ჟურნალისტიკა, 2002 — Ward M., Journalism Online, Elsevier Science Ltd, 2002.

www.ojr.org; Crosbie V., What Newspapers and Their Web Sites Must Do To Survive, 2004.

ჰარგრეივისი, ჟურნალისტიკა, 2005 — Hargreaves I., Journalism, Oxford University Press 2005.

ჰამილტონი, კრიმსკი, 2004 — ჯ. მ. ჰამილტონი, ჯ. კრიმსკი, ჩაეჭიდეთ პრესას, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

www.nielsen-netratings.com, Fan J., Nielsen// NetRatings

The New York Times, March 5, 2006.

The New York Times, March 2, 2006

NINO KOPALEISHVILI

What Online Newspapers Offer

Summary

The paper deals with online journalism and its basic characteristics. Chiefly, it focuses on online versions of printed newspapers that offer text, audio and video simultaneously. It is important to know that online newspaper consists of linear products, but viewers perceive the information in a non-linear way. Online articles are characterized by a simple language and chunking of the article is widely accepted. In contrast with print journalism online journalists have more freedom of expressing their views _ basically, with the help of multimedia tools.

ივლიტა ლოზჯანიძე

თეატრალური ნაგებობის აღმნიშვნელ ტერმინ „თეატრის“ სინონიმები კვლავ ქართულში

ძველ ქართულში, როგორც ნათარგმნ ისე ორიგინალურ ტექსტებში, გვხვდება ტერმინი **თეატრონი**. „**თეატრონი-ი, თიატრონი** — მოედანი, სათამაშო ადგილი: „წარიყვანეს იგი **თეატრონად**“ მ.ცხ. 337r; „**თეატრონი** ესე საწადელი სმენის-მოყვარე არს“ ბ.კეს.-ეჭუს.დღ. 106, 16; „სარგებელ გეყოს იგი უფრო ს ხილვასა **თიატრონისასა**“ მ.სწ. 51, 8 (აბულაძე, 1973, 179). მოყვანილ ილუსტრაციებში ტერმინ **თეატრონს** განსხვავებული მნიშვნელობები უდასტურდება.

პირველ მაგალითში **თეატრონი** სანახაობათათვის განკუთვნილი ადგილის აღმნიშვნელია, ხოლო დანარჩენ — ორში ეს ტერმინი სანახაობას გულისხმობს. ტერმინი **თეატრონი** უფრო ზუსტად არის განმარტებული „ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია — ლექსიკონში“. **თეატრონი-ი** სანახაობა, სანახაობის ადგილი. იქმნა **თეატრონი** ანგელოზთა და კაცთა III 169, 23. გრძობადთა ნათელთა **თეატრონი** ანგელოზთა და კაცთა წყობასა შინა... განკურვანა 290, 35. **თეატრონი** დიდი იქმნა წინაშე მარზაპნისა I 244, 28 [თეატრონი]“ (ქართ. აგი. ძეგლ. სიმფ. ლექს. 2005, 385).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერმინი **თეატრონი** თეატრალური ნაგებობის აღმნიშვნელია. ამ მნიშვნელობით იგი გვხვდება ახ. წ. აღ-ის VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის თხზულებაში. ავტორი კოლხეთის აფსარუს შესახებ წერს: „ეს ქალაქი ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა, მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო **თეატრითა** და იპოდრომითა და მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია, ამჟამად აქედან სხვა არაფერია დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლებისა“ (ჯანელიძე, 1965, 79).

იოანე ოქროპირის ქადაგებების მიხედვით „დიდი ვნება დი

წარწყმედა ამის თავისა და სულისა მისელა **თეატრონთა** და ხედვა ბოროტთა მათ საქმეთა უსჯულებისა. გაისმოდა წყევლა-კრულვა, „გსწყევდეთ მას, რომელმან **თეატრონნი** აღაშენა ქალაქთა შინა და სახიობანი შეამზადა“ (კიკნაძე, 2001, 17).

ბერძნული თეატრონ-ის (თიატრო) ქართულ შესატყვისად სულხან-საბა ორბელიანი **სახედველს** ასახელებს: „**თიატრო — სახედველი** ესე არს ზღუდემოვლებული შუა ადგილი, სამღერელ — საროკავნი და გარემოს მჭვრეტელთ სადგომი. სადა სტანჯვიდიან მოწამეთა“ (ს.ს., 1991, 305).

ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ გვხვდება: „**თეატრო: თეატრი** ადგილი შესაქცევთა **სახილველთა: театр** (ჩუბინაშვილი, 1961, 231). ამ განმარტებას იმეორებს დ. ჩუბინაშვილიც.

საინტერესოა, განმარტებაში ნახსენები სიტყვა **სახილველი**.

ქართული წარმოშობის ტერმინი **სახილველი** ძველ ქართულში თეატრსაც აღნიშნავდა. „სპექტაკლის გმირთა ცხოვრება განსაზღვრული ზომის საგანგებო მოედანზე-სცენაზე იშლება. ქართველები ადრე ამ ადგილს **სახილველსაც** უწოდებდნენ და საბერძნეთიდან შემოსულ **თეატრონსაც, სამღერელსაც, და უტევანსაც**“ (ურუშაძე, 1999, 26).

სემანტიკური თვალსაზრისით **სახილველი** ხილვასთან, ხედვასთან არის დაკავშირებული ბერძნული წარმოშობის ტერმინი (θεάτρον, ον τὸ) ყურებას აღნიშნავს. ჩანს, ორივე ტერმინი ერთ ცნებასთან არის დაკავშირებული და ქართულ ენაში ისინი სინონიმურ ტერმინებს წარმოადგენენ.

„ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ **სახილველი** განმარტებულია, როგორც „**სახილველი**— დასანახავი, გამოჩენილი, „თითით საჩუენებელი“; მხილველობა, **თეატრი**: ყოველთა საქმეთა... იქმედ **სახილველად** კაცთა“ **ც**, მთ. 23,5; „**სახილველი** (თითის საჩუენებელი **Q**); ვიქმენით სოფლისა“ **I** კორ. 4,9; „მოკლა კაცი იგი მეგვიპტელი, კაცი **სახილველი**, ხუთ წყრთა სიგრიძთა“ **I** ნშტ. 11,29; „მოვილო მითვე **სახილველითა**“ მრთ.დ, ოქრ.—პეტრე და ელია 313; მაიმართეს და მივიდეს ერთბამად **სახილველისა** მას“ საქ. მოც. 19,22. იხ. ხილვა“ (აბულაძე, 1973, 384).

სახილველი სანახაობის მნიშვნელობით არის დამოწმებული ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც“ **სახილველი**— სანახაობა. და ეზრახა მას, მი-რა -ვიდოდა იგი საბრძოლველისა მას

სახილველსა [ler=24,43r; 10-12]; ხვალისაგან დაჯდა იგი **სახილველსა. მას შინა** (იქვე, 48v, 29).“ (სარჯველაძე, 1995: 187).

სახილველი ძველ ქართულში -ობა აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსითაც გვხვდება.

„**სახილველობა**— ნახვა, შესახედაობა, ნუუკუშ უმეცრებით ლიტონად კაცად შეურაცხ-ჰყოთ [ler=16,86v; 5-86]; **სახილველობა** განცხადებულად მოაქუს მოქალაქეობასა ძმათა კრებულისასა [=689, 170r, 39b-170v, 2a]; ვისმე უჩნდეს ესევითარი იგი ერთსა ზედა **სახილველობა** მისი [იქვე, 212v, 29-31a]“ (სარჯველაძე, 1995, 187).

როგორც ტერმინი, **სახილველი** შეტანილია „ხელოვნების განმარტებით ლექსიკონში“: „**სახილველი** (თეატრ.) — თეატრის ძველ-ქართული სახელწოდება“ (Толк. слов., 1985, 611).

ბერძნული **თეატრონი** და ქართული **სახილველი** ძველ ქართულში სინონიმურ ტერმინებს წარმოადგენენ. ორივე ტერმინს ორი მნიშვნელობა უდასტურდება. პირველი მნიშვნელობით იგი თეატრალური ნაგებობის ცნების აღმნიშვნელია, ხოლო მეორე მნიშვნელობით სანახაობის, წარმოდგენის ცნებას გადმოგვცემს. **სახილველს** სხვა მნიშვნელობებიც აქვს.

სახილველი განმარტებულია საბასთანაც. „**სახილველი** ესე არს სარკესავით რამ შემზადებული, გინა სანახავი, გინა სიზმარი და ჩვენება, გინა მისანთა (მის თანა **ZAA**) აღმოსაცნობელი, გინა მალლით გამოსამზერი“ (ს.ს., 1991, ტ. II, 76).

სახილველი გვხვდება ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. „**სახილაგი** — სახილველი სანახავი, საჭურეტი ადგილი (საქმ. 19,29)“ (ჩუბინაშვილი, 1961, 360).

ტერმინი **სახილველი** სცენის მნიშვნელობით XIX საუკუნის ქართულ მწერლობაშიც გვხვდება: „**სახილველი** წარმოადგენს მეიდანს თეატრის წინ“ (გრ.რჩ., 1965, 23).

„**სახილველი** წარმოადგენს ოსეფას სახლსა, სადაც იგი წევს ლოგინზედ ავადმყოფი და თავისთვის ლაპარაკობს“ (გრ.რჩ., 1965, 24).

სახილველი სანახაობის მნიშვნელობითაც დასტურდება.

„უკვე არაერთის ქალის გული სთრთიდა შიშით ამ **სახილველზედ** ქმრისა ანუ ძმის გამო“ (გრ.რჩ., 1965, 129).

„მიმინდვია მკითხველთათვის, წარმოიდგინოს გულის აღრეულობა და გრძნობანი, რომელნიც დაჰბადა მუნ მყოფთა შორის ამ **სა-**

ხილველმა“ (გრ.რჩ., 1965, 156).

„ანუკა შეიწროებული გულით, მდუმარე უყურებდა ამ **სახილველსა** და რა ეშურებოდა, რომ ძვირფასი დრო არ დაეკარგა, სთქვა მან ძალდატანებით“ (გრ.რჩ., 1965, 74).

„რატომ არ დავსტკბები **სახილველით** შენის უბატორობითის სიკვდილისა“ (გრ.რჩ., 1965, 68).

ხილვასთან არის დაკავშირებული სანახაობის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინები **სახედველი** და **სახედავი**, რომლებიც ხედვა ზმნის მიმღებურ ფორმებს წარმოადგენენ და სა- — -ელ კონფიქსითა და სა- — პრეფიქსით არიან ნაწარმოები.

სახედველი და **სახედავი** შეტანილი არ არის ი. აბულაძის ლექსიკონში. ზ. სარჯველაძემ **სახედველი** ასე განმარტა: „**სახედველი** — სანახაობა. ნებიერობასა მისცემს ეპისკოპოსთა მხედველთა სინანულსა მოყუასთა მენარდეთასა ანუ **სახედველთათუ** მისრულთასა (დიდი სჯ. 184, 33)“.

სახედავი — სანახავი დგა იგი ადგილსა ვაკესა სახედავსა მას, რომელსა ჰრქვან **თეატრონი** [= 199 72r, 18-206]“ (სარჯველაძე, 1995, 186).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სულხან-საბა ბერძნული **თეატრონი** ის ქართულ შესატყვისად **სახედველს** ასახელებს.

სიტყვები **სახილველი** და **სახედველი** ძირითადად ორ მნიშვნელობას უკავშირდება: 1) **სახილველი** ნიშნავს რასაც იხილავ და 2) რითაც იხილავ (ხედვის ორგანო-თვალი).

1) **სახედველი** ნიშნავს რასაც ხედავ და 2) რითის ხედავ.

„გული ბროლისა ფიქალი, სამოგნობს **სახედველადა**“ (ყურ. „ცისკარი“, 1953; №1 დიმიტრი ბაგრატიონის „შაირი“ (15).

თეატრის, როგორც წარმოდგენისათვის განკუთვნილი ნაგებობის აღმნიშვნელად გვევლინება **„სახლი სათამაშო“** — სანახაობისათვის განკუთვნილი სპეციალური ნაგებობის სახელწოდება, რომელიც შენდებოდა მეფის სასახლეებში შუასაუკუნეების საქართველოში (Толк. слов., 1985: 612). ჩვენამდე მოაღწია ასეთმა ცნობამ: „ნაჭარბაგევსა **სახლსა სათამაშოსა** შინა“... სათამაშო სახლების სიმრავლე თავისთავად სანახაობითი კულტურის განვითარებაზე მეტყველებს (კიკნაძე, 2001, 14).

ძველ ქართულში ცნობილი იყო თეატრალური ნაგებობის აღმნიშვნელი კიდევ ერთი ტერმინ-შესიტყვება **„სახლი სალხინო“**

(საქართველოში ნადიმისა და სანახაობათა სახლი) — ნადიმის დროს აქ გამოდიოდნენ სანახაობის შემსრულებელი მომღერლები და მუსიკოსები (XI-XII ს.) (Толк. слов., 1985: 612).

დასახელებული თეატრალური ტერმინები: **თეატრონი, სახილველი, სახედავი, სახედველი, სახლი სათამაშო, სახლი სალხინო** წარმოადგენენ თეატრალური წარმოდგენებისათვის განკუთვნილი ნაგებობების აღმნიშვნელ ტერმინებს. **თეატრონი, სახილველი, სახედავი, სახედველი** ძველ ქართულში უფრო ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ვიდრე **სახლი სათამაშო** და **სახლი სალხინო**“.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

კიკნაძე, 2001 — ვ. კიკნაძე, ქართული დრამატული თეატრის ისტორია, თბ., 2001.

ორბელიანი, 1991 — ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.

რჩეულიშვილი, 1965 — გრ. რჩეულიშვილი, თხზულებანი, თბ., 1965.

სარჯველაძე, 1995 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.

ქართ. აგი. ძეგლ. სიმფ. ლექს., 2005 — ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია ლექსიკონი, თბ., 2005.

ყიფშიძე, 1985 — А. Кипшидзе, Тольковский словарь по искусству, 1985.

ჩუბინაშვილი, 1984 — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ჩუბინაშვილი, 1961 — ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

„**ცისკარი**“, 1853 — „ცისკარი“, თბ., 1853.

ჯანელიძე, 1983 — დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია, თბ., 1983.

IVLITA LOBJANIDZE

Synonyms of the Term *teaṭri* Denoting a Theatre Building in Old Georgian

Summary

In Old Georgian translations as well as authentic texts the term *teaṭroni* had two meanings: 1. theatre building. 2. performance. The term in question denoted a theatre building in a Byzantine work of AD 6.

Sulkhan Saba named the term *saxedveli* (from *xedva* – meaning to see) as a synonym to *teaṭroni*.

In Old Georgian there were a number of synonyms to the term *teaṭri* – *saxilveli*, *saxedavi* (something to be seen) *saxli satamashoi* (playhouse), *saxli salxino* (house for merry-making). Like *teaṭroni*, *saxilveli* had two meanings. The term *saxilveli* is associated with revelation, vision (*xilva* – → revelation). The terms *teaṭroni*, *saxilveli*, *saxedavi*, *saxedveli*, had wider semantics than *saxli satamashoi* and *saxli salxino*.

თამარ ლობჯანიძე

ენა საზოგადოებაში: ენის სოციოლინგვისტური ბანზომილებანი

ენისა და საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე სოციოლინგვისტიკის პრობლემების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან სოციოლინგვისტიკა მეცნიერების სწორედ ის დარგია, რომელიც შეისწავლის მიზეზობრივ კავშირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებსა და ენას შორის.

„სწორედ სოციოლინგვისტიკის განვითარება მიესადაგება წარმოდგენას ენათმეცნიერების, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო დისციპლინის შესახებ“ (იანხოვი, 1976, 229).

მართალია სოციოლინგვისტიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი ახალი დარგია, მაგრამ ენის სოციალურ ბუნებასთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესება ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან გვხვდება. ამიტომ სოციოლინგვისტიკის კვლევის სფეროში შემავალი საკითხები მხოლოდ XX საუკუნეში არ გაჩენილა. ეს პრობლემები არსებობდა ენისა და საზოგადოების გაჩენიდან და არსებობს დღესაც. უბრალოდ, როგორც ტ. სიხარულიძე შენიშნავს „XX საუკუნის II ნახევრიდან ამ პრობლემეტიკის მიმართ ინტერესი ძლიერდება, რასაც შედეგად მოჰყვა სოციოლინგვისტიკის, როგორც დამოუკიდებელი ლინგვისტური დისციპლინის ჩამოყალიბება“ (სიხარულიძე, 1999, 3).

ფ. დე. სოსიური, ა. მეიე, პ. ლაფარგი — მათ სამართლიანად მიიჩნევენ სოციოლინგვისტიკის წინამორბედებად, მიუხედავად იმისა, რომ მათი შეხედულებები განსხვავებული იყო ერთმანეთისაგან, მაგრამ მთავარი, რაც აერთიანებდათ მათ იყო აღიარება, რაც თეორიული მსჯელობის საფუძვლად იქცა, თუმცა როგორც კ. ლერნერი მიუთითებს, მეიესა და სოსიურის შეხედულებებში ენის სოციალურ ბუნებას განსხვავებული ინტერპრეტაცია ეძლევა (ლერნერი, 1989, 3). მიმდინარეობა, რომელსაც მათ ჩაუყარეს საფუძველი და რომელიც არცთუ ცოტა ხანი არსებობდა, თავის მთავარ მიზანს ენის, როგორც

საზოგადოებრივი ფენომენის კვლევაში ხედავდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ა. მეიესა და სხვა ფრანგი ლინგვისტების თეორემებმა ღირსეული ასავა ჰპოვეს ჩვენი დროის ბევრი მეცნიერის შრომებში.

სოციოლინგვისტიკას თავისი არსებობის განმავლობაში რამდენიმე სახელწოდება ჰქონდა: „ენის სოციოლოგია“, „სოციალური ლინგვისტიკა“, „ლინგვისტური სოციოლოგია“, და ა.შ. სოციოლოგია რთული სიტყვაა და იგი 1839 წელს სოციოლოგ ოგიუსტ კონტის მიერ იქნა შემოტანილი. იგი წარმოდგება ლათინური „socius“ სიტყვიდან და ნიშნავს მონაწილეს, მეგობარს, რომელიც საზოგადოებასთან არის დაკავშირებული.

უძველესი მნიშვნელობა ფრანგული სიტყვისა *societè* კი ნასესხები ლათინურიდან სოციეტას 1165 წლიდან და აღნიშნავს კომუნიკაციასა და ურთიერთობას ისეთ პირთა შორის, რომელთაც რაღაც აქვთ საერთო.

სოციოლინგვისტიკა არსებითად განსხვავდება ენის სოციოლოგიისაგან, რადგან ეს უკანასკნელი არის სოციოლოგია ლინგვისტური ასპექტებით, ხოლო სოციოლინგვისტიკა არის ლინგვისტიკა სოციოლოგიური ასპექტებით.

დღეისათვის სოციოლინგვისტიკა შეიძლება მივიჩნიოთ ინტერდისციპლინად, რომელიც „გვევლინება ენის ანთროპოლოგიის, ლინგვისტური გეოგრაფიის, არეოლოგიის, დიალექტოლოგიის, სოციოლოგიისა და რიტორიკის მემკვიდრედ, რომელიც მათი პრობლემატიკის გათავისებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად ზოგიერთ შემთხვევაში კიდევ დაშორდა წინამორბედებს. მას აინტერესებს ყველაფერი — ცალკეული ადამიანის ენობრივი ქცევიდან დიდი ენობრივი ჯგუფების, ერებისა და სახელმწიფოების, ურთიერთობათა ჩათვლით“. (ბოლქვაძე, 2003, 3). გარდა ამისა, სოციოლინგვისტიკას მჭიდრო კავშირი აქვს ფსიქოლოგიასთან, ეთნოლოგიასთან, ლინგვისტური ენის ფილოსოფიასთან და საერთოდ ენისა და საზოგადოების შემსწავლელ დისციპლინებთან.

ენას იკვლევენ ფილოლოგები, ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები, ლოგიკოსები... იმიტომ, რომ მეტად ჩააყენონ ადამიანთა სამსახურში, მარტივი და მიზანშეწონილი გახდეს მისი გამოყენება. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რა დიდი როლი ენიჭება ენის სოციოლინგვისტური ასპექტით შესწავლას.

სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ენის შესწავლა გულისხმობს:

ენის აგებულების, განვითარებისა და ფუნქციონირების საზოგადოებრივი განპირობებულობას; საზოგადოების ზემოქმედებას ენაზე და ენისა — საზოგადოებაზე; ენის არსებობის ფორმებს: სალიტერატურო ენა, სალაპარაკო ენა, ტერიოტრიული და სოციალური დიალექტები; ენობრივ სიტუაციას, ბილინგვიზმი, დიგლოსია, ენობრივი დაგვემარება...

არსებითად სოციოლინგვისტიკა ქმნის ენის ახალ თეორიას, სადაც ცენტრალური ადგილი უჭირავს პრობლემას ენისა და ამ ენის მფლობელი პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ასეთი კვლევის საბოლოო მიზანია მეცნიერულად დასაბუთებული ენობრივი პოლიტიკის გამოიმუშავება.

ენა ემსახურება საზოგადოებას და პირიქით. ე.ი. ენის აგებულება, განვითარება, ფუნქციონირება საზოგადოებით არის განპირობებული.

სოციოლინგვისტიკა შეისწავლის მიმართებას ენასა და საზოგადოებას შორის. იგი ენასაც და საზოგადოებასაც მიიჩნევს სტრუქტურებად და მისწრაფვის გამოავლინოს მიზეზობრივი კავშირები ამ სტრუქტურების ერთეულთა შორის (ბრაიტი, 1975, 34).

სოციოლინგვისტური კვლევა აუცილებელს ხდის ენის ანალიზისას პიროვნული, საზოგადოებრივი, ეროვნული მომენტების გათვალისწინებას, რის გარეშეც ბევრი ენობრივი ფაქტი მხოლოდ ენის შინაგანი ბუნების გათვალისწინებით დღესაც აუხსნელი იქნებოდა.

ენისა და საზოგადოების ყველაზე მჭიდრო კავშირი „ისტორიულ პარადიგმათა ცვლილებების" ეპოქებში იგრძნობა.

დღეისათვის ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ დაინტერესებას იჩენს ქართველი ხალხი რელიგიისა და პოლიტიკის მიმართ, რაც, პირველ რიგში, სწორედ ჩვენში მიმდინარე პროცესებმა და პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია.

სწორედ ამიტომ, რომ პოლიტიკური და რელიგიური ტერმინოლოგია, რომელიც XX საუკუნის 90-იან წლებამდე პასიურ ლექსიკას უფრო განეკუთვნებოდა, დღეს კვლავ გააქტიურდნენ და აქტიურ ლექსიკაში გადაინაცვლეს, რაც როგორც უკვე აღვნიშნეთ პოლიტიკური და რელიგიური გარემოცვის ცვლილებებმა გამოიწვია. 1974 წელს გამოცემულ ქართული ენის ლექსიკოლოგიის სახელმძღვანელო-

ში ბიძინა ფოჩხუა აღნიშნავდა: „მღვდელმსახურებამ საერთო-საზოგადოებრივიდან გადაინაცვლა და ძალზე მცირერიცხოვანი ჯგუფის ინტერესთა სფეროში დარჩა, ამიტომ დღევანდელ საერთო ენაში ფაქტობრივად გაქრა შესაბამისი სიტყვები და გამოთქმები. ყველა სა-მღვდლო, მისი უწმინდესობა, მიტროპოლიტი, წირვა, კურთხევა, პარაკლისი, ნათლილება, ზიარება, მირქმა, ზედაშე, ბარძიმი... მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები და გამოთქმები XIX-XX საუკუნის პრესაში და მხატვრულ ლიტერატურაში ფართოდ იყო გავრცელებული, დღეს უიმედოდ მოძველებულია და ბევრ შემთხვევაში დავიწყებულიცაა საერთო ენაში. მაგალითად, მღვდელმსახურებასთან დაკავშირებული სიტყვები: კურთხევა, ზიარება... საერთო ენაში ისე იყო დამკვიდრებული, რომ მათი გადატანითი ხმარებაც მნიშვნელოვნად გავრცელდა. ამჟამად ამ სიტყვათა მოხმარების სფერო ისევ მღვდელმსახურებით შემოიფარგლა — საერთოენობრივი ისევ ვიწრო სპეციალური გახდა“.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ვითარება შეიცვალა. პოსტსაბჭოურ ეპოქაში მომხდარი სოციო-პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ ქართველი ერი კვლავ დაუბრუნდა თითქმის ძალით ჩამოშორებულ სარწმუნოებას. ამიტომ ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც თითქოსდა ვიწრო სპეციალური გახდა, კვლავ საერთოენობრივს დაუბრუნდა. თუმცა, რა თქმა უნდა, მორწმუნეთა მეტწველებას ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებანი, რითაც იგი მეტ-ნაკლებად ემიჯნება საზოგადოების სხვა ნაწილს (ხაჭაპურიძე, 2004, 3).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, თუ როგორ აისახება ენაში, მის ლექსიკაში, ის ცვლილებები, რომლებიც საზოგადოების ცხოვრებაში ხდება.

ასევე პოლიტიკური ტერმინოლოგიაც, რაც პოლიტიკურმა გარემოცვის ცვლილებებმა გამოიწვია: გაერო, დსთ, ნატო, სამიტი, ფორუმი, ვარდების რევოლუცია...

იმავედროულად ენაში მექანიკურად კი არ აირეკლება ესა თუ ის ფაქტი ყოფიერებისა, არამედ ხდება მისი გაცნობიერება გარკვეული საზოგადოებრივი მსოფლხედვის საფუძველზე ანუ: რასაკვირველია, სოციალური ფაქტორები უშუალო ზეგავლენას ვერ მოახდენენ ენაზე. სოციალური ფაქტორები ზემოქმედებენ ადამიანის რეალურ სამყაროზე, ცნობიერებაზე, ხოლო ცნობიერება ამგვარი გაშუალებული გზით აუცილებლად აისახება ხოლმე ენაში: „ხიდი ენასა და სოციალურ

სტრუქტურას შორის შეიძლება დაიძებნოს ფსიქოლოგიაში (ქ. ფიშერი, 1975).

ლიტერატურა

ბოლქვაძე, 2003 — ენა და „დიდი ტრადიცია“, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ. 2003, 3.

ბრაიტი, 1975 — У. Брайт. В ведение: параметры социалингвистики НЛ, Вып. VII, Социалингвистика. М. 1975.

იახნოვი, 1976 — Х. Яхнов. Развитие и проблемы социалингвистики в ФРГ. В кн. Социально-лингвистические исследования. Носив 1976.

კლერნერი, 1989 — კ. ლერნერი ენის სოციალურობის ორგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ლინგვისტიკაში, იკე, [XXVIII](#), 1989, 13.

METZLER LEXIVION SPRACHE Herausgegeben von Helmut Gluck Stuttgart/ Weimar 1993.

სიხარულიძე, 1999 — ტ. სიხარულიძე, ენობრივი სიტუაციის, ბილინგვიზმისა და დიგლოსიის დინამიკა რუსული და კავკასიური ენების მასალაზე; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ. 1999.

ქ. ფიშერი, 1975 — Дж. Фишер, Синтаксис и социальная структура, Трук и Понапе, Н/Л. вып. VII, социалингвистика, М. 1975.

ხაჭაპურიძე, 2004 — ლ. ხაჭაპურიძე, ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტწველება, ფილ. მეც-თა კანდ. სამეცნ. ხარისხის მოსაპ. წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ. 2004.

TAMAR LOMTADZE

Linguistic Problems of Social Dialects

Summary

Georgian dialectology with its traditions and serious investigations has been mostly concerned with territorial dialects.

By contrast social dialects have not been sufficiently studied. This phenomenon is quite explicable; in the Soviet epoch social dialects were marginalized hence little attention was paid to their investigation. The social and political changes of the post-Soviet epoch has made the problem of social dialects vital, accordingly they have become valuable for scholarly researches.

თავარ მაგარაზშილი

სასუბიექტო მიმღობათა მ-არ(ალ) და მ-არე აფიქსებიანი წარმოება ქართულში

მ-არ(ალ) პრეფიქს-სუფიქსით მიმღობათა წარმოება მეტად თავისებურია, რადგან მისი მეშვეობით იწარმოება მიმღობები როგორც მოქმედებითი გვარის ზმნებიდან, ასევე ე.წ. უგვარო დინამიკური (უნიშნო ვნებიტები) და უგვარო სტატიკური (საშუალი გვარის) ზმნებიდან. მ-არ მაწარმოებლიანი მიმღობები ყოველთვის სასუბიექტოა, მიუხედავად იმისა, გარდამავალია თუ გარდაუვალი ზმნა: „აღნიშნული წარმოება არ არის ნაყოფიერი (პროდუქტიული). იგი უხსოვარი დროიდან არის გადმოცემული“ (შანიძე, 1973, 576).

მ-არ წარმოება ე.წ. უგვარო დინამიკურ ზმნებში იყენებს ზმნის მარტივ, ანუ II სერიის ფუძეს. ფუძეში რ თანხმოვნის არსებობა იწვევს დისიმილაციის პროცესს და -არ ბოლოსართის ნაცვლად დასტურდება -ალ. მას მისდევს ძირითადად ობ-იანი ზმნები:

თბ-ობ-ა, თბ-ებ-ა — (გა)მთბარი

თრ-ობ-ა (თვრ-ობ-ა), თვრ-ებ-ა — (და)მთვრალი

კრ-ობ-ა, კრ-ებ-ა — (შე)მკრთალი

ლბ-ობ-ა, ლბ-ებ-ა — (და)მბალი

ლპ-ობ-ა, ლპ-ებ-ა — (და)მპალი

ტკბ-ობ-ა, ტკბ-ებ-ა — (და)მტკბარი

ქრ-ობ-ა, ქრ-ებ-ა — (გა)მქრალი

შრ-ობ-ა, შრ-ებ-ა — (გა)მშრალი და სხვ. (შანიძე, 1973, 576-577).

სპეციალურ ლიტერატურაში **თბება, დნება, ლბება, კკნება, შრება, ხმება...** და მისთ. ტიპის ზმნებს უნიშნო ვნებითად მიიჩნევენ. ასეთი ფორმები არაპროდუქტიულია. მათი ხმარება განისაზღვრება რამდენიმე ფუძით, რომლებიც უხსოვარი დროიდან დღევანდლამდე შემონახული. ამ რიგის ზმნათა უძველესობის საკითხი სპეციალისტთა შორის დავას არ იწვევს. ამგვარი ფორმები ქართული ენის უძველესი კუთვნილება ჩანს. როგორც მიუთითებენ, სწორედ ამ ფორმებზე უნ-

და იყოს დამყარებული სათანადო მოქმედებითი. თუ ჩვეულებრივი ვნებებითი (დაიწერა, გაკეთდა) ნაწარმოებია მოქმედებითისაგან (დაწერა, გააკეთა) და ხდება მოქმედებითისათვის დამახასიათებელი ფუძის ვნებითის აფიქსებით გართულება, აქ სრულიად საწინააღმდეგო ვითარება იჩენს თავს: მოქმედებითისათვის ამოსავალია აღნიშნული წარმოება (ლომთათიძე, 1952, 78).

ქართულისათვის დამახასიათებელ ამ ზმნებს სათანადო კატეგორიის (გვარის) ნიშანი არ აღმოაჩნდათ. ეს გარემოება სვამს კითხვას: რამდენად არიან ისინი ისტორიულად ვნებითის კატეგორიის გამო-მხატველნი?

ქ. ლომთათიძე მიიჩნევს, რომ ისტორიულად ისინი უნდა ყოფილიყვნენ ერთპირიანი დინამიკური უგვარო ზმნები, განსხვავებულნი უგვარო სტატიკურ (ე.წ. საშუალი გვარის) ზმნათაგან. ამდენად, მათ უნდა ჰქონოდათ ყველა შესაძლებელი დრო-კილოთა ფორმა, დამახასიათებელი საერთოდ დინამიკური ზმნისათვის (იქვე, 77).

ამ ზმნათა განხილვისას აქცენტი კეთდება იმაზე, რომ მათ არა აქვთ ვნებითობის რაიმე ნიშანი და ვნებითი გვარის ზმნებთან აერთიანებთ მნიშვნელობა, რადგან დაპირისპირება მოქმედებითსა და ვნებითს შორის აქაც ისეთივეა, როგორც ნიშნაან ვნებითსა და შესაფერის მოქმედებითს შორის:

თბება — ათბობს, ქრება — აქრობს

შდრ. იმალება — მალავს, იწერება — წერს და სხვა.

და მეორე, ვნებითთა მსგავსად (განსხვავებით საშუალი გვარის ზმნათაგან) მათ აქვთ დრო-კილოთა ყველა ფორმა (როგორც პირველი და მეორე, ისე მესამე სერიის ფორმები) და როგორც ა. შანიძე შენიშნავს, თურმეობითს აწარმოებენ ვნებითთა მსგავსად — მეშველი ზმნით.

მ-არ(ალ)-ით იწარმოება მიმღობა ასევე გარდამავალი, მოქმედებითი გვარის ზმნებისგან, თუმცა ამგვარ ფორმებს მიღრეკილება აქვთ გასუბსტანტივებისაკენ.

მაგ: მ-ხატვ-არ-ი მ-კბენ-არ-ი მ-წერ-ალ-ი

მ-კვლევ-არ-ი მ-ღებ-არ-ი მ-კურნ-ალ-ი...

მ-ზაკვ-არ-ი მ-ყინვ-არ-ი

მიმღობის საწარმოებლად გამოყენებულია ზმნის აწმყოს ფუძე, გამონაკლისია **მ-კურნ-ალ-ი**, თუ აქ **ვ** არა გვაქვს დაკარგული **-არ**-ის წინ. ამგვარი სიტყვები ხშირ შემთხვევაში ხელობის აღმნიშვნელია,

მათ მოეპოვებათ პარალელური ფორმები, სადაც **-არ** სუფიქსის ნაცვლად **-ელ** დასტურდება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია ზემოაღნიშნულ ფორმათა გასუბსტანტივება გვიანდელი მოვლენა იყოს და ერთნაირი მნიშვნელობის მქონე მიმღობათა ორი პარალელური ფორმის არსებობით აიხსნას. საგულისხმოა, რომ უგვარო დინამიკური ზმნებიდან ნაწარმოებ მიმღობებს **-ელ** სუფიქსიანი ვარიანტები არ გააჩნია, წარმოება მხოლოდ **-არ** სუფიქსიანია.

საინტერესოა **მ-არ** მაწარმოებლიანი სიტყვა „ზამთარი“-ს შედგენილობა. **ზა-მ-თ-არ** იშლება (ნ. მარი, მ. ჯანაშვილი, ვ. თოფურია) და შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი **ზა-** სვანურ „ზაი“ — წელიწადს უკავშირდება, ხოლო მეორე ნაწილი **„მთარი“** — **თოვლს**. ვარლამ თოფურიას ამ სიტყვის მეორე ნაწილი **მ-არ** აფიქსების მეშვეობით ნაწარმოებ მიმღობად მიაჩნია: **მ-თ-არ-ი=მთოველი**, აქედან გამომდინარე, **ზამ-თ-არ-ი** აღნიშნავს **„წელიწადს მთოველს“** (თოფურია, 1940, 46-47). მიმღობის საწარმოებლად აღებულია მარტივი ფუძე, ძირი ზმნისა **-თ** (სიტყვა თოვლიდან).

არის ზოგი ფუძე, რომელიც ორ-ორ მიმღობას უჩვენებს ვნებითი გვარისას, ოდნავ განსხვავებულს მნიშვნელობით. სხვაობას **გა-ტენ-ილ-ი** და **გა-მ-ტყდ-არ-ი** ფორმებს შორის ა. შანიძე ასე განმარტავს: „გატენილია, რაც გატენეს და გამტყდარია, რაც გატყდა“ და რომ პირველი არის ფორმა, რომელიც მოქმედებითი გვარის პირდაპირ ობიექტზე დამართულ მოქმედებას წარმოგვიდგენს, ხოლო მეორე კი ვნებითი გვარის ზმნის სუბიექტური პირის მოქმედებას, რადგანაც პირდაპირ ობიექტური პირი მოქმედებითი გვარის ზმნისა ვნებითში გადაყვანისას სუბიექტური პირი ხდება. იქვე მიუთითებს, რომ ასეთივე განსხვავებაა სხვა წყვილის ცალკებს შორისაც: გათბობილი — გამთბარი, დადნობილი — დამდნარი (შანიძე, 1973, 572).

ეს საკითხი მასდარების მიმართაც დაისმის: **ტენ-ა** და **ტყდ-ომ-ა, ხეთქ(ვ)-ა** და **სკდომ-ა, მი-ყვან-ა** და **მი-ყოლ-ა, მი-ძღვ-ნ-ა** და **მი-ძლოლ-ა** (ჩიქობავა, 1956, 514), რაც შესაბამის სხვაობას იძლევა მიმღობებშიც: **გა-ტენ-ილ-ი** და **გა-მ-ტყდ-არ-ი, გა-ხეთქ-ილ-ი** და **გა-მ-სკდ-არ-ი, მი-ყვან-ილ-ი** და **მი-ყოლ-ილ-ი, მი-ძღვ-ილ-ი** და **გა-ძლოლ-ილ-ი**... ამ ფორმებს შორის სემანტიკური სხვაობა მეორეულ, გვიანდელ მოვლენად მიიჩნევა (იქვე, 517).

სხვაობის მიზეზი ამ შემთხვევაში შეიძლება ის იყოს, რომ ქარ-

თულში არსებული ზოგადი წესის საპირისპიროდ, მასდარისა და მიმღეობის ფორმები ნაწარმოებია როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ზმნებიდან:

ტეხ-ს — ტეხ-ა, გა-ტეხ-ილ-ი, გა-სა-ტეხ-ი, გა-მ-ტყდ-არ-ი

ტყდ-ებ-ა — ტყდ-ომ-ა, გა-მ-ტყდ-არ-ი

ან, როგორც აწმყოს, ასევე მყოფადის ფუძეებისაგან:

მი-ჰ-ყავ-ს — მი-ყოლ-ა, მი-ყოლ-ილ-ი

მი-ი-ყვან-ს — მი-ყვან-ა, მი-ყვან-ილ-ი

ამრიგად, ფაქტია, რომ მიმღეობათა პარალელური წარმოება საფუძვლად შეიძლება დაედოს სემანტიკურ განსხვავებას.

ასევე საინტერესოა **შე-დრეკ-ილ-ი** და **შე-მ-დრკ-ალ-ი** ფორმების მიმართება. **დრეკ-ს** ზმნა იწარმოებს მოქმედებითი გვარის პარალელურ ვარიანტს **დრიკ-ავ-ს**, რომელთა შორისაც მნიშვნელობის მხრივ სრული იგივეობაა. თითოეულ ამ ფორმას თავ-თავისი ვნებითი შესაბამება:

დრეკ-ს → დრკ-ებ-ა

დრიკ-ავ-ს → ი-დრიკ-ებ-ა, რომელთა შორისაც უკვე სემანტიკური განსხვავების ტენდენცია იჩენს თავს.

დრკება, მყოფადში შედრება — უკან დაიხვეს (წინააღმდეგობის, სიძნელის... წინაშე), დაფრთხება, შედრება (ქეგლ, ტ. VII, 739).

იდრიკება, მყოფ. მოიდრიკება — მოიხრება, მოილუნება (იქვე, ტ. V, 698).

პირველი უპირატესად შინაგან, სულიერ მხარეს გულისხმობს.

დრკება იგივეა, რაც **კრთება**, **ფრთხება**; მეორე კი გარეგნულს, ფიზიკურს: **იდრიკება** — **იხრება**, **ილუნება**. ვნებითში წარმოჩენილი ეს სხვაობა შესაბამისად მიმღეობებშიც აისახა:

შე-დრეკ-ილ-ი — რაც შედრიკეს ან შეიდრიკა, შეხრილი, შელუნული, შეზნეჟილი (ქეგლ, ტ. VII, 739);

შე-მ-დრკ-ალ-ი — ვინც, რაც შედრკა, დამფრთხალი, შეშინებული (იქვე, 897).

„ვეფხისტყაოსანში“ შედრეკილი გამოყენებულია შემდრკალის მნიშვნელობით:

„რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,

შედრეკილ-შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა“.

ზოგ გამოცემაში ამ ფორმას ასწორებენ: „შემდრკალსა, შეშინებულსა...“ (რუსთაველი, 1986, 265).

შე-დრეკ-ილ-ი ფუძედ მოქმედებითის ფორმას იღებს (დრეკ-ს), თუმცა სემანტიკურად **ი-დრიკ-ებ-ა** ზმნის კორელატია. სემანტიკური სხვაობა **დრკ-ებ-ა** და **ი-დრიკ-ებ-ა** ფორმებს შორის მასდარშიც წარმოჩნდა:

შე-დრკ-ომ-ა — უკან დახვევა, შეკრთომა, შეშინება;

შე-დრეკ-ა — მიწოლით შელუნვა, შეზნეჟა, შეხრა.

საინტერესო ვითარებას უჩვენებს ასევე „**კრთის**“ ზმნა, რომელიც კონტექსტის მიხედვით ორ მნიშვნელობას გამოხატავს:

1. თრთის, კანკალებს, ცახცახებს; ვერხვის ფოთოლივით კრთის.

2. ციმციმით ბრწყინავს, ციმციმებს (ქეგლ, 1990, 587).

ორივე მნიშვნელობისათვის საერთო მასდარია **კრთ-ომ-ა**. გარჩევა ძირითადად კონტექსტით ხდება.

ეს ვითარება თავისებურად აისახა მიმღეობურ ფორმებშიც. ერთმანეთს დაუპირისპირდა **შე-** ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები. შესაბამისად, ზმნისწინიანისათვის ამოსავალია პირველი მნიშვნელობა, უზმნისწინო ფორმას კი საფუძვლად ედება მეორე მნიშვნელობა.

შემკრთალი — ვინც შეაკრთეს ან შეკრთა, მცირედ შეშინებული (მოულოდნელობისაგან) (ქეგლ, ტ. VII, 905).

მკრთალი — ღია ფერისა, სუსტი, ძნელად გასარჩევი (იქვე, ტ. V, 539).

თუმცა, „ვეფხისტყაოსანში“ ფორმა მკრთალიც გვხვდება შემკრთალის მნიშვნელობით:

„რა გათენდა, ქუში ადგა, ჰგავს თუ ადგენს პირით ალსა,

ხმობა ბრძანა ვაზირისა, მიიყვანდის შიშით მკრთალსა“ (რუსთაველი, 1986, 149).

ბ. ჯორბენაძის აზრით, ენამ შესაძლოა დაამკვიდროს ფორმათა ამგვარი დაპირისპირება. ეს კი „ქართულისათვის ამ ეტაპზე ფაკულტატიური მოვლენაა. მისი ფაკულტატიურობა თუნდაც იმით იჩენს თავს, რომ ჯერ კიდევ ხშირია ფორმათა შერევა“ (ჯორბენაძე, 1985, 181).

მნიშვნელობათა გადაკვეთა სხვა შემთხვევებშიც ხდება. სალიტერატურო ქართულში დასტურდება ფორმები: ძილგამკრთალი, ფერგამკრთალი. პირველ შემთხვევაში გამკრთალი შეშინების, დაფრთხობის სემანტიკის გამომხატველია, მეორე შემთხვევაში კი იგივეა, რაც გაფითრებული, ბაცი ფერისა.

შემკრთალი ფორმისაგან იწარმოება უარყოფის გამომხატველი ფორმა **შე-უ-მკრთ-ალ-ი**, რომელიც მნიშვნელობით იგივეა, რაც **შე-უ-კრთ-ომ-ელ-ი**, ანუ ის, ვინც ვერ შეაკრთეს, უშიშარი.

განსხვავებულად იწარმოება **წვ-ებ-ა** ზმნის მიმღებობა, ეს არის **და-წოლ-ილ-ი** (მოსალოდნელი და-მ-წვ-არ-ი-ს ნაცვლად). მიზეზი ისაა, რომ **დამწვარი** მიმღებობად მოუღის **ი-წვ-ი-ს//ი-წვ-ებ-ა** ფორმას: **წვ-ავ-ს** (ი-წვ-ი-ს//ი-წვ-ებ-ა) — და-მ-წვ-არ-ი, თუმცა, მორფოლოგიური ჩვენების მიხედვით მას -ულ სუფიქსიანი მიმღებობა — *დაწ-ვული უნდა შეესაბამებოდეს. შდრ.: **ხშ-ავ-ს** (ი-ხშ-ვ-ი-ს//ი-ხშ-ვ-ებ-ა) → და-ხშ-ულ-ი.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ფორმა **„დამწვარი“** მიღებული უნდა იყოს ერთპირიანი დინამიკური ზმნისაგან (*წვის, *წვების), რომელიც „იწვის“ ვნებითი ზმნის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა იყოს გამოდევნილი ამ უკანასკნელის მიერ, მისი მიმღებობა — **დამწვარი** კი შემორჩა (ლომთათიძე, 1952, 78).

ეკ. ოსიძის აზრით, არ არის აუცილებელი, რომ ეს აღდგენილი ზმნური ფორმა (წვის) დინამიკურ უგვარო ზმნად მივიჩნიოთ. შესაძლებელია, ეს იყოს სტატიკური ზმნაც. ამის თქმის საფუძველს კი ის იძლევა, რომ მ-არ წარმოება მიმღებობისა სტატიკური ზმნებიდანაც ჩვეულებრივია (ოსიძე, 1957).

რამდენიმე შემთხვევაში ერთმანეთის გვერდით დასტურდება სხვადასხვა წარმოების პარალელური ფორმები. მაგ.: **ი-ღიმ-ი-ს** და **ი-ღიმ-ებ-ა** ვნებითის ძველი და ახალი წარმოების ფორმებია. ასევე, **ი-ცოხნ-ი-ს** — **ი-ცოხნ-ებ-ა** და სხვ. ბ. ჯორბენაძე მიუთითებს, რომ „ასეთი დაპირისპირებისას იქმნება სემანტიკური განსხვავების ტენდენცია: **ი-ღიმ-ი-ს** ტიპის ფორმები სუბიექტის გარკვეულ აქტიურობას გულისხმობენ, რითაც ე.წ. „საშუალ“ ფორმებს უთანაბრდებიან, ანუ: გრამატიკული სემანტიკით ერთ დონეზე დგებიან: **წუხ-ს, ტირ-ი-ს, ი-ღიმ-ი-ს...** თუმცა, ფორმოზოლოგიური ისინი იდენტური არ არიან“ (ჯორბენაძე, 1985, 186).

ასეთმა გააზრებამ საფუძველი შეუქმნა მიმღებობათა პარალელურ ვარიანტებს:

ი-ღიმ-ი-ს → მ-ღიმ-არ-ი

ი-ღიმ-ებ-ა → გა-ღიმ-ებ-ულ-ი

შდრ.: წუხ-ს → მ-წუხ-არ-ი

წუხ-დ-ებ-ა → შეწუხ-ებ-ულ-ი

ამის გათვალისწინებით შეიძლება აიხსნას **ი-წვ-ი-ს — ი-წვ-ებ-ა** ფორმათაგან მიმღებობის წარმოების თავისებურებანი.

იწვება ზმნა ყალიბის მიხედვით ნამყო ღროის საობიექტო მიმღებობად **-ილ//ულ** სუფიქსიან ფორმას ვარაუდობს. ძველ ქართულში დასტურდება კიდევ ფორმა: **შე-წვ-ულ-ი** (შანიძე, 1973, 577). ქ. ლომთათიძის აზრით, მიმღებობის ამგვარ წარმოებას მხარს უჭერს მეგრულის ჩვენებაც: **„ჭუნს** („წვავს“) და შესაბამისი მიმღებობა **ჭვი-ლი** („დამწვარი“) (ლომთათიძე, 1952, 78).

იმავლროვლად თავი იჩინა სხვა ტენდენციამაც: გრამატიკული სუბიექტის მიხედვით **„იწვის“** ზმნა ჩადგა **„იღიმის“** ტიპის ფორმათა რიგში და მიმღებობაც შესაბამისად იწარმოვა — **დამწვარი** (შდრ. მლიმარი). ამის გამო **წვ-ებ-ა** ზმნისათვის სავარაუდო *დამწვარი — მიმღებობის ადგილი დაკავებული აღმოჩნდა (ჯორბენაძე, 1985, 187). მკვლევარი მიუთითებს, რომ ფორმოზოლოგიულად წვება ზმნასთან ახლოა **დგ-ებ-ა, ჯდ-ებ-ა** ზმნები, თუმცა მათ გარკვეულად განსხვავებული მორფოლოგიური ქმედება ახასიათებთ. ჯერ ერთი, დასახელებულ ფორმათა სტატიკური ვარიანტებისაგან (დგ-ა-ს, ზი-ს) სტრუქტურულად განსხვავებულია ფორმა **წვეს** და, მეორეც, მასდარში ამ ზმნათა ფუძე **-ომ** სუფიქსითაა გართულებული: **ჯდ-ომ-ა, დგ-ომ-ა**, შდრ: **წოლ-ა**. ყველაფერი ეს ხელს უწყობს **წვეს-ს//წვ-ებ-ა** ფორმათა განცალკევების შესაძლებლობას. ამიტომაც აღმოჩნდა დასაშვები მისთვის მიმღებობის ფორმად და-წოლ-ილ-ი (იქვე, 187).

საერთოდ კი, **-ილ** სუფიქსიანი მიმღებობა ამ რიგის სხვა ზმნებისთვისაც არაა უცხო. იქმნება გარკვეული თანაფარდობა:

და-მ-დგ-არ-ი — და-დგ-ომ-ილ-ი

და-მ-ჯდ-არ-ი — და-ჯდ-ომ-ილ-ი

[არ გვაქვს] — **და-წოლ-ილ-ი**

აქედან, დადგომილი და დაჯდომილი დასაშვები, მაგრამ ძალზედ იშვიათი ხმარების ფორმებია (შდრ. გან-დგ-ომ-ილ-ი), დაწოლილი კი ერთადერთი შესაძლო ვარიანტია.

დგ-ა-ს → **მ-დგ-არ-ი**, მაგრამ მყოფალში: **ი-დგ-ებ-ა** ფუძის პარალელურად აღმოჩნდა ფორმა **ი-დგ-ომ-ებ-ა** და შესაბამისი მიმღებობა და-დგ-ომ-ილ-ი. ამის მიხედვით უნდა ყოფილიყო:

წვეს — *მ-წვ-არ-ი (თუმცა არ არის)

ი-წოლ-ებ-ა — და-წოლ-ილ-ი (იქვე, 188).

გვაქვს კი მხოლოდ ასე:

წევს — [არ არის]

იწოდება — **დაწოლილი**

დგომ, წოლ ფუძეებისაგან მიმდებარე შეიძლება იწარმოოს **მ-არე** აფიქსითაც და გვექნება:

დგ-ა-ს — **მ-დგ-არ-ი**

ი-დგ-ომ-ებ-ა — **და-დგ-ომ-ილ-ი, მ-დგ-ომ-არ-ე;**

შესაბამისად: **წევს-ს** — [არ არის]

ი-წოლ-ებ-ა — **და-წოლ-ილ-ი, მ-წოლ-არ-ე**

ამასთან, **მ-წოლ-არე** ფორმას მოეპოვება პარალელური ვარიანტი **მ-წოლ-ი-არე** (შდრ.: მგლოვიარე, მსხმოიარე, მგრძნობიარე...)

ნიშანდობლივია, რომ **მ-გრძნობ-ი-არე** რიგის ფორმებს პარალელური ვარიანტი (მ-გრძნობ-არე ტიპისა) ჩვეულებრივ არ მოეპოვებათ. გ. ლეონიძის ფრაზაში: „მათზე მგლოვარეც დალპა თავშალი“, სიტყვა მგლოვარე უფრო პოეტური სიტყვაწარმოების ნაყოფი ჩანს.

მწოლარე და **მწოლიარე** მნიშვნელობით გარკვეულ ნიუანსურ სხვაობასაც ამჟღავნებენ. კერძოდ: მწოლარე არის ის, ვინც მოცემულ მომენტში წევს (ტახტზე, ლოგინზე, მიწაზე), ხოლო მწოლიარე კი ის, ვისაც წოლითი რეჟიმი აქვს ან ლოგინადაა ჩავარდნილი.

-არე სუფიქსი შემადგენლობით რთული, ორმარცვლიანი მაწარმოებელია. იგი მხოლოდ მ- პრეფიქსთან ერთად გვხვდება და აწარმოებს მიმდებარე სტატიკური, საშუალო გვარის ზმნებიდან. მაგ.:

ქუხს — მ-ქუხ-არე ღუმს - მღუმ-არე
წუხს — მ-წუხ-არე დის - მ-დინ-არე

(გასუბსტანტივებულია) და სხვ.

ღულს — მ-ღულ-არე

ზოგ შემთხვევაში (ძირითადად კი მდებარეობის გამომხატველ მედიოპასივ ზმნებში) საწარმოებლად აღებულია არა ზმნის ფუძე, არამედ საწყისი:

დგას, იდგა, დგ-ომა — **მ-დგომ-არე**

ჯდ-ომ-ა — **მ-ჯდომ-არე**

წ-ოლ-ა — **მ-წოლ-არე** და მისთ.

მ-არ და **მ-არე** წარმოების პარალელურ ფორმებს შორის სემანტიკური სხვაობა თითქოს მინიმალურია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ნიუანსური განსხვავება მაინც შეიმჩნევა, რასაც განაპირობებს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მათგანი გასუბსტანტივებისაკენ იჩენს მიდრე-

კილებას, ამიტომ კონსტრუქციაში იშვიათად ხდება ამ ფორმების ურთიერთჩანაცვლება. შევადაროთ ერთმანეთს ფორმები **მწუხარი** და **მწუხარე**. **მწუხარი** უმეტესად გასუბსტანტივებულია და არსებითი სახელის დანიშნულებით გამოიყენება. **მწუხარე** კი უმეტესად ზედსართავის ფუნქციის გამომხატველია (მწუხარე ადამიანი, მწუხარე ამბავი და მისთ.) (ჯორბენაძე, 1985, 174).

მწუხარე — ვინც წუხს, მგლოვიარე, ნაღვლიანი, დადარდიანებული // წუხილის შემცველი, წუხილის გამომხატველი (ქეგლ, ტ. V, 1226).

სწორედ ამგვარი ნიუანსური სხვაობა ქმნის შესაძლებლობას, მიმდებარე პარალელური ფორმები გამოყენებულ იქნას უფრო ღრმა და არსებითი სემანტიკური სხვაობის გამოსახატად.

ა. შანიძე შენიშნავს: „სუფიქსები -არე (მწუხარე, მჯდომარე და მისთ. ფორმებში) და -არ (დამდნარ, გამთბარ და მისთ. ფორმებში) ერთია წარმოშობით. პირვანდელია -არე, მერმინდელია -არ: ე სახელობითის ნიშანთან (ინთან) იქნა გაიგივებული და ჩამოსცილდა“ (შანიძე, 1973, 580).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა სხვაგვარი მოსაზრებაც, რომ ქართულში უფრო მეტი საფუძველია ზემოთქმულის საპირისპირო ვარაუდისათვის. ჯერ ერთი, ქართულისათვის უცხოა ორმარცვლიანი მაწარმოებელი აფიქსი (ეულ ← ევ + ულ, იერ ← ივ + ერ) და ამიტომ არე=არ+ე და მეორეც, მიმდებარე წარმოებაში გვხვდება ცალ-ცალკე -არ სუფიქსიც და ე-ც (მო-ჭიჭიჭი-ე, მო-რაკრაკ-ე, მო-ბიბინ-ე და სხვა ფუძეგაორკეცებული მიმდებარე, აგრეთვე მო-არმიყ-ე, სა-ქმ-ე..) (ოსიძე, 1957, 192). მკვლევრის აზრით, სწორედ -არ ბოლოსართი უნდა იქნას აღდგენილი მიმდებარე იმ ფორმებში, სადაც მაწარმოებლად ოდენ რ თანხმომანი გვაქვს (შდრ: ძველი ქართული **მ-ძოვრ, მ-წუხრ** და ახალი **მ-ძოვ-არ, მ-წუხ-არ-ე**). „უხმოვ-ნო, რ თანხმომანი წარმოება კი იმ კილოსა და დროის კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს, სადაც და როცა ინტენსიური დინამიკური მახვილი მოქმედებდა“ (იქვე).

რამდენიმე ფორმაში დასტურდება მაწარმოებლად **მა-არ** პრეფიქს-სუფიქსი: **მა-ძლ-არ-ი, მა-შურ-ალ-ი, მა-ჩხუბ-არ-ი**... პირველი ორი ფორმა მიმდებარისა ნაწარმოებია უგვარო დინამიკური ზმნებიდან (ძლებს, შურებს). ფუძე ზმნისა აქაც -არ სუფიქსის დართვის გამოა შეკუმშული: **მა-ძლ-არ←მა-ძლ-არ, მა-შურ-ალ←მა-შურ-არ-**

ალ←მა-შუერ-არ (ოსიძე, 1957).

გასარკვევია, რატომ გვაქვს **მ-** პრეფიქსთან **ა** ხმოვანი, როცა ზმნის ფუძეში ის არ დასტურდება? იქნებ ფუძის შეკუმშვის გამო თანხმოვანთა თავმოყრის თავიდან ასაცილებლად გაჩნდა? მაგრამ ძნელად წარმოსათქმელი თანხმოვანთკომპლექსი ფუძის შეკუმშვის გამო აქ არ იყრის თავს. საწარმოებლად წყვეტილის ფუძეა გამოყენებული, დროის მიხედვით კი ეს მიმღეობები წარსულია.

ლიტერატურა

თოფურია, 1940 — ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვა-წარმოებიდან, III, თსუ შრომები, ტ. IV, თბ., 1940.

ლომთათიძე, 1952 — ქ. ლომთათიძე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იკე, ტ. IV, თბ., 1952.

ოსიძე, 1957 — ე. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957.

რუსთაველი, 1986 — შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1986.

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I (1950) — ტ. VIII (1964).

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ჩიქობავა, 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ჯორბენაძე, 1985 — ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

TAMAR MAMARDASHVILI

Formation of Subjective Participles with the Affixes m - ar(-al) and m - are in Georgian

Summary

As is known, in Georgian subjective participles are formed by means of special prefixes and suffixes. The participles with the affixes m - ar(-al) are of specific type, because the circumfixes in question form participles from active voice verbs and dynamic and static verbs with no voice. The participles with the affix m-ar whether formed from transitive or intransitive verbs are always subjective. The formation of this type uses simple stems in intransitive verbs i. e.: stems of Series II. The verbs with the suffix **-ob** are mostly of this type. The forms in question are typical of Early Old Georgian. The affixes m-ar (al) also form participles from transitive active voice verbs. However, these forms are often the names for various types of trade and they tend to be substantivized.

The constructions with m _ ar(al) are often replaced by m _ are which forms participles from static medial voice verbs. The semantic difference between the parallel forms seems to be minimal. However, in some cases the difference in shades of meaning is obvious.

ნანა მაჭავარიანი

კომპოზიტები აფხაზური ენის მცენარეთა ლექსიკაში (სტრუქტურული მოდელები)

მცენარეთა აფხაზური სახელწოდებანი სტრუქტურული თვალსაზრისით ორ ჯგუფად იყოფა: სახელწოდებათა ერთი ნაწილის ფუძე მარტივია, ზოგჯერ ერთ მარცვალსაც არ აღემატება; ლექსემათა გარკვეული ნაწილი მიღებულია აფიქსაციით; სახელწოდებათა უფრო დიდი ნაწილი კომპოზიტებს წარმოადგენს.

კომპოზიტები, ძირითადად, აფხაზური ენის გრამატიკულ ნორმათა დაცვითაა შედგენილი, თუმცა გვხვდება გამონაკლისებიც.

აფხაზური ენის მცენარეთა აღმნიშვნელი ლექსიკის შემცველობაში შემავალი კომპოზიტები სტრუქტურულად ასე გამოიყურება:

1. საზღვრულ-მსაზღვრელი

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი** (უმეტესად მცენარის აღმნიშვნელი ლექსემა) + **ზედსართავი სახელი** (ან მისი ფუძის ნაშთი)

„კომპოზიციის დროს ერთმანეთს ერწყმის ორი ან მეტი ფუძე და შედეგად მიიღება ახალი რთულფუძიანი სახელი. ამ დროს ზოგადადობის ა- პრეფიქსი დაერთვის მხოლოდ ახალი რთული სიტყვის (კომპოზიტის) პირველ წევრ ფუძეს. მაგალითად: ამჟღე ქიაწია „შავი თუთა“, ამჟღე „თუთა“ + ა(ე) ქიაწია „შავი“... ამ ტიპის წარმოებისას კომპოზიტის ერთი წევრი მსაზღვრელია, მეორე კი — საზღვრული... (გვანცელაძე, 2003, 44).

... რთული არსებითი სახელის (კომპოზიტის) წევრებად შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, მასდარი ან ზმნის წმინდა ფუძე.

იმდენად, რამდენადაც აფხაზურ ენას ბრუნვები არ გააჩნია, მსაზღვრელის ფუძე, ცხადია, გაუფორმებელია. აფხაზურში აღნიშნული შესიტყვებები ქართული ენის მართული მსაზღვრელის მსგავსია.

ქართულად თარგმნისას მსაზღვრელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმით უნდა გადმოიცეს: მაგ.: აწგლაჰა „ჩიტის ლეღი“.

როდესაც კომპოზიტი საზღვრულ-მსაზღვრელია, მსაზღვრელი ძირითადად ვითარებითი ზედსართავითაა გადმოცემული, რომელიც მოსდევს არსებითი სახელით ან სხვა მეტყველების ნაწილით გამონახულ საზღვრულს, რითაც ემსგავსება ძველი ქართულის ზედსართავებს. მაგ.: აჰაშა „მსხალი თეთრი“. ასეთ დროს ზედსართავ სახელს არც ზოგადადობის პრეფიქსი დაერთვის.

... „მიმართებითი ზედსართავები ვითარებით ზედსართავთან განსხვავებით წინ უძღვის საზღვრულს. მაგ.: წგფხტი აჩაჰრა „შარშანდელი მოსავალი“ (გვანცელაძე, 2003, 50).

განვიხილავთ თითოეული მათგანს ცალ-ცალკე:

აცაშა „ბალამწარა“. აც „მარცვალი“, შა < აშა „მწარე“

აჯშა „ნორი“. აჯ „ხახვი“, შა < აშა „თეთრი“.

აკტკიბა „სოკო“. აკტკი „მაჩიტელა“, აბა „დამპალი“

აცცცაფშ „ბოლოკი“. აცცცა „ბოლოკი“, აფშ < აყაფშ „წითელი“.

აჩაფშ „ხორბლის ერთ-ერთი სახეობა“, აჩა „პური“, აფშ < აყაფშ „წითელი“.

ა) სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი (ტოპონიმი)**

აჟღეჟ „ყურძნის ჯიში“, აჟ „ყურძენი“, მჟღრა „ადგილის სახელი“.

ბ) სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი**

აჟნა || აჟაფს „ყურძნის ჯიში“, აჟ „ყურძენი“, ან „დედა“, აფს „ძუ“

გ) სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელის ფუძე + სიწვრილის, სინორჩის შემცველ ცნებათა ფუძის ნაშთები**: -სსა, -ჰჰა / ჰჰეს

აჰასსა „გარეული, წვრილი მსხალი“

აჰასსა „გარეული, წვრილი ალუჩა“

აჰაჰჰსა „გარეული მსხალი, წვრილი მსხალი“

არჰჰეს „ნორჩი კაკლის ხე“

ალჰჰეს „ნორჩი მურყნის ხე, ნოღა“

დ) სტრუქტურული მოდელი: **ამღ „ეკალი“ ზოგადი სიტყვა + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი**:

ამღშა „ეკალოჯა“, ამღ „ეკალი“, შა < აშა „თეთრი“.

ამდგომ „მაყვალ“, ამდ „ეკალი“, შ < აფშ < აყაფშ „წითელი“.

განხილულ მაგალითებში ამდ „ეკალი“ ფუძის გამოყენება განპირობებულია მცენარის ეკლიანობის ხაზგასასმელად.

შდრ.: ქართული: ეკალა, ეკალბარდა, ეკალიჯია... ქართულში „ეკალი“ ზოგადად ეკლიან მცენარესაც ჰქვია.

ყველა ზემოთ აღნიშნული ლექსემა თავისი კონსტრუქციით საზღვრულ-მსაზღვრელია. ამ შემთხვევაში აფხაზურისათვის დამახასიათებელი პოზიცია: „საზღვრული + მსაზღვრელისა“, დაცულია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ფუძეს მსაზღვრელად ერთვის ვითარებითი ზედსართავი სახელი, ან მისი ფუძის ნაშთი.

ე) სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + ზმნიზედა:**

აჯ წგრფხა „ჭაჭაზე დაყენებული ღვინო“, აჯ „ღვინო“, აწგრფხ „შარმან“, რ- კაუხატივის მაწარმოებელი აფიქსი.

II. მსაზღვრელ-საზღვრული

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი+არსებითი სახელი:**

აშამაშიგა „ჭიაფერა“, აშამაყა „ცვილის დიდი სანთელი“, აშიგა „საღებავი“

ადიგარგნ „ია“, ადიგ „მინდორი“, აკრ „შუქურა“.

აწიარასა „ია“, აწი „ვაშლი“, არასა „თხილი“.

აშითაკაჭ, აშით „ყვავილი“, აკაკაჭ „ყვავილი“.

აცგხა „თალგამი“, აც „მარცვალი“, (ა)ხგ / ხა „თავი“.

სტრუქტურული მოდელი: **მსაზღვრელი + საზღვრული. არსებითი სახელი + არსებითი სახელი.**

ახგრხგნჯ „წინების ღვინო“, ახგრხგნ „ყურძნის საწინი“, აჯ „ღვინო“.

აჟაღარჯავჯ „წინების ღვინო“, აჟაღარჯავ „ყურძნის საწინი“, აჯ „ღვინო“.

ახ აფჯ „თხლეს სუნი“, ახ „თხლე“, აფჯ „სუნი“, ამწგში აჯჰი „გიდლის ძირი“, ამწგში „გიდელი“, აჯჰი „ძირი“... და მსგავს შემთხვევებში მსაზღვრელი სიტყვის ნივთის კატეგორიის კუთვნილების ა- პრეფიქსი შენარჩუნებულია; ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ აღნიშნული ტიპის მაგალითები კომპოზიტებად ჯერ კიდევ არ აღიქმება და მყარ შესიტყვებებს წარმოადგენს.

ა) კომპოზიტის საზღვრულია **აჯ / ჯა**

ადღაჯა „ბაძგი, ჭყორი“

აშხარაჯ „ყოლო“

ახარაჯ „ცხილისებრთა ოჯახის ბუჩქი“

პ. ჭარაია მიიჩნევდა, რომ აფხაზური აჯ „მუხა“ საერთოა მეგრულ ჯა(ლ) „ხე“ სიტყვასთან. აღნიშნული ელემენტის გამოვლენა ბუჩქების სახელწოდებებში, შესაძლოა აფხაზურში ჯ ძირის უძველეს ფუნქციაზე, მის ზოგადად ხის აღმნიშვნელ ძირად გამოყენებაზე მიუთითებდეს; თუკი ჯ აღნიშნულ შემთხვევაში მეორეული არაა და რომელიმე სხვა თანმომენისაგან, მაგალითად ჟ-საგან არ მომდინარეობს (ჭარაია, 1912, 45).

ბ) კომპოზიტის საზღვრულია **აწლა „ხე“**

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელის ფუძე + აწლა „ხე“** ლექსემა:

აბაციწლა „ზღმარტლის ხე“

ათიწლა „ცაცხვის ხე“

ალიმონწლა „ლიმონის ხე“

ამჟიწლა „თუთის, ბუხლის ხე“

ჩამოთვლილ მაგალითებში კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები ერთიმეორესთან მსაზღვრელ-საზღვრულ მიმართებაშია, რამდენადაც აფხაზურს ბრუნვები არ გააჩნია, ერთმანეთს ერწყმის მსაზღვრელის და საზღვრულის მორფოლოგიურად გაუფორმებელი ფუძეები.

აღნიშნული რიგი მსაზღვრელ-საზღვრულისა აფხაზური ენისათვის არ არის დამახასიათებელი. იგი შედარებით ახალი წარმონაქმნი უნდა იყოს. ისტორიულად აფხაზურს ახასიათებს საზღვრულ-მსაზღვრელის სინტაქსური კონსტრუქცია. ისევე, როგორც ეს ძველ ქართულში იყო.

გ) სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი (აბნა „ტყე“) + არსებითი სახელი (მცენარის აღმნიშვნელი ლექსემა):**

აბნარასა „გარეული, ტყის თხილი“, აბნა „ტყე“, (ა)რასა „თხილი“

აბნაწი || აბნწი „მაქალო, ტყის ვაშლი“, აბნა „ტყე“, აწი „ვაშლი“

აბნარაჰანა „ტყის რეჰანი“, აბნა „ტყე“, (ა)რაჰანა „რეჰანი“

აბნა ძახი „ტყის ვაზი“, აბნა „ტყე“, აძახი „ვაზი“

ვფიქრობთ, ხეთა ველური ჯიშების აღნიშვნას უნდა ემსახურებოდეს აღნიშნულ ლექსემებში აბნა „ტყე“ სიტყვის მონაწილეობა.

აღნიშნული მაგალითები მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს. საერთოდ, მსაზღვრელ-საზღვრულის ასეთი განლაგება აფხაზურისათვის ორგანული არ არის. ძირითადად აფხაზურს ახასიათებს საზღვრულ-მსაზღვრელიანი სინტაქსური კონსტრუქცია. მსაზღვრელ-საზღვრული კი, ან შედარებით ახალი წარმონაქმნი უნდა იყოს, ან კალკირების გზით მიღებული გამსესხებელი ენიდან.

შესაძლოა, აღნიშნულ შემთხვევაში არსებითი სახელი აბნა „ტყე“ მიმართებითი ზედსართავის ფუნქციით გვევლინებოდეს.

„მიმართებითი ზედსართავი სახელები აფხაზურში ძირითადად იწარმოება მეტყველების სხვა ნაწილთა ფუძეებისაგან. ამ მიზნით გამოიყენება დანიშნულების, კუთვნილების აღმნიშვნელი -ტი(გ) || -ტიი სუფიქსი, რომელიც უკავშირდება ა-ტიშ „საკუთრება“ სიტყვის ძირს. ასე მიღებული მიმართებითი ზედსართავები ვითარებით ზედსართავთაგან განსხვავებით, წინ უძღვის საზღვრულს. მაგალითად, წგფხ-ტიი აჩაჰრა „შარშანდელი მოსავალი“, ახახი-ტიი გიარა „ქვის ღობე“ (გვანცელაძე, 2003, 50).

დ) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (ეთონიმი) + არსებითი სახელი (მცენარის (ყურძნის) აღმნიშვნელი ლექსემა)

აშიანტუყ „ყურძნის ჯიში“, აშიანტუ „სვანი“, (ა)ყ „ყურძენი“
აჟრგსტყ „ყურძნის ჯიში“, აჟრგს „რუსი“, (გ)ყ „ყურძენი“
ათგრქიბყ || ათგრქიბყ „ყურძნის ჯიში“, ათგრქი „ათურქი“, (ა)ყ „ყურძენი“

აგრტყ „ყურძნის ჯიში“, აგრტ „მეგრელი“, (გ)ყ „ყურძენი“
აფსტყ „ყურძნის ჯიში“, აფსტ „აფხაზი“, (ა)ყ „ყურძენი“

ე) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (ტოპონიმი) + არსებითი სახელი (მცენარის (ყურძნის) აღმნიშვნელი ლექსემა)

აჟასარხიბყ „ყურძნის ჯიში“, აჟასარხია „ცხვრის ბორცვი“, აყ „ყურძენი“

ვ) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (ანთროპონიმი) + არსებითი სახელი (მცენარის (ყურძნის) აღმნიშვნელი ლექსემა)

პაპგნყ „ყურძნის ჯიში“, პაპგნ „მამაკაცის სახელი“, ი- კუთვნილებითი პრეფიქსი მკ. კლასისა, ყ „ყურძენი“
კაცტყ „ყურძნის ჯიში“, კაც „მამაკაცის სახელი“, ი- კუთვნილებითი

თი პრეფიქსი მკ. კლასისა, ყ „ყურძენი“

თაგიყ „ყურძნის ჯიში“, თაგტუ „მამაკაცის სახელი“, ი- კუთვნილებითი პრეფიქსი მკ. კლასისა, ყ „ყურძენი“

პეტრტყ || პეტრტყ „ყურძნის ჯიში“, პეტრა < პეტრე „მამაკაცის სახელი“, ი- კუთვნილებითი პრეფიქსი მკ. კლასისა, (გ)ყ „ყურძენი“

ხიგფტყ || ხიგფტყ || ხიგფტყ „ყურძნის ჯიში“, ხიგფტმ „მამაკაცის სახელი“, ი- კუთვნილებითი პრეფიქსი მკ. კლასისა, ყ „ყურძენი“

ხიგნალტყ „ყურძნის ჯიში“, ხინა „ქალის სახელი“, ლ- კუთვნილებითი პრეფიქსი ქალთა კლასისა, ყ „ყურძენი“

აღნიშნულ მაგალითებში კომპოზიტის მსაზღვრელად ადამიანთა კლასის სახელები გვევლინება, ამის გამო კომპოზიტის საზღვრულის თავში გამოჩნდება ადამიანის კლასის პირის (კუთვნილების) პრეფიქსი „ლ“-ს რიგისა, განსხვავებით იმ შემთხვევებისაგან, როდესაც მსაზღვრელად ნივთთა კლასის სახელი გვევლინება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნივთთა კლასის პირის (კუთვნილების) მაჩვენებელი პრეფიქსი იკარგება.

ზ) სტრუქტურული მოდელი: არსებითი სახელი (ზოონიმი) + არსებითი სახელი:

აჟმაყ „დენგრა, კუნელი“, აჟმა „თხა“, (ა)ყ „ცურცლი“
აჰიპაჰა || აჰიპაჰა „მოცივი“, აჰიპა „ლორი“, (ა) პაჰა „ტიკა“
ალაწიგმლ „ასკილი“, ალა „ძალი“, აწიგმლ „ლურსმანი“
აჟიგრტ „ღვია“, აჟი „ძროხა“, ატ „წყალი“, -რ III პირის „კუთვნილების“ მრავლობითობის პრეფიქსი.
აჰიპაჰა „გვირილა“, აჰიპა „ლორი“, (ა) კაჰა „კამა“

სტრუქტურული მოდელი: **ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი (მცენარის აღმნიშვნელი ლექსემა)**

აჰარტყ „ახალი ვენახი“, აჰარა < აჰა „სიხლე“, აყ „ყურძენი“
ათიბყ „სავსე ყურძენი“, ათიბ „სავსე“, აყ „ყურძენი“
აცინდაყაბყ „უკანო გოგრა“, აცინდა „უკანო, კანის არ მქონე გოგრა“, -და უარყოფითობის სუფიქსი, ყაბყ „გოგრა“
აყასაყ || აყასა „მოქნილი, დრეკადი ყურძენი“, აყასა „მოქნილი, დრეკადი“, აყ „ყურძენი“
აცემლტყ „მავი ყურძენი საშუალო ზომის მარცვლებით“, აცემ „უმარცვლო“, აც „მარცვალი“, -მ უარყოფითობის სუფიქსი, -ლ ინს-

ტრუმენტალისის სუფიქსის ნაშთი, (ა)ჟ „ყურძენი“... „უმარცვლო ყურძენი“

სტრუქტურული მოდელი: **რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი**

ვგნტივრშაჟრა აჟაჟკა „ორნახადი არაყი“, ჯ < ჯბა „ორი“ რიცხვითი სახელის შეკვეცილი ფუძე, ტოვ დანიშნულების სუფიქსი, აშაჟრა „დუღილი“, „ორ(ჟერ) მოდუღებული არაყი“.

ზნგკერშაჟრა აჟაჟკა „ერთნახადი არაყი“, ზნგ „ერთხელ“, კ- გა- ნუსაზღვრელობის აფიქსი. აშაჟრა „დუღილი“, „ერთხელ მოდუღებული არაყი“.

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + მასდარი**

აფაშმი აკრა „დაფესვიანება“, აფაშმი „ფესვი“, აკრა „დაჭერა“

აძგ ალაღარა „წვენის მოძრაობა“, აძგ „წყალი“, ალაღარა „მივ შესვლა“. იგულისხმება ვაზის ზროში მცენარის წვენის მოძრაობა.

აძგ აწგსრა „წყლის ჩადგომა მცენარეში“, აძგ „წყალი“, აწგსრა „ჩადგომა“

ორზე მეტკომპონენტანი კომპოზიტები

III. მსაზღვრელ-მსაზღვრელ-საზღვრული

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი**

აჟარ/გიგ/ც „ყურძნის მარცვალი“, აჟ „ყურძენი“, აგიგ „გული“, ც < აც „მარცვალი“ (-რ III პირის „კუთვნილების“ მრავლობითობის პრეფიქსი)

აჩაგ/კგკ/აჟ „ყურძნის ჯიში“, აჩაგ „ცხენი“, (ა)კგკა „ძუძუ“, აჟ „ყურძენი“

აგიღ/ლა/ხ/აჟ „ყურძნის ჯიში“, აგიღ „გული“, (ა)ხგ „თავი“, აჟ „ყურძენი“, -ლა ინსტრუმენტალისის სუფიქსი

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი (ზოონიმი) + მასდარი + არსებითი სახელი**

აცგი/ზბრა/ხი „მთის ყვავილი“, აციგ „ხარი, ხარირემი“, აზბბრა „ბღავილი“, ახიგ „კერი“

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი**

აბაა/ჟ/შა || აბაა/ჟ/შა „ყურძნის ჯიში“, აბაა „ციხე-სიმაგრე, ეკლესია“, (ა)ჟ „ყურძენი“, შა < აშაჟკაჟა „თეთრი“

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი (მცენარის სახელწოდება) + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი + არსებითი სახელი (მცენარის სახელწოდება)**

ალგმ/შა/ძახის, ალგმშა „სვია“, შა < აშაჟკაჟა „თეთრი“, აძახის „ვაზი“

ოთხკომპონენტანი კომპოზიტები

IV. მსაზღვრელ + საზღვრულ + საზღვრულ + მსაზღვრელი

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი + არსებითი სახელი + ზედსართავი სახელის ფუძის ნაშთი**

აჟასა/რ/ხი/ა/ჟ/შა „ყურძნის ჯიში“, აჟასა „ცხვარი“, ახიგ „ბორცვი“, ა(გ)ჟ „ყურძენი“, (-რ III პირის მრავლობითობის კუთვნილებითი პრეფიქსი). „ცხვარი რმათი ბორცვი ყურძენი თეთრი“

შესიტყვებანი

ქვევით წარმოდგენილია მყარი შესიტყვებები, რომლებიც ჟერჟე-რობით კომპოზიტს არ წარმოადგენს, მაგრამ ამჟღავნებს კომპოზიტად ქცევის ტენდენციას:

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + არსებითი სახელი + მასდარი**

აძახის აჟილა აკრა „ვაზის გაშენება“, აძახის „ვაზი“, აჟილა „თესლი“, აკრა „დაჭერა“ — მასდარი.

აჟაჟშა ახგ ანტრა „ქვევრის მოხდა“, აჟაჟშა „ქვევრი“, ახგ „თავი“, ანტრა „მოხდა“ — მასდარი.

სტრუქტურული მოდელი: **არსებითი სახელი + გარდაქცევა-ობის -ნე სუფიქსით ნაწარმოები აბსოლუტივი + მასდარი**

აწიგზრ ლბაანგანგ აწაწარა „ვაზის გადაწიდვანა“, აწიგზრ || აშაჟარ „ვაზის რქა“, ალბაანგარა „ჩამოღება“ > ლბაანგანგ „ჩამოღებით“, აწაწარა „ქვევ ამოღება“

აწიგარ ხწიანგ აწაწარა || აწიგარ აწაწარა „ლერწის, რქის დარგვა“, აწიგარ „რქა“, აწიგარა „გადაჭრა“ > ხწიანგ „გადაჭრით“, აწაწარა „ქვევ ამოღება“.

ლიტერატურა

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986 — Апсуа бызшәа ажаар, I, Сухуми, 1986.

აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1987 — Апсуа бызшәа ажаар, II, Сухуми, 1987.

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, 1954 — ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954.

გვანცელაძე, 2003 — თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, პირველი ტომი, აფხაზური ენის გრამატიკული მიმოხილვა აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2003.

ჭარაია, 1912 — П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, С.Пб., 1912.

ჯანაშია, 1955 — П. Джанашиа, Абхазская лексика виноградарства и виноделия, Автореферат дисс. на соискание уч. степ. канд. филол. наук, Тбилиси, 1955.

NANA MACHAVARIANI

Compounds in Abkhazian Plant Lexis

(Structural models)

Summary

The paper investigates Abkhazian compound plant names structurally.

The following structural models have been singled outi.

I. Two component compounds:

1. The modified + the modifier
2. The modifier + the modified

II. Compounds with more than two components:

1. The modifier + the modifier + the modified.
2. Four-component compounds: the modifier + the modifier + the modified + the modifier

III. Set expressions that cannot be considered to be compounds yet, however they reveal some tendencies of becoming compounds.

თამარ მახაროზლიძე

ქცევის კატეგორიის თავისებურებანი

ქცევის კატეგორია ქართული ენის დესტინაციური სისტემის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიაა, რომელსაც მრავალმა ქართველმა და უცხოელმა მეცნიერმა უძღვნა თავისი გამოკვლევა.

გვაქვს სტატისტიკური ლინგვისტური უნივერსალია — **ზმნური დესტინაცია მხოლოდ პოლიპერსონალური ზმნების კატეგორიაა.**

თანამედროვე ქართულში ქცევის კატეგორია ქმნის მწყობრ მორფო-სემანტიკურ სისტემას. ამჯერად ჩვენ გამოვყოფთ ქცევის კატეგორიის თავისებურებებს. ბუნებრივია, რომ როდესაც არსებობს წესი, იქვეა გამონაკლისიც, ანუ ანომალია. ქცევის გრამატიკული კატეგორია თანამედროვე ქართულში შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება:

1. სხვაობა გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა სისტემებს შორის ქცევის კატეგორიის მიხედვით სავსებით ნათელია და ეს მოვლენა უკვე სისტემურიცაა. ქართულში მხოლოდ გარდამავალი, ანუ მოქმედებითი გვარის ზმნები გვიჩვენებენ სამგანზომილებიან მოდელს. გარდაუვალი ზმნები კი მხოლოდ ორგანზომილებიან მოდელში თავსდება, რამდენადაც აქ გამორიცხულია სათავისო, ანუ სასუბიექტო ქცევა. ეს სისტემური და პრინციპული ხასიათის სხვაობაა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართულში (საერთოდ, ქართველურში) სამგანზომილებიანი მოდელის მეორადობას.

2. ქართულ ენაში გვაქვს ქცევის კატეგორიის მიხედვით ფორმანაკლი ზმნები. ასეთი ზმნები ორ ჯგუფად შეგვიძლია, დავყოთ:

- ა. ზმნები, რომელთაც ახასიათებთ ფორმანაკლულობა ერთი მწყობრის შიგნით საოპოზიციო ცალებში, მაგალითად: გვაქვს **ვატ-ნობ-ვიცნობ** და არა გვაქვს სასხვისო ფორმა — ვუცნობ.

- ბ. ზმნები, რომელთაც ახასიათებთ ფორმანაკლულობა უღლების პარადიგმების მიხედვით, მაგალითად: გვაქვს სტატიკურ ზმნათა ოპოზიცია — **წერია/უწერია**, რომელთაც მეორე სერიაში **ეწერა** შეესა-

ბამება ორივე შემთხვევისათვის. ასევე კარგავენ ქცევის გაგებას სამპირიანი ზმნები მესამე სერიაში და ყველგან, სადაც ქცევა გამოდის წმინდა ფლექსიური დატირთვით, იკარგება დესტინაციური შინაარსი.

3. ქართულში ზოგჯერ ზმნაში ორი ირიბი ობიექტური პირია მოცემული. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ორივე გამოიხატება ზმნაში.

ა. ორი ირიბი გარდაუვალ ზმნებში — ვნებითში: მიცვია (მე მას ის), მიმეპყარ (შენ მე მას), საშუალში: მიმიღვეს (მე მას ის), მიტკივა (მე მას ის). ამ ორიდან ერთი აუცილებლად პოსესორი, ანუ მფლობელი ობიექტია და მას ალტერნატიული აღწერითი სინტაქსური კონსტრუქციაც მოეპოვება შესაბამისი ორპირიანი ზმნის ფორმითა და პოსესორი ობიექტის დატირთვით ან გენტიურ-პოსესიური ბრუნვით ზმნის გარეთ, მაგალითად: **მიცვია მე ცოლს კაბა და ჩემს ცოლს კაბა აცვია.**

ბ. ორი ირიბი გარდამავალ ზმნებში იძლევა ოთხპირიანი ზმნებს: მიმიწერა (მან მე მას ის), მიმიხატა (მან მე მას ის), უფრო ხშირად კაუზატიური ფორმებია ასეთ დროს გამოყენებული: **გამიკეთებინე** (შენ მე მას ის), **დამიხატვინე** (შენ მე მას ის). ასეთი ფორმები, გამონაკლისის გარეშე, სასხვისო ქცევის ფორმებია.

ირიბის შემოყვანას ზმნაში ორი გზა და მიზანი აქვს:

1. ან კაუზაციას სჭირდება შემსრულებელი ობიექტის შემოყვანა,
2. ან პოსესიურ-ბენეფაქტიურ სემანტიკას უნდა გაესვას ხაზი.

ორირიბიანი ფორმები ძირითადად სასხვისო ქცევის სემანტიკით იტირთება.

4. არსებობს პოლისემიური ფორმები — ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით.

ენაში არის იშვიათი ზმნის ფორმები, სადაც პირდაპირი ობიექტი არის ცვალებადი და სათავისო ქცევის ფორმები, შესაძლოა, ობიექტური წყობის ზმნებშიც გვქონდეს. ასეთი ფორმები ზოგჯერ პოლისემიურია (დამიყენა/დაგიყენა).

5. უქცეო ზმნები, რომელთაც არ გააჩნით ქცევის გაგება. ასეთ ზმნებს, ფაქტობრივად, საოპოზიციო ცალები არ მოეპოვებათ და ქცევის შინაარსისაგან დაცლილნი არიან: **უყვარს, აქვს, იცის, ანსოვს, ჰგონია, უჭირავს, სძულს** და სხვ.

ამ ზმნებშიც ორი ჯგუფი გამოიყოფა:

ა. უნიშნო ფორმები: ჰგონია, სწამს, სძულს, ჰქვია და სხვ. ამ ფორმებს არც ქცევის ნიშანი გააჩნიათ და არც ამ კატეგორიის შინაარსი.

ბ. ნიშნისანი ფორმები: იცის, უყვარს, აქვს და ა. შ. ასეთ ზმნებს ქცევის ნიშანი მოეპოვებათ, მაგრამ არა აქვთ საოპოზიციო ცალები, და ამდენად, არც ქცევის გაგება გააჩნიათ. ვფიქრობთ, რომ უფუნქციო ნიშანი ზმნაში არ გაჩნდებოდა და ხდება კატეგორიის ფორმობრივი, და აზრობრივი ცვლილება. ამ აზრს ადასტურებს ზოგიერთ ასეთი ზმნის ფორმებში სხვა ქართველურ ენებთან შეპირისპირებით აღდგენილი ქცევის ფორმა და ფუნქცია: **გოცი — მიხა/ხონა** (სვან.)

6. ქცევის კატეგორიის ფორმისა და შინაარსის დიაქრონიული ცვლილებანი საკმაოდ დიდი საკითხია და მოითხოვს სერიოზულ მიდგომას. ჩვენ მრავალი მკვლევრის კვალდაკვალ აღვნიშნავთ, რომ ქცევის გრამატიკულმა კატეგორიამ განვითარების დიდი გზა განვლო. იგი უკავშირდება პირის, კლასის, ბრუნვის, გვარის, კაუზაციის, უღლებისა და სხვა მრავალ ზმნურ კატეგორიას. საერთოდ, ძალიან ჭირს და არც მიზანშეწონილი არ არის რომელიმე ერთი კატეგორიის დამოუკიდებელი ანალიზი. ზმნური მორფო-სემანტიკური კატეგორიები ურთიერთმომქმედებენ და საერთო ზმნური სისტემის მთლიანობას ქმნიან. ეს სურათი ნათლად ჩანს ე. წ. დეიქტიური ხმოვნების ანალიზისას.

რაც შეეხება ზმნის ხმოვანპრეფიქსულ ფორმათა წარმოებას, ა. შანიძე თვლიდა, რომ პრეფიქსული ვნებითი ქცევანი ფორმებიდან მომდინარეობდა. საერთოდ, პრეფიქსულ ვნებითებში, ცხადია, ხდება ერთ რეფერენტში ფუნქციათა შერწყმა. გვარისა და ქცევის მარკერთა ერთნაირი რანგობრივი პოზიცია ართულებს საბოლოო კონკრეტული პასუხის მოძებნას ი-ე ოპოზიციის შესახებ. თანამედროვე ქართულში სახეზეა პოლიფუნქციური ზმნური ხმოვანი პრეფიქსები.

ქართული ზმნის ხმოვანი პრეფიქსები, ჩვენი აზრით, პოლიპერსონალური აფიქსებია, რომლებიც სინთეზური სემანტიკით ხასიათდება და კონკრეტულ ზმნურ ფორმაში რომელიმე ერთ ან ორ ფუნქციას წამოწევს წინ. ეს ფაქტი (სხვა ამ ტიპის მოვლენებთან ერთად) განაცალკევებს ქართულ ენას წმინდა აგლუტინაციური ტიპის ენებისაგან.

ნაშრომში განხილულია სამპირიანი ზმნის უღლებისას მესამე სე-

რის ფორმებში გაჩენილი ე. წ. უფუნქციო ქცევის ნიშნები. ქცევა ძირითადად არის ირიბი ობიექტის კატეგორია და მესამე სერიაში, როდესაც ეს ირიბი ობიექტი გადის ზმნიდან, ის ცდილობს დესტინაციური შინაარსის შენარჩუნებას და ირჩევს „თვის“- თანდებულის ფორმებს, რომელთაც აქვთ დანიშნულებითობის შინაარსი. მაინც რჩება გარკვეული უკმარისობის შეგრძნება დესტინაციის გამოხატვის თვალსაზრისით და ამის შესავსებად პარალელურად ჩნდება ქცევის ნიშნები. ფაქტობრივად, შენარჩუნებულია სემანტიკა და შეცვლილია მორფოლოგია. მესამე სერიაში დესტინაციის სემანტიკა სხვა მორფოლოგიურ ფორმებს მიმართავს, მაგრამ იგი მთლიანად არ გადის ზმნიდან და იქ ტოვებს თავის რეფერენტებს, რომლებიც შესაბამისი ირიბი ობიექტის გარეშე უკვე უფუნქციოდ მოიაზრება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, **საერთოდ, ენამ არ იცის უფუნქციო ნიშანი — ყველა ნიშანს სინქრონულად ან დიაქრონულად მაინც რომელიმე კონკრეტული სემანტიკური დატვირთვა გააჩნია.** რამდენადაც, მორფემა არის ორპლანიანი ერთეული ანუ მორფო-სემანტიკური რეფერენტი. იქ, სადაც შინაარსი იკარგება ან ვიწროვდება, ვსაუბრობთ უფუნქციო მორფემებზე. ცნობილია, რომ სიტყვის სემანტიკური ველი მოძრავია. ის შეიძლება სხვადასხვაგვარად შეიცვალოს. ეს ეხება არა მარტო ძირეულ მორფემებს. ასევეა სხვა დანარჩენ მორფემათა სემანტიკური ველიც. თუმცა, ბუნებრივია, რომ ამ მორფემათა ცვლილებების სიჩქარის კოეფიციენტი გაცილებით დაბალია.

ცნობილია, რომ მესამე სერია სტატიკური ზმნის ფორმებიდან ჩამოყალიბდა და, შესაბამისად, ისტორიული ანალიზის სურათიც საკმაოდ განსხვავებულია. დღეს მესამე სერიის სამპირიანი ზმნის ფორმები პარადიგმატიკაშიც და სინტაგმატიკაშიც უკვე სხვა სიბრტყეზე გადატანილი. ესენია პირველ-მეორე სერიის ფორმათა საოპოზიციო ფორმები და თავისი დიაქრონიული სემანტიკის მიუხედავად, დღეს ისინი დაშორებულია სტატიკურობის შინაარსს და მათ ახლებური სემანტიკა აქვთ შექმნილი. დიაქრონიული სურათი კი ასეთია: სტატიკური ფორმიდან ისტორიული ირიბი ობიექტი გახდა სუბიექტი და სუბიექტი კი ობიექტად მოგვევლინა — ამიტომ გასაგებია, თუ რატომაც გვაქვს ინვერსია. ამ ფორმათა ახლებური გააზრებისას შემოდის ახალი ირიბი ობიექტი სულ სხვა, ახალი აქტანტი, რომელიც კანონიერი და ერთადერთი ირიბი ობიექტია პირველ-მეორე სერიაში. მესამე სერიაში კი ზმნაში არის მხოლოდ ისტორიული ირიბი

ობიექტი, რომელიც ბრუნვასაც კი ინარჩუნებს. იგი ობიექტის ნიშნებითაა ასახული ზმნაშიც და სახელშიც (თუმცა, სუბიექტადაა ქცეული). მეორე ირიბი ობიექტი ამ მესამე სერიაში ზმნამ უკვე აღარ მიიღო და გარეთ გაიტანა. მივიღეთ ე. წ. უბრალო დამატება, რომელიც რიგ ენებში პრედიკატის არგუმენტიცაა.

საერთოდ, ქართულ ზმნას იშვიათ შემთხვევებში შეუძლია ორი ირიბი ობიექტის ქონა (**მიჭმე, მისმე** ფორმებში — მე და მას ორი ირიბია); მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქ სხვა — კაუზატიური ტიპის ურთიერთობაა ასახული და თანაც ზმნაში ასახვის უპირატესობა მხოლოდ ერთ მათგანს აქვს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ახალი ირიბი ობიექტის გარეშეც (რომელიც ზმნაში ვეღარ ფორმდება) მესამე სერიის ფორმებში უკვე გვაქვს ქცევის ნიშანი, რომელსაც თავისი ფუნქცია ჰქონდა პირველად სტატიკურ ფორმაში; ამიტომ შესაძლოა ამ ქცევის ნიშანთა განხილვა დამატებითი დესტინატორის, ანუ ამ ახალი ირიბი ობიექტის გარეშე. მაგრამ ეს არ იქნება მართებული, რადგანაც ენა პოლისემიაზეც კი მიდის ახალ ფორმათა შესაქმნელად და, ცხადია, რამდენად შეუსაბამო იქნებოდა ცალმხრივი დიაქრონიული ანალიზი. ახალი ფორმა ახალი სემანტიკით უნდა გავიაზროთ.

თავის მხრივ, სტატიკური ზმნები განასხვავებენ ქცევას — გვაქვს: წერია — უწერია — აწერია. რადგანაც ირიბი ობიექტის სემანტიკა იყო ხაზგასასმელი, ამიტომაც მესამე სერიის ფორმათა წარმოებამ შესაბამისი რეფერენცირებული, დადებითი ანუ სასხვისო ქცევისნიშნის ფორმები ამოირჩია სტატიკურ ზმნათა არსებული ვარიანტებიდან. სინქრონიულ დონეზე კი ეს ნიშნები უფუნქციო რეფერენტებად გაიზარება, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ, ირიბი ობიექტი ზმნაში აღარ არის და სასხვისო ქცევა კი ირიბი ობიექტის გარეშე ვერ იქნება.

ქცევა არის რელატიური კატეგორია. რეფლექსივი გახლავთ ბინარული რელაცია. ჩვენი აზრით, ქართულში (ისევე როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში) თავდაპირველად მხოლოდ ქცევიანი და უქცეო ფორმები განირჩეოდა და ვინისა და მანის რიგის მონო-პრეფიქსულმა წარმოებამ და ქართველური ზმნის პრეფიქსურმა მონოპერსონალიზმმა შესაძლებელი გახდა სათავისო ქცევის საოპოზიციო ცალად ჩამოყალიბება. რეფლექსივის კატეგორია ქცევას შეერწყა. თუმცა უნდა ითქვას, რომ რეფლექსივი არის ცალკე მდგომი გრამატიკუ-

ლი კატეგორია, რომელსაც შესაბამისი სინტაქსური და მორფო-სემანტიკური მოდელები გააჩნია.

რეფლექსივი, როგორც სემანტიკური კატეგორია, კარგავს გრამატიკული მარკირების პოტენციას და ქართველური ზმნის მორფოლოგიაში ფორმდება, როგორც ქცევის კერძო შემთხვევა — ამით იქმნება ქცევის სამგანზომილებიანი მოდელი.

ზმნაში ასახულმა რეფლექსივმა აღარ დაიჭირვა გამორჩეული რეფერენცირება მორფოლოგიის სხვა სიბრტყეზე და თვის-თანდებულისანი, ანუ ზმნის გარეთ მოქცეული ქცევის პარალელურად იგი გვაძლევს თავის აღწერით სინტაქსურ ვარიანტს თვის-თანდებულისანი ფორმებით. გავიხსენოთ, რომ თვის თანდებულის პირველადი ფუნქცია რეფლექსურობაშია, რამდენადაც იგი მომდინარეობს ფორმიდან „თავი“. უნდა ითქვას, რომ მრავალი სხვადასხვა ჯგუფის ენებისათვის „თავი“ არის რეფლექსივის წარმოების საერთო გზა. ასეთი სქემა მუშაობს ბასკურშიც — სახელი ან ნაცვალსახელი დატივში + თავი დატივში, მაგალითად, **neru buruari** — ჩვენთვის, **ere buruari** — თავისთვის. სინტაქსურ რეფლექსივში ხშირია ფორმა „თავისთვის“, რაც რეფლექსიური ფორმანტების ერთგვარი გაორმაგებაა. ასეთი ტიპის გაორმაგება კი ამ კატეგორიას დასჭირდა ქცევის სინტაქსური ვარიანტისაგან გასამიჯნად.

საინტერესო სისტემას აყალიბებს ქცევისა და რეფლექსივის ფორმათა მორფო-სინტაქსური დისტრიბუცია. სადაც გვაქვს ზმნური სასხვისო ქცევის ფორმები, იქ დაუშვებელია თვის-თანდებულისანი ფორმები, მაგალითად, **მიკეთებს ჩემთვის** — აკრძალვაა. მაშინ, როდესაც ანალოგიურ შემთხვევაში დასაშვებია სათავისო ქცევის დროს რეფლექსიური თვის თანდებულის გამოყენებაც — **ვიკეთებ ჩემთვის**; ე. ი. რეფლექსივი, როგორც კატეგორია, ქცევასთან შედარებით უფრო კარგად იტანს ორმაგ გამოხატვას. ეს მოვლენა გარკვეული ტიპის სხვაობას ქმნის რეფლექსივისა და ქცევას შორის.

პოლისემიური ფორმა „დამიყენა“ (მან მე) როდესაც სათავისო ქცევას აღნიშნავს პირცვალეზადი პირდაპირი ობიექტით, კარგავს რეფლექსურობის შინაარსს. ყველაზე მკაფიოდ რეფლექსურობა ისეთ სათავისო ქცევის ფორმებშია გამოხატული და სემანტიკურად შენარჩუნებული, სადაც ირიბი ობიექტი სუბიექტშივე მოიაზრება და, შესაძლოა, დამატებით გადმოიცეს ფორმით „თავი“, მაგალითად: **იხატავს თავს, ილამაზებს თავს** და ა. შ.

განსაკუთრებულ მიდგომას ითხოვს რეფლექსივი კაუზაციის პირობებში, როდესაც პირდაპირი ობიექტი პირველი, ან მეორე პირია — შდრ. **დაავიწყა მან მას ის**, მაგრამ **დაავიწყა მან მას ჩემი თავი**, დაავიწყა მან მას შენი თავი, დაავიწყა მან შენ ჩემი თავი, დავიწყა მან მე შენი თავი. პირველი და მეორე პირის პირდაპირი ობიექტი რეფლექსური ფორმით შემოდის ზმნაში მესამე პირის ფორმით დღევანდელ სალიტერატურო ქართულში და ამას სხვა ალტერნატივა არა აქვს. ეს არის ის იშვიათი მოვლენა, როდესაც პირველი და მეორე პირები მესამისაგან განსხვავებულად რეფერენცირდებიან. (ეს კლასის კატეგორიის გამოვლინების შემთხვევაა.) მესამე პირს აქვს არჩევანი — მოგვცეს ზმნური შესაბამისი რეფერენცირება - დაავიწყა მან მას ის, ან მიბაძოს პირველსა და მეორეს და შექმნას ხელოვნური, მაგრამ სიმეტრიული პარადიგმა — დაავიწყა მან მას მისი თავი. თუმცა აქ სხვა ტიპის რეფლექსური სემანტიკაც იკითხება.

TAMAR MAKHARBLIDZE

Some Peculiarities of the Category of Version

Summary

The paper examines some peculiarities of the category of version in current Georgian. The category in question is characterized by a regular morpho-semantic system. The paper maintains that some peculiarities of the verbal category of version are of systematic nature. The paper focuses on one of the universals - verbal destination which is typical of only polypersonal verbs. Some models of verbal destination are also analysed.

განანა მიჰაძე

**მშენებლობის აღნიშვნის ლექსიკა
სალიტერატურო ძეგლებში**

ენის განვითარების პროცესში სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობის თავდაპირველი მნიშვნელობა უცვლელი დარჩა და დასაბამიდან დღემდე ერთი ფუნქციით ემსახურება ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების ინტერესებს. ძირითადი ნაწილი მშენებლობის აღნიშვნის სიტყვებისა ჩვენამდე უცვლელი სახით მოვიდა, რაშიც ჩვენ მიერ განხილული ლექსიკონების მასალაც გვარწმუნებს.

მაგალითად: „შენიერება“ — „სიკეთე, სილამაზე“ (აბულაძე, 1973).

„შენიერება პირისა მისისა წარწყმდა“ იაკ. 1,11;

„ცეცხლმან შეჭამა შენიერება“ უდაბნოსადა“ იოვ. 1, 20;

„შენიერება სიკეთისა ჩემისა დაბნელა“ შუშ. XVI 34;

„ყოველი იგი უშუერი შეცვალს შენიერებად“ მ. სწ. 218, 1;

განშენება — „სილამაზე, განშენიერება, შემკობა“ (აბულაძე, 1973)

„რომელი ძიებულ არს... განშენებისათვის ბუნებისა, მრავალ არს“ გრ. ნოს. კაც. აგერ 222, 2;

„შეუძღვეთ განშენებად აპოლონისი ფლკტ. 151, 7;

„უკუეთუ უყუარდეს განშენებად თავი თვისი სამოსლითა, ესე სირცხულ არს მისა“ მ.სწ. 192, 19;

შენიერი — „კეთილი, პატიოსანი, ლამაზი, მშენიერი“ (აბულაძე, 1973).

„შენიერი იყო ფრიად“ 0, დაბ. 12, 14;

„მიპირდე თუალი შენი დედაკაცისაგან შენიერისა“ 0, ზირ. 9,8;

„მოვიდა იოსებ არიმათიელი, შენიერი“ (პატიოსანი) მზრახვალი“ მრ. 14, 43;

„გამოჩენილ და შენიერი არს დღესასწაული ესე“ ოქრ. მარხ. და იოან. 100, 5;

„ტაძრებსა შენიერებსა იმენებდე“ — „სახლი კეთილი აღაშენე“ შჯ., 8, 12;

„რომელთა ჰნებას სამოსლითა შენიერითა სლვადა“ მრ. 12, 38;

სიშენიერი — მშენიერება

„სიშენიერი ხატისა და ბრწყინვალეადა სამოსელთა ჩუენთად ესრევე სახედ შერაცხილ არს წინამე მათსა“ ბალავრ. 51, 10-12.

განმაშენებელი — დამამშენებელი (სარჯველაძე, 1995)

„არა სხუებრ განბჭო ცხოვრებადა კაცისადა... დასაბამითგან დამბადებელმან კაცისამან და თვისთა ხატითა განმაშენებელმან დმერთმან“ 162, მეტაფრასი (XI ს.) 151,30, 33.

„თვითოული თვითოულსა ნაწილსა გუამისასა განმაშენებულ არს“ 199 წმიდათა ცხოვრებანი (XII-XIII ს.), 102;

სულხან-საბა კი მშენიერს ასე განმარტავს: „შენიერი-ყოვლის კეთილით შეფერებული“.

უშენიერესი — ულამაზესი (ორბელიანი, 1993)

„არს იგი უშენიერი მზისა“ I, სიბრძ. სოლ. 7, 29.

ტურფა — ლამაზი, მშენიერი; უცხო იშვიათი რამ (აბულაძე, 1973)

„წალკოტსა ყოვლად ტურფასა ცხედარი დაღვს რჩეული მ. ცხ. 127“;

„ნაშენები ტურფად“ მ. ცხ. 79

„დიდნი საფარენი და მრავალნი ტურფანი შეწირნეს დიდსა ლავრასა“ ი.- ე.22,11;

ტურფა — უცხო რამ ლამაზი (ორბელიანი, 1993)

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ასეა იგი განმარტებული:

ტურფა-ტურფასი 1. ძალიან ლამაზი, მოხდენილი, კოხტა ასული;

2. საყვარელი ადამიანი (ჩვეულებრივ იხმარება მიმართვის ფორმით). ჩემო ტურფა! (ქეგლ)

ლექსიკა ყველაზე მოქნილი და ცვალებადი ნაწილია ენისა. განუწყვეტლივ ივსება ახალი მასალით, საგამოთქმო ერთეულებით. საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული პროგრესი ქმნის ენის ლექსიკის გამდიდრების მყარ ნიადაგს. ადამიანის ცნობიერებაში ხდება ცვლილება აზრებისა თუ შეხედულებებისა, შედეგის სახით კი იგი ლექსიკაში აისახება. გარკვეული ცვლილება განიცადა სილამაზის

ლექსიკამაც. ჩვენ მიერ წარმოდგენილი მაგალითებით დასტურდება, რომ სიტყვებმა, რომლებიც სილამაზის აღმნიშვნელი იყო ძველად, ახლა არა თუ შეიცვალა მნიშვნელობა, არამედ საერთოდ არ გვხვდება სამწიგნობრო თუ სასაუბრო ქართულში.

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ მდიდარ მასალას მოიცავს სილამაზის აღმნიშვნელი ლექსიკის თვალსაზრისით:

პირშუენიერი — ლამაზი (აბულაძე, 1973)

„რამეთუ დედაკაცი პირშუენიერი ხარ“ 0, დაბ. 12, 11;

„მოჰგუარეს მას ცოლად დედაკაცი ვინმე პირშუენიერი“ ლიმ. 52, 26.

ხატშუენიერი — მშვენიერი, ლამაზი (აბულაძე, 1973)

„ქმნულკეთილი იგი და ხატშუენიერი და უშუერი იგი ერთსახედ აჩუენებდენ, რამეთუ ყოველივე მატლ და წუთხ და წალა იქმნას“ მ. სწ. 225, 21;

სახილველება — ქმნულკეთილობა, სილამაზე (აბულაძე, 1973)

„განსრულებულ იყო შუენიერებითა და სახილველებითა“ 0, - „განსრულებულ იყავ შუენიერებასა შინა, ქმნულკეთილობასა შინა“ ეზეკ. 16, 14;

ქმნულკეთილი — კეთილი, კეთილი ქმნულებითა, ლამაზი, მშვენიერი (აბულაძე, 1973).

„ისუა მან თავისა თვისისა ცოლი... ქმნულკეთილი ფრიად“ 1, - ... „კეთილი ფრიად“ 0 დან 13, 2;

განკეთება — განდიდება, გალამაზება (აბულაძე, 1973).

„არცალა მათსა ვსძაგებთ და ჩუენსა მას განვაკეთებთ“ კ.იერ. - აღგ. 163, 2;

„სოფელი იგი უშუერი განაშუენა და განაკეთა“ 11, 36.

ილია აბულაძის ლექსიკონში სიტყვას „კეთილი“ რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია: „ქველი“, „უმჯობესი“, „სულნელი“, „კარგი“; „საპატიო“, „მხნე“, „საამო“, „ნანარი“, მაგრამ იგი ამასთანავე „შუენირსაც“ აღნიშნავს (აბულაძე, 1973).

„სუსანა იყო... კეთილ ხილვითა“ 1, - „სუსანა იყო... ხილვითა შუენიერ“ 0, დან, 13, 31;

„იყო კეთილ ხილვითა და შუენიერ პირითა“ 0, დაბ. 29, 17;

„ხილვასა მას კეთილისასა მიკრებოდა სიმრავლჳ დიდი“ რიფს. 167, 35;

„სიკეთე მცირითა საღმობითა დაჰნეს“ ფლკტ. 140, 2;

ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც“ დასტურდება რამდენიმე განსხვავებული ფორმა:

პირ-კეკლუცი — სახემშვენიერია (სარჯველაძე, 1995)

„კაცი ტან-წყლიანი იყოს და პირ-კეკლუცი“ ეტლ. და შვდთა მნათობთავის, ასტრ. თხზულება, XII ს., 3, 25;

ფერშუენიერი — ლამაზი (სარჯველაძე, 1995)

„მათ შორის მყოფთა სულნელყუავილთა და ფერშუენიერთაჲ საანჯმნოყოთ“ ასკეტ. და წმიდ. ცხოვრ. 237, 26-29.

ხორც-შუენიერი — ლამაზი (სარჯველაძე, 1995).

„კაცი იყოს ყოვლისა საქმოსა წინამხედველი, ვორც-შუენიერი“ ეტლ. 1, 18-19.

სახე-კეკლუცი — ლამაზი (სარჯველაძე, 1995).

„კაცი სახე-კეკლუცი იყოს“ ეტლ. 3, 43;

უვითარებოჲ — შეუდარებელია (სარჯველაძე, 1995).

„რომელი-იგი უვითარებოჲ არს თვისთა აგებულებითა“ ექუს. დღ. 10, 17-18;

შემკობილებითი — მშვენიერია (სარჯველაძე, 1995).

„საბურველისა ოდენ მოქუნე ვართ არა თითო ფერობისაცა და მისმიერისა შემკობილობისა“ ასკეტ. და წმიდ. ცხოვრ. 2-56.

აღმოფოფინებაჲ — კეკლუცობა (სარჯველაძე, 1995).

„კაკაჩებაჲ ხმითა და აღმოფოფინებაჲ გუამითა არა დაწყნარებულისა სულისაჲ არს არცა გამოცდილსა გულისაჲ“ ასკეტ. და წმიდ. ცხოვრ. XIII ს., 16-20;

გულებაჲ — შემკობა, გალამაზება (სარჯველაძე, 1995).

გულებაჲ პირთა“ წარმპარველ ექმნების მნებებელთა“ ასკ. და წმიდ. ცხოვრ. XIII ს., 225.

სულხან-საბასთან სილამაზის აღმნიშვნელ ლექსიკად გვევლინება შემდეგი სიტყვები:

კეკლუცი — არს სახე უკლებელად გაწყობილი; კეკლუცი არს ღიად ლამაზი;

ზ. სარჯველაძის ლექსიკონში იგი შემდეგი ფორმით გვხვდება:

პირ-კეკლუცი — სახემშვენიერი (სარჯველაძე, 1995).

„კაცი ტან-წყლიანი იყოს და პირ-კეკლუცი“ ეტლ. და შვდთა მნათობ, ასტრ. თხზ. XII ს., 9, 25.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში კეკლუცი განიმარტება ასე:

კეკლუცი — კობტა, ლამაზი, შნოიანი (ითქმის ქალზე).
კოპწია — მომცრო და მოვდომილი
ამ სიტყვას მნიშვნელობა არ უცვლია. იგი დღესაც იმავე აზრობრივი დატვირთვით გვხვდება, როგორც სულხან-საბას აქვს გამოყენებული:
კოპწია — მომცრო და მოხდენილი: კობტა, კეკლუცი. კოპწია ქალი, კოპწია სახლი, კოპწია სოფელი.
სულხან-საბას ლექსიკონში არის სიტყვა — მწყაზარი:
მწყაზარი — სილამაზეზად მეტი, მეორეგან კი სიკეთეზედ მეტი, სიკეთე ვარდამეტებული.
ეს სიტყვა ზ. სარჯველაძის ლექსიკონში მცირეოდენი ფორმოებრივი ცვლილებებით აღინიშნება:
პირ-მწყაზარი — სახემშვენიერი (სარჯველაძე, 1995).
„იყოს... პირ-მწყაზარი ეტლ. 2,19.
სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული ამ სიტყვას არ იყენებს. სულხან-საბა ლამაზის აღსანიშნავად იყენებს სიტყვას „საწნიერი“
საწნიერი — რომელსა ყოველი სახე გაწყობილი ჰქონდეს და საქმითაც კეთილ-მოქმედი იყოს:
სხვაგან კი ასე განმარტავს:
საწნიერი — კეთილ-სახნავი, კეთილ სახისა, შვენიერი.
ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „სახნიერს“ მრავალი მნიშვნელობა ეძებნება, მ.შ. ერთია ლამაზი:
სახნიერი — წყნარი, ნატიფი, ლამაზი, კეთილი, კეთილმოქმედი (აბულაძე, 1973).
„დღედაცაცისა სახნიერისად ნეტარ არს ქმარი მისი“ 0, ზირ, 26,1:
„ნუ განეშოვრები დღედაცსა, ბრძენსა და სახნიერსა“ 0, ზირ, 7,21.
„სახნიერ არიან ჰუმმარითად და უშურველ“ ვარ. 810:
„ესეა ცოლად ქალი სახნიერი“ მ.ცხ. 158.
სიტყვა ჰაეროვანი გვხვდება როგორც სულხან-საბასთან, ისე ილია აბულაძესთან.
ჰაეროვანი რომელი ხატკეთილობით მოვდომილი იყოს
ჰაეროვანი — ბრწყინვალე, მშვენიერი
„რაბამადლა ჰაეროვან და დიდებულ იყავ რაიმე“ 0, II მფ., 6, 20;
„თუალი [არს] დაბადებულთა შორის ჰაეროვან“ ბ. კეს. - ექუს. დღ. 78,19:

„შემოვიდა სხუად კაცი ჰაეროვანი ხილვითა და შუენიერი ხატი-თა“ 2251, 252.
„ჩუენნეს მათ ჰაეროვანი ხატითა, ჰაეროვნითა, მით ხილვითა და-ემტკიცოს აღდგომაჲ იგი“ 11, 109.
სულხან-საბასთან გვხვდება მშვენიერების გამომხატველი სიტყვები, რომლებიც სხვაგან არსად არ დადასტურდა: კეკელა და სანდომი.
კეკელა — სილამაზისა და **მოვდომის** მცდელი (ორბელიანი, 1993);
მეორეგან კი ასე განმარტავს:
კეკელა — ლამაზობის მოყვარე; კეთილსავით
სანდომი — კეკლუცი იყოს თუ დუხჭირი, მაშინაც კაცს სანახავად იამოს;
(კეკლუცი) იყოს თუ დუხჭირი (...) და საქმითაც კეთილმოქმედი იყოს;
ლამაზი იყოს თუ დუხჭირი, კაცს მაშინაც სანახავად იამოს;
სიტყვა კობტა, სულხან-საბასთან არ არის გამოყენებული სილამაზის აღსანიშნავად, თანამედროვე ქართულში კი იგი სწორედ ასეთი მნიშვნელობით გვხვდება. ასე რომ, იგი შეიძლება მნიშვნელობა ცვლილ სიტყვად ჩავთვალოთ
კობტა — შორით ამპარტავანსა ჰგვანდეს.
კობტა — სასიამოვნო გარეგნობისა, მოხდენილი, ლამაზი (ქეგლი).
„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ნიმუშებზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე სამწიგნობრო ქართული იცნობს ძველი ქართულისაგან განსხვავებულ რამდენიმე სიტყვას:
ეშხიანი — ტურფა, მომხიბლავი, მიმზიდველი, სანდომიანი (ქეგლი).
წარმტაცი — აღტაცებაში მომყვანი, მომხიბლავი (ქეგლი).
ლაზათიანი — ლამაზი, შნოიანი, მოხდენილი (ქეგლი).
მოხდენილი — კობტა, ლამაზი, შნოიანი, ლაზათიანი (ქეგლი).
მომხიბვლედი, მომხიბლავი — ვინც, რაც მოხიბლავს, ძალიან ლამაზი, წარმტაცი, მომჯადოებელი, მიმზიდველი (ქეგლი).
მიმზიდველი (ქეგლი) რაც იზიდავს, მომხიბლავი, წარმტაცი, მიმზიდველი სანახაობა, მიმზიდველი გარეგნობა.
ნარნარი (ქეგლი) — 1. მეტისმეტად ნაზი, ტურფა
2. ტკბილი, სასიამოვნო, ნარნარი.

ნატიფი (ქეგლი) — ლამაზად გამოკვეთილი, მშვენიერი, მოხდენილი, ფაქიზი;

არსებობს რიგი სიტყვებისა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ქალთან მიმართებაში გამოიყენება:

მზეთუნახავი — იტყვიან არაჩვეულებრივ ლამაზ ქალზე.

მზექალი — იტყვიან ძალიან ლამაზ ქალზე.

პირიმზე (პირიმზისა) — ლამაზი, მშვენიერი სახის პატრონი (უპირატესად ქალი).

პირმზიანი — მშვენიერი სახისა, ლამაზი, პირმზიანი ქალი.

ქალთამზე (ქალთამზისა) — ლამაზი ქალის ეპითეტია.

პირმთვარე სავსე, ლამაზი სახის მქონე, პირბადრი.

პირმშვენიერი — ლამაზი, მშვენიერი სახისა.

ლექსიკაში დამკვიდრებულია ჭაბუკის სილამაზის აღმნიშვნელი სიტყვები:

მზეჭაბუკი — იტყვიან მშვენიერ ჭაბუკზე [5].

მალხაზი — სიცოცხლით სავსე, ცქვიტი და კოხტა, ლამაზი, მალხაზი ბიჭი.

ეს სიტყვები კომპოზიტებია, ანუ რთული სიტყვები, რომლებიც ორი სიტყვის შეერთებით არიან მიღებული და ერთ ცნებას გამოხატავენ. ასეთი წარმოება ენაში აჩენს ახალ სიტყვებს. ისინი იბადებიან ყოველდღიურ საუბარში, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მაშინვე დავიწყებას ეძლევა, რადგან ძნელია ყველა მათგანის ზეპირად დახსომება. ახალი სიტყვების მხოლოდ ის ნაწილი განაგრძობს ხალხში სიცოცხლეს, რომელიც განმტკიცდება ადვილად დასახსომებელ გამოთქმებში, ჩვეულებრივ ურთიერთსაუბარში, ხალხურ ლექსებში, ანდა-ზა-გამო-ცანებში, ზღაპრებში, თქმულება-გადმოცემებში, ან წერილობითს ლიტერატურაში, რთული სიტყვა ენის ლექსიკურ მარაგში გზას იკვლევს და მკვიდრდება ზეპირი და მწიგნობრობის გზით. ორივე გზა ტრადიციული, პროდუქტიული და მისაღებია.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ არის საინტერესო კუთხური სიტყვა სილამაზის აღმნიშვნელი:

კარგუნელა (კარგუნელასი), კარგუნელა (კარგუნსელასი) (კუთხ.) - კოხტა, მოზღენილი, ლამაზი (ქეგლი).

არის გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და სილამაზეს გამოხატავს. გადატანითი სიტყვანმარების არსი ისაა, რომ ახალი ობიექტის აღნიშვნისას სიტყ-

ვის პირდაპირი მნიშვნელობით ხმარებაც ცოცხალია ენობრივ კოლექტივში, ე.ი. ყოველი გადატანითი ხმარება მოტივირებულია. მას ზურგს უმაგრებს სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა, რომელიც ასე უშუალოდ ვერ აიხსნება. მისი „მოტივი“ დღეს ხელშესახებად არ ჩანს.

ყოველი სიტყვა, რომელიც განზოგადებას წარმოადგენს, ამავე დროს მეტაფორაცაა. მეტაფორიზება ერთეულ სიტყვათა რაღაც სპეციფიკური თვისება როდია, იგი ყოველი სიტყვის ზოგად თვისებად უნდა მივიჩნიოთ. მეტაფორულობა სიტყვის სემანტიკური შინა-სამყაროს ბუნებრივი წარმოსახვაა:

დამატყვევებელი — 1. ვინც, რაც დაატყვევეს (ქეგლი) 2. გადატ. მომხიბლავი, მომჭადოებელი.

ანგელოზი [ბერძნ.] - 1. უსხეულო არსება, რომელიც ღვთის მოციქულად ჰყავდათ წარმოდგენილი.

2. გადატ. იტყვიან ლამაზ, ნაზ, წყნარ ქალზე ან ბავშვზე.

ანგელოზებრივი - 1. ანგელოზის მსგავსი.

2. გადატ. უმანკო, სათნო, ნაზი, ლამაზი (ქეგლი).

ხიბლი [სპარს.] - ჯადო (ქეგლი).

თვალისმომჭრელი - 1. ბრწყინვალე, მოელვარე (ქეგლი).

2. გადატ. ძალიან ლამაზი, წარმტაცი.

გადატანითი მნიშვნელობით ნახმარ სიტყვებთან უნდა განვიხილოთ ფრაზეოლოგიური შესიტყვებები, რომლებიც საერთო ჯამში სილამაზის აღმნიშვნელ ლექსიკას გვაძლევენ. აქ სიტყვები ნახმარია გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობით, ამიტომ მისი დაშლა და მასში შემავალ სიტყვათა სემანტიკის ცალ-ცალკე გაგება შეუძლებელია. იგი განუყოფელია და დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს. მაგალითად:

ვარსკვლავებს ეთამაშება (საუბ.) (ქეგლი) — იტყვიან ძალიან ლამაზ ვინმეზე.

ცით მოწყვეტილი ვარსკვლავი (ქეგლი) — იტყვიან ძალიან ლამაზ ადამიანზე.

თვალი ზედ დარჩება (ქეგლი) — ძალიან მოეწონება.

თვალს მოსტაცებს (ქეგლი) — უნებურად ვისიმე მშერას მიიპყრობს (სილამაზით).

თვალს მოჭრის — 1. დანახვის უნარს დაუკარგავს, თავბრუს დაასხამს

2. გადატან. მოხიბლავს.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სილამაზის აღმნიშვნელი რამდენიმე სიტყვა გვხვდება, რომელიც მომდინარეობს ფორმისაგან „თვალი“.

თვალადი — კარგი შესახედაობისა, მოხდენილი, ლამაზი (ქეგლი).

თვალტანადი — მოხდენილი, წარმოსადეგი (ქეგლი).

თვალწარმტაცი — მეტად სასიამოვნო შესახედავი, ძალიან ლამაზი, მომხიბლავი (ქეგლი).

თვალისმომჭრელი — 1. ბრწყინვალე, მოელვარე

2. გადატ. ძალიან ლამაზი, წარმტაცი.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მაგალითები მშვენიერების აღმნიშვნელი სიტყვებისა შეიძლება დავაჯგუფოთ სამ რიგად:

1. სიტყვები, რომლებიც უცვლელი სახით მოვიდა დღემდე. მაგალითად: მშვენიერი, უმშვენიერესი, ტურფა და ა.შ.

2. სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ძველი ქართულისთვისაა დამახასიათებელი და მას ახალი ქართული არ იყენებს. მაგალითად: ხატ-შუენიერი, სახილველება, ქმნულკეთილი, განკეთება, ფერშუენიერი, შემკობილებითი, მწყაზარი, **სახნიერი**, აღმოფოფინება “, გულება “, სანდომი ა ა. შ.

3. სიტყვები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე ქართულში გვხვდება. მაგალითად: ემხიანი, წარმტაცი, ლაზათიანი, მოხდენილი, ნარნარი და ა.შ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ენა იცვლება მოხმარებაში. „ენის გამოყენება აუცილებლად იწვევს მის ცვლას“ (ფოხხუა, 1974). ყველა სიახლე, ენაში თავდაპირველად სპორადულად რომ იჩენს თავს და შემდეგ კი გაბატონებული სახით გვევლინება, ჩნდება და ვრცელდება ენის მოხმარებისას, ენის ფუნქციონირებას (ლონტი, 1988).

ნებისმიერ ენაში ყველაზე აქტიურად იცვლება მისი ლექსიკა. ლექსიკის ცვალებადობა კი იმაზე მიუთითებს, რომ ენის სახით ჩვენ წინაშეა დინამიკური, განვითარებადი, ცვლადი და ამავდროულად მოქნილი სისტემა.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.

ორბელიანი, 1993 — ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., ტ. I, 1991, ტ. II, 1993.

სარჯველაძე, 1995 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ტბ., 1995.

ფოხხუა, 1974 — ბ. ფოხხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

ქეგლი, 1950-1972 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბ., 1950 -1972.

ლონტი, 1988 — ალ. ლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988.

MANANA MIKADZE

Lexical Units Denoting "Beauty" in Standard Georgian

Summary

The paper presents a diachronic analysis of Georgian lexical units denoting "beauty". The study is based on dictionary data; the dictionaries of Old Georgian (compiled by Sulkhan-Saba, I. Abuladze, Z. Sarjveladze) as well as Georgian Monolingual Dictionary (in 8 volumes) have been used. It has been concluded that:

- Most of the lexical units denoting "Beauty" have remained unchanged
- A certain amount of words were used in Old Georgian only.
- New lexical units have been coined in Current Georgian.

თონა ნიჟარაძე

**ორიენტაციული მეტაფორები მე-20 საუკუნის
II ნახევრის ბერძენულენოვან მხატვრულ პროზაში**

ორიენტაციული მეტაფორები მე-20 საუკუნის II ნახევრის გერმანულენოვან პროზაში ყველაზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი — 4,2%-ით. ასეთი სახის მეტაფორები დაკავშირებულია ორიენტაციებთან სივრცეში. მეტაფორების კოგნიტიური თეორიის მიხედვით, ისეთი ცნებები, როგორცაა ბედნიერება, ჯამრთელობა, სიცოცხლე, ძალა და ძალაუფლება, დიდი რაოდენობა, სიკეთე, რაციონალური, ცნობიერი და სხვა, ენათა უმრავლესობაში გაცნობიერებულია მეტაფორით — „ზევით“, მაშინ, როცა შესაბამისი საპირისპირო მნიშვნელობის ცნებები: — უბედურება, ავადმყოფობა, სიკვდილი, მორჩილება, ნაკლები რაოდენობა, ბოროტება, მანკი, არაცნობიერი გადმოიცემა მეტაფორით „ქვევით“. [ლაკოფი, ჯონსონი, 1990, 387].

სივრცეში ვერტიკალურ ორიენტაციასთან დაკავშირებულია „ზევით-ქვევით“ დაპირისპირებაზე დაფუძნებული მეტაფორები. ცნება „ზევით“ ასოცირდება შეფასებასთან „კარგი“, ხოლო „ქვევით“ შეფასებასთან „ცუდი“. ეს ფაქტი შეიძლება იმით აიხსნას, რომ გარემომცველ სამყაროში ფიზიკური ორიენტაცია წარმოადგენს საფუძველს სამყაროს აღწერისათვის. ენის მფლობელი, როგორც ვერტიკალურად ორიენტირებული არსება, საგნების შეფასებას ახდენს საკუთარ თავთან შედარებით.

Manchmal ging er mir auf die Nerven wie alle Künstler, die sich für höhere oder tiefere Wesen halten. (ფრიში, 39)

Ich bin aus einem Alptraum hochgefahren (მოზერი, 11)

Sie trug den Kopf hoch (ჰანდკე, 31)

ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე ავტორთა ენაში ორიენტაციულ მეტაფორათა უმრავლესობა დაფუძნებულია ჰორიზონტალურ ორიენტაციასთან. იშვიათად გვხვდება ვერტიკალურ ორიენტაციებთან დაკავშირებული შეფასებები.

ისმის შეკითხვა: რა განსაზღვრავს ჰორიზონტალურ სიბრტყეზე განლაგებული სივრცითი ობიექტების მეტაფორული დასახელებების შეფასებებს? ამ კითხვაზე ერმაკოვა ასახელებს სამ გარემობას (ერმაკოვა, 2000; 295)

1. ობიექტების განლაგება ცენტრთან კავშირში: ცენტრთან სიახლოვე — „კარგი“, დაშორება — „ცუდი“.

2. თანაბარი სივრცე — „კარგი“, არათანაბარი — „ცუდი“.

3. შეფასების განმსაზღვრელად გამოდის ასევე სივრცის აღმნიშვნელი ცნებები როგორცაა ღია, საზღვრების არმქონე — „კარგი“, დახურული, შემოსაზღვრული „ცუდი“.

განსახილველი მასალა საშუალებას გვაძლევს მოცემულ დებულებებს გარკვეულწილად დავეთანხმეთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჰორიზონტალურ სივრცეში შეფასების ცალსახა შესაბამისობა არ არსებობს. მოცემული თეზისის დასადასტურებლად მივმართეთ მაგალითებს:

Die Plantage, die seine Firma auszubauen hoffte, lag allerdings, wie mir schien, am Ende der Welt (ფრიში, 14)

მოცემული წინადადება შეიცავს უარყოფით შეფასებას. დაშორება ცენტრიდან, პერიფერია ასოცირდება ცნებასთან „ცუდი“, ანუ აღნიშნული მაგალითი ადასტურებს ერმაკოვას პირველ დებულებას, შემდეგი მაგალითი კი უარყოფს მას. მასში ცენტრად იგულისხმება ცნება, რომელიც ატარებს უარყოფით კონოტაციას, ამიტომ მდებარეობა უარყოფითი ცნებების პერიფერიაში კარგია.

...eine vollkommene Idylle am Rand des Unglücks (ფრიში, 72)

როგორც ვუყურებთ, შეფასება ჰორიზონტალურ სივრცეში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წარმოადგენს ცენტრს. უარყოფითი მოვლენისაგან შორს ყოფნა კარგია, დადებითისაგან — ცუდი.

მასალის საფუძველზე, ჩვენ გამართლებულად არ მიგვაჩნია ერმაკოვას მეორე დებულება ჰორიზონტალურ შეფასებასთან დაკავშირებით.

Langsam kam die Sandbad näher, feiner, heller Sand an dem flache Wellen hochliefen. (ლენცი, 22)

აღნიშნული წინადადება შეიცავს დადებით შეფასებას მიუხედავად სივრცის არათანაბრობისა, რომელიც იქმნება მღელვარე ტალღებით.

რაც შეეხება მესამე დებულებას, ანუ შეპირისპირებას სივრცის ღიაობა-დახურულობასთან, ჩვენ ამის შესახებაც განსხვავებული აზ-

რის ვართ. აქ, როგორც პირველ შემთხვევაში, შეფასება დამოკიდებულია კონცეპტზე, რომელზეც მიმდინარეობს საუბარი. ღიაობას, საზღვრების არქონას დადებითი კონოტაცია აქვს შემდგომ მაგალითებში:

Ihr Fleiß und ihr offenes, fröhliches Wesen machen es uns schwer... (ჰანდკე, 21)

Ich habe offener mit ihr gesprochen (ფრიში, 123)

ღიაობა შეიძლება ასევე უარყოფით კონოტაციას ატარებდეს:

Sonst schauten sie einander kaum an, in diesen Momenten der offenen Feindschaft. (ჰანდკე, 50)

აქ საზღვრები არ არსებობს, ანუ სივრცე ღიაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოცემულ წინადადებას განვიხილავთ, როგორც უარყოფითი შეფასების მქონეს.

Die Liebe hat ihn dorthin getrieben, wo die Freiheit endete (M.Moser; 54)

ზემოთ მოყვანილ მაგალითში სივრცე შემოსაზღვრულია და წინადადება შეიცავს უარყოფით შეფასებას.

Solange ihn die Dorfschule aufgenommen hatte, waren seiner Allergie natürliche Grenzen gesetzt gewesen (გრასი, 94)

Mit dem heutigen Tag hat die Strafe ein Ende (ლენცი, 131)

აქ, ისევე როგორც წინა მაგალითში, სივრცე შემოსაზღვრულია, მაგრამ რამდენადაც შემოსაზღვრა ეხება უარყოფით ცნებას, ამდენად მეტაფორას დადებითი შეფასება აქვს.

მე-20 საუკუნის II ნახევრის გერმანულენოვანი პროზის მასალა იძლევა მაგალითებს, სადაც სივრცეში შემოსაზღვრა არ გამოიხატება მხოლოდ ლექსებით: ესაზღვრება, მთავრდება. შესაძლებელია ასევე კონკრეტული ან აბსტრაქტული სახელების ზომების ცვლილებამ შეფასების წარმოქმნამდე მიგვიყვანოს. ამასთან შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ სახელობრ, რა იზრდება ან რა მცირდება.

seine große Freude... (გრასი, 16)

Seine Herzlichkeit ist viel zu groß (ფრიში, 102)

მოცემულ მაგალითებში სიდიდე დადებით შეფასებას გამოხატავს.

Es ist eine große Einsamkeit in mir (ჰანდკე, 75)

Die Einsamkeit wird noch größer (ჰანდკე, 76)

მოცემული მაგალითები ატარებენ უარყოფით კონოტაციას.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ XX საუკუნის II ნახევრის გერმანულენოვან პროზაში გვხვდება მეტაფორები, რომლებიც მოქმედებენ როგორც ვერტიკალურ, ასევე ჰორიზონტალურ სივრცეშიც. „ვერტიკალური“ ორიენტაციული მეტაფორების შესაქმნელად გამოიყენება დაპირისპირება „ზევით — ქვევით“. ჰორიზონტალური ორიენტაციული მეტაფორების შესაქმნელად გამოიყენება დაპირისპირება „ღიაობა — დახურულობა“, „საზღვრების ქონა — უქონლობა“, „დიდი — პატარა“. მაგალითებიდან გამომდინარე, ჰორიზონტალურ სივრცეში შეფასების ურთიერთშეპირისპირება ყოველთვის ერთნაირად არ გამოვლინდება.

ლიტერატურა:

ერმაკოვა, 2000 — Ермакова О.П. Пространственные метафоры в русском языке // Логический анализ языка. Языки пространств М. 2000.

ლაკოფ, ჯონსონი, 1990 — Лакофф Дж. Джонсон М. Метафоры, которыми мы живем // Теория метафоры Москва, 1990

გრასი, 1993 — Grass G. Hundejahre-Göttingen. Artemis & Winkler Verlag 1993.

ფრიში, 1995 — Frisch M. Homo Faber.-Frankfurt am Main: Suhrkamp Verlag, 1995.

ჰანდკე, 2001 — Handke P. Wunschloses Unglück-Salzburg: Suhrkamp Verlag, Bonn 2001.

ლენცი, 1996 — Lenz S. Deutschstunde.-Hamburg: Hoffmann und Campe Verlag. 1996.

მოზერი, 1996 — Moser M. Der junge Mann von gegenüber. Hamburg. Rowohlt Taschenbuch Verlag GmbH 1996.

TEONA NIZHARADZE

Oriental Metaphors in the German Fiction of the Second Half of the 20th Century

Summary

Oriental metaphors encountered in the German fiction of the second half of the 20th century are very small in number – 4,2%. The metaphors used by modern writers work in the vertical as well as in the horizontal space. Vertical orientational metaphors are based on the opposition 'up-down'. Horizontal orientational metaphors are created with the help of the oppositions 'open-close' "those having borders vs. those having no borders" 'big-small'.

სალომე ოშიაძე

უცხო სიტყვა – უცხო მენტალობა ეროვნულ დისკურსში

ეროვნული დისკურსი, რომელსაც მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური შემადგენლები აქვს (პრეცედენტული მოვლენები, ხალხის კოგნიტურ სფეროში შემავალი კულტურული კონცეპტები, ენობრივი ფორმულები, პარემიული გამოთქმები, ე. წ. სიტყვის მასალა და სხვ. და სხვ.), ამავე დროს, საკმაო რაოდენობით შეიცავს უცხო წარმოშობის ლექსიკას. ამ ლექსიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი ნაირგვარია წარმომავლობის, ქრონოლოგიისა თუ დანიშნულების თვალსაზრისით. არაერთგვაროვანია, აგრეთვე, ენაში მათი შეთვისების ხარისხი. ყველა უცხო სიტყვა, რომელიც თანამედროვე ქართულ დისკურსში გვხვდება, ნასესხობად ვერ ჩაითვლება და, ამდენად, საერთო ლექსიკურ ფონდში ისინი ადგილს ვერ ვერ იმკვიდრებენ. უფრო მეტიც — თვით დისკურსში განცალკევებული არიან, იზოლირებული. ეს არ ეხება იმ სიტყვებს, რომლებიც დიდი ხანია დაკავშირებულია ქართულ ჩვეულებრივ ყოფასთან (მაგ.: ავაზაკი, აზნაური, ამბავი, ამბორი, ანგარება, ბანაკი, ზვარაკი, პატიყი, სენაკი, ფანჯარა, ქამარი, ქუჩა, შფოთი...) და მხოლოდ მეცნიერი ეტიმოლოგი თუ იპოვის მათში უცხო ძირებს. ისინი ორგანულად არიან ჩართული ქართული ენის სისტემაში. მათ გავლილი აქვთ გზა სემანტიკური ასიმილაციიდან მსესხებელ ენაში „საკუთრად“ ქცევამდე. კონკრეტული საგნის, კონკრეტული მოვლენის აღმნიშვნელი ეს სიტყვები საგნის ან მოვლენის უბრალო ნიშანი არაა, თუნდაც მათ ერთი მნიშვნელობა ჰქონდეთ. სიტყვამ შეიძლება მოგვითხროს იმ დროსა და გარემოზე, რომელშიც იგი მყოფობს. მთელი სემანტიკური სიღრმით სიტყვის აღქმა ნათელს ჰყენს ხალხის ცხოვრების, ისტორიის, მატერიალური და რეალური სიმდიდრის გაგებას. იგი ადამიანის აზრის განვითარების ეტაპებზეც მიუთითებს და, ამდენად, ცხადყოფს ხალხის, მისი ეროვნული ენის მზაობას კაცობრიობის ყოველგვარი ახალი

მიღწევისა და ნააზრვის გაცნობიერება-მიღებისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტერმინოლოგიურ ლექსიკას, რომელიც ნეიტრალურია ექსპრესიული და კონოტაციური თვალსაზრისით, მაგრამ ჩამოყალიბებულია ქართული ენის კანონების მიხედვით (მაგ.: სახელობითი ბრუნვის ნიშანი, რომელიც ჩვეულებრივ დაერთვის ყოველგვარი უცხო წარმომავლობის თანხმოდანფუძიან სიტყვებს ქართულში: კაზუს-ი < ლათ. casus, კათალიკოს-ი < ბერძ. katholikos, ნიკოტინ-ი < ფრანგ. nikotine, ნოკაუტ-ი < ინგლ. knock-out, გროსმაისტერ-ი < გერმ. Grossmeister, ობივატელ-ი < რუს. обиватель, სოლისტ-ი < იტალ. solista... უცხო სიტყვათაგან ნაწარმოები ქართული დერივაციული ფორმები: ფონეტიკ-ურ-ი, გროტესკულ-ი, გრაციოზ-ულ-ობა, იდეალიზ-ება, ინკუბირ-ება, ტექსტ-ობრივ-ი... ურთიერთ-ასიმილაცია, ზე-ბომბი, ქვე-ბომბი, ქვე-კლასი და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი (ტერმინოლოგიური) ლექსიკა, რომელიც, განსხვავებით მკვიდრი ლექსიკისაგან, მოკლებულია ემოციურ შეფერილობას, ხატოვანებას და მას მკაცრი და ზუსტი სემასიოლოგიური საზღვრები აქვს, აქტიურად არის ათვისებული ეროვნული ენის მიერ და შეიძლება შეფასდეს როგორც ნასესხობა, რომლის გარეშე ქართული დისკურსი ღდეს წარმოუდგენელია. „გარკვეულ შემთხვევაში კონტაქტების ნიადაგზე წარმოქმნილი „სიახლენი“ მეორე ენაში იწვევს „გამდიდრებას“ და ეს სასარგებლოცაა, — წერს აკად. ქ. ლომთათიძე, — სასარგებლოა მაშინ, როცა ახალ ყოფასთან, ცხოვრების გარემო-პირობების ცვლასთან, მის გარკვეულ წინსვლასთან, ახალ საგანთა და მოვლენათა გამოჩენასთან დაკავშირებით ენა მეორე ენისაგან შეიძენს ახალ სიტყვას, ახალ გამოთქმას, ან გაააქტიურებს თავის შინაგან ენობრივ შესაძლებლობებს საკუთარივე აფიქსაციის ახალწარმოებებით და მისთ.“ (ლომთათიძე, 2005, 19).

უცხო სიტყვათა ეს ორი შრე ტრადიციულად არსებობს ქართულ ენაში. ერთი მხრივ, სხვა ხალხებთან უშუალო ენობრივი კონტაქტები, ხოლო მეორე მხრივ, სამწერლო ენის, მწიგნობრობის ათასხუთასწლოვანი ისტორია საუკუნეების მანძილზე ქმნიდა ამ ტრადიციას. ეს ბუნებრივი და ნორმალურია, რადგან სიტყვა და აზრი, ენა და ისტორია, ენა და კულტურა ერთმანეთისაგან განუყოფელია. განუყოფელია საზოგადოების ცხოვრება ენისაგან, უფრო მეტიც, ხალხის ცხოვრება მის ენაშია აღბეჭდილი. „სიტყვის ცხოვრების

რთული, მრავალბლანნიანი სურათი საზოგადოების, ხალხის ცხოვრებას ასახავს, რისი წვდომაც, ჩვეულებრივ, ამ ხალხის ენის წვდომით იწყება“ (ბუდაგოვი, 1971, 10). დაფუძნებით, რომ ეროვნული მენტალიტეტის წვდომაც მხოლოდ სიტყვების „წვდომით“ შეიძლება, რადგან იგი სრულიად ირაციონალური იქნებოდა ენისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული აზრის აქტიური მუშაობის გარეშე. ზოგიერთი კულტუროლოგის აღიარებით, მენტალიტეტი, ვიწრო მნიშვნელობით, უწინარეს ყოვლისა, არის ენა, სიტყვები, „აზრობრივი, ანუ სემანტიკური ველების სისტემა“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასახვის სემანტიკის მეშვეობით ყოველი ეროვნული ენის იდეოლოგიური თავისებურება მნიშვნელობის სხვადასხვა ელფერებით ვლინდება. ეს ენება ინტერნაციონალურ სიტყვებსაც. „უცხო, ნასესხები სიტყვები ეგუებიან ახალ სოციალურ პირობებს, ახალ ენობრივ სისტემას“ (ბრაგინა, 1981, 10), მაგრამ ისმის კითხვა, მოჰყვება თუ არა უცხო სიტყვებს უცხო მენტალობები იმ ენებიდან, სადაც ისინი მკვიდრი სიტყვებია და თუ მოჰყვება, ახდენს თუ არა ეს გავლენას ეროვნულ მენტალიტეტზე? როცა ლაპარაკია ენის მიერ უცხო ლექსიკის ათვისებაზე, საერთო ლექსიკურ ფონდში მის ორგანულ ნაწილად ქცევაზე, ეს ალბათ ასეც არის.

საქართველოში წარმართული მენტალიტეტის შეცვლა გამოიწვია ქრისტიანობის გავრცელებამ, რომელიც „ლოგოსის“ რელიგიაა. თეოლოგიური ლექსიკის დიდი ნაწილი უცხოენოვანი იყო, მაგრამ იგი აქტიურად აითვისა, საკუთრად გაიხადა ქართულმა ენამ. ასევე, ინტერნაციონალური ლექსიკით პოულობს ასახვას ატომის, ტელეენდვის, ინტერნეტის ეპოქა ჩვენს ენაში. ენის ლექსიკური სისტემა არ არის დაზარალი, რასაც განაპირობებს ამ ენაზე მეტყველი ხალხის მზაობა ეზიაროს და გაითავისოს კაცობრიობის მიღწევები. ვფიქრობთ, ქართველებში ამ „მზაობას“, თავის მხრივ, განაპირობებს **ცნობის წადილი**, რაც ალბათ არის ქართული მენტალობის ერთ-ერთი ზოგადი თვისება. რა თქმა უნდა, დაბეჭივებით ამის მტკიცება ჯერჯერობით შეუძლებელია, ვიდრე საფუძვლიანად არ არის დადგენილი და შესწავლილი მენტალობის ენობრივი მოდელი, რომელმაც უნდა ასახოს ქართული მენტალობის თავისებურებანი. სირთულეს ქმნის თვით მენტალობის დეფინიციის მრავალგვარობაც, რაც გამოწვეულია განსხვავებული მიდგომებითა და ასპექტებით (ლოგიკური, ეთნოსოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, გენოტიპური, ლინგვოკულტუროლოგიური...).

ამავე დროს, აღნიშნული ცნება გამოიყენება ფართო და ვიწრო მნიშვნელობით საგანგებო აღნიშვნის გარეშე. ამიტომ ზოგ ავტორთან იქმნება შთაბეჭდილება, რომ მენტალობა უკავშირდება მხოლოდ მსჯელობის ლოგიკურ ოპერაციებს იმ ცნებათა საფუძველზე, რომელსაც სიტყვა მოიცავს. ეს ტერმინის ვიწრო მნიშვნელობაა, ცნების შინაარსის ერთ-ერთი კონკრეტული შემადგენელი, რადგან, როგორც ცნობილია, შემეცნება ხორციელდება არა მარტო გონების დონეზე, არამედ გრძნობის დონეზეც და სწორედ ეს განსაზღვრავს ეროვნული მენტალობის ორიენტაციას გრძნობით შემეცნებაზე. სულიერისა და გონიერის ერთობლიობა — ორი არსის ეს კავშირი — არის, როგორც ჩანს, მენტალობა. იგი „არის, რა თქმა უნდა, არა უბრალოდ სოციალური, არა წმინდა ბიოლოგიური, არა მხოლოდ ფსიქოლოგიური მოვლენა, არამედ სამყაროს შესახებ ამა თუ იმ ხალხის ყველა წარმოდგენილსათვის ნიშანდობლივი სიღრმისეული რაღაც წარმოდგენების გამოვლენა. მენტალური არქექტიპები გარკვეული და გენეტიკურად მნიშვნელოვანი პრინციპების მიხედვით ყალიბდებოდა ისტორიულად (კოლესოვი, 2004, 15). როგორ უნდა იქნეს აღდგენილი და აღწერილი ეროვნული მენტალობის ზოგადი ტიპი, ინვარიანტი? როგორც ჩანს, ეს უნდა მოხდეს ენისა და დისკურსის საშუალებით სხვადასხვა ემპირიულ მონაცემთა შედარების გზით. ეროვნული ხასიათი, იდეალები, ადათ-ჩვევები, ემოციები, რწმენები და ა, შ., რომლებსაც იზიარებს ხალხის მასობრივი ცნობიერება და რომლებიც ასახვას პოულობს ენაში, არის სწორედ ეს ემპირიული მონაცემები. ამდენად, ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, მენტალობა შეიძლება განიმარტოს როგორც დედაენის კატეგორიებითა და ფორმებით წარმოდგენილი მსოფლმხედველობა, რომელიც სამყაროს შემეცნების პროცესში აერთიანებს ტიპობრივად გამოვლენილ ეროვნული ხასიათის ინტელექტუალურ, სულიერსა და ნებელობით თვისებებს. კიდევ უფრო დაზუსტებით, მენტალიტეტი არის ხალხის მისწრაფება შეიცნოს ყოფიერების არსობრივი ილუმინებანი, როგორც ეს ამ ხალხის (ქვე)ცნობიერებას ესმის. იგი არის ხალხის სულის განვითარების პროცესი გარეგნული მენტალობიდან სიღრმისეულ სულიერებამდე (კოლესოვი, იქვე). თუ მეცნიერის ამ აზრს განვავითარებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ სულიერება არის ქვეცნობიერი, რომელიც შეიძლება გარეგნულად მენტალობით გამოიხატებოდეს. მენტალობის ცნება შინაარსით უფრო მდიდარია, სულიერებისა — უფრო მაღალი. მენტალო-

ბა ეროვნული ნიშნის მატარებელია, სულიერება — უნივერსალურია, მაგრამ იგი ამა თუ იმ მენტალიტეტში შედის ან პრიორიტეტულად, ან არა. ინდივიდთა (არა ხალხის) ისეთი ტიპიც არსებობს, რომლის მენტალიტეტში სულიერების ნიშანწყალიც არ ჩანს. ამგვარად, მენტალიტეტის ცნება თავისთავად არც დადებით რაიმეს აღნიშნავს და არც უარყოფითს, სულიერება კი ყოველთვის დადებითია და აქსიოლოგიურ იერარქიაში მას უმაღლესი ადგილი უკავია. ამასვე გვიდასტურებს თეოლოგიური მსოფლმხედველობა, რაც კარგად ჩანს ბიბლიის ტექსტების ანალიზისას. „ბიბლიის ლექსიკონში“ (შემდგ. ე. გიუნაშვილი და ზ. კალანდაძე, რედ. ზ. სარჯველაძე) ვკითხულობთ: **„ადამიანის სული“** — ადამიანის ხილული, ხორციელი სახისაგან მისი უხილავი, სულიერი სახე იმით განსხვავდება, რომ ის არის თვით არსი და იმავე დროს სასიცოცხლო საწყისი ადამიანისა. მასში ორი საფეხურია: უმდაბლესი, ცხოველთან საერთო სამშინველი გრძნობადობა (...) და უმაღლესი, სულიერი არსი (...) ეს სულიერი არსი განსაზღვრულია საღმრთო წერილში (...) და გამოხატავს ცნებას რაღაც უხილავის, მაგრამ ცოცხალის შესახებ. ეს ჭეშმარიტი არსი ადამიანისა მასში ჩანერგილია ღმრთის მიერ, მარად არსებული უხილავი სულის მიერ (...) სულის უმდაბლესი და უმაღლესი საფეხურები ყოველთვის ვერ არის მკვეთრად გამოჩენილი ადამიანის შინაგან ცხოვრებაში, ისევე როგორც მათი აღმნიშვნელი სიტყვები „სამშინველი“ და „სული“ ხშირად ირევიან ერთმანეთში, იხმარებიან თითქმის როგორც სინონიმები. თუმცა თავდაპირველი დანიშნულება უმაღლესი საფეხურისა (სულისა) ის იყო, რომ წარემართა უმდაბლესი საფეხური (სამშინველი) და ხორცი (სხეული); ეს ურთიერთმიმართება დარღვეულია ცოდვით (...) სულისა და სამშინველის გამიჯვნა კარგად ჩანს სიტყვებიდან „მშინვეიერი, რომელთა სულ არა აქუს“ იუდ. 1, 19“ (ბიბლ. ლექს., 2000, ტ. II, 204-205).

ეს გამიჯვნა ბევრად უფრო ძნელი, თითქმის შეუძლებელი ხდება ტექნოლოგიური ცივილიზაციის აგრესიული ზეწოლის პირობებში. სულ უფრო ძნელდება ეროვნული კულტურის დაცვა, მათ შორის ქართული კულტურისაც, რომლის ლიტერატურისა და, შესაბამისად, ენის განვითარების ლოგიკასა და აზრს ყოველთვის წარმართავდა სულიერებაზე ორიენტირებული მენტალობა. ამ „ომში“ პირველები უცხო სიტყვები „გვიტევენ“, რომლებიც ცდილობენ ჩვენი ლინგვოკულტურული სივრცის დაპყრობას. მაგრამ ეს „შეტევები გარედან“,

ციხე შიგნიდან რომ არ ტყდებოდეს, ნაკლებ საშიში იქნებოდა. საქმე ისაა, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენი შემხვედრი რეაქცია უცხო მენტალობათა მორგებაა, რაც სახიფათო ფორმებს იღებს განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს მენტალობები სულიერების ნაკლებად შემცველი ან სულაც სულიერებისაგან დაცლილი მენტალობებია, როცა დაუფიქრებლად გეზია აღებული მთლიანად ნასესხებ ცივილიზაციაზე. თანამედროვე ქართული დისკურსი, განსაკუთრებით მასმედიისა, ამ ვითარების სარკეს წარმოადგენს. საზოგადოების წევრთა შემფოთება, რომელიც „ენის წახდენის“ გამო გამოითქმება, სინამდვილეში გამოხატავს ეროვნული მენტალიტეტის, მისი ინდივიდუალობის, როგორც ერის თვითობის, დაკარგვის შიშს, და, მეორე მხრივ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, იგი ეწინააღმდეგება ამ მენტალიტეტისათვის დამახასიათებელი სულიერების კლებას მის სრულ დეფიციტამდე. ასე იყო შორეულ და უახლოეს წარსულში. ცნობილი ფრანგი ენათმეცნიერი, ენათა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო კვლევათა ლაბორატორიის თანამშრომელი კლოდ აჟეჟი წერს: საბჭოთა კავშირში „კარგად შეინახა ის ენები... რომლებიც ეყრდნობოდა კულტურისა და პოლიტიკის ხანგრძლივ ეროვნულ ტრადიციას; ასეთებია **ქართული** და ბალტიისპირეთის რესპუბლიკათა ენები. რაც შეეხება ყველა სხვა ენას, მრავალრიცხოვანი ლექსიკონებისა და გრამატიკათა პუბლიკაციებმა, რომლებიც სსრკ ხალხებში განათლების მასობრივ გავრცელებას მოჰყვა, კიდევ უფრო ძლიერად გახაზა ამ ენათა პოზიციების არამდგრადობა რუსულთან შედარებით, რომელიც მეთაურ მდგომარეობას იკავებს და რომელმაც ყველაზე მეტად მოიგო მთლიანი ორენოვნების სიტუაციაში, რადგან ის ხელისუფლების ენაა. ამასთანავე, მის ბატონობას უზრუნველყოფს ენობრივი თავისუფლების მოჩვენებითი სურათის შემქმნელი ღონისძიებები: 1958 წლის კანონი მშობლებს აძლევს უფლებას თვითონ აირჩიონ შვილების სწავლების ენა“ (აჟეჟი, 1983, 40-41).

სურათი, რომელსაც უცხოელი ენათმეცნიერი ხატავს, ადვილად მოგვაგონებს ჩვენს უახლოეს წარსულს, როცა მოჩვენებითობის შექმნისათვის ენობრივ მანიპულაციებს მიმართავდნენ, რის გასაცარ მაგალითს იძლეოდა საბჭოთა რეჟიმი, რომელსაც „ლოგოკრატია“ კი უწოდეს (ბენანსონი, 1980). ამასთან მიმართებით ცნობილია გამოთქმა *langue de bois*, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ისეთ განსაკუთრებულ სტილს უწოდებს, რომელიც სინამდვილეს სიტყვებით

ნიღბავს და რომლის საშუალებითაც ყველაფრის კონტროლი შეიძლება.

1941 წელს დაწერილ სტატიაში „ლიტერატურა და ტოტალიტარიზმი“, ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯ. ორეული წერდა: „ტოტალიტარული სახელმწიფო აუცილებლად ცდილობს აკონტროლოს თავის ქვეშევრდომთა აზრები და გრძნობები, ყოველ შემთხვევაში, ისე ქმედითად მაინც, როგორც აკონტროლებს მათ ქცევებს“ (ორეული, 1992, 151). 1949 წელს შექმნილ ანტიკომუნისტურ რომანში „1984“ ორეულმა მოიგონა ტოტალიტარული საზოგადოების წარმოსახვითი ენა **Newpeak** (ახალი ენა), რომლის სტრუქტურა გამოირიცხავს მოცემული საზოგადოების შესახებ კრიტიკული გამონათქვამების აგებას; იგი იმისთვის იყო შექმნილი, რათა ამოეძირკვა ნებისმიერი არაორთოდოქსული იდეა, განედევნა ის სიტყვები, რომლებიც ამ იდეის მატარებელთ შეიძლება გამოსდგომოდა. სიტყვები ასეთ ენაში საკუთარივე რეფერენტები ხდება. „ოფიციალურ საბჭოთა ტექსტებში შეიმჩნეოდა ზმნების მცირე გამოყენება სახელზმნებთან შედარებით, ნომინალიზაციის ეს ტიპი ფართოდაა წარმოდგენილი რუსულ ენაში.“ ნომინალიზაციის ხშირი გამოყენება საშუალებას იძლევა თავი ავარიდოთ დისკურსში სინამდვილის პირდაპირ გამოხატვას, რისთვისაც ზმნებია საჭირო. ნომინალიზაციების მეშვეობით შეიძლება პრაქტიკაში თვალსაჩინოდ და რეალიზებულად წარმოვადგინოთ რაღაც, რაც ასეთი სულაც არ არის“ (აჟეჟი, 2003, 191). რეალობის ენობრივი შენიღბვა მარტო ტოტალიტარული რეჟიმისათვის როდია დამახასიათებელი. ე. წ. ვიეტნამური ინგლისური (**Vietnamese English**) მიმართულია ვიეტნამის ომის სისასტიკეთა დასაფარავად. დისკურსულ პრაქტიკაში მას იყენებენ ამერიკელი სამხედროები, მათთან დაკავშირებული იდეოლოგიები და ჟურნალისტები. ენობრივი მანიპულაციის ნიმუშად იქცა „ვიეტნამური ინგლისურის“ ლექსიკა (მაგ. **Friendly fire** 'მეგობრული ცეცხლი', ანუ სინამდვილეში ცეცხლი თავისიანების მიმართ) (ლექსიკონი, 2001, 381).

სიტყვებით მანიპულირებაზე ყურადღება შევაჩერეთ იმის გამო, რომ უცხო ლექსიკაც (მისი ერთი ნაწილი მაინც) ამგვარ საშუალებას

* ეს ფაქტი დადგენილი იყო ნ. ხრუშჩოვისა და ლ. ბრეჟნევის იმ მოხსენებათა ზედმიწევნითი ანალიზის საფუძველზე, რომლებიც წაკითხულ იქნა სსრკ კომუნისტური პარტიის XXII და XXIII ყრილობებზე 1961-სა და 1966 წლებში (სერო, 1985).

წარმოადგენს ჩვენს თანამედროვე დისკურსში. ამ სიტყვებს, რა თქმა უნდა, იგივე ფუნქცია არა აქვთ იმ ენაში, საიდანაც ისინი მომდინარეობენ. თუ აქამდე ქართული ენა, ისევე როგორც ევროპული ენები, სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტერმინების შესაქმნელად ლათინურსა და ბერძნულ ძირებს მიმართავდა, ხოლო სესხება ხდებოდა სხვადასხვა ენიდან, დღეს თითქმის, გამონაკლისის გარეშე, ყველა ახლად შემოსული უცხო სიტყვა ინგლისურია. ცალკე დადგენას მოითხოვს, რა გზით შემოდის ქართული დისკურსში ანგლიციზმები — ბრიტანული, ამერიკული თუ რუსული წყაროებიდან. ამას მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც (ჯერჯერობით) განსხვავებულია ბრიტანული, ამერიკული და რუსული მენტალიტეტები.

დღევანდელ ქართულ დისკურსზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ვიდრე მოხდებოდა უცხო ენობრივი მასალის გააზრება ქართული ენის სოციალური მოთხოვნების მიხედვით და გაფორმდებოდა ქართული ენის კანონებით, იგი ხვდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და, ამდენად, მისი ტირაჟირება გარანტირებულია. თუ ადრე ნახსენებ სიტყვათა უმრავლესობას სპეციალური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც მათ ათავსებდა გარკვეული ფუნქციური სტილის კონკრეტულად შეპირობებულ ფარგლებში და განაცალკევებდა ყოფითი მეტყველებისაგან, ახლა ვითარება შეცვლილია — ტელევიზია და მობრავლებული ჟურნალ-გაზეთები, როგორც ენობრივი შტამების, ტრაფარეტებისა და ფორმულების „გამოცდილი“ გამავრცელებლები, უცხო სიტყვებსაც ახვევენ თავს ადამიანებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. მოცემულ სოციალურ ვითარებაში მასმედია ქართული ენის მდგომარეობის ასახვაა. ენობრივი თვალსაზრისით რაიმე დადებითად ახალი აქ აღარ იბადება, ოღონდ დივერსია მენტალურის მიმართ სულ უფრო აშკარა ხდება. ადრე უცხო სიტყვას მისი გამოყენების შემოსაზღვრულობის გამო „სამეცნიერო“, „წიგნური“, „სპეციალური“ სიტყვის ავტორიტეტი ჰქონდა და ამ „ავტორიტეტულობას“ კვებავდა საქმეში ჩაუხედავი კაცისთვის ინფორმაციის დაფარულობა. მაშინ ასეთი სიტყვახმარება ყოველდღიურ, სადაგ მეტყველებაში ღიმილის მომგვრელი იყო, რადგან იგი აღიქმებოდა როგორც სნობიზმი, როგორც მეტიჩრობა. უცხო სიტყვის გამოყენების მიზანშეწონილობა, სიტუაციური აუცილებლობა, სოციალურ-ენობრივი მოთხოვნილება ყოველთვის იყო მისადმი საზოგადოების მიმართების განმსაზღვრელი.

უცხო სიტყვა ადრეც ასრულებდა თავისებური ნიღბის როლს, რომელიც მალავდა გრძნობებს, რომელთა შესახებ უჭირდათ საუბარი ან ეგზემისტურად ცვლიდა დედაენის ეკვივალენტ-სინონიმს, რომლის წარმოთქმა უხერხულობას ქმნიდა. დღეს ამ ფუნქციით მათ არავინ იყენებს იმ მიზეზის გამო, რომ ყველაზე ინტიმურ გრძნობებზეც კი საჯაროდ საუბრობენ, ხოლო უხერხული თემა და გამოთქმა საერთოდ აღარ არსებობს. ასეთია, სამწუხაროდ, დღეს ქართული დისკურსი მასმედიაში.

ეროვნული ცნობიერების „შემდგრვეის“; ქართული მენტალიტეტის ცვლაზე მიუთითებს აშკარად სიტყვა **სექსის** გავრცელება, რომლის გაგონება ათეული წლის წინათ აწითლებდა ადამიანებს. დღეს გვემის: მავანთან „სექსი არ მქონია“, „როგორი სექსუალური ხარ!“ (ვაჟი ეუბნება ქალს და პირიქით). როცა „სიყვარულის“ ნაცვლად „სექსია“, ცხადია, მენტალიტეტი აღარ არის სულიერებაზე ორიენტირებული. ეს ჩვენთვის, ჩვენი ტრადიციული მენტალიტეტისათვის უცხოა.

ასევე უცხოა ჩვენი ერისთვის ქურდული მენტალობა, რომელიც ასახულია ქურდულ ჟარგონში, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ „ქართული ენის ჟარგონის ლექსიკონში“ (ბრეგაძე, 2005), რომელშიც ათასზე მეტი ერთეულია, მათგან დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით ქურდული, ბარბარიზმებს, უცხო სიტყვებს წარმოადგენს. მათი არცთუ მცირე რიცხვი, დერივაციული და სხვა „გაქართულებული“ ფორმების გამო ნასესხებ სიტყვებსაც კი ემსგავსება (იხ. იქვე, ააკიშკავა, აიასნებს, ბალამუტობს, ბლატაობს, გაბლატავებული, გატრუპა, გრუზავს, გულაობს, დაალივერა, დაზაგრული... შდრ. სალიტერატურო ენის ნასესხობებს: აპროექტებს, ტუმბავს, დაპოლარება, დაშტრიხული...). წყარო უმეტესად რუსული ქურდული ჟარგონია. იმ ერთეულ შემთხვევებშიც კი, როცა სიტყვა არარუსული წარმოშობისაა, შემოსვლის გზა მაინც რუსულია. მაგალითად, **ბაქსი** (ამერიკული სლენგით, დოლარი) კარგა ხანია, ისმის რუსულ მეტყველებაში, ასევე **ხიპიში** („ჩხუბი, სკანდალი“) — ლ. ბრეგაძე, 2005, გვ. 166) შესაძლოა ამერიკული სიტყვიდან მომდინარეობდეს (შდრ. hippy, hippish?) და სხვ. ამ ბოლო დროს ჟარგონის სტატუსმა სერიოზული ცვლილებები განიცადა — ადრე თუ იგი მხოლოდ გარკვეულ, ე. წ. ექსკლუზიურ სოციალურ ჯგუფებში გამოიყენებოდა, დღეს მისი გავრცელების არე ბევრად ფართოა. იგი თითქმის ნორმად იქცა მასმედიისა და თანამედროვე მწერლობის ენაში. ამიტომ არც არის გასაკ-

ვირი, რომ ეს არანორმატიული ლექსიკა, რომელიც ცოტა ხნის წინ ფართო საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო, ბევრისთვის ვულგარულად აღარ აღიქმება, თავი რომ დავანებოთ მენტალურ შეუთავსებლობას. უფრო მეტიც — როდესაც „წლების მანძილზე „მაღალჩინოსანი სამართალდამცველებისაგან გვესმის „ადგილობრივი ავტორიტეტები“, „რამკიანი ქურდები“, „დაკვეთა“, „ჩაშვება“, „საქმის გარჩევა“, „გადაგდება“ და სხვ. მსმენელსა და მსმენელს რჩება შთაბეჭდილება, რომ დამნაშავეთა სამყარო და ჩინოვნიკები ერთ ენაზე ლაპარაკობენ“ (კვარაცხელია, 2004, 2).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ უცხო სიტყვას რაღაცის დაფარვა შეუძლია, დაფუძნებით, რომ ამ გზით მას შეუძლია ადამიანის შეცდომაში შეყვანაც. სემანტიკურად ჯერ აუთვისებელი უცხო წარმომავლობის სიტყვები შესატყვისი ქართული სიტყვის ეკვივალენტურად არ აღიქმება. მსმენელი მათში რაღაც სხვა საზრისს ეძებს. ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი ტელეინტერვიუში აცხადებს, (იგულისხმებთან ოპოზიციონერები) „აღარ მობეზრდით ინსინუაციები ჩემი და ჩემი ოჯახის წინააღმდეგ!“ ლათინური ძირის ეს უცხო სიტყვა, თუმცა კარგა ხანია ნასესხებია ქართულში, იმის გამო, რომ წიგნურია და არც ისე ხშირად ხმარებული, აბნევს მსმენელს. მან არ იცის სიტყვის არც საგნობრივი მნიშვნელობა (ცნების მოცულობა) და არც ცნების ნათელი შინაარსი, რომელმაც ეს მოცულობა, ანუ დენოტატი, უნდა აპოვინოს. საქმეს ართულებს „მაღალი“ და „დაბალი“ სტილის აღრევაც ფრაზაში („**მობეზრდათ**“, „**ჩემი ოჯახი**“ — აშკარად დაბალ სტილს განეკუთვნება, მაშინ როდესაც **ინსინუაცია** მაღალი სტილის სიტყვაა).

ასეთ ვითარებაში მსმენელი ფიქრობს, რომ მოლაპარაკის მიმართ ოპოზიციის მხრივ დანაშაულის ტოლფასი ქმედება ხორციელდება. სინამდვილეში სიტყვა აღნიშნავს მხოლოდ „მონაჭორს“, რასაც მაღალი თანამდებობის პირი ყურადღებას არც უნდა აქცევდეს, მით უფრო, ამაზე საჭაროდ არ უნდა ლაპარაკობდეს. ქართული „მონაჭორის“ უცხო ეკვივალენტით ჩანაცვლება უცხო სიტყვით დახვეწილი მანიპულირების ნიმუშია: მონაჭორი სინამდვილეში შეიძლება სიმართლეც იყოს (შდრ „ჭორი გამართლდა“), ინსინუაცია კი არც გამართლება და არც გამტყუნდება, გამოხდომად დარჩება. მთქმელმა ამ სიტყვით დაფარა ის რეალობაც, რომ მონაჭორი არ არის მონაჭორი — სიმართლეა.

უცხო სიტყვით მანიპულირების სხვა მზაკვრობაც ბევრი გვხვდება თანამედროვე ქართულ დისკურსში. მათი ერთი ნაწილი შეიძლება ხუმრობით გავევრთიანოთ ტელერეკლამის ცნობილი ფრაზით — „ბალი სულ სხვაა“. როცა უცხო სიტყვას ქართული ეკვივალენტი აქვს, მაგრამ მაინც უცხოს ამჯობინებენ, ეს ყოველთვის სიტყვით კეკლუცობა როდია. ხშირ შემთხვევაში საქმე ისევ სინამდვილის ერთგვარ შენიღბვასთან გვაქვს: უცხო ტერმინი ვითომდა კიდევ რაღაცას აღნიშნავს სხვას, რაც არ არის მოცემული ქართული სიტყვის მნიშვნელობაში და, შესაბამისად, მის მიერ აღნიშნული საგანი თუ მოვლენაც სხვა რაღაცაა. ასე სურთ დაგვაჯერონ, რომ, მაგალითად, „**მესიჯი**“ **შეტყობინება** კი არ არის, არამედ „სულ სხვა“. ასევე, სულ სხვაა „ნიუსი“, სხვაგვარი, უფრო საყურადღებო („სკანდალური!“) „ახალი ამბავი“; დღეს ქართული ღვინოების მიმართ ხშირად ხმარებული „ქართული **ბრენდი**“ თითქოსდა ქართული სამარკო ღვინო კი არ არის (რომელიც გაილანძღა), არამედ სულ სხვა რამ; **ბორდიც** სულ სხვაა და არა უბრალოდ სათათბირო, საბჭო, სადაც მოკვდავი ადამიანები უნდა ბჭობდნენ. ეს გაუარკვეველი „სულ სხვა“ — „თქვენ რომ გგონიათ, ის არა“, ერთი მხრივ, რაღაც ინტერესს კი აღძრავს, მაგრამ, მეორე მხრივ, მსმენელთა გარკვეული კატეგორიისათვის დამთრგუნველიც არის და მოდური ანგლიციზმებით გატაცებული საზოგადოების ნაწილთან გაუცხოების საფუძველიც.

უცხო სიტყვათა ექსპანსიის პროცესზე დაკვირვებისას შეიმჩნევა, რომ გამონათქვამში იზრდება სუბიექტურობა, მატულობს შეფასებისა და დახასიათების ხელოვნურობა, არ ემთხვევა შემოსული და მშობლიური სიტყვების ცნებათა მოცულობები, რაც ცნების შინაარსის დამახინჯებას იწვევს. მაგალითად, ერთი მოცულობით ვერ გავერთიანდება **ცოდნისა** და **კომპეტენციის** ცნებები, რადგან ეს უკანასკნელი აუცილებლად გულისხმობს უფლებამოსილებათა წრესაც. ამიტომ ადამიანს შეიძლება ცოდნა ჰქონდეს, მაგრამ არ გააჩნდეს კომპეტენცია და, პირიქით, კომპეტენციას ზურგს არ უმაგრებდეს სათანადო ცოდნა. მასმედიის დისკურსში ეს სიტყვები ერთმანეთს არამართებულად ენაცვლება, რაც გაუგებრობას იწვევს: ადამიანები ყოველთვის შეურაცხყოფად იღებენ მათ მიმართ წარმოთქმულ ფრაზას — კომპეტენცია არ გყოფნითო, რადგან ეს პირად უცოდინარობაზე მითითება ჰგონიათ და არა უუფლებობაზე, გადაჭრან რაღაც საკითხი.

ჯერ კიდევ 1991 წელს აკად. ქ. ლომთათიძე წერდა: „განუყოფთხავად ცვლის სიტყვა „პრესტიჟული“ „საპატიოს“, **საპატიო** თითქმის გამოიღვენოს ენიდანო“ (ლომთათიძე, 2005, 124). ბევრი დრო არ დასჭირდა **პრესტიჟის** და **პრესტიჟულის** გაბატონებას ქართულ დისკურსში. აღსანიშნავი ის არის, რომ მან **საპატიოს** გავრცელების არეც შეავიწროვა და თვითონაც აღარ შეიცავს ამ მნიშვნელობას. კონტექსტთა პარადიგმა, რომელსაც ეს სიტყვა ქმნის დღევანდელ ქართულში, დაახლოებით ასეთია: პრესტიჟული უბანი, პრესტიჟული სახლი, პრესტიჟული თანამდებობა, პრესტიჟული ხელფასი, პრესტიჟული კაფე... პრესტიჟის გოლი, პრესტიჟის საკითხი, პრესტიჟის საქმე... და მისთ. ჩამოთვლილ შესიტყვებებში **საპატიოს** სემანტიკა ძნელად მოსაზრებელია (ქეგლი: „**საპატიო** — ვისაც პატივს სცემენ, აფასებენ, პატივისცემის ღირსი“). **პატივის** განმარტება იქვე ასეთია: „კარგად მოპყრობა, დაფასება, სახელი, ღირსება“. ფრანგული წარმომავლობის **პრესტიჟი** ფრანგულ ლექსიკონში განმარტებულია როგორც პატივისცემისა და აღტაცების გამომწვევი გამოაგნებელი, მომაჯადოებელი მომხიბლაობა, მიმზიდველობა (აშეტი, 1993, 1473), რომელიც შეცდენას, მაცდუნებლობასაც (*la séduction*) გულისხმობს. თანამედროვე ინგლისური ენის ოქსფორდულ ლექსიკონში აღნიშნულ სიტყვას ასე განმარტავენ: (1) **კარგი რეპუტაციით** გამოწვეული პატივისცემა, აქედან გამომდინარე ძალა და გავლენა; (2) მიღწევებით, წარმატებებით, ქონების მფლობელობით სახელგანთქმულობა. უნდა აღინიშნოს, რომ **რეპუტაციის** მნიშვნელობა, როგორც სემანტიკური კომპონენტისა, ფრანგულ კონცეპტს არ გააჩნია, სიტყვა **რეპუტაცია** კი იმავე აშეტის მიხედვით ნიშნავს (1) საზოგადოებრივ აზრს (კარგს ან ცუდს), (2) კარგ შეხედულობას, პატივისცემას, რომლითაც სარგებლობს ვინმე, (3) პატივს, რენომეს (იქვე, 1567). ოქსფორდის ლექსიკონშიც მიჩნეულია, რომ იგი „პირის ან საგნის მახასიათებლების, თვისებებისა და მისთ. შესახებ საერთო აზრს ნიშნავს“ (ჰორნი, 1983, 496, 542). ს. ი. ოჟეგოვი **პრესტიჟს** წიგნურ სიტყვად მიიჩნევს და განმარტავს როგორც გავლენას, პატივისცემას, რომლითაც ვინმე სარგებლობს (ოჟეგოვი, 1983, 519). აღსანიშნავია, რომ რომანულ ენებში (იტალიურსა, ესპანურსა და პორტუგალიურში) სიტყვის ერთ-ერთი, და ზოგ ლექსიკონში პირველ ადგილზე გამოტანილი, მნიშვნელობაა **მომწესხველობა, ჯადოქრობა, ფოკუსობა**, ასევე **ფოკუსი, მეფოკუსე, ოინბაზი**, რაც ფრანგულთან ერთად საერთო ძი-

რის მნიშვნელობებს უკავშირდება. ფოკუსის, ოინბაზობის ცნება, რა თქმა უნდა, ყველგან, რომელი ენის ლექსიკური ერთეულითაც უნდა გამოიხატებოდეს, **მოჩვენებითობასა** და **სიცრუეს** გულისხმობს. ქართულ **პატივს**, **საპატიოს** არც ერთ კონტექსტში არ შეიძლება ჰქონდეს ეს კონოტაცია. ასევე შეუთავსებელია ქართული მენტალობისთვის ერთ რიგში დაყენება **სიცრუე-სიყალბე-მოჩვენებითობისა** და ღირსების, რომელიც ქართველებს ესმით როგორც (1) დადებითი თვისება, (2) მაღალი, მორალური ადამიანური ღირებულება, პატივცემული საზოგადოებრივ-მორალური მდგომარეობა“ (ქეგლი). აქვე აღვნიშნავთ, რომ ასევე არ არის ტრადიციული და დღესაც ბოლომდე გაზიარებული ქართული მენტალიტეტის მიერ ის, რომ „ქონების მფლობელობით სახელგანთქმულობა“ ღირსებაა და საზოგადოების მხრივ პატივისცემას იმსახურებს. დიდხანს მოუწევს ამ აზრს ჭიდილი, რადგან „ქართული ქვეცნობიერის“ ბევრი მსოფლმხედველობრივი (გნებათ მსოფლხედვითი) სტრუქტურა ეყრდნობა ტექსტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ხალხის წარმოდგენებს ზნეობრივი და სულიერი ფასეულობების შესახებ. ამ ტექსტთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად: „სახელი სჯობს ქონებასა და უფლება — მონებასა“ (ხალხური), „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“ (რუსთაველი). ვინ არის ხალხის ცნობიერებაში სახელმძღვანელო, სახელგანთქმული? მივმართავთ ქეგლის ილუსტრაციებს: „ნეტავი გმირი მე ვიყო, სახელგანთქმული მხედარი!“ (გ. ლეონიძე); „ვაჟკაცობით სახელგანთქმული მთიული ქართველები... მამაცურად დაუდგნენ წინ სამშობლოს მტერს“ (ნ. ლომ.). მაგრამ ქართველებში მართო მებრძოლი გმირები როდი არიან კარგი სახელის მქონე, ყველასაგან დაფასებული და პატივცემული ანუ სასახელო, სახელგანთქმული: „მამათქვენი დარბაისელი კაცი იყო, დიდი პატიოსანი, სახელოვანი და ყველასაგან პატივცემული“ (ილია). ადამიანის ამგვარ შეფასებას უსათუოდ წინ უძღვის დაკვირვება პიროვნების ქცევებზე, ქმედებებზე, მისი ღირსება-ნაკლოვანებათა აწონ-დაწონა საზოგადოების მხრივ. ლათინური *reputatio*-ც ხომ დაფიქრებას, აწონ-დაწონას ნიშნავს. ადამიანი უცბად ვერ გახდება პატივსაცემი. პრესტიჟული კი ადვილად შეიძლება გახდეს იმ წუთიდან, როცა, მაგალითად, პრესტიჟული უბნის პრესტიჟულ სახლში პრესტიჟულ ბინას იყიდის, პრესტიჟულად ჩაიცვამს და პრესტიჟული მანქანით პრესტიჟულ რესტორანში გაემართება პრესტიჟული სადილისათვის. ის შეიძლება ცნობილი გახდეს

(რაც მომხიბლავს არ ნიშნავს საზოგადოების თვალში), თუ ხშირად გამოჩნდება ტელევიზორში, მაგრამ ვერ გახდება **სახელოვანი** ქართველის წარმოდგენით, რადგან ჯერჯერობით ამას ეწინააღმდეგება ეროვნული მენტალიტეტი, რომელიც სოციალურ რანგსა და მატერიალურ წარმატებებს არ ანიჭებს უპირატესობას სხვა ადამიანურ ღირსებებთან შედარებით.

ამგვარად, უცხო წარმომავლობის, ინტერნაციონალიზმად ქცეულ სიტყვა **პრესტიჟს** უცხო მენტალობა შემოაქვს ქართულ დისკურსში და **საპატიოსა** და **სახელგანთქმულის**, **სახელოვანის** მისით რეგულარული ჩანაცვლება თანდათან გარდაქმნის ქართული მენტალობის სტრუქტურულ საფუძველს. ეს საფრთხე არ შეიქმნება იმ შემთხვევაში, თუ **პრესტიჟის** გამოყენება სინონიმური იქნება არა **პატივის**, **პატივისცემის**, **ღირსების**, არამედ **პატივმოყვარეობის**, რაც შინაარსობრივად ყველაზე მეტად შეესაბამება სიტყვა პრესტიჟის რეალურ მნიშვნელობას დღევანდელ ქართულ დისკურსში. არც **იმიჯსა** და ქართულ **სახეს** შორის არის ეკვივალენტობა. მართო სიტყვა **იმიჯმეიკერის** არსებობა ადასტურებს, რამდენად არაბუნებრივი და ყალბია, ხელოვნურად „გაკეთებულია“ **იმიჯის** რეფერენტი, რომელიც ქართული **სახის** რეფერენტი ვერ იქნება, რადგან აქ იგულისხმება საგნისა თუ მოვლენის არსებითი, ტიპობრივი მხარეების განზოგადებული ასახვა. გამონაგონის რეალობად მოჩვენების ცდაა საზოგადოების ერთი თვითმარქვია ნაწილის **ელიტად** შერაცხვა, როცა იგი ერის რჩეულთაგან არ შედგება. ყოველ ხალხს თავისი შეხედულება აქვს, თუ ვინ შეიძლება იყენენ მისი რჩეული წარმომადგენლები და უცხო სიტყვა, რომელიც პოსტსაბჭოურ სივრცესა და ხანში მოდური შეიქნა (მედის დიდი ხელშეწყობით), ფარავს იმ სიმართლეს, რომ **ელიტა** ერის **საუკეთესო წარმომადგენლობა** სულაც არ არის, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ მისი შემადგენლობა კონიუნქტურულია და ელვის სისწრაფით ცვალებადი, რაც დაადასტურა საქართველოს ცხოვრების ბოლო თხუთმეტი წელმა.

ლიტერატურა

აჟეჟი, 1983 — C. Hagège. Voies et destins de beation l'humaine sur les langues // Fodr I, Hagège C. Language reform: history and futur. Hamburg: Buske, 1983, vol. I, p. 11-68.

აჟეჟი, 1983 — Л. Ажеж. Человек говорящий, М., 2003.

აშეტი, 1993 — Hachette. Le dictionnaire essentiel, Paris, 1992.

ბენანსონი, 1980 — A. Besançon, Présent soviétique et passé russe. Livre de poche, Paris, 1980.

ბიბლ. ლექს., 2000 — ბიბლიის ლექსიკონი (მასალები), ტ. I, ტ. II, Printed in the Netherlands, 2000.

ბრაგინა, 1981 — А. А. Брагина, Лексика языка и культура страны, М., 1981.

ბრეგვაძე, 2005 — ლ. ბრეგვაძე, ქართული ჟარგონის ლექსიკონი (მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა): თბ., 2005.

ბუდაგოვი, 1971 — Р. А. Будагов. История слов в истории общества, М., 1971.

კვარაცხელია, 2004 — გ. კვარაცხელია, მასმედიის ენა — ყველაფერი ნებადართულია? // „საქართველოს რესპუბლიკა“, № 84, 14 აპრილი, 2004.

კოლესოვი, 2004 — В. В. Колесов. Язык и ментальность. Санкт-Петербург, 2004.

ლექსიკონი, 2001 — А. М. Баранов, Д. О. Добровольский, М. Н. Михайлов, П. Б. Паршин, О. И. Романова, Англо-русский словарь по лингвистике и семиотике, М., 2001.

ლომათიძე, 2005 — ქ. ლომთათიძე, როდის ამდიდრებს კალკები ენას და როდის აღარბებს? // გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2, თბ., 2005, 18-33.

ოჟეგოვი, 1983 — С. И. Ожегов, Словарь русского языка, М., 1983.

ორუელი, 1992 — Дж. Оруэлл, Литература и тоталитаризм. // Дж. Оруэлл, Эссе, статьи, рецензии. М., 1992. Т. 2.

სერიო, 1985 — P. Sériot. Analyse du discours politique soviétique, Paris: Institut d'Études Slaves, 1985.

ჰორნბი, 1983 — A. S. Hornby with assistance of Christina Ruse. Oxford student's dictionary of current English, Oxford, 1983.

SALOME OMIADZE

Foreign Words – Alien Mentality in National Discourse

Summary

In Modern Georgian discourse new foreign words a) disguise the truth and reality; b) present the denotat as vague and obscure; c) are characterized by non-equivalent replacement; d) conceptually do not correspond to the Georgian mentality.

მანანა რუსიუშვილი

ერვინგ გოფმანის თეორიის ეპოლუციის თაობაზე

ერვინგ გოფმანის თეორიის საინტერესოა როგორც თავისთავად, ასევე იმიტაც, რომ მისმა ნაშრომმა განვითარება პოვა თანამედროვე ენათმეცნიერების ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებში, როგორცაა ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა და თავაზიანობის თეორია.

სტატიის მიზანია თვალი მიადევნოს გოფმანის კონცეფციის ძირითად მომენტებს და მათი განვითარების თავისებურებებს ზემოთ ნახსენებ კონტექსტში.

სოციოლოგი ერვინგ გოფმანი არ განეკუთვნება პროდუქტიული მკვლევრების რიცხვს. თუმცა მან სულ რამდენიმე ესე მიუძღვნა სოციალური ურთიერთობის საკითხებს, მისი დამსახურებაა დღეს პოპულარული კონცეპტების „სახე“, „სახის საჭიროების სტრატეგიების“ შემოტანა ენათმეცნიერებაში, ასევე ყურადღების გამახვილება ადამიანის ქცევის როლზე სოციალური ცხოვრების რიტუალურ წესრიგში (გოფმანი, 1967). ქართულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მართალია, გვხვდება მეტად საინტერესო მსჯელობა სახის, სახის ნორმებისა და სახის საჭიროებების შესახებ სპეციფიკურ კონტექსტებში. (გოგოლაშვილი, გოქსაძე, 2002; რუხაძე, 2002; ჭანტურია, 2002), მაგრამ სათანადოდ არ ჩანს თვით გოფმანის წვლილი თავაზიანობის თეორიისა და ინტერაქციული სოციოლინგვისტიკის განვითარებაში. აქედან გამომდინარე, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, გოფმანის ნაშრომებზე დაყრდნობით გავარკვიოთ, რას გულისხმობს მათი ავტორი ტერმინებზე „მე“, „სახე“, „სახის საჭიროება“ საუბრის დროს და რა მოდიფიკაცია განიცადეს ამ კონცეპტებმა ბრაუნისა და ლევინსონის (ბრაუნი და ლევინსონი, 1987) მოდელში. ასევე, რითია დავალებული გოფმანისაგან გუმპერსის ინფერენციის კონტექსტური მოდელი (გუმპერსი, 1985).

საკუთრივ გოფმანის კონცეფცია ეყრდნობა და შემოქმედებითად ავითარებს მანამდე ცნობილ თეორიებს სოციალური ფაქტების, რე-

ლიგის პრიმიტიული ფორმების (დურკჰაიმი,) და „მე“-ს ჩამოყალიბების შესახებ (ჯ.პ. მიდი). (შიფრინი, 1994)

გოფმანის მიხედვით, „მე“ არის სოციალურ-ინტერაქციული კონსტრუქტი, რომლის ასეთად ქცევის გზაა გოფმანისავე „სახის“ ცნება. „სახე“ წარმოგვიდგება როგორც პოზიტიური სოციალური ღირებულება, რომელსაც ადამიანი საკუთარ „მე“-ს უქმნის საზოგადოებაში. გოფმანის თეორიაში „მე“-სა და „სახის“ შექმნა და შემდეგ მისი შენარჩუნება სოციალური ურთიერთობის პირობაა და არა მისი თვითმიზანი. სოციალურად აქტიურ ადამიანს სახის შენარჩუნებაში ეხმარება ინტერპერსონალური რიტუალების სისტემა, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსაუბრეს აირჩიოს კონკრეტული სტრატეგია. კერძოდ, თავი აარიდოს მოსაუბრეს, დაიცვას საკომუნიკაციო აქტისათვის მისაღები სოციალური მანძილი, ან, პირიქით, დაუდასტუროს რეციპიენტს საკუთარი აზრი მასზე ან კონკრეტული სიტუაციის შესახებ. ამ კონტექსტში გოფმანი მსჯელობს თავის არიდებისა და პრეზენტაციის რიტუალებზე, რომლებიც მოსაუბრეს ეხმარება, საკუთარი საჭიროების მიხედვით, მეტყველების აქტის სპეციფიკიდან გამომდინარე, აირჩიოს კონკრეტული სტრატეგია, წარმოაჩინოს „მე“-ს დადებითი ასპექტები ან მოახდინოს თავისი ძალაუფლების დემონსტრირება. გარდა ამისა, ამავე ფუნქციისათვის გოფმანს მნიშვნელოვნად მიაჩნია კონკრეტული სამეტყველო აქტის ფონის სპეციფიკა და სამეტყველო აქტის დროს კომუნიკანტთა სოციალური როლების გადაწოდების პარამეტრები.

ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გოფმანი თავის ოთხ ესეში მსჯელობს. (გოფმანი, 1967). შემდგომ კი იგი ინტერესდება ე.წ. „თამაშების თეორიით“, რომელზე დაყრდნობითაც იგი ავითარებს „დრამატურგიულ მეს“ კონცეპტს, რომელიც განსხვავდება ადრინდელი „რიტუალური მე“-საგან.

როგორც აღვნიშნეთ, გოფმანის „მე“ და „სახე“ ჯდება ავტორის მიერ დანახული სოციალური წესრიგის კონცეფციაში, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ინდივიდუალურისა და სოციალურის უნიკალურ კავშირს. გოფმანი აღიარებს, რომ ცალკეული კულტურა ან ინდივიდი შეიძლება ხასიათდებოდეს უნიკალური თვისებებით, რასაც იგი ხსნის ზოგადადამიანური ელემენტების უნარით არასტანდარტულად განლაგდნენ ცალკეულ შემთხვევებში, მაგრამ სამეტყველო აქტი ვერ მიიჩნევა წარმატებულად, თუ იგი არ დაეფუძნა საზოგადოებაში გა-

მეფებულ რიტუალურ პრინციპებს. ანუ ცალკეული ვარიაციები ეყრდნობა გარკვეულ კანონზომიერებებს და მათ ფარგლებში მიმდინარეობს. შესაბამისად, ვარიაციის ნებისმიერი კერძო შემთხვევის დროს ინდივიდს სოციალურად წარმატებულის სტატუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიენიჭება, თუ იგი დაემორჩილება გარემოში მოქმედ თვითრეგულირებად პრინციპებსა და რიტუალებს და აღიარებს მათ სოციალურად განპირობებულობას, რომელზე დაყრდნობითაც, თანამედროვე ტერმინოლოგიით, ხდება ადამიანის ფრეიმული გამოცდილების სტრუქტურირება.

გოფმანის სოციალური მორალი, მსგავსად დურკჰაიმისა, სოციალური სოლიდარობის იდეას ეფუძნება, რომლის მიხედვით, ადამიანის უფლებები და მოვალეობების სისტემა ეყრდნობა საგნებისა და ადამიანებისადმი კოლექტიური აზროვნების მიერ მიწერილ ღირებულებებს. საბოლოო ჯამში კი რიტუალი სიცოცხლისუნარია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას აღიარებს ინდივიდიც და საზოგადოებაც. გოფმანი არ გამოიციხავს, რომ მეტყველი სუბიექტის სახის რღვევის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს ინდივიდის ცნობიერებაში ინდივიდუალურის სოციალურისადმი დაქვემდებარება (ან, პირიქით, დაუმორჩილებლობა, ამბოხი). გოფმანის ინდივიდუალისტურ პერსონას, რომელიც მუდმივად ფიქრობს სახის შენარჩუნებაზე და ამისათვის შესაბამისი თამაშის წესებს ქმნის, აზის ანგლო-საქსური კულტურის უპირველესი ღირებულების ბეჭედი — იგი დამოუკიდებელია და ცდილობს პირადულის დაცვას (**my home is my castle!**). ეს მომენტი გოფმანის თვალსაზრისის კრიტიკის მიზეზი ხდება ხოლმე, მაგრამ გოფმანის „სახის“ განმარტებიდან ცხადია, რომ მასში არა მხოლოდ ინდივიდუალისტური წარმოჩინდება, არამედ კოლექტიურიც. მის თეორიაში ინდივიდუალისტი პერსონა მხოლოდ სოციალურთან ერთად არსებობს. (**Face is the positive value a person effectively claims for himself by the line others assume he has taken during a particular contact. Face is something that is diffusely located in the flow of events in the encounter and becomes manifest only when these events are read and interpreted for the appraisals expressed in them.... feelings are attached to self, and a self expressed through face...** გოფმანი, 1971). „სახის“ წარმოჩენა დამოკიდებულია კომუნიკანტთა ურთიერთშეფასებაზე — სახე კომუნიკაციის პროცესში იქმნება. თვით- და ურთიერთშეფასება რაციონალურთან ერთად, ემოციურიც არის, რადგან „სახის“ ნებისმიერი რღვევა ემოციებს

(ბრაუნს, გულისწყრომას) იწვევს (ბარჯიელა-ჩიაპინი, 2003).

გოფმანი სახის შენარჩუნებისათვის შექმნილ წესებს მოძრაობის წესებს აღარებს, აქედან გამომდინარე, ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რას გულისხმობს ავტორი სოციალური ურთიერთობის მეტაფორაში. აქედანვე იხსნება მისი **face-work**-ის არსი. ეს არის ადამიანის სოციალური ქმედებებისა და „სახის“ მოთხოვნების ურთიერთშეხამება, ანუ სოციალურ კონტექსტში სახის შენარჩუნების სტრატეგიები. ეს სტრატეგიები საზოგადოებისა და კულტურის მიხედვით განსხვავდება და გულისხმობს როგორც საკუთარი, ისე სხვისი სახის დაცვას (აქვე გოფმანი აგრესიულ სტრატეგიებზეც საუბრობს, რომლებიც აზრის აგრესიულ ფორმაში გამოხატვას გულისხმობს). სახის სტრატეგიები მხოლოდ სოციალურ გარემოში არსებობს, სოციუმის მიერაა თავსმოხვეული და განსაზღვრული წესებით იმართება, რაც ქმნის თვითშეფასებისა და სხვათა შეფასების ემოციურ და რიტუალურ პრაქტიკას.

თუკი ინტერპერსონალური ქცევა აერთიანებს სახესა და **face work**-ს, ანუ სახის შენარჩუნებისათვის მოწოდებულ სტრატეგიებს, და თუ ეს უკანასკნელი კომუნიკაციის ინტეგრალური ასპექტია, მაშინ ის თავაზიანობის თეორიის სინონიმადაც კი შეიძლება იხმარებოდეს (ბარჯიელა-ჩიაპინი, 2003). განსხვავებული კულტურების ამ თვალსაზრისით შედარებამ შეიძლება გამოავლინოს მსგავსებები (ანუ სხვადასხვა კულტურისათვის საერთო, ფიქსირებული სტრატეგიები) და განსხვავებებიც. გოფმანი ვარაუდობს, რომ საკუთარი და მოსაუბრის სახის დასაცავად მომარჯვებული სტრატეგიები კონტექსტში თანადროულად მოქმედებს და სახის სოციალურ ღირებულებას ამადლებს. აქედან ცხადია, რომ გოფმანთან იდეალური მოსაუბრე არა მხოლოდ საკუთარი სახის შენარჩუნებაზე ფიქრობს, არამედ მსმენელისაზეც. მისი კონცეფცია, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ურთიერთობის თეორიაა და არა თავაზიანი ქცევის წესების კოდექსი. ამდენად, მას თავაზიანობის ნორმებზე საუბარი იმდენად სჭირდება, რამდენადაც ეს მის ძირითად მიზანს — ურთიერთობის ინტერაქციულ მოდელს წაადგება.

გოფმანის „სახისა“ და „სახის სტრატეგიების“ კონცეპტებმა საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა თავაზიანობის თეორიის ავტორების პ. ბრაუნისა და ს. ლევისონის ნაშრომზე, რომელსაც ავტორები ერთნაირად გოფმანის ხსოვნას უძღვნიან (ბრაუნი, ლევისონი, 1987) ბრაუ-

ნი და ლევისონი აღნიშნავენ, რომ „სახის“ მათეული ინტერპრეტაცია ე. გოფმანისა და ინგლისური ხალხური ტერმინის სინთეზია (ბრაუნი, ლევისონი, 1987). ე. გოფმანი არ არის ერთადერთი სოციოლოგი, რომელსაც ბრაუნი და ლევისონი დაეყრდნენ თეორიის ჩამოყალიბებისას. მათი თეორია დავალებულია ასევე ე. ლურკაპიმისგან, საიდანაც მოდის მათი დადებითი და უარყოფითი სახისა და დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის დიქტომიები.

ბრაუნისა და ლევისონის თეორიაში გოფმანის „სახის“ ინდივიდუალისტური ასპექტი უკიდურესად განვითარდა და საბოლოოდ მათ ეთნოცენტრულ ინტერპრეტაციაში ნებისმიერი მეტყველების აქტი პოტენციურად დამაზიანებელია სახისათვის. გოფმანის ნაზრევში, როგორც ვნახეთ, ეს ასე არ არის. ამის გამო ბრაუნისა და ლევისონის მოდელში კომუნიკანტები ანტისოციალურად წარმოჩნდებიან, რისთვისაც ამ მოდელს მკაცრად აკრიტიკებენ (უერკოფერი, 1992). აკრიტიკებენ მას ასევე უნივერსალურობის პრეტენზიის გამო და იმიტომაც, რომ იგი ენებსა და კულტურებს ცალსახად დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის სისტემების კულტურებად ყოფს. შემდგომმა კვლევებმა ცხადყო, რომ მკვეთრად გავლებული ზღვარი დადებით და უარყოფით თავაზიანობის კულტურებს შორის არ არსებობს. როგორც ევროპული, ისე არაევროპული კულტურები ორივე ელემენტის არსებობით ხასიათდებიან და შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ გარკვეულ კულტურაში მათი ჭარბად ან ნაკლები წონით გამოვლინებაზე (ბლუმ-კულკა და სხვები, 1989). მაშასადამე, რელევანტური კვლევისათვის სასურველია **a priori** ვალიაროთ, რომ ვიკვლევთ არა იმას, ესა თუ ის კულტურა დადებითი თავაზიანობისაა თუ უარყოფითი, არამედ იმას, თუ რომელი ელემენტი სჭარბობს კონკრეტულ შემთხვევაში, სტრატეგიული თუ სოციალურად ინტეგრირებული. დღეს ფიქრობენ, რომ პირველი მათგანი ჭარბადაა ევროპულ კულტურებში, ხოლო მეორე დამახასიათებელია უპირატესად არაევროპული კულტურებისათვის.

მართალია, ბრაუნი და ლევისონი მსჯელობენ გოფმანისეულ თავის არიდების, შესწორების, აგრესიულ რიტუალებზე, მაგრამ ჩრდილში რჩება კოოპერაციის ისეთი სტრატეგიები, რომლებსაც გოფმანი ასევე მიიჩნევს სახის ქმედების გამოვლინებებად. ასეთია, მაგალითად, „დათმობის სტრატეგიებად“ სახელდებული სტრატეგიები: ტაქტი, ორმხრივი თვითუარყოფისა და ნეგატიური „ვაჭრობის“ (**bar-**

gaining) სტრატეგია. გოფმანი მათაც სოციალური ინტერგრაციის ძირითად წესებს მიაკუთვნებს (გოფმანი, 1967). ბრაუნისა და ლევინსონის მოდელში მათი წარმოჩენა მოდელს მეტ სისრულეს მიანიჭებდა.

ბრაუნისა და ლევინსონის მოდელის კრიტიკა, თუმცა ირიბად, მაინც შეეხო გოფმანსაც. კერძოდ, კრიტიკის მიზეზი გახდა ის, რომ ბრაუნისა და ლევინსონის მოდელი ძნელად ერგება არაეფროპულ კულტურულ მოდელებს. ბრაუნისა და ლევინსონის სასარგებლოდ შეიძლება ითქვას, რომ ავტორები ხშირად მიუთითებენ, რომ მათ თეორიას აქვს გარკვეული პრეტენზია უნივერსალურობაზე, მაგრამ, ამავე დროს, ისინი უშვებენ კულტურული ვარიაციების შესაძლებლობასაც. გოფმანის თეორიის თავაზიანობის მოდელის კონტექსტში თუნდაც ირიბი კრიტიკაც კი უსამართლოდ მიმაჩნია, რადგან სამივე თეორიული მოდელის შესწავლა ცხადყოფს, რომ მიუხედავად გარკვეული მსგავსებისა, (მაგალითად, კონცეპტები — სახე, სახის სტრატეგიები, დადებითი და უარყოფითი თავაზიანობა), ბრაუნისა და ლევინსონის მოდელი განსხვავდება კიდევ გოფმანის მოდელისაგან. გოფმანის „თავის არიდების“ რიტუალი ბრაუნისა და ლევინსონის თეორიაში იქცა „უარყოფით ზრდილობად“, რომელსაც დაეყრდნო ავტორების „უარყოფითი სახის“ კონცეპტური კონცეპტი. „უარყოფითი სახის“ ბრაუნისა და ლევინსონისეული კონცეპტური ინტერპრეტაცია არ ემთხვევა გოფმანის სოციალურ კონცეპტს, რომელიც, როგორც დავინახეთ, აღიარებს სოციალურისა და ინდივიდუალურის ერთიანობას.

ბრაუნისა და ლევინსონის თეორიის კრიტიკა მიმართულია ასევე უარყოფით სახესა და უარყოფით თავაზიანობისკენ, რადგანაც სწორედ ეს კონცეპტები აღმოჩნდა შემდგომ კულტურული რელატივიზმის გამოვლენის ასპარეზი.

ორივე თეორიის შესწავლა მარწმუნებს, რომ თუმცა ბრაუნისა და ლევინსონის „უარყოფითი სახე“ კავშირშია გოფმანის „თავის არიდების“ რიტუალთან, და ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს სუბიექტს თავი აარიდოს თავისი სახისათვის სახიფათო სიტუაციებს, მაგრამ იგი არა ხასიათდება ისეთი კატეგორიულობით, როგორც ბრაუნისა და ლევინსონის „უარყოფითი სახე“, რომელიც გულისხმობს მოქმედების თავისუფლებას და დემონსტრაციულ პროტესტს ჩარევისა და ძალადობის წინააღმდეგ და ნებისმიერ სამეტყველო აქტს სახისათვის სახიფათოდ მიიჩნევს. ჩემი აზრით, სწორედ ეს წარმოშობს ამ თეორიის აქტანტის ანტი-სოციალურ სახეს.

რაც შეეხება გოფმანის გავლენას გუმპერსის თეორიაზე, გოფმანის დამსახურებად, ამ თვალსაზრისით, შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გუმპერსის სიტუაციური ინფერენციის მოდელი, ფაქტობრივად, ეფუძნება გოფმანის სიტუაციური ინფერენციის იდეას (გუმპერსი, 1982). გოფმანის თეორიაზე დაყრდნობით, გუმპერსი აგებს მსმენელის მოდელს, სადაც მიმდინარეობს მსმენელის მიერ მოსაუბრის კონტექსტური პრესუპოზიციების ჯერ ამოცნობა, ხოლო შემდეგ მათი დეკოდირება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ გოფმანისა და გუმპერსის თვალსაზრისის შეწყვილება ქმნის წინაპირობას სიტუაციური კონტექსტების გასაშიფრად.

ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილი არგუმენტები საკმარისია ერვინგ გოფმანის თეორიის გასამიჯნად ბრაუნისა და ლევინსონის თეორიისაგან, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, გუმპერსის თვალსაზრისისაგან, ასევე ამ მოდელების სპეციფიკის წარმოსაჩენად.

ლიტერატურა

ბარჯიელა-ჩიაპინი, 2003 — Bargiela-Chiappini, F. Face and Politeness: New (insights) for old (concepts). Journal Of Pragmatics 35,2003.

ბლუმ-კულკა და სხვები, 1989 — Blum-Kulka, S., House, J., & Kasper, G., (Eds) . Cross-cultural pragmatics : Requests and apologies. Noewood, NJ: Ablex.

ბრაუნი და ლევინსონი, 1987 — Brown P ., Levinson, S., Politeness: some Universals in Language Usage. Cambridge University Press, Cambridge, pp. 56-289.

გოფმანი, 1967 — Goffman, E. Interaction Ritual. Essays on Face-to Face Behaviour. Allen Lane: The Penguin Press.

გოფმანი, 1971 — Goffman, E. Supportive interchanges. In : Relation in Public. New York: Basic Books, pp.62-94.

გოგოლაშვილი, 2002 — თ. გოგოლაშვილი, სახის ღირებულებები საგაზეთო კომუნიკაციაში. საენათმეცნიერო ძიებანი. XII. 2002.

გოქსაძე ლია, 2002- გოქსაძე, ლ. სოციოლინგვისტური ტერმინი „სახე“ და ასპექტის კატეგორია. საენათმეცნიერო ძიებანი. XII, 2002. **გოქსაძე ლილი, 2002** — ლ. გოქსაძე, ყოფითი ღირებულებანი და ნორმათა რღვევა როგორც „სახის“ დაკარგვის საშიშროების შემქმნელი ლინგვისტური ქმედება. საენათმეცნიერო ძიებანი. XII,

2002. **გუმბერსი, 1982** — Language and Social identity. Cambridge: Cambridge University Press.

ჭანტურია, 2002 — ლ. ჭანტურია, „სახე“ და მოდალობა. საენათმეცნიერო ძიებანი. XII, 2002.

შიფრინი, 1993 — Shiffrin, D. Approaches to Discourse. Blackwell Publishers. pp.97-135.

უერკჰოფერი, 1992 — Werkhofe, K.T. Traditional and modern views: the social constitution and the power of politeness. In: Watts, R.J., Ehlich, K (Eds), Politeness in Language: Studies in Its History, Theory and Practice. Mouton de Gruyter, Berlin and New York, pp.1-20.

MANANA RUSIESHVILI

On the Evolution of E. Goffman's Theory

Summary

The paper discusses E. Goffman's theory and surveys its evolution within the framework of politeness theory and interactional sociolinguistics. Similarities and differences between Goffman's, Brown and Levinson's and Gumpartz's theoretical models have been stated.

ნანა სახაჩიძე

ობიექტურ პირთა რიცხვის კატეგორიის ფორმირება ზმნაში

სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული კატეგორიებია და თითოეული მათგანი საკუთარი ნიშნებითაც არის გამოხატული. ამას ადასტურებს მათი რიცხვის მარკირება ზმნაში. როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში სამივე აქტანტს აქვს რიცხვის გარჩევის ფუნქციაც და შესაბამისი მარკერიც. თუმცა ისტორიულად ამ მარკერთა ფორმირებამ ხანგრძლივი პერიოდი განვლო.

ობიექტურ პირებთან დაკავშირებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ძველსა და ახალ ქართულს შორის არის რიცხვის გამოხატულების ცვლილება. ძველ ქართულში სახელობითში მდგარი სახელის მრავლობითობა ჩვეულებრივ აღინიშნებოდა ზმნაში, ხოლო თუ ობიექტი (პირდაპირი იქნებოდა ის, თუ ირიბი) მიცემითში იდგა ან - ებ სუფიქსით აღინიშნებოდა მისი მრავლობითობა, მაშინ ზმნაში მრავლობითობის აღმნიშვნელი აფიქსი არ გამოიხატებოდა. მაგალითად:

აწმყო: შემძინებს იგი მე მას
შემძინებს იგი ჩუენ მას

გამონაკლისს წარმოადგენს პირველი ობიექტური პირი, რომელსაც ერთმანეთის გვერდით და პარალელურად მოეპოვება მ- პრეფიქსიანი წარმოებაც და გუ- პრეფიქსიანიც (შემძინებს — შეგუძინებს; მძულს — გუძულს). ნ. მარისათვის გუ- არის „მრავლობითის სპეციალური ნაცვალსახელური ფუძე“: გ← გ— (ვიე). ერთი თვალსაზრისის მიხედვით, რომელსაც იზიარებენ ა. შანიძე, ივ. იმნაიშვილი, ალ. ონიანი და სხვები, აქ გარჩეული უნდა ყოფილიყო ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია. ინკლუზივი, რომლის ნიშანი უნდა ყოფი-

ლიყო გუ— (ნიშნავს ზმნის ფორმაში მეორე პირის ჩარიცხვას). ექსკლუზივი, რომლის ნიშანი უნდა ყოფილიყო მ— პრეფიქსი — ნიშნავს კონსტრუქციაში მეორე პირის ამორიცხვას.

„მამაო ჩვენო... პური ჩვენი არსობისა **მომეც** ჩუენ დღეს“

მომეც შენ ჩუენ იგი — აქ გამორიცხულია, ირიბი ობიექტი იყოს მეორე პირი, ვინაიდან სუბიექტი არის მეორე პირი. „ჩუენ“ ნიშნავს მე და მას ან მე და მათ. ამიტომ „მომეც“ ფორმა ისტორიულად უნდა გამოხატავდეს ექსკლუზივს, რაც ზმნაში გამოხატულია მ- აფიქსით.

შესაბამისად, რომელიმე „მიგუცა“ ფორმა იქნებოდა ინკლუზივის გამომხატველი. პირები ასე შეეწყობოდა — ჩვენ = მე და შენ/თქვენ. განზოგადება იმისა, რომ მ- პრეფიქსიანი ფორმები ყოველთვის ექსკლუზივის გაგებას გვაძლევდა, ხოლო გუ- პრეფიქსი ინკლუზივისას, არ შეიძლება, მაგრამ ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ, ერთი თვალსაზრისის მიხედვით, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ახასიათებდა საერთო ქართველურს. ძველ ქართულში კი გადმონაშთის სახითაა შემორჩენილი. მეგრულში დაიკარგა, სვანურში კი დღემდეა შემონახული არა მარტო ობიექტურ პირთათვის, არამედ სუბიექტურისათვისაც.

ამ თვალსაზრისის იზიარებს და ავითარებს დამანა მელიქიშვილიც: „ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის პრეფიქსით გამოხატვა (რაც ანომალიაა), გამოწვეულია იმით, რომ გვ- (<გუ-> <გმ->) პრეფიქსი წარმოშობით ინკლუზივის (გ+მ= O₂+O₁) ნიშანია, რომელიც თავისთავად ერთზე მეტ პირს გამოხატავდა და სწორედ ამის გამო ქართული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ქართული ზმნის პირთა გამოხატვის სისტემაში ინვერსიის პროცესის შედეგად მრავლობითი რიცხვის ნიშნად იქნა გაგებული...“ (მელიქიშვილი, 2001, 16).

არნ. ჩიქობავა გუ- პრეფიქსს მხოლოდ პირის ნიშნად მიიჩნევს, გამორიცხავს ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირებასაც. ამის მაგალითად მოჰყავს გან-გუ-აახლ-ნ-ა ტიპის ფორმები: „ინკლუზივის ფორმანტი მრავლობითის ნიშანიც არის, მრავლობითობის სხვა სუფიქსი ასეთ შემთხვევაში ზედმეტია და უადგილო. მ.შ. თუ გუ- პრეფიქსი ინკლუზიური შინაარსისაა, მრავლობითობის -ნ სუფიქსისათვის ადგილი არ რჩება. მაგრამ რაკი -ნ-ს საკითხი ეჭვმიტანულად წყდება, გუ- პრეფიქსის მრავლობითობა გამორიცხულია. არც ინკლუ-

ზიური და არც ექსკლუზიური შინაარსი მას არ შეიძლება ჰქონდა ძველ ქართულში. გუ- ისევე არაა მრავლობითობის პრეფიქსი, როგორც მ-. „მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს სუფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრის კუთვნილებაა. გუ- გაცილებით ძველია, ვიდრე მ-. ამას მოწმობს ხანმეტი ძეგლებიც, სადაც ხშირად გვხვდება გუ- პრეფიქსი და არც ერთხელ მ-. ჰაემეტ ძეგლებში კი ეს ორი სუფიქსი უკვე გათანაბრებულია (ჩიქობავა, 1946, 56.).

მიცემით ბრუნვაში დასმული მეორე და მესამე პირის მრავლობითობის გამოსახატავად -თ სუფიქსი პირველად ჩანს მეცამეტე საუკუნით დათარიღებული ისტორიული საბუთების ენაში. მოგვიანებით ზმნაში ერთდროულადაა გამოვლენილი სუბიექტის მხოლობითი რიცხვის -ს და ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი -თ სუფიქსები. -სთ კომპლექსი პირველად ჩნდება XVI საუკუნით დათარიღებულ ისტორიულ საბუთებში. სავარაუდოა, ამ კომპლექსის შექმნა ამ დროისათვის ხელოვნურად, გარკვეული მკაცრი ენობრივი ნორმის დაცვით ხდებოდა, რადგან საშუალო ქართულშივე ჩანს სწრაფვა ამ კომპლექსის გასამარტივებლად. ეს ბუნებრივია, რადგან ფონოლოგიურად ამ კომპლექსის არსებობა დაუშვებელია.

საშუალო ქართულისთვის დამახასიათებელი ერთი გრამატიკული მნიშვნელობის ნაირგვარად გამოხატვა კარგად ჩანს ობიექტური პირის მრავლობითობის გადმოცემაშიც.

ერთმანეთის პარალელურად იჩენს თავს ერთი და იმავე მორფოლოგიური ფუნქციის გამოხატვის ნაირსახეობანი (-თ// - ან// - ენ// -ყე). ამ პარალელურ ფორმათაგან აშკარაა წიგნიერი -თ სუფიქსის პრიმატობა და ამდენად, მისი დამკვიდრების ცდა სალიტერატურო ენაში.

გამოდის, რომ ჯერ გვაქვს -თ სუფიქსი მრავლობითი რიცხვის აღსანიშნავად, მერე ჩნდება -სთ კომპლექსი, და ბოლოს ისევ -თ სუფიქსი მკვიდრდება გამარტივების გზით (-თ> -სთ > -თ).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, -ებ სუფიქსიანი მრავლობითი ვერ აჩენდა ძველ ქართულში მრავლობითის ნიშანს. ასეთი განსხვავება -ნ და -ებ სახელობითს შორის იმით იყო გამოწვეული, რომ პირველი ორგანულად უკავშირდება ზმნაში მრავლობითობის მესამე სუბიექტური პირის ნიშნებს: -ენ// -ან// - ნ სუფიქსებს, რომლებიც ისტორიულად მრავლობითობის ნიშნებად უნდა იქნენ მიჩნეულნი, ხოლო -ებ სუფიქსი სულ სხვა ფორმაციისა და სხვა დიალექტური წრიდან უნ-

და მომდინარეობდეს.

რაც შეეხება პირველი ობიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვას, **გუ**-ს, როგორც ჩანს, მრავლობითობის გამოხატვა არ ეკისრებოდა. საშუალო ქართულში იყო ცდა გუ- პირის ნიშნად გაფორმებულ იყო, ხოლო -თ — რიცხვის ნიშნად. დასტურდება მსგავსი ფორმები:

და — გუ — იმალია — თ.

თანამედროვე ქართულში კი **გუ**-ს რიცხვის გამოხატვის ფუნქციაც დაეკისრა.

ამრიგად, თანამედროვე ქართულში ზმნაში რიცხვის გამოხატვა, ძირითადად, -თ სუფიქსიან წარმოებაზე გადავიდა. გამონაკლისს წარმოადგენს მესამე სუბიექტური პირი.

ლიტერატურა:

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

ჩიქობავა, 1946 — არნ. ჩიქობავა, მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპებისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე, I, თბ., 1946.

ონიანი, 1978 — ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978.

სარჯველაძე, 1997 — ზ. სარჯველაძე ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

უთურგაიძე, 2002 — თ. უთურგაიძე გრამატიკული კატეგორიებისა და მათი მიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

მელიქიშვილი, 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღვლების სისტემა, თბ., 2001.

NANA SAKHECHIDZE

Formation of the Category of Number of Objective Persons in Verbs

Summary

As is known, the Georgian verbs is polypersonal and it can take one, two or three persons. Hence, typologically the Georgian verb differs greatly from those of Indo-European languages. Quite often Subjective and Objective persons of Georgian verbs reveal similar syntactic force. Like the Subjective person, the Objective person can govern the verb in person and agree with it in number. Because of morphological changes the person and number markers of the Objective person may not be expressed, in this case they are marked by zero allomorphs.

The subject, direct and indirect objects are independent categories, hence, it is natural that in the rank system they occupy distinct positions.

გარინა სიორიძე

კონცეპტი როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კატეგორია

სიტყვა „კონცეპტის“ (ლიხაჩოვი, სტეპანოვი, ლიაპინი, ნეროზნაკი, არუთიუნოვა) და მისი პროტერმინოლოგიური ანალოგების — ლინგვოკულტურემა“ (ვორობიოვი), „მითოლოგემა“ (ბაზილიევი), „ლოგოეპისტემა“ (ვერეშჩაგინი, კოსტომაროვი, კოსტომაროვი-ბურვიკოვა) აქტიურად გამოიყენება ლინგვისტურ ლიტერატურაში დაიწყეს 90-იანი წლებიდან. კონცეპტის ტრადიციული ლოგიკური შინაარსის გადასინჯვა და მისი ფსიქოლოგიზაცია დაკავშირებულია, პირველ რიგში, ჰუმანიტარული ცოდნის მეცნიერული პარადიგმის შეცვლასთან, რაც დაიწყო გასული საუკუნის ბოლოს, როდესაც გაჩნდა ანთროპოცენტრული, ფუნქციონალური პარადიგმა, რომელმაც დაუბრუნა ადამიანს „ყველა საგნის ზომიერების“ სტატუსი, დააბრუნა იგი სამყაროს ცენტრში, და როდესაც ლინგვისტების კვლევითმა ინტერესმა ენის იმანენტური სტრუქტურებიდან გადაინაცვლა მისი გამოყენების პირობებზე, ჭადრაკის თამაშის სოსიურისეული წესებიდან — თვით მოთამაშეებზე.

ახალი ტერმინის შექმნის აუცილებლობა, რომელმაც მოახდინა ლექსიკოგრაფიული და ენციკლოპედიური ინფორმაციის სინთეზირება, რომლის სემანტიკაშიც შეერწყმებოდა დენოტაცია და კონოტაცია, სიტყვის „უახლოესი“ და „შემდგომი“ მნიშვნელობა, ცოდნა სამყაროსა და მისი შემცნობი სუბიექტის შესახებ, აიხსნება კონცეპტური ლინგვისტიკის მოთხოვნებით, რომელსაც მთელი ყურადღება მიპყრობილი აქვს ლინგვისტური და ფსიქოლოგიური მონაცემების თანაშეფარდებაზე და რომლისთვისაც ცნების კატეგორიით სარგებლობა კლასიკური, „უწესო“ სახით ამკარად არასაკმარისი აღმოჩნდა.

თუ საკუთრივ ენის და მეცნიერული ინფორმაციის სინთეზი კონკრეტული რეალიტეტისათვის მიმართული ლექსემების სემანტიკაში საკმაოდ ძნელი და ნაკლებად პროდუქტიულია (შეად. წყალი „რო-

გორც სითხე, რომელიც ავსებს ზღვებსა და მდინარებს“ და მისი ქიმიური და ფიზიკური განსაზღვრა), კულტურული და მსოფლმხედველობრივი კატეგორიების სემანტიკაში მსგავსი შერწყმა ევრისტიკულად სავსებით გამართლებულია.

სიტყვა „კონცეპტის“ გამოჩენა საენათმეცნიერო დისკურსში მოწმობს მხოლოდ ამ უკანასკნელის მიკუთვნებას გარკვეული მეცნიერული სკოლისადმი („ჰერმენევტიკული“, „ლინგვოკულტუროლოგიური“ და სხვ.) ანდა, კერძოდ რომელიმე მეცნიერული მიმართულებისადმი — უპირატესად კონცეპტურისადმი; მაგრამ იმისათვის, რომ კონცეპტი პროტერმინიდან იქცეს ტერმინად, აუცილებელია მისი ჩართვა კონკრეტული „მსჯელობის უნივერსუმში“, შესაბამისი მეცნიერული თეორიისა და შესატყვისი ცოდნის დარგის დადგენა კონტექსტში. პრეტენზიის გარეშე ორიგინალური სემანტიკური თეორიის შექმნასა ან ლინგვისტური მეცნიერების გამდიდრებაზე ახალი ტერმინით, შეიძლება სიტყვა „კონცეპტის“ მნიშვნელობის განსაზღვრა ისე, როგორც იგი შეიქმნა მისი გამოყენებიდან ლინგვისტურ ტექსტებში, მით უმეტეს, რომ სიტყვების განსაზღვრა, დეკარტის აზრით, იხსნიდა მსოფლიოს, ნახევრად მაინც, შეცდომებისაგან.

კლასიკური, არისტოტელესეული გაგებით ცნების განსაზღვრა ნიშნავს მისი უახლოესი სახეობის დადგენას, რაც ლინგვისტურ ფორმულირებაში არსებითად არის გარკვეული სინონიმური რიგის ერთეულების აღწერა („დისიმილაცია“). კონცეპტის შემთხვევაში უახლოეს სემანტიკურ „მეზობლებად“ გვევლინებიან ცნება, (ზოგადი) წარმოდგენა და მნიშვნელობა/აზრი, რომელთა დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა არა უბრალოდ მათი მიკუთვნება იდეალურისადმი, საითკენაც მიმართება ყველა აბსტრაქცია, არამედ მისი მიზნის ნაწილი, სადაც ხდება აზრის რეფლექტირება — თავის თავზე მიმართვა, სადაც შეცნობის სუბიექტი ემთხვევა საკუთარ ობიექტს, ხოლო ამ სუბიექტის ონტოლოგია — მის გნოსეოლოგიას, სადაც სკოლარული კალამბური „განსხვავება კონცეპტის ცნებასა და ცნების კონცეპტს შორის“ (*différence entre la notion de concept de notion*) იღებს სემანტიკური პრობლემის სტატუსს და შეიძლება გაფართოვდეს და გაგრძელდეს: განსხვავება წარმოდგენის ცნებასა და ცნების წარმოდგენას, მნიშვნელობის ცნებასა და ცნების მნიშვნელობას, მნიშვნელობის კონცეპტსა და კონცეპტის მნიშვნელობას შორის...“ კონცეპტის *differentia specifica*-ს გამოძებნა ნიშნავს არსებითად იმის დადგენას, რით

განსხვავდება მისი ცნება ცნების ცნებისაგან, წარმოდგენის ცნებისა და მნიშვნელობა/აზრის ცნებისაგან.

როგორც ახალ მეცნიერულ ცნებათა უმრავლესობა, კონცეპტი შეიყვანება პათოსის გარკვეული წილით და კოგნიტური მეტაფორის საშუალებით: ეს არის „აზრის მრავალწყობილი ვერწყმა“ და „ყოფიერების აზრობრივი კვანტი“, „კულტურის გენი“, „მნიშვნელობის რაღაც პოტენცია“ და „კულტურის შენადედი ადამიანის ცნობიერებაში“. ეს არის „აზროვნების ოპერაციის ემბრიონი“. კონცეპტები „თითქოსდა დალივლივებენ მათ მატერიალურ და წმინდა სულიერ გამოვლინებათა ზემოთ“. თუმცა მაინც გაურკვეველი რჩება, კონცეპტი ცნების, წარმოდგენის, მნიშვნელობის ფორმაა, თუ ეს რაღაც ხარისხობრივად მათგან განსხვავებული, მით უმეტეს, რომ რეალურ ტექსტობრივ გამოყენებაში ხშირად კონცეპტი, ცნება და მნიშვნელობა ფუნქციონირებენ, როგორც სინონიმები, შეენაცვლებიან ერთმანეთს მონოტონური გამეორების თავიდან ასაცილებლად.

1.1. კონცეპტი — ცნება

თანამედროვე კულტუროლოგიურ და ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომაში კონცეპტისადმი ძირითადია სულიერი ფასეულობის ცნება: საზოგადოების წარმოდგენები სიკეთესა და ბოროტებაზე, სიმშვენიერესა და სიმახინჯეზე, სამართლიანობაზე, ისტორიის მნიშვნელობასა და ადამიანის დანიშნულებაზე..., რაც თავისთავად საკმაოდ სიმპტომატურია, რამდენადაც ფასეულობათა პრობლემა, როგორც წესი, ყოველთვის წამოიჭრებოდა კულტურული ტრადიციის გაუფასურებისა და საზოგადოების იდეოლოგიური საფუძვლების დისკრედიტაციის ეპოქებში, კერძოდ კი, ათენის დემოკრატიის კრიზისმა სოკრატეს წინაშე დააყენა კითხვა: „რა არის კეთილდღეობა?“ ამასთან, კულტურული კომპონენტების მოხმობა და „ფასეულობათა დომინანტების“, „სულიერი კულტურის ტერმინების“ და „ეგზისტენციალურ აზრთა“ ძიება რამდენადმე ნიშნავს მოციქულის მოწოდების — „სულიერი ნაბოძებისთვის თავგამოდება“ — შემეცნებას. ამ მენტალური ერთეულების ფასეულობითი ხასიათის პირდაპირი შედეგია „განცდების გადატანა“, რომლებიც არა მარტო გაიანზრება, არამედ ემოციურადაც განიცდება, წარმოადგენენ რა სიმპათიებისა და ანტიპათიების საგანს, ასევე უნარი ადამიანის სულიერი ცხოვრების ინტენსიფიცირებისა — ამ უკანასკნელის რიტმის შეცვლა აზრის ფოკუსში მოხვედრისას. კულტურული კონცეპტების აქსიოლოგიური შეფერილობის მეორე

შედეგია „სემიოტიკური სიმტიკე“ — გამოხატვის თვალსაზრისით მთელი რიგი ენობრივი სინონიმების (სიტყვებისა და შესიტყვებების), ანდაზების, ფოლკლორული და ლიტერატურული სიუჟეტებისა და სინონიმიზირებული სიმბოლოების (ხელოვნების ნაწარმოებების, რიტუალების, ქცევის სტერეოტიპების, მატერიალური კულტურის საგნების) წარმოჩენა.

1.2. კონცეპტი — წარმოდგენა

ძალიან ხშირად კონცეპტი გაიგებებოდა წარმოდგენასთან მისი ამა თუ იმ გაგებით და დაპირისპირებულია, პირველ ყოვლისა, კონცეპტ-ცნებასთან ისეთი თვისებებით, როგორც არის ინდივიდუალიზირების ხარისხი (სუბიექტურობის) და ხატოვანება.

წარმოდგენა, როგორც სემანტიკური შინაარსის კონცეპტუალიზაციის წესი და ფორმა, ინარჩუნებს თავის გენეტიკურ კავშირს საზოგადოებასთან — „ჩვენ ხომ მივეჩვიეთ, რომ ყველაფერი, რასაც შევიცნობთ, ავსახოთ საკუთარ წარმოსახვაში სურათის სახით“ (სპინოზა); და ადამიანი, რომელსაც საქმე აქვს უაღრესად აბსტრაქტულ საგნებთან, მისწრაფვის შეიტანოს თავის მსჯელობაში დამაჯერებელი, თვალსაჩინო ელემენტები, ხოლო უხილავი ინტელიგირებული სამყარო, რომელსაც მიეკუთვნება კონცეპტები — კულტუროლოგიური უნივერსალიები, როგორც წესი, ცდილობს მოიპოვოს თავისი „მატერიალური ხორცშესხმა“ რომელიმე გრძნობად სახეებში. ვ. ჰუმბოლდტის მიერ შენიშნული „არამატერიალური ხასიათის ცნებათა“ ტენდენციამ „უჩვეულო მეტაფორათა საშუალებით გამოხატვისაკენ კოგნიტურ ლინგვისტიკასა და კოგნიტოლოგიაში მიიღო თეორიული გააზრება კონცეპტუალურ მეტაფორაში, რომელიც გაიგება როგორც ჩვენი კონცეპტუალური სისტემის ძირითადი საშუალება; მისი დახმარებით აღვიქვამთ ობიექტების ერთ ტიპს სხვა ტიპის ობიექტების ტერმინებში, როგორც საშუალებას ზოგიერთი მეტად აბსტრაქტული სფეროს გააზრებისა სულ უფრო ცნობილი, ჩვეულებრივი კონკრეტული სფეროს ტერმინებში; „თვალსაჩინო“ მოდელირება გრძნობადად არაღქმადი რაობისა — მისი წარმოდგენის ფორმა. პრინციპში, მეტაფორა საფუძვლად უდევს ნებისმიერი „აბსტრაქტული საგნების“ წარმოქმნას, რომელთა ჰიპოსტაზირებული თვისებები არიან: სილამაზე, თავისუფლება, სიყვარული — ყველაფერი ეს სემანტიკურად სუბსტანტივირებულია, ე. ი. წარმოდგენილია თვისების საგნისა და პრედიკატის სახით. საბოლოოდ, მეტაფორიზაციის შედეგია თვით სემანტიკური ტერმინები „ცნება“ და „კონცეპტი“, სადაც ეტიმოლოგიუ-

რად ინტელექტუალური გაგება გაიგივებულია ფიზიკურ ათვისებასთან. აბსტრაქტული კატეგორიების თვალსაჩინო მოდელირების რეგულარულად გამოყენება ენაში გრძობადი სახეების დახმარებით იძლევა საფუძველს, განვსაზღვროთ კონცეპტი, როგორც საზოგადოებათა მთლიანი ერთობლიობა, რომლებიც ასოცირდება გარკვეულ აბსტრაქტულ არსთან, გვევლინებიან აბსტრაქტული სახელის „გეშტალტის“ ელემენტების სახით და შეადგენენ მისი პრედიკატულ-ატრიბუტული შეხამების იმპლიკატურას. ე. ი. კონცეპტი ასეთი გაგებით არის მეტაფორათა ერთობლიობა, რომლებიც ასოცირდება გარკვეულ აბსტრაქტულ სახელთან.

კონცეპტი თვალსაჩინო-ხატოვანი წარმოდგენაა სიმბოლური ხასიათისა, რომელიც ინარჩუნებს გარკვეულ სტრუქტურულ მსგავსებას გამოსახვის ობიექტთან; იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ცნების შემცველი. საზოგადოება ამ შემთხვევაში ფუნქციონირებს, როგორც თავისებური სახის „სემანტიკური ნიშანი“ — „არქივირებული ფაილის“ სახელი, რომელიც მიმართულია ცოდნის ინდივიდუალურ სისტემაში ჩართული „შეკვეცილი“ საინფორმაციო ბლოკისაკენ. ასეთი წარმოდგენა უკვე დაკავშირებულია ცნების გაშლის, „დებარჩივრების“ ალგორითმთან, რომელიც განაპირობებს შეგნების უნარს, საჭიროების შემთხვევაში, ალაღვინოს ინფორმაცია მთელი სისრულით: „ჩვენ გვაქვს ნივთის იდეა, თუნდაც არ ვფიქრობდით მასზე, ოღონდ კი შევძლოთ მოცემულ შემთხვევაში გავიფიქროთ მასზე“ (ლაიბნიცი, 1984, 103). კონცეპტი ასეთი გაგებით „მოქმედების ერთფეროვანი საშუალების მონახაზი“ და „აზრობრივი ოპერაციების ემბრონია“. კონცეპტი, თავისი შინაგანი ეტიმოლოგიური ფორმის შესაბამისად, აქ არის გაგების („ჩაწვდომის“), როგორც ახალი ინფორმაციის ჩართვის შედეგი არსებული ცოდნის სისტემაში და მისი „შეკვეცის“ ხერხი.

დაბოლოს, კონცეპტი განისაზღვრება როგორც ნაციონალური მენტალიტეტის — მსოფლადქმისა და მსოფლგაგების სპეციფიკური ინდივიდუალური და ჯგუფური საშუალება, რომლის გეზის მიმცემია კოგნიტური და ქცევითი სტერეოტიპების ერთობლიობა და განწყობა; კონცეპტის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია ინდივიდისა ან სოციალური ჯგუფის აზროვნებისა და ქცევითი რეაქციების თავისებურება.

1.3. კონცეპტი — მნიშვნელობა/აზრი

ენა, კულტურა და ეთნოსი მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ქმნიან პიროვნების შუასაყარს — მისი სულიერი

მე-ს ფიზიკური, სულიერი და სოციალური თავმოყრის ადგილს. კულტურის ყველა განსაზღვრებას შორის უფრო მეტად დამაჯერებელი და ადეკვატურია, ალბათ, სემიოტიკური: კულტურა არის თაობიდან თაობაში გადაცემული მნიშვნელობათა, ფასეულობათა და ნორმების ერთობლიობა, რომელსაც ფლობენ ურთიერთმოქმედი პირები. ადამიანი, როგორც „სიმბოლური ცხოველი“ (კასირერი) წარმოუდგენელია ენის გარეშე, რომელიც ქმნის საზოგადოებრივი და ინდივიდუალური შეგნების გარსს. ენა, რომელიც კულტურის ინსტრუმენტი და მისი ერთ-ერთი იპოსტასია, ქმნის ეთნიკური პიროვნების არსებით ბირთვს და ნებისმიერი ეთნოკულტურა არსებობს და ვითარდება გარკვეული ეთნიკური ენის გარემოში.

კონცეპტის, როგორც ლექსიკური სემანტიკური ერთეულის, განმასხვავებელი ნიშანია ლინგვოკულტურული აღნიშვნადობა, რომელიც სხვადასხვაგვარად უნდა გავიგოთ, ისევე როგორც სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი მატერიალური, სულიერი, სოციალური და ქცევის კულტურები ენობრივ სემანტიკაში. მაგალითად, თუ მატერიალური და სოციალური კულტურები (ყოფის სპეციფიკური რეალიები და საზოგადოებრივი ინსტიტუტები) წარმოდგენილია, როგორც წესი, ნომინაციების ფორმით, სულიერი და ქცევის კულტურები არსებობენ ლექსიკურ სემანტიკაში ძირითადად კონოტაციების სახით.

კონცეპტი არის კულტურულად მარკირებული ვერბალიზებული აზრი, წარმოდგენილი გამოხატვის მხრივ თავისი ენობრივი რეალიზაციის მთელი რიგით, რომელიც წარმოქმნის შესაბამის ლექსიკურ-სემანტიკურ პარადიგმას. ლინგვოკულტურული კონცეპტის შინაარსის გეგმაში შედის, როგორც მინიმუმი, სემანტიკური ნიშნების ორი რიგი: ჯერ ერთი, ყველა ენობრივი რეალიზაციისათვის საერთო სემები, რომლებიც „ამაგრებენ“ ლექსიკურ-სემანტიკურ პარადიგმას და ქმნიან მისი მიხვედრილობის ან პროტოტიპურ საფუძველს, რომელიც — მასში შედის სემანტიკური ნიშნები, საერთო თუნდაც მისი ნაწილის რეალიზაციისათვის, რომლებსაც აქვთ ლინგვოკულტურული, ეთნოს-სემანტიკური სპეციფიკა და დაკავშირებული არიან ენის მატარებლის მენტალობასთან ან ნაციონალური ენობრივი პიროვნების მენტალობასთან. კონცეპტის სემანტიკის „გახლეჩა“ ორ რიგად, ორ დონედ გარკვეულწილად შეესატყვისება ლექსიკოგრაფიულ პოსტულატებს, რომლებიც წამოაყენა ი. დ. აპრესიანმა (აპრესიანი, 1995, ტ. II, 468), გარდა ამისა, თუ სიტყვა გამოირჩევა ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკით, ეს ნიშნავს, რომ მას ენიჭება კონცეპტის სტატუსი.

ლიტერატურა

ვორობიოვი, 1997 — Воробьев В. В. Лингвокультурология. Теория и методы. М., 1997.

ვორკაჩოვი, 2002 — Воркачев С. Г. Концепт счастья в русском языковом сознании: опыт лингвокультурологического анализа. Краснодар, 2002.

კარასიკი, 2002 — Карасик В. И. Языковый круг: личность, концепты, дискурс. М., 2002.

კარასიკი, 1996 — Карасик В. И. Культурные доминанты в языке. Языковая личность: культурные концепты. Волгоград, Архангельск, 1996.

მასლოვა, 2001 — Маслова В. А. Лингвокультурология. М., 2001.

MARINE SIORIDZE

Concept as a Linguocultural Category

Summary

Concept as a lexical-semantic unit is linguo-culturally marked and can be interpreted in a number of ways depending on material, social, spiritual and behavioural aspects reflected in the semantics of a language. As a rule, material and social aspects are nominated, whereas spiritual and behavioural aspects are presented as connotations in lexical semantics.

The content of a linguocultural concept includes two types of semantic signs: semes forming the prototypical basis of the concept and ethno-semantic specific semes.

ნანა სტამბოლიშვილი

კომუნიკაციური ჩართული სიტყვათა სემანტიკური კომბინაციები

სამეტყველო კომპეტენციაში ჩვენ ვფლობთ სიტყვებისა და სიტყვათშეერთებების გარკვეულ მარაგს, რომელთა აქტუალიზაცია კომუნიკაციის დროს ხდება. ეს სიტყვები და სიტყვათშეერთებები არსებობენ არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, არამედ ქმნიან სინტაგმურ-ლექსიკური მიმართებების „ჯაჭვს“. სინტაგმურ-ლექსიკური მიმართებების შინაასრობრივ-აზრობრივი თანწყობა და სწორი გამართვა ქმნის წარმატებულ საკომუნიკაციო „ჩარჩოს“, რაშიც გვლინდება სწორედ მეტყველი სუბიექტის სამეტყველო კომპეტენცია. სინტაგმურ-ლექსიკურ მიმართებებში კომუნიკაციაში ჩართულ სიტყვათა სემანტიკურად შესაძლებელი შეერთების, ანუ სიტყვათა კომბინაციის ოთხი ტიპი შეიძლება გამოვყოთ: თავისუფალი კომბინაცია, ლექსიკური კოლოკაცია, გრამატიკული კოლოკაცია და იდიომა. თავისუფალი კომბინაციები, იგივე თავისუფალი სინგაგმური შეერთებები, რომლის გარეშე საერთოდ შეუძლებელია საკომუნიკაციო „ჩარჩოს“ წარმოდგენა, ეს ის „ნორმალური“ შეერთებებია სიტყვებისა, რომელიც, ერთი მხრივ, სემანტიკურად არაა შესაძლებელი, ე. ი. უაზრო, შინაასრობრიობას მოკლებული შესიტყვებებისაგან, მეორე მხრივ კი, კოლოკაციებისაგან გამოირჩევა. ავიღოთ მაგალითად, გერმანული სიტყვა *Lärm* (ხმაური). აქ სემანტიკურად არამართებული იქნებოდა მისი დაკავშირება ისეთ ზედსართავ სახელებთან, როგორიცაა *grün, schnell, kalt* (ქართულად: მწვანე, ჩქარი, ცივი). ასეთი სახის აზრობრივ-შინაასრობრივად არაშესაძლებელი კომბინაციების გამორჩევა უცხო ენის შემსწავლელთათვის პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან მათ აქ ეხმარებათ ე. წ. „სამყაროსეული ცოდნა“ (*Weltwissen*), რომელიც თითქმის ყველა ენაში ერთნაირია, რის საფუძველზეც ზემოთ აღნიშნული თავისუფალი სინტაქსური შეერთებების შესაძლებლობანი გამორიცხულია სხვა ენებშიც.

სულ სხვაა, როცა კოლოკაციებთან გვაქვს საქმე, რომელიც ჰ. შტამერიოჰანის ლინგვისტიკის ცნობარში, ბრიტანელი ლინგვისტიკის ჯ. ფირთისეული განმარტებით, წარმოადგენს „ჩვეულებრივ და მოსალოდნელ შეხვედრას ერთი სიტყვისა მეორესთან“ (შტამერიოჰანი, 1975).

კოლოკაციების სწორად განლაგება (*collocatio* ლათ. „განლაგება“), მისი მორგება სხვა სიტყვებთან მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს, რადგან თავისუფალი სინტაქსური შეერთებებისაგან განსხვავებით მისი არასწორად გამოყენების შესაძლებლობანი თვით მშობლიური ენის ფარგლებშიც გვხვდება, რაც, თავის მხრივ, მოლაპარაკე ინდივიდის დაბალ სამეცნიერო კომპეტენციასზე მიუთითებს, მაგრამ ზოგჯერ გამორიცხული არაა მისი უცხოური ენიდან მექანიკურად არასწორად თარგმნის შესაძლებლობანი. ამიტომ უცხოური ენის დიდაქტიკისათვის ფრიალ მნიშვნელოვანია ამ ცნებაში ნაგულისხმევი საქმის ვითარების ზუსტი გარკვევა, რადგან იგი ენების თვისებებზე მიუთითებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია კომუნიკაციის დროს, მაგრამ ხშირად მხედველობის არედან გვრჩება. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს იყოს, რომ ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა ლექსიკონებში ცალკეული სიტყვის ანბანური ჩამონათვალი და გრამატიკებში მოყვანილი აბსტრაქტული ხასიათის წესები „წინადადების კონსტრუქციისათვის“. ვინც, მაგალითად, ინგლისურად ამბობს: „**I do my homework**“ — იგი კოლოკაციურ შეცდომას უშვებს (ბანსი, 1987).

სხვადასხვა ენაში არასწორი კოლოკაციური განლაგება ინტერკულტურულ კომუნიკაციაში დაშვებული შეცდომების ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზედაც შეიძლება ჩაითვალოს, რაც ზოგ შემთხვევაში კომუნიკაციის ჩაშლასაც იწვევს, რადგან კოლოკაციური თანხვედრა შეიძლება არ მოხდეს მონათესავე ენებში და, პირიქით, სტრუქტურულ-სემანტიკურად იგი შეიძლება დაემთხვეს არამონათესავე ენებსაც. ასე მაგალითად, გერმანული **Entscheidung treffen, fallen** — ქართულად ითარგმნა, როგორც „გადაწყვეტილების მიღება“ და იგი სტრუქტურულ-სემანტიკურად ემთხვევა ქართულისათვის არამონათესავე რუსული ენის კოლოკაციას „**принимать решение**“.

ჩვენ აღვნიშნეთ კოლოკაცია, როგორც ჩვეულებრივი, მოსალოდნელი შეხვედრა ერთი სიტყვისა მეორესთან, მაგრამ ეს შეხვედრა შეიძლება მოხდეს თავისუფალ სინტაქსურ შეერთებებშიც. ამიტომ

ჩვენ ხაზი უნდა გავუსვათ ისეთ შესაძლებელ და მოსალოდნელ შეხვედრას ერთი სიტყვისა მეორესთან, როცა სიტყვის კოლოკაციური ნაწილი გარკვეულწილად მეტაფორიზებულია. მაგალითად, თუ გერმანულად ვამბობთ „**bittere Erfahrung**“, ინგლისურად „**bitter trial**“, რუსულად „**горькое испытание**“, ქართულად „მწარე გამოცდილება“, „განსაცდელი“ (სტრუქტურულ-სემანტიკური თანხვედრა ოთხივე ენაში), აქ აშკარად კოლოკაციებთან გვაქვს საქმე, რადგან ზედსართავი სახელი **bitter** (მწარე) თავისუფალ სინტაქსურ შეერთებებში შეიძლება დაუკავშირდეს პირველ რიგში და პირდაპირი მნიშვნელობით „წიწკას“; **bitter Pfeffer, bitter pepper, горький перец** (მწარე წიწკა).

ასევე კოლოკაციურია გამოთქმები: „**bittere Kälte, bitter cold**“, რუსულში იტყვიან „**ужасный холод**“, ქართულად, სამინელი, მწარე სიცივე.

ანალოგიურია გამოთქმები „**bitteres Los**“, ინგლისურად „**bitter let**“, რუსულად „**горькая доля**“, ქართულად „მწარედ ხვედრი“.

Bittere Wahrheit — რუსულად **горькая правда**, მაგრამ ინგლისურში იტყვიან **home truth** — მწარე სინამდვილე, სიმართლე.

Bittere Enttäuschung, ინგლისურად — „**bitter disappointment**“ რუსულად, „**горькое разочарование**“ — მწარე იმედგაცრუება.

როგორც ვხედავთ, კოლოკაციის ერთი კომპონენტი უნდა იყოს სიტყვის ხელახალი გააზრების გზით მიღებული, მეტაფორიზებული, რომელთა თანხვედრა სხვადასხვა ენაში დასაშვებია, მაგრამ როცა სტრუქტურულ-სემანტიკურ განსხვავებულობასთან გვაქვს საქმე, არა აქვს მნიშვნელობა, მონათესავე ენებია ესენი ერთმანეთისათვის თუ არამონათესავე. მაგალითად, „ლოთის“ გამოსახატავად ინგლისურში იტყვიან **heavy drinker** — „მაგარი ლოთი“, რუსულად იტყვიან — **горький пьяница**, გერმანულად კი **Trunkenbold, Ezsäufer**.

კოლოკაციების განსაკუთრებული და, გარკვეულწილად, შეცდომაში შემყვანი თვისება ის არის, რომ მას, როგორც წესი, მაშინ ვიგებთ, როცა შეგვხვდება. მაშინ უცებ გვეცემა თვალში რამდენად სწორად შევარჩიეთ და გამოვიყენეთ იგი. მაგალითად, წარმოადგენს თუ არა ინგლისური წინადადება „**He drove the nail into the wall**“ სხვას, ვიდრე გერმანული „**Er schlug Nagel in die Wand**“? — პრობლემა უფრო შეცნობადი ხდება, როცა პირიქით თარგმანს მოვინდომებთ, რადგან გერმანული წინადადებისათვის „**Er schlägt den Nagel in die Wand**“ (კედელში ლურსმანს აჭედებს) — უფრო ახლოსაა ინგლისურ-

რი „He beats the nail into the wall“, თუმცა იგი მცდარი კოლოკაციაა. აქ გადის მთავარი ზღვარი, რაც კოლოკაციებს თავისუფალი შესიტყვებებიდან გამოარჩევს. კოლოკაციები წარმოადგენს სიტყვათშეერთებებს, რომლებიც თავისუფალი სინტაქსური შეერთებებისაგან (თავისუფალი კომბინაციებიდან) მხოლოდ თანდათანობით, სახელდობრ, მათი გამოყენების სიხშირითა და მოსალოდნელობითობის კრიტერიუმით გამოირჩევა (ვილკინსი, 1972). მაგალითისათვის ისევ ავიღოთ სიტყვა **Lärm** — რომელმაც აზრობრივად შეიძლება შეიწყოს ისეთი ზედსართავები, რომლების გამოჩენა ჩვეულებრივი და მისაღებია **ruhestöschrecklicher, tosender, störender, ohrenbetäubender, laut**, ინგლისურად — **starling, old, new, shocking, disturbing, loud**; დაახლოებით იმავე შინაარსის ზედსართავები შეიძლება შეიერთოს ქართულშიც: საზარელი, ხმამაღალი, შემაწუხებელი, ყურისწამლები და ა. შ.; რწმუნებულობა ამ ზედსართავებთან, რომ რომელიმე „ხმაურს“ (**Lärm, noise**) კოლოკაციურად დაუკავშირდება, **laut-ს** (ინგლ. **loud**) უფრო აქვს, ვიდრე სხვას. ასე მაგალითად, „**ein lautes Geräusch**“ a loud noise“ ანალოგიურად შეიძლება ჩავთვალოთ „**a disturbing noise**, მაგრამ არა **a new noise**“.

ჩვენ მიერ განხილული კოლოკაციები ლექსიკური კოლოკაციების ნიმუშს წარმოადგენს. ლექსიკური კოლოკაციებისათვის შესაძლებელია სხვადასხვა მეტყველების ნაწილებით ერთმანეთთან დაკავშირება. მაგალითად, ყველაზე გავრცელებული ფორმებია: არსებითი სახელი + ზმნა — **einen Rekord aufstellen** — რეკორდის დამყარება, რომელსაც სხვა ენების განუსაზღვრელი ფორმით შეიძლება წინა პოზიციით ზმნა — არსებითი სახელი შეესიტყვებოდეს. მაგალითად, ინგლისურსა და რუსულში ასეთ შემთხვევაში წინა პოზიციასზე ზმნა გამოდის, რომელიც შეიერთებს არსებით სახელს დამატებითი ფუნქციით — **set a record** — **установить рекорд**. ანალოგიურად, **einen Record einstellen** — რეკორდის დამყარება, **einen Rekord schlagen, brechen, drücken, halten** და ა. შ.; **to break, to cut the record** — **поставить (новый) рекорд, побить рекорд, держать рекорд** და ა.შ.

ლექსიკური კოლოკაციების გავრცელებული ფორმაა ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის შეერთება. მაგალითად, სიტყვა **"Krankheit"**-თან შეიძლება გერმანულში დავაკავშიროთ შემდეგი ზედსართავები: **leichte, schwere, kurze, chronische, bösartige, lebensgefährliche, tödliche, langwierige Krankheit**; ინგლისურად: **a common,**

deadly, fatal, incurable, chronic, mild, protracted, disease — საერთო, სასიკვდილო, უკურნებელი — მოუტრჩენელი, ქრონიკული, ხანგრძლივი, მომაკვდინებელი, გაჭიანურებული და ა. შ.

ხშირია, როცა არსებითი სახელი ქვემდებარის ფუნქციით გამოდის და ზმნასთან ქმნის კოლოკაციას: **Das Herz schlägt, klopft, pocht, hämmernt, hüpf, tobt**: — ინგლისურად — **the heart beats, fails, stops, palpitates, throbs** — გული ცემს, ძგერს, ჩერდება, ღალატობს, ღელავს, თრთის, ფეთქავს, კანკალებს, ბობოქრობს.

არანაკლებ გავრცელებულია ლექსიკური კოლოკაციებიდან ზმნიზედა — ზედსართავისა და ზმნა + ზმნიზედის კომბინაცია. მაგალითად: ა) ზმნიზედა + ზედსართავი სახელი: **tief enttäuscht**, ინგლ **deaply disappointed** — ღრმად იმედგაცრუებული, გულგატეხილი; **schrecklich verzweifelt** — ინგლ. **terrible desperate** — საშინლად სასოწარკვეთილი, იმედდაკარგული; ბ) ზმნა + ზმნიზედა: **verletzen, beschädigen** — **schwer, tödlich, leicht, geringfügig**; ინგლ. **to hurt** — **bally, deaply, seriously, slightly** — დაშავება, ზიანის მიყენება, წყენინება ძლიერ, მსუბუქად, უმნიშვნელოდ, სერიოზულად, ღრმად და ა.შ.

ანალოგიურია — **verneigen, ablehnen (kategorisch, betont, aktzenuiert, feuring, hefting, entlossen / entschieden)**; ინგლ. **deny** — **categorically, emphatically, fervently, flatly, strongly, vehemently** — უარყოფა, უარის თქმა — კატეგორიულად, განსაკუთრებული წარმოთქმით (მრავალმნიშვნელოვნად, მკენებარედ, მტკიცედ, მკაცრად, გაბედულად და ა.შ.

უცხო ენების სწავლისა და სწავლების პრობლემა კოლოკაციებთან მიმართებაში ის არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კოლოკაცია, როგორც აღვნიშნეთ, ბევრ ენაში ერთმანეთთან თანხვედრი და მსგავსია, მაგრამ ხშირად ისინი ერთმანეთს სცილდება; ასე მაგალითად, გერმანულ-ინგლისური ენების შედარებისას თუ კოლოკაცია **"ein laufes Geräusch"** ემთხვევა **"a loud noise-ს** (ქართულად არ იქნებოდა სწორი „ხმამაღალი ხმაური“) — არ ემთხვევა ამ ენებში სხვა კოლოკაცია. მაგალითად, გერმანულად გამბობთ **"ein großer Baum"**, ინგლისურად — **"a tall tree"** და **"great tree"**.

ლექსიკური კოლოკაციების გავრცელებული ფორმაა ისეთი სიტყვების შეერთება და მყარი კომბინაციების შექმნა, როგორცაა გუნდი, ფარა, ნახირი, ჯოგი, ხროვა და ა. შ. მაგალითად, მგლების ხროვაზე გერმანულში იტყვიან — **Das Rudel von Wölfen**, ინგლისურში **a pack of wolves**. „ძროხების ფარა (ნახირი, ჯოგი, გუნდი) — გერმა-

ნულად ამბობენ — **Herde von Kuhen** — ინგლისურად — **a herd of cows**. ბატების გუნდზე გერმანულში იტყვიან — **Das Rudel von Gänsen** — ინგლისურში — **a flock of gees**.

ლექსიკური კოლოკაციების გარდა კომუნიკაციის დროს იყენებენ ე. წ. გრამატიკულ კოლოკაციებს, რომლებიც ჩვენ მიერ განხილული ენებიდან უფრო ინგლისურისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად **abstain from** — თავის შეკავება, დათმენა; **aim at** — მისწრაფება, ლტოლვა. **afraid of** — შიში (ვისიმე ან რისამეს მიმართ), როგორც წესი, გრამატიკული კოლოკაცია ორი სიტყვის ჩვეულებრივი კომბინაციაა, სადაც მთავარ კომპონენტებად ზმნა, არსებითი სახელი ან ზედსართავი სახელი გამოდის, ხოლო დაქვემდებარებული ფუნქცია წინდებულს უჭირავს. ასეთ კომბინაციებს მივაკუთვნებთ გერმანულ ენაში **abgesehen von** — გამომდინარე (რალაციდან), **abhängig von** — დამოკიდებული (ვილაცაზე ან რალაცაზე).

ჰაუსმანი (ჰაუსმანი, 1989) გრამატიკული კოლოკაციების 19 ტიპს გამოყოფს. ასეთი გრამატიკული კოლოკაციების ტიპურ ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი კომბინაციები: ქვემდებარე + ზმნა + **ing**-იანი ფორმით: **"They enjoy watching television"** და ქვემდებარე + ზმნა + დამატება + ინფინიტივი **"She heard them leave"**. ჰაუსმანი თვლის, რომ ასეთი ტიპის გრამატიკული კოლოკაციები უცხო ენის შემსწავლელთათვის სირთულეს წარმოადგენს, რადგან მათი „ლოგიკური“ ახსნა თითქმის შეუძლებელია; ისინი მიეკუთვნება მოდელებს და მათი შესწავლა ასოციაციურად უფრო მოსახერხებელია.

ინგლისურ ენაში გრამატიკული კოლოკაციები გამოირჩევა ე.წ. „ფრაზული ზმნებისაგან“, რომელიც ზმნისა და წინდებულის მყარი შეერთებაა, სადაც ზმნური ნაწილის თავდაპირველი მნიშვნელობა მეტაფორიზაციის გამო ძნელად შესაცნობი ხდება. მაგალითად, **"He was taken in by her"** - **"er wurde von ihr getäuscht"**.

გრამატიკულ კოლოკაციებს გერმანულში „კონსტრუქციებსაც“ უწოდებენ (მულტჰაუპი, 1995), რადგან როცა მეტყველმა სუბიექტმა იცის, რომელი ზმნა უნდა შეეწყოს არჩეულ არსებით სახელს, მან ისიც იცის, გრამატიკულად როგორ დააკავშიროს ისინი ერთმანეთთან. საქმე ეხება ზმნის მართვად ფორმებს, რომლებიც წინადადების შეკავშირებაში დიდ როლს თამაშობენ, მაგრამ ყველა ზმნა, რომელსაც წინდებული მართავს, კოლოკაცია როდია. წინდებულებით ზმნის მართვა დამახასიათებელია თავისუფალ შესიტყვებებშიც:

მაგალითად: **Ich gratuliere ihm zur Beförderung.**
Ich congratulated him on his promotion.
Ich bin mit dem Kompromiß einverstanden.
I agree3 on/the comoromice.

ჩვენ მიერ არჩეულ საკომუნიკაციო ჩარჩოში, თავისუფალი სინტაქსური შეერთებებისა და ლექსიკურ-გრამატიკული კოლოკაციების გარდა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს იდიომებიც. კომუნიკაციაში მონაწილე სიტყვათა სხვა კომბინაციებიდან განსხვავებით იდიომების შესაცნობად ყველაზე რთული კომბინაციაა, რადგან მათი საერთო მნიშვნელობა იდიომების ცალკეული კომპონენტის მნიშვნელობათა ჯამიდან არ გამომდინარეობს. მაგალითად, თუ ვიტყვით გერმანულად, **"ins Gras beißen"** ან ინგლისურად, **"to kick the bucket"**, მივხვდებით, რომ იდიომების საერთო მნიშვნელობას „გარდაცვალება“ არავითარი კავშირი არ აქვს იდიომების ცალკეული კომპონენტის მნიშვნელობასთან.

ზოგჯერ მოლაპარაკე პირს უცხო ენაზე იდიომის გადატანისას თარგმნის სტილის შერჩევაზეც ექმნება პრობლემა. როგორ უნდა ითარგმნოს იგი, სალიტერატურო ფორმით თუ სალაპარაკო ფამილარული სტილით? მოლაპარაკე პირმა ინტუიციით უნდა განსაზღვროს სამეტყველო აქტში მონაწილე მსმენელიც, გარემოებაც, კომუნიკაციური სიტუაციის სახე და ამის მიხედვით შეარჩიოს ენობრივი საშუალებები და იდიომის თარგმნის შესაძლებლობანიც; ასე მაგალითად, გერმანულ ენაში გამოყენებული იდიომები — **Was ist dir für eine Laus über die Leber gelaufen? Warum spielst du die beleidigte Leberwurst?** ინგლისურად შეიძლება გადმოვიტანოთ ორი ხერხით: **What kind of louse run across your liver? Why are you playing the pouting liverwurst** ან — **What is bugging you? Why are you so ticked off?** — რამ გიკბინა? რას ილანძღები? რადგან **someone had louse run over (across) his liver** (სიტყვასიტყვით: მკბენარა შეუძვრა ღვიძლში — ეკვივალენტური იდიომით — „რა ბზიკმა უკბინა?“ — ინგლისურად იგივეა, რაც **someone who is being bugged by somethibg**, ხოლო **ew zfdn eru zwgeStp dSmukcgkTe** იგივეა, რაც — **to get in (into) a huff** — გაცხარება, გაბრაზება. საერთოდ, იდიომების ხშირ გამოყენებას უცხო ენაზე მოლაპარაკე უნდა ერიდოს, რადგან ისინი ისევე ხშირად ძველდებიან სალაპარაკო ენისთვის, როგორც ჩნდებიან, ახალ კონტაქტურ შეფერილობას და, ზოგჯერ, მნიშვნელობასაც იძენენ.

ამრიგად, საკომუნიკაციო ჩარჩოში სემანტიკურად შესაძლებელი სიტყვათა კომბინაციის ოთხი ტიპი გამოვყავით, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია სამეტყველო აქტის, საკომუნიკაციო მოდელის შექმნა და, საერთოდ, საუბრის მექანიზმის ჩამოყალიბება. ოთხივე კომბინაციის სწორად თანწყობით, სამეტყველო გარემოს გათვალისწინებითა და საუბრის სტილის შერჩევით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მყარდება კომუნიკაციის ჭეშმარიტი პრაგმატიკა.

ლიტერატურა

შტამერიოჰანი, 1975 — Stammerjohann, H. Handbuch Linguistik, München, 1975.

ბანსი, 1987 — Bahns J. 1987. "Kollokationen in englischen Wörterbüchern", Anglistik/& Englischunterricht, 32; 87-104.

გილკინსი, 1972 — Wilkins, R. H. 1972. Linguistics in Language: Teachibg, London: Edward Arnold.

ჰაუსმანი, 1989 — Haussman F. J. 1989. "Praktishce Einführung in den Gebrauch des Student's Dictionary of Collocations". In: Benson: Metal... (1989) IV-XV.

მულტჰაუბი, 1995 — Uwe Multhaupt. Psycholinguistik und fremdsprachliches Lernen. Hueber, 1995.

NANA STAMBOLISHVILI

Semantic Combinations of Words In Communication

Summary

The paper examines four main types of word combination that are essential for holding communication: 1. free combination; 2. lexical collocation; 3. grammatical collocation; 4. idiom. Out of the four only free combination is the least difficult for a language learner since it is based on an individual's common knowledge.

Appropriate usage of the enumerated combinations, their adjustment to the style of discourse makes communication successful.

ნატალია სურგულაძე

ზოგონიშთა შემცველი ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სისტემა თანამედროვე ფრანგულ ენაში

ენა მრავალმხრივად ასახავს სამყაროს. უპირველეს ყოვლისა, ენაში მოცემულია ობიექტური სინამდვილე საგნებით, მოქმედებით, თვისებებით და ადამიანი თავისი აზრებით, გრძნობებითა და ქცევებით — ეს ენის დესკრიფციული მხარეა. ენაში ასევე აისახება სინამდვილე და ადამიანი სხვადასხვა ასპექტში, რომელთაგანც ერთი შემფასებლური ასპექტია. ეს მეორადი დაყოფა, რომელიც სოციალურადაა განპირობებული, საკმაოდ რთულად აისახება ენობრივ სტრუქტურებში. შეფასება, როგორც სემანტიკური მცნება, გულისხმობს ენობრივი გამოთქმების შემფასებლური ასპექტის მნიშვნელობის შემდეგ ინტერპრეტაციას: „A (შეფასების სუბიექტი) თვისის, რომ B (შეფასების ობიექტი) კარგია თუ ცუდია“.

შეფასება უნივერსალური კატეგორიაა, რომლის გამოსახატავად ენები ავლენენ ინდივიდუალურობას. ეს კი, უპირველეს ყოვლისა აიხსნება იმით, რომ შეფასება მიეკუთვნება ენის ინტენსიონალურ ასპექტს, სადაც სამყაროს სურათის გარდატეხა ადამიანის ცნობიერებაში მთელი რიგი ფაქტორებითაა გართულებული.

შეფასების შემთხვევაში სემანტიკური და პრაგმატული ასპექტები განუყოფელია და მისი ფუნქციონირების ყველა მხარე ასახავს სემანტიკისა და პრაგმატიკის შერწყმას. შეფასება გამონათქვამის პროპოზიციულ შინაარსს მატებს განსაკუთრებულ კომპონენტს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება კომუნიკაციის პროცესის პრაგმატიკას. როცა ლაპარაკია შეფასებაზე, „სამყაროს სურათზე“, პირველ პლანზე ადამიანის ფაქტორი, ხოლო შეფასების მნიშვნელობა მკვეთრად იზრდება, როცა იგი ეხება ადამიანებს ან ადამიანებთან დაკავშირებულ მოვლენათა სამყაროს. ფრაზეოლოგია სწორედ ის სფეროა, სადაც ერთმანეთზე გადახლართული ხატოვანება, ექსპრესიულობა, ინტენსიურობა და შეფასება.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიერ პირველად დაისვა „ცხოველთა სამყაროსთან“ დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სისტემის კვლევის პრობლემა ფრანგულ ენაში. უფრო ზუსტად, მათი შესწავლა ონომასიოლოგიურ პლანში და ამ ერთეულთა ფუნქციონალურ-სემანტიკური კლასიფიკაციის ცდა.

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ენის კვლევის ონომასიოლოგიური მიდგომა სემასიოლოგიურისაგან განსხვავებით გულისხმობს ენობრივ ერთეულთა შინაარსობრივი ასპექტის შესწავლას არა მათი შიდასისტემური მნიშვნელობების ფორმირებასა და სიტყვების, სიტყვათშეერთებების სემანტიკური გავრცობის მექანიზმს, არამედ საგნობრივ მიმართულებას, ანუ ექსტრალინგვისტურ „საგანთა მწკრივს“, როგორც ამ უკანასკნელის აღნიშვნისა და დასახელების საშუალებას.

საგანი ობიექტირდება, ანუ წარმოებს მატერიალურის იდეალურად „გარდაქცევა“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მატერიალური რეალური საგანთან ერთად გარდაიქმნება ქმედების აქტიურ ფორმად ადამიანის ცნობიერებაში და გადმოიცემა საერთო მნიშვნელობის მქონე ფორმებით ენის მატარებლისათვის, სწორედ აზრის, როგორც სიტყვის საყრდენის შესახებ ლ. ვიგოცკი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ „აზრი არ გადმოიცემა სიტყვით, იგი ხორციელდება მასში“. ონომასიოლოგიური მიდგომისას აქცენტი რამდენადმე გადაიტანება იმ ელემენტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ნომინაციური ნიშნების მადეტერმინირებელ სემანტიკას და ხდება მთელი რიგი ფაქტების ვარირება, რომლებიც ახდენენ სამეტყველო ერთეულთა სემიოზისის კონსტატაციას.

საგნობრივი მნიშვნელობის მქონე სახელები აუცილებლად ჩაირთავენ სემანტიკაში გრძნობითი აღქმის ელემენტებს: მხედველობით, სმენით და საგანთა სივრცობრივ წარმოდგენებში გრძნობითი და რაციონალური განიხილება როგორც აღქმის ორი საფეხური, როგორც გენეტიკურად, ისე ლოგიკურ (სტატიკურ) პლანში. ეს ის ორი მომენტია, რომელიც ღრმად იჭრება შემეცნებაში ყველა მის აზრობრივ ფორმასა და ქმნალობის ყველა ეტაპზე. ფოიერბახის თანახმად, „გონებაში არაფერია ისეთი, რაც არ გვაქვს აღქმაში“. გრძნობითის: განჭვრეტისა და აღქმის გარეშე არა მარტო შეუძლებელია ობიექტური სამყაროს განთავსება, არამედ შეუძლებელია თვით აბსტრაქციის ფორმირება და არსებობა“.

მანომინირებელი სუბიექტი ხელმძღვანელობს რა, უპირველეს ყოვლისა, დასახელებისათვის ამა თუ იმ საშუალებით შერჩევის აზრობრივი მოტივით, ანუ რამდენად ვარგისია მათი სემანტიკური შინაარსი ახალი ნომინაციური დავალების შესასრულებლად. ნომინაციის ასეთი „შუამავლობის“ მიზეზით მნიშვნელობის ზოგიერთი ნიშნები, რომლებიც გადააზრებულ ენობრივ ერთეულს ახასიათებს, გადაიტანება ახალი დასახელების სიგნიფიკატში. ამიტომაც მეორადი ნომინაციის ასეთი პროცესების შესწავლისას ჩნდება იმ მექანიზმების გამოვლენისა და შესწავლის აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი დასახელებების შექმნას უკვე ნომინაციური ერთეულების საფუძველზე. „ელემენტარული ნომინაცია“ ხორციელდება ან პირდაპირ (ნეიტრალური ან სტილისტური) ან ირიბად, მარტივი და დანაწევრებული ნომინაციის სახით; სიტუაციის, მოვლენის დასახელება ხდება სამეტყველო ერთეულების, გამონათქვამებისა და ინფორმაციის საშუალებით. მეორადი ნომინაციის ენობრივი ტექნიკის გამოვლენის გარეშე შეუძლებელია როგორც „სიღრმისეულ“ პროცესში შეღწევა, რომელიც დასახელების სფეროში მიმდინარეობს, ასევე მეორადი დასახელებისა და მათი ფუნქციონალური „მიდრეკილებების“ სემიოლოგიური ბუნების გამოვლენა. ენის არცერთ სფეროში ასე მკაფიოდ არ ვლინდება ენობრივი ნიშნის ასიმეტრია, როგორც ფრაზეოლოგიაში, რაც უთუოდ უკავშირდება მისი ობიექტის რთულ ლექსიკურ, გრამატიკულ და სემანტიკურ სტრუქტურას. ირიბი ნომინაცია, როგორც ახალი ენობრივი ერთეულების წარმოქმნის ერთ-ერთი უნივერსალური საშუალება უფრო მეტი სპეციფიკურობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ფრაზეოლოგიურ სისტემაში. ჩვენ მიერ შერჩეულ „ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიური სისტემის“ კვლევა მიზნად ისახავს, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფუნქციონალურ-სემანტიკურ კლასიფიკაციას, რომელიც, ერთი მხრივ, ეყრდნობა „ფრაზეოლოგიის ხატის“ ცნებას, როგორც ფრაზეოლოგიზმების სემანტიკის განმსაზღვრელ ცნებას, ხოლო, მეორე მხრივ, ამ „ხატის“ ფუნქციონალურ ინტერპრეტაციას.

ჩვენ მიერ მოძიებული მასალის საფუძველზე გამოიყოფა ფრაზეოლოგიზმ—კლასიფიკატორთა მთელი სერია, რომლებიც მიუთითებენ:

ა) ქცევაზე (უარყოფითი შეფასება): *jeter le chat aux jambes de qn* — ხრიკის მოღება, ფანდის გამოკვრა

- ბ) ფიზიკურ მდგომარეობაზე, ავადმყოფობაზე: être enrhumé comme un loup — ძალიან გაცივებული
- გ) ტემპერატურაზე: frère de cheval — მაღალი სიცხე
- დ) ემოციურ მდგომარეობაზე, გუნება-განწყობილებაზე: humeur de chien — საშინელ ხასიათზე ყოფნა
- ე) მატერიალურ მდგომარეობაზე: manger de la vache enragée — გაჭირვებაში ცხოვრება
- ვ) ფიზიკურ ნაკლზე: avoir un oeil à la paillet l'autre au chat — ელა-მი
- ზ) ატმოსფერულ მოვლენებზე: luie de chien — კოკისპირული წვიმა
- თ) ფიზიკურ შეგრძნებაზე (შიშის ქონა): avoir la chair de poule
- ი) ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე: faim de loup — შიმშილი
- კ) მოქმედების შედეგზე: pattes de mouche — ნაჭლანბნი
- ლ) მიმიკაზე: faire sa bouche en cul de poule — ტუჩების აბზუება
- მ) ინტელექტუალურ ნაკლზე: memoire de lièvre — ცუდი მეხსიერება, გულმაგიწყობა
- ნ) ფსიქიკურ მდგომარეობაზე: amoureuse comme une chatte — ყურებადღე შეყვარებული
- ო) მომენტალურ მდგომარეობაზე: piquer un chein — წათვლემა
- პ) გარეგნობაზე: chèvre coiffé — მახინჯი
- ჟ) წონაზე: léger comme un papillon — პეპელასავით მსუბუქი
- რ) მეტყველებაზე (უარყოფითი შეფასება): parler le francais comme une vache espagnole — ფრანგულად ძალიან ცუდად ლაპარაკი
- ს) გემოზე: vin qui fait danser les chèvres — ძალიან მჟავე ღვინო
- ტ) მანძილზე: saut de puce — პატარა მანძილი (ორი ფეხის ნაბიჯზე)
- უ) რაოდენობაზე: manger comme un loup — მაძღრისად ჭამა
- ფ) ღროზე: s'éveillier au chant de l'alouette — მამლის ყვირილზე ადგომა
- ქ) ფერზე: noir comme un corbeau, comme une taupe — ძალიან შავი
- ღ) თმის ვარცხნილობაზე: queue de cheval — „ცხენის კუდი“
- ყ) მორალურ თვისებებზე: langue de serpent — გველადუა, ენობოროტი (უარყოფითი შეფასება) pur comme une oie — (დადებითი შეფასება), უმანკო

შ) მოძრაობაზე გარკვეული მიმართულებით: cour comme un lièvre — მოკურცხვლა

ჩ) მოძრაობაზე, მაგრამ არა გარკვეული მიმართულებით, არამედ სუბიექტისათვის დამახასიათებელ მოძრაობაზე: avoir un jarret de cerf — ფეხით კარგი მოსიარულე

ძ) ფორმით ექსპრესიულ ინდივიდუალური შეფასება: quelle dinde! — რა ჩერჩეტი! რა ბრიყვია!

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ნაშრომი წარმოვადგინეთ მხოლოდ პრობლემის დასმის სახით, იგი ითვალისწინებს ცხოველთა სამყაროსთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სისტემის რამდენადმე მაინც ამომწურავ კლასიფიკაციას ფრანგულ ენაში როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, რაც შემდგომი კვლევის მიზანს შეადგენს.

ლიტერატურა

ნაზარიანი, 1981 — А. Г. Назарян. История развития французской фразеологии, М., 1981.

Языковая номинация, М., 1977.

Французско-русский фразеологический словарь, М., 1963.

NATALIA SURGULADZE

The System of Phraseological Units Including Zoonyms in Current French Summary

The paper attempts to study onomaseologically French phraseological units including zoonyms and presents their functional-semantic classification.

A large number of phraseological-units — classifiers showing either positive or negative evaluation are analysed. The units in question can accentuate a type of behaviour, physical state, disposition, temperature, a physical fault, atmospheric phenomena etc.

თამარ სუნიოვილი

ნათესაობის აღმნიშვნელი სომატური
მიკროვებლების შესახებ

ენათა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების შესწავლა-შედარებას, ზოგადლინგვისტური ღირებულების გარდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხების თავდაპირველი განსახლების ლოკალიზაციის, მატერიალური კულტურის ისტორიის, ფსიქიკური (სულიერი) წყობისა და აზროვნების სპეციფიკურობის გამოვლენის თვალსაზრისით, — გამომდინარე იქიდან, რომ ენები არა საგნის არსის მიხედვით, არამედ ენობრივად, ე. ი. განსხვავებულად ანაწევრებენ ობიექტურ სამყაროს. ეს განსხვავებული მსოფლალქმა გარე თუ შიდა სამყაროს ფაქტებისა და მოვლენებისა, სხვადასხვა ენათა სიტყვათვლებების შედარების პროცესში ნიშნულია.

„იმაზე ცხადი რაღა უნდა იყოს, ვიდრე სხეულის ნაწილთა მოცულობა“, — აღნიშნავს გ. რამიშვილი და განიხილავს „ნიკაპ“ — ლექსემის განმარტებას ქველის ერთტომეულის მიხედვით: „პირისახის მომრგვალებული ბოლო, ქვედა ყბის წინ წამოწეული ნაწილი (იხ. განმარტ. ლექსიკ., 1986). თითქმის ანალოგიური განმარტება გვაქვს რუსულ და გერმანულ ლექსიკონებშიც. აქვე შესადარებლად წარმოდგენილია საბასეული განმარტებაც: ნიკაპი „ყბათ შესაყარი“. მეცნიერის აზრით, საბასეული დეფინიცია ქართველის ვიზუალური აღქმითი პოზიციაა, „ქართულად როცა ვამბობთ, „ყბებიო“... — ვგულისხმობთ მარცხენასა და მარჯვენას, არავითარ შემთხვევაში — ზედას და ქვედას. არაქართულია ერთტომეულის განმარტება. ასე რომ იყოს — ზედაც და ქვედაც, მაშინ ნიკაპი „დინგი“ გამოვიდოდა. დაირღვეოდა ქართული ენის პოზიცია — ქართული ლოგიკის მიერ გაწყობილი...“ (რამიშვილი, 1995, 133). ეს აღქმითი პოზიცია (მარცხენა და მარჯვენა ყბა) აისახება ნაწარმოებ სიტყვებშიც: ცალყბა, ცალყბად, „უგულოდ, სხვათაშორის“. სხვადასხვა ენის განსხვავებული მსოფლალქმა წარმოჩნდება ზოგადი ნათესაობის აღმნიშვნელი

სომატურ სახელთა სემანტიკური მიკროველის სტრუქტურების შედარების დროსაც. ამ მიკროველში სხვადასხვა ენაში განსხვავებული ფუნქციისა და რაოდენობის ლექსემები ერთიანდება, მაგ., ქართულში ნათესაობის აღსანიშნავად გამოიყენება სისხლი, გული, ღვიძლი, ხორცი, თესლი და სხვა სიტყვები, აფხაზურში — ხორცის, ტყავის კანის, თესლის, ფეხის, გულის, ღვიძლის, ძარღვისა და მსგავს სიტყვათაგან მომდინარე ფუძეები. მეგრულში, აფხაზურის მსგავსად, ნათესაობის აღსანიშნავად ძარღვიც გამოიყენება („ჯერ ღვით და ზისხირით“). ლათინურსა და რუსულში ზოგადი ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვად სომატურ ლექსემებთან ერთად „მუხლიც“ დასტურდება. ლათ. *genus* მუხლი — წარმომავლობა, ნათესაობა... (ლომთათიძე, 1983, 134-140).

რუს. *колено* — *род (поколение)* (ფასმერი, 1967, 289).

შდრ., აგრეთვე: ბერძ. τὸ γένος - τὸ γένος მუხლი — წარმომავლობა, ნათესაობა... (დგორეცი, 1958).

სომატური ლექსიკის გამოყენება ახლო ნათესაური კავშირის გადმოსაცემად ადამიანის აზროვნების უძველეს შრეებს წარმოაჩენს. ამ სემანტიკური გადაწევის ახსნა არ არის რთული (შენი ნაწილი — გული, ხორცი, ღვიძლი, სისხლი > შენი ახლობელი, ნათესავი, შენიანი. შდრ.: „ჯორცო ჩემო და დაო ჩემო“ ფლკტ. 150, 7 (აბულაძე, 1973). „მიუმცნეს მას ჯორციელთა მისთა ნათესავთა“ მ. ცხ. 167r. და ეს გადაწევა რამდენადმე უნივერსალური ჩანს. ის ფაქტი კი, რომ ცალკეულ ენებში ნათესაური კავშირის გამოსახატავად სხვადასხვა სომატური ლექსემები გამოიყენება (გული ან სისხლი, ღვიძლი და ა. შ., ან ერთი, ან რამდენიმე), ამ ენათა მატარებელი ხალხის კულტურული და რელიგიური ტრადიციებით — ადათ-წესებით, მითოლოგიით, ფოლკლორით... — უნდა იყოს გაპირობებული.

გამორიცხული არ არის, რომელიმე ენის გავლენით, ნათესაობის აღმნიშვნელი სომატური სახელების მიკროველის გაფართოებაც. მაგ.: მიჩნეულია, რომ ამ ფუნქციით დღეს ქართულში უფრო ადრინდელი ხორცის, ღვიძლის, გულის და მისთანათა ადგილს თანდათან, სხვა ენების გავლენით, ფეხს იკიდებს სისხლი“. (ლომთათიძე, 1983, 139).

ძველი ქართულის ტექსტებში, საბას ლექსიკონში სისხლი „ნათესავის“ მნიშვნელობით დადასტურებული არ არის. სომატურ სახელთაგან ამ მნიშვნელობით ძველ ქართულში გვხვდება თესლი-„მემკვიდრე“; ტომი; ჯიში (სარჯველაძე, 2001), ჯორცი, ჯორციელი, ჯორციელება, ჯორციელობა „ჯორციით, სისხლით ნათესაობა (აბულაძე, 1973). ამ მნიშვნელობით სისხლი ქართულში, როგორც ჩანს, გვიან დამკვიდრდა. შესაძლოა, სემანტიკურ გადასვლას — სისხლი > ნათესავი ხელი შეუწყოს ზიარების სიტყვიერება ფორმულამ — ქრისტეს წმინდა ნაწილების — ჯორცისა და სისხლის გვერდიგვერდ ხმარება: ჯორცი და სისხლი ქრისტესი: „მოჰგუარეს მას სადიაკონოთ ჯორცი და სისხლი ქრისტესი“. ლიმ. 23, 15 (აბულაძე, 1973).

ძველ ბერძნულში „სისხლის“ ცნების აღსანიშნავად რამდენიმე სიტყვა იხმარება, მათ შორის ძირითადი — αἷμα „სისხლი“ (როგორც დამოუკიდებლად, ასევე შესიტყვებებში) ჰომეროსის პოემებში უკვე, გენის მატარებლის, სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ფუნქციით გვევლინება.

αἷμα τε καὶ γένος

κῆριστοι τελέθουσι, μεθ' αἷμα τε καὶ γένος αὐτῶν

სისხლით ნათესავთ შემდეგ მათაც დიდად ვაფასებთ (ოღ. 1979, 8. 583).

ὅς κεν ἐπ' ἡμάτι τῶνδε πέσῃ μετὰ ποσσὶ γυναικὸς τῶν ἀνδρῶν, οἱ σῆα ἔξ αἱμάτων εἰσι γενέθλης (ილ. 1979, 19. 110-111).

... მოკვდავი, დღეს რომ ჩაგორდება დედის კალთაში მოყმე, ნაყოფი კაცთა მოდგმის და შენი სისხლის (ილ. 1979, 19. 110-111).

αἷμα ასევე აღნიშნავს არა აბსტრაქტულ ცნებას შთამომავლობისას (поколение, generation), არამედ კონკრეტულ პიროვნებასაც. მაგ.: ὁ Διὸς... αἷμα — ზევსის სისხლი, ანუ ზევსის შვილი.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

განმარტ. ლექსიკ., 1986 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, რედ. მ. ჭაბაშვილი, თბ., 1986.

დვორცეკი, 1958 — И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, М., 1958.

ილ. 1979 — ჰომეროსი, ილიადა, რ. მიმინოშვილის თარგმანი, თბ., 1979.

ლომათაძე, 1983 — ქ. ლომთაძე, ნათესაური ურთიერთობის განსაზღვრის საფუძველი ენობრივ მონაცემთა მიხედვით (საკითხის დასმის წესით), მაცნე, ენისა და ლიტ. სერია, №3, 1989.

ოღ. 1979 — ჰომეროსი, ოდისეა, პ. ბერაძის თარგმანი, თბ., 1979.

რამიშვილი, 1995 — გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბ., 1995.

სარჯველაძე, 2001 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბ., 2001.

ფასმერი, 1967 — М. Фасмерь, Этимологический словарь русского языка, М., 1967.

TAMAR SUKHISHVILI

On Somatic Microfields Denoting Relations

Summary

The comparative study of Georgian, Megrelian, Abkhazian, Greek, Latin and Russian culture - specific differences between data has shown somatic microfields denoting general relations. The somatic microfields of the given languages differ in the number of lexemes, as well as and the functions the lexemes perform.

For instance, in Georgian the lexemes denoting blood, heart, flesh and liver can convey the meaning of relation.

In Abkhazian the same meaning is expressed by means of the lexemes denoting flesh, skin, hide, semen, foot, heart, liver and vein. Similar to Abkhazian, the Megrelian lexeme nominating vein can refer to relation.

Apart from other lexemes, Greek Latin and Russian use the lexemes denoting foot to express relation.

In Old Georgian texts the lexemes meaning semen and flesh refer to relation. Whereas the lexeme denoting blood does not convey such a meaning. Presumably this meaning is of later origin.

თბა ტაბლოზილი

ასპექტის გამოხატვისათვის ქართული ენის
საშუალო გვარის ზმნებში

ასპექტის კატეგორია მეცნიერთა შორის დღემდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

ტრადიციული გაგებით, ასპექტი ზმნით გამოხატულ მოქმედებას დასრულება-დაუსრულებლობის თვალსაზრისით წარმოაჩენს. შესაბამისად ამისა, გამოყოფენ ორგვარ ასპექტს: უსრულსა და სრულს. ძველ ქართულში ოპოზიცია: უსრული — სრული სერიების მიხედვით განიჩნოდა: I სერიის მწკრივები უსრულ ასპექტს გამოხატავდნენ, II სერიისა კი — სრულს. ახალ ქართულში ასპექტის გამოხატვის პრინციპი შეიცვალა და ამჟამად ასპექტურ ოპოზიციას ზმნისწინის დართვა-დაუსრულებლობა ქმნის. თუმცა ახალი სისტემა ვერ გვიჩვენებს ერთიან სურათს, რადგან ზოგიერთი ჯგუფის ზმნა საერთოდ ვერ გუობს ზმნისწინს ან, პირიქით, უზმნისწინო ფორმები არ ეწარმოებათ, რის გამოც ამ ჯგუფის ზმნებში ასპექტური დაპირისპირების ძირითადი პრინციპის გატარება ჭირს, თუ საერთოდ შეუძლებელი არ ხდება. ამგვარ ზმნათა შორისაა საშუალო გვარის ზმნები, რომლებიც ან საერთოდ არ დაირთავენ ზმნისწინს, ან, თუ დაირთავენ, მიმართულების გამოსახატავად. მაგალითად:

გორავს — მი-გორავს / მო-გორავს;

ქრის — მი-ქრის / მო-ქრის

როგორც მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, ზმნისწინის დართვამ არ განაპირობა ზმნის არც აწმყოს მწკრივიდან მყოფადში გადასვლა, როგორც ეს საზოგადოდ, ზმნისწინის დართვისას, ხდება და არც სრული ასპექტი აწარმოვა, როგორც ეს სხვა გვარის (მოქმედებითისა და ვნებითის) ფორმებთან გვაქვს. შეადარე:

მოქმედებითი: აგორებს — გა-აგორებს, მი-აგორებს, მო-აგორებს,
გადა-აგორებს, გადმო-აგორებს, ჩა-აგორებს...

ადულებს — ა-ადულებს, გადა-ადულებს, გადმო-ადულებს, მი-ადულებს, მო-ადულებს, და-ადულებს...
ვნებითი: გორდება — გა-გორდება, მი-გორდება, მო-გორდება, გადა-გორდება, გადმო-გორდება, ჩა-გორდება...

დულდება — ა-დულდება, გადა-დულდება, გადმო-დულდება, მი-დულდება, მო-დულდება, და-დულდება...

ამრიგად, საშუალო გვარის ზმნები ასპექტის წარმოების ზოგად პრინციპს არ ემორჩილებიან. ამიტომაც იმთავითვე დაისვა საკითხი საშუალო გვარის ზმნებში ასპექტის გამოხატვის საშუალების შესახებ და მრავალი თვალსაზრისი გამოითქვა კიდევ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. მაგალითად, ი. მელიქიშვილმა საშუალო-მოქმედებითი გვარის ზმნებში არსებული ქცევის ნიშნები ასპექტის მარკერად მიიჩნია და აღნიშნა: „ზმნების ყველაზე დიდი კლასი, რომელიც ქცევით აწარმოებს ასპექტურ დაპირისპირებას, არის მედიოაქტიურ ზმნათა კლასი“ (მელიქიშვილი, 2002, 123) მისივე მოსაზრებით, „ქცევის პრეფიქსები მიმართებითი, პრედიკაციული ელემენტებია. ისინი მდგომარეობის სემანტიკას უფრო ბუნებრივად უკავშირდებიან, ვიდრე დინამიკის სემანტიკას. წყვეტილი ასპექტი სემანტიკურად მდგომარეობასთან უფრო ახლოა, ვიდრე უწყვეტელი. ამიტომ ბუნებრივია, რომ დაპირისპირებაში უწყვეტელი-წყვეტილი „შეწყვეტილის, შემოსაზღვრულის“ სემანტიკა ქცევით კატეგორიას დაუკავშირდეს: სადილობს, თევზაობს, მეფობს გულისხმობს მოქმედების განხორციელების პროცესს: ისადილა, ითევზავა, იმეფა ფორმები გვიჩვენებენ, რომ სუბიექტი იყო მოქმედი, ხოლო ახლა იგი ის პირია, ვინც ნასადილევა, ნათევზავებია, ვინც იყო მეფე — ზმნურ ფორმაში აისახება სუბიექტის პრედიკაციული კავშირი ადრე განხორციელებულ მოქმედებასთან“ (მელიქიშვილი, 2002, 131).

ვფიქრობთ, **იმეფა, ისადილა, ითევზავა** ფორმებში ზღვრულობის სემანტიკა უნდა უკავშირდებოდეს თვით მწკრივის — წყვეტილის თვისებას, გვიჩვენოს შეწყვეტილი მოქმედება. რაც შეეხება **ისადილებს, ითევზავებს** ან **იმეფებს** ფორმებს, რომლებიც, თითქოს, მომავალში დასრულებად მოქმედებებს გამოხატავენ, ზღვრულობის სემანტიკა მათ სხვა მიზეზით უნდა ენიჭებოდეთ. უფრო კონკრეტულად, ეს დაკავშირებული ჩანს ახალ ქართულში მყოფადის ჩამოყალიბების თავისებურებასთან.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში მომავლის მნიშვნელობით კავშირებით მწკრივები გამოიყენებოდა, ხოლო ახალ ქართულში მყოფადი აწმყოს წრის მწკრივის ფორმებზე ზმნისწინის დართვით იწარმოება, რის გამოც, მყოფადის მწკრივები ფაქტობრივ ზმნისწინიანი, ანუ სრული ასპექტისა გამოვიდა იმ შემთხვევის გარდა, როცა მყოფადში განსახორციელებელი მოქმედების უზმნისწინოდ (უსრული ასპექტის ფორმით) წარმოდგენაცაა შესაძლებელი, ოღონდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მყოფადი აწმყოსაგან ფორმობრივად არ განსხვავდება და მოქმედება მომავალში რომ უნდა მოხდეს, ამას კონტექსტი ან ზუსტად მითითებული დრო გვიჩვენებს. ცალკე აღებული უზმნისწინო ფორმა მომავლის გაგებას ვერ იტყუებს და აწმყოს კუთვნილება იქნება, მაშინ როცა ზმნისწინიანი მყოფადი დროული თვალსაზრისით ორაზროვნებას გამოიცხადებს. მაგალითად:

მოსწავლე საკონტროლოს **წერს**. (აწმყო)

მოსწავლე საკონტროლოს **წერს** ხვალ. (მყოფადი, უსრული ასპექტი)

მოსწავლე საკონტროლოს **დაწერს**. (მყოფადი, სრული ასპექტი)

საშუალო გვარის ზმნებში ქცევის ნიშნების ასპექტის მარკერად მიჩნევის ის ფაქტიც უშლის ხელს, რომ მათ არც ერთ მწკრივში ქცევისნიშნის პარალელურად უქცევისნიშნო, ანუ უსრულასპექტიანი ცალი არ ექნებათ. ხოლო ოპოზიციის (სრული : უსრული) არარსებობა ეჭვის ქვეშ დააყენებს ასპექტის კატეგორიის მქონებლობას აღნიშნული ჯგუფის ზმნებში. შეადარე:

- მოქმედებითი: აგორებს — (გა)აგორებს; (გა)აგორა;
 აღუღებს — (მო)აღუღებს; (მო)აღუღა;
 ვნებითი: გორდება — (გა)გორდება; (გა)გორდა;
 დუღდება — (მო)დუღდება; (მო)დუღდა;
 საშუალი: გორავს — იგორებს; იგორა;
 დულს — იდუღებს; იდუღა.

ამრიგად, საშუალო გვარის ზმნები საკუთარი ფორმის ფარგლებში ვერ ახერხებენ ასპექტური ოპოზიციის შექმნას. ამიტომაც ა. შანიძემ ისინი დონიანი ვნებითის შესაძლო უსრულასპექტიან ცალად მიიჩნია: „მედიუმმა შეიძლება უსრული ასპექტის მაგივრობა გაუწიოს დონიან ვნებითს, განსაკუთრებით აწმყოს წრეში“ (შანიძე, 1980, 311). ამავე აზრს ავითარებს ზ. ჭუმბურიძე ნაშრომში „მყოფადი ქართველურ ენებში“. იგი აღნიშნავს, რომ საშუალო გვარის ზმნათა-

გან ზოგიერთს შეიძლება დაერთოს ზმნისწინი, მაგრამ ეს მწკრივს ვერ შეცვლის და ასპექტიც უსრული ექნება, მაგრამ იქვე ასკვნის მკვლევარი, რომ „თითქმის ყველა მათგანს მყოფადში პარალელურად მოეპოვება სრული ასპექტის ფორმებიც ზმნისწინდართული დონიანი ვნებითის სახით: აღუღდება, აქუხდება, შეწუხდება“... (ჭუმბურიძე, 1986, 119) მოსაზრების თანახმად, საშუალო გვარის ოპოზიციური ცალი მყოფადსა და წყვეტილში შემდეგი სახისა იქნება:

აწმყო მყოფადი წყვეტილი

დულს — იდუღებს (საშ.) / აღუღდება (ვნებ.) იდუღა (საშ.) / აღუღდა (ვნებ.)
 წუხს — იწუხებს (საშ.) / შეწუხდება (ვნებ.) იწუხა (საშ.) / შეწუხდა (ვნებ.)

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ცხრილში მყოფადსა და წყვეტილში საშუალო და ვნებითი გვარის ზმნური ფორმები არ შეიძლება ასპექტურ ოპოზიციურ ცალებად მივიჩნიოთ, რამდენადაც იწუხებს / შეწუხდება ან იწუხა / შეწუხდა ფორმების სუბიექტი სხვადასხვა ვითარებაში ექცევა: იწუხებს / იწუხა ფორმებში წუხილის ვითარებაში იქნება ისე, რომ თვითონ იქნება მნებელი წუხილისა, ხოლო შეწუხდება / შეწუხდა ფორმებში განმცდელი იქნება წუხილისა შინაგანი მნებლობის გარეშე. ამდენად სრული : უსრული ოპოზიცია ვნებითი: საშუალო გვარის ზმნების დაპირისპირების ფონზე გრამატიკულად მიუღებელი, ხოლო შინაარსობრივ-სემანტიკურადაც შეუთავსებელი გამოდის სუბიექტის სხვადასხვა ვითარებაში ყოფნის გამო.

ზემომოყვანილი მსჯელობა გვაგარაუდებინებს, რომ საშუალო გვარის ზმნებს არ ძალუძთ საკუთარი ფორმის ფარგლებშივე გვიჩვენონ სრული ასპექტი, ხოლო უსრული : სრული ოპოზიციის სისტემური არგატარების, ანუ ერთი ცალის არარსებობის გამო, უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება აღნიშნული გვარის ზმნებში ასპექტის გამოხატვის უნარის მქონებლობა. და თუ ეს მართლაც ასეა, საინტერესოა, რამ გამოიწვია ეს ხარვეზები.

მკვლევართა შორის არსებობს მოსაზრება საშუალო გვარის ზმნების სტატიკურად მიჩნევის შესახებ (ჩიქობავა, 1998; სუხიშვილი, 1976; მაჭავარიანი, 1974). საშუალო გვარის ზმნები უნდა გამოხატავდნენ მდგომარეობას და არა მოქმედებას. მაგალითად, როცა თ. უთურ-გაიძე საშუალო გვარის ზმნებში გეზისა და ორიენტაციის გამოხატვის შესახებ მსჯელობს, აღნიშნული ჯგუფის ზმნებში გეზის ვერგამოხატ-

ვის ბუნებას ხსნის: „თუ მივიღებთ დებულებას, რომ დინამიკას — პროცესს უპირისპირდება მდგომარეობა, რომელიც ასახავს სულიერ ან ფიზიკურ ვითარებას კონკრეტული პუნქტისაკენ მიმართულების გარეშე (ამიტომ ვერ გუობს გეზის კატეგორიას), მაშინ უძრავობა იქნება მდგომარეობის ერთ-ერთი სახეობა (სტატიკური ვნებიანობა და მედიოპასივობა), მედიოაქტივობა კი იქნება ვითარების ამსახველი ზმნები. მაშასადამე, უძრავობა და ვითარება მდგომარეობის მახასიათებელი ნიშნებია, რომელთაც გრამატიკულად აერთიანებს გეზმიუმართაობა“ (უთურგაიძე, 2001, 88). ხოლო რამდენადაც ასპექტის გამოხატვა „გეზის კატეგორიის ელემენტებით“, ანუ ზმნისწინებით ხორციელდება, მათ არც ასპექტის გამოხატვა შეუძლიათ. საშუალო გვარის ზმნები გვიჩვენებენ მდგომარეობას ან ვითარებას, რომელიც ხდება რომელიმე დროში: აწმყოში, მომავალში ან წარსულში. ამიტომაც ეს ზმნები ვერც საერთო წესის მიხედვით (ანუ ზმნისწინით) აწარმოებენ მყოფად და ვერც წყვეტილში ირთავენ ზმნისწინს სრული ასპექტის გამოსახატავად, რადგან ასპექტს, გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, ეკისრება მოქმედების დასრულებულად ან დაუსრულებლად ჩვენება, ხოლო საშუალო გვარის ზმნები გამოხატავენ მდგომარეობას ან ვითარებას და არა მოქმედებას. სწორედ ამით აღნიშნული გვარის ზმნებში ასპექტის კატეგორიის არქონა ბუნებრივად იხსნება, ხოლო უსრულობის შეგრძნებას ამ ზმნებში, ვფიქრობთ, მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე დროში არსებული მდგომარეობის ან ვითარების მუდმივობა უნდა გვაძლევდეს.

ლიტერატურა

მაჭავარიანი, 1974 — გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბ., 1974.

მელიქიშვილი, 2002 — ი. მელიქიშვილი, ქცევა, როგორც ასპექტურ დაპირისპირებათა გამოხატვის საშუალება ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 2002, № 4(16).

სუხიშვილი, 1976 — მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976.

უთურგაიძე, 2001 — თ. უთურგაიძე, მდგომარეობის ზმნები ქართულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, თბ., 2001.

შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.

ჩიქობავა, 1998 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998.

ჭუმბურიძე, 1986 — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

TEA TETELASHVILI

The Problem of Expressing Aspect in Georgian Verbs of Medial Voice

Summary

Georgian verbs of medial voice do not follow the basic principle of forming the category of aspect, i. e. they do not and cannot take preverbs. The verbs in question do not use any other means for conveying a completive aspectual meaning either. That is why the question of expressing aspect by medial voice verbs is doubtful.

This phenomenon can be explained by the semantics of medial voice verbs: since the verbs in question express states they cannot convey aspectual meanings.

ია ტურაშვილი

ბოლოხმოვნისანი სახელები ნასახელარი ზმნის ფუძედ
საშუალი ქართულის ძებლთა ენის მიხედვით

საშუალი ქართულის ძებლებში მრავლად მოიპოვება ნასახელარი ზმნები, რომელთა ფუძედ გამოყენებულია ხმოვანფუძიანი სახელები. სახელურ ფუძეს გაზმნავებისას მოსდევს პირის, თემის, გვარის ან მწკრივის ნიშანი. არსებობენ ბოლოხმოვნისანი სახელები, რომლებიც ამ ნიშანთა დართვით იკვეცებიან და, პირიქით, — არ იკვეცებიან. არსებობენ ისეთი სახელებიც, რომლებიც ზოგჯერ ერთი და იმავე თემის ან მწკრივის ნიშნის დართვით ხან იკვეცებიან და ხან — არა. **ა, ე და ო** ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელები გაზმნავებისას იკვეცებიან. საშუალი ქართულის ძებლთა ენის მიხედვით, **უ** ხმოვანზე დაბოლოებული სახელები გაზმნავებისას არ იკვეცებიან.

სახელური ფუძის კვეცა შეუძლია როგორც ოდენ ხმოვნიან სუფიქსს (**-ა**), ასევე ხმოვანზე დაწყებულ სუფიქსსაც. სახელი იკვეცება ღონიანი ვნებითის მაწარმოებლის დართვით და გვაქვს მარტივფუძიანი სახელების **S₃** პირის **-ს** ნიშნით შეკვეცის შემთხვევები: წვიმს, მოწვიმს, სწვიმს, დასწვიმს, სეტყვს. მაგრამ საშუალი ქართულის ძებლთა ენაში შეინიშნება ისეთი შემთხვევებიც, სადაც ერთი და იგივე სახელური ფუძე ხან შეკვეცილი ფორმით გვხვდება, ხან — არა. ასეთები: ბრმა, ცა, დილა, კალთა, ელვარე, მზე, მხნე, მწე, მცენარე, მტკიცე, მარჯვე, უსამართლო, სამყარო, ჯილდო, საჩინო, გემო, უსჯულო. თითოეული სახელური ფუძის განხილვა საინტერესო ვითარებას წარმოგვიდგენს.

ბრმა — (18 ზმნური ერთეული) წარმოდგენილია:

ა) უკვეცილი სახით — დაუბრმავდა [ორბ.სიბ.-სიცი. 1986, 126], დაბრმავდეს [ორბ. თხზ. II₁, 1962, 304].

ბ) კვეცადი სახით — დავაბრმო [ორბ.თხზ. II₁, 1962, 353], დაბრმდენ [ვახტანგ VI, 56], დაუბრმდებიან [ორბ.სიბ.-სიცი. 1986, 127], დაუბრმობენ [რუსთველი, 1988, 190, 1244], მაბრმობს [ორბ.თხზ. II₁,

1962, 400], დამიბრმო [არჩ. II, 1, 2].

ეს ერთმარცვლიანი ფუძე გაზმნავებისას **-ო** მწკრივის ნიშნით ან **-ო**-ზე დაწყებული **-ობ** თემის ნიშნით იკვეცება, ასევე ღონიანი ვნებითის მაწარმოებლით იკვეცება. უკვეცილ ფორმებში ირთავს **გ** თანხმოვანს.

ცა — უკვეცილი სახით: უცაენ [ბესიკი, 1962, 77], მიიცამცა [არჩ. II, 37, 311],

კვეცადი სახით: იცო [რუსთველი, 1988, 105, 661].

დილა — უკვეცილი სახით: გაადილავა [ორბ.თხზ. II₂, 1962, 247].

კვეცადი სახით: ადილებს [რუსთველი, 1988, 112, 710].

კალთა — უკვეცილი სახით: დაიკალთაოს [ორბ.თხზ. II₂, 1962, 28], დაეკალთაებინა [ორბ.თხზ. II₁, 1962, 49].

კვეცადი სახით: დაიკალთა [ნ.ციციშვილი, 1930, 99, 792].

ელვარე — უკვეცილი სახით: ელვარეობდა [ორბ.თხზ. II₁, 1962, 209], მოელვარეობდეს [ორბ.თხზ. II₂, 1962, 159].

კვეცადი სახით: ელვარებს [ორბ.თხზ. II₁, 1962, 182], ელვარებდა [რუსთველი, 1988, 175, 1128]. ეს ფუძე **-ებ** თემის ნიშნის დართვით იკვეცება, ხოლო **-ობ** თემის ნიშანი კი ვერ კვეცს მას.

მზე — უკვეცილი სახით: უმზევენ [ბესიკი, 1962, 77], გავამზევნიდე [ორბ.თხზ. II₁, 1962, 394], გარდამზევდეს [ტფილელი, 1939, 25, 153], ენა-მზეობდენ [ჩახარუხაძე, 191, 30], მზეობს [რუსთველი, 1988, 128, 818], გამიმზევდა [თეიმურაზი, 29, 37], გაამზევნა [ნ.ციციშვილი, 1930, 164, 1352], გმზეობს [შავთელი, 1964, 125], მზეობს [ჩახარუხაძე, 193, 51], მზეობდა [ნ.ციციშვილი, 1930, 219, 1811].

კვეცადი სახით: მზობდეს [ორბ.თხზ. II₁, 1962, 143], მემზოს [რუსთველი, 1988, 85, 530], იმზებსა [არჩ. II, 96, 825], გიმზო [ჩახარუხაძე, 193, 51], მზობს [ნ.ციციშვილი, 1930, 70, 553].

ეს ფუძე გარკვეულ თავისებურებას ამჟღავნებს გაზმნავებისას, კერძოდ, **-ობ** თემის ნიშნის დართვით ხან იკვეცება და ხან — არა:

უკვეცილი ფორმა

**ენამზეობდეს
მზეობს**

შეკვეცილი ფორმა

**მზობდეს
მზობს**

-ებ თემის ნიშანი კვეცს ამ სახელს. რაც შეეხება ჩართულ **-გ** თანხმოვანს, იგი გვხვდება მრავლობითობის **-ენ** მორფემისა და ღონიანი ვნებითის მაწარმოებლის წინ.

მხნე — უკვეცილი სახით: უმხნეოდა [რუსთველი, 1988, 148,

951], მვნეობდა [ნ.ციციშვილი, 1930, 219, 1811].

კვეცადი სახით: გამამხნო [თეიმურაზ II, 117, 3], გაამხნობს [არჩ. I, 13, 93].

ანალოგიური ვითარებაა **-ობ** თემის ნიშანთან დაკავშირებით სახელური ფუძის „მხნე“-ს გაზმნავებისას: განამხნობდეს, განამხნობს — მხნეობდა.

მწე — უკვეცელი სახით: გამწევებოდეო [ორბ.თხზ. II₁, 1962, 359], გვემწე [ორბ.თხზ. II₁, 1962, 390], გემწევიან [ორბ.თხზ. II₁, 1962, 406].

კვეცადი სახით: ემწეობდა [რუსთველი, 1988, 41, 229], ემწოსა [ორბ.თხზ. II₁, 1962, 40].

მცენარე — უკვეცელი სახით: მომცენარეობდეს [ქართ. პროზ. 3, 177].

კვეცადი სახით: მცენარობს [ვახტანგ VI, 27, 24].

უსამართლო — უკვეცელი სახით: უსამართლოებდენ [რუსთველი, 1957, 117].

კვეცადი სახით: უსამართლობს [არჩ. I, 34, 120].

როგორც ვიცით, **-ო** ხმოვანზე დაბოლოებული სახელები არ იკვეცება, მაგრამ გაზმნავებისას შეინიშნება მათი შეკვეცილი ვარიანტებიც. ანალოგიური ვითარებაა შემდეგ სახელებშიც:

უსჯულო — უკვეცელი სახით: უსჯულობს [არჩ. I, 73, 4].

კვეცადი სახით: უსჯულობდის [თეიმურაზ II, 52, 418].

სამყარო — უკვეცელი სახით: მესამყაროების [ბესიკი, 1962, 188], სამყაროობდენ [ბესიკი, 1962, 105].

კვეცადი სახით: დაასამყაროსა [თეიმურაზ I, 123, 19].

ჯილდო — უკვეცელი სახით: ეჯილდოების [ნ.ციციშვილი, 1930, 85, 682].

კვეცადი სახით: ჯილდობს [ბესიკი, 1962, 93].

საჩინო — უკვეცელი სახით: საჩინოებს [ქართ. მწ. 8, 555].

კვეცადი სახით: საჩინობს [ქ.სამ. ძეგ. II, 1965, 431].

გემო — უკვეცელი სახით: ეგემოვნა [ორბ.თხზ. II₂, 1962, 135], გემოობდენ [ვისრ. 1964, 80], ვაგემოვნენ [ვახტანგ VI, 32, 62].

კვეცადი სახით: უგემეობა [ვახტანგ VI, 22, 99], იგემოსო [ორბ.თხზ. II₁, 1962, 205].

საშუალო ქართულის ძეგლთა ენაში მოიპოვება ისეთი უკვეცელი სახელური ფუძეები, რომლებიც გაზმნავებისას იკვეცებიან. ა. შანიძის

აზრით, „საზოგადო სახელებში არ მოიპოვება ფუძე, რომ უკვეცელი ეჭქონდეს“ [შანიძე, 1980, 66]. ე. ლომთაძე კი საპირისპირო მოსაზრებას წარმოგიდგენს. მისი აზრით, „დებულება, თითქოს საზოგადო სახელების ბოლოკიდური ე უგამონაკლისოდ კვეცადი იყოს, არაა ობიექტური ვითარების შესატყვისი“ [ლომთაძე, 54]. მართლაც, საშუალო ქართულში დადასტურდა ასეთი ფუძეების არსებობა. ასეთი სახელები დამოუკიდებლად ხმარებისას უკვეცელია, მაგრამ გაზმნავებისას კვეცას განიცდის:

მტკიცე (18 ერთეული): ამტკიცო [რუსთველი, 1988, 117, 744], დაამტკიცისა [თეიმურაზ II, 52, 417], დამტკიცდებისა [თეიმურაზ II, 53, 421].

მოკლე (20 ერთეული): შეუმოკლდენ [ვისრ. 1964, 175], დაამოკლდენ [რუსთველი, 1988, 134, 862], უმოკლევდი [ბესიკი, 1962, 161].

მარჯვე (32 ერთეული): გაგვიმარჯვდის [ხონელი, 1969, 131], გამარჯვია [ხონელი, 1969, 114], გამემარჯოს [ხონელი, 1969, 160], გამარჯოდა [არჩ. II, 51, 435], გაგემარჯვება [არჩ. II, 11, 84], გამმარჯვობს [არჩ. I, 10, 69], დაგვიმარჯვებ [ბესიკი, 1962, 151], ჰმარჯვია [ხონელი, 1969, 173].

მძიმე (35 ერთეული): მამძიმობს [ორბ.თხზ. II₁, 1962, 84], მძიმობდენ [ორბ.თხზ. II₁, 1962, 163], დამძიმდის [ორბ.თხზ. II₁, 1962, 181], იმძიმებ [ვახტანგ VI, 41, 132], გამძიმობს [ვისრ. 1964, 152], დამცა-განაღავიძიმდა [ხონელი, 1969, 167].

მჭლე: დაამჭლობს [დ. ბაგრატიონი, 1992, 58], დაამჭლობს [ორბ. თხზ. II₁, 1962, 449], ვმჭლდები [რუსთველი, 1988, 149, 960], დაუმჭლდეს [ორბ. თხზ. II₂, 1962, 226], დამჭლდები [ვისრ. 1964, 50], დაამჭლო [ორბ. თხზ. II₁, 1962, 285], დაემჭლოს [ქ.სამ. ძეგ. I, 1963, 461], დამჭლდა [ორბ. თხზ. II₁, 1962, 118], ამჭლობ [გურამიშვილი, 1955, 148, 3], დანამჭლობს [გურამიშვილი, 1955, 236, 394], დაამჭლობს [ორბ. თხზ. II₁, 1962, 232].

სავსე: ისავსებს [არჩ. II, 121, 1050], მოგვისავსენ [რუსთველი, 1988, 36, 195].

მწვავე: ემწვავა [ორბ. თხზ. II₁, 1962, 163], ემწვავა [რუსთველი, 1957, 132].

მსგავსი ვითარება შეინიშნება დიალექტებშიც: ალავე—ალავესი (იმერ.), ლელე—ლელესი (იმერ.), ალაჯუნე—ალაჯუნესი (რაჭ.). ანალოგიური ვითარებაა ა-ზე დაბოლოებულ სახელებშიც, სადაც ა მ-

წარმოებელია. ასეთებია:

მელა: გამელდებისა [არჩ. I, 129, 22], გამომელდა [რუსთველი, 1988, 119, 759], მელობდეს [ორბ.თხზ. II, 1962, 405], გამელეზულა [ვისრ. 1964, 62], მელობდეს [თეიმურაზ I, 55, 232].

ტურფა: გაეტურფა [რუსთველი, 1988, 108, 682], სტურფობდეს [რუსთველი, 1988, 36, 190], გტურფობს [ჩახრუხაძე, 193, 50], მეტურფები [ვისრ. 1964, 184].

ო-ზე დაბოლოებულთაგან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს **ღვინო**, რომელიც დამოუკიდებლადაც და გაზმნავებისასაც კვეცადი სახით გვევლინება: **ღვინო:** ღვინევდეს [ტფილელი, 1939, 50, 64]. ეს გამონაკლისი, ე. ლომთაძის აზრით, აიხსნება იმით, რომ „ღვინო — ფუძე წინარეისტორიულ ხანაში ბოლოთანმდგომი იყო. მისი ბოლოკიდური ხმოვანი ოდინდელი სუფიქსისეული ოდენობაა“ [ლომთაძე, 55].

როგორც ვხედავთ, ფორმათა სიჭრელესთან გვაქვს საქმე. ზოგჯერ ერთი და იმავე მწერლის შემოქმედებაში კი გაზმნავებისას თანაარსებობენ შეკვეცილი და შეუკვეცილი ფორმები. ნასანელარი ზმნები საშუალო ქართულიდან მოყოლებული თანდათან იფართოებენ არეალს და საბოლოო ჩამოყალიბებამდე მოსალოდნელია ასეთი ცვლილებების არსებობა საშუალო ქართულის ძეგლთა ენაში.

ლიტერატურა

ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, თბ. 1947, აღ. ბარამიძის რედაქციით;

სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე-სიცრუისა, თბ. 1986;

სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, თბ. 1962, და II, თბ. 1965;

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ. 1988;

ჩახრუხაძე, თამარიანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, თბ. 1946. შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ;

იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ძველი ქართველი მეხოტბენი, II, თბ. 1964;

რუსუდანია, ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ. 1957;

არჩილიანი, I და II, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1936;

ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ. 1965;

თეიმურაზ I, თბ. 1934, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით;

თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, თბ. 1939, გ. ჯაკობიას რედაქციით.

IA TURASHVILI

Nouns with Ultimate Vowels as the Stems for Nounal Verbs in Medieval Georgian records

Summary

In Medieval Georgian, nounal verbs that are formed from vocalic - stem nouns are quite numerous. To become a verb the noun takes a person, thematic, voice or a chunk marker. Some vocalic-stem nouns are reduced when taking the above-said markers. Some nouns are either reduced or not when taking one and the same thematic or chunk marker. In Medieval Georgian, the nouns whose stems ended in **a**, **e** or **o** were reduced, whereas the nouns ending in **u** - were not. The diversity of forms lets us conclude that Medieval Georgian is a transition period.

სოფიო ტაყაშელაშვილი

ოთხწევრა თანხმომავანთკომპლექსები ქართული ენის
ფერეიდნულ დიალექტში

ქართულ ენაში ერთი მორფემის ფარგლებში შესაძლოა ორი, სამი, ოთხი და ხუთი თანხმომავანის შემცველი მიმდევრობები. ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში კი მაქსიმალური სიგრძის თანხმომავანთკომპლექსი მორფემის ფარგლებში შეიცავს ოთხ წევრს, მაგრამ ეს უკანასკნელიც სიხშირით არ გამოირჩევა. გამოვლენილი სამწევრა თანხმომავანთკომპლექსების უმეტესობას სონორი ბგერები ქმნის, ხოლო არასონორი ბგერების შემცველი მიმდევრობები ძალზე მცირე რაოდენობით დადასტურდა.

სხვა ქართული კილოებისაგან განსხვავებით ფერეიდნულ დიალექტში ოთხწევრა თანხმომავანთკომპლექსების გაცილებით მცირე რაოდენობა დასტურდება. ეს აიხსნება იმით, რომ სპარსული ენისათვის დამახასიათებელი არ არის მრავალწევრიანი კომპლექსები, ამიტომ, შესაბამისად, ფერეიდნულშიც ნაკლებად ჩანს ისინი. კერძოდ:

1. **სონორი + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპარალოვანი + სონორი:**

რწვე: მორწვევა (< მორწვევა);

რტყმ, დარტყმა (< არტყამს);

2. **სონორი + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ხშული + სონორი:**

მთქმ: მთქმელი || თქმელი

3. **სონორი + I რიგისმიერი ხშული + სონორი + სონორი:**

რცვლ: დამარცვლა (< მარცვალი);

მკვლ: მამკვლელი, დამკვლი (< კლავს);

4. **II რიგისმიერი ნაპარალოვანი + II რიგისმიერი ხშული + სონორი + სონორი:**

ჭკვლ: დაჭკვლენ;

ჭკვრ: დაჭკვრენ;

5. **II რიგისმიერი ნაპარალოვანი + სონორი + II რიგისმიერი ხშული + სონორი:**

ჭრქმ, ჭრქმეგია;

6. **სონორი + I რიგისმიერი ნაპარალოვანი + II რიგისმიერი ნაპარალოვანი + სონორი:**

ვსნრ: დავსნრებით (< დასხეპვა);

7. **სონორი + II რიგისმიერი ნაპარალოვანი + II რიგისმიერი ნაპარალოვანი + II რიგისმიერი ნაპარალოვანი:**

ვჭყვ: ვჭყვანდე;

8. **სონორი + I რიგისმიერი ხშული + I რიგისმიერი ნაპარალოვანი:**

რთხს: ერთხსო;

9. **სონორი + I რიგისმიერი ნაპარალოვანი + II რიგისმიერი ნაპარალოვანი + I რიგისმიერი ხშული:**

ვსნდ: დავსნდით;

10. **სონორი + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპარალოვანი + I რიგისმიერი ხშული:**

ვწყდ: დავწყდით;

11. **სონორი + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპარალოვანი + სონორი:**

ვჭყლ: დავჭყლიტავთ;

12. **სონორი + სონორი + I რიგისმიერი ხშული + II რიგისმიერი ნაპარალოვანი:**

ვრწყ: მოვრწყით;

მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში მაქსიმალური სიგრძის კონსონანტური ჯგუფი შეიცავს ოთხ ელემენტს, მაგრამ არა ერთი მორფემის ფარგლებში, არამედ მორფემათა ზღვარზე.

ფერეიდნულ დიალექტში სამწევრა თანხმომავანთკომპლექსების მსგავსად ოთხწევრაშიც ორი კომპონენტი ქმნის დეცესიურ ან ლაბიალურ კომპლექსს: **ტკბ, პტკ, პწკ, რდგ, სწყ, რწყ, რცხ, რტყ, თხვ, ტყვ, წყვ, ცხლ, წყტ; რწყვ (მორწყვა), რტყმ (დარტყმა), რცვლ (დამარცვლა), მკვლ (მამკვლელი), მთქმ (მთქმელი || თქმელი)...**

ლაბიალიზაციის საკითხს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა (გ. ახვლედიანი, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა, ს. ულენტი, შ. გაფრინდაშვილი,

ტ. გუდავა, მ. ქალდანი, ა. მაჰომეტოვი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, ი. ჩანტლაძე, ტ. ფუტკარაძე...); ცნობილია, რომ ბაგისმიერობა და ველარულობა ერთმანეთს გულისხმობს (შდრ., ტერმინი: ლაბიო-ველარიზებულიობა; რ. იაკობსონი, გ. ფანტი, მ. ჰალე). თანამედროვე ქართველური ენა-კილოების ველარული და ლაბიალური კომპლექსების დიდი ნაწილი საერთოქართველურში არსებული ლაბიოველარიზებული ბგერების ტრანსფორმაციები ჩანს; სწორედ ამგვარი წარმომავლობით შეიძლება აიხსნას კომპლექსთა ჰარმონიულობა / ბუნებრივობა (საკითხის მიმოხილვისთვის იხ.: ფუტკარაძე, 1998, 62-63; გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია, 2003, 564-565; ფუტკარაძე, 2005, 270-272). ამ თვალსაზრისით საინტერესოა: ფერეიდნულ დიალექტშიც აქტიურად ვლინდება თანხმომთმომდეგობანი: **I რიგისმიერი სშული + II რიგისმიერი ნაპრალოვანი** და ისეთი **ლაბიალური კომპლექსები**, სადაც მეორე კომპონენტს ქმნის ბაგისმიერი თანხმომეგები.

ლიტერატურა

ახვლედიანი, 1999 — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999.

ბაბლუანი, 1985 — ლ. ბაბლუანი, სამწევრა და ოთხწევრა თანხმომთმომდეგობები სვანურსა და ქართულში, იკე, XXIII, თბ., 1985.

გაფრინდაშვილი, 1955 — შ. გაფრინდაშვილი, ლაბიალიზაციის ბუნებისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, იკე, VII, თბ., 1955.

გამყრელიძე, 2000 — თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000.

გუდავა, 1956 — ტ. გუდავა, ლაბიალურ კომპლექსისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში, იკე, VIII, თბ., 1956.

კიზირია, 1980 — ნ. კიზირია, თანხმომთმომდეგობანი წყვილები ჭანურში, იკე, XXII, თბ., 1980.

ლომთათიძე, 1968 — ქ. ლომთათიძე, ლაბიალიზაციის საკითხისათვის ქართველურ ენებში, იკე, XVI, თბ., 1968.

ლომთათიძე, 1984 — ქ. ლომთათიძე, კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური სშულები ქართველურ ენებში, თბ., 1984.

მაჰომეტოვი, 1974 — ა. მაჰომეტოვი, ლაბიალიზებული ბგერები და ფონემები თაბასარანულ და არულურ ენებში, იკე. წ., 1974.

ჟღენტი, 1941 — ა. ჟღენტი, ლაბიალიზებულ თანხმომთმომდეგობათა საკითხისათვის ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, 1941.

ფუტკარაძე, 2005 — ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთ., 2005.

ქუთელია, 1985 — ნ. ქუთელია, ლაზური კონსონანტიზმი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4, თბ., 1985.

ქუთელია, 1986 — ნ. ქუთელია, არაკანონიკური კონსონანტური ჯგუფების სუპერაციისათვის ლაზურში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბ., 1986.

ქუთელია, 2005 — ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 2005.

ჩანტლაძე, 1974 — ი. ჩანტლაძე, ლაბიალიზაციის ისტორიისათვის სვანურში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1974.

ჯორბენაძე, 1998 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

SOPIO TKESHELASHVILI

Four-member Consonant Clusters in the Fereidianian Dialect of Georgian
Summary

In the Georgian language a morpheme may consist of two / three / four or five - member consonant clusters. In the Fereidianian dialect of Georgian at most 4-member consonant clusters are encountered, though they are not frequent.

Three-member consonant clusters are mostly formed by sonorants, non-sonorant clusters are very few.

The analysis of the data has proved that consonant clusters are either of secondary nature or are evidenced on morpheme boundaries.

In Fereidianian in three-member as well as four-member clusters two components form either decessive or labial complexes.

ნანა ურთაზვილი

**სიტყვის მორალურ-მსთებრივი მხარის ასახვა
ძველ ქართულ ლიტერატურაში**

„ყოფიერების სახლი“ — ასე უწოდა ენობრივ სამყაროს ცნობილ-მა ფილოსოფოსმა მ. ჰაიდეგერმა. ადამიანი საგნობრივ სამყაროზე მეტად ენობრივ სამყაროში ცხოვრობს. ესაა სამყარო, რომელიც შექმნილია მისი სულიერი, ინტელექტუალური, სოციალური მოთხოვნილებების შესაბამისად.

ჰუმბოლდტის აზრით, ენის შესწავლა ემსახურება უდიდეს საქმეს: შეისწავლოს ადამიანმა საკუთარი თავი და მის გარშემო არსებული ხილული და უხილავი სამყარო. „ჩემი მშობლიური ენის საზღვრები მიანიშნებენ ჩემი მოსფლხედვის საზღვრებზე“. ჰუმბოლდტის ეს გამონათქვამი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ენის უდიდეს მნიშვნელობას სამყაროს შემეცნების საქმეში.

ენის, სიტყვის უდიდეს მნიშვნელობაზე ბევრს წერდნენ ქართველი კლასიკოსები. ილიასათვის „ენა ხალხის გონებრივი და ზნეობრივი საუნჯის გასაღებია“; იაკობისთვის „ძირითადი ეროვნული ძალაა“; ვაჟასთვის „ამამოძრავებელი ძალაა, ზეშთაბერვა, პოეტის აღმაფრთოვანებელი მუსიკა, მისთვის ძალ-ღონის მიმცემი“.

„სიტყვის“, ანუ „ენის“ თვისებები ქართულ ენაში მრავალმხრივად არის ასახული: წარმოჩენილია სიტყვის ძალა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობით, სიტყვის შეფასებაში აშკარად იკვეთება მორალური, ესთეტიკური და ინტელექტუალური მომენტები.

წერილში საილუსტრაციოდ გამოყენებულია ძველი ქართული ლიტერატურის ორიგინალური და თარგმნილი ძეგლების მასალა. მოცემული მაგალითები სიტყვას ახასიათებენ მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით. მსაზღვრელებად გამოყენებულია ზედსართავი სახელები, მიმღებები და ნათესაობითი დასმული არსებითი სახელები.

სიტყვის დადებითი შეფასება:

ჭეშმარიტ იყო **სიტყუა** იგი (III მეფ. 10, 6).

ეტყოდა მათ **სიტყვათა კეთილთა** (II ნუშტ. 10, 7).

და მსაჯული **სიტყვითა მამშვიდებლითა** ზრახავს (მიქია, 7, 3).

და ნუგეშის-სცემდა მას **სიტყვთა მშვიდობისა თა** (ესთ 15, 11).

შეიყუარე სიცრუე უფროს **სიმართლისა სიტყვსა** (დავითი, 51,5).

სიწმიდისა სიტყუათა ვიტყვ* (საქმე 26, 25).

რამეთუ **წრფელ** არს **სიტყუა** უფლისა (დავითი 32, 4).

სიტყვა სიყვარულისა ანგელოსთა მიერ ოდენ საცნაურ არს (სინელი, 30, III).

სიტყუა ღირსი მოიძაგეს (ამოსი, 5, 10).

და იყო ხილვა ცხოვრებისა მათისა ჭეშმარიტად ვითარცა ანგელოსთა... და **სიტყვა წესიერ** და ტკბილ. ხოლო ხუცესი იგი ესე-ვითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისსა მსოფლიო **სიტყუა** არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე **საღმრთო** და **სულიერი** (გ. მთაწ. გვ. 17).

სიტყვის უარყოფითი შეფასება:

სიტყუანი თქვენნი **ცრუ** (ეზეკ. 10, 8).

შეიყუარე შენ ყოველი **სიტყვა დაქცივისა** (დავითი 51, 6).

სიტყვა მტყუარი და **განხწნილი** თანდასდევით თქუამად წინაშე ჩემსა (დანიელი 2, 9).

და ესმა ერსა მას **სიტყუა** ესე **ბოროტი** (გამოსლ. 32, 4).

და **სიტყვთა სიძულვილისთა** მომიცვეს მე (დავითი 108, 3).

სიტყუა იგი **ბილწებისა** თქვენ შორის (2 სჯული 13, 14).

სიტყუა უშჯულოებისა (2 სჯული, 15, 9).

სიტყუა ცილისა სძულს მართალსა (ესაია 13, 5).

სიტყვამან ფიცხელმან აღადგინის რისხვანი (ივავთა 15, 1).

სიტყუა ჭერკვალი განაგდის (გ. მერჩ. 526).

კაცი ესე ამადღებულ იყო **ტყუილისა** სიტყვათაგან (სინელი, 4, CL).

უნდოთა და უსარგებლოთა **სიტყვათა** ვიწყო თქმად

(სინელი, 4, LII).

სულსა შინა ამპარტავანთასა იშვნენ **სიტყვანი გამობისანი**

(სინელი, 23, XLI).

ლეონის **მაცდურ სიტყვას** აყოლილხარ (ს.ს. 68).

ურიკო სიტყვა შეკადრეს, გალანძღეს, გაათრიესო
(დ. გურ. 363).

მისგან დამცირდა გულით დიდობანი... **უშვერი სიტყვების** ხმის
ამინდობანი (დ. გურ. 448).

დღეს რაც **საზარელი სიტყვა** მაისმინა ჩემმა ყურმა
(დ. გურ. 425).

წაიკითხა, რაღაც ნახა **სიტყვა ყიფურ-ამაყური**
(დ. გურ. 394).

სიტყვებს მკადრებს როგორ **მქისებს!** (დ. გურ. 394).

მძულს **ტყუილი, სიტყვა მრუდი** (დ. გურ. 385).

საყვარელმა **სიტყვა ავი** მითხრა **გულსაწვაავი** (დ. გურ. 471).

კაცს **ცუდი სიტყვა** კლავს, განა ხმალიო (ქართ. ანდაზა).

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, სიტყვის დადებითი მნიშვნელობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები შედარებით მცირეა, ვიდრე უარყოფითი მნიშვნელობისა. მართალია, დადებითი მნიშვნელობის მატარებელი მსაზღვრელები ტექსტებში ხშირად გვხვდება, მაგრამ შინაარსობრივად ერთფეროვანია, უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელი მსაზღვრელები კი მრავალფეროვნებით გამოირჩევიან.

მსგავსი ტენდენცია დაფიქსირდა ფსიქოლოგიურ გამოკვლევებშიც. ნ. ბერულავა, რომელმაც პიროვნების ემოციების ამსახველი ლექსიკა შეისწავლა, წერს: „სიამოვნება-უსიამოვნების ურთიერთმიმართებისას ჩვენი მასალის მიხედვით დიდი ასიმეტრიულობა ვლინდება. უსიამოვნო განცდების ამსახველი სიტყვები მეტია, ვიდრე სასიამოვნო. ეს ასიმეტრიულობა ვრცელდება პიროვნების ფსიქო-ფიზიკური ორგანიზაციის ყველა სფეროზე და არა მარტო ემოციაზე... ერთი სიტყვით, ენა მეტ მგრძობელობას ამჟღავნებს ცხოვრების უარყოფითი მოვლენების მიმართ და უფრო სრულყოფილად ასახავს მათ, ვიდრე დადებითს. ეს იმიტომ, რომ უარყოფით მოვლენათა გაცნობიერება სიგნალის მნიშვნელობისა“ (ბერულავა, 1976, 65).

საწინააღმდეგო ტენდენცია ფიქსირდება სიტყვის ესთეტიკური დახასიათების დროს:

ავთანდილ ვასცა პასუხი, **სიტყვები ლამაზებია** (რუსთ. 91).

ესე წიგნი გაასრულე წყლიანმა და **სიტყვა-ნაზმა** (რუსთ. 58).

მათ მდაბლად მაღლი უბრძანა **სიტყვითა მით ნარნართა**
(რუსთ. 447).

შეაქცევს და ეუბნების **საუბართა შვენეერთა** (რუსთ. 287).

ტარიელ მოთქვა ტირილით **სიტყვა ნატიფი**, მჭევრები
(რუსთ. 410).

ტარიელ მაღლსა გარდინდის **ტურფა სიტყვითა, ენითა**
(რუსთ. 454).

ფატმან წერს „აჰა მნათობო, სოფლისა მზეო ზენა...“

სიტყვა-მჭევრო და წყლიანო, ტურფაო, **ლამაზ-ენაო**
(რუსთ. 404).

როგორც მოცემული მასალიდან ჩანს, სიტყვის ესთეტიკური დახასიათებისას მხოლოდ დადებითი მნიშვნელობის მქონე მსაზღვრელებია გამოყენებული. ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს შემდეგი: „შუა საუკუნეებში ესთეტიკურობა გამორიცხული იყო სიკეთესთან ზიარების გარეშე. სიკეთესთან ზიარება ქმნიდა საშუალებას, რათა მოვლენა ესთეტიკურადაც მიეჩნიათ“ (სირაძე, 1978, 13.8).

შესაბამისად, რუსთაველთან ესთეტიკური არის ერთი მთლიანი და იგი მოიცავს ზნეობრივსაც და ინტელექტუალურსაც. სიტყვა მხოლოდ მაშინაა „ლამაზი“, „ტურფა“, „საამო“, როცა კეთილია და ბრძნული.

ლიტერატურა

ჯორბენაძე, 1997 — ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, 1997.

ბერულავა, 1976 — ნ. ბერულავა, პიროვნების თვისებები და ენა, 1976.

სირაძე, 1978 — რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, ხელოვნება, თბ., 1978.

შემოკლებანი

გამოსლ. — წიგნი გამოსლვათა

III მეფ. — მეფეთა წიგნი

II ნეშტ. — ნეშტთა წიგნი

2 სჯული — წიგნი მეორე სჯულისა

ესაია — წინასწარმეტყველება ესაიასი
მიქია — წინასწარმეტყველება მიქიასი
ესთერი — წიგნი ესთერისი
დავითი — ფსალმუნი
საქმე — საქმე წმიდათა მოციქულთა
სინელი — იოვანე სინელი
რუსთ. — შოთა რუსთაველი
დ. გურ. — დავით გურამიშვილი

წყაროები

მცხეთური ხელნაწერი — მცხეთური ხელნაწერი, 1981, 1982, 1983, 1985, 1986 წლები.

ახალი აღთქმა — ახალი აღთქმა, 1995 წ.

იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება — ქართ. მწერლ. ტ. I, თბ., 1987.

უცნობი ავტორი, ევსტათი მცხეთელის წამება — ქართ. მწერლ. ტ. I, თბ., 1987.

იოვანე საბანისძე, ჰაბოს წამება — ქართ. მწერლ. ტ. I, თბ., 1987.

გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება — ქართ. მწერლ. ტ. I, თბ., 1987.

ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება — ქართ. მწერლ. ტ. I, თბ., 1987.

გიორგი მთაწმინდელი, იოვანეს და ექვთიმეს ცხოვრება — ქართ. მწერლ. ტ. II, თბ., 1987.

იოვანე სინელი, კლემასი, რომელ არს კიდე — საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1986.

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1978.

სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა — ქართ. მწერლ. ტ. VII, თბ., 1989.

დავით გურამიშვილი, დავითიანი — ქართ. მწერლ. ტ. VII, თბ., 1989.

NANA URTASHVILI

Moral and Aesthetic Aspects of Word Reflected in Old Georgian Literature

Summary

The study is based on Old Georgian translations and authentic works. Negative as well as positive modifiers have been discussed. Negative modifiers have proved to be semantically versatile. However, they are less frequently used than the positive ones. Only positive modifiers characterize words aesthetically.

This phenomenon can be explained from the standpoint of Medieval understanding of aesthetism, according to which aesthetism was closely associated with kindness.

სოფიო ფაბლავა

საუბრის ანალიზი ენათმეცნიერების თანამედროვე
კონტექსტში

იმ პრობლემების კვლევა, რომელსაც მოიცავს საუბრის ანალიზი, თანამედროვე ენათმეცნიერებაში რამდენიმე თვალსაზრისით მიმდინარეობს. ესენია: სოციოლინგვისტური, პრაგმატიკული, ეთნომეთოდოლოგიური.

ასევე ზოგადად ითვლება, რომ საუბრის ანალიზი (**Conversational analysis**) დისკურსის ერთ-ერთი სახეობაა.

საუბარი თავისი სტრუქტურით არეკლავს კონკრეტული კულტურის სოციალურ წესრიგს, რადგანაც იგი ხასიათდება გარკვეული წესრიგით და სტრუქტურით.

ინტერაქციულ სოციოლინგვისტიკაში საუბრის ანალიზს იკვლევენ ენისა და სოციალური კონტექსტის კავშირის თვალსაზრისით. ურთიერთობის ეთნოგრაფიაში საუბრის ანალიზი ჩაირთვება, როგორც ადამიანის სამყაროს შესახებ ცოდნის „შემოწმება“. ეთნომეთოდოლოგისტები სამყაროს შესახებ ცოდნას მუდმივად ცვალებად ფენომენად თვლიან. ამ თვალთახედვიდან, ენა სამყაროს შესახებ ცოდნის დაგროვებაში უდიდეს როლს თამაშობს. ეს ცოდნა მხოლოდ სოციალური ურთიერთობის პროცესში იმალება და ვითარდება. შესაბამისად, მათი კვლევის ფოკუსია „ცოცხალი“ ენა, ანუ ისეთი მეტყველება, რომელიც სპონტანურ კონტექსტებში აქტუალიზდება. ეთნომეთოდოლოგისტები ასევე ინტერესდებიან პრაქტიკული განსჯით, რომელიც მოიცავს სამყაროს კანონებისა და კანონზომიერებების შესახებ უზოგადეს ცოდნას.

ეთნომეთოდოლოგისტები, ისევე როგორც ინტერაქციული სოციოლინგვისტიკის თეორიის მიმდევრები, თვლიან, რომ საუბრის არც ერთი დეტალი არ შეიძლება უგულვებელყოთ როგორც უმნიშვნელო. საუბრის ანალიზი თავის საკუთარ მეთოდოლოგიას ფლობს და დეკოდირების საკუთარი ხერხი გააჩნია. [შიფრინი, 1994, 232-279].

საუბრის ინფერენციის პრობლემა მჭიდრო კავშირშია მსმენლის მიერ მოსაუბრის ნათქვამის დეკოდირებასთან პირდაპირ სამეტყველო აქტებში, ხოლო ირიბ სამეტყველო აქტებში იგი იკვლევს, თუ როგორ ხდება ნათქვამის კოდირება და შემდეგ მისი დეკოდირება. საუბრის მონაკვეთის ინფერენციის გამოკვლევა და შესწავლა რამდენიმე თვალსაზრისით შეიძლება მოხდეს, კერძოდ: გრაისის კოოპერაციის თეორიის, უილსონისა და შპერბერის რელევანტურობის თეორიით და ბრაუნისა და ლევისონის თავაზიანობის თეორიის თვალსაზრისით. [გრაისი, 1975, 41-58; შპერბერი და უილსონი, 1986; ბრაუნი, ლევისონი, 1987]. გრაისის მიერ მოწოდებული მაქსიმები აყალიბებენ, თუ რამდენად კოოპერატიული შეიძლება იყოს კონკრეტული სამეტყველო აქტი და როგორ ხდება მისი აქტუალიზაცია, როგორც პირდაპირ, ისე ირიბ სამეტყველო აქტებში. საუბრის ანალიზის კვლევის პროცესში რელევანტურობის თეორია შეიძლება მოვიხმოთ იმის საკვლევად, თუ რამდენად რელევანტურია საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა წვლილი საუბარში, ხოლო თავაზიანობის თეორიის მეთოდოლოგია შეიძლება გამოვიყენოთ საუბარში სტატუსის, დისტანციისა და იმპოზიციის კავშირის შესასწავლად და ამ ელემენტების ინფერენციასთან დამოკიდებულების გასაანალიზებლად.

საუბრის ანალიზი ეთნომეთოდოლოგიისგან, უპირველეს ყოვლისა, კონტექსტის კონცეპტით არის დავალებული. რადგანაც საუბრის ანალიზი ეყრდნობა რეალურად არსებულ მასალასა და მონაცემებს, შეიძლება ვთქვათ, რომ თითოეული მომენტი, თითოეული გამონათქვამი წარმოადგენს მიკრო- და მაკრო კონტექსტის ნაწილს, რომელიც გამომდინარეობს კონტექსტის წინა მონაკვეთიდან და აგრძელებს მის ლოგიკას. ჰერიტაჯის სიტყვებით, კომუნიკაციური ქმედება ორმაგად კონტექსტურია, რადგანაც მას კონტექსტი აყალიბებს და კონტექსტი აცოცხლებს. [ჰერიტაჯი, 1984]. კონტექსტისადმი ამგვარი მიდგომა, ანუ მისი გაანალიზება, როგორც პროსპექტული და რეტროსპექტული ერთიანობისა, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მნიშვნელობა და ცოდნაც მუდმივად ცვალებადი და განახლებადია.

საუბრის ანალიზი მიიჩნევს, რომ გამონათქვამებს ყოველთვის ახასიათებთ კონტექსტური რელევანტურობა, რომელიც, ფაქტობრივად, ქმნის ლოგიკურ ჯაჭვს, მაგრამ ეს არ ეხება კონტექსტის ყველა ასპექტს. საუბრის ანალიზის მეთოდოლოგიაში საუბრის პროცესი სტრუქტურულად ორგანიზებულია და კონტექსტურად ორიენტირ-

ბული. შესაბამისად, ერთი მხრივ, იგი ემორჩილება შიდა წესრიგს, ხოლო, მეორე მხრივ — გარედან თავსმოხვეულ სოციალურ წესრიგს.

ენათმეცნიერებაში ხშირად მსჯელობენ მოსაუბრისა და მსმენელის მენტალურ მოდელზე. იტულისხმება, რომ მოსაუბრის მოდელი კოდირების მოდელია, ხოლო მსმენელის — ინფერენციისა და დეკოდირების. დეკოდირების მომეტი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რადგანაც გამონათქვამის ილოკუცია და პერლოკუცია ნაწილობრივ მაინც თუ არ დაემთხვა ერთმანეთს, წარმატებული კომუნიკაცია არ შედეგა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მონაწილეთა პრესოპოზიციებისა და ფონური ცოდნის რელევანტური დამთხვევა.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საუბრის ანალიზი და მასთან დაკავშირებული ინფერენციის პრობლემები, როგორც თანამედროვე ენათმეცნიერების შედარებით ახალი მიმართულება ორგანულად ჯდება სამეცნიერო სიტუაციის ზოგად კონტექსტში, თუმცა ახასიათებს სპეციფიკური ნიშნებიც.

ლიტერატურა

ბრაუნი და ლევისონი, 1978 — Brown P and Levinson S – Politeness: Some Universals of Language USA, Cambridge: Cambridge University Press;

გრისი, 1975 — Grice H.P. Logic and conversation. In P Cole and J. Morgan (eds), Speech Acts (Syntax and Semantics, Volume 3), New-York: Academic Press, 41-58;

შიფრინი, 1994 — Deborah Schiffrin – Approaches to Discourse, Blackwell Publishers, Oxford and Cambridge, USA, 232-279 pages.

შპერბერი და უილსონი 1986 — Sperber D and Wilson D. – Relevance, Cambridge, MA: Harvard University Press;

ჰერიტაჯი 1984 — Heritage J. – A change-of-state token and aspects of its sequential placement; Garfinkel and Ethnomethodology;

SOPIO PETELAVA

Conversation Analysis in the Context of Contemporary Theories

Summary

The paper discusses Conversational Analysis in relation to other contemporary linguistic theories (interactional sociolinguistics, pragmatics, ethnomethodology etc.). Similarities and differences between Conversation Analysis and the mentioned theories are singled out.

ზორენა ფუტყარაძე

უღებრები ქართული ენის ნიბალურ დიალექტში

ნიგალის ქართულში სანტერესო ნიუანსები შეინიშნება უღებრების გამოყენების შემთხვევებშიც:

ადგილის ზმნიზედის ფუნქციით გვხვდება **-ში** თანდებულიანი პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების მრავლობითი რიცხვის ფორმები:

ფათათესს („კარტოფილს“) **ჩვენში** „ძირი“ ქვია;

თქვენში ძირსა რას ეტყვიან? („უწოდებენ“)...

ადგილის ზმნიზედები „ზემოთ“, „ქვემოთ“ გვხვდება ფონეტიკური სახეცვლილებით: ჩვენი სოფელი გურბინი **ზომოთ** არი;

ქომოთ არი ერთი სახლი...

ხშირად გამოიყენება საშუალო ქართულისთვის დამახასიათებელი „შიგან“ ზმნიზედის ფუნქციით (შანიძე, 1973, 601): თივას ინახვენ **შიგან**;

სახლში **შიგან** არ შევსულვართ. „შიგან“ დამახასიათებელია იმერხეულისთვისაც. იგი 1904 წელს დადასტურებული აქვს ნ. მარს (მარი, 1911, 48), გამოიყენება თანამედროვე იმერხეულშიც (ფუტყარაძე, 1993, 99).

„აქ“, „იქ“ ზმნიზედებს დაერთვის თანდებულები **-ში** და **-ზე** და მიიღება რთულფუძიანი ზმნიზედები: „აქში“, „იქში“, „აგზე“ (←„აქზე“), **იგზე** (←„იქზე“):

იქში ასხმენ ძესა;

აქში რამე აღარ დარჩა;

აგზე გააკეთეს სახლი;

იგზე მეგონა კიდვენ ...

მსგავსი ფორმები დამახასიათებელია ზემოაჭარულისა და იმერხეულისათვის (ნიჟარაძე, 1957, 127; ფუტყარაძე, 1993, 97). როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, ეს მოვლენა

სათავეს იღებს ძველი ქართულიდან, მოგვაგონებს „აქაშინა“, „მუნშინა“ ფორმებს (მარტიროსოვი, 1946, 218; ჩიქობავა, 1927, 214; ნიჟარაძე, 1957, 27).

-ზე თანდებულიანმა ადგილის ზმნიზედებმა **აქ, იქ** შეიძლება დაერთონ თანდებული **-დამ**:

აგზედამ იწყება (აქზედამ → აგზედამ. პროგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია)... ეს ზმნიზედები გავრცობილ ფუძეზე დაირთავენ **-მდი** (←მდის) თანდებულს:

იქნამდი (-ნ ჩართულია) არ ვუშვავთ;

აქნობამდი მოველით (რთული ფუძეა)...

ანალოგიურ მაგალითებში თავს იჩენს ორი ა:

ჩვენა **აქნობამდი** ა ლაში („იალალეზე“) ვიყავით... მსგავსი ფორმები — **აქნამდი, იქნამდი, აქნობამდი** დადასტურებულია ქვემოიმერულში, კახურსა და ზემოაჭარულში (კუბლაშვილი, 1986, 105; ჩიქობავა, 1937, 214-217; მარტიროსოვი, 1956, 85).

„იქაურობაში“ ფორმა შეცვლილია სიტყვით „იქნობაში“:

იქნობაში ყოფილან; **იქნობაში** ვნახევით...

„აკე“//„კენ“ თანდებული ერთვის ზმნიზედების უჩვეულო ფორმებს:

წინესკე წამოსულა;

ზეისკე წახვალთ; იმ **ზედეოკენ** გზა მივა;

შიგნითკე წახვალ, წახვალ და ნახავ...

ზმნიზედების გასართულებლად გამოყენებულია თანდებული „დამ“:

მოცოცხეთ („მოკურცხლეთ“) **აქედამო**;

ფაფრიკის **აქეთიდამ** მივა გზა;

ალი („ერბო“) მუასხან **ზეიდამ**;

იქიდამ წყალი მოდის...

კითხვითი ზმნიზედა „სად“ გვხვდება „ჰა“-ს სახით (**ს→ჰ, -დ** იკარგება):

ჰა ზიხარ („ცხოვრობ“), ბათუმში?...

კითხვით ზმნიზედას „სად“ შეიძლება დაერთოს „და“ ნაწილაკი. ეს ნაწილაკი ფუძესთან შეზრდილიც შეიძლება იყოს და შეუზრდელიც. ამასთანავე „სად“ უცვლელადაა შენარჩუნებული:

ახლა **სადლა** არი ძველებური სიმღერები?!

ბათუმ გადასლა მაშინ **სადლად** იყო, ჩიკლიტა გზა...

დროის ზმნიზედად ზოგჯერ სიტყვათა ოდენ ფუძეა წარმოდგენილი: ყველ **ზაფხულ** თაზეა წასული, ბარში ვერ დგება;
მალ მოსულიყავ, ბევრ ჩაწერევი, დიდვანები ცოცხალ იყვენ;
დილაი **მალ** ავდგები, სალამოზე **მალ** დავწვები...
გვხვდება ასეთ ფუძეთა გაორკეცების შემთხვევებით:
ზაფხულ-ზაფხულ თაზე სიარულ არ ვიკლებდი;
ჩუენსა **მალ-მალ** მოდიოდა;
სალამ-სალამ მოვდოდა ჩვენსა სალაპარაკოთ...
„და“ კავშირით ფუძეგაორკეცებული ზმნიზედა „ხანდახან“ შეიძლება შეგვხვდეს **„ხანდესან“** ფორმით:
გავკითხვდით **ხანდესან**;
ხანდესან რამეს არ იტყოდა...
იმერხელის მსგავსად, ნიგალურშიაც დასტურდება დროის ზმნიზედის ფუნქციით „მასკან“ (←„მას უკან“):
მურკივეთ (მურკივეთი სოფელია), **მასკან** (მას შემდეგ) მოილეს ჭანები (მოვიდნენ ჭანები);
მასკან არსა წასულა ქალი...
მასკან („მას შემდეგ“, „იმის შემდეგ“) დადასტურებულია სხვა დალექტებშიაც (კუბლაშვილი, 1986, 115).
„თვლიპირში“ (←„რთველის პირში“: დასაწყისში ან დასასრულში) გამოდის დროის ზმნიზედის როლში, რაც, უმთავრესად, „შემოდგომის მიწურულ“-ს ნიშნავს:
თვლიპირში ყოჩებსა გავყიდავთ;
თვლიპირში ქორწილები მთავრდება...
დროის ზმნიზედა **„მერმე“** მეტათეზისის შედეგად სახეს იცვლის და წარმოდგება **„მემრე“** ფორმით:
მემრე გეტყვი მაგასა;
მემრე მეგვიტანეს სხუა საჭმელი; ამის **მემრე** არი ბორჩხა...
დროის ზმნიზედად გამოიყენება **„აქშამ მალლა“** (თურქ. აქშამ — „სალამო“) — „გვიან სალამოს“, „სალამოს შემდეგ“:
აქშამ მალლა ბასხი მუუცემიან („დაუპატიმრებიათ“);
აქშამ მალლა ვახშამი იჭმება (შლრ. „ხვალზევით“ — ა. შანიძე, 1973, 590).
დროის ზმნიზედის შინაარსი აქვს, აგრეთვე, გამოთქმას — **„მალალი სადილობა“**, რომელიც დაახლოებით საათის ორიდან სამამდე დროს აღნიშნავს.

თიდან **მალალსადილობისან** წამოსულა;
„წინათ“, „ძველად“ ზმნიზედის ფუნქციით გამოდის **კულა** (←**კულავ**):
კულა იტყოდენ ძველები;
კულა ბათუმ იარებოდენ;
კულა მოდიოდა ჩვენსა...
დროის ზმნიზედაა **ამეზლამ** („ამალამ“: იგი მომდინარეობს „ამას-ლამ“ — რთული სიტყვისაგან ფონეტიკური სახეცვლილებით (**ამას-ლამ**→**ამესლამ**→**ამეზლამ**, ხმოვანთა პროგრესული დისიმილაცია: ა—ა→ა—ე; თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია: სლ→ზლ):
ამეზლამ ჩემთან დარჩით;
ამეზლამ ბევრი მასკლავი ჩანს;
ამეზლამიდან იწყობა მარხვა...
ამეზლამ დადასტურებულია ზემოაჭარულსა და მის მიმდებარე იმერხელში (5, 84).
ზმნიზედები — „გაისად“, „მერმის“ არ შეგვხვდებიან. მათ ცვლის „მიორეთ“ // „მიერეთ“, „მიერეზე“ — დროის ზმნიზედის მნიშვნელობით:
მიერეზე მინდა ჩამოსლა თქვენთან;
„ღმერთით, **მიერეთ** გნახავთ კიდევნ...
„დიდხანს“ ზმნიზედას ცვლის „ბარსახანს“ (←ბარე სამ ხან):
ბარსახანს აქ იყო;
ბარსახანს ამფრა ამბობდა...
„ბოლოს“ დროის ზმნიზედას ნაკლებად იყენებენ. მის მაგივრად გვხვდება „უკანისან“ // „უკანდისან“:
უკანისან გადმეყვანეს ჩუენსა;
უკანდისან სულ ვეღარ დადგა ფეხზე...
„ამასობაში“, „ამ ხანში“, „ამ დროს“ მნიშვნელობით გამოიყენება უჩვეულო ფორმები — „მარობაში“, „მახანში“, „მახანთი“:
მარობაში მისი ძმაც გამოჩინდა;
მახანში ხმა გავარდა, მოკლეს კაციო;
მახანთი ისაც მოიდა...
ვითარების ზმნიზედების — „ამაოდ“, „ტყუილუბრალოდ“ — შინაარსს გადმოსცემს არქაული სიტყვა „ცუდედ“:
ცუდედ მე ნუ მიყურავ;
ცუდედ დუტურჩა ყველამფერი... (შლრ. ძვ. ქ. „ცუდად“ — ამაოდ,

უსარგებლოდ, აგრეთვე „ცუდელ“ — საბა).

ვითარების ზმნიზედაა „იმფოსერთი“. იგი გამოიყენება „უმეტე-სად“, „უმთავრესად“ სიტყვების მაგივრად:

ამასა **იმფოსერთი** უავე საჭმელები უყვარს...

-ებრ თანდებულიან ვითარებითს ზმნიზედებში ფუძის ბოლოკი-დური **-რ** იკარგება: **მათურებ** დავცინევდიდით...

-ვით თანდებულიან ფორმებში **-ვით** სახეცვლილი წარმოგვიდგება: **ჩემსავენ, ჩვენსავენ, თქვენსავენ, მათსავენ (ჩვენ-ს-ა-ვით → ჩვენ-ს-ა-ვენ):**

ჩვენსავენ არ ლაპარაკობთ თქვენა, გადაქცეველა თქვენი ენა;

თქვენსავენ ვაკეთავთ ძველ საჭმელებსა;

მათსავენ არვინ იცის ესა...

ვითარების ზმნიზედის შინაარსი ახლავს სიტყვას „აქასავენ“ // „აქასავეთ“ (ა-ქ-ა-ს-ა-ვით → ა-ქ-ა-ს-ა-ვეთ // ა-ქ-ა-ს-ა-ვენ):

აქასავეთ მან იძახის;

აქასავენ არი იმ სოფელშიც... „აქასავეთ“ // „აქასავენ“ /; ნიშნავს **აქაურსავით**.

კითხვით ზმნიზედას „როგორ“ ცვლის „**რავლი**“ ფორმა:

რავლი ხარა?

რავლი მოხუელით?

რავლი ხართა ჩვენებურები?!...

ჯერობის გამომხატველი ზმნიზედების მაწარმოებელ ნაწილას „ვერ“-ს ცვლის სიტყვა „პირ“-ი. იგი რიცხვით სახელებს დაერთვის:

ორპირ, ერთპირ, ათპირ...

ზოგან **ორპირ** იგებიან გათოხნასა;

ჩვენა **ერთპირ** ვაკეთავთ;

ათპირ ვუთხარი იმათა...

ნიგალურ ქართულში თავისებური ელფერი შემოაქვს მდინარე მურღულის ხეობის კალთებზე გაშენებული სოფლების (კაბარჯეთი, ყავრიეთი, ჭილაგრი, ქურა, ჯუანი, ბუჯური, ბაშქოი, არხვა, კორიდე-თი, ძანკული, გურბინი ...) მეტყველებას. ეს შეინიშნება ზმნიზედათა წარმოებაშიც. კერძოდ: „ერთად“ ზმნიზედის ნაცვლად გამოიყენება „**ერთხელაი**“: ჩემ მაზლის უკან **ერთხელაი** საქმობენ;

ერთხელაი გაზდილი ვართ;

არ დაწვენ **ერთხელაი**;

ისტამბოლ წევდენ **ერთხელაი**...

„ურთ“ თანდებულიანი სიტყვის შინაარსს, ერთადობას, გადმო-გვცემს „უკან“ ზმნიზედა:

ვის უკან („ვისთან ერთად“) მოხველ?

ქალების უკან მოსულა;

ძმის უკან ვიარები;

ნენეს უკან წასულა;

ჩემ ცოლის უკან მის ბაბოს სახლში მივალ;

საჭმელი ვჭამდით ჩემ **ხალაშვილების უკან**...

ზმნიზედების სფეროში იშვითად წარმოჩნდება ხოლმე თურქუ-ლის გზით შემოსული ფორმები: **თექთუქ, ბაშთან, ბირზამან, ებბე-დი, ზაათი, თექარარ, ჰემენ, დუნიადა, სოვნი, აზბიში, გერჩექ, მენსუზ // მანსუზ, ყარშიბერ, ჰალა, ბოშუნა, ექსერი, ევადი...**

თექთუქ გამოჩინდება თოვლში მიწა (tek — tük — „აქა-იქ“);

ბაშთან ასე იცოდენ ჩვენ ძველებმა (bastan — „თავიდან, ადრე“);

ბირზამან ავადველი იარებოდა (bir zaman — „ერთხანს, რამდენი-მე ხანს“);

ებბედი არ წავსულვარ ისტანბულ (არ. ebed — „მუდამ, მარად, ყოველთვის“. აქ, „არასდროს“);

ზაათი ამფრა იყო საქმე (არ. zaten // zati — „საერთოდ“);

თექარარ დეიწყენ ამაზე ლაპარაკი (არ. tekrar — „განმეორებით, კიდევ“);

ჰემენ გამეიქცენ ჩემკე (სპ. hemen — „მაშინვე, დაუყოვნებლივ“);

დუნიადა რენგი არ გუშუშვებს (dünyada — „არასდროს, არავი-თარ შემთხვევაში“);

სოვნი გათავდა ეს საქმეც (son — „ბოლო, დასასრული“);

აზბიში ეტყობოდა მუცელი (azbisey — „ოდნავ, ცოტათი“);

გერჩექ იქნა ეს საქმე სოფელში (gercek — „ნამდვილად“);

მენსუზ ქნეს ეს სიგონჯე (არ. mahsuz — „სპეციალურად, გან-ზრახ“);

ყარბიშერ დადგებოდენ მოლექსიები (karsiberi — „მოპირდაპირე, პირისპირ“);

ჰალა იქ არი ნათესავებში (არ. hala — „ვერ კიდევ, აქამდე“);

ბოშუნა დავრჩით ისტანბულ ჩასული (bosuna — „ამაოდ, ტყუი-ლუბრალოდ“);

ექსერი სომეხები არიან იმ სოფლებში (არ. ekseri — „უმეტე-სად“);

ევადი მოსლა-წასლა არ მიყვარან („ნაჩქარევად, სიჩქარეში“);
ანჯაქ მელირსენ ჩემიანების ნახვა (ancak — „ძლივს; მხოლოდ“).

§2. თანდებული

დიალექტური ელფერი დაჰკრავს თანდებულებსაც. კერძოდ **-ვით** თანდებული გვაძლევს **-ვენ**, **-ვეთ**, **-ვეფ** ვარიანტებს:

ჩვენც **თქვენსავეთ** ვიცით ქართული ლაპარაკი;

დიდვანი დილიმები იყვენ **ქვასავენ**;

ამასა მოხარშავ **ბრინჯსავენ**;

ტურასავეფ ევბენ იმ კაპანში...

ეს ვარიანტები დადასტურებულია ზოგიერთ ქართულ დიალექტში (კუბლაშვილი, 1986, 103; ნიჟარაძე, 1957, 129; ძოწენიძე, 1973, 80).

მიცემით ბრუნვაში —**ში** თანდებულთან ერთად გვაქვს არქაული **შიგან**: ერბოს **შიგან** („ერბოში“) ხახვ დაწვავ...

იგი შეიძლება დაერთოს ნათესაობითის ფორმასაც: უწინ მეგემ („თურმე“) **ტბის შიგან** მოზვერი ყოფილა... არის შემთხვევები, როცა **-ში** თანდებულის მიცემითის შინაარსს აძლიერებს **შიგან // შიან**:

სიტყვებ **ფესვში** უნა ჩახედო **შიგან**;

მოკდა კაცი **ჩაკაში შიგან**...

-თვის თანდებული წარმოდგენილია **-თვინ // -თინ** ვარიანტებით:

ერთ **გოგოსთვინ** უთქვია;

ბაქლავასთინ სხვა წყალი უნდა;

ხორცი **შიგანასთვინ** კაი არაა;

ერთიც **თურქიესთინ** გამუთუგზავნია...

-კენ თანდებული უმთავრესად **-კე** ფორმით გვხვდება:

თქვენკე ვიყურებით სულა;

ეგ სოფელი **ბორჩხისკე** არი;

ხიდისკე წესულან უ

-კე გვხვდება ზმნიზედებთანაც: **უკნისკე** იყურებიან სულა, **წინისკე** უნდა გეიხედოს კაცმა...

„**გულობაი**“, „**ბარობაი**“ გამოთქმები ხშირად ენაცვლება „მაგივრად“, „ნაცვლად“ თანდებულებს: **ბაბას გულობაი** შვილი დეიჭირეს;

თქვენ ბარზე მუელით აქა,...

ახლავს „თვის“ თანდებულის შინაარსიც: გემრიელი იყოსო, **იმის**

გულობაი ჩავყარე შიან...

ნათესაობითის ფორმას დაერთვის ზმნიზედა **უკან** და გამოხატავს თანაობას, „თან“ („ერთად“) თანდებულის ფუნქციით წარმოდგება:

გადნობილ ერბოსა **ბურის უკან**, **ჭადის უკან** ვჭამთა (ბურით, მჭადით; ბურთან ერთად, მჭადთან ერთად);

სომხების უკან ერთნაირათ ლაპარაკობენ ჰემშილები;

საჭმელი ვჭამდით ჩემ **ხალაშვილების უკან**... ეფევი ვილაპარაკეთ **გურჯების უკან**;

ჩემ **მაზლის უკან** საქმობენ...

თანდებული **ურთ** ნიგალის ქართულმა არ იცის, ისევე როგორც აჭარულმა და იმერხეულმა. **ურთ** თანდებულის მოქმედებითს ცვლის **იან** სუფიქსიანი ვითარებითი, ოღონდ ბრუნვის ნიშნად მხოლოდ **ა** ხმოვანია წარმოდგენილი:

მოსკდა თა და **სოფლებიანა** წამეილო ხრამში;

წვანილი **ბალახებიანა** ჩაყარა კოვაში (ვედროში);

ცხვრის ტყავი **გულ-ღვიძლიანა** შეეჭამეს ძალღებსა ...

-დამ (დაღმა // დაღმე) თანდებული (ჩიქობავა, 1937, 55-56) გამოიყენება თითქმის უგამონაკლისოდ, ისე, როგორც საერთოდ კლარჯულში:

ამასა **ხიდიდამ** გულუყურია ისენი;

ჩვენა ერთი **სახლიდამ** დევბანტევიტ;

ჩვენი ადგილი **ჭუდუდიდამ** („საზღვრიდან“) შორ არ არი;

თქვენიდამ გადმოდინ ქალები;

მე სოფელ **ბაგენიდამ** ვარა;

ამის **ლაშიდამ** ბევრ რამეს ვერ გამეილებ;

ჩვენა **სხვაგანიდამ** მოსული არა ვართა;

ხაჭო ფურის **ნაწველიდამ** კეთდება...

თანდებული "მდე" არ გამოიყენება. ნიგალის ქართულისთვის დამახასიათებელია "მდი" და "მდინ" ვარიანტები: **სოფლამდი** ვეღარ მისულა;

ორი დღე უვლია და **ქალაქამდინ** ძვილია ჩასულა ...

§3. კავშირი

„რომ“ კავშირი უმეტესად გვხვდება „რომე“ ფორმით:

გაღმა თა **რომე** ჩანს, ისა ბოგნარია;

ხოჯამ („მასწავლებელმა“) **რომე** ჭაკვა („მარცხენა“) თერეფ („მხარეს“) მასწავლა, მე მარჯვენა თერეფ წაველი; ჰუღუღი („საზღვარი“) **რომე** გეიღო, ჩვენთვინაც კაია; ბათუმ **რომე** გაღმუალთ, არ მექნებიან დერდი... „მაგრამ“ გამარტივებულია „მარა“ ფორმით: ისტამბოლ მოსულხართ, **მარა** ბორჩხას აღარა; გეტყვი, **მარა** გეწყინებიან; ძუღლათ ხალხი ფუხარა იყუნენ, **მარა** გული ზენგინი ქონდენ; მოვლენ აქა, **მარა** წასლას აღარ მეიწადინებენ; დემინახეს, მარა ვერ მემეწიეს... „მაგრამ“ მაპირისპირებელ კავშირს ხშირად ცვლის თურქულიდან შემოსული „ჰამა“ (არ. ამა): მინდანან გაღმოსლა, **ჰამა** აწლი („მოხუცი“) ვარ და მეშინია; **ჰამა** თუ უნდა წახვიდეთ, ჰაცხა გინდა წადითო ...

მაცალკევებელი კავშირი „ან-ან“ თითქმის აღარ გამოიყენება. იგი შეუცვლია თურქულ კავშირს „ ა“-ს (ა):
ამასა ა ხარით გავლეწავთ, ა ცხენით;
ა შენ იყვირე, ა მე ვიყვირებ; ა ისინი უნდა წევდენ აქედან, **აღა** ჩვენ უნდა წევდეთო...
„თუნდ“, „გინდ“ მაცალკევებელი კავშირების ნაცვლად გამოიყენება თურქული „ისტარ“ (ისტერ):
ისტარ რუსიეს წაი, ისტარ აღმანიეს წაი;
ისტარ თქვი;
ისტარ ნუ იტყვი...
„რომ“ მაქვემდებარებელი კავშირის მაგივრად გამოიყენება თურქულის გზით შემოსული სპარსული წარმოშობის კავშირი „ქი“, რომელსაც მრავალნაირი ნიუანსი („რომ, რომელი, რათა, ვინაიდან, ხოლო, განა“) ახლავს:

ჰუღუღი **ქი** ჩუჟჭრიან, გარიგებულან ძმიებიც, ერთი იქით დარჩენილა, ერთი — აქეთ;
სქულში **ქი** იარებიან ბალღები, ავიწყდებიან გურჯიჯა...
ხალხი ფეხზე ადგენ, ეხვეწენ, **ქი** შერიგდითო:
ერთი შევხედე, **ქი** გზაზე ხუთი - ექსი კაცი დაჟდომილა;
ჩემ ცოლ ვუთხარ, **ქი** შენ წორეთ სახლში წადი-მეთქი;
მე **ქი** მეგკლა, შენ უკნისკე ნუ მეიხედავ-მეთქი ...
დროულობის შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება თურქული

„მი“, რომელიც ხან უარყოფის გამომხატველი ნაწილაკია, ხანაც კავშირის ფუნქციით წარმოჩნდება ხოლმე და უახლოვდება „როცა“, „თუ არა“, „რაწამს“, „როგორც კი“ კავშირებს:
ძეს შედგამ **მი** ცეცხლზე, გამეიჭრება, ყველი გახდება;
ქინძი ბოსტანში გაჩნდა **მი**, იქ აღარ შევალ;
შევბუღება მექნება **მი**, წამუალ გურჯისტანში...
იშვიათად შეგვხვდება თურქული **ოხსა** და **მაადემქი** ქართული **თუ** და **რადგანაც** კავშირების მაგივრად:
ე ქორწილი ბა რამოღლისთვინ გააკეთეთ, **ხსა** ჩემთვინაო, უთქვამს ბაბოსა;
მაადემქი დელი იყო ეს კაცი, თავრობამ ამ კაცსა რატომ აღებია („აყიდვინა“) ეს ამხელა სახლი-მეთქი, — ვუთხარი მოსამართლესა.

§4. ნაწილაკი

იმერხეულის მსგავსად, ნიგალის ქართულში დღესაც ცოცხალია კითხვითი ნაწილაკი „ა“. ა კითხვითი ნაწილაკი ძველ ქართულში იხმარებოდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინადადებაში არ იყო კითხვის გამომხატველი სიტყვა (ვინ, რა, რომელი, სადა, ოდეს და სხვ.). იგი ერთოდა ყოველგვარ სიტყვას (სახელს, ზმნას, უღეტერს), უმეტესად მაინც ზმნას (შანიძე, 1973, 608). ნიგალის ქართულში კითხვითი ა იშვიათად გვხვდება კითხვითისიტყვიან წინადადებაშიც.

ა. შანიძის მიხედვით, კითხვითი ა ნაწილაკის გადაშენება გამოუწვევია იმას, რომ მახვილი მოდიოდა არა კითხვით ნაწილაკზე, არამედ მის წინა ხმოვანზე. „უმახვილო ა დასუსტებულა და შემდეგ სულ გადავარდა. შედეგად მივიღეთ იმის წინ მდგომი მახვილიანი მარცვლის გაგრძელება: „შენ ხარ“?

კითხვითი ა დღესაც მოქმედი ნაწილაკია ქართული ენის მთის კილოებსა (შანიძე, 1973, 608) და სვანურ ენაში.

ნიგალის ხეობის ქართულში კითხვითი ნაწილაკის სიცოცხლისუნარიანობა განპირობებულია მახვილით. „ა“ კითხვით ნაწილაკზე მოდის ყოველთვის კითხვითი წინადადების მახვილი.

შენ აქა **ხარა?**;
ტანზე რასა **ვიცვამთა?!**;
ვის კითხულობ, **მეა** თუ?

დღეს ქორწილი არია?!;
შენა ვისი გოგო ხარა?;
თქვენა ბორჩხას მონუალთა?
გურჯიას ვინ მასწავლებსა?
ვინ იქნება ჩვენსა? ...

„თურმე“-ს ცვლის თურქულის გზით შემოსული სპარსული ნაწი-
ლაკი „მეგერ“ (მეგერ — „თურმე“): **მეგერ** უწინ კლდის შიგან მალა-
რა იყო...

მეგერ გვხვდება **მეგემ** ფორმითაც: გზაში ერთი ხოჯა ნავხე, **მე-
გემ** ქრისტიანი გურჯი იყო; მე ისტანბულ გასული მეგონა, **მეგემ** აქ
არი გაწოლილი ...

კლარჯულ მეტყველებაში საერთოდ, მათ შორის ნიგალურშიც,
გამოიყენება თურქული წარმოშობის ნაწილაკი „ართუხ“ // „ართიქ“
(არტიკ — „აი, უკვე“; „აი, ახლა“):

ართუხ, გუუწორებდით ლაბარაკსა;

დეინახეს, რომე **ართუხ** მოდის დათვი...

„უნდა“ ზმნის პირიანი ფორმა, აჭარულისა და იმერხეულის
მსგავსად, ნაწილაკად არის ქცეული. იგი გვხვდება „უნდა“, „ნდა“,
„ნა“, „და“ ვარიანტების სახით. „უნა“ წინადადებაში ცალკე დგას,
დანარჩენები კი ენკლიტიკად არიან ქცეულნი და გაბმულ მეტყველე-
ბაში წინ მდგომ სიტყვასთანაა შერწყმული:

თხუთმეტი დღე **უნა** დავრჩეთაო, ვუთხარით იმათა;

ბათუმნა ვუყურო შორიდამა;

ბათუმიდა მეგარო წრეგლაი;

ქე ადღულა, **მაწონიდა** შააყენოს ქალმა...

„ნეტავი“, „იქნებ“ ნაწილაკების მნიშვნელობით გამოყენებულია
თურქულიდან შემოსული სიტყვა „ქეშეკე“ (სპ. keske — „ნეტავი, ეგებ,
იქნებ“), რომელიც უმეტესად „ქეშეკამ“ ფორმით გვხვდება: **ქეშეკამ**
მასუმდეს წყალსა; **ქეშეკამ** მოსულიყო ბორჩხას...

თურქულიდან შემოსული „აჯაბ“ (არ. აჯაბა) გამოიყენება „ნეტა-
ვი“, „ნუთუ“, „მართლა“, „განა“ ნაწილაკების მნიშვნელობით: **აჯაბა**
ჩვენი ვინ არიან იმათში?; **აჯაბ** მოვდენ სადამოზე?...

„კიდევც“, „ც—კი“ ნაწილაკების ფუნქცია აკისრია თურქულ და-
მხმარე სიტყვას „ბილა“ // „ბილე“ (ბილე):

დათვები დილით **ბილა** ეყრებიან ხალხსა;

ნენეს **ბილა** არ უთქმია ესა; თიდან **ბილა** არ წამეიყვანა დედა-
ბერი...

ნიგალის ქართულში გვხვდება ნაწილაკი „დია“ // „დიე“ (შდრ.
საბა **დია** — „დიად, დიამც“): თურქიე კაი დეილაპარიკოს **დიე**, გურ-
ჯიას აღარ ველაპარიკებით ბალღებსა; კიდვენ მეიტანოს **დიე**, ამათ-
ზე რამე აღარ ვთქვი...

ლიტმარატურა

კუბლაშვილი, 1986 — კუბლაშვილი კ., ქართული ენის ქვემო-
იმერული დიალექტი, თბ., 1986.

მარტიროსოვი, 1946 — მარტიროსოვი არ., თანდებული ქარ-
თულში, იკე, I, თბ., 1946.

მარტიროსოვი, იმნაიშვილი, 1956 — მარტიროსოვი არ., იმნა-
იშვილი გრ., ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

ნიჟარაძე, 1957 — ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დია-
ლექტი, ბათ., 1975.

ნიჟარაძე, 1961 — ნიჟარაძე შ., ქართული ენის ზემოაჭარული
დიალექტი, ბათ., 1961.

ფუტკარაძე, 1993 — ფუტკარაძე შ., ქართული ენის სამხრულ-
დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარ-
ჯეთისა და მუჭაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, თბ.,
1993 (სადოქტორო დისერტაცია).

შანიძე, 1973 — შანიძე აკ., ქართული ენის გრამატიკის საფუძ-
ვლები, I, თბ., 1973.

ჩიქობავა, 1927 — ჩიქობავა არნ., ფერეიდნულის მთავარი თავ-
ვისებურებანი, ტუმ, ტ. 7, ტფ., 1927.

ჩიქობავა, 1937 — ჩიქობავა არნ., დიალექტიზმების საკითხისა-
თვის „ვეფხისტყაოსანში“, ენიმკის მოამბე, ტ. III, თბ., 1937.

ჩიქობავა, 1937 — ჩიქობავა არნ., ერთი უცნობი თანდებული
ახალ ქართულში, ენიმკის მოამბე, ტ. I, თბ., 1937.

ძოწენიძე, 1973 — ძოწენიძე ქ., ზემოიმერული კილოკავი, თბ.,
1973.

მარი, 1911 — Н. Марр, Дневник поездки в Шашетию и Клар-
джетию, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн.
7, С.-Петербург, 1911.

SHORENA PUTKARADZE

Structure Words in the Nigal Dialect of Georgian

Summary

The paper deals with peculiarities of structure words in the Nigal dialect of Georgian. Special emphasis is placed on the phonetic processes in various types of adverbs (of manner, place, time, frequency). The changes that have taken place in postpositions, conjunctions and particles are also discussed.

ლია ჭაროსანიძე

**პროსოდის ნიშანთა აღნიშვნელი ტერმინების
გაფორმებისათვის ჭარბულში**

რა არის პროსოდიის და რამდენია იგი: შვიდი თუ ათი? — ამ კითხვებს სვამენ თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნების“ კომენტატორები და ვრცლად მსჯელობენ პროსოდის სახეობათა შესახებ: „პროსოდის სამი სახეა: ტონი, დრო, ფშვინვა. ტონი სამია: მკვეთრი, ბლაგვი, შემოსილი. დრო ორია: გრძელი და მოკლე. ფშვინვა — ორი: ძლიერი და სუსტი. როგორც აქედან ჩანს, პროსოდიის შვიდია.

ზოგიერთები პროსოდის ვნებითს უმატებენ: აპოსტროფს, შემკვრელს და მიმეს“ (კომენტარები, 1901, 248).

ტონი — τόνος

ბერძნულში, როგორც ცნობილია, მახვილს ტონი ეწოდება, რადგან ბერძნული მახვილი მუსიკალური იყო და ხასიათდებოდა ხმის ტონალური ამალღება-დადებით. მახვილის ნიშნები ძველ ბერძნულ გამოთქმაში ერთმანეთისაგან განსხვავებულ ტონალობას გამოხატავდნენ. მკვეთრი მახვილი აღნიშნავდა უფრო მაღალ ტონს, მიიმე მახვილი — შედარებით დაბალს, ხოლო შემოსილმახვილიანი მარცვალი შეიცავდა ხმოვანს, ან დიფთონგს და გამოითქმოდა ხმოვანის ან დიფთონგის პირველ ნაწილზე ხმის შედარებით აწევით, ვიდრე მეორეზე, ე. ი. ტონის მიხედვით პროსოდის სამი ნიშანი იყო:

1. [´] — მკვეთრი; 2. [˘] — ბლაგვი; 3. [ˉ] — შემოსილი.

დრო — χρόνος

რას ნიშნავს პროსოდის დრო? — Σημείωσις ἑκτετατομένων ἢ συστέλλομένων φωνηέντων — აღნიშნავს დამოკლებულ ან დაგრძელებულ ხმოვანს (კომენტარები, 1901, 295).

ძველ ბერძნულში განირჩეოდა გრძელი და მოკლე ხმოვნები: ε და ο მუდამ მოკლე ხმოვნებია, η და ω — მუდამ გრძელი, α, ι და υ

კი დიქრონებია და ხან გრძელ ხმოვანს გამოხატავს, ხან — მოკლეს.

1. [-] — ხმოვნის სიმოკლის აღსანიშნავი; 2. [-] — ხმოვნის სიგრძის აღსანიშნავი.

ფშინვა — πνεῦμα

ფშინვა ორია: ძლიერი (δύσχυ) და სუსტი (ψιλή).

ხმოვნი დაწყებულ ყოველ სიტყვას ძველ ბერძნულში აქვს ასპირაციის (ფშინვის) ნიშანი. ეს ნიშანი ორგვარია: [ʰ] — ძლიერი ფშინვის ნიშანი (*spiritus asper*), რომელიც გამოთქმაში უდრის ჰ-ს და [ʰ] — სუსტი ფშინვის ნიშანი (*spiritus lenis*), რომელიც არ გამოითქმის. ეს ნიშნები დაესმის ყოველ ხმოვანს, თუ ამ ხმოვნი იწყება სიტყვა (ურუშაძე, 1969, 12).

მაშასადამე, კომენტატორთაგან ერთი ნაწილი თვლიდა, რომ პროსოდის შვიდი ნიშანი იყო:

- ~ — ტონის (ანუ თანამედროვე ტერმინით, მახვილის) სახეობების აღმნიშვნელი.
- ~ — ხმოვნის სიგრძე-სიმოკლის აღმნიშვნელი
- ~ — ფშინვის აღმნიშვნელი.

ვნებითი — πᾶσι

დავა პროსოდის რაოდენობის შესახებ გამოიწვია იმან, რომ ყველა ეს ნიშანი გამოიყენება ხმოვნებზე, ე. წ. ვნებითის (πᾶσι) მიხედვით, პროსოდის ნიშნები თანხმოვნებს დაერთვის.

„ზოგიერთები პროსოდის ე. წ. ვნებითს უმატებენ: აპოსტროფს, შემკვრელს და მძიმეს. რა თქმა უნდა, ისინი არ არის საკუთრივ პროსოდის ნიშნები იმდენად, რამდენადაც პროსოდის ნიშნებს — ტონს, დროს და ფშინვას — ხმოვნებზე აღვნიშნავთ. ერთადერთი თანხმოვანი არის ρ, რომელზეც სუსტი და ძლიერი ფშინვის ნიშნებს ვსვამთ (ρ), აპოსტროფი, შემკვრელი და მძიმე კი თანხმოვნებზე აღინიშნება, მაგალითად, Καθ' ἑμᾶν, როგორც ვხედავთ, აპოსტროფის ნიშანი [ʰ] თანხმოვანს დაესმის, შემკვრელის მაგალითია ΔΙΟΚΟ-POS და მძიმის (,) — ΔΙΟΚ, ΚΥΡΟΚ (კომენტარები, 1901, 215).

ვნებითის მიხედვით, პროსოდის სამი ნიშანი ემატება:

1. [ʰ] — აპოსტროფი; 2. [-] — შემკვრელი, [,] — მძიმე.

ერთ-ერთი ბერძენი სქოლიასტის მსჯელობა პროსოდის შესახებ მთლიანადაა მოცემული იოანე პეტრიწის „განმარტებათა“ აშიაზე.

თეოდოსი

Προσῳδία εἰσι δέκα

ὀξεία, Βαρῆα, περισπωμένη,

μακρά, Βραχῆα, δασεία,

ψιλή, ἀπόστροφος, ἴφην,

ὑποδιαστολή.

იოანე პეტრიწი

პროსოდის ათი

ოქსია, ვარია, პერისპომენი,

მაკრა, ვრაქია, დანია (დასია),

ფსილი, აპოსტროფოს, ვფენ,

ვპოდისტოლი.

იგივე ბერძნული ტერმინები ქართული შესატყვისობებით მოცემულია იოანე პეტრიწის თარგმანში „განმარტება პროკლესტეს დიდობისა და პლატონისა ფილოსოფოსისათვის“: „მძლუარნი განიყოფებთან ანუ მახვლად, რომელ არს ოქსია, ანუ და მძიმედ, რომელ არს ვარია, ანუ და გარემორთხმულად, რომელ არს პერისპომენი, ანუ და დასია, რომელ არ წყნარად წარსავლელი სიტყვსა, ანუ და ფსილი, რომელ არს წული“ (პეტრიწი, 1937, 223).

მაშასადამე, პეტრიწისეული ქართული შესატყვისებია:

προσῳδία პროსოდია — მძლუარი

ὀξεία ოქრო — მახვილი

Βαρῆα ვარი — მძიმე

δασεία (დასია) დანია — განმარტავს: წყნარად წარსავლელი სიტყვსა

ψιλή ფსილი — წული

ეს მასალა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, გადაუტანია სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში (ამონიოსი, 1983, 0109).

ანტონ I-ის მსჯელობა პროსოდის შესახებ თითქოს სიტყვა-სიტყვითაა თარგმნილი თრაკიელის გრამატიკის სქოლიოებიდან, თუმცა პროსოდის განმარტებისას მხითარ სებასტიელია დამოწმებული. ანტონ I განიხილავს პროსოდის შვიდ ნიშანს: მახვილის, ფშინვისა და დროის მიხედვით. აქ ამ ტერმინთა ასეთი ქართული შესატყვისებია:

პროსოდია — თქმა

ტონი „მახვილი“ — გამოვმოზა

ფშინვა — სულის კუთხე

მკვეთრი მახვილი (ὀξεία) — მახვილი

ბლაგვი მახვილი (Βαρῆα) — მოხრილი

ძლიერი ფშვინვა — ბრჯგუ, მქისე

სუსტი ფშვინვა — ლიტონი

გრძელი (ხმოვანი) — გრძელი

მოკლე (ხმოვანი) — მოკლე

ანტონ I, მართალია, ბერძნულში ხმოვნებისათვის განკუთვნილ ნიშნებს განმარტავს, მაგრამ თავად ამ ნიშნებს თანხმოვნებზეც იყენებს (ანტონ I, 1997, 343). მაშასადამე, ტერმინ პროსოდისათვის გვაქვს შემდეგი შესატყვისები: **მძღუარი** (იოანე პეტრიწი), **განწილვა** (საბა), **თქმა** (ანტონ I).

ბერძნულ კომენტარებში ერთგან ტერმინი პროსოდია ასეა განმარტებული: „ამბობენ პროსოდისას ასე იმიტომ ჰქვია, რომ იგი წინ უძღვის მის ქვეშ მდებარე სიტყვას. ამ განმარტებაში ის აზრია, რომ პროსოდის წესების ცოდნის გარეშე კითხვა შეუძლებელია (რა თქმა უნდა, ეს ბერძნულს ეხება). იოანე პეტრიწის ტერმინი **მძღუარი** ამ აზრს გადმოსცემს, ანტონ I-ის ტერმინიც **თქმა** (ანუ, ალბათ, აღმოთქმა) ბერძნულის მნიშვნელობას არ შორდება, რადგან პროსოდისას განმარტავენ, როგორც სწორ გამოთქმას, აღმოთქმას. საბასეულ ტერმინი **განწილვაში** კი, ჩვენი აზრით, სასვენი ნიშანთა დანიშნულების მნიშვნელობა უფროა ასახული, ვიდრე — პროსოდისას.

გაიოზ რექტორმა პროსოდისას **მართლკითხვა** უწოდა და განმარტა მისი არსი და მნიშვნელობა ქართულისათვის: „მართლკითხვა (პროსოდია) არის ნაწილი ღრმამატიკისა, რომელიცა ასწავებს ნამდვლსა გამოღებასა მარცხულთასა. ქართულსა ენასა ბუნებითისა ძლით ვმარებისა არა აქუს საჭიროება დადებად კანონთა მართლგამოღებისა მარცხულთასა, ვითარცა სხუათა ენათა, რამეთუ იგინი, თვნიერ ზედა-დასხმისა ნიშანთასა მარცხულთასა ზედა, ვერ გამოიღებენ მარცხულთა, თუ სადა ჯერ-არს ამალღებად ვმისა, ანუ წაკურად ვმისა, და ამასთანა არიან მრავალნი ესევეითარნი ლექსნიცა მათ შორის, რომელნიცა, უკეთუ ვმის აკურისა ანუ დამდაბლებისა ძლით არა გამოღებულ იქმნენ მარცხულნი მისნი, ვერ მოჰსცემენ მსმენელთა ნამდვლსა შემეცნებასა ლექსისასა. და ესე უმეტეს ცხად იქმნების მათდა, რომელთაცა უწყიან სხუანი რომელნიმე ენანი. გარნა ქართუ ლთა ნეტართა მთარგმნელთა არა უვმარებიესთ ესე და არცა სა-

ჭიროება აქუს ენასა ჩუ ნსა ამას შინა ნამდვლისა ძლით ვმარებისა“ (გაიოზ რექტორი, 1970, 150).

პროსოდის ნიშანთაგან ქართულს მხოლოდ ტონის ერთ-ერთი სახეობა (') შემორჩა, რომელსაც ბერძნულად ბῆξια ეწოდება და ქართულად პეტრიწმა **მახვილი** შეუსატყვისა. მოგვიანებით ეს ტერმინი განსხვავებული მნიშვნელობით დამკვიდრდა ქართულ ტერმინოლოგიაში. იგი ბერძნული ტერმინის, τόνος-ის, შესატყვისად იქცა და დღეს ყველა სახის მახვილს აღნიშნავს და არა — ერთ-ერთს, როგორც ძველად.

მაშასადამე, ძველი ბერძნული ენისათვის სრულად ბუნებრივი პროსოდის წესები უცხო აღმოჩნდა ქართულისათვის და, შესაბამისად, მის ნიშანთა აღმნიშვნელ ტერმინთა ძველი ქართული შესატყვისებიც ვერ დამკვიდრდა ქართულ ტერმინოლოგიაში.

ლიტერატურა

ამონიოსი, 1983 — ამონიოს ერმისის თხზულებები ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ნათელა კეჭალმაძემ და მათა რაფაგამ. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მათა რაფაგამ, თბ., 1983.

ანტონი, 1997 — ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა, ტექსტია გამოსაცემად მოამზადეს ელენე ბაბუნაშვილიმა, ნარგიზა გოგუაძემ, ლია კიკნაძემ, ლექსიკონი დაურთო ელენე ბაბუნაშვილიმა, თბ., 1997.

გაიოზ რექტორი, 1970 — გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილიმა, თბ., 1970.

კომენტარები, 1901 — Scolia in Dionysii Thracis Artem Grammaticam, Graeci, V, 1. Pars. III. Ed. Hilgard, Lipsiae, 1901.

პეტრიწი, 1937 — იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II, თბ., 1937.

ურუშაძე, 1969 — ა. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბ., 1969.

LIA KAROSANIDZE

The Terms Denoting Prosodic Signs in Greek Sources and Georgian Grammatical Works

Summary

მანია ჭუჭიჭილი

In the commentaries to Dionysius Thax's *Grammatikē technē* the types of prosodic signs are discussed in detail. According to some scolasts there are seven prosodic signs, some others name ten.

The reason for the controversy lies in the distribution of prosodic signs between vowels (seven signs are applied to vowels) and consonants (three signs are used with consonants). The prosodie terms were translated into Georgian by Ioane Petritsi. Sulkhan-Saba included them into his dictionary. Anton I presents different terminology. Out of Old Georgian prosodic terms only *maxvili* (stress) is evidenced in current Georgian (from Greek ὄξεῖα). The term *maxvili* has a broader meaning in current Georgian.

მესხური გვარების სტრუქტურული ანალიზისათვის

გვარის განმარტება „ონომასტიკურ ტერმინთა ლექსიკონში“ ორიენტირებულია ოჯახზე: „გვარის ოფიციალური და მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის პიროვნულ სახელს“ (ცხადაია, 1988). ამგვარი განმარტება სრული და ამომწურავი შესაძლოა იყოს ევროპის ხალხებისთვის, მაგრამ არა ქართველთათვის. „გვარსახელი ქართული სინამდვილისთვის მხოლოდ ოჯახის — ამ პირველადი სოციალური უჯრედის დამახასიათებელი მოვლენა არ არის... ის ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდებაა“ (თოფჩიშვილი, 1997, 4).

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ცნობილი გვარის განაყოფის სახელები, რომლებიც არაოფიციალურ სიტუაციაში გვარის ალტერნატივას წარმოადგენს. ხშირად გვარისა და შტოგვარის სახელები ერთი და იმავე გვარისგან მომდინარეობს, მაგრამ სხვადასხვა სტატუსისაა. ყოველდღიურ არაოფიციალურ ურთიერთობაში შტოგვარი უფრო გავრცელებულია, მაგრამ მას არა აქვს საპასპორტო, სამართლებრივი ფუნქცია. როგორც ცნობილია, „გვარების ოფიციალურ სანქცირებამდე... თვითონ შერქმეული სახელი ასრულებდა იმ ფუნქციას, რასაც დღეს ნამდვილი გვარი. ყოველი შერქმეული გვარი, რაც დღეს გვხვდება, მეორეულია და მას აკისრია (უმეტეს შემთხვევაში), დაახასიათოს რაღაც ნიშან-თვისებით, სოციალური თუ ეთნოგრაფიული ყოფის საფუძველზე გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა და, ამასთანავე, შესრულოს მისათითებელი, მათრიენტირებელი ფუნქცია“ (მელიქიძე, 1987, 293).

ზ. ჭუმბურიძის აზრით, ქართული გვარები, ისევე როგორც სხვადასხვა ხალხთა გვარების უდიდესი ნაწილი, წარმოქმნილია წინააპრთა სახელებისა და მეტსახელებისაგან. ამ გზით იქცნენ გვარის შემადგენელ ნაწილად (ჭუმბურიძე, 2003, 76).

შტოგვარის სისტემა ტრადიციულია საქართველოს ყველა რეგიონისათვის. იგი აუცილებელიცაა, როცა გვარი გამრავლდება, მიაღწევს რამდენიმე ათეულ ოჯახს ერთ სოფელსა ან უბანში. ამ შემთხვევაში მხოლოდ ოფიციალური გვარის დასახელება არ არის საკმარისი გენე-ალოგიური ხაზის მისანიშნებლად (ცხადაია, 2005, 163).

ქართულ გვარებში, როგორც ცნობილია, მრავალგვარი დაბოლოებაა მიღებული: -ძე, -შვილი, -ური, -ანი, -ია, -იანი და სხვა. სამხრეთ საქართველოში, სხვა კუთხეებისაგან განსხვავებით, მეტწილად გვარებს ბოლოში ერთვის „შვილი“ და „ძე“.

გვარების დაბოლოებათა რიცხვს ეკუთვნის დაბოლოება „თი“. დაბოლოება გვარებისა „თი“ დღემდე შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებშიც, მაგ ხევში, (ინგოროყვა, 1954, 95), სამეგრელოში (ცხადაია, 2005, 193) და აგრეთვე, მესხეთში.

მესხეთში ოფიციალური გვარის დაბოლოებად არ გვხვდება **-თი (ისევე, როგორც -იანი, -იენი, -იანი, -ანთი, -ენთი** და სხვა.) „თუ-კი მეტსახელმა მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება, შეიძლება ვიხმაროთ „მეტგვარიც“, რადგან ამ ტერმინში ჩანს მისი ძირითადი მნიშვნელობა; ნამდვილი, ოფიციალური გვარის გვერდით აღინიშნოს ამავე გვარის ან კიდევ საგვარეულოს, შტო-კომლის, ოჯახების, ნათესაობის, სხვადასხვა გვარების, გვარის განაყოფი სახელები (მელიქიძე, 1987, 291-292)

სწორედ, მესხეთში მეტგვარების დაბოლოებად გვხვდება ზემოთ აღნიშნული დაბოლოებანი.

დაბოლოება „თი“, როგორც ირკვევა, განსაკუთრებით ფართოდ ყოფილა გავრცელებული მესხეთში, კერძოდ, ჭოროხის ხეობაში, შავშეთ-კლარჯეთში. შუა საუკუნეების ძეგლია „სულთა მატთანე მიჭიხიანის ხევისა“, ანუ „ტბეთის სულთა მატთანე“, რომლის ძირითადი ტექსტი XIV-XV საუკუნეებს ეკუთვნის. ამ ძეგლში აღწერილია სოფლობრივ მოსახლეობა ჭოროხის ხეობის მიჭიხიანის თემის, რომელიც შავშეთის ფარგლებში შედიოდა. ადგილობრივი გვარები წარმოდგენილია დაბოლოებით „თი“. როგორც ირკვევა, ძირითადი სახეობა გვარებისა შავშეთ-კლარჯეთში ძველად, შუა საუკუნეებში, სწორედ ამ სახეობისა ყოფილა. (ინგოროყვა, 1954, 96) მაგ. მახარებელი გორგასძიეთი, იაბედაეთი იოვანე, ეგელა ზარქიეთი, გიორგი გათენიეთი, მარიამ ბრევაეთი, გიორგაეთ ცხოვრება, გიორგი წითელაეთი, გორგასძე ჩაუქა გორგაძიათი (ენუქიძე, 1977, 163).

-თი სუფიქსიანი მეტგვარები უხვად გვხვდება ჩვენ მიერ დამუშავებულ მასალაში (ასპინძის რაიონის სოფელი ხიზაბავრა). მაგალითად:

არაბაშვილების — არაბათი;

ადეიშვილების — ადოთი;

ანთაძეების — პოსოთი, ქაჩლიენთი;

ბაბელაშვილების — ბაბელათი, ჯეჯიმათი;

ბალიაშვილების — ბალიათი, ზალანჩეთი, ოლოთი (ყვარელის რ-ნის სოფელ სავარდოში ცხოვრობენ), ყარაჯათი;

ბაღდაშვილების - ბაღდათი;

გელაშვილების — გელათი, პრადალათი, მურკიენთი;

გოგალაძეების — გოგალათი;

გორელიშვილების — გორელიენთი, ბურღულათი, გაზარიენთი, მოხუცებულენთი, ჯუნგლიათი;

დათაშვილების — დათათი, დოყეთი, მოშოთი, კაჭეთი, წვერათი, ნიკოთი, კოკნოთი;

ველიჯანაშვილების — ვენჯალათი, ყრუ აკოთი, ხონხლიენთი, გუდათი, ელოთი, იბიშიენთი, თუშიენთი;

ზურაბიშვილების — ზურაბათი, თაგოთი, დედოთი, კანკროთი;

თამაზაშვილების — თამაზათი;

თედორაძეების — თედოთი;

თენოშვილების — თენოთი;

ივანიშვილების — ივანოთი, აბუჭათი;

კალაიჯიშვილების — კალაიჯიენთი, შაფიათი, დომინეთი, თაქუნათი, აქინძიეთი;

კელოშვილების — კელოთი, ფარყათი, ნოღათი, მუზათი, თინიკელათი;

ლეკიშვილების — ლეკოთი, კერენგათი, თათრიენთი;

მაზმიშვილების — მარიფათი, დოხტრიენთი, ბეზრიენთი, მანოთი, რიჯათი, ოროჯათი, ქოტოთი, ქერათი;

მაზაშვილების — მაზათი;

მამუკაშვილების — კატარინათი, ყაჭიათი, ჩუკნოთი, კაკათი;

მელქონაშვილების — მელქონათი, დევერმანათი, წიპათი, გეჩეთი, ჩაშკათი;

მექოშვილების შტო-გვარსახელია —მექოთი, ზოდეთი, ლელოთი,

ტრიათი, ნინოთი, პატლათი;

მურადაშვილების — მურადათი, კოროთი, ყოყეთი, პაწატი, ჩუმელათი, ფაშათი, ყარიმანათი, ფეზულათი, ქახოთი, პეპელათი;

პაპაშვილების — პაპათი, ეფრემათი;

პლაჭიაშვილების — პლაჭიათი, ტირუნათი, ქორხანათი (ახალციხის რ-ნის სოფელ თისელში გადასახლდნენ);

პოსოშვილების — პოსოთი, თათარ პეტეთი;

ტატურაშვილების — ტატურათი, ტოტოშათი;

ფეიქრიშვილების — ფეიქრიენთი;

ფილიშვილების — ფილიენთი, ტარანათი, შიშაგოთი;

ფირფირაშვილების — ფირფირათი, ხუდოთი, ჩიფლაღიენთი;

ქუქჩიშვილების — ქუქჩიენთი, გლახათი, ყვაპეტეთი, ქოჩორათი, მანასათი (ეს შტო ახლა ლაგოდეხის რ-ნის სოფ. ვაშლოვანაში ცხოვრობს), აღანიკათი, კაკლათი, კავღიენთი, ჭადიენთი, მამლიბოლოენთი;

ყაზაშვილების — ყაზათი;

ყირიმლიშვილების — ყირიმლიენთი, ოხლიათი, თუხთუხათი, ლეილეთი; **ყრუაშვილების** — ყრუანთი, უშათი, ქოქორათი, ცაცალათი, ანგელიკათი;

შემაზაშვილების — შემაზაანთი, ბერნადეთი, ტაბიკათი, სომინათი, ჩალიათი;

ხუციშვილების — ხუციენთი, ბისტეთი, კოჭიათი, ალექსოთი, კოჩოთი, კოთხეთი;

ჭონიშვილების — ჭონიენთი;

ხაზალაშვილების — ხაზალათი;

ხითარიშვილების — ალოთი, დედულათი;

ხიხალაშვილების — კომორათი;

ამასთან ერთად, -თი სუფიქსი დასტურდება ხიზაბავრის ტოპონიმიკურ მასალაში. მაგალითად: **ზოდეთ ნაჩენი, გელათ ხარძლები, შაფიათ ქვაშიკარი, კომორათ ვენახები, ჯანათ ყანები, წიპათ ხევი, აბაზათ ხევი, წიპათ წყარო, ცაცალათ წყარო, ბალიათ ვენახები, ფირფირათ ვენახები** და სხვ.

ბ. ცხადიას ნაშრომში „ონომასტიკის შესავალი“ ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართული ენის დიალექტებზეც, სადაც შტო-გვარების საწარმოებლად ძირითადად ორი სახის სუფიქსი გამოიყენება:

კრებითობის აღმნიშვნელნი (-ან, -ენ, -თ//თა), და მრ. რიცხვის ფორმის მაწარმოებელნი (-ებ, -ნ). (ცხადია, 2005, 164)

ს. ჯანაშია -ი-ან მაწარმოებელში -ან ელემენტს ცალკე გამოყოფს და მის თავდაპირველ ფუნქციად კრებითობას ასახელებს, რაც ნათლად დასტურდება ქართველური გვარის სახელების ანალიზით. „-ან სუფიქსის მნიშვნელობათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა კრებითობა. ამ მნიშვნელობის გამოხატვაში ჩვენ ვხედავთ სუფიქსის პირვანდელსა და უძველეს ფუნქციას. გვარ-სახელების ეს დაბოლოება თავდაპირველად გავრცელებული იყო, ჩანს, ყველა ქართველ ტომში და ქართველურს პატრონიმისტიკურ მორფოლოგიაში იგი ერთი ყველაზე ადრინდელი მოვლენათაგანია. დროთა ვითარებაში ეს ფორმა ზოგ ქართველ ტომში დასუსტდა, ზოგან თითქმის მთლად დაიკარგა. ყველაზე კარგად ამჟამად იგი სვანეთშია დაცული, სადაც საერთოდ ბევრი არქაული ფორმა ინახავს თავს. მაგ.: ხარკსელან, მარგველან, ფირცხელან; რატიან, ხარკვიან, ასათიან და სხვ.“ (ჯანაშია, 1959, 35).

მ. ტუსკია აღნიშნავს, რომ -ან სუფიქსის კრებითობის ფუნქციას ძველთაგანვე მჭიდროდ დაუკავშირდა წარმომავლობის ჩვენებაც. -ან ფორმანტის მიერ გვარის სახელებისა და შტო-გვარების სახელთა წარმოება გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთში კი, ძირითადად სვანეთსა და მის ახლომდებარე რაიონებში, მაგალითად, რაჭაში -ე-ენ ვარიანტიანი შტო-გვარების სახელებია გავრცელებული: ლობჯანიძეების საგვარეულოში: ლაშხენი, ზვიადენი... (ტუსკია, 1993, 123).

ი. ჭყონიას განმარტებით, **-ი-ან** სუფიქსიანი გვარსახელების წარმოშობის ისტორიას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აკად. ს. ჯანაშიამ და მეგრული გვარებისათვის დამახასიათებელი სუფიქსი **-ია-ც -ი-ანი**-სგან მიღებულად მიიჩნია. აღნიშნულ სუფიქსთა მნიშვნელობის შესახებ აკად. ს. ჯანაშია წერს: „თვისების და წარმოშობის, წარმომავლობის ნიშანთა გარჩევა ზოგჯერ ჭირს, ან პირველი მეორის შედეგია, ამიტომ ესევე სუფიქსი წარმოშობასა და წარმომავლობას აღნიშნავს. სუფიქსის ამ მნიშვნელობის წარმომავლობას უთუოდ ხელს უწყობდა მისი პატრონიმისტიკური ფუნქცია, როდესაც კრებითობის ფორმანტი ამავე დროს რეალურად საერთო წარმოშობაზედაც მიუთითებდა. წარმოშობა, წარმომავლობას აღნიშნავს სუფიქსი თავისი ვარიანტებით შემდეგ შემთხვევაში ი-ანი: ნერსიანი

— ნერსე, ადარნასიანი — ადარნასე, ჯუანშერიანი — ჯუანშერ. ეს ნამდვილი გვარსახელები ჯერ კიდევ არ არის, აქ მხოლოდ სათანადო პირთა შთამომავლობაა აღნიშნული. „გოდერძიანი“ ისეთივე ხასიათისა (შდრ. მათივე გვერდით ნახსენები ტბელნი) ჩანს, თუმცა აქ საგვარეულო სახელად გადაქცევისაკენ მეტი მიდრეკილებაა უკვე გამოძვინებული. „გორგასლიანი“ — გორგასლისეული, „დავითიანი“ — დავითისეული. (ჭყონია, 1955, 17).

არნ. ჩიქობავა დაწვრილებით ამახვილებს ყურადღებას ს. ჯანაშიას აქ წარმოდგენილ დებულებაზე, სავსებით იზიარებს მას და დაასკვნის: „სიმ. ჯანაშიას შეხედულებაზე დაწვრილებით შევჩერდებით, რამდენადაც ესაა ერთადერთი გაგება, სადაც -ან სუფიქსის ადგილის შესახებ ანალოგიურ საწარმოებელთა შორის ამ სუფიქსის ისტორიული ფუნქციის შესახებ გარკვეული დებულებებია წამოყენებული, მართალია, ისტორიის საჭიროებისათვის, მაგრამ ენათმეცნიერული ანალიზის საჭირო მოთხოვნილებათა სრულად დაცვით“ (ჩიქობავა, 1942, 117).

ამ წარმოების გვარების განსაკუთრებული გავრცელება დასავლეთ საქართველოში, ყველაზე მეტად სვანეთთან ახლომდებარე რაიონებში (მაგ., ლეჩხუმში), ზოგიერთი მათგანის აშკარა წარმომავლობა სვანეთიდან (ყიფიანი, გელოვანი, ჟორჯოლოანი, ბერეჟიანი...), ზოგის კიდევ ნათელი სვანური ეტიმოლოგია (ბერეჟიანი: ბერეჟ სვან. — რკინა), ისტორიული მოსაზრებები ადამიანს აფიქრებინებს, რომ -ან (-ონ)-ზე დაბოლოებული ყველა გვარი სვანური წარმომავლობისაა, მაგრამ ასეთი დასკვნა არ იქნებოდა სწორი. ჯერ ერთი, ზემოთ ჩამოთვლილ გვარებშიაც არის ისეთები, რომელთა ისტორიასაც ჩვენ კარგად ვიცნობთ (ისინი, ასე ვთქვათ, ჩვენი ისტორიული მხედველობის არეში ჩამოყალიბდნენ) და რომელთა შესახებაც გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მორფოლოგიურად მთლიანად ქართულ ნიჟარაზე არიან აღმოცენებულნი. ასეთებია, მაგალითად, ორბელიანი — ბარათაშვილების ერთი შტოს სახელწოდება. ასეთი ფორმა საბოლოოდ ჩამოყალიბებულია არა უადრეს მე-18 საუკუნისა, წინათ გვარი გაფორმებულია სხვაგვარად (ორბელისძე, ორბელიშვილი), ბაგრატიონი, გაბაონი. მოცემული გვარ-სახელის ფორმა ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული საკუთრივ ქართველებშიაც, და იგი აქ ფეოდალიზმმა (ფეოდალურმა ინდივიდუალიზმმა) ამოაგდო, როდესაც, კერძოდ, ფეოდალური საკუთრება საბოლოოდ დამკვიდრდა. ამის უტყუა-

რი საბუთია არაოფიციალური, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხმარება ამ ფორმისა იმ შემთხვევაში, როცა საგვარეულო მთლიანად, კრებით, კორპორაციულად არის წარმოდგენილი. ასეთი წარმოება საყოველთაოდ გავრცელებულია, როგორც ცნობილია, მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ამ ფუნქციით, ფორმანტის ყველა ვარიანტული სახეობა გვხვდება: **-ან**: ოთარანთ (ოთარაშვილები); **-ი-ან**: ციციანი (ციციშვილები). (ჯანაშია, 1959, 37-38).

ამასვე ადასტურებს ა. შანიძე, მაგრამ აქვე დასძენს, რომ ეს -იან დაბოლოება შემდეგ შეუცვლია -ძე-სა და -შვილს. ამის გამო, -იან დაბოლოებას დაუკარგავს პირვანდელი მნიშვნელობა და გარკვეულ შემთხვევაში შემონახულია ჩამომავლობისა და კუთვნილების აღსანიშნავად, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ფორმა მრავლობითია. ამ შემთხვევაში მერმინდელი „შვილი“ ჩამოშორდება ხოლმე გვარს და აღდგება ძველი „-იან“: ციცი-ი(ს)-შვილი: ციცი-იან(ნ)-ი (ციციშვილები), სადაც ორი ნ-საგან ერთი ისმის ხოლმე, მაგრამ რომ ორი იგულისხმება, ამას ადასტურებს ნათესაობითის ფორმა, ვთქვათ, ასეთი „ციციან-თ პური“ ან ნათესაობით-სახელობითში: ციცი-ან-თ-ი. თუ „შვილის“ მოკვეცის შემდეგ -იან-ი უნდა დაერთოს ა-ზე გათავებულს ბოლოუკვეცელ სიტყვას, მაშინ -იან-ის პირველი ხმოვანი დასუსტდება და სულ დაიკარგება: ოთარა-(ს)-შვილი: ოთარა-ან-ი (ამის ნაცვლად ოთარა-იან-ნ-თ). (შანიძე, 1980, 123).

აქვე ავტორს შენიშვნის სახით აქვს მინიშნებული, რომ „შვილ“-ისა და „ძე“-ს მოკვეცა ამა თუ იმ გვარზე იან-ის დართვისას არ ნიშნავს, რომ ამ გვარს უეჭველად ძველი -იან დაბოლოება ჰქონდა. „მრავლისგან მრავალ შემთხვევაში უთუოდ ანალოგიურ წარმოებასთან გვაქვს საქმე“. (შანიძე, 1980, 123).

„-იან მაწარმოებელი მიღებული ჩანს -ენ-ისაგან. ძველი მისი ფუნქცია უნდა ყოფილიყო აღენიშნა წარმომავლობა ვინმესგან, აქედან შემდეგ უნდა განვითარებულიყო გაგება კუთვნილებისა და ვისიმე მიმდევრობისა — ქრისტიან-ი“ (შანიძე, 1980, 122).

ძალიან ხშირია -ან ფორმის გამოყენება შტო-გვარის სახელებისათვის (ჯანაშია, 1959, 38).

ზოგჯერ კინობითი ფორმის ფუძისგანაც აწარმოებდნენ გვარის განაყოფთა სახელებს და ამიტომ იკარგებოდა -იან სუფიქსის -ი. სხვაგან კი სუფთა ფუძეს დაურთავენ ხოლმე -იან-ს (ბერიძე, 1988, 144).

ცვლილება მაინც მომხდარა და თამაზა-იან-ის ნაცვლად მივიღეთ თამაზაანი, პაპაანი, გალაანი, ჩუმელაანი. მსგავსი ფორმების გვერდითვე გვაქვს -იენ სუფიქსიანი მეტგვარებიც — თამაზიენი, პაპიენი, გელიენი, დათიენი, მეხანჯლიენი, ბერნადიენი, ნიკოიანი > ნიკოანი > ნიკვიენი და სხვ.

ფონეტიკური პროცესი რომ ყოფილიყო მიზეზი -იენ ფორმის მიღებისა, მაშინ ყველგან უნდა გატარებულიყო ეს წესი. გრ. ბერიძის აზრით, -ი + ენ ვარიანტი უნდა ყოფილიყო თავიდანვე. ეს მისთვის მოულოდნელიც არაა. -იან და -იენ ისეთივე ვარიანტებია, როგორც -იერ და -იარ ქონების აღმნიშვნელი ბოლოსართები.

ავტორს აქვე აქვს განხილული ასპინძის რაიონის სოფ. ხიზაბაგრისა და ვარგავის გვართა თავისებურებანი. „ხიზაბაგრაში როცა სურთ საგვარეულოდან ვინმე დაასახელონ, გვარი-სახელის ფუძეს დაურთავენ უშუალოდ ირიბი ბრუნვების მრავლობითობის ბოლოსართს -თანს (დათათ სინოი, პაპათ მანაი, ლეკოთ პეტრეი). როცა ერთზე მეტი სურთ თქვან საგვარეულოდან, ურთავენ მრავლობითობის ნარს: ლეკოთნი, პაპათნი, დათათნი, თენოთნი და სხვ.

გვარი	გვარეულობა	კუთვნილება	ადგილი*
გელაშვილები	გელიენი	გელათი	გელაცა
ხითარიშვილები	ალიენი//ალუენი**	ალოთი	ალოცა
ადეიშვილები	ადუენი***	ადოთი	ადოცა
შემაზაშვილები	ბერნადიენი	ბერნადეთი	ბერნადეცა (ბერიძე, 1988, 144).

* დღევანდელ ხიზაბაგრაში ადგილის მიხედვით დახასიათებისას ადგილობრივ მკვიდრთა მეტყველებაში არ შეინიშნება გელაცა, ადოცა, ბერნადეცა და სხვ. „ც“ ფორმანტის ნაცვლად ხმარობენ „-თს“ კომპლექსს. მაგ.: გელათსა, ალოთსა, ადოთსა... შესაძლოა „ს“-ს შეენაცვლოს „-ც“, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იხმარება ცალკე, „-თ“-ს გარეშე. მაგ.: ადოთცა, ბერნადეთცა, მურაკიენთცა და სხვ.

** სოფელ ხიზაბაგრაში ხითარიშვილების გვარის განაყოფთა სახელია ალოენი. ალიენი//ალუენი არ ფიქსირდება

***ადუენი არ არის გამართლებული ფორმა. ადეიშვილების გვარის განაყოფთა სახელია ადვიენი. იხ. ქვ. -ენ სუფიქსის წარმოებისას.

თუ სახელი თანხმოვანფუძიანია, მაშინ მაწარმოებლად -იენ მოუღის როგორც კუთვნილების გამოხატვისას, ისე ადგილის გადმოცემის დროს (ბერიძე, 1988, 145).

მაგალითად:

- ხუციშვილი, ხუციენი, ხუციენთი, ხუციენთცა;
- ქუჭიშვილი, ქუჭიენი, ქუჭიენთი, ქუჭიენთსა;
- კალაიშვილი, კალაიენი, კალაიენთი, კალაიენთსა;
- გორელიშვილი, გორელიენი, გორელიენთი, გორელიენთცა;
- ველიჯანაშვილი, ვანჯალიენი, ვენჯალაანთი, ვენჯალათსა;
- ფირფირაშვილი, ფირფირიენი, ფირფირაანთი, ფირფირაანთსა;
- მექოშვილი, მექვიენი, მექოთნი, მექოთცა;
- გელაშვილი, გელიენი, გელათნი, გელათცა;
- დათაშვილი, დათიენი, დათათნი, დათათსა;
- პაპაშვილი, პაპიენი, პაპათნი, პაპათსა;
- თენოშვილი, თენოენი, თენოთნი, თენოთსა და სხვ.

-ათ და -ეთ მაწარმოებელი გვარებში აქვს თუშურს. (უთურგათი (-უთურგაიძე), ბექურათ ქალი (ბუქურაძის ქალი) და სხვ. (ბერიძე, 1988, 145).

ჩვენს მასალაშიც უხვად ვხვდებით ასეთ წარმოებას. მაგ: თამაზა-თი (თამაზაშვილი), გელათი (გელაშვილი), პაპათი (პაპაშვილი), ვენჯალათი (ველიჯანაშვილი), ფირფირათი (ფირფირაშვილი) და სხვ.

-ან სუფიქსის მნიშვნელობათაგან ჩვენთვის საინტერესოა კრები-თობა, წარმოშობა-სადაურობა, ტოპომაწარმოებლობა.

-ან ბოლოსართი თანხმოვანზე გათავებულ ფუძეს დაერთვის სახეუცვლელად, მაგრამ ხმოვნებით დაბოლოებულ ფუძეზე დართვისას თავს იჩენს -ან სუფიქსის ვარიანტები.

ჯავახურში (სამცხურშიც. მ. ქ.) ამ სუფიქსის ადრინდელი მნიშვნელობა შემონახულია გვარის განაყოფთა სახელებში. -ან სუფიქსი განაყოფთა აღმნიშვნელ სახელებს სხვადასხვა ვარიანტებით დაერთვის: -ათან, -ი+ენ, -ო+ონ, არ ჩანს -უ+უნ (ბერიძე, 1988, 142-143).

-ათან ვარიანტის წარმოშობის შესახებ არსებობს აზრი, რომ -ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს დაერთო -იან სუფიქსი, -ი ელემენტი დასუსტდა და დაიკარგა (შანიძე, 1980, 124). მაგ.: უნდა გვქონოდა თამაზაიანი, მაგრამ გვაქვს თამაზაანი; გელაიანი < გელაანი.

ანალოგიური მდგომარეობა უნდა გვქონდეს -ე და -ო ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებთანაც. —ი-ს დასუსტებას მოსდევს ფუძისეული ხმოვნისგან სუფიქსეულის დამსგავსება და ვიღებთ ასეთ სურათს: ბერნადე+იან-ი, ბერნადეანი, ბერნადიენი; ნიკო+იანი, ნიკოანი, ნიკოონი, ნიკვიენი.

-ა+ან და -ი+ენ ფორმების შესახებ შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე მიღებულია -იან სუფიქსებისაგან სხვადასხვა გზით, პირველი — სუფიქსული -ი-ს დასუსტებითა და შემდეგ დაკარგვით (-ა+იან > აან), მეორე — თვით -ი-ს მიერ -ა-ს დამსგავსებით (-იან > იენ) (ბერიძე, 1988, 144).

გვხვდება -ენ სუფიქსიანი წარმოებაც. მაგ.: გელა-ენ-ი > გელე-ენ-ი > გელი-ენ-ი; მოსე-ენ-ი > მოსი-ენ-ი. ნათესაობითში გამოყენებულია -თ, ოღონდ წარმოება სხვადასხვა მოდიფიკაციით ხასიათდება. მაგ.: გელი-ენ-ი > გელა-თ-ი; კატერინე-ენ-ი > კატერინ-იენ-ი > კატერინ-იენ-თ-ი.

საყურადღებოა წარმოება -ენ სუფიქსისა, როცა -ო-ზე გათავებული სახელებსა და მეტსახელებს დაერთვის და იქცევა მეტგვარად. მაგ.: ალოენი, პოსოენი, ალექსოენი, ნიკოენი, წიკოენი, ლელოენი, მოშოენი და სხვ.

-ო და -ე ხმოვანთა კომპლექსმა განიცადა რედუქცია და გვაქვს პოსვიენი (პოსოვილები), ნიკვიენი (დათაშვილები), ლელოვიენი (მეჭოშვილები), მოშვიენი (დათაშვილები), წიკვიენი (ანთაძეები) და სხვ.

ადრე ხიზაბავრაში გვარები იწარმოებოდა ამ სუფიქსებით. მაგ.: ცნობილი ისტორიკოსი და საეკლესიო მოღვაწე მიქელ თამარაშვილი იწერებოდა მიქელ თამარათად. ასევე იყო სხვა საგვარეულოშიც: ბაღდოთი, პაპათი, გელათი, დათათი და სხვ. (ბერიძე, 1988, 145).

ახლა კი ამ სუფიქსებით იწარმოება გვარის განაყოფთა სახელები, ანუ მეტგვარები.

რაც შეეხება გეოგრაფიული სახელების -ათ, -ეთ, -ოთ, -უთ სუფიქსთა წარმოშობას -აანთ, -იენთ, -ოონთ, -უუნთ რთული სუფიქსების გავლით, ფონეტიკური სქემები ასეთია:

- იანთ > აანთ > ანთ > ათ
- იანთ > იენთ > ეენთ > ეეთ > ეთ
- იანთ > იენთ > ინთ > ით
- ოიანთ > ოანთ > ონთ > ოთ

მთლიანად საქართველოს ტოპონიმთა გვიჩვენებს, რომ გვარებისაგან ნაწარმოებია უამრავი გეოგრაფიული სახელი. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ -თ(ა) და -ეთ სუფიქსები მსგავსია არა მარტო ფონეტიკურად, არამედ მორფოლოგიური ფუნქციითაც. მაგ.: გეოგრაფიული სახელები ჯავახეთი და ჯავახთა (ბერიძე, 1988, 147)

-ათ, -ეთ, -ოთ, -უთ (-ით) სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები გვარის განაყოფთა სახელებისაგან უნდა წარმომდგარიყო. ადგილს დარქმევია მცხოვრებთა გვარის სახელი, მაგალითად, გელაშვილების საცხოვრებელს — გელათი, პაპაშვილებისას — პაპათი.

ხიზაბავრის ტოპონიმიაში უხვად გვხვდება შტო-გვარსახელებიდან წარმომშობილი ადგილების, წყაროებისა და სხვა ტოპონიმების სახელწოდებანი. მაგ.: გელათ ხარძლები (ხარძალი — ქვა-ლორდიანი ადგილი), კოშორათ ვენახები, შაფიათ ქვაბიკარი, ბერნადეთ ჭალა, ბაბელათ ტაფი, ქუქჩინთ წისქვილები, ქოჩორათ წისქვილები, კოჭი-ათ წისქვილები, კოჭი-ათ წყარო, ფეიქრინთ ჭალა, ჯანათ ყანები, წიპათ, ანუ სუსინთ ხევი, აბაზათ ხევი, ფეზოთ ეული, კატარინათ წისქვილები, ხუციენთ ჩილი, ბეჟოთ ლარები, წიპათ წყარო, აბაზათ წყარო, ცაცალათ წყარო, მექსეთას წყარო, ბალიათ ვენახები, ფირფირათ ვენახები, ქუქჩინთ ვენახები, ზოდეთ ნაჩხი და სხვ.

აღსანიშნავია, რომ როცა საგვარეულო კოლექტივებს შიგნით ცალკე ინდივიდის აღნიშვნა სურთ, მაშინ ზემოთ წარმოდგენილი გვარის ფორმები ძველი მრავლობითის ირიბ ბრუნვათა -თ სუფიქსს დაირთავენ. მაგ.: ოთარაანთ ქვრივი. ამ კატეგორიის ფაქტი მრავლად გვაქვს დადასტურებული როგორც ისტორიულად (მაგ.: ლიპარიტეთ/თი, ბაღდაშთა ერთი შტოს სახელი), ისე ეთნოგრაფიულად აღმ.. საქართველოში და მესხეთში (მაგ.: თამარათი > თამარაშვილი), თუშეთში (ქოთილთა განა = განა ქოთილაძე), ჩეთათ გორგაი = გიორგა ჩეთაძე, ბექურათ ქალი. ზოგჯერ ეს ორმაგ-სუფიქსიანი სახელები თითქმის ცალკე არსებობის უნარსაც იძენენ. დიდი რაოდენობით გვხვდებით ჩვენ ამ ფორმებს წერილობით ძეგლებშიც. (მაგ.: მ. თამარაშვილის მიერ გამოცემული ძველი ქართული და იტალიური საბუთები XVII-XVIII სს., სადაც ბევრია ასეთი ფორმა: ტლუკაანთ, ბაღინაანთ, ჯიგნიანთი, ორბელიანთ, ხუციანთ და სხვ. (ჯანაშია, 1959, 39).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ დამუშავებულ მასალაში გვხვდება ისეთი განსაკუთრებული ფორმა გვარებისა, რომელიც ორმაგ მრავლობითობას აღნიშნავს სახელობით ბრუნვაში. მაგ.: ხუციშვილების ორმაგი მრავლობითობის ფორმაა ხუციენთნი; ჭონიშვილების — ჭონინთნი; კალაიჯიშვილების — კალაიჯიენთნი, ქუქჩიშვილების — ქუქჩიენთნი; გორელიშვილების — გორელიენთნი, ფირფირაშვილების — ფირფირიენთნი, ველიჯანაშვილების — ვენჯალიენთნი, მურადაშვილების — მურადიენთნი, ყრუაშვილების — ყრუანთნი და სხვ.

არსებობენ გვარები სოფ. ხიზაბავრაში, რომლებიც შტო-გვარსახელების, ანუ მეტგვარის გარეშე, დამოუკიდებლად ვერ არსებობენ და, საერთოდ, არ ხმარობენ. მაგ.: მელქონაშვილი, ამ გვარის საერთო მეტგვარია დეგერმანათი. ესენი კიდევ იყოფიან მეტსახელების მიხედვით, სხვადასხვა შტო-გვარად: დეგერმანიენი, წიპიენი, გეჩიენი, ჩაშკიენი.

საერთო პრინციპი ასეთია:

მეტგვარი	გვარეულობა	კუთვნილება	ადგილი
დეგერმანათი	წიპ(ვ)იენი	წიპათი	წიპატცა
დეგერმანათი	ჩაშკიენი	ჩაშკათი	ჩაშკატცა
დეგერმანათი	გეჩიენი	გეჩიენთი	გეჩიენტცა.

ქვემოთ ჩამოთვლილი გვარები კი თანასოფლელთა მეტყველებაში ვერ იხმარებიან შტო-გვარსახელების დართვის გარეშე. მოვიყვანთ მეტგვართა თითოეულ მაგალითს: შემაზაშვილი — ბერნადიენი; ფილიშვილი — ლუკიენი; მაზმიშვილი — შარიფიენი; მამუკაშვილი — კატარინიენი; ხითარიშვილი — ალოენი და სხვ..

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ მოძიებული მასალების მიხედვით საგვარეულო — წარმომავლობის სუფიქსი -ან არის ერთადერთი მაწარმოებელი მეტგვარებისა. სხვა დანარჩენი შემთხვევა მხოლოდ მის ფონეტიკურ ვარიანტს წარმოადგენს. კერძოდ, ფუძისეული ხმოვანი -ო ან -ე (ნამო, წიკო, ალექსო, პოსო, ლელო, ბერნადე, კატარინე, მოსე, კაჭე და სხვ.) იწვევს სუფიქსეული -ა ხმოვნის ასიმილაციას. პროცესი შეიძლება გაგრძელდეს დისიმილაციითაც და მივიღოთ სამცხურ-ჯავახურისთვის დამახასიათებელი -იე მეზობლობა.

ირიბ ბრუნვაში შესაძლებელია გადაჰყვეს სახელობითის -ან მაწარმოებელი თავისი -ონ, -ენ ვარიანტებით და მივიღოთ -ან-თ (-ონთ, -ენტ), ან არ გადაჰყვეს. ამასთან ერთად, მოსალოდნელია უკვე წარმოქმნილი სახელის ხელახალი ბრუნება ისე, რომ შენარჩუნებულ იქნეს ყველა ფორმანტი. სამცხე-ჯავახურში დასაშვებია ფორმები: გელა-ან-თ-ნ-ი, თამაზა-ან-თ-ნ-ი, დედულა-ან-თ-ნ-ი, ხუცი-ენ-თ-ნ-ი, ქუქჩი-ენ-თ-ნ-ი და სხვ.

„ტბეთის სულთა მატთანეში“ -ან სუფიქსის დადასტურება არ ხერხდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი სუფიქსი XIV-XV საუკუნეებში არ იხმარებოდა. „მატიანე“ სულთა მოსახსენებელია, ამიტომ „გვარები“ ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება: გორგასძიათ, იაბედაეთ,

კაკალეთ, ტიბორეთ, ზარქიეთ და სხვ. (ენუქიძე, 1977, 163) სახელობითში იქნებოდა ალბათ, გორგასძია-ან-ი, იაბედა-ან-ი, კაკალე-ან-ი, ტიბორე-ან-ი, ზარქი-ან-ი და სხვ.

შტო-გვარებისა და გვარსახელების წარმოებისას განსაკუთრებული როლი აქვთ კნინობით ფორმებს. უმრავლესობა მეტგვარებისა ნაწარმოებია კნინობითი ფორმისაგან. თუ ჩამოვაცილებთ გვართა ან მეტგვართა მაწარმოებლებს, დაგვრჩება კნინობითი სახელები, რომლებიც თავისი სემანტიკითა და სტრუქტურით მთლიანად კნინობითობის წარმოების ჩარჩოებში თავსდება. მოვიყვანთ ჩვენ მიერ მოძიებული მეტგვარებისა და გვარების საფუძვლად დადებულ კნინობით სახელებს, რომლებიც თავის დროზე მეტსახელები იქნებოდნენ: ზოდე, ლელო, დოჭე, მოშო, კაჭე, წვერა, ნიკო, კოკნო, აკო, ხორხლია, გუდა, ელო, იბიშა, ბისტე, კოჭია, ალექსო, კოჩო, შაფია, დომინე, თაქუნა, გლახა, ყვა, პეტე (ყვა-პეტე), მამლი(ს)ბოლო, ქოჩორა, მანასა, ალა, ნიკა (ალა-ნიკა), კაკლა, ხულო, ჩიფლადა, ბურღულა, ტაბიკა, სომინა, ბერნადე, დეგერმანა, წიპა, გეჩე, ჩაშკა, ტირუნა, ქორხანა, შარიფა, დოხტრია, მანო, რიჯა, ივანო, აბუჭა, ფარყა, ნოდა, უშა, ქოქორა, ცაცალა, ანგელიკა, ჩუმელა, პაწა, პრადალა, მურკია, თავო, დედო, კანკრო, ალო, ადო, კატარინა, ყაჭია, ჩუკნო, კოშორა, პოსო, ჯეჯიმა, გოგალა, პატლა, თინიკელა და სხვ.

როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ქართული და აღმოსავლური ენებიდან შემოსული ლექსიკა უფრო „დაკნინებულია“, ხოლო შედარებით ახალი შემოსული დასავლური ლექსიკა, რომელიც ამ შემთხვევაში კათოლიკური სამყაროდან უნდა იყოს (რადგან მასალა კათოლიკური სოფლიდან არის აღებული), ამიტომ მეტსახელის შერქმევის პრინციპიდან გამომდინარე ტრადიციული ონიმებისაგან ისედაც განსხვავებული იყო და ამიტომაც შედარებით სრული სახით გვხვდება: ალექსო (<ალექსი), დომინე (<დომინიკე), ბერნადე, დეგერმანა, ეფრემა, ანგელიკა, კატარინა და სხვ.

ზოგჯერ ორი კნინობითის ფორმის შეერთებით მიღებული გვაქვს ახალი კომპოზიტი, ორკომპონენტიანი ანთროპონიმული ფორმულა, ეპითეტიანი მეტსახელი, რომელშიც ერთ-ერთი კომპონენტი სახელსადები პიროვნების საკუთარი სახელია (შესაძლოა კნინობითი ფორმითაც), მეორე კი „გრამატიკულად წარმოადგენს მსაზღვრელ სიტყვას, ეპითეტს, რომელიც შეიცავს ამ პიროვნების „დახასიათებას“ რაიმე ნიშნით და, მასასადამე, წარმოაჩენს დენოტატის მიმართ სახელმდე-

ბის ნეიტრალურ პოზიციასაც და ემოციურ-შეფასებით დამოკიდებულებასაც, კერძოდ, მოწიწება-პატივისცემას (იშვიათად), ირონიას — მსუბუქ გაკენწვლას, დაცინვა-გაკიცხვას და სიძულვილსაც კი... რუსი მკვლევრები უარყოფითი შინაარსის შემცველ მეტსახელებს აჯგუფებენ: „შეურაცყოფელ-დამამცირებელ“ და „კინობით-დამცინავად“ (ცხადაია, 2005, 156).

ხიზაბავრაში გავრცელებული ეპითეტური მეტსახელები მრავალფეროვანია. გარეგნობისა და ხასიათის თავისებურების ამსახველი მეტსახელები ზოგი დადებით ემოციას გამოხატავს, ზოგი კინობითი ან დამამცირებელი შინაარსისაა. მაგალითად: ყვაპეტე (<ყვაჟი-პეტრე>), აღანიკა (<აღა-ნიკოლოზი>), თათარპეტე (<თათარი-პეტრე>) მამლიბოლო (<მამლის ბოლო>) და სხვ.

მომრავლებულია რუსულიდან შემოსული მეტსახელები, რომლებიც იმავე კინობითობის წარმოების ჩარჩოებში ჯდება და სათავეს უდებენ ახალ შტოგვარებს: იბიშა, ბისტე, ხულო, გეჩე, ჩაშკა, პრადლა, ჩუკნო და სხვ.

არის შემთხვევა, როდესაც ლიტერატურული ლექსიკური ერთეული ადამიანს დარქმევია დაკნინების გარეშე, მაგრამ სიტყვა ხმოვანფუძიანია და შეიძლება ამიტომაც აღარ მოუკვეცა ბოლო, თორემ პეპელას შეიძლება პეპე ან პეპო მოეცა.

ნებისმიერ შემთხვევაში მესხურში გვართა, მეტგვართა, მეტსახელთა წარმოება, ონიმიზაცია მთლიანად ჯდება ქართულ სტრუქტურაში და იგი შეიძლება განვიხილოთ ანთროპონიმიაში.

ლიტერატურა

ბერიძე, 1988 — გრ.ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.

ენუქიძე, 1977 — თ. ენუქიძე, ტბეთის სულთა მატიაწე, თბ., 1977.

თოფჩიშვილი, 1997 — რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.

ინგოროყვა, 1954 — პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954.

მაისურაძე, — ი. მაისურაძე, პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XXIII, გვ. 29-37

მელიქიძე, 1987 — ს. მელიქიძე, მეტგვარი და მისი წარმოება ბორჯომის ხეობის ქართულში, ონომასტიკა, ტ. I, თბ., 1987.

ტუსკია, 1993 — მ. ტუსკია, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეათე, სიტყვაწარმოებითი აფიქსების ფუნქციები და შესამებადობა ხალხურ ფუძეთა სემანტიკური ჯგუფების მიხედვით, თბ., 1993

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980.

ჩიქობავა, 1942 — არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942.

ცხადაია, 1988 — პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა ლექსიკონი, თბ., 1988.

ცხადაია, 2005 — პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005.

ჰყონია, 1955 — ი. ჰყონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბ., 1955.

ჰუმბურიძე, 2003 — ზ. ჰუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 2003.

ჯანაშია, 1959 — ს. ჯანაშია, ტ. III, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, თბ., 1959

მასალის შეგროვებაში დაგვეხმარნენ დ. ასპინძაში, ქ. ახალციხესა და სოფ. ხიზაბავრაში მცხოვრები ინფორმატორები, რომელთაც უღრმეს მადლობას ვუხდით: **ქუქჩიშვილი ჯორა, ველიჯანაშვილი თინა, ველიყანაშვილი ეშარი, ველიჯანაშვილი რობერტი, პაპაშვილი პეტრე, ფირფირაშვილი შოთა, მექოშვილი გურამი, ყრუაშვილი გულნარა, მექოშვილი-ფირფირაშვილი ნინა (აწ გარდაცვლილი), ველიჯანაშვილი ეკატერინე (აწ გარდაცვლილი), მელქონაშვილი მიხეილი.**

MAYA KUKCHISHVILI

On the Structural Analysis of Meskhian Family Names

Summary

The analysis of the data from the village Khizabavra, Aspindza region has proved that in the Meskhian dialect nicknamed forms of family branch names are marked with the suffix **ti**. The same suffix is widely-used in toponyms that themselves have originated from family branch names, Generally the formation of family branch names and family names is based on diminutives. In the Meskhian dialect the formation in question follows the Common Georgian pattern.

რუსულან ზამელაზვილი-ჯაქალაზვილი


საკომუნიკაციო მოდელი და ზმნის ბრამატიკული კატეგორიები

მეტყველების ენობრივი გაფორმებისთვის ამოსავალია მოუბარი პირი, რომლის თვალსაზრისი და პოზიცია გადამწყვეტია ნებისმიერი გამონათქვამისთვის. ენას სამართლიანად მიიჩნევენ **სოლიმფისტურ** სისტემად (ლათ. *solus* „ერთადერთი“+ *ipse* „თვით“), რადგან გარე სამყაროს შეფასება ხდება მოსაუბრის პოზიციიდან ამოსვლით (იხ. ჯორბენაძე, 1997, 101) ანუ ენა **ეგოცენტრულია** (*ego* — „მე“), „მე“-ზე კონცენტრირებული (თანდაშვილი, 1996).


მხატვრულ ან პუბლიცისტურ ნაწარმოებში მოუბარი პირი თავად ავტორია, რომელიც თხრობას ზოგჯერ პირველ პირში წარმართავს, ხანაც პასიურ მთხრობელად გვევლინება. ასეთ შემთხვევაში ადრესატია ყველა მკითხველი (ე.წ. **კოლექტიური** ადრესატი). სამეცნიერო დისკუსიებში მსჯელობა ძირითადად III ან გაუსაზღვრელ პირშია გადმოცემული, რათა არ დაირღვეს ობიექტურობის პრინციპი. თუკი ავტორს სურს, ხაზი გაუსვას საკუთარ წვლილს, თავს I პირის მრავლობით რიცხვში გამოხატავს (ე.წ. ავტორისეული „ჩვენ“).

ზეპირი დიალოგური მეტყველება, როგორც ვერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი სახეობა, ცხადია, ეფუძნება მოუბარი პირის პოზიციას, რომელიც ყოველთვის არაა ზმნის გრამატიკული სუბიექტი: ხან ირიბი ობიექტია, ხან — პირდაპირი, ხანაც უშუალოდ არაა დაკავშირებული მოქმედებასთან. ამიტომ მოქმედების სუბიექტს ვერ გავაიგივებთ მოუბარ პირთან — საუბრის სუბიექტთან. მაგ., როცა ადრესანტი მიმართავს ადრესატს: „რა კარგია, რომ ეს წერილი მომწერე“ — სუბიექტია II პირი, ხოლო მოუბარი (I პირი) — ირიბი ობიექტია, „ვიცი, რომ მაცქებ“ — აქ მოუბარი პირდაპირი ობიექტია.

კომუნიკაციის დეიქტური ველის კოორდინატებია: „მე — შენ — აქ — ახლა“. ეს ნიშნავს, რომ საუბარი მიმდინარეობს მოუბარსა (მე) და მსმენელს (შენ) შორის (რომელთა როლები ცვალებადია) გარკვეულ ადგილას (აქ) და აქტუალურ დროში (ახლა). გამონათქვამის ნებისმიერი კატეგორიისათვის ათვლის წერტილია **უბნობის** მომენტი და **ადგილი** (იხ. სქემა №1).



სქემა №1 კომუნიკაციის დიქტორული ველი



სქემა №2 მოუბარი პირი და ზმნის გრამატიკული კატეგორიები

სქემა №2-ში წარმოვადგინეთ გრამატიკულ კატეგორიათა მიმართება საკომუნიკაციო მოდელის კომპონენტებთან: I. კომუნიკანტები — ა. მოუბარი და ბ. მსმენელი; II. საკომუნიკაციო სიტუაცია — ა. დრო და ბ. ადგილი; III. მოუბარი პირის დამოკიდებულება ობიექტურ სინამდვილესთან და თვით გამონათქვამთან.

ზმნის გრამატიკული კატეგორიები დავაჯგუფეთ ამ კომპონენტების მიხედვით:

I. **კომუნიკანტები და ზმნის პირები:** პერსონალობა (პირი და რიცხვი) — სუბიექტი, ობიექტები, გვარი, კონტაქტი, ქცევა, დესტინაცია;

II. **სიტუაცია:** 1. **ტემპორალობა** (დრო, ასპექტი, გზისობა); 2. **ლოკალობა** (ორიენტაცია, გეზი, სიტუაცია);

III. **დამოკიდებულება გამონათქვამთან და სინამდვილესთან:** **მოდალობა** (კილოს სახეები, მათ შორის უნახაობითობა).

ყოველ სამეტყველო აქტში გამოხატულია სინამდვილე, რომელშიც მონაწილეობენ კომუნიკანტები. **მოუბარი პირი** მიემართება **მსმენელს (ადრესატს)**, მოქმედების სუბიექტს (ან ობიექტებს), საკომუნიკაციო **სიტუაციას** (ადგილს, დროს), არსებულ სინამდვილეს და თვით **გამონათქვამს**. შეიძლება ითქვას, რომ ენობრივი ერთეულები ჯგუფდებიან საკომუნიკაციო მოდელის ირგვლივ (საკომუნიკაციო მოდელის შესახებ იხ. ლინკე, ნუსბაუმერი, პორტმანი, 1994). ენა კომპლექსური სისტემაა, რომლის თითოეული კომპონენტი რთულ დიალექტიკურ ერთიანობას ქმნის და ყველა კატეგორია წარმოგვიდგება მოუბარი პირის პრიზმაში.

კომუნიკანტებთან დაკავშირებულია მორფოსემანტიკური კატეგორიები: სამეტყველო აქტში მონაწილეობა და მოქმედების შესრულება გამოხატულია **პერსონალობით** (პირისა და რიცხვის კატეგორიები ზმნებში); ობიექტების პოსესიურ-დანიშნულებითი მიმართება სუბიექტთან ან ერთმანეთთან — **დესტინაციით** (ქცევა, ადრესატობა); სუბიექტის მიმართება მოქმედების შესრულებასთან აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით — **გვართ** (პასიური გვარის ზმნაში რეალური სუბიექტი გრამატიკულად ობიექტია, გრამატიკული სუბიექტი კი — რეალური ობიექტი); მოქმედების შესრულება უშუალოდ თუ ვინმეს მეშვეობით (ბრძანებით, იძულებით, თხოვნით, დახმარებით) — **კონტაქტით**; უბნობის მომენტის მიმართება მოქმედების დროსთან — **ტემპორალობით** (ახლანდელი, წარსული და მომავალი

დრო; ასპექტი, გზისობა); მოუბარი პირის მიმართება მოქმედების ადგილთან — **ლოკალიზაციით (გეზი, ორიენტაცია; სიტუაცია)**); მოუბარი პირის დამოკიდებულება სინამდვილესთან და გამონათქვამის მიმართება ამ სინამდვილესთან ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით — **მოდლობით (ზმნის კილო, ასევე ე.წ. აქტი ანუ უნახაობითი კილო)**).

ჩამოთვლილი კატეგორიები ზმნურია, რადგან ისაა კომუნიკაციის ცენტრი, ხოლო მოუბარი პირის პოზიცია ამოსავალია თითოეული კატეგორიისათვის. თუკი ზმნურ კატეგორიებს დავუმატებთ შესაბამის ლექსიკურ ერთეულებს, მაშინ მივიღებთ სემანტიკურ ერთეულებს ყველა ენობრივ დონეზე, რაც მოწმობს, რომ საკომუნიკაციო მოდელი მოიცავს მთელ ენობრივ რეალობას და ხსნის ადამიანთა ვერბალური ურთიერთობის მექანიზმს.

ბერსონალობას უკავშირდება პირის ნაცვალსახელები (დესტინაციას — კუთვნილებითი ნაცვალსახელები), **ტემპორალობას** — დროის ზმნიზედები, **ლოკალიზაციას** — ადგილის ზმნიზედები, **მოდლობას** კი — მოდალური სიტყვები, ნაწილაკები, შორისდებულები, ჩართული სიტყვა-გამოთქმები.

ენათმეცნიერებაში საუბრობენ ენობრივი ერთეულების სემანტიკურ რელატიურობაზე (ფარდობითობაზე), რადგან გრამატიკული კატეგორიებისა და ლექსიკური ერთეულების სემანტიკა შეფარდებითია, რაც განსაზღვრავს ენისა და მეტყველების დინამიკურობასა და მოქნილობას (იხ. ლინკე, პორტმანი, ნუსბაუმერი, 1994). ამასთანავე, ყოველი ენობრივი ერთეული თუ კატეგორია რთული სისტემის შემადგენელი ნაწილია და ჩართულია კომუნიკაციის პროცესში.

ლიტერატურა

თანდაშვილი, 1996 — მ. თანდაშვილი, ქართული ზმნის ეგოცენტრული ბუნებისათვის// საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996, გვ. 60-67.

ლინკე, ნუსბაუმერი, პორტმანი, 1994 — A. Linke, M. Nussbaumer, P. R. Portmann, Studienbuch Linguistik, 2. Aufl., ergänzt um ein Kapitel: RGL (Reihe Germanistische Linguistik), Tübingen: Max Niemeyer Verlag, 1994.

ჯორბენაძე, 1997 — ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997.

RUSUDAN SHAMELASHVILI-ZEKALASHVILI

Communicative Model and Grammatical Categories of Verb

Summary

The paper examines the systemic relationship between the verbal grammatical categories and the components of the communicative model, i. e. the speaker, the communication centre.

The complex as well as relative nature of verbal communication is revealed.

რუსულან ზამელაზვილი-ზამალაზვილი

მოდალობის სემანტიკური კატეგორია და ველი ქართულში

მოდალობის (ინგლ. modality, germ. Modalität, რუს. модальность) კატეგორია რთული და მრავალმხრივია, ამიტომ მისი განსაზღვრების შესახებ ლინგვისტიკაში ბევრი საკამათო მოსაზრებაა გამოთქმული. მოდალობის ფართო გაგება ძალზე ავრცობს მის საზღვრებს და ცნება ბუნდოვანდება. ზოგი მეცნიერი მოდალობას თვლის გრამატიკულ კატეგორიად, ზოგი — სინტაქსურად, ზოგიც — სემანტიკურად. გარკვეული სიმართლის მარცვალი სამივე შეხედულებაშია (იხ. გოქსაძე, 1997; ჭანტურია, 2002).

მოდალობა არის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს გამონათქვამის (ან მოქმედების) შინაარსის დამოკიდებულებას სინამდვილესთან, ასევე ნათქვამის სუბიექტურ კვალიფიკაციას. მაგრამ ასეთი დეფინიცია არ გულისხმობს მოდალურ მნიშვნელობათა ბევრ ნიუანსს (იხ. ზვერევა, 1983, 12; იქვე, 143; ლელ, 1990, 303; ლევანდოვსკი, 1994). ჩვენ უფრო სრულყოფილი გვეჩვენება შემდეგი განმარტება: **მოდალობა ასახავს სინამდვილისადმი გამონათქვამის ან მოქმედების შინაარსის დამოკიდებულებას, რომელსაც ამყარებს მოუბარი პირი** (ზვერევა, 1983, 19).

მოდალობა ენობრივი უნივერსალია, მიეკუთვნება ბუნებრივი ენის ძირითად კატეგორიებს და „განმსჭვალავს მეტყველების მთელ ქსოვილს“ (ვინოგრადოვი, 1950). მისი მეშვეობით აისახება რთული ურთიერთმიმართებები კომუნიკაციის სამ ფაქტორს შორის: კომუნიკანტებს (მოუბარ პირსა და მსმენელს), გამონათქვამის შინაარსსა და სინამდვილეს შორის (ლელ, 1990, 304).

დისკურსში მოდალობის ენობრივი ერთეულების შერჩევა განპირობებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით: ადრესანტის ინტენციით (საკომუნიკაციო მიზნით), კომუნიკანტთა სოციალური მახასიათებლებით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით და სიტუაციით ანუ

პრაგმატული კონტექსტი.

1. დიალოგურ მეტყველებაში მოდალობის სამი ასპექტიდან **პირველი** — მოქმედების **სუბიექტის** დამოკიდებულება **მოქმედებასთან** — ახასიათებს არა მთელ წინადადებას (სამეტყველო აქტს) მოდალობის თვალსაზრისით, არამედ წინადადების შიგნით არსებულ დამოკიდებულებას, თანაც, ეს დახასიათება მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც ჯერ კიდევ შეუსრულებელს, მაგრამ დასაშვებს. ამ დროს გამოიხატება მოქმედების შესაძლებლობა, უნებლიობა, უფლება, აუცილებლობა, ვალდებულება, სურვილი, ნატვრა;

2. **მოუბარი** პირის დამოკიდებულებაში **გამონათქვამთან** ვლინდება მოუბარის **დარწმუნებულობის** ან **დაეჭვების** (დაურწმუნებლობის) ხარისხი, თუ რამდენად შეესაბამება გამონათქვამის შინაარსი სინამდვილეს. ამ დროს გამოიხატება ვარაუდი, დაეჭვება, დაურწმუნებლობა, უნახაობითობა;

3. მოდალობის მესამე ასპექტი — გამონათქვამის **შინაარსის** დამოკიდებულება **სინამდვილესთან** — გამოხატავს სამეტყველო აქტის **რეალობა-არარეალობას** ან მოქმედების შესრულების **პირობას**. ესაა მოქმედების ან თანამოსაუბრის ნათქვამის შეფასება.

მოუბარი პირი მოდალობის გამოსახატავად იშველიებს პარავერბალურ და არავერბალურ საშუალებებსაც (ინტონაციას, პაუზებს, მახვილებს, ხმის სიმაღლეს, ლაპარაკის ტემპის ცვლილებას, ყესტ-მიკას და სხვ.), რომელთა ფუნქცია ზეპირმეტყველებაში დიდია.

მოდალობის სემანტიკურ ველში ქართულში გამოყოფთ **გრამატიკულ** და **მორფოლექსიკურ** დონეებს:

I. **მორფოლოგიურ დონეზე** მოდალობის გამომხატველი საშუალებებია:

1. ზმნის **კილო** (თხრობითი, წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი, კავშირებითი, პირობითი, უნახაობითი);


2. ზოგიერთი **მწკრივი** (თურმეობითი I და II, უწყვეტელი, ხოლმეობით-შედგეობითი, კავშირებითები);

3. **ზმნისწინებისა და გვარის** ზოგიერთი სემანტიკური ნიუანსი (მაგ., უნებლიობა; მიჩნევის, გუნებისა და შესაძლებლობის ვნებითები);

II. **მორფოლექსიკურ დონეზე** — მორფოლექსიკური და ლექსიკური საშუალებები, რომელთაც ვუწოდებთ **მოდალური კომუნიკაციური ერთეულები**: ა. მოდალური სემანტიკის **ზმნები**; ბ. მოდალური **ზმნიშედები**; გ. მოდალური **ნაწილაკები**; დ. **შორისდებულები**.

III. სინტაქსურ დონეზე:

1. წინადადებათა სახეები მოდალობის მიხედვით (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი, ძახილის, კითხვა-ძახილის);
2. მიმღებობური კონსტრუქციები (მაგ., მე გასაკეთებელი მაქვს; ეს დასაწერია);
3. ჩართული (პარენთეზული) სიტყვა-გამოთქმები (ჩართულს ამ ჯგუფში ვაერთიანებთ ფუნქციურად).
4. დამოკიდებულ წინადადებათა ზოგიერთი სახე (მაგ., ვითარების გარემოებითი, პირობით დამოკიდებული წინადადებები დასაწყისით: თუ შეიძლება...) (იხ. სქემა);



ჩვენი აზრით, მოდალურ სემანტიკას გამოხატავს სხვათა სიტყვის ნაწილაკებიც, რადგან მოუბარი ასახელებს გამონათქვამის წყაროს (საკუთარ თავს: **-მეთქი, -თქო**; სხვას: **-ო**; გერმანულ ენაში ამ მიზნით გამოიყენება პრეზენსული კავშირებითი კილო) და ამით ხშირად ხაზს უსვამს ნათქვამის ნაკლებ სარწმუნოებას. ქართულ დიალოგებში, **თხრობის** სემანტიკაში, ძალზე ხშირია სხვათა სიტყვის ნაწილაკების გამოყენება, განსაკუთრებით დიალოგური ეპიზოდების ჩართვისას.

ქართულში ზმნას შეუძლია გამოხატოს **უნახაობითობა** I და II თურმეობითებში (ზოგ დიალექტში — აწმყოს თურმეობითშიც: ნაყვარება, ნაწერავა, დანავალა...). ამ ფორმებით ვლინდება დიალოგურ მეტყველებაში **მოუბარი** პირის დამოკიდებულებაც გამონათქვამის **სარწმუნოებისადმი**. ამიტომ ჩვენ **უნახაობითობას** ვიხილავთ მოდალობის სემანტიკურ ველში, როგორც **კილოს ერთ-ერთ სახეობას** (და არა აქტის კატეგორიას), ეს ფორმა რადგან აღნიშნავს მოუბარი პირის დამოკიდებულებას ნათქვამისადმი: მოუბარი არაა მოქმედების თვითმხილველი (მას ამის შესახებ უთხრეს ან შემთხვევით გაიგო), ამიტომ ხაზს უსვამს უნახაობითობას ანუ საკუთარ დაურწმუნებლობას, დაეჭვებას ფაქტის სინამდვილეში (მაგ., თქვენთვის უთქვამთ, რომ მე ყველაფერი ვიცოდი, მაგრამ ეს ასე არაა). რაც შეეხება I პირის ფორმას, აქ ზმნით გამოხატული ფაქტი რეალურია, მაგრამ აღრესანტი გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას მისადმი: ერთგვარ დაურწმუნებლობას, მივიწყებას ან მოქმედების გაუცნობიერებლობას.

მაგალითად: „პირველი ლექსი რომ დავეწერე, 4 წლის ვიყავი. მე არ მახსოვდა, მამიდაჩემმა მითხრა, ერთი სტროფი დამიწერია. მეგონა, 1-2 საათი გავიდა. გასულა 12 საათი“; „ისე, ჩემზეც დაუწერიათ, ჩემი რალაცაც განუხილავთ ორ-სამ წერილში“; „ლექსებიც დამიწერია იმ საზომით, რაც იქ იყო“ “(ინტერვიუ ზ. თვარაძესთან);

უარყოფით ნაწილაკთანაც იმიტომ გვხვდება თურმეობითი I, რომ მოქმედება შეუსრულებელია და, ცხადია, არც ნანახია: „არც მი-ჭამია, არც წყალი დამილევია, არც ავმდგარვარ ლოგინიდან. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ მუზები ყოველ წუთში მოდიან, არამედ იმის, რომ ესეთი რალაცაც მომსვლია... არ ვიცი, იქ ცუდი არაფერი უთქვამთ. არ უთქვამთ, რომ ეს არ გამომდის ან ეს... ეგეთი რამე არ ყოფილა“ (ინტერვიუ ზ. თვარაძესთან).

არ ნაწილაკთან იყენებენ **წყვეტილსაც** (არ გავაკეთე, არ დავწერე), მაგრამ თურმეობით I-თან მისი სემანტიკა ნაკლებ კატეგორიულია. შდრ. არ დავწერე — არ დამიწერია, არ გავაკეთე — არ გამიკეთებია. ამით ხაზი ესმება ადრესანტის დამოკიდებულებას, რომ ეს უნებური ქმედებაა და არა — გააზრებული პროტესტი.

როცა **თურმეობითი II** აღნიშნავს უწინარეს მოქმედებას და არა არარეალობას (მაგ., შინ რომ მივედი, ნინოს სახლი დაეღაგებინა). მოქმედების პროცესს ადრესანტი არ დასწრებია, არაფერი იცოდა ამის შესახებ და მოქმედება მის მოსვლამდე მომხდარა. მაშასადამე, თუკი თურმეობითი II რეალურ ვითარებას გვიჩვენებს (უწინარეს მოქმედებას წარსულში), მაშინ კილო **უნახაობითა**: საღამოს ვნახე, რომ გიგას ყველაფერი დაეწერა. თუკი ეს ფორმა გამოხატავს არარეალურ მოქმედებას, კილო **კავშირებითა**: თავის დროზე რომ დაეწერა, აჯობებდა.

ენათმეცნიერთა შორის იყო კამათი ქართულში **უნებლობის** კატეგორიის გამოყოფის შესახებ. ჩვენი აზრით, უნებლობა მართლაც არაა გრამატიკული კატეგორია, არამედ მოდალობის სემანტიკური კატეგორიის ერთ-ერთი ნიუანსია. ამ მნიშვნელობის ზმნებთან გამოიყენება **შემო-** ან **წა(მო)-** ზმნისწინები (ზმნა დგას მომავალ ან წარსულ დროში): ფული შემომეხარჯება — შემომეხარჯა; კაცი შემომაკვდება — შემომაკვდა, ბავშვი შემომელახა, ჭიქა შემომატყდა, უცნობი შემომელანძღა (ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი ნათესავი შემომელანძღა), სიმართლე წამომცდა, ასაღებად ხელი წამცდა. ასეთი ზმნური ფორმები გამოხატავს, რომ მოქმედება მოხდა მოუბარი პირის სურვილის გარეშე, უნებურად (შდრ. ფული დამეხარჯა — ფული შემომეხარჯა). მაშასადამე, ჩვენ **უნებლობასაც მივიჩნევთ მოდალობის ერთ-ერთ ნიუანსად და ვაერთიანებთ მოდალობის სემანტიკურ ველში.**

ლიტერატურა

გოქსაძე, 1997 — Гоксадзе Л.С., Еще раз о модальности // Сборник научных трудов, 1997.

ვინოგრადოვი, 1950 — Виноградов В. В., О категории модальности и модальных словах в русском языке// Труды ин-та языка АН СССР, т. 2, М.- Л., 1950.

ზვერევა, 1983 — Зверева Е.А., Научная речь и модальность, Л.: Наука, 1983.

თვარაძე, 2005 — ზ. თვარაძე, ინტერვიუ (ჩაიწერა ი. არჩუაშვილმა) // ჟურნ. „არილი“, 2005, №5.

ლევანდოვსკი, 1994 — Th. Lewandowski, Linguistisches Wörterbuch in drei Bänden, 6. Aufl., Heidelberg, Wiesbaden: Quelle, Meyer, 1994.

ლელ, 1990 — Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990.

ფორმანოვსკაია, 1989 — Формановская Н.И., Речевой этикет и культура общения, М., 1989.

ჭანტურია, 2002 — ლ. ჭანტურია, „სახე“ და მოდალობა // საენათმეცნიერო ძიებანი, XII, თბ., 2002.

RUSUDAN SHAMELASHVILI-ZEKALASHVILI

The Semantic category of Modality and Field of Modality in Georgian Summary

The paper characterizes modality as a semantic category which embraces all language levels. Various means of expressing modality in Georgian have been discussed.

The mood conveying unseen acts as well as the verbs with involuntary semantics are included into modality.

თავარ უპრლანა

ვატიკანის ოთხთავის მხატვრული შემკულობა

ძველ ქართულ ხელნაწერთა კორპუსში სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს ვატიკანის ოთხთავს, რომელიც XI საუკუნის შუა წლებში უნდა იყოს გადაწერილი და ამჟამად დაცულია ვატიკანის წმინდა სამოციქულო ბიბლიოთეკის ფონდებში *Vat. iberico* I-ის სახელწოდებით. ძველი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მხატვრული შემკულობის თვალსაზრისით. ალავერდის (A-484) სახარებასთან ერთად იგი ძველი ქართული სახარების ხელნაწერთაგან ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულად გაფორმებულ და უნატიფეს ხელნაწერად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, ეს ნუსხა მიეკუთვნება იმ პირველ ქართულ ძეგლებს, რომლებშიც წარმოდგენილია ე. წ. ბიზანტიური სკოლის მხატვრობის *Blütenblattstil* სახელწოდებით ცნობილი ნიმუშები.

როგორც უკვე შევნიშნავდით, საკვლევი ოთხთავი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ალავერდის ოთხთავთან, რომლის მხატვრული შემკულობის შესახებ საგვებით სამართლიანად წერდა რ. შმერლინგი: ხელნაწერში წარმოდგენილი მინიატიურები უნდა მივაკუთვნოთ თავისი დროის ხელოვნების პირველხარისხოვან ნაწარმოებთა ჯგუფს. მათი შესრულება ბრწყინავს ოსტატობით, ისინი დახატულია თავისუფლად, მსუბუქად, უფერული წვრილმანების გარეშე (შმერლინგი, 1940, 46). საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ სწორედ მხატვრული შემკულობის თავისებურებანი, კერძოდ, გარკვეულწილად სწორედ მის გაფორმებაში გამოყენებული დეკორული სამკაულები და კომპოზიციები გახდა ჩვენთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გასაღები ხელნაწერის წარმომავლობის, გადაწერის დროისა და ადგილის, მის მინაწერებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციისა და სხვა მრავალი საყურადღებო საკითხის გასარკვევად.

პირველად მომგებლის, სუმეონ ბერის ანდერძის თანახმად, ოთხთავი განგებით, კამარით, ზანდუკით, განთესულითა და საძიებ-

ლით შემკული გამოსულა გადამწერისა და მომგებლის ხელიდან. სამწუხაროდ, როგორც ეს ანდერძი, ისე, საერთოდ, ხელნაწერი არ შეიცავს რაიმე ცნობას მისი მხატვრულად შემკობი ოსტატის, კამარათმწერის ვინაობის შესახებ.

მხატვრული მოკაზმულობის თვალსაზრისით საკვლევი ხელნაწერი შევაჯერეთ როგორც ბერძნულ, ისე სირიულ და სომხურ ოთხთავებთან. კვლევის შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იგი როგორც დეკორაციულ სამკაულთა რეპერტუარის (XI საუკუნისათვის სახარების ხელნაწერთათვის დამახასიათებელი თავფურცელი კვარცხლბეკზე შედგმული ჯვრის გამოსახულებით, მართკუთხა, ორნამენტირებული ჩარჩოს გამოყენება, კამარათა დაყრდნობა კანდელებით შემკულ წყვილ ორიარუსიან სვეტებზე), ისე დეკორის ხასიათით, ბიზანტიურ სამხატვრო სკოლას განეკუთვნება. მასში აღბეჭდილია *Blütenblattstil* სახელწოდებით ცნობილი ბიზანტიური მინიატიურული სტილი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, XI ს-ს ბოლოსა და XII ს-ს დასაწყისში მკვიდრდება.

ვატიკანის ოთხთავის კამარების ცალკეული დეტალები მსგავსებას ავლენს კონსტანტინეპოლში დამზადებულ ბიზანტიურ *Vat. gr. 364* (X ს-ის III მეოთხედი), *Vat. gr. 358* (XI ს.), აგრეთვე, სინას მთაზე დაცულ ბერძნულ ხელნაწერებში *Sin. Cod. 512* (1055-1056 წ.); *Sin. Cod. 172* (1067 წ.); ლექციონარში *Sin. Cod. 205* (XI ს-ის III ნახ.) (აიუტო, მორელო, პიაცონი, 2000, 207-209; 242-244) გამოყენებულ მორთულობის ანალოგიურ ნიმუშებთან, ხოლო ვატიკანის, ალავერდის, S-962-ისა და ბერძნული *Sin. Cod. 158* ოთხთავების მხატვრული შემკულობის ძალიან დიდი მსგავსება მეტყველებს მათს არა მხოლოდ ერთი და იმავე სკოლისადმი კუთვნილებაზე, არამედ მიუთითებს მათი შესრულების თანადროულობასა და ერთსა და იმავე კერაში შექმნაზეც.

შ. ამირანაშვილი საუბრობს რა S-962-ის მხატვრულ გაფორმებაზე, შენიშნავს: „ქართველი მინიატიურისტი საგვებით დაეუფლა ბიზანტიური ფერწერის მანერას, შესრულების ოსტატობას და მხატვრულ სტილს; საყურადღებოა ის გარემოება, რომ სირიულ ხელოვნების მთავარ ცენტრში ბიზანტიური მხატვრული ტრადიცია წიგნის გაფორმებაში მეტად ძლიერი იყო უკვე X ს-დან. ეჭვის გარეშეა, რომ ამავე მხატვრულ ცენტრში ილუსტრირებული იყო 1054 წ. ოთხთავი S-962, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. აღნიშნული ხელნაწერი,

როგორც ეტყობა, გადაწერილია შავ მთაზე (ხაზგასმა ჩვენია, — თ. შ.). მისი გადამწერი, მიქაელი, მოხსენებულა ალავერდის ოთხთავის (A-484) მინაწერებში. შესრულების მანერა და სტილი ადასტურებს ორივე ძეგლის ნათესაობას“ (ამირანაშვილი, 1961, 291).

მხატვრულადაა გაფორმებული ვატიკანის ოთხთავში შესული ევსების ეპისტოლე, კანონი, მათეს, მარკოზისა და იოვანეს სახარებათა სათაურები, სახარების ტექსტის სახედაო ასოები. კანონის ტექსტი მთლიანად ოქრომელნითაა ნაწერი. კამარები 14 გვერდზეა წარმოდგენილი (ff. 2r-8v), რითაც ვატიკანის ოთხთავი ალავერდისა და რუისის (A-845) ოთხთავების რიგში დგება. რაც შეეხება S-962-ს, დღეს ჩვენთვის უცნობია თუ რამდენი გვერდით იყო წარმოდგენილი მასში კანონი, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელნაწერი ნაკლულია და ჩვენამდე კანონის მხოლოდ 6 ფურცელმა მოაღწია, სადაც I, II და X კანონებია დაცული. ამდენად, დღეს ძნელია იმის თქმა, ოთხთავის ეს ხელნაწერიც თუ ერთიანდებოდა ზემოთ მითითებულ სახარების ქართულ ხელნაწერთა ჯგუფთან.

სახარების ქართულ ხელნაწერებში კანონის 14 გვერდზე წარმოდგენა მეტად საყურადღებო ფაქტია, რაზეც რ. შმერლინგიც მიუთითებდა. ამგვარი ფაქტი არღვევს ზემოთ ნახსენებ ოთხთავის ქართულ ხელნაწერთა თანადროულ ბიზანტიურ ხელნაწერებში დამკვიდრებულ წესს, რომლის თანახმადაც კანონს 10 გვერდი ეთმობა. იგი არ მისდევს, არც სირიულ (16 გვერდი) და არც სომხურ (10 გვერდი) ტრადიციას (შმერლინგი, 1979, 153-154). ამდენად, ამ თვალსაზრისით შავ მთაზე შექმნილი ოთხთავის ზემოაღნიშნული სამი ხელნაწერი არაბიზანტიურ ორიენტაციას ავლენს და, როგორც რ. შმერლინგი შენიშნავს, „ამ მიმართებით ბიზანტიური ხელნაწერების ხერხებიდან გამიჯვნის მისწრაფება, რომელიც თავს იჩენს ხელნაწერებში, შესაძლებელია, განხილულ იქნეს როგორც დამატებითი მასალა სახარებათა კოდექსში კანონთა რიცხვისადმი ქართული ხელნაწერების თავისებური დამოკიდებულების საკითხის დასაყენებლად (შმერლინგი, 1979, 154).

Vat. iberico I-ს მართკუთხედის ფორმის ანტაბლემენტს კარნიზის შუაში „ძირში აყვავებული“ ჯვარი უზის, ზედა კუთხეები კი აკროტერიებითა და პალმეტებითაა შემკული, არქიტრავის ორივე მხარეს გამოწეული თითოეული ნაწილი თითო-თითო აყვავებული პალმებითაა შემკული, ქვემოდან კი კანდელები ჰკიდია. ფრიზს (შეგავსებს)

თავზე ერთი დიდი თალი ადგას, რომელიც წყვილ ორიარუსიან კოლონას კრავს. მის ქვემოთ, ფაქტობრივად, არქიტრავზე კი, დახატულია ორი, შედარებით პატარა, თალი, რომელშიც კანონის სახელწოდებაა ჩაწერილი. ანტაბლემენტის პირველი დიდი თალი მოოქროვილ, ლურჯ და აგურისფერყვავილებიანი მედალიონების მწკრივითაა დამშვენებული, ხოლო რაც შეეხება ანტაბლემენტის ფერადოვან შიგთავსს, თოთხმეტიდან არც ერთი კამარა არ იმეორებს ბოლომდე სხვებს — ყოველი მათგანი ინდივიდუალურია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა f. 2r-ისა და ff. 4v-5r-ის, ასევე, ff. 7v, 8r-ისა და f. 8v-ის გვერდების მხატვრული გაფორმებაც.

ხელნაწერში ანტაბლემენტი ეყრდნობა წყვილ კაპიტლებით შეკრულ ორიარუსიან კოლონას, რომლებიც საერთო ბაზისზე დგას. კამარის შიგნით, ანტაბლემენტის შუა ნაწილის საყრდენად გამოყენებულია მესამე, ერთიარუსიანი კოლონა, რომლითაც კამარა ორ ნაწილად იყოფა. ამ ნაწილებში ჩაწერილია ზოგან ორ, ზოგან სამ სვეტად წარმოდგენილი კანონის ტექსტი. კანონის ოთხივე ვიწრო სვეტს (ზოგან კი ექვსივეს) თავს ადგს მოოქროვილ-ლურჯი თალი, რომლებსაც თავს უმშვენებს ანტაბლემენტისეული ორი უფრო მოზრდილი და უფრო ფერადოვანი თალი. კამარის ბაზისი ორივე მხრიდან შემკულია სწორედ ისეთი ყვავილებით, როგორითაც არქიტრავი.

ორიარუსიან კოლონებს ეყრდნობა, აგრეთვე, ეპისტოლე ევსები კაპრიანეს მიმართ (f. 1) მოჩარჩოება, რომელიც დამშვენებულია ანალოგიური დეტალებით: ჯვრით, აკროტერიებით, ყვავილებითა და კანდელებით. მხოლოდ კანონთა ანტაბლემენტისაგან განსხვავებით, ეპისტოლეს შემამკობელი ანტაბლემენტი მართკუთხა კი არაა, არამედ უფრო II-ს ფორმის თავსართია ორიარუსიან კოლონებზე დაყრდნობილი, ამასთანავე, მისი შემამკობელი ორნამენტებიც არ იმეორებს კანონთა ანტაბლემენტისეულ წვრილ მედალიონებს. მოჩარჩოებული ორნამენტები კი აქაც ლურჯი, ოქრომელნითა და აგურის ფერებითაა აფერადებული, საერთოდ კი, უმთავრესად, ლურჯი ფერი ჭარბობს.

II-ს ფორმის ფერადოვანი თავსართავითვეა შემკული მათეს, მარკოზისა და იოვანეს სახარებათა სათაურებიც, რომელთა თავზეც, შუაში მოთავსებულია პალმის ფოთლებით შემკული ჯვარი, პალმეტებით მორთულივეა წარმოდგენილი აკროტერიები, არქიტრავზე აღმოცენებული პატარა პალმები, სათაურების ფერადოვანი თავ-

სართის შიდა ნაწილში კი — პატარა ცისფერი, მოოქროვილი და უფრო აგურისფერი, ვიდრე მოწითალო ფერის ყვავილებით მორთული მედალიონების მწკრივი. II-ს ფორმის თავსართი თავს ადგას ორ სვეტად შესრულებულ სახარების ტექსტს, სათაური კი მთლიანად თავსართშია მოთავსებული, რომლის ასოებიც ლურჯი მელნითაა გამოყვანილი და ირგვლივ ოქრომელნით წვრილი ხაზი აქვს შემოვლებული. ამონიოსის დაყოფის მანიშნებელი ასომთავრები შემკულია ლურჯი და წითელი ფერის ორნამენტებით, გამორჩეული გემოვნებითაა შესრულებული ff. 78v-99v გვერდების მარცხენა აშიაზე გამოყვანილი საზედაო მთავრული ასოები, რომელთა ორნამენტები ვაზს ჩამოჰკავს.

როგორ მიმართებაშია მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით ვატიკანის ოთხთავი სხვა ანალოგიურ ქართულ ხელნაწერებთან, კამარათწერის მიხედვით რომელ სამხატვრო სკოლას მიეკუთვნება იგი? ამ მიმართებით ყურადღებას იპყრობს ოთხი უმნიშვნელოვანესი თავისებურება, რომელსაც საკვლევი ძეგლის ანალიზი ავლენს. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. **Vat. iberico** I-ის კამარის არქიტრაფი შემკობილია კანდელებით. ქართულ ხელნაწერთაგან ასეა, მაგალითად, მოკაზმული ალავერდის ოთხთავი (A-484, 1054 წ.) და S-962 (1054 წ.). ამგვარი კანდელები, საზოგადოდ, დამახასიათებელია XII საუკუნის დასაწყისის ბერძნული ხელნაწერებისათვის (ვაიცმანი, გალავარისი, 1990, 137). თუმცა, მაგალითად, **P Princeton, Scheide Lib. cod. M 70**-ს, სადაც დასტურდება კამარის დამამშვენებელი ასეთი დეკორი, XI ს-ის ადრეული წლებით ათარიღებენ (ჩუტციჩი, კლერი, 1986, 148-149), ოღონდ ანტაბლემენტი აქ ორად გაყოფილ კოლონებს კი არ ეყრდნობა, არამედ ასეთი კოლონა კამარის შუაში, ანტაბლემენტის შუა ნაწილის საყრდენადაა გამოსახული. კამარების ასეთნაირი შემკობით გამოირჩევა, აგრეთვე, XII-ის I ნახევრით დათარიღებული **Sin Cod. 158**. განსხვავებული კანდელებიანია **P Princeton, Univ. Lib. cod. Garrett 2, f. 35v**;

2. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, საკვლევ ხელნაწერში ანტაბლემენტი დაყრდნობილია კაპიტელებით შეკრულ წყვილ ორიარუსიან კოლონაზე, რაც ნიშანდობლივია XI ს-ის კონსტანტინეპოლის კულტურული არეალის ხელნაწერებისათვის (მავარა-ხაცინიკოლაუ, ტუფე-პაშუ, 1978), კერძოდ, XI-ის მესამე მეოთხედით დათარიღებული **Ath. Cod. 57**-სათვის (იხ. ff. 9, 10, 11) (მავარა-ხაცინიკოლაუ, ტუფე-

პაშუ, 1978, 116). ამ ხელნაწერს, ისევე როგორც **Paris. Gr. 73, Paris. Coislin Gr.21, Vienna Theol. Gr. 154** და **Parma Palat. 5**-ს, კამარების ანალოგიური დეკორაცია აქვს. მსგავსი დეკორაციავე ახასიათებს მრავალ, მათ შორის კარგად ცნობილ **Paris. Coislin 79** და **Paris. Gr. 74**-ის ხელნაწერების სათაურთა შემამკობელ თავსართებსაც. უდავოა, რომ ესაა XI ს-ის კონსტანტინეპოლის დეკორაციის კლასიკური ტიპი (მავარა-ხაცინიკოლაუ, ტუფე-პაშუ, 1978, 116), შდრ. **cod. Athens, Nat. Lib.76** (მავარა-ხაცინიკოლაუ, ტუფე-პაშუ, 1978, 103-108). განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ კაპიტელს სხვანაირი, ერთგვარი გადანასკვის ფორმა აქვს. იგივე ითქმის, XII-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ **Sin Cod. 158**-ზეც, ქართულ ხელნაწერთაგან კი — ალავერდის ოთხთავზე;

3. კამარისა და ევსების ეპისტოლეს ანტაბლემენტის და სახარებათა სათაურების შემამკობელი II-ს ფორმის ფერადოვანი თავსართის თავზე, შუაში მოთავსებულია პალმის ფოთლებით შემკული ჯვარი. ამასთანავე, პალმებითაა გამოსახული აკროტერიები, არქიტრაზე აღმოცენებულია პატარა პალმები, სათაურების ფერადოვანი თავსართის შიდა ნაწილში (ფრიზში) კი — პატარა ყვავილებით მორთული მედალიონების მწკრივი. ასეთივე „მედალიონების“ მწკრივია გამოყენებული ანტაბლემენტთა მხატვრულ გაფორმებაშიც. ზუსტად ასეთი მხატვრული გაფორმებით გამოირჩევა XII-ის პირველი ნახევრით დათარიღებული **Sin. Cod. 158**, ხოლო დიდ მსგავსებას ავლენს XI ს-ის მეორე ნახევრის **Ath. Cod. 76** (იხ. ff. 18, 199, 295) (მავარა-ხაცინიკოლაუ, ტუფე-პაშუ, 1978, 103-108) და **Sin. Cod. 172**-ს (1067 წ.) ბერძნული ხელნაწერები, ქართულ ხელნაწერთაგან კი — ალავერდისა და S-962 ოთხთავები;

4. კანონის ბოლოს, ცალკე ფურცელზე (მავარა-ხაცინიკოლაუ, ტუფე-პაშუ, 1978, 103-108) გამოსახულია კვარცხლბეკზე შედგმული „ძირში აყვავებული“ ჯვარი. მართალია, ვატიკანის ოთხთავში დღეისათვის ასეთი გვერდი არ შემონახულა, მაგრამ ანალოგიური ჯვრის გამოსახულებით დამშვენებულია იმავე პერიოდში შავ მთაზე შექმნილი ოთხთავები A-484 და S-962, რომლებიც, მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით ძლიერ მსგავსებას ავლენენ ვატიკანის ოთხთავთან. „ეს XI ს-ის ტრადიციას, რომელიც XII ს-ში გადმონაშთად გამოკრთის“ (შმერლინგი, 1940, 24). ასეთი ჯვრის გამოსახულება ბერძნულ ხელნაწერთაგან დამახასიათებელია XII-ის პირველი ნახევრით

დათარიღებული **Sin. Cod. 158**-სათვის. ალავერდის ოთხთავის კვარცხლბეკზე შედგმული „ძირში აყვავებული“ ჯვრის მინიატურა, ფაქტობრივად, იდენტურია ამ ოთხთავის ბერძნული ხელნაწერის ამგვარივე გამოსახულებისა, იმ განსხვავებით, რომ ქართულ ხელნაწერში გამეორებული თითოეული დაქარაგმებული ბერძნული სიტყვის ქვეშ: **I C X C / N T K A** ქართულადაცაა გაკეთებული შესატყვისი მინაწერი: „იჯ ს ქეს / ძღვეა“. რომლის ქვემოთაც კიდევ ერთი მინაწერია: „იჯ ქე, შე სმწ მღღლი.“

მხატვრული გაფორმებით განსაკუთრებით ძლიერ მსგავსებას ამჟღავნებს ერთმანეთთან ვატიკანის ოთხთავი, სინას მთაზე დაცული ბერძნული სახარება **Sin. Cod. 158** და ალავერდის ოთხთავი. **Sin. Cod. 158**-ის 1990 წლის გამოცემაში მოთავსებულია კამარათა შავ-თეთრი ფოტოები და, ამდენად, შეუძლებელია, ვატიკანის, ალავერდისა და ბერძნულ სახარებათა მხატვრული მორთულობის ფერების შეჯერება. რაც შეეხება კამარათა ზემოაღნიშნულ დეკორაციულ სამკაულებსა და დეკორის კომპოზიციებს, ისინი სრულიად იდენტურია და ერთმანეთისაგან მხოლოდ და მხოლოდ ანტაბლემენტის ფრიზის მოკაზმულობით განსხვავდება. აქ მოთავსებულ ორ პატარა თაღში ჩასმულ სათაურს „კწნი ა, რლსა ოთხნი იტყუან“ **Vat. iberico I**-ში თავზე კიდევ ერთი, მთელ სივრცეზე გაშლილი თაღი ამკობს, ხოლო **Sin. Cod. 158**-ის f. 5r-სა და f. 5v-ს კი — სამკუთხა, წვერით ზემოთ მიმართული, ანდა ორ თაღად დაშვებული ფიგურა ამშვენებს. სწორედ ასეთივე თავსამკაული აქვს ალავერდის ოთხთავსაც.

Sin. Cod. 158-ის მხატვრული გაფორმების თავისებურებების ანალიზისას, მკვლევრები შენიშნავენ, რომ წყვილი ორიარუსიანი კოლონა დამახასიათებელია კონსტანტინეპოლის კულტურული არეალის **XI** ს-ის, კანკელები კი **XII** ს-ის დასაწყისის ძეგლებისათვის, ხოლო ამ დეკორების კომბინაცია, რომელიც **Princeton, Gattett 2**-შიც დასტურდება, **XII** ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს (ჩურციჩი, კლერი, 1986, 157-158). აქედან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ **Sin. Cod. 158**-ის მხატვრული შემკულობა **XII** ს-ის პირველ ნახევარში, ხოლო პალეოგრაფიული **XI** ს-ში უნდა შესრულებულიყო. ამავე დროს, ხელნაწერის მხატვრული გაფორმების თავისებურებებიდან გამომდინარე, ისინი თვლიან, რომ ხელნაწერი კონსტანტინეპოლში არ უნდა გადაწერილიყო, რადგან ჯვარის შემამკობელი პალმის ფოთლები უფრო პროვინციულ ხასიათზე მეტყველებს და, შესაბამისად, ვარაუდობ-

დნენ მის ათონურ წარმომავლობას (ვაიცმანი, გალავარისი, 1990, 136). რ. შმერლინგის მოსაზრებით კი სწორედ შავ მთაზე დამზადებული ბერძნული და ქართული ხელნაწერებისათვის არის დამახასიათებელი კამარის ორიარუსიანი კოლონებზე დაყრდნობა (შმერლინგი, 1940, 20; შმერლინგი, 1979, 138).

Vat. iberico I-ში გამოყენებული **Blütenblattsil**-ის სახელწოდებით ცნობილი ბიზნტიური სტილი, რომელიც ჩვენს ხელთ არსებული ბერძნული ხელნაწერების მიხედვით, **XI** ს-ს ბოლოსა და **XII** ს-ს დასაწყისში ჩნდება, და ის მსგავსებები, რომლებიც **Vat. iberico I**-სა და **XII** ს-ის I ნახევრით დათარიღებულ **Sin. Cod. 158**-ს ახასიათებს, ფაქტობრივად ავარაუდებინებს, რომ ეს ორი ხელნაწერი ერთი და იმავე ილუმინატორის მიერ თუ არა, ერთსა და იმავე კულტურულ გარემოში მანაც უნდა იყოს შექმნილი (შურლაია, 2000, 166). ამგვარი მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის, მაგრამ **Sin. Cod. 158**-ის დათარიღება უფლებას არ გვაძლევს, ვატიკანის ოთხთავიც ამავე პერიოდში შექმნილად მივიჩნიოთ. ეს მით უფრო საგულისხმოა, რადგან ზემოაღნიშნული კოდექსი უთარილოა და მკვლევართა მიერ სწორედ მხატვრული თავისებურებების მიხედვითაა დათარიღებული, ხოლო ვატიკანის ოთხთავის მხატვრულ გაფორმებასთან განსაკუთრებული სიახლოვეთ გამორჩეული ძველი ქართული ხელნაწერები **A-484** და **S-962 1054** წლისადაა მიჩნეული. ამასთანავე, არც ისაა გამორიცხული, რომ ჯერ არ იყოს გამოვლენილი სხვა, უფრო ადრინდელი ბერძნული ხელნაწერი, სადაც მხატვრული გაფორმების **Blütenblattsil**-ის სტილია გამოყენებული. არც ის ვარაუდია გამორიცხული, რომ სწორედ ქართული ხელნაწერები იყოს ის პირველთაგანი, სადაც ასეთ სტილს მიმართეს. მით უფრო, რომ ანალოგიური სტილით შესრულებული სახარების სამი ძველი ქართული ხელნაწერი (**A-484**, **S-962** და **Vat. iberico I**) გავაჩნია, მაშინ, როდესაც, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ასეთი მხოლოდ ერთი ბერძნული ხელნაწერია.

ამრიგად, ძველი ქართული სახარების ერთ-ერთი ყველაზე მდიდრულად გაფორმებული და უნატიფესი ხელნაწერის — ვატიკანის (**Vat. iberico I**), ალავერდისა (**A-484**) და **S-962** ოთხთავების მხატვრული გაფორმების სტილის ერთიანობა და მათი შემკულობის ურთიერთმსგავსება გვავარაუდებინებს, რომ ისინი და ბერძნული (**Sin Cod. 158**) ოთხთავები ერთმანეთის თანადროული (**XI** ს. შუა წ.წ.) და ერ-

თსა და იმავე კერაში უნდა იყოს მხატვრულად გაფორმებული, კამარათ-მწერლები კი ერთი და იმავე სკოლის წარმომადგენლები იყვნენ.

ლიტერატურა:

აიუტო, მორელი, პიაცონი, 2000 — Vangeli dei popoli, La parola e l'immagine dal Cristo nelle culture e nella storia, a cura di F. D' Aiuto, G. Morello, A. M. Piazzoni, Città del Vaticano;

ამირანაშვილი, 1961 — ამირანაშვილი შ., XI-XII სს. ქართულ ხელნაწერთა მინიატურები, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., ტაბულა 89;

ვაიცმანი, გალავარისი, 1990 — The Monastery of Saint Catherine at Mount Sinai, The illuminated Greek manuscripts, vol. I, from the ninth to the twelfth century, Kurt Weitzmann and George Galavaris, Princeton;

მავარა-ხაცინიკოლაუ, ტუფე-შაპუ, 1978 — A. Mavara-Chatzinicolaou and Ch. Toufex-Paschou, Catalogue of the Illuminated Byzantine Manuscripts of the National Library of Greece, 1: Manuscripts of New Testament Texts, 10th-12th Century, Athens;

შმერლინგი, 1940 — ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები. ალბომი 32 ტაბულით, მათ შორის 11 ფერადია და ფოტოტიპური. შესავალი და ტაბულების თანმხლები ტექსტი რენე შმერლინგისა, პროფ. გ. ჩუბინაშვილის რედაქციით, ტფილისი;

შმერლინგი, 1979 — Шмерлинг Ренэ, Художественное оформление Грузинской рукописной книги IX-XI вв. Тбилиси;

შურგაია, 2000 — G. Shurgaia, Tetravangelo georgiano, ix. wgn. Vangeli dei popoli, La parola e l'immagine dal Cristo nelle culture e nella storia, a cura di F. D' Aiuto, G. Morello, A. M. Piazzoni, Città del Vaticano;

ჩურციჩი კლერი, 1986 — Byzantium at Princeton. Byzantine Art and Archaeology at Princeton University (Exhibition Catalogue), S. Ćurčić and A. St. Clair, eds., Princeton.

TAMAR SHURGHAYA

Ornamentation of the Vatican Gospel

Summary

The paper analyses ornamentation of the Georgian Gospel (presumable, the middle period of the 11c) preserved at the Vatican Library and coded as Vat. iberico I.

The manuscript is one of the most subtly and lavishly decorated samples. Alongside the Alaverdi manuscript (A 489) and the one coded as S-962, the manuscript in question belongs to the Byzantine school of painting known as Blütenblattstil.

The composition and ornaments of the manuscript has served as a key for stating its origin and for solving some other important questions.

The style Blütenblattstil appeared in Greek manuscripts at the end of the 11c and the beginning of the 12c Hence the Georgian manuscripts seem to be the earliest samples of the style. The similarity in style of the three Georgian manuscripts and the Greek manuscript Sin. cod. 158 let us conclude that they are created at the same period by the representatives of the same school.

განანა ჩაჩანძი

ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების
ტიპოლოგიური ანალიზი

ლექსიკოგრაფიის ზოგადი თეორიისა და, კონკრეტულად, ლექსიკონთა ტიპოლოგიის თვალსაზრისით, ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონები ენათმეცნიერთა საგანგებო ყურადღებას იმსახურებენ.

აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენათმეცნიერებისათვის, რამდენადაც ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება სოლიდური გამოცემა ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონისა.¹

ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონები არის დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების სახეობა. წარმოშობა ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონებისა, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკოგრაფიული ჟანრისა, მიეკუთვნება მე-19 ს-ის ბოლოს, თუმცა მანამდეც ლინგვისტური ტერმინოლოგია ასახვას პოულობდა ფართო სამეცნიერო გამოცემებში, როგორცაა ენციკლოპედიები, საერთო-სახალხო ენის განმარტებითი ლექსიკონები² და მისთ. პირველი ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონები ატარებდნენ ვიწრო დიდაქტიკურ ხასიათს და ასახავდნენ ლინგვისტურ ტერმინოლოგიას სასკოლო-სასწავლო დაწესებულებების მოხმარების ფარგლებში (სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლის პ. კვიციანიძის მიერ შედგენილი „საგრატიკო ტერმინოლოგია“ [„დროება“, 1885 წ., №187]; 1887წ. ქუთაისში ქართული სიტყვიერების მოყვა-

¹ ამ სახის სულ რამდენიმე ლექსიკონი გვაქვს, მაგ., „ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ტერმინოლოგია“ [რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული], თბ., 1928, 70 გვ., რ. შამელაშვილის მიერ შედგენილი „ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“ თბ., 1975, 193 და სხვ., რომლებიც გასაგები მიზეზების გამო ვერ პასუხობენ თანამედროვე ენათმეცნიერების გაზრდილ მოთხოვნებს. საკითხის სიმწვავეს ვერ ანელებს თუნდაც ისეთი სასიამოვნო გამონაკლისი, როგორცაა პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, თბ., 1988, 215გვ.

² მაგ., გრატიკული ტერმინოლოგია ასახულია სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ ამასთან დაკავშირებით იხ. დ. გეწაძე, 1978; ასევე ლ. ბაკურაძე, 1998.

რულთა მიერ შედგენილი და გამოცემული ნაშრომი „ქართული გრატიკის ტერმინოლოგია“ [რედ. ს. ხუნდაძე], რომელშიც მოცემულია ენათმეცნიერული ტერმინები დეფინიციის გარეშე რუსული შესატყვისებით. ამავე სახითაა წარმოდგენილი ტერმინები გ. ახვლედიანის რედ. გამოსულ ლექსიკონში „საენათმეცნიერო ტერმინოლოგია“ [ყურნ. „ჩვენი მეცნიერება“, №2-3, 1923წ.]; საყოველთაოდ ცნობილი ნ. დურნოვოს „გრატიკული ლექსიკონი, მ.-პ., 1924წ. და მრავალი სხვ.). ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების გამოცემამ მასშტაბური ხასიათი შეიძინა მე-20 ს-ის 60-იანი წლებიდან, რაც, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია ახალი ლინგვისტური დისციპლინების გაჩენასთან და, ასევე, ლინგვისტური სკოლებისა და მიმართულებების რიცხვის ზრდასთან.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სრულიად ნათელია ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების ტიპოლოგიური ანალიზის საჭიროება და მნიშვნელობა ქართული ენათმეცნიერებისათვის, რომელიც, საზოგადოდ, მდიდარი ლექსიკოგრაფიული და ტერმინოგრაფიული მემკვიდრეობის მქონეა.

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, გამოიყოფა ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების შემდეგი ტიპები:

1. სალექსიკონო მასალის ორგანიზაციის ხერხის მიხედვით:

- ა) **საკუთრივ ლექსიკონი** — ტერმინთა ანბანური ან თემატური რეესტრი ინფორმაციულობის სხვადასხვა ხარისხით;
- ბ) **თეზაურუსი** — ტერმინთა შორის სემანტიკური მიმართებების ამსახველი ლექსიკონი.

2. სპეციალური ლექსიკონის მომცველობის მიხედვით:

- ა) **ზოგადი** — რომლის მიზანია წარმოგვიდგინოს შეძლებსამებრ სრული ჩამონათვალი ენათმეცნიერების ყველა დარგის ტერმინებისა (ექსტენსიონალური ტიპი);
- ბ) **სპეციალიზებული** — რომელშიც წარმოდგენილია ცალკეული ლინგვისტური სკოლისა თუ მიმართულების და ენათმეცნიერების ამა თუ იმ დარგის ტერმინები (ინტენსიონალური ტიპი). აღსანიშნავია, რომ სპეციალიზებული ლექსიკონები შედარებით მრავალრიცხოვან-

ნია, ვიდრე სხვა სახის ლექსიკონები.

3) სალექსიკონო სტატიების (სიტყვა-სტატიების) ინფორმაციული ხარისხის მიხედვით:

ა) **განმარტებითი** — ექსპლანატორული, როგორც წესი, ერთენოვანია. განმარტებით ლექსიკონებში, თავის მხრივ, ორი ტიპი გამოიყოფა: **საკუთრივ განმარტებითი და ენციკლოპედიური**.

საკუთრივ განმარტებით ლექსიკონებში ტერმინები ახსნილია დეფინიციათა მეშვეობითა და რამდენიმე მაგალითით. ასეთი ლექსიკონები ორი სახისაა: ზოგადი და სპეციალიზებული.

ზოგადი განმარტებითი ლექსიკონები ასახევენ როგორც თანამედროვე, ისე ტრადიციულ ლინგვისტურ ტერმინოლოგიას. ამ ტიპის ლექსიკონთაგან აღსანიშნავია: ე. სპრინგეტის, მ. პეის, ჟ. მუნენის, რ. კონრადის (გამომცემელი), ო. ახმანოვას ლექსიკონები. განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ო. ახმანოვას ლექსიკონი „Словарь лингвистических терминов“ (მ., 1966), სადაც წარმოდგენილია მეტად სრულყოფილი აღწერა (დაახლოებით 7 ათასი ტერმინი) მე-20 საუკუნის 60-იანი წლებისათვის ჩამოყალიბებული ე. წ. საბჭოთა ენათმეცნიერების მეტაენისა.

სპეციალიზებული განმარტებითი ლექსიკონები იფარგლებიან ენათმეცნიერების ამა თუ იმ დარგისა და ცალკეული ლინგვისტური სკოლებისა და მიმართულებების ტერმინოლოგიებით. ამ ლექსიკონებში ხშირად გამოიყენება ციტატური პრინციპი მასალის მოწოდებისა. ამ ტიპის ლექსიკონია მაგ., ვ. დემიანკოვის „ინგლისურ-რუსული ტერმინები ლინგვისტიკასა და ტექსტის ავტომატურ დამუშავებაში“ (მ., 1979-1982); პ. ცხადაიას „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი (თბ., 1988); აქვე შეიძლება დავასახელოთ ი. ქობალავას „მასალები გლოსემასტიკურ ტერმინთა ლექსიკონისათვის (თბ., 1974) და სხვ.

ენციკლოპედიური ლექსიკონები შეიცავენ ცნებათა და ტერმინთა ერთ ან რამდენიმე განმარტებას, მათ ისტორიას, ილუსტრაციებს, ბიბლიოგრაფიას. ამ ტიპის ლექსიკონები სამეცნიერო-საცნობარო ტიპის გამოცემებია და აქ მასალა თავსდება ანბანური ან თემატური პრინციპის მიხედვით, ხშირად კი ორივე ეს პრინციპი შეერთებულია. ენციკლოპედიური ლექსიკონები, მსგავსად საკუთრივ განმარტებითი ლექსიკონებისა, ასევე ორი ტიპისაა: ზოგადი და სპეციალიზებული.

ზოგადი ტიპის ენციკლოპედიური ლექსიკონები ორიენტირებულია ზოგადლინგვისტურ პრობლემებზე. ასეთებია მაგ., ი. კნობლოხის, ო. დიუკროსა და ც. თოდოროვის, რ. ჰარტმანისა და ფ. სტორკის, ა. მიტემისა, ა. მარტინესი (რედ.), ბ. პოტეს, რ. სიმეონის, ტ. ლევანდოვსკის, ლ. ჟირკოვის, ე. პოლივანოვის (დაუსრულებელი) ლექსიკონები; ვ. იარცევას რედაქციით 1990 წ. გამოცემული ენციკლოპედიური ლინგვისტიკური ლექსიკონი.¹

სპეციალიზებული ენციკლოპედიური ლექსიკონები ორიენტირებულია კერძო ლინგვისტურ პრობლემებზე, სახელდობრ, ცალკეულ ენათა აღწერაზე. ამ ტიპისაა მაგ., რ. ენგლერის ლექსიკონი სოსიურის ტერმინოლოგიური ლექსიკისა, ა. მაცუმურას (რედ.), ვ. აბრაჰარის, ე. ჰემპის, ი. ვაჰეის, ჟ. მარუზოს ლექსიკონები.

ბ) **ნომენკლატურული** — სიტყვანი, ტერმინთა ნუსხა, რომელსაც არ ახლავს რაიმე ინფორმაცია; როგორც წესი, ორ და მეტენოვანია, რადგან ამ ტიპის ლექსიკონთა ძირითადი მიზანია შეპირისპირება ლინგვისტური ტერმინოლოგიისა. ასეთებია, მაგ., ჯ. პატერნოსტის, რ. ნემის, ვ. ვასჩენკოს ლექსიკონები.

გ) **გლოსარიუმი** — ნუსხა მინიმალურად ანოტირებული ტერმინებისა. ამ ტიპისაა მაგ., დ. სტეიბლის ლექსიკონი.

ლიტერატურა

ბაკურაძე, 1998 — ლ. ბაკურაძე, სულხან-საბა ორბელიანის გრამატიკული ნააზრევი „ლექსიკონი ქართულის მიხედვით. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1998.

გეწაძე, 1978 — დ. გეწაძე, ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის ისტორიიდან. თსუ შრომები, ტ. 200; თბ., 1978.

მაკაევი, 1992 — Макаев Э. А., Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990 _ Рецензия. ВЯ, 1992, №2.

¹ აღნიშნულ ლექსიკონს ენათმეცნიერები სრულიად დამახურებულად უწოდებენ „არაორდინალურ მოვლენას ლინგვისტიკის ისტორიაში“. ამ ლექსიკონს არაერთი რეცენზია მიეძღვნა, სანიშნოდ იხ. მაგ., ა. მაკაევი, 1992.

ნიკიტინა, 1978 — Никитина С. Е. Тезаурус по теоретической и прикладной лингвистике, М., 1978.

ჩაჩანიძე, 2001 — მ. ჩაჩანიძე, ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონები და თეზაურუსი როგორც ლინგვისტური ცოდნის წარმოდგენის ფორმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მე-60 სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.

ჩაჩანიძე, 2002 — მ. ჩაჩანიძე, ბუნებრივი და ხელოვნური ენების მიმართებისათვის (ლინგვისტიკის ენისა და მეტაენის ქართულენოვან მასალაზე). საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2002.

MANANA CHACHANIDZE

Typological Analysis of Dictionaries of Linguistic Terms

Summary

As is known, a dictionary of linguistic terms is a type of technical dictionary.

The following types of linguistic term dictionaries have been singled out:

1. According to the data arrangement:
 - a. a dictionary proper
 - b. Thesaurus.
2. According to the number of technical lexis:
 - a. general (extensional type)
 - b. specialized (intentional type)
3. According to the informativeness of word-entries
 - a. explanatory
 - explanatory dictionaries proper
 - encyclopedic
 - b. nomenclatural
 - c. glossarial

თამარ ჩახანაშვილი

**ტიქსტისა და სურათის ურთიერთმიმართება
სამკალამო ენაში**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიო წარმოუდგენელია რეკლამის გარეშე. რეკლამა უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე. იგი ჩვენი კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ამდენად იგი ქვეყანათმცოდნეობის, ხალხის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევის საგანია. იგი ნათლად ასახავს ქვეყნის სოციალურ თუ ეკონომიკურ განვითარებას და ასევე კულტურულ ცხოვრებას.

ამის გამო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საინტერესოა სარეკლამო ენის (Werbesprache) მეცნიერული კვლევა. რეკლამის ენათმეცნიერული კვლევა შედარებით ახალი მიმართულებაა და ამ სფეროში არცთუ ისე ბევრი სამეცნიერო კვლევითი ლიტერატურა არსებობს.

გერმანული ენათმეცნიერებაც დაინტერესდა რეკლამის ენათმეცნიერული კვლევით გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში. მაგრამ პირველი ფუნდამენტური გამოკვლევა, რომელიც სარეკლამო ენას შეეხება მხოლოდ 1968 წელს გამოქვეყნდა. რ. რომერის მონოგრაფია „Sprache der Anzeigenwerbung“ დღესაც ერთ-ერთ სტანდარტულ ნაშრომად ითვლება, მაგრამ მისი ხანდაზმულობის და საკომუნიკაციო ფორმების სწრაფი განვითარების გამო, ისევე როგორც თვითონ რეკლამა, დღეისათვის უკვე ბევრ ასპექტში მოძველებულია.

სამოცდაათიანი წლებიდან ნახტომისებურად იმატა სარეკლამო ენის შესახებ სამეცნიერო-კვლევითმა ლიტერატურამ. განცხადებებთან ერთად სულ უფრო მეტად ექცევა ინტერესის ცენტრში სატელევიზიო რეკლამა, რეკლამაში სურათის როლის გათვალისწინება კი პირველად სემიოტიკოსების ნაშრომებშია წარმოდგენილი.

ოთხმოციან წლებში გამოჩნდა მთელი რიგი ნაშრომებისა სარეკლამო სტრატეგიებისა და რიტორიკული ხერხების შესახებ, ასევე ნა-

შრომები სარეკლამო ენაში მეტყველების ნაწილებისა და მორფოლოგიის შესახებ. ამ პერიოდში პირველად გამოჩნდა დიაქრონიულად წარმოდგენილი კვლევებიც. რეკლამის დიაქრონიული კვლევა, ე. ი. რეკლამის ისტორიულ ჭრილში კვლევა, შესაბამისად, ცალკეული სარეკლამო სტრატეგიის „von-bis“ წარმოქმნის საკითხი მეტად საინტერესო და საკვლევადაც მიმზიდველი თემაა.

უკანასკნელ პერიოდში რეკლამის ტექსტების კვლევაში სულ უფრო მეტად ჩაერთო სურათი. ის, რომ დიდი ხნის მანძილზე სურათისა და ტექსტის მიმართებაში სურათს არასათანადო ყურადღება ეთმობოდა, მეთოდური პრობლემების გარდა განპირობებული იყო იმ მოსაზრებით, რომ სარეკლამო ტექსტის ენა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეკლამის წარმატებას და ამდენად, მის ზემოქმედებას ადრესატზე. მის საპირისპიროდ ზოგიერთ მეცნიერთან სურათს ენასთან მიმართებაში გამორჩეული ადგილი უკავია (კროებერ-რელი, 1993).

იმის გამო, რომ სურათი სულ უფრო მეტ ადგილს იკავებდა რეკლამის ტექსტებში, მას შესაბამისად გარკვეული ფუნქციებიც ეკისრებოდა. რა ძირითადი ფუნქციებია ეს? ორი უმთავრესი ფუნქციაა შეიძლება დავასახელოთ: დიდაქტიკური და სემანტიკური. მართლაც რომ ვთქვათ, (1) სურათის დიდაქტიკური ფუნქცია გულისხმობს იმას, რომ სურათი ავსებს ტექსტს და ადრესატს ასწავლის რაღაცას; (2) სურათის სემანტიკური ფუნქცია, სურათი ტექსტის მნიშვნელობას და შესაბამისად საზრისს ავსებს.

სარეკლამო ფსიქოლოგიის თანახმად სურათი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ყურადღების მისაპყრობად. ზერელე აღქმის დროსაც კი ყურადღების კონცენტრაცია თავდაპირველად სურათზე ხდება. იგი უფრო იოლად აღიქმება და შინაარსობრივად ტექსტზე უფრო სწრაფად შესათვისებელია. მათი დახმარებით უკეთესად გადმოიცემა ემოციური მუხტი, ისინი აღძრავენ მოგონებებს და გარკვეული სახით განკუთვნილი არიან იმისათვის, რომ გამოიწვიონ ობიექტურობის შთაბეჭდილება, ამიტომ მათი აღქმა უფრო ადვილია, ვიდრე შესაბამისი ტექსტის შინაარსისა (ბერენსი, 1996, 52f) რეკლამაში სურათები აუცილებელი ხდება, თუ საჭიროა ყურადღების გამახვილება, ემოციურობის გადმოცემა ან პროდუქტის პრეზენტაცია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სურათების დიფერენციაცია მათი ფუნქციების შესაბამისად განცხადებაში, ასევე საყურადღებოა სე-

მიოტიკაზე დაფუძნებული სურათის ტიპების, როგორც ნახატის ტიპების (Bildtypen als Zeichentypen) კლასიფიკაცია. მაგრამ სურათი და ენა სწორედ ტექსტთან ერთად ქმნიან საკომუნიკაციო მთლიანობას, ანუ სურათი და ენა იქცევა საშუალებად შედეგის-ტექსტის მისაღებად. ამიტომ კვლევისას სურათის ანალიზი ცალკე განყენებულად კი არ უნდა წარმოებდეს, არამედ იგი უპირველესად ტექსტისა და სურათის ურთიერთმიმართების ასახსნელად უნდა გამოვიყენოთ.

სურათი და ენობრივი ასპექტი რეკლამაში ერთმანეთს ავსებენ და განაპირობებენ. აქედან გამომდინარე, ისინი არ უწევენ ერთმანეთს კონკურენციას. ხოლო ის, სურათს უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება თუ ტექსტს, ცალკეულ შემთხვევაში თავად სარეკლამო განცხადებაზე და შესაბამისად სარეკლამო რგოლზეა დამოკიდებული. სურათსა და ტექსტს შორის არსებული მიმართების ამ ზოგადი მიმოხილვიდანაც კი ჩანს, რომ არსებობს სურათზე ორიენტირებული (1) და ტექსტზე ორიენტირებული რეკლამა (2). ენათმეცნიერები ამტკიცებენ: ენა არის სარეკლამო განცხადების ინფორმაციის მთავარი მედიუმი. ამდენად იგი სურათზე მნიშვნელოვანია.

სურათსა და ტექსტს შორის შესაძლებელია სხვადასხვა სემანტიკური მიმართებები მყარდებოდეს. ჰ. როენი აღწერს იმ მიმართებებს, რომლებიც შეიძლება არსებობდეს სურათის გამომსახველობასა და სარეკლამო განცხადების სათაურს შორის:

1. მიახლოებით თანაბარი მიმართება სურათის ინფორმაციასა და ტექსტურ ინფორმაციას შორის სარეკლამო განცხადებაში:
 - ა) ტექსტზე ორიენტირებული რეკლამა
 - ბ) სურათზე ორიენტირებული რეკლამა
 - გ) რეციპროკული მონოსემური რეკლამა
2. რეკლამა, სადაც ტექსტია წამყვანი და სურათი დაქვემდებარებული, ე. ი. ტექსტით დომინირებული რეკლამა.
3. რეკლამა, სადაც სურათია წამყვანი და ტექსტი დაქვემდებარებული, ე. ი. სურათით დომინირებული რეკლამა.

სურათის ფუნქციური დანიშნულების დეტალური ანალიზისათვის სხვადასხვა მეცნიერმა პრაქტიკაზე დაფუძნებული უამრავი კვლევა-ძიება ჩაატარა, რის საფუძველზეც შემუშავდა თვალსაჩინოების წარმოჩენის მეთოდები.

სოციალური და კულტურული გარემო მნიშვნელოვან როლს თამაშობს სურათებში. თითოეული სურათი ასახავს იმ სამყაროს, იმ

კულტურას და იმ ქვეყანას, სადაც იგი შეიქმნა. აქედან გამომდინარე ზოგჯერ არსებობს ისეთი მოვლენები, რაც ჩვენგან განსხვავებულია და შეიძლება კულტურული შოკი კი გამოიწვიოს (**Kulturschock**). მაგრამ სწორედ ამგვარი ფაქტორი კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს სარეკლამო სურათის მიმართ, რომლის შევსება და ნაწილობრივ დაკმაყოფილება უკვე ტექსტის მეშვეობით ხდება.

სურათის აღქმა სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულია. ცნობილია, რომ ვერბალური კომუნიკაცია, ე. ი. სიტყვების მეშვეობით გაგებინება, შეიძლება წარუმატებელი აღმოჩნდეს განსხვავებული კულტურის ადამიანებს შორის, ან მან შესაძლოა სულაც გაუგებრობამდე მოგვიყვანოს. არა მარტო სიტყვების მიღმა იმალება გარკვეული წარმოდგენები და შეხედულებები, არამედ სურათებს მიღმაც. ზოგჯერ კულტურული სხვაობა იმდენად ბიპოლარულია, რომ რეკლამაში სურათისა და ტექსტის ურთიერთმიმართება სემანტიკურ დონეზე შეიძლება აბსოლუტურად გაუგებარი აღმოჩნდეს ან მცდარი შინაარსობრივი დატვირთვა მიიღოს. კერძოდ, იმ კულტურულ სამყაროში, სადაც ტექსტის წაკითხვა ხდება მარჯვნიდან მარცხნივ, სარეკლამო სურათებიც შესაბამისი თანმიმდევრობით იკითხება. იმისათვის, რომ არ მოხდეს რეკლამის მცდარი ინტერპრეტაცია, საჭიროა ამგვარი კულტურული განმასხვავებელი ნიშნების გათვალისწინება. ამიტომ მცდარია ის შეხედულება, რომ სურათები ახსნას არ საჭიროებენ. თავის მხრივ ვაიდენმანი (ვაიდენმანი, 1989, 137) პიქტორალურ ეთნოცენტრიზმზე (**piktoraler Ethnozentrismus**) ლაპარაკობს. სურათის გაგების პროცესი ტექსტის გაგების პროცესის მსგავსია. მას საკუთარი ენა აქვს, სურათის ენა (**Bildsprache**), და ამ ენას აქვს წესები და პირობითობანი, რომლებიც უნდა შევისწავლოთ და ავხსნათ. კოლერი (კოლერი, 1977) შემოიღო ტერმინი სურათის წაკითხვა (**das Lesen von Bildern**). ზოგიერთი მეცნიერი იყენებს ტერმინს სურათის კითხვა (**Bildlektüre**). როგორც ჰანემანი (ჰანემანი, 1983, 58) აღნიშნავს, სურათები უფრო „სწრაფად“ იკითხება, ამიტომ სურათზე რეაქცია სპონტანური და სუბიექტურია. სურათები განსხვავდებიან თავიანთი დიდაქტიკური ფუნქციების მიხედვითაც. კერძოდ, არსებობს დასურათება/ილუსტრაცია, ლოგიკური სურათები და ანალოგიური სურათები.

დასურათებაში იგულისხმება:

ფოტოები (დოკუმენტური ან მხატვრული);

ნახატები (რეალისტური, კარიკატურული, კომიქსები);

სურათები, კოლაჟები, პლაკატები, პიქტოგრამები...

ამგვარი სურათები ყველაზე უფრო ნათლად წარმოაჩენენ რეალობას. ლოგიკური სურათები პირდაპირ არ შეესაბამებიან რეალობასთან, ისინი მეტწილად ინფორმაციული ხასიათისაა. ანალოგიური სურათები ძირითადად დამხმარე ინსტრუქციების ფუნქციას ასრულებენ კერძო მაგალითის საფუძველზე.

ამგვარად, სურათების **დიდაქტიკური** და **სემანტიკური** ფუნქციები სრულიად განსხვავებულია და შესაბამისად განსხვავებულ მიმართებებს ქმნიან სარეკლამო ტექსტთან. მიუხედავად ამისა, ტექსტი და სურათი რეკლამაში ერთ საკომუნიკაციო მთლიანობას ქმნიან და, ბუნებრივია, რეკლამის ენათმეცნიერული კვლევა ამ პერსპექტივიდან უფრო მეტად მიმზიდველი და საინტერესოა.

ლიტერატურა

იანიხი, 2003 — Janich N. Werbesprache, ein Arbeitsbuch, 3 Aufl. Gunter Narr Verlag, Tübingen, 2003.

ვაიდენმანი, 1988 — Weidenmann, Bernd: Psychische Prozesse beim Verstehen von Bildern. Bern/Stuttgart/Toronto: Hans Hueber Verlag, 1988.

ფრიტონი, 1985 — Fritton, Michael : Semantisierung durch Bilder. In: Bildungsarbeit mit ausländischen Jugendlichen, H. 6/1985.

კოლერსი, 1977 — Kolars, P.A. : Reading pictures and reading texts. In: Perkins, D. / Leonder, B. (Hrsg.): The arts and cognition. Baltimore: John Hopkins University Press.

ჰანემანი, 1983 — Hannemann, Jörg : Über das Lesen von Bildern. Wahrnehmungs und gedächtnispsychologische Aspekte der bildfassung. In: Issing, L. / Hannemann, J.: Lernen mit Bildern. Grünwald: Institut für Film und Bild in Wissenschaft und Unterricht, 1983.

მაკვირი, ჰოში, 2000 — Macaire, Dominique/Hosch, Wolfgang unter Mitarbeit von Herrad Meese : Bilder in der Landeskunde. Langescheidt.

TAMAR CHAKHNASHVILI

**Relationship between Text and Picture
in the Language of Advertising**

Summary

Recently pictures have become an essential part of advertisements. Advertisement pictures perform certain functions, viz.: didactic and semantic. Each of the functions holds specific relationship with the advertisement text. The text and the picture are perceived as a whole; they complete and determine each other.

Advertisements can be grouped as text-oriented and picture-oriented.

თაზილა ჩუბკვიძე

**პროზაული ტექსტის სტილისტური ანალიზის
სწავლებისას**

მხატვრული ტექსტის სტილისტური ანალიზის კურსის მოცულობა გარკვეულ ჯგუფში განისაზღვრება საგნის წამყვანი მასწავლებლის მიერ და დამოკიდებულია ძირითადად მსმენელთა შემადგენლობაზე (ფილოლოგები / არაფილოლოგები) და ანალიზირებული ტექსტების რაოდენობაზე. ტექსტების შერჩევისას გასათვალისწინებელია, თუ რა მიმართება აქვს გასაანალიზებელ ნაწარმს ლიტერატურის „მრეწველებთან“ და მისი ფასეულობა იდეური შინაარსის თვალსაზრისით (ობტიმალურად, ერთი ტექსტის ანალიზმა არ უნდა გადააჭარბოს ოთხ საათს). სტილისტური ანალიზი, როგორც წესი, ორიენტირებულია მცირე ჟანრის (მოთხრობა, ლექსი) მთლიანი ნაწარმოების განხილვაზე. თუმცა, გარკვეულ შემთხვევაში, ასეთი ანალიზის მეთოდოლოგია შეიძლება გამოვიყენოთ უფრო დიდი ჟანრის ნაწარმოებებიდან ამოღებული ცალკეული ეპიზოდების განხილვისათვის, თუ ეს შერჩეული ეპიზოდი სიუჟეტურად და სტრუქტურულად დამოუკიდებელია.

კურსი შეიძლება დაიწყოს ლექციით (საუბრით), სადაც განხილული იქნება ცნობები მხატვრული ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური ორგანიზების, ლინგვისტური ანალიზის ხერხების, ტექსტის სიტყვიერი დონის განმარტების პრინციპების შესახებ; უნდა გადაეცეს აუცილებელი ცნობები სტილისტიკისა და ლექსიკოლოგიის სფეროდან; შემოტანილი იქნება მთელი რიგი ტერმინები („თვალსაზრისი“, „სამეტყველო სტრუქტურა“, „თემატური ველი“, „ნომინაცია“ და ა. შ.)

კონკრეტულ ტექსტებზე მუშაობა იწყება ხმამაღლა კითხვით (მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა სტუდენტებს ნაწარმოები აღრე წაკითხული). ყველა კითხულობს რიგრიგობით. კითხვის პარარელულად ენობრივი სირთულეები განმარტდება. მასწავლებელი კითხვებს უსვამს მკითხველს, არცოდნის შემთხვევაში პასუხობს ჯგუფის ნებისმიერ-

რი წევრი, ან თვით მასწავლებელი. კომენტარებული კითხვა უზრუნველყოფს ტექსტის სიტყვიერი და შინაარსობრივი დონის გაგებას, ავითარებს კითხვის ტექნიკას.

უცხოური ენის სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს კონტექსტიდან საკომენტარო ერთეულების გამოყოფის ხერხებს, იქნება ის ცალკე სიტყვა თუ სიტყვათშეთანხმება. ცალკეულ სიტყვებზე კომენტარებისას მის საწყის ფორმას ვიღებთ. კონკრეტული სიტყვები შეიძლება ზოგადად აიხსნას — მათი სემანტიკური მნიშვნელობის მითითებით (თუ ტექსტის შინაარსი არ მოითხოვს დეტალურ ახსნას), მაგალითად: **salmon — fish**.

ახსნა-განმარტებისათვის სინონიმური მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ „ამხსნელი“ სინონიმები მიეკუთვნებიან უფრო ხშირად გამოყენებად ლექსიკას, ვიდრე ახალი, ენის შემსწავლელთათვის უცნობი სიტყვები, და უნდა ვივარაუდოთ, რომ სინონიმები (ან ერთ-ერთი მათგანი) ცნობილია მკითხველთათვის: **inadvertently — occasionally, unexpectedly**.

ლიტერატურული ენის თვალსაზრისით „არასწორი“, არანორმატიული სიტყვები, ჟარგონები, ზეპირმეტყველებაში გავრცელებული ზოგიერთი ერთეულის ახსნა-გადმოცემა სტილისტურად ნეიტრალური სინონიმების მეშვეობით ხდება.

მრავალმნიშვნელიან, პოლისემიურ სიტყვებში განიმარტება მხოლოდ კონტექსტური მნიშვნელობები (ნაგულისხმევია ის შემთხვევები, როცა ერთ-ერთი მნიშვნელობის გამოყოფაა შესაძლებელი ან მიზანშეწონილი): **sprout** (ყლორტი) — **shoot, stalk, sucker**.

კითხვის კომენტარების პროცესში უნდა განიმარტოს ფართოდ გამოყენებადი მონოსემური ენობრივი მეტაფორები, როგორცაა მაგალითად: **milksoy** (ჩვარი) — **a mfn who is weak and easily frightened**; ან **foxy** (მელა) — **clever at tricking and deceiving others**. გაშლილი მეტაფორები, რომლებიც განსაკუთრებულ მხატვრულ ხერხებს წარმოადგენენ და აქვთ ვარიაციული მნიშვნელობები, განიხილებიან ანალიზის შემდგომ ეტაპზე.

ნასესხები სიტყვების განმარტებისას, რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი წარმომავლობის მკაფიო ნიშნები, მიზანშეწონილია მივაწოდოთ ეტიმოლოგიური ცნობები: **person** (*წიგნ.*) — (ლათ.) „**persona**“ — ადამიანი, ვისაც გამორჩეული, მაღალი ადგილი უჭირავს საზოგადოებაში.

სიტყვათშეთანხმების სახით კომენტარებისათვის „გამოგვაქვს“ მხოლოდ ისინი, რომელთა გამორჩევა კონტექსტიდან ენის შემსწავლელს ეხმარება ფრაზეოლოგიზმების ათვისებაში. ტრანსფორმირებული ან დაშლილი სიტყვათშეთანხმებანი, ანდაზები, თქმულებები უცხოენოვანმა მკითხველმა შეიძლება აღიქვას, როგორც ავტორისეული სტილის ელემენტები. კომენტარების ამოცანაა სიტყვიერი ფორმით აჩვენოს ფრაზეოლოგიზმის ის ზოგადენობრივი მოდელი, რომლის საფუძველზეც ავტორი ქმნის ახალ სიტყვათშეთანხმებას. მაგალითად, გამონათქვამის გამორჩეული ნაწილის განმარტებისას აუცილებელია დავეყრდნოთ ცნობილ ფრაზეოლოგიას და მის საწყის ვარიანტს. კომენტარებას ითხოვს აგრეთვე ავტორის ინდივიდუალური სიტყვათშეთანხმებები, რომლებიც არღვევენ ჩვეულებრივ სიტყვათწყობას და, როგორც წესი, გათვლილი არიან, რათა მოახდინონ კომიკური ეფექტი.

ლინგვოშემეცნებითმა ინფორმაციამ, რომელსაც მასწავლებელი გადასცემს კითხვის პროცესში, უნდა უზრუნველყოს ნაწარმოების არსის ადეკვატური აღქმა. ასე რომ, ცნება „საიდუმლო მრჩეველის“ განმარტებისას აუცილებელია გავაცნოთ ინგლისელ ტიტულოვანთა იერარქია.

მუშაობის შემდეგი ეტაპი — ეს არის, კერძოდ სტილისტური ანალიზი. ანალიზის სქემა უმეტესწილად განისაზღვრება ავტორის თხრობის მანერით და შეიძლება სახე იცვალოს. რამდენადაც ანალიზის კურსის ძირითადი ამოცანაა ტექსტის დამოუკიდებელი ინტერპრეტაციის უნარის ფორმირება, მუშაობის ინტუქციური მეთოდი მეტ-ნაკლებად მიზანშეწონილად წარმოგვიდგება. მასწავლებლის როლი „ევრისტიკული“ თამაშების ორგანიზაციაა: ამოცანის დასახვა და სტუდენტთა ყველაზე მოულოდნელ გადაწყვეტილებებზე „სწორი“ რეაქცია. ზოგადად, ტექსტის ირგვლივ დავალებები ორი სახისაა: 1) ტექსტში განსაკუთრებულ მოვლენებზე დაკვირვება; 2) ამ დაკვირვებებიდან გამომდინარე გარკვეული დასკვნების გაკეთება, ე. ი. ავტორის მიზნების ახსნა ტექსტის სემანტიკის თვალსაზრისით.

გადაწყვეტილების ძიებაში მთელი ჯგუფი მონაწილეობს. გახანგრძლივებული პაუზის შემთხვევაში მასწავლებელი სხვადასხვანაირ ფორმულირებას აძლევს დავალებას, ჩაურთავს მისახვედრ შეკითხვებს და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში სთავაზობს საკუთარ ვარიანტს. მასწავლებლის „სწორი“ რეაქცია მდგომარეობს მის მზადყოფნაში

დაინახოს რაციონალური მარცვალი სტუდენტთა ერთი შეხედვით არასწორ პასუხებში და ჩართოს ყველა ეს გადაწყვეტილება მსჯელობის ზოგად მსვლელობაში. ამგვარად, „ცუდი“ პასუხები არ არსებობს, და ეს ახალისებს სტუდენტების ინიციატივას, უხსნის მათ არასწორი პასუხის შიშს. დავალების ირგვლით სამი-ოთხი პასუხის მოსმენის შემდეგ მასწავლებელი მოკლედ აზოგადებს გამოთქმულ მსჯელობებს და გადადის შემდეგ დავალებაზე. მასწავლებლის „წამყვანი“, ან, უფრო სწორად, ინფორმატორული როლი შეუმჩნეველია, ის სტუდენტებთან ერთად თანასწორად მონაწილეობს მუშაობაში, თუმცა ანალიზური მოძრაობის შინაგან ლოგიკას მიყვავართ წინასწარ მოფიქრებულ დასკვნამდე. ზოგადი დასკვნა მომზადებულია მრავალი კერძო დავალების კოლექტიური გადაწყვეტილების შედეგად, იმ მრავალმხრივი კანონზომიერებებისა და ტექსტის სხვადასხვა დონის ელემენტებს შორის ლოგიკური კავშირის „გახსნით“, რაც განპირობებულია ავტორისეული გადაწყვეტილებებით და ყოველთვის არ აღიქმება მკითხველისაგან ზედაპირული წაკითხვით. ანალიზის დასრულებისას მასწავლებლის მიერ ფორმულირებული დასკვნა აღიქმება, როგორც ჯგუფის დამოუკიდებელი შემოქმედებითი მუშაობის შედეგი. მთლიანი ტექსტის რეტროსპექტიული შეფასება (სინთეზი) — მაგრამ უკვე მისი სტრუქტურულ-სემანტიკური ორგანიზების სირთულეებისა და ლოგიკური მიზანდასახულობის სიმალლიდან — სტუდენტებში იწვევს მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური ზემოქმედების შეგრძნების შეცნობას.

პროზაული ტექსტის ანალიზზე მუშაობის ეფექტურობისათვის სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომელთა ნიმუშიც აქვე მოგვყავს:

- 1) შესაძლებელია თუ არა ნაწარმოების პირველივე წინადადებადანი განსაზღვროს ტექსტის მოდალურობა?
- 2) მიაქციეთ ყურადღება განმეორებებს. რა როლი აკისრია სიტყვის „ . . .“ რამდენიმეჯერ განმეორებას? რაში მდგომარეობს მზამოულოდნელობა? რა ემოციურ ეფექტზეა გათვლილი „მოტყუებული ლოდინის“ ხერხი?
- 3) არის თუ არა ერთგვაროვანი აბზაცის სტრუქტურა? გამოყავით სიუჟეტიდან გადახვევები. როგორია გადახვევების ფორმალური ნიშნები? რაში მდგომარეობს პირველ და მეორე გადახვევას შორის თემატური და სტილისტური განსხვავება? რა ნიშნების სა-

ფუძველზეა შერჩეული მეორე გადახვევაში ჩამოთვლილი „ . . .“? რა ექსპრესულ-ემოციურ ელფერს სძენს ფრაზას სიტყვა „even sometimes“?

4) განსაზღვრეთ ავტორის სივრცისეული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისი პირველ აბზაცში. განსაზღვრეთ აბზაცის სამეტყველო სტრუქტურები.

5) ყურადღება მიაქციეთ მთელ ტექსტში ავტორისეულ მეტყველებას. რა არის ორი მთავარი მოქმედი პირის დანიშნულება? არის კი საკუთარი სახელები „მეტყველნი“? პერსონაჟთა რა თვისებები (გარეგნული, ასაკობრივი, ფსიქოლოგიური, სოციალური) გამოირჩევა ნომინაციურად?

6) შეადარეთ გამოყენებული ზმნები და მათი კონტექსტუალური სინონიმები, რომლებიც მთავარი პერსონაჟების პირდაპირი მეტყველების შემომყვანები არიან. როგორ ახასიათებენ მოქმედ პირებს?

7) შეადარეთ პერსონაჟების პირდაპირი მეტყველების თანხლები მოქმედებების, მოძრაობების, ყესტების, მიმიკების აღწერები. რა განსხვავებს ერთმანეთისაგან თითოეულის ქცევის მანერას ურთიერთობის პროცესში?

8) შეაპირისპირეთ პერსონაჟთა პირდაპირი ნათქვამი. აღნიშნეთ ზეპირმეტყველებისათვის დამახასიათებელი თვისებები. როგორ იცვლება დიალოგები სიუჟეტის განვითარებასთან ერთად?

9) მიაქციეთ ყურადღება ტექსტის სათაურს და დამამთავრებელი აბზაცის დასკვნით სიტყვას. როგორია ავტორის შეფასებითი თვალსაზრისი?

ლიტერატურა

ბეგიაშვილი, 1970 — Бегиашвили А. "Пределы "структурного" литературоведения". ВЛ. 1970.

გალპერინი, 1954 — Гальперин И. Р. "Речевые стили и стилистические средства языка", ВЯ, 1954.

გალპერინი, 1953 — Гальперин И. Р. "К проблеме стилистической дифференциации словарного состава соврем. англ. языка", Уч. зап. МГПИИЯ, 1953

ბეშკოვსკი, 1928 — Пешковский А. М. "Вопросы методики русского азыка, лингвистики и стилистики", М.-Л., 1928.

ზოგი, 1969 — Hough GR. "Style and stylistics. Lond. N. Y., 1969.

TAMILA CHURKVEIDZE

**Methodic Recommendations for Teaching Stylistic
Analysis of Prose Texts**

Summary

The paper discusses main methodic aspects for teaching prose text analysis. The following questions are tackled:

1. distribution of lesson time for teaching the subject in question.
2. Ways of singling out linguistic units serving as metalingual commentaries in a text.

The linguistic information delivered by the teacher should stimulate students' adequate perception of the text.

The second stage should be devoted to stylistic analysis proper.

The teacher should be capable of reacting precisely to students' unexpected questions.

ანა ჩურკვეიძე

**ტექსტის მთლიანობის შექმნის მნიშვნელოვანი
ფაქტორები**

ტექსტის მთლიანობისა და მისი ქსოვილის შექმნის მნიშვნელოვანი ფაქტორია ტექსტის თემა-რემატული სტრუქტურა. თემა და რემა ჩეხი ლინგვისტების ი. ფირბასა და ფ. დანეშის მიერ შემოტანილი ტერმინებია, იმის გასამიჯნად თუ რის შესახებ ვლაპარაკობთ (თემა) და რას ვამბობთ ამის შესახებ (რემა). უ. ჩეიფი ამ ტერმინების ნაცვლად ხმარობს ტერმინებს — ძველი (თემა) და ახალი (რემა).

ტექსტში თემისა და რემის, ანუ ძველი და ახალი ინფორმაციის გადაცემა თავისთავად ცხადია. კომუნიკაციას აზრი არა აქვს, თუ არ მოხდება გარკვეული ახალი ინფორმაციის გადაცემა. ამავე დროს, ინფორმაციის დიდი ნაწილი წარმოადგენს ძველ ინფორმაციას, ანუ რემას—ამის გარეშე მოლაპარაკესა და მსმენელს არ ექნებათ საკმარისი საფუძველი ერთმანეთის გასაგებად (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003).

ყოველი ენობრივი შეტყობინების ძირითადი დანიშნულებაა მსმენელისათვის გარკვეული ახალი ინფორმაციის მიწოდება. უმეტესწილად ისეთ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, რომლის დროსაც მოლაპარაკე ვარაუდობს, რომ იმ ინფორმაციის ნაწილი, რომელსაც ის გადასცემს არის ახალი, უცნობია მსმენელისათვის. ეს ის ინფორმაციაა, რომელიც მას პირველად შეჰყავს მსმენელის ცნობიერებაში. ამ ფენომენს უწოდებენ უცოდინარობის დაშვების პრინციპს. ამავე დროს, როგორც წესი, ნაწილი იმ ინფორმაციისა, რომელიც გადაიცემა შეტყობინებით, არ არის ახალი. ეს ის ინფორმაციაა, რომელსაც წინადადების წარმოთქმის მომენტისათვის უკვე ფლობენ მოლაპარაკე და მსმენელიც.

სამეტყველო მოქმედების ერთ-ერთი მთავარი წესი მდგომარეობს იმაში, რომ თავდაპირველად ხდება იმ ინფორმაციის გადაცემა, რომელიც აუცილებელია შემდეგი შეტყობინების სწორი ინტერპრეტაცი-

ისათვის. ე.ი. მტკიცების აგებისას უნდა გავითვალისწინოთ ინფორმაციის დაყოფა ძველ და ახალ ინფორმაციად. მტკიცების გამოთქმის აქტი არ იქნება წარმატებული იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკესა და მსმენელს არ გააჩნიათ საერთო სემანტიკური ბაზა. როგორ გაიგებს მსმენელი, რის შესახებ არის საუბარი, კონკრეტულად რომელი ობიექტებსა და ფაქტებს ეხება მტკიცება ან მას უბრალოდ არ ექნება საჭირო ინფორმაცია. ფაქტები, რომლებიც ნახსენები იყო მტკიცებაში, „მიღებული“ და გაგებული იქნება მსმენელის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ისინი აიხსნება და დაზუსტდება, თუ დასახელდება ის მიზეზები, რის გამოც მოლაპარაკემ მათ მიანიჭა რაღაც მნიშვნელობა. მაგ., დაპირების სამეტყველო აქტი იქნება წარმატებული (ანუ სწორად აღქმული მსმენელის მიერ), თუ მოლაპარაკე სხვა მეტყველების აქტით მიუთითებს, რატომ თვლის იგი, რომ აქვს გარკვეული მოვალეობა, და რა სურს შეასრულოს ან შეძლებს, რომ შეასრულოს (დეივი, ტონინი, 1978).

ძველი და ახალი ინფორმაციის შესახებ მსჯელობა, ტექსტში მათი გამოყოფა და მათი ერთმანეთთან მიმართების საკითხის გარკვევა განეკუთვნება, ერთი მხრივ, სემანტიკისა და, მეორე მხრივ, პრაგმატიკის პრობლემებს: სემანტიკისას, რამდენადაც საქმე ეხება შინაარსის პლანს და პრაგმატიკისას, რამდენადაც გასათვალისწინებელია მოცემული შეტყობინების ღირებულება მსმენელისათვის, ინფორმაციის სიახლე, მოცემული შინაარსის შედეგიანი გადაცემისათვის საუკეთესო ფორმის მოძებნა და სხვა (შენგელაია, 1987).

ლექსიკური, გრამატიკული, ლექსიკურ-გრამატიკული და სინტაქსური მნიშვნელობები არის ექსპლიციტური მნიშვნელობები. ამ დონეზე ბუნებრივი ენა სხვადასხვა საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ მოლაპარაკის მიერ გადაცემულ შეტყობინებაში მსმენელს მიანიშნოს ახალ და ძველ ინფორმაციაზე.

საამისოდ უნივერსალური საშუალებაა გამონათქვამის ინტონაციური სტრუქტურა, ემფატიკა და ხაზგასმა, რომელთა საშუალებით გამოიყოფა ახალი ინფორმაცია, ანუ რემა. გარკვეული უნივერსალობით ხასიათდება, აგრეთვე ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიათა მიმართება წინადადებაში ძველისა და ახლის გადმოცემასთან. ცნობილია, მაგალითად, რომ განსაზღვრულობისა და ზოგადობის კატეგორიები (რომლებიც არტიკლებითა და ნაცვალსახელებით გადმოიცემა სხვადასხვა ენაში), ძველი ინფორმაციის თანხმლები კატეგორიებია.

(ჩეიფი, 1975)

განსაზღვრულობა ახდენს იდენტიფიკაციას, განუსაზღვრელობა კი არის ახალი ინფორმაციის ნიშანი. იგი მიუთითებს თემის შესახებ ნათქვამის შემდგომ განვითარებაზე. განსაზღვრულ სახელთა რაოდენობა მეტი უნდა იყოს ტექსტში, რადგან ეს ქმნის ტექსტის მთლიანობას.

There lived a man. The man was a hunter.

ცხოვრობდა ერთი კაცი. ეს კაცი იყო მონადირე.

(**man** განსაზღვრულია **the** არტიკლით და ამავდროულად არის ძველი).

პალმერის მიხედვით ინგლისურს შემდეგი საშუალებები აქვს თემისა და რემის გამოსაყოფად:

1. წინადადების წევრის წინადადების თავში მოთავსებით ხდება მინიშნება იმაზე, რომ იგი წარმოადგენს თემს.

მაგ., **The man over there, I do not like very much.**

აი, ის კაცი, იქ რომ დგას, მე დიდად არ მომწონს.

2. ზოგ შემთხვევაში სუსტად არის გამოხატული ან სულაც სადავოა ის ფაქტი, რომ ქვემდებარე წარმოადგენს თემს. ინგლისურში **there is – there are** კონსტრუქცია გარკვეულწილად მონაწილეობს თემა რემატული სტრუქტურის აგებაში—ასეთ წინადადებებში კი ადგილის გარემოება არის ძველი ინფორმაცია—თემა, ხოლო ქვემდებარე წარმოადგენს რემას.

მაგ., **There is a cat in the room.**

ოთახში კატაა.

3. მკვეთრად გამოხატული საშუალებაა ნაცვალსახელთა გამოყენება ძველი ინფორმაციის ნაცვლად, ზმნის შემნაცვლებელი ფუნქციით.

მაგ., **George likes tea, so do I.**

ჯორჯს უყვარს ჩაი, ასევე მეც.

პალმერის აზრით, იმის გამო რომ ნაცვალსახელი ძველი ინფორმაციის მატარებელია, ხოლო წინადადების ბოლო პოზიცია ხაზს უსვამს წინადადების მოცემულ წევრს, ის არ გვხვდება ფრაზული ზმნების შემდეგ წინადადების ბოლოში.

მაგ., **You can put off your business**

შენ შეგიძლია გადადო შენი საქმე

სწორია: **You can put it off.**

- არა სწორია: You can put off it.
 4. ხაზგასმა
 It was me, who climbed there.
 სწორედ რომ მე ავძვერი იქ.

ამ წინადადებაში ხაზგასმა ხდება ახალ ინფორმაციაზე, ანუ რემამაზე (პალმერი, 1981).

გამონათქვამის თემა-რემატული სტრუქტურის ცვლა არის სიღრმისეული სემანტიკური პროცესები, რომელთაც ეყრდნობა მნიშვნელობის მთლიანობა. გადაბმის დროს ტექსტის მონაკვეთებში იცვლება ერთი და იმავე ლექსიკური შემადგენლების თემა-რემატული ღირებულება. წინამავალი მონაკვეთის რემა (ახალი ინფორმაცია) მომდევნოდ თემად წარმოგვიდგება, ძველ ინფორმაციად, რომლის ირგვლივაც ხდება ახალი ინფორმაციის აგება. რემიდან თემად ქცევა არის გამონათქვამის გამაერთიანებელი უმნიშვნელოვანესი პროცესი, რომელსაც თემატიზაციას უწოდებენ.

განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს თემატიზაციის პროცესი კორეფერენციული მიმართებების შემოტანის დროს (სხვადასხვა ნაცვალსახელები, ზმნიზედა, ზედსართავი სახელი), ყოველთვის თემატურია, ადრე უკვე ნახსენები, ცნობილი და ძველი ერთეულებია.

ნაცვალსახელური კორეფერენცია ყოველთვის სპეციფიკურია, ანუ განსაზღვრული, ხოლო მისი ამოცნობა დამოკიდებულია წინამავალ ელემენტზე, რომელიც შეიძლება იყოს განუსაზღვრელი და განსაზღვრულიც (შენგელაია, 2000)

ლიტერატურა

გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2003 — გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ., თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბ., 2003.

შენგელაია, 1987 — შენგელაია ნ., ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემები. თბ., 1987.

შენგელაია, 2000 — შენგელაია ნ., არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა. თბ., 2000.

დეიკი, 1978 — ван Дейк, Тойн. Вопросы прагматики текста. Новое в зарубежной лингвистике VII, Москва, 1978.

ჩეიფი, 1975 — Чейф, У. Значение и структура языка. Москва, 1975.

პალმერი, 1981 — Palmer, F.R., Semantics, Cambridge University Press, 1981.

ANNA CHUTKERASHVILI

Important Factors for Creating Textual Coherence

Summary

The paper focuses on one of the means for creating textual coherence — thematic-rhematic structure of a text. As is known, the question of theme-rheme relationship belongs to the domain of both semantics and pragmatics. Theme-rheme alteration is a deep level semantic process which determines the semantic wholeness of a text. The same lexical units change their information validity throughout the text; the former rheme turns into a theme, the latter serves as the basis for new information.

იყო ჩხოვაძე, სოფიო ჩხოვაძე

საბაზეთო ფელეტონის ჟანრის საკითხისათვის

უკანასკნელ ხანს საკმაოდ გაიზარდა ინტერესი სატირული ჟანრების თეორიული საკითხების, სატირისა და იუმორის სპეციფიკის, კომიკურობის ბუნების, ფელეტონის შესწავლისადმი. ფელეტონის აღმოცენება-განვითარება საერთოდ, გაზეთთან არის დაკავშირებული, მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ, რომელი ეპოქის და რა დანიშნულების გაზეთში იყო იგი გამოქვეყნებული. ფელეტონის ჟანრი პირველად საფრანგეთში დამკვიდრდა, ასე უწოდებდნენ მახვილგონივრულად დაწერილ კრიტიკულ საგაზეთო სტატიებს თეატრალური და ლიტერატურული ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე“ (ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, 1966, 143).

უკანასკნელ წლებამდე საფელეტონო ჟანრის ყველაზე კომპეტენტურ განსაზღვრებად ითვლებოდა გამოჩენილი პუბლიცისტისა და მკვლევრის დ. ზასლავსკის ლექციებში გამოთქმული მოსაზრება ფელეტონის შესახებ, რომელიც ცალკე ბროშურად გამოვიდა და შემდეგ დაიბეჭდა 1955 წ. კრებულში „საგაზეთო ჟანრები“.

„ფელეტონს ზოგჯერ უწოდებენ სხვადასხვა საგაზეთო მასალას“, — წერს იგი და ასახელებს ოთხ პუნქტს, რაც ახასიათებს მას: პირველი პუნქტის თანახმად ფელეტონი ეწოდება გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას, რომელიც იბეჭდება გვერდის ქვემო ნაწილში, „სარდაფში“; მეორე პუნქტით ფელეტონი ეწოდება სტატიას გაზეთის ან ჟურნალის სპეციალურ განყოფილებაში. გერმანულ პრესაში ფელეტონი არის სპეციალური გვერდი, რომელშიც გამოქვეყნებულია ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები, რეცენზიები წიგნებსა და თეატრალურ დადგმებზე“ მესამე პუნქტით „ფელეტონი ეწოდება სატირული და იუმორისტული ხასიათის სტატიებს, მიუხედავად მათი მოცულობისა და ადგილისა, სადაც ისინი არიან მოთავსებული. ასე-

თი ტიპის ფელეტონი ყველაზე მეტად გავრცელებული იყო საბჭოთა პრესაში და ბოლოს, მეოთხე პუნქტში ნათქვამია: ფელეტონი ეწოდება სტატიებს სამეცნიერო, ლიტერატურულ-კრიტიკულ, ხელოვნებისა და ისტორიის თემებზე, რომლებიც დაწერილია ლიტერატურულად ბრწყინვალე, მხატვრული ელემენტებით“. როგორც ვხედავთ, ზასლავსკის განსაზღვრებაში საფელეტონო ჟანრის კატეგორია გამოყოფილი არ არის საგაზეთო-საჟურნალო რუბრიკის კატეგორიისაგან. მ. კოლცოვი ფელეტონის ჟანრს ახასიათებდა როგორც მხატვრულ საგაზეთო ჟანრს. იგი წერდა: „ფელეტონისტი შეიძლება შევადაროთ „ადამიან ორკესტრს“. როდესაც არის თემა, რომელზედაც საჭიროა ვწეროთ, ვალდებული ვართ სინთეზურად გამოვიყენოთ ყველა ჟანრი. ფელეტონი (და არა ნარკვევი და სტატია!) გაზეთის საშუალებით მოქმედებს, ურტყამს ყველაზე მძლავრად, ყველაზე შორს“ (კოლცოვი, 1961, 133). ხოლო ე. ყურბინას აზრით, ფელეტონი არის სინკრეტული ჟანრი, „ეს კი ნიშნავს, რომ ფელეტონი არის ჟანრი, რომელიც თავის-თავში მთლიანი და არა დანაწევრებული სახით შეიცავს სხვადასხვა ჟანრობრივ ფორმას“. კ. კოვალსკი სტატიაში „ფელეტონი გაზეთში“ ლაპარაკობს საფელეტონო ჟანრის თეორიულ საკითხებზე და ასკვნის, რომ ფელეტონი არის პუბლიცისტის სატირული ჟანრი, რომელიც გაყდენილია პოლემიკურობით და აგებულია ლიტერატურულ-მხატვრულ სახეებზე“.

ფელეტონის ზუსტი განსაზღვრისათვის, — წერს ლ. ერშოვი, — პირველ რიგში აუცილებელია გამოვყოთ იგი მომიჯნავე ჟანრებისაგან (მომიჯნავე ჟანრებად ლ. ერშოვი თვლის საგაზეთო სტატიასა და მოთხრობას). ფელეტონი არის ჟანრიც და სინამდვილის მხატვრულ-პუბლიცისტური ასახვის განსაკუთრებული მეთოდიც (ერშოვი, 1960, 137).

ჩვენ ვემხრობით იმ აზრს, რომ ფელეტონი არის მალაქვალ-ფიციური მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრი, რომელიც უთუოდ გულსხმობს შესრულების პუბლიცისტურ მანერას, როგორც ამა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის განზოგადების აუცილებელ პირობას. ამასთანავე, იგი უნდა ემორჩილებოდეს მხატვრული ნაწარმოების აგების საერთო კანონებს და არჩეული თემისა და მიზნის შესაბამისად იყენებდეს სატირისა და იუმორის ელემენტებს.

მკვლევართა შორის არანაკლებ დავას იწვევს იმის გარკვევა, თუ რომელ ჟანრს შეიძლება იგი მივაკუთვნოთ. მათი ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ფელეტონი სატირული ჟანრია. დ. ზასლავსკი კი ამ-

ბობს: „ფელეტონი ეწოდება სატირულ-იუმორისტული ხასიათის სტატიას“ (ზასლავსკი, 1955, 201). ე. ყურბინა ამტკიცებს, რომ „ფელეტონი დამოუკიდებელი მხატვრული ჟანრია, რომელსაც საკუთარი სტრუქტურა და წყობა აქვს“ (ყურბინა, 1969, 55).

დავა ეხება არა მარტო იმის დადგენას, თუ რომელ ჟანრს შეიძლება მივაკუთვნოთ ფელეტონი, არამედ ყველა სხვა საკითხს, რომელიც მისი ბუნებიდან გამომდინარეობს და რომელთა კვლევა ერთ საერთო პრინციპებს უნდა დაექვემდებაროს.

ჟანრის თეორიული პრობლემების კვლევისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფელეტონი გაჩნდა, არსებობს და ვითარდება პერიოდიკის ფურცლებზე.

მაგრამ თუ ფელეტონის თავისებურებათა შესწავლას მხოლოდ ამ თვალსაზრისით მივუდგებით, შეიძლება სწორად ვერ შევაფასოთ მისი ბუნებისათვის დამახასიათებელი ყველა თვისება. ჟანრის თეორიის მკვლევართა ერთი ნაწილი სავსებით სწორად მიუთითებს, რომ ფელეტონი მხოლოდ საგაზეთო ჟანრი როდია. ამ მხრივ აღსანიშნავია ლ. ერშოვის სიტყვები. თუ ფელეტონში, — წერს იგი, — დავინახავთ მხოლოდ საგაზეთო ჟანრს, მაშინ ძნელი გახდება მისი როლის გაგება ლიტერატურულ-საზოგადოებრივი პროცესის განვითარებაში. ფელეტონი, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ როგორც „უდიდესი სოციალური ძვრების შედეგად წარმოშობილი ცხოვრებისეული მასალის ასახვის განსაკუთრებული პრინციპი“ (ერშოვი, 1960). დაახლოებით ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული საფელეტონო ჟანრის ცნობილ მკვლევარს ე. ყურბინას. დარწმუნებული ვარ, — წერს იგი, — რომ იმ კანონების გაგება, რომელსაც ემორჩილება ფელეტონი, მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი თუ მას განვიხილავთ როგორც დამოუკიდებელ მხატვრულ ჟანრს, ნაწარმოებს, რომელსაც აქვს თავისი გამომსახველობითი სტრუქტურა და წყობა (ყურბინა, 1969).

როდესაც ლ. ერშოვი ეძებს სტატიასა და ფელეტონს შორის განმასხვავებელ ნიშნებს, სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ფაქტის, მასალის გაფორმება ფელეტონისებურად, ჟანრისათვის დამახასიათებელი პრინციპების დაცვით, საკმაოდ ძნელია, ამას ადასტურებს ლიტერატურის ისტორიაც, რომელიც გვიჩვენებს, რომ კარგი ფელეტონისტები კარგ მწერლებზე ბევრნი როდი არიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვლევართა ერთი ნაწილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ფელეტონი განეკუთვნება სატირულ-იუმორ-

ისტულ ჟანრს. ე. ყურბინა ასეთ მოსაზრებებს აშკარა შეცდომას უწოდებს და წერს: „აუცილებელია უარყოთ ფელეტონის, როგორც სატირულ-იუმორისტული ჟანრის, განსაზღვრის ფართოდ გავრცელებული ცდები“. იმავე აზრისაა არ. ერშოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ „მართალია, სატირა ფელეტონის ყველაზე ახლო „მეგობარია“ და მისი ყველა დიდი მიღწევა, როგორც წინათ, ასევე ახლა დაკავშირებულია სატირასთან, მაგრამ ახლო მეგობრობა არ ნიშნავს, რომ ფელეტონს არ ჰქონდეს დამოუკიდებელი არსებობის უფლება“ (ერშოვი, 1960, 150).

20-იანი წლების ქართული საფელეტონო ჟანრის ნიმუშებში საკმაოდ ხშირად ვხვდებით მხატვრული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს: კომპოზიციას, სიუჟეტს, მხატვრულ სახეს, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც მხატვრული, ასევე პუბლიცისტური ჟანრებისათვის დამახასიათებელ ხერხებსა და მეთოდებს ფელეტონი იყენებს თავისებურად, სულ სხვა კონტექსტში.

დღესდღეობით, როგორც ვთქვით, თვით საფელეტონო ჟანრის განსაზღვრაც კი იწვევს დავასა და კამათს, ერთი შეხედვით, ეს პარადოქსალურადაც შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ ამის მიზეზი თვით ჟანრის ბუნებაში, მის უაღრესად მობილურობაში, გამოსახვის ფორმათა უსასრულო მრავალფეროვნებაში, ცალკეულ ნიმუშებში გამოყენებულ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ საშუალებათა ამოუწურავ ვარიაციებში უნდა ვეძებოთ.

გ. კვარაცხელია მიუთითებს, რომ „ნარკვევებსა და ფელეტონებს მხატვრულ პუბლიცისტიკას განაკუთვნებენ, რითაც ხაზგასმულია მათი სიახლოვე მხატვრულ ლიტერატურასთან. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ საგაზეთო მეტყველების სუბიექტი სოციალურად განზოგადებული და ორიენტირებულია, რაც კიდევ აისახება ენობრივ წყობაში. მის ინდივიდუალობას არ შეიძლება ისეთი გასაქანი ჰქონდეს გაზეთში, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში; ყურნალისტის ინდივიდუალური მანერა ერთგვარად იჩრდილება სტილისტიკურად მრავალფეროვან საგაზეთო მასალაში. ამასთანავე, ჟანრობრივი განსხვავებანი ტექსტში უფრო მნიშვნელოვნად აისახება, ვიდრე ავტორის ინდივიდუალური სტილი. გაზეთის ჟანრები და საგაზეთო-პუბლიცისტიკის ჟანრები ერთმანეთს არ ემთხვევა. ისევე როგორც სამეტყველო ურთიერთობის სხვა სფეროები, აქაც მკვეთრი საზღვრის გავლება ჟანრებს შორის არ ხერხდება. უმთავრესი ისაა, რომ მიუხე-

დავად ჟანრობრივი მრავალფეროვნებისა, მაინც შეიძლება ვილაპარაკოთ გაზეთის ენის ფუნქციურ ერთიანობაზე, მის მთლიანობაზე, როგორც საინფორმაციო-ზემოქმედების ფუნქციის ენობრივ განხორციელებაზე“ (კვარაცხელია, 1990, 127-128).

ქართული საბჭოთა ფელეტონის პირველ ნიმუშებს, რომლებიც იბეჭდებოდა პერიოდული გაზეთების ფურცლებზე რუბრიკებით: „პატარა ფელეტონი“, „პატარა ფელეტონის მაგიერ“, „წიგნობები“, „ყბადადებული, წყალწაღებული“, „ჯოჯოხეთის კუთხე“, „იუმორისტული ქრონიკა“, „წითელი ეკლები“ და სხვა, საფუძვლად ედო უცხოეთის ცხოვრების ამსახველი დებულები, საგაზეთო ცნობები, ქრონიკა და სხვა ინფორმაციული ხასიათის მასალა, რაც ქვეყნის იდეოლოგიით იყო შეპირობებული. იმის მიუხედავად, რომ მათი გარკვეული ნაწილი ვერ აკმაყოფილებდა საფელეტონო ჟანრის მოთხოვნებს და ხშირ შემთხვევაში ფაქტის ან მოვლენის ცალმხრივ, კარიკატურულ ანოტაციას წარმოადგენდა, შეიმჩნევა ერთი მეტად საგულისხმო და საინტერესო მოვლენა, კერძოდ ის, რომ ქართველმა სატირიკოსებმა შედარებით სწრაფად, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, მონახეს ის მხატვრული ხერხები და მეთოდები, სატირულ-პუბლიცისტური გამოსახვის საშუალებანი, რომლებმაც საშუალება მისცა მათ საფელეტონო ჟანრის უკვე პირველსავე ნიმუშებში ეჩვენებინათ მკითხველისთვის ამა თუ იმ მანკიერი მოვლენის არა მარტო გარეგნული მხარე, არამედ ჩასწვდომოდნენ მის გამომწვევ მიზეზებს და ბოლომდე ემხილებინათ იგი. საგულისხმოა, რომ ამ ფელეტონებში, მართალია, მკრთალად, მაგრამ მაინც იგრძნობა ისეთი სტრუქტურული ელემენტები, როგორცაა სიუჟეტი და კომპოზიცია (სიხარულიძე 1969, 240).

ფელეტონთან ყველაზე ახლომდგომ, მომიჯნავე ჟანრებად მამხილებელი სტატია და სატირულ-იუმორისტული მოთხრობა ითვლება. ჟანრის თეორიის ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ბევრ შემთხვევაში შეუძლებელიც კი არის მათი ერთმანეთისაგან გარჩევა. ქართული საბჭოთა საფელეტონო ჟანრის ცალკეული ნიმუშების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ჩვენს სინამდვილეში ასეთი „სამიწროება“ არ არსებობდა. უმრავლეს შემთხვევაში ყოველთვის შეიძლება ფელეტონის გამოყოფა მამხილებელი შენიშვნებიდან, სტატიიდან თუ მოთხრობიდან. ბევრ მათგანში გარკვევით შეინიშნება ასოციაციური დასაწყისი, რომელიც ორგანულად უკავშირდება ძირითად თემას, აგ-

ტორისეული პოზიცია, მისი დამოკიდებულება ფაქტისადმი, დამხმარე სიტუაციების, სურათის შექმნის ცდა, სატირულ-იუმორისტული ქვეტექსტი და საფელეტონო ჟანრის დამახასიათებელი ზოგიერთი სხვა პირობა. აღრინდელი ქართული ფელეტონი წარმოგვიდგება როგორც დიდი თუ მცირე ცხოვრებისეული კონფლიქტების, ძველისა და ახლის, პროგრესულისა და ჩამორჩენილის ბრძოლის აქტიური ასახვის მეტად თავისებური, საინტერესო მეთოდი.

ფელეტონი — ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული და თავისებური ჟანრი, მოითხოვს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კანონების დაცვას, რომელთა გარეშე იგი სწრაფად კარგავს თავის მომხიბვლელობასა და კოლორიტს, იქცევა უფერულ, მოსაწყენ მასალად. ჩვენ მიერ შესწავლილი საფელეტონო ჟანრის ნიმუშებმა გვიჩვენა, რომ ფაქტი, ესა თუ ის ცხოვრებისეული მოვლენა, რომელიც ფელეტონის საფუძველს წარმოადგენს, მის საუკეთესო ნიმუშებში გაფორმებულია მხატვრულ-პუბლიცისტური საშუალებებით, მათში ორგანულად არის შერწყმული ამ ჟანრებისათვის დამახასიათებელი ელემენტები, რომლებსაც ფელეტონი თავისებურად იყენებს და უმორჩილებს ფაქტის განზოგადებისა და საჭირო პოლიტიკურ ასპექტში გააზრების ტენდენციას.

ლიტერატურა

კვარაცხელია, 1990 — გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1990.

სიხარულიძე, 1969 — ე. სიხარულიძე, ქართული საბჭოთა ფელეტონი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1969.

ერშოვი, 1960 — Л. Ершов. Советская сатирическая проза 20-х годов. Москва 1960.

ჟურბინა, 1969 — Е. И. Журбина. Теория и практика художественно-публицистических жанров. Очерк. Фельетон. - М.: Мысли. 1969.

ზასლავსკი 1955 — Д. Заславский. Газетные жанры Москва 1955.

კოლცოვი, 1961 - М.Е. Кольцов. Писатель в газете. Выступления, статьи, заметки. - М.: Советский писатель, 1961.

ლიტერატურისმცოდნეობის ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ.

1966.

IZO CHKOBADZE, SOPIO CHKHOBADZE

Towards the Problem of the Genre of Newspaper Satire

Summary

The paper investigates genre peculiarities of newspaper satire and aims at defining its stylistic status. A number of works on the textual features of newspaper satire are surveyed. The most essential peculiarities of the genre in question are singled out.

ღარაჯან ჩხუბინიშვილი

იბანენტური განვითარების ზოგიერთი გამოვლინება
ფერეიდნულში

1.1. ცნობილია, რომ ფერეიდანში რთული ენობრივი სიტუაციაა. უცხოენოვან გარემოცვაში მოქცეული ქართული მეტყველება ხანგრძლივი დროის განმავლობაში განიცდის ძლიერ გავლენას როგორც გარედან, ისე შიგნითაც. ფერეიდანი, სადაც ქართველები სახლობენ, ერთგვარად იზოლირებულია ირანის სხვა პროვინციებისაგან, მაღალ მთებს შორის მოქცეულ ტაფობზე მდებარეობს, გარე სამყაროსთან ურთიერთობას იგი ამყარებს სტრუქტურულად განსახვავებული ენის, სპარსული ენის საშუალებით. მეორე მხრივ, თვით ფერეიდანში, ფერეიდნელების გვერდით, სახლობენ სპარსული მოდგმის ტომები: ქურთები, ლურები, ბახტიარები, აგრეთვე თურქები. საურთიერთო ენა ამ ტომებთანაც ძირითადად სპარსულია. ახლო მეზობლობა, ცხადია, დაღს ასვამს ფერეიდნელთა მეტყველებას, ხელს უწყობს ამ ტომებისათვის დამახასიათებელი ზოგი ენობრივი მოვლენის შედგენას მათს მეტყველებაში. საგულისხმოა, რომ ფერეიდნელები არ არიან გათქვეფილნი თავის უცხოენოვან მეზობლებთან. ყოველმა მათგანმა იცის ვინ ვინ არის. იქ ყოფნის დროს არა ერთი შემთხვევა გამახსენდება, როდესაც მასპინძლები ქუჩაში მიმავალ ადამიანს ახასიათებენ ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით: ეს თურქია, ეს ბახტიარი, აი შეაფეხა მოდისო (შეაფეხას ქურთს ეძახინ).

ბოლო დრომდე და დღესაც ფერეიდნელები ცდილობენ დაიცვან თავისი ოჯახები შერეული ქორწინებისაგან, მაგრამ ყოველთვის ამას ვერ ახერხებენ. ესეც ხელს უწყობს უცხო ელემენტების შედგენას მათს მეტყველებაში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ბევრი სხვა ფაქტორი. უპირველეს ყოვლისა ის, რომ სახელმწიფო ენა, რელიგიის ენა სპარსულია, ეს არის რადიოს, ტელევიზიის, განათლების, ეკონომიკური ურთიერთობების, ვაჭრობის ენა.

ყმაწვილები 5-6 წლამდე ოჯახში იზრდებიან, ოჯახის და ერთმა-

ნეთთან ყოველდღიური საურთიერთო ენა ქართულია. შემდეგ სწავლა სამ ეტაპად მიმდინარეობს: ძვერე ღუნშაჰრში უნივერსიტეტი ფუნქციონირებს, სადაც რამდენიმე დარგი ისწავლება. ცხადია, აქაც და განათლების სხვა ცენტრებშიც კურსდამთავრებული სპეციალისტების ურთიერთობა სპარსულად და ქართულად მიმდინარეობს.

ფერეიდანი დღეს ცივილიზებული მხარეა: აქვს თავისი საავადმყოფოები, წარმოებები, რომლებიც მთლიანად ამ რეგიონის მოსახლეობას ემსახურებიან, მასასადამე, აქაც ქართულ-სპარსული ენები ისმის. ყოველივე ზემოთქმულის გამო ფერეიდნელები ბილინგვებად ჩამოყალიბდნენ.

ზემოაღნიშნულ პირობებში გაკვირვებას იწვევს — როგორ მოხდა, რომ ქართველობამ დღემდე შეინარჩუნა თავისთავადობა და სრული ასიმილაცია არ განიცადა. ეს იმ ეროვნული ცნობიერებისა და სიამაყის წყალობით მოხდა, რომელზეც ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ ლადო აღნიაშვილი მიუთითებდა: „აქ დაუცავთ დღევანდლამდე ენა მამა-პაპათა, ხასიათი, ტიპი და სიძლიერე სულისა: აქ დღემდე ქართველი არ ივიწყებს, რომ ქართველია, ამბობს ამას შინ და გარეთ, მტერთან და მოყვარესთან, ძლიერთან და უძლურთან, ამბობს უშიშრად, მოურიდებლივ, ამბობს და თავი მოსწონს ამ თქმით...“ (აღნიაშვილი, 1896, 218).

ფერეიდნელთა ეს განწყობა, მათი ქართული ცნობიერება არ შეცვლილა დღესაც. „ჩონ პარსულათ არ ვამბობთა, ძრიალ საყორველია ჩონ ენა ჩონთი, ძრიალ საყორველია,“ — მარწმუნებდა ზემო მარტყოფში ყოფნისას ბერი დედაკაცი გულჩერა ხუციანი (ხუციანშვილი), და ამყობდა იმით, რომ მისმა შვილებმა ქართული იციან — „პირველა ყორმაც (=ქალიშვილმაც) და ბიჭებმაც, თეირანს რო არიან, სუ ჩონებურათ ამობენ, სუ ჩონ ქართულათ ამობენ...“ თუმცა თავის საუბარში სპარსულ სიტყვებს ურევს და იმდენად გამჭდარია ეს სიტყვები მის ყოველდღიურ სიტყვახმარებაში, რომ საკუთარი, ჩონებურების ქართული ჰგონია.

ფერეიდნელები თვითონ გრძნობენ, რომ მათს ქართულს საფრთხე ემუქრება. ეს განსაკუთრებით კარგად იციან ქვემო ფერეიდნულის¹ წარმომადგენლებმა. ისიც იციან, რომ მარტყოფში და მის ზემოთ დასახლებულ პუნქტებში ქართული კარგად არის შენახული.

¹ იხ. ქვემოთ.

სოფელი ახის (ქვ. ფერეიდანი) მკვიდრი ამბობს: „ჩონ ქარსული გუგურევია ემ ქართული, ანს (=ის) მარტყოფის ხალი არა... ჩონ ქარსულს გავრევეთ, ქურთულს გავრევეთ, ლორულს გავრევეთ, თურქულსაცა... ქენ (= თქვენ) ასლი (მოდგით, ძიროთ) ქართული ხართა,“ — მიმართავს იგი მარტყოფელ მუხთარ დარჩიანს.

1.2. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ფერეიდნული ქართული აგრძელებს თავისი განვითარების გზას. მასში ძლიერია თავის-თავადობის შენარჩუნების ტენდენცია და სურვილი.

აქ შეიძლება გაგვანსენდეს ჩეხი მეცნიერი ბოგუსლავ ჰავრანეკი, რომელიც ენათა შერევის პრობლემებზე მსჯელობისას ენის განვითარების ზოგად საკითხებს ეხება. იგი აღნიშნავს: „ენის განვითარება უნდა განვიხილოთ, ერთი მხრივ, როგორც იმანენტური განვითარება ყოველი ცალკეული ენისა. მეორე მხრივ, არსებობს ენის განვითარების გარეგანი მოტივირება და აქ უცხოენოვანი გავლენა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. აქ შეიძლება განვიხილოთ შინაგანი და გარეგანი ფაქტორები“ (ჰავრანეკი, 1972, 94-95).

დღეს ჩვენი მსჯელობა ფერეიდნული მეტყველების სწორედ იმანენტური განვითარების ზოგ კერძო გამოვლინებას შეეხება.

მიუხედავად იზოლაციისა საკუთარი ენობრივი სამყაროდან, ფერეიდნულში ძლიერია ენის განვითარების შინაგანი ტენდენციების გამოვლინება, რომლის ძალითაც თავს იჩენს ისეთი ენობრივი მოვლენები, რომელთაგან ზოგი ქართული ენის სხვა ქვესისტემებშიც დასტურდება, ზოგი კი საკუთრივ ფერეიდნულია, ქართული ენობრივი მოვლენებით ნაწარმოები.

1.3. პირველი საკითხი განსაზღვრებით ნაცვალსახელს ეხება. ფერეიდნულ მეტყველებაში ყველა ყველანი არ იხმარება, იშვიათია სუყველა/სუყველა, მაგრამ ჩვეულებრივია ამ ფორმათა შეკვეცილი სახეობა სუ(სუყველა), მრავლობითში- სუნი(სუყველანი), რომლებიც ფორმით ემთხვევა სუ(-სულ) ზმნისართს. აქ მინდა გავიხსენო ზემო მარტყოფელი რეზა ონიკაშვილი, რომელიც თბილისში იმყოფებოდა ვიზიტად თავის ნათესავეებთან და შესაძლებლობა მომეცა ჩამეწერა მისგან ტექსტები. მან მითხრა: „ჩონებურები სიტყოს თელს ვერ ამბობენ, კნეტენო“. აქვე დამისახელა რამდენიმე მაგალითი:

მა ხე(= მაიხედე); რა გაყელ და რა არ გაყელ (= რა გაქესო და რა არ გაქესო; ოოზი (ოოზიდე საპალნეო) და სხვა.

ფერეიდნელები მართლაც „კნეტენ“, კვეცენ სიტყვებს. არ არის იშვიათი ოდენ ზმნისწინების ხმარება ზმნის სრული ფორმის პარალელურად: მღ(= მოდი), წალა(= წალიდა), გოჭი (= გოჭირე) და სხვ. ამგვარი შემთხვევები გვხვდება სხვა დიალექტებშიც და სამწერლო ენაშიც („ვტ“-ში, „რუსულდანიანში“).

ჩვენს შემთხვევაში ერთგვარი მორფოლოგიური ელიფსი მომხდარა: კომპოზიტის მეორე წევრი მოკვეცილია და სუ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულად ქცეულა, რომელიც იბრუნვის, დაირთავს მრავლობითის ფორმანტებს და ნაწილაკებს.

მაგალითები¹:

ოთხი ყორი მყავ, ოთხიც ბიჭი, დამიქორწილავ სუ (= სუყველა): ბოინი.

ბიჭები სუ (= სუყველა) ანქა ყოვ, მე და ფაყად(მხოლოდ) ჰაჯი ექა ვართ: ჩულრ.

ქართული სუ მ იცის: იქვე.

მამამთილის ეზათი(=ხათრი) გოქონდა, ამუას(=მამიდას) ეზათი გოქონდა, დედამთილისა, სუ ს ი: ჩულრ.

ამაღამ ჩონ წავალთ, ემ მოზობლების ყორებს სუ ს დავყონდაფ-თყე: იქვე.

დეგმა დაიკვილა, თქო: მისა ძინავო, მისა ღიძავო. და ერთმა დაიკვილა: სუ ს ა ძინავო და მათუთასა ღიძავო: მარტყ.

ამ დეგმა მოიდა გამოჯავრებული, თქო, რო: წავალ, ეხლა სუ ს შევჭამყელაო: იქვე.

ახჩას ენა სუ ს იჯობს: დაშქ.

იმის შვილებმა გახდეს სუ ნ ი ვ ხანები: იქვე.

სუ ნ ი ვ ე ნ თ ნამა ასწავლიან... და სხვ.

სუ იმდენად დამოუკიდებელ ფორმად არის ქცეული, რომ გუ ნაწილაკს დაირთავს, რაც გამორიცხულია სრული ფორმის შემთხვევაში(-სუყველავე).

1.4. ფერეიდნულისთვის დამახასიათებელია ზედსართავი სახელის თავისებური ფორმები, მიღებული ნაცვალსახელებისა (ძირითადად

¹ მაგალითები დამოწმებულია ჩემი და თ. უთურგაიძის მიერ ჩაწერილი ტექსტებიდან, რომლებიც ვერ გამოქვეყნებული არ არის.

ჩვენებითის) და სიდიდე სახელის შერწყმის შედეგად: ემსიდე = ემ სიდიდე), ექსიდე||ეგსიდე (= ეგსიდიდე), რამდიდე||რაგდიდე (= რამ სიდიდიდე)...

მაგალითები:

თორნე არი, ეგდიდე თორნე, დაჭედები და ეგრე-ეგრე დავაკრავ [პურსა]: ჩულრ.

გელი ფორავანია (= ბევრია), იგდიდე ხალლი შაჭამა: იქვე.

ექსიდე კუკუა (= პურის კვერი) დავაკარი: ჩულრ.

ქბილი ჩავყარით ფეთაქი (= ბელელში), ერთ ექსიდე ხრელა დოოგდითყე.

და იმ ხრელასაყე ეს ქბილი გამოილიტყე, გავცრიტყე ცხრილით... მარტყ.

ესე [ყოჩი] გადიდალა, გადიდალა და ექსიდე და შაიქნა: იქვე.

იმაშინაც ხო რო მუგუყუანეს, არცრა არ გოსმოდა, ბა ტები (პატარები) — ეგდიდე მუგუყუანეს, თერთმეტის წლისა ვიყნევი: ჩულრ.

ეგდიდე კისა შამიკერავ...: იქვე.

ყველის მაია ექსიდე იყო...: იქვე.

ემაგდიდე —

ამ ტიპის წარმოება სხვა დიალექტებში არ დაიძებნა.

1.5. საინტერესოა ადგილის და იშვიათად დროის ზმნისართების წარმოება -ებ დერივაციული სუფიქსისა და ჩიში თანდებულის დართვით: აქებჩი, იქებჩი, შინებჩი, ახლოებჩი, სადებჩი ...

მაგალითები:

ადამიანის სული მოდის, რო ექებჩი დამალულაო: მარტყ.

თქი, რო: წადით ექებჩიო, ფამფარა და ყინწორა დაკრიფეთო. . . იქვე.

-სადებჩი ხარ?: იქვე.

შინებჩი დავსხდითყე და არცრა არა ვქნითყე...: იქვე.

ეხლეფჩი (= ახლო დროში)ვერ ჩამოალ: იქვე.

-ებ დერივაციული სუფიქსის დართვა დასახელებულ ფორმებში ზმნისართების ერთგვარ სუბსტანტივაციას ახდენს (მდრ. ჩემები, ჩვენები...), ხოლო თანდებულს დამატებითი სიზუსტე შეაქვს. ანალოგი-

ური წარმოება არ არის უცხო ზოგი სხვა დიალექტისთვისაც. მაგალითად დავასახელებ ხევსურულს, სადაც დასტურდება ფორმები:

აქებთას—„ამ ადგილებში“, „ამ მიდამოებში“.

იქებთას—„იმ მიდამოებში“.

მანდებთან—„მანდ“, „მაგ მიდამოებში“

(ჭინჭარაული, 2005).

აქვე შეიძლება გავიხსენოთ თუშური იქაყებს — „იმ მიდამოებში“, „იმ ადგილებში“ (ცოცანიძე, 2002).

მსგავსი ფორმები, როგორც ჩანს, დასავლური კილოებისთვისაც ყოფილა დამახასიათებელი. აჭარულში გვაქვს ზეითებში|ზედაურებში ფორმები, რომლებიც აღნიშნავენ „ზემო სოფლებში“, „ზემო უბნებში“. ამ წესით ნაწარმოებია კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან. ფორმა ამათებში — „ამათ სოფლებში“, „ამათ უბნებში“ (ჯორბენაძე, 1989, 571).

ცხადია, ამგვარი წარმოება ბუნებრივია ქართულისათვის. თუ წარმოების ეს ტიპი ფერეიდნელებს წაყოლილი არა აქვთ ისტორიული სამშობლოდან, კახეთ-საინგილოდან (დღეს კახურსა და ინგილოურში ჩემს ხელთ არსებულ მასალებში ანალოგიური ფორმები ვერ მოვიძიე), მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ისინი ადგილობრივ, ფერეიდნის სინამდვილეში არიან ნაწარმოები და შინაგანი პოტენციის, შინაგანი კანონზომიერების გამოვლინების ფაქტს წარმოადგენს აქაც და სხვა დიალექტებშიც.

1.6. ხტალე იხმარება ძველქართულისებური მნიშვნელობით:

1. ხტალ— 1. „ხვალ“; 2. „მეორე დღე“; 3. „ზოგადად მომავალი“;

ხტალ მოვა...

ხტალე რო შაიქნების თადართუგს დაიჭერენ...

ვაი მეო და ჩემ ხტალსაო!

ქვემო ფერეიდნულში, კერძოდ სოფელ დაშქესანაში, „მეორე დღეს“, „ხტალეს“ აღნიშნავს ფორმა თავიხტალ (— თავის ხტალ), ე.ი. „იმის ხტალ“. საქმე იმაშია, რომ თავიხტალ ნაცვალსახელი იფართოებს ფუნქციებს და III პირის კუთვნილებას გამოხატავს ზოგადად: ორიოდე მაგალითს დავიმოწმებ:

...ამბობენ შოურავიჩივა სოფელი არი, ახჩია არი თავის სახელი.

ფური ყოვ, თაის ზეს ვადედებყე...

მოლამ და თავის ბიჭმა ერთ დღეს ვირი აიყვანეს და წაიღეს გორებზევა.

— ლექსო ხარ? — არა, თავის მამა ვარო (მიბასუხა ჰეიდარ დარჩიაშვილმა).

ერთმა ფერეიდნულმა ასე განმიმარტა: თუ III პირი შორსაა, უნდა ვთქვათ თავისი, ხოლო თუ აქ არის, „ექ არის“ — ემისია. მისი ნაცვალსახელი საერთოდ არ იხმარება კუთვნილებითის ფუნქციით. მისი — ვისის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია (შდრ. მინმე).

მაშ-მე, თახუალ — „იმის ხუალ“ არის.

დღეთა აღმნიშვნელი ზმნისართების თანმიმდევრობაში ზოგი ფორმა ადგილობრივი წარმოებისაა:

ხუალ, ხუალზეით, იმსხოზეით

გუშინ, გუშისწინ, იმისწინ II იმსხოწინ; შდრ. იმერული *გუშეწინ „წარსულში“.¹

მემრის II მეგრის, იმსხომეგრის; შდრ. ინგილოური იმალზეით „მაზევა“, „ხვალზეითის ზევით“, „ზევისზევა“ (მ. ჯანაშვილი).

1.7. მაშინ ზმნისართი ფერეიდნულში იმაში(ნ) იმიში(ნ) II ამაში(ნ) ფორმების სახით არის წარმოდგენილი. სხვადასხვა კონტექსტში იგი შეიძლება აღნიშნავდეს „ძველად“ (=ყადიმად), „იმ დროს“, „მერე“, „იმის შემდეგ“... უნდა აღინიშნოს, რომ ფერეიდნული მეტყველება არ არის ერთგვაროვანი მისი გავრცელების მთელ ტერიტორიაზე. მთელი რიგი თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე გამოიყოფა ზემო და ქვემო ფერეიდნული. ზემო ფერეიდნულში ვგულისხმობთ ს. მარტყოფისა და მის ზემოთ ხეობაში განლაგებული სოფლების (სიბაქი, ჩულრუთი, ჯაყჯაყი) მეტყველებას. ქვემო ფერეიდნულის თავისებურებას წარმოგვიდგენენ მარტყოფის ქვემოთ ისპაჰანის მიმართულებით მდებარე სოფლები: დაშეკსანა, ბოინი, ახჩა, თორელი... (ჩხუბიანიშვილი, 1999). ჩვენი დაკვირვებით, იმაში(ნ) || იმიში(ნ) ფორმები ზემო ფერეიდნულისათვის არის დამახასიათებელი, ამაში(ნ) კი ძირითადად — ქვემო ფერეიდნულში გვხვდება. ამ ზმნისართებშიც იგივე დეიქტური ხმოვანი პრეფიქსები გვაქვს, რომლებიც ნაცვალსახელთა და ზმნისართთა მთელ

¹ ეს ფორმა აომაწოდა ლ. ნოზაძემ.

წყებას გაჰყვება და ენაცვლება ერთმანეთს იმისდამიხედვით, თუ რა სემანტიკაა გამოსახატავი სივრცული და დროული მიმართებების თვალსაზრისით — I და II პირთან ახლოს მყოფი, თანადროული, თუ I და II პირისაგან შორს მყოფი და წარსულში მიმდინარე მოვლენები.

ქვემო ფერეიდნულში გაცილებით ძლიერია სპარსული ენის გავლენა, ამის გამო ა- ხმოვანი, ქართულისაგან განსხვავებით, შორს მყოფ, დროის თვალსაზრისით აწმყოსაგან დაშორებულ, ძველად მომხდარ მოვლენებზე მიანიშნებს (მაჭავარიანი, 1985, 176-177). ფუნქციურად იგი არ განსხვავდება •- დეიქტური ხმოვნისაგან.² ორივე ერთად (ი- და ა-) კი უპირისპირდება ე- პრეფიქსს (იმაში(ნ) || იმიში(ნ) || ამაში(ნ) და ეხლა), ა- და •-ს შორის არჩევანს ინტერფერენციის ხარისხი განაპირობებს.

მაგალიტები:

იმაშინა, რო ტელევიზუნი და რადიოვი არ იყო, ჰარ(=ყოველ) დამე თლა შემეყარიანყე და ქეთაბი (=წიგნი) იკითხიან: ჩულრ.; შდრ.

ეხლალა ხალლსა გული გასცივებია და წასლა-მოსლა აღარ არი: იქვე

იმიშინ ზამთრისათინ თუ გუნდოდეს ყათული (ხაჭო) შა ნახოთ, ერბო დავასხითყე ზედ, რო ნამა (=კარგად) შა ნახოს.

ზამთრის, იმიში, რო გარდავხადით პირი... არ დამყავდისყე: ჩულრ.

ქორწილები იმაში ზამთრის იყვისყე: სიბაქ.

იმაშინა იგეთ აბრუ (=ღირსება) გოქონდა: იქვე.

იმაშინაც რო მუგუყუანეს, არცრა არ გოსმოდა, ბა ტები (=პატარები), ეგდიდები მუგუყუანეს: ჩულრ.

იმაში მამამთილი რო შამოიღისყე, ფეჭე ოოდგიოყე და პირი აიხუიოყე: იქვე.

ჩონ ცხორეფს იმიში გა რეცხენ გაზაფხულზე და გა კრენჭენ: იქვე.

იმაშინ ყაზალების წაყვანასათიც მისულიყენს მარტყოფჩი: ჩიქ. გვ. 238.

² შდრ. მ. მაჭავარიანის დასახ. შრ., სადაც ავტორი მიუთითებს ა და • ხმოვნებს შორის ერთგვარ ფუნქციურ განსხვავებაზე კერძოდ, „• ხმოვანი აღნიშნავს მოლაპარაკე პირებისაგან შორს მყოფ საგანს, რომელიც მოლაპარაკე პირების თვალთახედვის არეში არ გვხვდება“, ა კი აღნიშნავს მოლაპარაკე პირებისაგან დაშორებულ საგანს, რომელიც მოლაპარაკე პირების თვალთახედვის არეში იმყოფება (გვ. 177).

იმ აშინ სამი სიბაქელი დაჭერილი ჰყვანდაყე: იქვე, გვ. 222.
 ... წა და ამ ბაღჩი, ამაშინ ქე ანქ (=იქ) ფიადა შა ქნა
 (ჩამოქვეითდა), ეს ფაში აილო და და დტა თავზე... დაშქ.
 ...და ამაშინაც მუელ, ვნახე ეგე შულლი ჩავარდა: იქვე.
 ...ამაშინ იფო ჯობდა თა (=ვიდრე) ეხლა... ამაშინ ბეჰთარი
 (=უკეთესი) იყო ჩონთინ: იქვე.
 ამაშინ რო მო დენ გორჯესტანსყენ, ორი ძუმა იყენ: იქვე.
 ამაშინ უღელი იყო, ტაბიკი ჰქონდა: ბოინი.
 ამაშინ ჩემ ძმა წასულიყო სარბაზობ (=ჯარში), უნდოდა
 მეთოფე შა ქნას: იქვე.
 „იმ აშინ“ ფორმა მითითებულია კრებულში „ქართული დია-
 ლექტოლოგია“ ფერეიდნულ ტექსტებზე დართულ ლექსიკონში და
 ასხნილია, როგორც „აი მაშინ“ (ქართული დიალექტოლოგია). ანა-
 ლოგიურადაა განმარტებული აღნიშნული ფორმა ინგილოური კი-
 ლოს ლექსიკონებში (როსტიაშვილი, 1987; დამბაშიძე, 1988). „იმ-
 ში“ , „იქმაში“ ფორმები დამახასიათებელია თუშურისთვისაც, მათგან
 პირველს „მაშინ“ ზმნისართის მნიშვნელობა აქვს, მეორეს — „აი მა-
 შინ“ (ცოცანიძე, 2002).
 ფერეიდნულთან დაკავშირებით ჩვენთვის მისაღებია ზემოთ
 წარმოდგენილი ვარაუდი: **ი-** და **ა-** ხმოვანი თავსართებია და არა **აი**
 ნაწილაკი. ამას მხარს უჭერს მათი გამოყენება ნაცვალსახელებსა და
 ზმნისართებში და რაც მთავარია, **ა-** დექტური ხმოვნის ფუნქციონი-
 რება, რომელიც სპარსული ენის გავლენით ქართულისათვის უჩვეუ-
 ლო ფუნქციით დაიტვირთა: ანსი „ისი“, ამეს „იმას“, ამემ
 „იმან“... ანქ. „იქ“, ანქამდე „იქამდე“... ამაშინ (ნ) „იმ დროს“,
 „ძველად“ და სხვ.

ლიტერატურა

აღნიაშვილი, 1896 — ლ. აღნიაშვილი, სპარსეთი და იქაური
 ქართველები (მგზავრის წერილები), თბ., 1896.
მაჭავარიანი, — მ. მაჭავარიანი, ფერეიდნულის ზოგი
 თავისებურება, იკე, XXIII, თბ.
როსტიაშვილი, 1978 — ნ. როსტიაშვილი, ინგილოური
 ლექსიკონი, თბ., 1978;
 ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

დამბაშიძე, 1988 — რ. დამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური
 კილოს ლექსიკონი, თბ., 1988.
ჩხუბიანიშვილი, 1999 — დ. ჩხუბიანიშვილი, ენობრივი დიფერ-
 რენციაციისათვის ფერეიდნულში, ქუთაისური საუბრები, VI, მასა-
 ლები, 1999.
ჩხუბიანიშვილი, 2004 — დ. ჩხუბიანიშვილი, ნაცვალსახელთა
 ზოგი სახეობისათვის ფერეიდნულში, XXIV რესპუბლიკური დიალექ-
 ტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2004.
ცოცანიძე, 2002 — გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ.,
 2002.
ჭინჭარაული, 2005 — ალ. ჭინჭარაული, ხევსურული
 ლექსიკონი, თბ., 2005.
ჯორბენაძე, 1989 — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია,
 თბ., 1989.
ჰავრანეკი, 1974 — Богуслав Гавранек, К проблематике
 смешения языков, Новое в лингвистике, Москва, 1972.

DAREJAN CHKHUBIANISHVILI

On Certain Language Tendencies in Fereidianian

Summary

The paper discusses the current state of the Fereidianian dialect in the alien language environment. The extralinguistic factors that have caused Fereidianian's high degree of integration and have turned Fereidians into bilinguals have been analyzed. Some cases of the immanent development of the Fereidianian speech have been examined. Similarities and differences between Fereidianian and Georgian language models are stated.

ლობაში, საქმე გვაქვს როგორც თავად წერის, ისე თვით კომუნიკაციის სრულიად განსხვავებულ ფენომენთან.

ყოველივე ამის შესახებ მოგვითხრობს იტალიელი ავტორის MARIA LUISA DOGLIO-ს ახლახან გამოსული წიგნი, „L'ARTE DELLE LETTERE“, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს XV და XVI საუკუნეების იტალიური ეპისტოლარული დამწერლობის თვალსაჩინო ნიმუშებსა და იმ ცვლილებებს, რომლებიც ამ უკანასკნელმა თანამედროვე ყოფამდე განიცადა. მოცემული ისტორიული ეპოქის ჭრილში არსებული სოციალურ-კულტურული სინამდვილის ფონზე, ავტორი განიხილავს ეპისტოლარული ჟანრის სხვადასხვა მოდელს. მისი წიგნი წარმოადგენს პასუხის გაცემის მცდელობას იმაზე, თუ რა ბედი ეწია თანამედროვე ეპისტოლარულ ჟანრს, როგორია ის მოდელები, რომლებიც უკვე ყოველგვარი ფიზიკური სატრანსპორტო საშუალებებისა და კონვერტების გარეშე იგზავნება და აისახება ჩვენი კომპიუტერის ეკრანებსა თუ მობილური ტელეფონების დისპლეიზე.

წიგნში მოყვანილი ათი მაგალითი, დაწყებული ცნობილი ჰუმანისტიდან **ENEA SILVIO PICCOLOMINI** (შემდგომში პაპი პიო II), რომელმაც ლათინურ ენაზე შექმნა თავისი ცნობილი ნოველა (**LETTERA AL GIURISTA MARIANO SOZZINI** 1444 წლის ივლისში), რომელიც ძალზე ცნობილი გახდა, როგორც **LA STORIA DI DUE AMANTI**, დამთავრებული ბაროკოს ხანის ავტორით **EMANUELE TESAURO**, ავტორი ტრაქტატისა **ARTE DELLE LETTERE MISSIVE** (დაბეჭდილი 1674 წელს). მოცემულ დროში მოგზაურობისას ვაწყდებით უცნობილეს ავტორებს (პირველ რიგში, **MACHIAVELI**-სა და **TASSO**-ს არაჩვეულებრივ ეპისტოლარულ ნაწერებს) და ნაკლებად ცნობილი ავტორების წერილებს, შეკრებილს წიგნად მოცემის თვალსაზრისით. დამწერლობის ასეთ მრავალფეროვნებაში აშკარა შესამჩნევი ხდება, თუ როგორ არსებით ცვლილებას განიცდის თავად იდეა წერილის წერისა, მისი სტილი, დანიშნულება (ფუნქცია), გამოყენება-მოხმარება და სხვ.

პადოვის უნივერსიტეტის პროფესორი მიკელე კორტელაცო თავის სტატიაში „წერის ხელოვნება“ აღნიშნავს, რომ ყოველდღიურად მთელ იტალიაში დაიგზავნება ათ მილიონზე მეტი სმს-ი. ანუ „პაწაწინა“ მესიჯები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენენ. ეს უკანასკნელნი, მიუხედავად იმისა, რომ კინობით ფორმაში მოვიხსენიეთ, იმდენად მნიშვნელოვანი არიან, რამ-

ინო ცარცვაძე

„წერის ხელოვნება“ – ეპისტოლარული ჟანრის მივიწყება თუ მისი მეთამორფოზი?“

(იტალიური ენის მასალაზე)

ჯერ კიდევ სულ რამოდენიმე წლის წინათ ეპისტოლარული კომუნიკაცია ლიტერატურის ერთ-ერთ ჟანრს წარმოადგენდა. ახლა ფაქსის, E-mail-ისა და სმს-ების ასე ფართოდ გამოყენების შემდეგ, წერილობითი კომუნიკაციის ყველაზე სწრაფი, პრაგმატული და, თანაც, არამატერიალური საშუალება გახდა. აი, როგორია ამ კუთხით დანახული აღნიშნული ფენომენის გუშინდელი და დღევანდელი დღე.

მრავალი საუკუნის მანძილზე წერილი, ჩვენგან შორ მანძილზე მყოფ ადამიანებთან, კომუნიკაციის დამყარების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა: ადამიანები (მატერიალური სახის) ქალაქის ფურცელზე დაწერილ, თავიანთი წერილის შინაარსს რომელიმე პიროვნებას მიანდობდნენ ხოლმე, რათა ამ უკანასკნელს იგი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაეტანა მისთვის მოსახელთებელი ნებისმიერი ტრანსპორტის საშუალებით. ადვილი შესაძლებელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა ეპისტოლარული კომუნიკაციის ფორმა, დღესაც რომ ადამიანები, იმავე მეთოდით, მსოფლიოს ყველა კუთხეში, ხანგრძლივი დროით ელოდებოდნენ წერილის მიღებას. დღეს მობილური ტელეფონით, ტელემეტიკისა და ციფრული ტექნიკის მეშვეობით გაგზავნილი ფაქსი, E-mail-ი და სმს-ი მთლიანად ჩაენაცვლა ტრადიციულ ეპისტოლარულ წერილებს და ფაქტია, რომ ეს ფენომენი მყარად იკიდებს ფეხს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. თუმცა აშკარაა, რომ ამ უკანასკნელთა დაწერა და წაკითხვა სრულიად განსხვავებული რამაა, ვიდრე ტრადიციული წერილის წერა და კითხვა: გარდა იმისა, რომ დიდი განსხვავებაა ინფორმაციის გადაცემის სისწრაფესა და ოპერატიუ-

დენადაც გაუჩინარებადი: მილიონობით მესიჯი არ ტოვებს ხანგრძლივ კვალს და მალე იცვლება სხვა მომდევნო მილიონებით. სმს-ების მომხმარებლები, ძირითადად, არიან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებმაც, როგორც იტყვიან, არ იციან და, რომლებსაც არც უყვართ წერა.

„ერთი შეხედვით, მესიჯების გავრცელება ევგვიპტელი წერის ღმერთის ტელეტის შურისძიებას წააგავს, — აღნიშნავს ავტორი, — რადგან წლების განმავლობაში შორ მანძილზე გადამცემი აუდიო-ვიზუალური საკომუნიკაციო საშუალებებისგან შევიწროებულ ებისტოლარულ უნარს თანდათანობით მივიწყების საფრთხე დაემუქრა. მაგრამ, სწორედ, მაღალი ტექნოლოგიების (ჯერ ფაქსის, შემდეგ E-mail-ის და ბოლოს სმს-ების) განვითარებამ კვლავ მნიშვნელოვნად აქცია კომუნიკაციის ეს „წერილობითი ხერხი“ (კორტელაცო, 1)

ყველასთვის ცნობილია, რომ სმს-ების გაგზავნისას ხშირად ვაწყდებით ზოგიერთ ტექნიკურ პრობლემას: მესიჯი არ უნდა აღემატებოდეს 160 ასოსაგან შემდგარ ტექსტს. გარდა ამისა, მობილური ტელეფონის ლილაკებით დისპლეიზე სმს-ის აკრეფვა გაცილებით დიდ სირთულეს წარმოადგენს, ვიდრე კომპიუტერის კლავიატურაზე. სამწუხაროა, მაგრამ, ალბათ, სწორედ ეს განაპირობებს იმ ფაქტს, რომ სმს-ების გამოყენებამ ჩამოაყალიბა „შემოკლებულად წერის“ ერთგვარი კოდიფიცირებული ენა, რომელშიც მესიჯის ავტორი, გარდა სიტყვების შემოკლებისა და მათი აბრევიაციებად ქცევისა, იყენებს რიცხვით სახელებს, გრაფიკულ ნიშნებსა და ლილაკების მანიპულირებით შექმნილ ლოგოებსა და გამოსახულებებს, რომელთა რიცხვი დღითიდღე მატულობს ახალი თაობის ტექნოლოგიებთან ერთად“ (კორტელაცო, 2). ახლა მაგალითისათვის ვნახოთ, როგორ გამოიყურება ყველაზე მარტივად ასაგები ფრაზები: „Dove 6?“ (Dove sei?) სად ხარ?; „Sono a Vrn“ (Sono a Verona) (ვერონაში ვარ); „C 6 scem8?“ (Ci sei scemotto?) (მანდ ხარ, მტერუკა?); „Xche` non vuoi venire alla festa?“ (Perche` non vuoi venire alla festa?) (ზეიმზე ხომ არ წამოხვალ?); „Mandami 1msg, dimmi qcosa“ (Mandami un messaggio, dimmi qualche cosa) (ერთი მესიჯი მაინც გამომიგზავნე, მითხარი რამე!); „Ci vediamo alla uni in biblio“ (Ci vediamo all` universita` in biblioteca) (უნივერსიტეტში შევხვდეთ, ბიბლიოთეკაში) და სხვ.

ფრაზაში TVTB (ti voglio tanto bene) (ძალიან, ძალიან მიყვარხარ) ნათლად ჩანს, თუ დროისა და სივრცის როგორ ეკონომიურობასთან

გვაქვს საქმე იტალიური ახალგაზრდის მიერ გაგზავნილი სმს-ის შემთხვევაში: 16 ასოს ნაცვლად — 4, სულ რამდენიმე წამი და ადრესანტის სურვილი, ანუ ინტენცია, დაიწყოს საკომუნიკაციო აქტი განხორციელებულია.

როგორც ვხედავთ, მესიჯის სწრაფად და ლაკონურად წერის მოთხოვნილებამ და ამ საქმეში ახალი ტექნოლოგიების მოშველიებამ გამოიწვია შექმნილიყო ე. წ. სუმირებული, შემოკლებული წერის ფორმა, რომლის წესებს იცნობენ და ითავისებენ მხოლოდ ასეთი სახის საკომუნიკაციო აქტში ჩართული პირები, განსაკუთრებით ახალგაზრდები. ასეთ შემთხვევაში, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადრე, როცა მსგავსი ტექნიკური საშუალებები არ არსებობდა, მსგავსი წერილობითი ტექსტების წერისას ადამიანები არა თუ ერთ ქალღმერთს დახარჯავდნენ და ადვილი მისახვედრია, რა ვადებსა მოანდომებდნენ საკომუნიკაციო აქტის განხორციელებას.

დღეს ტექნიკის წინსვლასთან ერთად „სოკოებივით მრავლდება“ მობილური ტელეფონებისა და კომპიუტერების ახალი თაობები, რასაც თან სდევს ლოგოებისა და იკონების გამომხატველობითი უნარის შესაბამისი დახვეწა-გაუმჯობესება, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება მობილური ტელეფონების მომხმარებელთა გარკვეული ნაწილი, რომელიც სხვადასხვა ემოციისა და ფატიკური მინიშნების გამოსახატავად იყენებს ისეთი სახის იკონებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემდეგი ნიშნები: : —) Sono felice „ბედნიერი ვარ“; : - (Sono triste „მოწყენილი ვარ“; —) Occhiolino „თვალის ჩაკვრა“; 0 : —) Angelo „ანჯელოზი“; : — Indifferenza „გულგრილობა“; : —) Oh! „ვაი!/ უი!“; : —) D Sorriso „ღიმილი“; : —) * Bacio „კოცნა“; : ‘ (Lacrima „ცრემლი“; —) Ammiccamento „დამეგობრება“ და სხვა მრავალი, რომლებიც მესიჯის წერისას მისი შემდგენლის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს და ტექსტს უფრო შთამბეჭდავს ხდის. ზუსტად ისე, როგორც ეს ზეპირმეტყველებისას ხდება, როცა საუბარს, ჩვენდა უნებურად, მიმიკასა და ქესტიკულაციას წავაშველებთ ხოლმე. („თუმცა ზემოთ მოყვანილი იკონები, — აღნიშნავს ავტორი, — არც თუ ისე ძალიან შეიძლება მოგვაგონებდეს ბედნიერი ან მოწყენილი სახის გამომეტყველებას“ (კორტელაცო, 3). ასეთი სახის იკონების თანხლებით გაგზავნილი მესიჯი, ზეპირმეტყველებაში გაცვლილი ფრაზების მსგავსად, უფრო ფატიკური ფუნქციის მატარებელია (ანუ, ფატიკური კომუნიკაციის ისეთი ნიმუშია, რომელიც მიზნად იასახავს, რომ ადრესატს ამცნოს:

„შენთან ვარ, შენზე ვფიქრობ, შენთან ვარ დაკავშირებული უხილავი ძალებით, მეც შენნაირი ვარ“) და არა წმინდა ინფორმაციული, (რომელიც, მესიჯების გარკვეულ ნაწილს მაინც ახასიათებს, როგორებიცაა, მაგალითად, *ci vediamo alle 3 al solito posto* (3-ზე ვხვდებით, ჩვენ რომ ვიცით იქ). მესიჯებისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური და საკომუნიკაციო ნიშნები აშკარად გვიჩვენებს თუ რატომ მოიკიდა ფეხი ახალმა ტექნოლოგიამ განსაკუთრებით მოზარდებსა და ახალგაზრდებში, რადგან ეს უკანასკნელი მათ საშუალებას აძლევს, თვით შორ მანძილზეც კი კომუნიკაციის დამყარებისას, გამოიყენონ მათთვის ჩვეული ენა, რომელიც სრულიად იდენტურია იმ სალაპარაკო ენისა, რომელზეც ისინი მეტყველებენ, ანუ ზეპირმეტყველების ენა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, „გააჩნდეთ თავიანთი სოციუმის ე. წ. „შეკრული გუნდი“; მოახერხონ შეუერთდნენ მას ან შეინარჩუნონ მისი წევრობა. ყოველივე ამის განსახორციელებლად, იყენებენ სალაპარაკო ენას, რომელშიც უხვად მოიპოვება სინტაქსური შემოკლებები, რომლებიც სხარტი და მოსწრებული გამონათქვამებითაა გაწონასწორებული და შესტიკულაციის ელემენტების მძაფრი გამომხატველობით არის გამდიდრებული“ (კორტელაცო, 4). მართლაც, ყოველივე ეს ძლიერ მოგვაგონებს სულ ახლო წარსულში „ეკონომიურ“ სალაპარაკო ენად მონათლული გრძელი სიტყვების იმ მოკლე ფორმებს, როგორებიცაა უკვე კლასიკად ქცეული „პროფ“, ქართულად „მასწ“; „raga“ (ბიჭი) „ragazzo“-ს ნაცვლად ან კერძო სახელების შემოკლებანი: „Vale“ „Steffi“, ან ქართული — „რეზო“, „მარი“ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ასეთი სახის ახალგაზრდული სალაპარაკო ენის გამოყენების პრაქტიკა დიდი ხანია არსებობს ზოგიერთ წერილობით ტექსტებში, მეგობრებთან გაგზავნილ წერილებში და, განსაკუთრებით, მისალოც ბარათებში, მაგრამ უფრო ხშირად მოსწავლეებსა და სტუდენტებს შორის გაგზავნილ ბარათებში, რომლებსაც ისინი პროფესორ-მასწავლებელთა ფართულად წერდნენ ხოლმე მერხის ქვეშ. შეიძლება ითქვას, რომ მობილური ტელეფონებით გაგზავნილი მესიჯები ტექსტის წერის ანალოგიური ფორმის მაღალტექნოლოგიურ დონეზე აყვანილ სახეცვლილებას წარმოადგენენ. რაც შეეხება მათ შინაარსს, იგი მეტ-ნაკლებად თითქმის იგივე რჩება, რაც ზემოხსენებული ბარათებისა, ლინგვისტური ფორმები და ტექსტის მოცულობაც თითქმის იდენტურია. „ახალგაზრდები კარგა ხანია ფლობენ, —

აღნიშნავს მიკელე კორტელაცო, — ასეთი ხუმრობანარევი დიალოგური სახის ბარათების ერთმანეთისთვის გაცვლის ტექნიკას, ანუ იმავე „მესიჯების“ გაგზავნის უნარს, რომლებიც ისევე სწრაფი და უფრო ფატიკური სახისა იყო, ვიდრე ინფორმაციული. საჭირო იყო მხოლოდ მათი „გაკეთილშობილება“ და ისეთ მა„ალტექნოლოგიურ ხარისხში აყვანა, რომლის საშუალებასაც დღეს სწორედ მობილური ტელეფონი გვთავაზობს“, — აღნიშნავს მიკელე კორტელაცო, — და დასძენს: „რას წარმოიდგენდა საბრალო ეგვიპტელი ქალღმერთი ტეუტი, რომ შურს მესიჯების სიმრავლის ასეთ აღმატებით ხარისხში მოცემულობით იძიებდა მხოლოდ, რადგან: რაც არ უნდა დიდად წერის მოყვარულნი ყოფილიყვნენ უწინდელი ახალგაზრდები, რაც არ უნდა უამრავი ბარათი ეწერათ მერხს ზემოთ თუ ქვემოთ, მაინც ვერაფრით მოახერხებდნენ დღეში ათი მილიონი ბარათის გაგზავნას.“ (კორტელაცო, 4).

როგორც დავინახეთ, სმს-ების ტექსტები *სინტაქსურ-მორფოლოგიური* და სხვა *ლინგვისტური ფენომენების* საყოველთაოდ აღიარებული ნორმების თვალსაზრისით, *მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი* და *გაუმართავი სტრუქტურული ფორმის* მქონენი არიან. თუმცა დადებითად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სმს-ების ასეთმა ბუნებამ ხელი შეუწყოს, ასე ვთქვათ, ერთგვარი *სინთეზური* და *იმპროვიზებული წერის კულტურის* ჩამოყალიბებას და ისეთი შემოქმედებითი უნარის განვითარებას, რაც გულისხმობს „*ლაკონურად წერის*“ მანერას, კერძოდ: დავწეროთ რაც შეიძლება მეტი უმცირეს სივრცულ მონაკვეთზე. ხოლო *უარყოფითად* შეიძლება მივიჩნიოთ *ილუზორული, ნაუცბათევი* და *შემთხვევითი კომუნიკაცია*, რომელიც სმს-ებს ხშირად ახასიათებთ.

თუ მ. კორტელაცოს დავეთანხმებით, სმს-ების ტექსტების შედგენისას, ერთი მხრივ, მატერიალური თვალსაზრისით, ნამდვილად გვაქვს საქმე როგორც *სივრცითი*, ისე *დროითი ეკონომიის* გაკეთებასთან. მაგრამ, მეორე მხრივ, (და ამას თავად ავტორიც არ უარყოფს) ვაწყდებით სრულიად სხვა სახის *პრობლემას*, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ სმს-ების წერა, როგორც ლინგვისტური თავისებურებების, ისე საკომუნიკაციო თვალსაზრისით, ზეპირმეტყველების კადნიერ იმიტირებას ახდენს, რასაც უამრავ ლინგვისტურ „*ანომალიასთან*“ მიკავართ: კერძოდ:

ა) სიტყვების წერისას გამოყენებული შემოკლებები, *სინტაქსის სიმარტივე* და *იმპლიციტური ფრაზების მოჭარბებულობა*, რომელიც მხოლოდ კონკრეტულად აღებული საკომუნიკაციო აქტის თანამონაწილეებისთვისაა გასაგები და *ზეპირმეტყველების ნიმუშებს* უფრო მოგვაგონებს, ვიდრე წერილობითისას;

ბ) *მართლწერისა და პუნქტუაციის წესების უგულებელყოფა* და სმს-ების გაცვლის სწრაფი ტემპი სხვას არაფერს წააგავს, თუ არა ახალგაზრდების „ე. წ. „შეხუბრებითი“ (დიალოგური) ზეპირი საუბრის სტილს“ (კორტელაცო, 4) და, მინდა იმედი ვიქონიო, დროთა განმავლობაში ახალგაზრდა თაობის წერის კულტურის უნარ-ჩვევების დაქვეითებას არ გამოიწვევს.

ლიტერატურა

კორტელაცო, — Cortelazzo M., IL MESTIERE DI SCRIVERE, www.mestierediscrivere.com/testi/messaggini.htm

კორტელაცო, — Cortelazzo M., BUONE LETTURE PER BELLE SCRITTE, [sisppi.humnet.unipi.it/source/coNVBuone lettere.pdf](http://sisppi.humnet.unipi.it/source/coNVBuone%20lettere.pdf)

დოგლიო, 1993 — Doglio M. L., LETTERE A DONNA/ Scrittura epistolare al femminile tra Quattro e Cinquecento, Roma, Bulzoni, „Humanistica“, 1993, pp.VII–66

NINO TSERTSVADZE

The Art of Writing - Epistolary Genre Forgotten or Metamorphosed

Summary

The paper deals with the models of classical and present-day epistolary genre and discusses the problems that have arisen with the introduction of mobile phones and digital techniques. Fax, e-mail and SMS have completely replaced traditional epistolary genre - letter, Spacio-temporal constraints have conditioned the following linguistic peculiarities of SMS texts: simple syntax, abbreviations, implicit phrases that presuppose high degree of shared knowledge between the communicants, disdain of punctuation and orthography rules, imitation of spontaneous spoken discourse.

ენიანი ზონონალია

ზოგი სიტყვის წარმოშობისათვის ძარტულში

1. ზინაფერი; 2. ზინამია

ჰიაფერი საღებავი ჰია, ბუყუნდი, აღნიშნავს დ. ჩუბინაშვილი.

იოანე ბაგრატიონის „საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონში“ მოცემულია ვრცელი დახასიათება ამ მწერის შესახებ. **ჰიაფერა**, ყირმიზი. მწერსა ამას უღვაშნი აქუს ძაფის სახედ ქმნილნი. ექვისი ფევი სიარულისადმი ვარგისნი, ჯორცი თეთრი, ცხვირი მკერდსაზედა. დედალი იქმნების უფრთო და ფარით დაფარული... დედალნი მოგროვებულნი და დაჯოცილნი შეადგენენ საღებავსა ჰიაფერსა, რომელიცა არს ნაზად აღის ფერია (ბაგრატიონი, 1986).

ქსე-შიც მითითებულია, რომ **ჰიაფერი** სასარგებლო მწერები კოქციდების ქვერიგის *Margarodidae* და *Dachylopidae* ოჯახებიდან. ამ მწერების დედლების სხეულისაგან ამზადებენ საღებავ კარმინს... ქართული ჰიაფერი (*P. georgica*) ნაპოვნია ზემო იმერეთსა და ქვემო რაჭაში. მისი მატლები იკვებებიან ხუთყურას ფესვებზე.

ქეგლისა და დიალექტების მიხედვით **ჰიაფერი** „წითელი ფერის საღებავია“.

წვენში ჩაყარეთ **ჰიაფერი**, წმინდად დანაყილი, დაადგით და ორი პირი წამოაღულეთ (ბ. ჯორჯ.). ენდროში შაღებილი და **ჰიაფერში** გატარებული მუქი წითელი მოდიოდა (შ. კახ. შინამ.); **ჰიაფერში** ყუყა წითელფერათ იღებებოდა, ეს ფერი ქალაქიდან მოჰქონდათ ბაზაზებს (შ. კახ. შინამ.).

„წითელი საღებავის“ შინაარსით **ჰიაფერი** გვხვდება **ფერი** კომპონენტის გარეშეც.

ჰიაშიც შევლევადით (ქართლ. შინამ.)

ჰიაფერი აღნიშნავს „წითელფერსაც“.

ამ წითელს **ჰიფერათ** შეღებულ უძახდით (ზ. რაჭ. შინამ.)

ქეგლში მოყვანილია შემდეგი ილუსტრაციები:

[ასულს] მარჯვენა ხელის სალოკი თითი... **ჰიაფერ** ფუნ-ჩულა ტუჩზედ მიედო (შ. არაგვ.); სისხლი ჩამოსდის დე-მურსა ტანზე **ჰიაფრად**, ჩქეფითა (ვაჟა).

ზემოთქმულის გათვალისწინებით **ჰიაფერში** გამოვეყოფთ მნიშვნელობებს: 1. წითელი ფერის მომცემი საღებავი ჰია; 2. წითელი საღებავი; 3. წითელი ფერი.

წარმოვადგენთ ამ სიტყვის წარმომავლობის შესახებ არსებულ მოსაზრებებს: ქ. ლომთათიძე **ჰიაფერს** შლის წითლის აღმნიშვნელ **ჰია** და **ფერ** ელემენტებად. ჰიაფერს „წითელი ფერის საღებავს“ — მეგრულად სწორედ „ჰითა ფერს“ („წითელ ფერს“) ეძახიან აღნიშნავს მკვლევარი (ლომთათიძე, 1984, 55); აღ. ჰინჭარაული კითხვას სვამს — ჰიაფერში რა არის პირვანდელი? იყო „წია-ფერი“ (წითელი ფერი) და შემდეგ (როცა მწერებისაგან დაიწყეს წითელი საღებავების დამზადება) გადაკეთდა ჰიაფერად, თუ „ჰიაფერში“ „ჰია“ იმთავითვე წითელი საღებავის მომცემ მწერს ნიშნავდა, აგრეთვე ძნელი სათქმელია: ძნელი სათქმელია თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში არ არსებობს „ბუყუნდი“ თუ „ბუყუნდი“, რომლისგანაც წითელ ფერს ამზადებენ, მცენარეული წითელი საღებავები კი გვაქვს (ჰინჭარაული, 1981, 67).

თუ გავითვალისწინებთ **ჰიაფერის** ზემოდასახელებულ მნიშვნელობებს: 1. საღებავი ჰია; 2. წითელი საღებავი და 3. წითელი ფერი, იგი კომპოზიტად უნდა მივიჩნიოთ და მასში გამოვეყოთ კომპონენტები **ჰია** და **ფერი**.

ჰია ძველსავე ქართულშია დადასტურებული სხვადასხვა სახეობის მძრომების შინაარსით. ვიმოწმებთ ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონს, თბ., 1973.

ნეშტი იგი **ჰიისა** შეჰამა მკალმან (O, იოვ. 1,4);

ზეთის-ხილი თქუენი შეჰამა **ჰიამან** (O, ამოს. 4,9);

მუცელსა ყრმათასა განცოცხლებულნი **ჰიანი** მტკივრითა რაიმე წამლითა განჯრწნიან (ბ. კეს. მარხ. 51).

რომელი იგი (თული) გიქმნის თქუენ **ჰიამან** ყაჭისამან საქუსლად (ბ. კეს. ექუს. დღ. 121,8).

ფერ- ფუძიანი სიტყვებიც სხვადასხვა შინაარსობრივი ნიუანსებით იხმარება. ერთ-ერთი მათგანია „საღებავის“ მნიშვნელობა.

ვითარ-იგი მხატვართა ღონისძიება ყვიან **ფერთა** მრავლითა, წამალთაგან თითოსახეთა, და შეზავიან ყოველივე იგი მსგავსად ჯე-

რისა მის (ექუს. დლ. (არაბ.) 149,23); ათასითა **ფერიტა** დააშრო იგი (ოქრ. -მარხ. და იონე 104,37).

შდრ.: აგრეთვე ფერ-უმარული.

მაშასადამე, ჩვენი ვარაუდით **ჭიაფერი** წარმომავლობით ნიშნავს „წითელი ფერის გამომცემ საღებავ ჭიას“, იგივეს რაც არაბული **qir-miz-шарлах, червец** ანდა ბუჟღუნდი „წითელი საღებავი ჭუა (საბა). ამასთან, რადგან იგი ნაპოვნია ზემო იმერეთსა და ქვემო რაჭაში, ამიტომ არც მისი ქართული სახელწოდება უნდა იყოს უცხო ჩვენთვის. ფერთა სახელწოდების ამგვარი წარმოშობა ჩვეულებრივია ენაში. ფერთა სახელები ჩვეულებრივ იწარმოება იმ საგნებისაგან, რომელთათვისაც დამახასიათებელია შესაბამისი ფერი.

2. ჭიამაია

ჭიამაია Coccinella — პატარა (უპირველესად მრგვალი) ხოჭო, ხშირად წითელი ან ყვითელი ფერისა, შავ წინწკლიანი ან თეთრლანქიანი, ანადგურებს მლილს (ტილს) და სხვ. მავნებლებს.

ღარაია ჭრელი... როგორც **ჭიამაია** (ს. ჩიქ.);

ამავე ხოჭოს სახელად გვხვდება **ჭიამარიაც**.

დილაადრიან დგებოდი: იყვანდი **ჭიამარიას**

თუ საით გათხოვდებოდი (გ. ლეონ.).

აღნიშნული ლექსემა სხვადასხვა სახით გვხვდება დიალექტებში:

წითელიმარია, მაია, მარიელა, მარიამა .

წითელი მარია გაფრინდა (წიფა)

ფრინდი, ფრინდი, **მარია** (მოხვა) (ზ. იმ. ძოწ.)

ბავშვები ხელზე დაისვამენ და ეუბნებიან „**მარია** ჰადაც ჩემი საბეღოა (საცოლე და საქმრო), იქითვე გაფრინდი“, საითკენაც გაფრინდება **მარია**, მისი საბედოც თითქოს იმ მხარეს იქნება (აჭ. ნიყ.); ფრინდი, ფრინდი **მარია** (მოხ. ქავთ.). მას დაისვამენ ხელზე და ეტყვიან: „უჩ **მარია**, უჩ, წითელ კაბას შეგიკერავ უჩ, უჩ! ისიც გაშლის ფრთებს და გაფრინდება (ინგ. როსტ.).“

მარიაშულ — თავსატეხვარაც ჭიასაც ეძახიან, ცოფიანსად იმის ნაკემნსაც შველსავ, იციან (თუშ. ცოც.);

ქ. ლომთათიძის აზრით **ჭია-მაიაში** წია-ს შიშინა სახეობაა ჭია და იგი ძირეული მასალით წითელს უკავშირდება. ია-ს შორის თ თანხმოვანი (ან რომელიმე ბგერინაცვალი ჩანს ჩავარდნილი), მისი სახელდებისათვის, ფუძის ამოსავალი შინაარსის გაგებისათვის ფრიად

მანიშნებელია იმერულ დიალექტში დადასტურებული მისი სახელწოდება „წითელი მარია“ (ლომთათიძე, 1984, 55).

ჩვენი აზრით, **ჭიამაიაში ჭია** „მძრომს“ უნდა ნიშნავდეს: **ჭია** ძველსავე ქართულში სხვადასხვა სახეობის მძრომთა აღსანიშნავად ფართოდ გავრცელებული ლექსემაა.

მაია კი უნდა მომდინარეობდეს „ბუზის“ აღმნიშვნელ ბერძნული სიტყვისაგან **myia**.

როგორც რ. გორდეზიანი შენიშნავს (წინა) ბერძნული **მ** და **ი** აბსოლუტურ უმრავლესობაში შეეფარდება ქართველურ მ-სა და ი-ს. უფსილონიც რიგ შემთხვევაში გვაძლევს ქართულ ა-ს (გორდეზიანი, 1985, 122).

ასე რომ, შესაძლებელია **myia** ქართულში გადმოსულიყო როგორც მაია, ხოლო შემდეგ სიტყვის ხელახალი გააზრების, მისი სემანტიკური ცვლილებების გამო ფუძეში **რ** გაჩენილიყო.

საყურადღებოა, რომ **მაია, მარია ჭია** სიტყვის გარეშეც ცალკე, დამოუკიდებელ ერთეულადაც გვხვდება ენაში.

საბა **ჭია** სიტყვისაგან ნაწარმოებ სხვა სიტყვებთან ერთად, როგორცაა **ჭიაფუნდურა, ჭიაყელა, ჭიაჭუა** მიუთითებს აგრეთვე **მიანის ჭიაზე** და განმარტავს როგორც მალაკს, მალაკს კი — როგორც „ჩ(ჩ)ვილკეტავანს“. ვფიქრობთ, რომ მიანის ჭია, იმავე მძრომ „ჭიამაიას“ წიგნური სახელწოდებაა.

ე. ი. ჩვენი აზრით **ჭია მაია** ნიშნავს „ჭიაბუზს“. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია წინაბერძნულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა ამსახველი დიდძალი მასალა (გორდეზიანი, 1985). ერთერთ ამგვარ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს ჩვენ მიერ ზემოდასახელებული მაია || მარია-ც.

ბაგრატიონი, 1986 — იოანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.

გორდეზიანი, 1985 — რ. გორდეზიანი, წინაბერძნული და ქართველური, თბ., 1985.

ლომთათიძე, 1984 — ქ. ლომთათიძე, კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში, თბ., 1984.

ჭინჭარაული, 1981 — ალ. ჭინჭარაული, ეტიმოლოგიური ეტიუდები (ჭიაკოკონა), ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1981.

აჭ. ნიუ. — შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათ., 1971.

ზ. იმერ. ძოწ. — ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

თუშ. ცოც. — გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბ., 2002.

ინგ. როსტ. — ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.

მონ. ქავთ. — ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მონღოური დიალექტი, თბ., 1985.

ქეგლ-ი — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VIII, თბ., 1964.

ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედაქტორი, ირ. აბაშიძე, ტ. 11, თბ., 1987.

შინამ. — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ. II, ნაწ. II, ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 1982.

On the Origin of Some Georgian Words

(ჭიaperi, ჭამaya)

Summary

In Standard Georgian and its dialects the following compounds are evidenced:

1. **ჭიaperi** a. colouring worm, (D. Chubinashvili)

b. red paint // red (Georgian Monolingual Dictionary).

2. ჭამაია, ჭამარია, მარია, მარილა (Acharan), მარიამა (Ingiloan), მარიამული (Tushian), ჭიტელი მარია (red maria) (Imeretian) Coccinella.

The paper maintains that the first component of the given compounds ჭია means worm as it was in Old Georgian. As for the second component the following semantemes have been considered: 1. peri meaning paint, since the worm was used for producing red paint, the compound ჭიaperi conveyed the meaning of 'red'. 2. presumably maia originated from the Greek myia meaning fly.

ენის ფუნქციონირება

სიტყვის სემანტიკური ცვლილება ბავშვთა ენაში

ბავშვთა მეტყველებაში დასტურდება წარმოქმნილი სიტყვების თავისებურებანი სემანტიკური თვალსაზრისით, რომელთა ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს ზოგი კანონზომიერება, რითაც გამოწვეულია ბავშვთა ენის განსხვავება ნორმატიული ენისაგან.

ბავშვთა მეტყველებაში გვხვდება წარმოქმნილი სახელები, რომლებშიც სემანტიკური ცვლილების მიზეზია ლექსიკური მნიშვნელობის დაჩრდილება. ამა თუ იმ სიტყვის გამოყენებისას არ ექცევა ყურადღება მის ეტიმოლოგიურ მხარეს, ამ სიტყვის აშკარა მოტივაციის შემთხვევაშიც. „სხვისი ნაპირალი“ ბავშვს ესმის როგორც „სხვისი გამოყენებული“ და მისთვის დაჩრდილულია სიტყვის ძირი „პირი“, ამიტომ ამბობს: „სხვისი ნაპირალი მაცვია“. მეორე ბავშვის მეტყველებაში დადასტურებულია: „სხვის ნაპირალზე ვერ დავჯდები“.

სიტყვა „ერთადერთი“ აღქმულია ბავშვის მიერ „მხოლოდ“, „მართლ“ ზმნიშვნელობით და გვხვდება ასეთი გამოთქმა: „ერთადერთი ორი სკამი მაქვს“.

ბავშვი არ უკავშირებს „უგემურს“ „გემოს“ და ჩნდება ასეთი გამოთქმები: „ეს წიგნი უგემურია“, „ეს სასრილო უგემურია“.

ზოგჯერ სიტყვის სემანტიკური ცვლილების მიზეზია მისი ლექსიკური მნიშვნელობის გაფართოება. ამის ნიმუშებია ბავშვთა მეტყველებაში დადასტურებული გამოთქმები: „სათამაშო კი არა, ცოცხალი მანქანა ვიყიდოთ“, „**მსუქანი** ჩურჩხელა“, „**სუქანი** მანქანა“, „**ძველი** კაცი“, „**მარჯალი თავდაჯირა** კილია“, „**მადრევანი დაიჩუტა**“, „კამფეტი **გაგითალე**“ და სხვ. ამ გამონათქვამებს შეიძლება პირობითად „მეტაფორული“ ვუწოდოთ, თუმცა ისინი ჩვენ მიერ აღიქმება ასე, თორემ ბავშვები მათ „პირდაპირი მნიშვნელობით“ იყენებენ.

ზოგი ინოვაცია იქმნება იმის გამო, რომ ხდება ბავშვის მიერ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის სხვაგვარი გააზრება. როგორც ცნობილია, ხალხური ეტიმოლოგიის არსებობა ადასტურებს იმ

ფაქტს, რომ მოტივაცია ყოველთვის არ დაიყვანება ნამდვილ გააზრებამდე. გაუგებარ სიტყვას ახლებურად აანალიზებენ, რომ ნაცნობ სიტყვას აგებულებით დაუახლოვონ, თუმცა ეს სტრუქტურული დაახლოება ზოგჯერ უაზრობას იძლევა. ასე იქცა ყვავილის სახელი **საპონელა საპონელად, ზენარი ზენარსად** და ა. შ. (ფოჩხუა, 1974, 119).

„სახრე კი არა, **სამხრე**, იმიტომ რომ მხარზე აქვთ გადებული“, — ამბობს ბავშვი, რომელსაც ეს სიტყვა ზღაპარში ხვდება და ნახატის მიხედვით ცდილობს იპოვოს მისი მოტივაცია.

„ნახე, რა **გაიძვერა** ვარ!“ — ამბობს მაგიდის ქვეშ გაძვრომისას ბავშვი. ეს სიტყვა, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, სწორედ „გაძვრა“ ზმნის ძირიდან არის მიღებული: გა ძვერა ← გასძვერა ← გაძვერა (შანიძე, 1980, 122), თუმცა თანამედროვე ქართულში „გაიძვერა“ არ ნიშნავს იმას, ვინც რაიმეს ქვეშ ძვრება, ამიტომ ეს სიტყვა ამგვარი სემანტიკით ბავშვის მეტყველებაში ინოვაციად ჩაითვლება.

ბავშვთა მეტყველებაში, ისე როგორც საერთოდ ენაში, შეინიშნება, ერთი მხრივ, სიტყვის მოტივაციის დაჩრდილება, მეორე მხრივ კი, მისწრაფება ამა თუ იმ სიტყვის მოტივაციისაკენ. რომელიმე მისთვის უცნობ სიტყვას ბავშვი უკავშირებს ნაცნობ სიტყვას. „კი არ მოკურცხლა, **მოკურდღლა**, კურდღელივით გაიქცა“, — ამბობს ბავშვი. „ჩემს სკოლაში კარავინია, — თქვა 3 წლის ბავშვმა, — კარავინი არ იცი, აი, სუ რო კარავში ხარ“.

ბავშვები მათთვის გაუგებარ სიტყვას უკავშირებენ ფონეტიკურად მსგავს ნაცნობ სიტყვას, თუნდაც ეს დაახლოება თავის მხრივ უაზრო იყოს:

„ისე შემეშინდა, თავზე ზანზარი დამეცა“.

ბავშვთა მეტყველებაში სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ტრანსფორმაცია ხდება აფიქსების არასწორი გამოყენების შედეგად.

აფიქსების ფუნქცია ფართოვდება. ისინი გვხვდება იმ ძირებთანაც, რომელთა სემანტიკა ამ აფიქსთა დართვას გამოორიცხავს. განსაკუთრებით ხშირია ასეთი შემთხვევები ზმნისწინების გამოყენებისას:

„**ადევი** და ნახე“, „**მე ავანსურებ**“ (ავხდი), „**ჯოხი ჩავარტყე**, როგორ **ამოვარტყო**?“, „**რატო წაართვი, ამოართვი**“, „**გავიძინე**“ (გავიღვიძე), „**გაქრა**, **მერე მოქრა**“ და სხვ. ამ შემთხვევაში ზმნებში მოტივირებულია ზმნისწინი და სრულიად დაჩრდილულია ძირისეული სემანტიკა.

გვხვდება ინოვაციები, რომლებშიც აფიქსი არასწორად არის გამოყენებული ან ხდება აფიქსის გამოყენების არის გაფართოება.

სი—ე მაწარმოებელი აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს, გვხვდება ზედსართავი სახელებისა და ზმნების ფუძეებთან (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988). ბავშვის მეტყველებაში კი დადასტურებულია არსებით სახელთან: „ნახე, რა **სინიავეში** ვარ“, „ვნახოთ ამის **სიზომე**“.

-ება სუფიქსი, როგორც ცნობილია, -იერ-ზე გათავებული ზედსართავებისაგან აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს, თუმცა იშვიათად გვხვდება სხვა ფუძეებთანაც: უფლება, არსება... (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988). ბავშვის მეტყველებაში დადასტურდა **წყნარება**: რა წყნარებაა!

უ—ეს უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი გამოყენებულია აბსტრაქტულობის სი—ე აფიქსებით ნაწარმოებ სახელთან: **უსიმქიმილესი**.

გვხვდება ორმაგი წარმოების შემთხვევები: „**დამალევივინენე**“, „**უაუნთებელი**“, „**უგაუთლელო**“, „**მაზიკოკო**“ (რამაზის კნინობითი ფორმა), ბელიკოკო (ბელას კნინობითი ფორმა), **ბებიკოკო**.

ამრიგად, ბავშვთა მეტყველებაში სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ტრანსფორმაცია ხდება იმის გამო, რომ ბავშვის მიერ, რომელიმე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა არასწორად არის გააზრებული, დაჩრდილულია, ან, პირიქით, გაფართოებულია, ზოგჯერ არასწორად არის გამოყენებული მაწარმოებელი, გაფართოებულია აფიქსების ფუნქცია.

ლიტერატურა

ფოჩხუა, 1974 — ჯ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბ., 1980.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988 — ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

NINO CHUMBURIDZE

Semantic Changes of Words in Child's Speech

Summary

The child's speech is characterized by semantic peculiarities of derived words. On the basis of the data analysis some regularities that make the child's language different from the Standard one have been stated. Lexical meanings are not always properly perceived by children; the meaning of a word is either vague or widened. Sometimes derivational elements are incorrectly used, functions of the affixes are broadened.

ენის ჯგერბენაჲ

-ობ თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნათა უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისათვის

-ობ თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნათა რაოდენობა თანამედროვე ქართულში 600-ს აჭარბებს. ეს -ობ თემის ნიშნის დიდი პროდუქტიულობით აიხსნება: -ობ სუფიქსი ინტენსიურად აწარმოებს ახალ ფორმებს როგორც სახელური, ასევე ზმნური ფუძეებისაგან.

-ობ თემისნიშნისანი საშუალო გვარის ზმნები უღლებებისას რიგ თავისებურებებს გვიჩვენებენ, რომელთაგან არსებითია:

1) ამ ტიპის ზმნებზე ზმნისწინის დართვა არ იწვევს დროის, მწკრივისა და ასპექტის შეცვლას (შდრ. **ფაფხურობს ის — დაფაფხურობს ის**).

2) მყოფადის მწკრივებში -ობ თემის ნიშანი -ებ თემის ნიშნით იცვლება (**ფაფხურობს ის — იფაფხურებს ის**).

მეორე წესიდან გამონაკლისს გვიჩვენებს 20-მდე ფორმა, სადაც -ობ თემის ნიშანი მყოფადის წრის მწკრივებში რჩება. აქ, უთუოდ, ფონეტიკური ფაქტორია საძიებელი. მართლაც, თუკი დავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ აღნიშნული ფორმები სხვა დანარჩენი ზმნებისაგან მხოლოდ იმით გამოირჩევიან, რომ მათ აწმყოსა და მყოფადის წრეშიც ძირი გაუხმოვანებელი სახით აქვთ წარმოდგენილი.

გრძნობს — ი-გრძნ-ობს

ქმრობს — უ-ქმრობს

ცნობს — ი-ცნ-ობს

აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი აღნიშნულ ფორმებს დიალექტურ (ხმოვნის) ვარიანტებს შევუპირისპირებთ, აღმოჩნდება, რომ ეს უკანასკნელი მყოფადის წრის მწკრივებში -ობ თემის ნიშანს -ებ თემის ნიშნით ჩაანაცვლებენ.

შდრ. **ქმრ-ობს ის მას**

მაგრამ **ქმარ-ობს ის მას**

ასევე **ბრძნ-ობს ის**

უ-ქმრ-ობს ის მას

უ-ქმარ-ობს ის მას

ი-ბრძნ-ობს ის

მაგრამ **ბრძენ-ობს ის** **ი-ბრძენ-ობს ის**
აღნიშნული ზმნები წყვეტილში I-II პირში დაკარგულ ხმოვანს აღიდგენენ:

ვ-გრძ-ობს — ვ-ი-გრძ-ობს — ვ-ი-გრძენ-ი

ვ-ცნ-ობს — ვ-ი-ცნ-ობს — ვ-ი-ცნენ-ი

ამავე ზმნებს I თურმეობითში ვ თანხმოვნის გაჩენის ტენდენცია აქვთ:

გრძნ-ობს — უ-გრძენ-ი-ა

ცნ-ობს — უ-ცნენ-ი-ა

-ობ თემისნიშნისანი ზმნები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ერთპირიან და ორპირიან ფორმება. ორპირიან ფორმებში, თავის მხრივ, კიდევ ორი ჯგუფი გამოიყოფა:

1) ჩვეულებრივი, ირიბობიექტური პირის შემცველი ფორმები: **პატრონობს ის მას, სტუმრობს ის მას, დარაჯობს ის მას.**

2) პირდაპირი ობიექტის შემცველი ფორმები: გრძნობს ის მას, ცრუობს ის მას. საგარაუდოდ, ამ ტიპის ფორმებთან პირდაპირი ობიექტი შემდეგ არის განვითარებული.

ფუძის სტრუქტურის მიხედვით გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი:

1) საკუთრივ ზმნური ძირები — **ნათობს**

2) პირველადი საწყისებისაგან ნაწარმოები ფორმები: ა) რედუბლიცირებული ძირები ცვლილების გარეშე : **ნარნარობს**. ბ) რედუბლიცირებული ძირები სხვადასხვა სახის ფონეტიკური ცვლილებით : **ფარფატობს, ბაქიბუქობს, კაკანობს.**

3) ნასახელარი ფორმები: ა) არსებით სახელთაგან წარმოებული: **აბრაგობს**; ბ) ზედსართავ სახელთაგან ნაწარმოები: **ანცობს.**

უღლების მხრივ ერთპირიან ფორმებში გვაქვს მწკრივნიაკლი ფორმები (უზმნისწინო — **მარტობს** და ზმნისწინისანი — **დათარეშობს**) და ფორმები, რომლებსაც ყველა მწკრივის ფორმა მოეპოვებათ.

ორპირიან ზმნებშიც ასევე გამოიყოფა ორი ჯგუფი:

1) მწკრივნიაკლი ფორმები (ძირითადად, ზმნისწინისანი) — **მი-პობს ის მას.**

2) ფორმები, რომლებიც ყველა მწკრივის ფორმას აწარმოებენ.

რაც შეეხება მყოფადის საშუალო გვარის ფორმები (ისევე როგორც დანარჩენი საშუალო გვარის ზმნების უმრავლესობა) **ი-** და **უ-**

პრეფიქსებს მიმართავს: **ი-**ს ძირითადად ერთპირიანი ზმნებისათვის, **უ-**ს კი — ორპირიანებისათვის (თუ ობიექტური პირი ირიბია):

კიაფ-ობ-ს ის — ი-კიაფ-ებ-ს ის
პატრონ-ობ-ს ის მას — უ-პატრონ-ებ-ს ის მას

გარდა აღნიშნულისა, **-ობ** თემისნიშნის საშუალო გვარის ფორმებს ახასიათებთ მთელი რიგი თავისებურებებისა, რომელთაგან აღსანიშნავია რამდენიმე:

1) **R-ა-ობ** და **R-ე-ობ** სტრუქტურის ფორმები მწკრივების წარმოებისას (აწმყოს წრის მწკრივების გარდა) ვ თანხმოვანს ჩაირთავენ (ან აღიდგენენ):

მკითხა-ობ-ს — ი-მკითხა-ვ-ებ-ს
მორიგე-ობ-ს — ი-მორიგე-ვ-ებ-ს
ქანა-ობ-ს — ი-ქანა-ვ-ებ-ს

2) გვაქვს პირიანობის თვალსაზრისით ლაბილური ფორმები. ერთი და იგივე ფორმა ითავსებს ერთპირიანი და ორპირიანი შინაარსის გამოხატვას. ამის მიხედვით მას ორ-ორი ფორმა შეესაბამება მყოფადისა წრისა და II-III სერიის მწკრივებში:

ერთპირიანი

აწმყო — **დარაჯ-ობ-ს ის** (დარაჯის მოვალეობას ასრულებს)

მყოფადი — **ი-დარაჯ-ებ-ს ის**

წყვეტილი — **ი-დარაჯ-ა მან**

ორპირიანი

აწმყო — **დარაჯ-ობ-ს ის მას**

მყოფადი — **უ-დარაჯ-ებ-ს ის მას**

წყვეტილი — **უ-დარაჯ-ა მან მას**

3) ზოგიერთ ძირთან აწმყოში მოსალოდნელი მარტივი ძირის ნაცვლად გვხვდება რთული **-ილ / -ულ** სუფიქსებით გართულებული ფორმა:

ნატრ-ულ-ობ-ს ის მას
კლებ-ულ-ობ-ს ის
ლოც-ულ-ობ-ს ის
ფიც-ულ-ობ-ს ის (მას)

ლიტერატურა

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1950.

ინვერსიული ლექსიკონი, თბ., 1967.

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

შანიძე, 1973 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

NINO JORBENADZE

On the Classification of Conjugable Forms of Medial Voice Verbs with the Thematic Marker ob

Summary

In Current Georgian there are over 600 medial voice verbs with the thematic marker ob. The given verbs form the chunks of the Future and Series II with the prefixes i/u: monopersonal verbs (or the verbs with a direct object) take the prefix i, whereas bipersonals the prefix u. At the same time in the chunks of the Future the thematic marker ob changes into eb: papxurobs - i-papxur-eb-s. 20 verbs with non-vocalic roots are an exception; they retain the thematic marker ob in the chunks of the Future:

grxnobs is mas – i-grxn-ob-s is mas

There are also verbs with incomplete chunk forms: both preverbed and preverbless, monopersonal as well as bipersonal.

The medial voice verbs with the thematic marker ob have a number of peculiarities, one of them being their flexibility towards marking persons: They can be both monopersonal and bipersonal.

წერილი რედაქციას

ჟურნალ „საენათმეცნიერო ძიებანის“ XXII ტომში თ. არაბულისა და ლ. გოქსაძის სტატიაში „ბილინგვი ბავშვის შეცდომების ანალიზი სემანტიკურ დონეზე“ მოხმობილი იყო მაგალითები და მსჯელობები ნინო ჭუმბურიძის ორი სტატიიდან: „უქონლობა-უარყოფის გამომხატველი ფორმები ბავშვთა მეტყველებაში“, „ზმნის წარმოების თავისებურებანი ბავშვთა ენაში“. მასალა მოხმობილია მითითების გარეშე, რისთვისაც ავტორები დიდ ბოდიშს ვუხდით ქ-ნ ნინო ჭუმბურიძეს.

სარჩევი

ნ. აბაშიძე — ინგლისური სამეტყველო რიტმი.....	3
ნ. აბაშიძე — პარონიმია და მისი დამოკიდებულება სხვა ლექსიკურ კატეგორიებთან.....	10
ლ. ავალიანი — მეხარკე და მეხარჯთაღრიცხვე სიტყვათა ფორმოზრიგ-სემანტიკური ანალიზისათვის.....	16
ნ. აკობია — „ოთხი უნარ-ჩვევა.“.....	21
ფ. ახალაია — ანთროპონიმთა კნინობით-ალერსობითი ფორმები მეგრულში.....	31
მ. ბერსენაძე — ინგლისური მოდალური ზმნის „must“ გრამატიკულ-სემანტიკური შესატყვისები ქართულში.....	37
ა. ბოჭორიშვილი — საქმიანი სატელეფონო საუბრების ზოგიერთი მახასიათებელი.....	43
შ. გაბესკირია — აღმოსავლურ ენებში „ქრისტიანული ჯვრისა“ და „ხაზის“ მნიშვნელობებით დამკვიდრებული ერთი ქართული ლექსიკური ნასესხობის შესახებ.....	55
ზ. გაბიჩვაძე — მევენახეობა-მეღვინეობის აღმნიშვნელი ლექსიკით მოტივირებული ტიპონომიკა საქართველოში.....	65
რ. გერსამია — „განძი“ — ძველი ქართული სამართლის ტერმინი.....	69
გ. გვანცელაძე — ვარდის მეტაფორული სემანტიკის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“.....	75
მ. გუგუნავა — კინოს ისტორია, განხილული როგორც ტექსტის ელემენტი.....	80
ტ. გურგენიძე — გრამატიკული კლასების რაოდენობის დადგენა ომონიმური ან პოლისემიური სიტყვაფორმების შემთხვევაში.....	92
მ. გუტიძე — ჰიდრონიმები ვანის რაიონში.....	98

ლ. დოლიძე — ტრანსპორტით მომსახურების ტერმინოლოგიის სწავლება ტურიზმის ბიზნესის სპეციალობაზე.....	105
ზ. ედიბერიძე — დანიშნულების გამოხატვისათვის აღმო-სავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში.....	111
ნ. თევზაძე — ზმნის მომავალი დროის მეშველზმნიანი წარმოება დალესტურ ენებში.....	120
ა. თენიეშვილი — ტექნიკური ინსტრუქციების ლინგვისტური თავისებურებები.....	125
ე. თოფურია — პრაგმატიკულ-ფუნქციონალური ტრანსფორმაციების ლინგვისტური დეტერმინანტები სხვადასხვა სისტემის ენებში.....	131
ბ. კაკავა — ორი ლაბიალიზებული თანხმონის შემცველი კომპლექსები აფხაზურში.....	137
ნ. კაპანაძე — დარგობრივი კომუნიკაციის კვლევის ამოცანები და პერსპექტივები.....	146
ნ. კობალეიშვილი — რას გვათავაზობს ინტერნეტ გაზეთი....	153
ი. ლობჯანიძე — თეატრალური ნაგებობის აღმნიშვნელ ტერმინ „თეატრის“ სინონიმები ძველ ქართულში.....	161
თ. ლომთაძე — ენა საზოგადოებაში: ენის სოციოლინგვისტური განზომილებანი.....	167
თ. მამარდაშვილი — სასუბიექტო მიმღეობათა მ-არ(ალ) და მ-არე აფიქსებიანი წარმოება ქართულში.....	173
ნ. მაჭავარიანი — კომპოზიტები აფხაზური ენის მცენარეთა ლექსიკაში.....	184
თ. მახარობლიძე — ქცევის კატეგორიის თავისებურებანი.....	193
მ. მიქაძე — მშვენიერების აღმნიშვნელი ლექსიკა სალიტერატურო ქართულში.....	200
თ. ნიჟარაძე — ორიენტაციული მეტაფორები მე-20 საუკუნის II ნახევრის გერმანულენოვან მხატვრულ პროზაში.....	210
ს. ომიძე — უცხო სიტყვა — უცხო მენტალობა ეროვნულ დისკურსში.....	215
მ. რუსიეშვილი — ერვინგ გოფმანის თეორიის ევოლუციის თაობაზე.....	231
ნ. სახეჩიძე — ობიექტურ პირთა რიცხვის კატეგორიის ფორმირება ზმნაში.....	239

მ. სიორიძე — კონცეპტი როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კატეგორია.....	244
ნ. სტამბოლიშვილი — კომუნიკაციაში ჩართული სიტყვათა სემანტიკური კომბინაციები.....	251
ნ. სურგულაძე — ზოონიმთა შემცველი ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სისტემა თანამედროვე ფრანგულ ენაში.....	259
თ. სუხიშვილი — ნათესაობის აღმნიშვნელი სომატური მიკროველების შესახებ.....	264
თ. ტეტელოშვილი — ასპექტის გამოხატვისათვის ქართული ენის საშუალო გვარის ზმნებში.....	268
ი. ტურაშვილი — ბოლოზმონიანი სახელები ნასახელარი ზმნის ფუძედ საშუალო ქართულის ძველთა ენის მიხედვით....	274
ს. ტყეშელაშვილი — ოთხწევრა თანხმონთა კომპლექსები ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში.....	280
ნ. ურთაშვილი — სიტყვის მორალურ-ესთეტიკური მხარის ასახვა ძველ ქართულ ლიტერატურაში.....	284
ს. ფეტელავა — საუბრის ანალიზი ენათმეცნიერების თანამედროვე კონტექსტში.....	290
შ. ფუტყარაძე — უდეტრები ქართული ენის ნიგალურ დიალექტში.....	294
ლ. ქაროსანიძე — პროსოდის ნიშანთა აღმნიშვნელი ტერმინების გადმოცემისათვის ქართულში.....	307
მ. ქუჭიშვილი — მესხური გვარების სტრუქტურული ანალიზისათვის.....	313
რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი — საკომუნიკაციო მოდელი და ზმნის გრამატიკული კატეგორიები.....	329
რ. შამელაშვილი-ზექალაშვილი — მოდალობის სემანტიკური კატეგორია და ველი ქართულში.....	334
თ. შურღაია — ვატიკანის ოთხთავის მხატვრული შემკულობა	340
მ. ჩაჩანიძე — ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონების ტიპოლოგიური ანალიზი.....	350
თ. ჩახნაშვილი — ტექსტისა და სურათის ურთიერთ-მიმართება სარეკლამო ენაში.....	355
თ. ჩურკვეიძე — პროზაული ტექსტის სტილისტური ანალიზის სწავლებისას.....	361

ა. ჩუტკერაშვილი — ტექსტის მთლიანობის შექმნის მნიშვნელოვანი ფაქტორები.....	367
ი. ჩხობაძე, ს. ჩხობაძე — საგაზეთო ფელეტონის ჟანრის საკითხისათვის	372
დ. ჩხუბიანიშვილი — იმანენტური განვითარების ზოგიერთი გამოვლინება ფერეიდნულში.....	379
ნ. ცერცვაძე — „წერის ხელოვნება“ — ეპისტოლარული ჟანრის მივიწყება თუ მისი მეტამორფოზი?“.....	389
ნ. ჭოხონელიძე — ზოგი სიტყვის წარმომავლობისათვის ქართულში 1. ჭიაფერი; 2. ჭიამაია.....	396
ნ. ჭუმბურიძე — სიტყვის სემანტიკური ცვლილებანი ბავშვთა ენაში.....	402
ნ. ჯორბენაძე — -ობ თემისნიშნის საშუალო გვარის ზმნათა უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისათვის.....	406

Contents

N. A b a s h i d z e — English Speech Rhythm.....	9
N. A b a s h i d z e — Paronymy and its Relationship with other Lexical Categories	15
L. A v a l i a n i — Formal and Semantic Analysis of the Words mexarke and mexarJTaGricxve	20
N. A k o b i a — Four Skills.....	30
P. A k h a l a y a — Diminutive Forms and Forms of Endearment in Megrelian Anthroponyms	36
M. B e r s e n a d z e — Grammatical and Semantic Correspondences of the English Verb must in Georgian	42
A. B o c h o r i s h v i l i — Some Linguistic Characteristics of Business Telephone Conversation.	54
Sh. G a b e s k i r i a — Georgian Borrowings Denoting "Christian Cross" and "Line" in Oriental Languages.....	63
Z. G a b i c h v a d z e — Geogain Toponyms Motivated by Viticulture and Wine-making Lexis.....	68
R. G e r s a m i a — Systematic Repeated Actions Conveyed by the Megrelian Preverb gila.....	74
G. G v a n t s e l a d z e — On the Metaphoric Semantics of Rose in "The Knight in the Panther's Skin"	79
M. G u g u n a v a — The History of Cinema as a Text Element	91
T. G u r g e n i d z e — Stating the Number of Grammatical Classes in Homonymous or Polysemous Wordforms	97
M. G u t i d z e — Hydronyms in Vani Region	104
L. D o l i d z e — Teaching Transport Service Terminology To Students of Tourism Bussiness	110
Z. E d i b e r i d z e — On the Expression of Purpose in East Georgian Highland Dialects	119
N. T e v z a d z e — Formation of the Future by means of Auxiliary Verbs in the Dagestan Languages	123
A. T e n e i s h v i l i — Linguistic Peculiarities of Technical Instructions ..	130

E. Topuria — Linguistic Determiners of Pragmatic - Functional Transformations.....	136	N. Urtashvili — Moral and Aesthetic Aspects of Word Reflected in Old Georgian Literature.....	289
Kh. Kakava — Two-member Labialized Consonant Clusters in Abkhazia.....	144	S. Petelava — Conversation Analysis in the Context of Contemporary Theories.....	293
N. Kapanadze — The Study of Communication for Specific Purposes and its Perspectives.....	152	Sh. Putkaradze — Structure Words in the Nigal Dialect of Georgian.....	306
N. Kopaleishvili — What Online Newspapers Offer.....	160	L. Karosanidze — The Terms Denoting Prosodic Signs in Greek Sources and Georgian Grammatical Works.....	312
I. Lobjanidze — Synonyms of the Term Teatri Denoting a Theatre Building in Old Georgian.....	166	M. Kukchishvili — On the Structural Analysis of Meskhan Family Names.....	328
T. Lomtadze — Linguistic Problems of Social Dialects.....	172	R. Shamelashvili-Zekalashvili — Communicative Model and Grammatical Categories of Verb.....	333
T. Mamardashvili — Formation of Subjective Participles with the Affixes m - ar(-al) and m - are in Georgian.....	183	R. Shamelashvili-Zekalashvili — The Semantic category of Modality and Field of Modality in Georgian.....	339
N. Machavariani — Compounds in Abkhazian Plant Lexis.....	192	T. Shurghaya — Ornamentation of the Vatican Gospel.....	349
T. Makharoblidze — Some Peculiarities of the Category of Version.....	199	M. Chachanidze — Typological Analysis of Dictionaries of Linguistic Terms.....	354
M. Mikadze — Lexical Units Denoting "Beauty" in Standard Georgian.....	209	T. Chakhnashvili — Relationship between Text and Picture in the Language of Advertising.....	360
T. Nizharadze —Oriental Metaphors in the German Fiction of the Second Half of the 20 th Century.....	214	T. Churkveidze — Methodic Recommendations for Teaching Stylistic Analysis of Prose Texts.....	366
S. Omiadze — Foreign Words — Alien Mentality in National Discourse.....	230	A. Chutkerashvili — Important Factors for Creating Textual Coherence.....	371
M. Rusieshvili — On the Evolution of E. Goffman's Theory.....	238	I. Chkobadze, S. Chkhobadze — Towards the Problem of the Genre of Newspaper Satire.....	378
N. Sakhechidze — Formation of the Category of Number of Objective Persons in Verbs.....	243	D. Chkhubianishvili — On Certain Language Tendencies in Fereidianian.....	388
M. Sioridze — Concept as a Linguocultural Category.....	250	N. Tsertsvadze — The Art of Writing - Epistolary Genre Forgotten or Metamorphosed.....	395
N. Stambolishvili — Semantic Combinations of Words In Communication.....	258	N. Chokonelidze — On the Origin of Some Georgian Words.....	401
N. Surguladze — The System of Phraseological Units Including Zoonyms in Current French.....	263	N. Chumburidze — Semantic Changes of Words in Child's Speech.....	405
T. Sukhishvili — On Somatic Microfields Denoting Relations.....	267	N. Jorbenadze — On the Classification of Conjugable Forms of Medial Voice Verbs with the Thematic Marker ob	409
T. Tetelashvili — The Problem of Expressing Aspect in Georgian Verbs of Medial Voice.....	273		
I. Turashvili — Nouns with Ultimate Vowels as the Stems for Nounal Verbs in Medieval Georgian records.....	279		
S. Tkeshelashvili — Four-member Consonant Chusters in the Fereidianian Dialect of Georgian.....	283		